ზინაიდა ვიმეოვა
სერგეი ცარევიჩი

კასპერ ზერნატის

თავგადასავალი პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში

თბილისი „ნაკადული“
1983

И (Пол.)
891. 74. 93
Ш. 735

რომანი „კასპერ ბერნატის თავგადასავალი პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში“ XV — XVI საუკუნეთა მიჯნის პოლონეთის ისტორიულ ამბებს მოგვითხრობს.

სათავგადასავლო სიუჟეტით, რასაც საფუძვლად დოკუმენტური მასალა უძევს, თვალწინ გვეშლება პოლონელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურათები ტევტონთა ორდენის წინააღმდეგ.

ავტორთა განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საგულდაგულოდ, გამორჩეული სიფაქიზითა და სიყვარულით დახატული უდიდესი პოლონელი ჰუმანისტის მიკოლაი კოპერნიკის სახე.

დიდი სწავლული მხოლოდ საშუალო საუკუნეებში მნათობებზე გაბატონებული სქოლასტური მეცნიერების „საფუძველთა შემრყევად“ როდი გვეელინება, იგი უბადლო პატრიოტია, უიშვიათესი პიროვნება. იგი ხელმძღვანელობს ტევტონთა რაინდების შემოსევებისაგან პოლონეთის საზღვრების დაცვისათვის ბრძოლებს. მთელი მისი ცხოვრება, თავისი შეცდომებითა და მიღწევებით, თავისი უმშვენიერესი, მაგრამ სიმწარენარევი სიყვარულით, დაგვეხატება თვალწინ.

თარგმნა
მანანა ჯუბადალაშვილმა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

მოსაკითხი გდანსკიდან

კრაკოვის ქუჩები თოვლს დაუფარავს. მძვინვარე ქარბუქი შესახვევების, ქუჩაბანდების ვიწროებს აწყდება და თავისუფლად მხოლოდ ბაზრის მოედანზე დანავარდობს: ღრმა ნამქერებში ხვევს სუკენიცისა და წმიდა მარიამის კოსტიოლის მისასვლელებს. დღეს „სამი მეფის“ დღესასწაულია — საშობაო უქმეების ბოლო დღე. ბოლო დღე კრაკოვის უნივერსიტეტის არდადეგებისაც... მაშ, ხვალიდან — კვლავ დამტვერილი, ვეებერთელა ფოლიანტები, კვლავ ლექციები, ციურ სხეულთა ტაბულები. დღეს კი...

—...დღეს კი დავლიოთ, მეგობრებო! დავლიოთ ჩვენი Alma mater-ის, ჩვენი დიდებული უნივერსიტეტის, ჩვენი პროფესორების, მეცნიერების, სიყვარულის, მეგობრობის სადღეგრძელო!

— დავლიოთ, კოლეგებო, დავლიოთ! დაე, გარეთ ქარიშხალი ბობოქრობდეს, დაე, ჩოლფოტი პატრონების სახლებს კრამიტი გადახადოს — ჩვენ რა გვენაღვლება! ჩვენ სასმისები მივუჯახუნოთ ერთმანეთს, მეგობრებო, დამდეგი 1511 წლის სადღეგრძელოდ! ახლა კი მოდით, ჩვენებური, სტუდენტური შემოვძახოთ!

კალის ოთხი ტოლჩა ყრუდ შეეხალა ერთმანეთს და ოთხმა ახალგაზრდულმა ხმამ „Caudeamus“[1] დააგუგუნა. სიმღერას უმალ ევიწროვა დაბალი სენაკის კედლები და გამშვარტლულ კამარებში ისე აბობოქრდა, თითქოსდა, სადაცაა, გაგლეჯსო ხარის ტყავს, რომელიც პედელს (იგი საერთო საცხოვრებლის პატრონიც იყო) ფანჯრებისთვის აეკრა. მინები, მისი აზრით, მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდა ღარიბი სტუდენტებისათვის.

— ოჰ, რა მჟავე ლუდი აქვს მამა ქრისტეფორეს! — დაიჭყანა ზბიგნევი და ლამაზ, წითელ ტუჩებზე განიერი სახელო მოისვა,— კასპერ, ნუთუ სადღესასწაულოდ მაინც არაფერს გამოგვიგზავნიან ჩვენები?

---

[1] Caudeamus — ძველებური სტუდენტური სიმღერა.

კასპერ ბერნატმა უიმედოდ გადაიქნია წითური ქოჩორი. თვითონ არაფერს ელოდა: უკვე ორი წელი იყო, რაც, მამინაცვლის შიშით, დედა ვეღარაფერს უგზავნიდა.

— ჩათვალე, რომ დღესასწაული დამთავრებულია, — მიუგო კასპერმა და ამოიხვნეშა.

— ჰო, ეტყობა, შლიახტურ ძღვენს ვეღარ ვეღირსებით, — ჩაიბურტყუნა ჩასუქებულმა სტაშეკმა, თან გაწვალებით ლოღნიდა დაძველებული მუეუეის ნაჭერს. — გზები გაყინა. რას იზამ, აწოწილო, მამაშენმა, უწარჩინებულესმა პან სუხოდოლსკიმ ალბათ ცხენები დაინანა... ლუდს კი რა უჭირს, ნეტავი უფრო ხშირად გვაძლევდნენ და!

— ლუდი მეავეა, მუეუეი — შარშანდელი გაფუჭებული... ოჰ, მე კასპერი არ ვიქნები, თუ ჩვენი მამა ქრისტეფორე აქედან არ ვიფრინო. რას იტყვი, ქარიყლაპია, ჰა? — და კასპერმა მხარზე ხელი დაადო გამხდარ, ქერათმიან, ცივ, ნაცრისფერთვალება მეოთხე თანამეინახეს. — ვხედავ, შენც ვერაფერს ჭამ! მარტო გაბერილი არასოდეს არაფერს იწუნებს. შენა, გაბერილო, რას გვირჩევ, ვიფრინოთ ქრისტეფორე?

სტაშეკ კოგუტი, სიმსუქნის გამო გაბერილად მონათლული, მართლაც, წარამარა იყუდებდა ტოლჩას და ხის გობიდანაც ყველაზე მალიმალ მას გადაჰქონდა ხორცი.

— ეჰ, კასიუ, ვთქვათ, გააგდე ქრისტეფორე, რა გამოვა აქედან? რა და, მაგაზე გაქნილ ქურდს დააყენებენ, — ზარმაცად გაეძრახა სტაშეკი, მერე ხუმრობით დაურთო, — მე და ჰენრიხი ბოდიშს გიხდით უწარჩინებულეს პანებს, — ჩვენ უბრალო ხალხი ვართ... ჩვენს სოფელში ასეთ გამასპინძლებაზედაც მადლობას იტყოდნენ...

ჰენრიხ ადლერს ფერმკრთალ სახეზე მსუბუქმა ალმა აჰკრა. მას, სასაფლაოს დარაჯის შვილს, არ უყვარდა, როცა სიღარიბეს გაუხსენებდნენ.

— არამც და არამც, — შეედავა ჰენრიხი. — მახსოვს, ხის ქერქი უჭამიათ სოფელში, მაგრამ, დამერწმუნეთ, ამისთანა სისაძაგლის ჭამას ჩვენი ღარიბი კმეტებიც კი ითაკილებდნენ... ისე, გაბერილი მართალია: ყველა მნე ქურდია და ყველა პედელი — ენატანია. არა, მაინც, რა ჩვეა გაქვს, წითურო, იმაზე იცი ახირება, რაც სათქმელადაც არა ღირს! აქ კი უარეს უსამართლობას ხედავ და გაჩუმებული ხარ... ჰოდა, სანამ გაჩუმებული ხარ...

— Silentium![1] — უცებ იყვირა აწოწილმა ზბიგნევმა და თითი მაღლა ასწია.

[1] Silentium — ჩუმად (ლათ.).

ოთხივეს უკვე ნათლად შემოესმა ფანჯრებს მიღმა ცხენების ფრუტუნი და მარხილის ღრჭიალი. ეჟვანმაც ერთხელ კიდევ გაიჟღარუნა და მიჩუმდა.

— გაჩერდა! ჩვენების გამოგზავნილია! — წამოხტა ზბიგნევი, სიჩქარეში მძიმე სკამი გადააყირავა და კარს ეცა.

კარი კი უკვე გაიღო და თოვლიან ბურუსში სტუდენტებმა გაარჩიეს მხარბეჭიანი, ჩაფსკვნილი, მგლისქურქჩაცმული კაცი. უცნობმა ზურგიდან ხვნეშით მოიხადა ტვირთი.

— კაზიმიჟია? — გაოცებული ათვალიერებდა ზბიგნევი მოსულს და თავისთვის ბუტბუტებდა: — არა, კაზიმიჟი არ არის... მაშ, იან სტოპოლიელია? რაღაც ვერა ვცნობ.

— ვუეკ![1] — უცებ ზბიგნევის ზურგს უკან კასპერ ბერნატის გახარებული ხმა გაისმა. — ესე იგი, პან იაკუბ კონოპკა, — იმწამსვე გასწორა კასპერმა: არ ეკადრებოდა სახელგანთქმული კრაკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს, ბოცმან კონოპკასათვის ძველებურად, როგორც იმ ნეტარ ბავშვობაში იცოდა, „ვუეკი“ დაეძახა.

— ჰო, ვუეკი ვარ და ვუეკი, რაკი ჩემი შვილები არ მეღირსა, — ჩახლეჩილი, გაციებული ხმით უპასუხა მოსულმა, — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, სტუდიოზუსებო! — თან ულვაშებზე შეჩინჩხლული ყინულები მოიშორა და კასპერი გადაკოცნა. — მოსაკითხი მიიღე!.. ალუბლიანი არაყი! — და მოფერებით მიუტყაპუნა ხელი მუცელგამობერილ შტოფს. — ძეხვი! ვაშლი! — ამბობდა და კასპერისაკენ აცურებდა შეკვრებს.

— მერე, მამინაცვალი? — საკუთარ თვალებს არ დაუჯერა ისე წაილუღლუღა კასპერმა. — თუ დედაჩემის გამოგზავნილი არაა? ცხენები ვინღა მოგცა.

ის იყო, კონოპკა ცოლის ქებას უნდა მოჰყოლოდა, გარდაცვლილი კაპიტნის შვილის მოსაკითხი მშვენივრად ჩამილაგა და გამომატანაო, რომ კასპერის მოულოდნელმა შეკითხვამ შეაკრთო. თუმც კონოპკას ერთი წუთით დაება ენა.

— როგორ თუ დედაშენის გამოგზავნილი არაა? პანი ბერნატოვამ გამომატანა, აბა მაშ ვინა? — მხიარულად მიუგო კონოპკამ. — შენს მამინაცვალს კი, პან კუჩინსკის, კეფაში არ უსხედს თვალები. არც შინა ზის დღემუდამ... თუმცა, უფრო შინა ზის, ვიდრე ზღვაზე დაცურავს, — ბრაზიანად დაატანა კონოპკამ. — ცხენები კი გერმანელისაა. ერთმა ვაჭარმა დამიქირავა სანდომირში... სანდომირ-

[1] ვუეკი (პოლ). — ძია. აქაც და შემდეგაც კასპერი ამ სიტყვას საკუთარი სახელის მაგივრად ხმარობს.

ში, დედულეთში, ჩემი პანი იაკუბოვა ჩავიყვანე... ჰოდა, ესეც ბედი: იმ ვაჭარს, სანამ ვარმიაში წავიდოდა, კრაკოვზე უნდა გამოევლო, ხედავ, რამხელაზე უხვევს გზა! იმისი მემარხილე, არ ვაცი. ავად გახდა, არ ვიცი, გრძელ გზას შეუშინდა. მე ჯერ ვაჭრის დაყოლიება ვცადე: მოდი, კრაკოვში სხვა დროს წადით-მეთქი... მერე კი უცებ მოვეგე გონს — ეტყობა, წმიდა ქალწული მიმართავს ხელს: ვარმიაშიც წავალ და კრაკოვშიც-მეთქი. მაშ, მე კონოპკა არ ვიქნები, თუ ჩემს კასპრუკს არ ვნახავ-მეთქი... განშორებამდე-მეთქი... ამაღამ და ხვალღამ აქ დავრჩებით, მერე კი — გავბრუნდებით...

კასპერმა ვერაფერიც ვერ გაიგო. ვუეკი ან რაღაცას ურევდა, ან რაღაცას უმალავდა. ბოცმანი კონოპკა და დაქირავებული მემარხილე?! კასპერს დედისგან ამანათი მოუტანა, მერედა, რანაირად?! — გდანსკიდან წამოღებული მთელ პოლონეთზე ატარა? ან ბოცმანმა გემი როგორ დატოვა? ან მთელი ეკიპაჟი უიმისოდ როგორ დარჩა? — ყმაწვილი კაცი ბუნდოვანმა შიშმა მოიცვა.

— ვუეკ, ჩვენს გემზე რა ისმის? როდის აპირებ დაბრუნებას? — ჰკითხა კასპერმა.

— დაბრუნებას სულაც არ ვაპირებ, — მოჭრა პან კონოპკამ, — კუჩინსკის ხელქვეითად არ წავალ. ჯანდაბის იქითაა მაგისთანა კაპიტნის გზა. ეგ შენ როხ ბერნატი არ გეგონოს, არა! მთელი შემადგენლობა დაითხოვა... ჰოდა, მეც ჩავიყვანე ჩემი პანი იაკუბოვა დედულეთში და ეხლა ჩიტივით თავისუფალი ვარ... დაიცათ, შვილებო, რა ენად გავიკრიფეთ! მოდით, ჯერ სუფრას მივუსხდეთ! კუჩინსკის კი ეშმაკები უჩვენოდაც გაუყენებენ ჯოჯოხეთის გზას!...

მაგრამ კონოპკა სუფრაზედაც წარამარა ახსენებდა კასპერის მამინაცვალს, კაპიტან კუჩინსკის.

— შორეული ცურვა გვერდზე დაგვრჩა, — მასლაათობდა სტუდანიური უხვი სუფრითა და მაგარი არყით გაბრუებული კონოპკა. — მეტი აღარაფერი იცის: ჩავა ჰამბურგში — გამობრუნდება! კაპიტანი კი არა, გერმანელ ვაჭართა ხელის ბიჭია! ჩვენი შემადგენლობა ხომ ვთქვი, დაითხოვა-მეთქი, მაგრამ, არა უშავს, იმასაც დღეს არა, ხვალ გააგდებენ: ეხლანდელ ვაჭრებსაც გაეგებათ ცოტა რამ. მოგება რომ ნახონ, შორეულ ქვეყნებში უნდა წაიღონ საქონელი! პირველობა სულ კასტილიელებსა და პორტუგალიელებს ხომ არ უნდა ჰქონდეთ!

— კასტილიელთა სამეფო ახლა ყველაზე მდიდარია, — თქვა ჰენრიხ ადლერმა და ტუჩები მოიკვნიტა, — მავრები და ებრაელები მამა ინკვიზიტორებმა ან გაყარეს ან კოცონებზე დაწვეს, მათი ფულები კი ჩაიჯიბეს!

— მოძველებული ამბავია! მოძველებული ამბავი! — სიტყვა გააწყვეტინა კასპერმა. — იცოდა, მამა ინკვიზიტორებზე კამათი მამა დომინიკანელებზე დავით დამთავრდებოდა, ზბიგნევი თავის აღმზრდელებს დაიცავდა და ყველაფერი ყირამალა დატრიალდებოდა! თანაც კიდევ ეს ეშმაკეული პედელი სულ ფანჯარასთან დაბორიალობს! — კარგით, გვეყოფა... ვუეკ, ისა სჯობია, გვითხრა, ვარმიაში რა საქმე გაქვს!

— აი, როგორ იყო საქმე, — ულვაშები მოიწუწნა კონოპკამ, — არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... შორეული ამბავია, ეგრე, ოთხმოცდაოთხში მოხდა, ალბათ... ერთმა ინგლისელმა ტორუნში ჩვენი „იასკოლკა“ ქაშაყის გადასაზიდად იქირავა. მთელს ეკიპაჟს პატიოსნად პრემიაც დაუწესა, თან სხვა ვაჭრებთან ბაქიაობდა: კაპიტანი ბერნატი პირობის კაცია, კაჟივით სიტყვა აქვსო. ჰოდა, ესეც შენი კაჟივით სიტყვა! — მოდის ჩვენი კაპიტანი ვიღაც მღვდელთან ერთად და ბრძანებს: „შეცვალეთ აფრები! ზღვაში აღარ გავდივართ! ტორუნში ერთი დიდი კაცი მოკვდა და მისი ქვრივი შვილებით ვლოცლავეკში უნდა ჩავიყვანოთ“. ჩვენთან, „იასკოლკაზე“ არ უყვარდათ საკაბოტაჟო ცურვა. თან ის ინგლისელი დიდ ჯილდოს გვპირდებოდა, მაგრამ კაპიტანს რას შეედავებოდი... გავიხედე და — კაპიტნის კაიუტაში უკვე ნოხებს ეზიდებიან—იმ ქვრივის გულისთვის; მისი გულისთვისვე მთელ ღამეს ხეხეს კუბრიკი... ქალი მეორე დილით მოვიდა ორი ბიჭით. უკან ლამის მთელი ტორუნი მოჰყვა! ჩვენს მეფე ზიგმუნდსაც, მგონი, იმაზე ნაკლები ამალა ჰყავდეს! მე საგონებელსა ვარ: ეს ამდენი ხალხი სად უნდა დავტიოთ-მეთქი? ისინი კი თურმე მარტო გამცილებლები ყოფილან. გაიმართა ერთი ცრემლების ღვრა, კოცნა... „პანი ბარბარა და პანი ბარბარაო“, — მეტი აღარაფერი ისმოდა. ბარბარა იმ ქვრივს ერქვა... თქვენ ნუ კი გძინავთ, ბიჭებო, მომისმინეთ!

კასპერმა ზბიგნევს მაგიდის ქვეშ ფეხი გაჰკრა: ვუეკი რამის მოყოლას რომ დაიწყებს, მერე მსოფლიო წარღვნაც ვეღარ გააჩერებსო.

— ჰოდა, ეს უბედურება რაღა იყო! — ბოცმანმა მეხუთე ტოლჩა ჩამოიწურა ზედ და მოყოლა განაგრძო: — საწყალ ქალს ქმარი ახალი მკვდარი ჰყავდა, ახლა კიდევ კინაღამ ორივე შვილი გამოეცალა ხელიდან. უკვე დიდ წყლებში შევედით, კაპიტანი ბოგურიდან არ ჩამოდის, იქ დინება ისეთია, რომ... ვისლას ხუმრობა არ უყვარს! უცებ მესმის, ჩემ ზურგს უკან წყალში რაღაცამ ტყაპანი მოადინა, მოხედვაც ვერ მოვასწარი და — კიდევ რაღაცამ მოადინა ტყაპანი. თურმე ნუ იტყვით, პანი ბარბარას უფროსი ბიჭი წყალს ჩაშტერებია, გადაკიდებულა ქიმზე და გადავარდნილა. უმცროსს

ბევრი აღარ უფიქრია და ძმას გადასარჩენად გადაჰყოლია... გაიწირება განა ქრისტიანთა სულები დასაღუპავად! გადავხტი მეც და ორივე გაგუდული ბიჭი ქოჩრით გამოვათრიე. ერთი, უფროსი, ცახცახმა აიტანა, არ ვიცი, სიცივის გამო, არ ვიცი, შიშის გამო. მეორე, უმცროსი კი მეუბნება: „შენი სახელი გვითხარი, კეთილო კაცო, რომ ვიცოდეთ, ვისთვის ვილოცოთ“. ბიჭი მთლად გალურჯებულია, ხელები გაყინული აქვს, თავი კი ამაყად აუწევია. კაპიტან ბერნატის სახელი კარგად დავიმახსოვრე, ახლა ჩვენი გადამრჩენის სახელის გაგება მინდაო,—მეუბნება. დედამისი, ამასობაში, ხელში ტალერებსა მჩრის, თან თავის ძვირფასი ქვებით მოჭედილ ჯვარს მკიდებს გულზე. მე კიდევ არაფერიც არ გამოვართვი. ფული თქვენ თვითონ დაგჭირდებათ-მეთქი, — ვეუბნები, — ორი ბიჭი გყავთ გზაზე დასაყენებელი-მეთქი. გავიგე, ქალებიცა გყოლიათ, იმათ კიდევ გამზვითება უნდათ. ისე, მე იაკუბ კონოპკას მეძახიან, ჩვენს კაპიტანს, ნამდვილად, როხ ბერნატი ჰქვია. ორივე კეთილი კათოლიკები ვართ, არა ვიღაც ბუსურმანები. ვიცით გაჭირვებული კაცის შველა-მეთქი!..

ჩვენი კაპიტანი, ამისი მამა, — ბოცმანმა კასპერისკენ გაიქნია თავი, — დიდი კეთილშობილი კაცი იყო: ინგლისელს პირისგასამტეხლო გადაუხადა, ქვრივისგან კიდევ არაფერიც არ აიღო. ღმერთმა ბედნიერება არ მოგაკლოს, კეთილო მატროსო, — მეუბნება პანი ბარბარა და ლამის ხელებზე მკოცნის (დედაკაცები ბოცმანსა და უბრალო მატროსს ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ) — ვერც შენო, — მეუბნება, — ვერც შენს კაპიტანს ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებო! მართლაც, კასპერ, მამაშენის სიკვდილის შემდეგ, როგორც კი გადაწყვიტეს შენი კრაკოვის უნივერსიტეტში მიბარება, ტორუნის ვაჭართა ძმობამაც და ჩვენმა გდანსკელმა გემთმეპატრონეებმაც კრაკოვში პეტიცია გამოგზავნეს. საქმე ისე წავიდა, თქვეს, თვით ვარმიიდანაც მოვიდაო შიკრიკი... იმ ქალის ნათესავები თურმე სულ დიდი ხალხი ყოფილა... ჰოდა... იმ ამბის შემდეგ ეს ჩემი გადარჩენილი ბიჭი სამჯერ თუ ოთხჯერ კიდევ ვნახე: გდანსკში, კრაკოვში და ისევ ტორუნში... ძალზე კარგი ყმაწვილი კაცი დამდგარიყო, მისვლით ახლოს მაინც არ მივსულვარ: იმდენი წელი გავიდა, რას მიცნობს-მეთქი, ვიფიქრე... მაგრამ, რას ამბობ, თურმე იმასაც ვახსოვდი. ჩვენთან, გდანსკში უკვე კანონიკი ჩამოსულიყო ერთხელ. არ დაიჯერებთ და, სანაპიროზე ჩემი სახლი მოეძებნა... დასანანია, მაგრამ სწორედ იმ ხანად ზღვაში ვიყავი გასული. იმას კი არც უთაკილია: დამჯდარა და ჩემს პანი იაკუბოვასთან მთელი ორი საათი უსაუბრია...

შარშან ფრეგატ „ტორუნის“ კურთხევაზე გდანსკს ზღვა ხალხი

მოაწყდა: აბა როგორ, თვითონ ვარმიის ეპისკოპოსი მოვიდა გვეძ საკურთხებლად! იმდენი სამღვდელოება შეიყარა, თავი რომში გეგონებოდა! ვიყურები და — ხალხში ვიღაცის სახე მეცნაურება, დავაკვირდი, — ის არის, ჩემი გადარჩენილი!.. დარბაისლურად უჭირავს თავი... ვიცანი, მაგრამ არ შევიმჩნიე: მაშ რა, გდანსკელს თავისი ჰონორი უნდა ჰქონდეს. იმან კი ამდენ ხალხში თვალი მომკრა თუ არა, ჩემკენ გამოეშურა. „ჩემო გადამრჩენოო“ და რა ვიცი, სულ ასეთ სიტყვებს მეუბნებოდა. მერე კაპიტანი ბერნატი მოიკითხა. ვუთხარი, ჩვენი კაპიტანი მოკვდა-მეთქი. მისი ბიჭი, კასპერი, კრაკოვის აკადემიაში მიიღეს-მეთქი. სხვანაირად არ იქნება, — ვეუბნები, — ვიღაცის შემძლე ხელი დაეხმარა-მეთქი. იმან კი წარბიც არ შეიხარა. „კარგია, რომ დიდებული კაპიტან ბერნატის შვილი ასეთ დიდებულ აკადემიაში სწავლობსო“. მერე „იასკოლკაზე“ რომ წავედი, თან გამომყვა. „სადღაა ძველებური „იასკოლკა“, — ვეუბნები, იმის იმედით, იქნებ დაიშალოს-მეთქი წამოსვლა. მან, მართლაც, ათვალიერა, ათვალიერა გემი და მითხრა: „პან იაკუბ, თუ შენს ვაი-კაპიტანს ვერ შეეწყობი, ჩვენთან, ვარმიაში, ჩამოდ. პოლონეთის გვირგვინი, რა თქმა უნდა, მდიდარია, მაგრამ არც ჩვენი დიაცეზია გერი თავისი რომაელი წმიდა მამისა: იტალიიდან ორი კარაველა ვიყიდეთ, მესამის — გემბანიანის — აგება გდანსკში მთავრდება. კარგი მეზღვაურები გვჭირდება“. ჰოდა, როგორც კი შენს მამინაცვალთან უსიამოვნება მომივიდა, — პან კონოპკამ სიბრაზისაგან გადააფურთხა კიდევაც, — ვარმიაში წასვლა გადავწყვიტე. გადავწყვიტე და მივდივარ, — ბოცმანი როგორღაც გამიჯგიმა, — ჰოდა, მივდივარ, — გაიმეორა და ჩაახველა, — მის ძალალირსებასთან, თვით ვარმიის, მეუფის ძმისწულთან, კანონიკ მიკოლაი კოპერნიკთან!

— პან იესო! ესეც საგანგებო ახალი ამბავი ზბიგნევისა და კასპერისათვის! როგორც კი წაძინება დავაპირე და, აჰა, ესეც შენ! — წაილუღლუღა მაგიდაზე თავმიდებულმა სტაშეკმა.

მისი მეგობრებიც ბოცმანს გამობრუებულები უსმენდნენ, მაგრამ სამივეს ძილიცა და სიმთვრალეც უცებ გამოუნელდა. კასპერს კინაღამ გული საგულედან ამოუხტა.

— დედავ ღვთისავ, ჩესტოხოვისა! — დაიყვირ.ა და პან კონოპკას მივარდა. — ვუუკ, ვუუკ, შენ იცნობ მიკოლაი კოპერნიკს? მერე რატომ არ თქვი აქამდე? ზბიშეკ, როგორ მოგწონს შენ ეს ამბავი!

ზბიგნევს კი სულაც არ მოსწონდა ეს ამბავი. საქმე ის იყო, რომ შობის წინა დღეებში პროფესორმა ლანგემ, მათმა ხელმძღვანელმა, ზბიშეკი და კასპერი თავისთან დაიბარა.

„პირჯვარი გამოისახეთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, და

ლოცვა აღუვლინეთ წმინდა ქრისტეფორეს, ჩვენს მფარველს... ჯარწნა და ჟანგი რკინას ჭამს... ჩვენ რაღა დავუპირისპიროთ იმ ჯარწნასა და ჟანგს, რომელიც გამოუცდელ სულებს ღუპავს?"

კასპერმა ზბიგნევს გვერდში ჩმუგნი გაჰკრა.

„დაიწყო!" — წასჩურჩულა. თან მორჩილად დაუშვა თვალები და ის ფრაზა წარმოთქვა, რომელსაც მისგან მოელოდა ლანგე: — სარწმუნოება, ბატონო პროფესორო, წმინდა, ანგარიშმიუგებელი სარწმუნოება და ერთგულება ჩვენი ხელმძღვანელებისადმი!

— აგერ, — წამოიძახა პროფესორმა და თავის წინ მაგიდაზე დადებულ პატარა რვეულს დაჰკრა თითი, — ვფიქრობ, არ ავაფორიაქებ თქვენს უმწიკვლო სულებს, თუკი ცრუმეცნიერი ასტრონომის, აგერ, ამ ღვთისმგმობელ ნააზრევს გაჩვენებთ! რაც გინდ მცირე ხანს გემეცადინათ ჩემი ხელმძღვანელობით, იმედი მაქვს, მაინც შეძლებთ ამ „მცირე კომენტარის" ყველა დებულების უარყოფას..."

მაშინ კასპერმა გაკვირვებისაგან კინაღამ დაუსტვინა: ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს გდანსკში ყური მოჰკრა ტორუნელი მეცნიერის — კოპერნიკის — ამბავს, რომელიც თავის ნაშრომში „მცირე კომენტარი" ცდილობს პტოლემეოსის[1] მეცნიერული დებულებების უარყოფას, ოღონდ, როგორ ასაბუთებს კოპერნიკი თავის ნააზრევს, კასპერს გასაგებად ვერავინ აუხსნა.

„თქმისაც კი მრცხვენია, ამ ხელმოცარულს, ამ მოქეიფეს, ათი წელი რომ დაძრწოდა იტალიაში და ვარმიის კაპიტულის ფულები ჭამა-სმას გადააყოლა, სამეფოს ყველაზე წარჩინებული ხალხი ანდობს ჰოროსკოპის შედგენას! — ხელები გაშალა ლანგემ. — მეცნიერები და განსწავლული ხალხი კი იძულებულნი არიან, მისი ნასუფრალი იკმარონ! განა მოსათმენია, რომ თქვენი პროფესორი თვითონაც სცდებოდეს, თავის შეგირდებსაც მეცადინეობას აცდენინებდენს და საკუთარი სახსრებით უვლიდეს გაუთლელი ტევტონი რაინდების ციხე-დარბაზებს, რათა წელიწადში ორი-სამი ჰოროსკოპი შეადგინოს? მიკოლაი კოპერნიკი კი, რომელიც ამბობს, მე ეს ჩემი ყურით მომისმენია, ჰოროსკოპებს მხოლოდ ასტრონომიულ ხელსაწყოებზე ხელის გასაწაფავად ვადგენო, მითქვამს და ვამბობ, ეს მეტიჩარა, ეს შლიოზნკელი უბრალო თოქმაჩის შვილიშვილი, ათობით მიწვევას ღებულობს სამეფოს ყველაზე ცნობილი ოჯახებიდან!"

---

[1] კლავდიუს პტოლემეოსი (11 ს.) ცნობილი ძველი ბერძენი მეცნიერი, რომლის ნაშრომებს ასტრონომიის, გეოგრაფიის, ოპტიკის დარგებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერების განვითარებისათვის.

— ნებას მომცემთ, გადავხედო მის ნაშრომს? — კასპერმა ხელი გაიწვდინა დაქექილი რვეულისაკენ.

„მერე, მერე! — პროფესორმა იმწამსვე დაახვია ხელნაწერი. — ჯერ მე თვითონ გავერკვევი მის ცრუ მოძღვრებაში... ო-ოჰ, არ იყოს ვარმიის ხელისუფლის ძმისწული, დიდი ხნის ნაყლაპი ექნებოდა წმიდა ინკვიზიციის კვამლის გემო!"

ეს საუბარი ერთი კვირის წინ მოხდა.

. მაშინ კასპერს კოპერნიკის სახელი ისევე მიუწვდომელი და შორეული ეჩვენებოდა, როგორც არისტოტელეს[1], პტოლემეოსისა თუ ფილოლაიოსის[2] სახელები. იგი მისთვის სწავლული კაცი იყო. მეტი არაფერი!.. და ახლა წარმოგიდგენიათ! — ვუეკი სწორედ იმ კოპერნიკთან მიდის!

— ეჰ, რაც არის, არის, — ხელი ჩაიქნია ჭაბუკმა. — დავლიოთ, პანებო, კანონიკი მიკოლაი კოპერნიკის ჯანმრთელობისა და წარმატების სადღეგრძელო!

ზბიგნევი გველნაკბენივით წამოიჭრა ზეზე.

— უფრო დიდი იყვირე! — გამოცრა კბილებში. — ყველაფერი ახლავე მივა ლანგეს ყურამდე! ხომ გითხრეს: პროფესორი ჯერ თვითონ შეისწავლის ყოველივეს და დასკვნებს შემდეგ გეამცნობს... ისე კი, მართალს ამბობს ლანგე: ეშმაკია ეგ შენი კოპერნიკი. იმის ნაცვლად, რომ თავისი ნაშრომი გერმანიაში ან იტალიაში გამოსცეს, როგორც ნამდვილ მეცნიერს შეეფერება, ფარულად ხელნაწერი რვეულების საშუალებით ავრცელებს. მერე უცოდინარი ხალხი კითხულობს და, შედეგად, მთელს პოლონეთში ვიღაც ახალი პტოლემეოსის დიდების ხმა დადის. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, ეგ კოპერნიკი ჩვენთან დისპუტზე მოგვეწვია.

— მერე, ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ დისპუტში? — გაბრაზდა ჰენრიხ ადლერი. — ვინც კოპერნიკის წინააღმდეგ გამოვა — ეპისკოპოსი ვაცენროდი ამქვეყნად აღარ აბოგინებს... ვინც დაიცავს, იგივე თქვენი პროფესორი ლანგე ზედ შხამს გადაანთხევს. მას კი, ლანგეს, ამბობენ, მამა ინკვიზიტორებთან მიუწვდებაო ხელი...

— სისულელეს ნუ როშავ, ქარიყლაპიავ, — წყნარად შეეპასუხა ზბიგნევი, — მართლმორწმუნეს არ უნდა ეშინოდეს კოპერნიკის მოძღვრებისა.

---

[1] არისტოტელე (384—322 ჩვ. წ. აღ-მდე) — დიდი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ასტრონომი და მათემატიკოსი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მთელი შუა საუკუნეების მეცნიერებაზე.

[2] ფილოლაიოსი (V ს. ჩვ. წ. აღ.-დე) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პითაგორას მოწაფე.

ჰენრიხ ადლერმა ქერა თავი გადააქნია რაღაცის სათქმელად, მაგრამ გაჩუმდა. მის მაგივრად სტაშეკმა თქვა თავისი სათქმელი:

— პანი პანს წაეკიდა, ქოჩორი ყმისა ცვივაო! — შენ რა გესაქმება, ჰენრიხ, ან კოპერნიკთან ან ლანგეესთან? ჩვენ სხვა საზრუნავი გვაქვს. აგე, მამაშენმა ძროხებს, მგონი, მთელი ჩალის სახურავი ჩამოაჭამა... დაანებე წარჩინებულ პანებს, კამათითა და დისპუტით თავი იხეთქონ!

— არ მესმის შენი, გაბერილო... მართლაც და გაბერილო. შენ ოღონდ ლუდი გაყლურწინონ და! — გაბრაზდა კასპერი. — არაფერი სჭირთ წარჩინებულ პანებს შენი დასაცინი: ზბიგნევიც, კასპერიც, სტანისლავიცა და ჰენრიხიც აქ, ამ სოროში, თანასწორნი არიან... დისპუტზე კი, აი, რას ვიტყვი: თვით მისმა უწმინდესობამ, ღმერთის ნაცვალმა დედამიწაზე, პაპმა იულიუს მეორემ ბრძანა, მეცნიერული დისპუტები გაემართათ ხალხში ნამდვილი რწმენის დასადგენად და ერესის დასათრგუნავად. მართლაცდა, რატომ არ უნდა მოიწვიოს ჩვენმა რექტორმა კანონიკი კოპერნიკი? დაე, გადმოგვცეს თავისი თეორიის არსი სამყაროს აგებულებაზე, ჩვენ ხომ დღემდე არ ვიცით, რაში მდგომარეობს იგი... ჩვენ კი, მრცხვენია თქმისაც, სტუდენტები გვქვია და ციურ მნათობთა მოძრაობას ვსწავლობთ! კოპერნიკის სახელი შარშან ზაფხულს გდანსკში გავიგონე პირველად, ოღონდ არც პროფესორისა და არც სტუდენტისგან, კაპიტნისაგან...

— კოპერნიკს საეკლესიო სამართლის დოქტორის ხარისხი ჰქონია. ლანგე კი დარწმუნებულია, ეგ ხარისხიც ვარმიის კაპიტულის ფულებით აქვსო ნაყიდი, — თქვა ზბიგნევმა. — ერთი სიტყვით, უნდა ვივარაუდოთ, ხსენებული კანონიკი ვერ მიიღებდა საიმისო განათლებას, რომ სამყაროს აგებულებაზე მსჯელობას მოჰყვეს. ჰოდა, ასეთი უმეცარი ახლა მთელ ასტრონომიულ მეცნიერებას ხელახლა გადასინჯვას უპირებს!..

კასპერმა მეგობარი ხელის აქნევით შეაჩერა.

— იულიუსისებური წელთაღრიცხვაც თავის დროზე მოიწონეს და მიიღეს საეკლესიო მამებმა, მაგრამ, შენც იცი, ზბიშეკ, რომ დღეს რომის პაპს, მეცნიერ-ასტრონომებთან მოთათბირების შემდეგ, შესაძლებლად მიაჩნია, ეს კალენდარი მოძველებულად ჩათვალონ. ახლა პაპის კურიაში მის შესასწორებლად ემზადებიან.

— ჰოდა, უბედურებასაც დაატრიალებენ, — წაიბურტყუნა პირგამოტენილმა სტაშეკმა. — ქალაქებში, თქმა არ უნდა, უფრო გაგებული ხალხია, მაგრამ, აბა, სოფლად წადი! საწყალ სოფლის ქსენძებს აღდგომა სამებაში რომ აერევათ, იმ შენს პაპსაც დას-

წყევლიან და მის სწავლულ ასტრონომებსაც... აი, თუნდაც ვარმია ავიღოთ: ჯერ ერთ უბედურებას არ მორჩენილან (მძიმე ხელი აქვს ეპისკოპოს ვაცენროდს — საეკლესიო მეათედს ხალხს ტყავთან ერთად აძრობს), ახლა კიდევ ამ გასწორებული კალენდრის გადაკიდება! უმაგისოდაც, საცოდავი ქსენძები საეკლესიო წიგნებს უთავბოლოდ აწარმოებენ... აბა, გვეყოფა, ბიჭებო, დროა, წავუძინოთ...

— ისე კი, მართლა კარგი იქნებოდა, ამდგარიყო მამა რექტორი და კოპერნიკი პირდაპირ მოეწვია ჩვენთან, — სტაშეკმა ეშმაკურად გადახედა კასპერსა და ზბიგნევს, — ოღონდ დისპუტზე არა, უბრალოდ, თქვენი პატივცემული პროფესორი ლანგეს შესაცვლელად... ლანგე კი დადგეს და ჰოროსკოპები ადგინოს. მგონი, სულაც ჰოროსკოპების გამო კბენს კოპერნიკს.

— თანაც ლანგე კშიჟაკების შინაური კაცია, — თქვა ჰენრიხმა, — შარშან ორდენის მაგისტრთან იყო ჰოროსკოპის შესადგენად...

ამასობაში კი ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ შეამჩნია, რომ კარი ოდნავ შეიღო, ღრიჭოში პედელ ქრისტეფორეს მელოტმა თავმა გაიელვა და იმწამსვე გაქრა. ზბიგნევი შებრუნდა ჭრიალზე, მაგრამ საეჭვო ვერაფერი დაინახა.

— მე არ დავიცავ პროფესორ ლანგეს, — გაცხარდა ზბიგნევი, — ჩვენისთანა ბრიყვების დასაცავი არც არის: მან ძალიან კარგად იცის თავისი საქმე. მხოლოდ სტაშეკს შეუძლია იფიქროს, თითქოს ყველა ადამიანს რაღაც ანგარება ამოძრავებს...

კასპერს შეპასუხება უნდოდა, მაგრამ ზბიშეკი უცებ შემოუტრიალდა:

— შენ კი, წითურო, როგორც საჭიროა, არც ღვთისმეტყველება გაინტერესებს, არც ასტრონომია... მოგცა ხომ პროფესორმა ამოცანა — ამოხსნი, მაგრამ ასტრონომია შენ მხოლოდ იმისთვის გჭირდება, რომ ვარსკვლავთა მიხედვით გემის ადგილმდებარეობა განსაზღვრო. მე კი მეცნიერება სარწმუნოების განსამტკიცებლად მინდა!, წავიდა ის დრო, როცა მორჩილ მრევლს ქრისტიანობას უქადაგებდნენ და დასამოწმებლად მხოლოდ საღმრთო წერილს იშველიებდნენ. ახლა, თქვენ თვითონაც იცით, ისე გამრავლდნენ ერეტიკოსები და ღვთის მგმობელები, რომ მათთან საკამათოდ ყოველმხრივი მეცნიერული ცოდნით აღჭურვაა საჭირო! თუმცა, რაღას ვლაპარაკობ: ყველამ კარგად იცით, რაზეც ვოცნებობ...

—ერეტიკოსებთან ბრძოლაზე? მაშინ მამა ინკვიზიტორებთან მიბრძანდი! — მიახალა გაბრაზებულმა ჰენრიხმა.

— რას ამბობ, ქარიყლაპია, რად გინდა ინკვიზიტორების ხსენება, — შემრიგებლურად შეეპასუხა კასპერი, — ზბიგნევი, მამა დომინიკანელების კურთხევით, ქრისტიანობის გასავრცელებლად წარმართ ველურებთან მიდის...

მაგრამ ჰენრიხის დაშოშმინება არც ისე იოლი იყო.

— ჯვრითა და მახვილით რწმენის გასამყარებლად, ხომ? — უფრო მეტად წამოენთო ჰენრიხი. — მაშინ რითიღა განსხვავდება კშიჟაკებისაგან?!

ზბიგნევი ფეხზე წამოიჭრა და მთელი ძალით დაჰკრა მაგიდას მუშტი.

— სარწმუნოებას ამოფარებული კშიჟაკები ძველისძველი სლავური მიწების დასაპყრობად მიდიოდნენ! მათ ახლაც უჭირავთ თვალი ჩვენს ზღვისპირეთზე... სათქმელადაც სირცხვილია, მაგრამ აქაც, კრაკოვშიც კი, ხშირად გამიგონია, ჩვენს ვარმიას გერმანულ ყაიდაზე „ერმლიანდად“ რომ ახსენებენ!

— წინათ პოლონელებმა მდინარე „ლაბა“ იცოდნენ, ახლა „ელბას“ ეძახიან, — თქვა კასპერმა.

— ხელმნოს კი — კულმოს! — გაიხსენა ზბიგნევმა.

პან კონოპკამაც კი ჩაურთო თავისი წონიანი სიტყვა:

— ხელმნოსი არ ვიცი, მაგრამ ჩემთან ჩვენს გდანსკს გერმანულ ყაიდაზე „დანციგად“ რომ გადააკეთებენ ხოლმე, პირდაპირ, ხელები მექავება!

— აბა, მაშ, რანირად შეიძლება მამა დომინიკანელების კშიჟაკებთან შედარება!.. — განაგრძო განაწყენებული ტონით ზბიგნევმა. — მე ვამბობ: სარწმუნოებას ამოფარებული კშიჟაკები სხვისი მიწების დასაპყრობად მიდიოდნენ-მეთქი, მამა დომინიკანელები კი ბნელ წარმართებთან ღვთის სიტყვის საქადაგებლად მიდიან! კშიჟაკები როგორღა მოიქცნენ! წარმართ სლავებს რომ გადააწყდნენ, ჩვენს წმინდა სარწმუნოებაზე მოქცევის ნაცვლად, მათი მიწა-წყალი ცეცხლითა და მახვილით გადათქერეს... მე კი ვემზადები ქრისტეს სახელი შორეულ, ველურ ქვეყნებში ვიქადაგო...

სტაშეკმა თვალები მოწკურა და თავი გადააქნია.

— როდესაც სარწმუნოების ეს ქომაგნი — ჯვაროსანი რაინდები — წმიდა მიწებს შეუსიეს, პოლონეთსაც ისინი შორეულ ველურ ქვეყნად თვლიდნენ... მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ჩვენ მანამდე მოგვაქციეს ქრისტიანობაზე...

— მოიცა, ბოლომდე მომისმინე, სტაშეკ! — კვლავ გაბრაზდა ზბიგნევი. — კშიჟაკები მიწების დასაპყრობად მიდიოდნენ, ჩვენ კი

(მე მამა დომინიკანელებს ვგულისხმობ) მიწები არ გვინდა... ახლა ისევ კოპერნიკს დავუბრუნდეთ. იქნებ წითური მართალია. კარგი იქნებოდა, დისპუტი რომ მოეწყოთ, იმ კოპერნიკს ეკამათა ლანგესთან. ერთხელაც გამოჩნდა ასეთი მეტიჩარა, თანაც თვით სორბონში, მაინც არ შეშინდა ჩვენი პროფესორი — დისპუტის გასამართავად პარიზში ჩავიდა! რით დამთავრდა დისპუტი? ბდღვირი ადინა ფრანგ მეცნიერს! ამბობენ, ერთმანეთს ლამის დაერივნენ კიდევაცო, მნათობთა ცხრილებსა და ნახაზებს ერთმანეთს თვალებში სჩრიდნენო... ძლივს-ძლივს გაათავთავესო...

— ამათ ვერ გაათავთავებენ, — საქმიანად შენიშნა სტაშეკმა,— ან კანონიკი პროფესორს თავის პურბახიანად[1] და რეგიომონტანიანად[2] გადაყლაპავს, ან ლანგე კოპერნიკს ბნელში ჩასვამს... მომიტევეთ, პანებო, — მიუბრუნდა იგი კასპერსა და ზბიგნევს, — რომ თქვენს ღირსპატივსაცემ პროფესორზე ასეთ ლაპარაკს ვბედავ!

— თანაც, მშვენიერი მიტას ღირსპატივსაცემ მამაზე, — დაურთო ჰენრიხ ადლერმა და ავად მოწკურა თვალები.

კინაღამ კასპერმაც დაჰკრა მაგიდას მუშტი, მაგრამ ზბიგნევის ლამაზს, თანაც გაცეცხლებულ სახეს რომ შეხედა, თავი დაიოკა და კვლავ აჰყვა იმ აკვიატებულ ფიქრს, რომელიც დღემუდამ აწამებდა: მე ასეთი წითური, გაუთლელი გდანსკელი, აბა, სად მოვალო ლამაზ, დახვეწილ, კარგად აღზრდილ კრაკოველ ზბიგნევთან? თუმცაღა... კასპერმა ერთი წუთით დახუჭა თვალები და ნათლად წარმოიდგინა თავის ურჩად დაგრუზულ წითურ ქოჩორში შეცურებული მიტას თხელი თითები. „კასპერ, ჩემო მზეუჭვრიტავ!“ „ბოლოს და ბოლოს, მთვრალი ვარ თუ არა?“ — გაიფიქრა კასპერმა და თვალები გამოახილა.

ახლა აღარც კამათი უნდოდა, აღარც ჭამა და დალევა. წყნარად, თავისთვის წოლა და მიტაზე ოცნება მოუნდა...

ამ დროს კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში გვერდულად შემოიძურწა საერთო საცხოვრებლის პატრონი პეტელი ქრისტეფორე.

— საღამო მშვიდობისა, პანოვე სტუდენტებო, — გაწელა თავისი წვრილი ხმით. — ე-ე, სტუმარიცა გყოლიათ? — პეტელმა სწრაფად მოავლო თვალი სასმელგადასხმულ მაგიდას, საჭმლის ნარჩენებსა და ღუმელთან მთვლემარე პან კონოპკას. — გასაგებად მოვედი, ხომ არაფერი უნდათ-მეთქი. ახლავე იანს გამოვგზავნი,

---

[1] პურბახი (1423—1461) — ავსტრიელი მათემატიკოსი და ასტრონომი.

[2] რეგიომონტანი (1436 — 1476) — ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი და ასტრონომი.

სანთლებს შეგიცვლით. ესენი უკვე ჩამწვარა! ისე, ბატონო სტუდენტებო, კიდევ დიდხანს აპირებთ კამათს?

აქ კი გაირკვა, რომ კასპერი დამთვრალიყო. მან მაგიდიდან ძლივს ასწია დამძიმებული თავი და დაუფარავი ზიზღით მიაშტერდა პედელს.

— კოლეგებო, მამა ქრისტეფორეს დაძინება მოსურვეებია! — თქვა გამომწვევად. — მეცოდება. მაინც რა საძაგელი ცხოვრება აქვს! როგორია, იყურყუტო დერეფანში ყურებდაცქვეტილმა, გათოშილმა... კოლეგებო, უნდა ვიხსნათ მამა ქრისტეფორე, თორემ...

— გმადლობთ, დომინე ქრისტეფორე, — უმალ სიტყვა გააწყვეტინა სტაშეკმა. — აღარაფერი აღარ გვინდა. აღარც სანთლები გვჭირდება. დაძინებას ვაპირებთ. ხვალ დილიდან მეცადინეობას ვიწყებთ, მამა დეკანი კი დაგვიანებას ვერ იტანს. თქვენც, მამა ქრისტეფორე, მშვიდობის ღამეს გისურვებთ...

— ღამე მშვიდობისა, შვილნო ჩემნო, — მიუგო პედელმა და ისევე უხმაუროდ გაქრა, როგორც შემოვიდა.

— რატომ არ მათქმევინეთ! — მთვრალის ენინიანობით ბურტყუნებდა კასპერი. — ხომ ნამდვილად ყურს გვიგდებდა, უჯიშო!

— პურს მაგითა ჭამს, — ხელი ჩაიქნია ჰენრიხმა, — მაინც კარგია, რომ იოლად გადავრჩით... არც ისეთი გაბრაზებული ჩანდა... ჰა, კოლეგებო, არ ბოვიდა ჩვენი წაძინების დრო?

— ოღონდ ერთიც, დამთავრებისა დავლიოთ! — შეემუდარათ სტაშეკი, — საბოლოო, დაშლისა, კოლეგებო!

მეორე დილას კასპერ ბერნატს ყველაზე გვიან გამოეღვიძა. აღარც ვუეკი იყო ოთახში, აღარც მისი ამხანაგები. „ყოჩაღ, ბიჭებო, გამოძინება მაცალეს!“ — ზმორებით გაიფიქრა კასპერმა. იმ დღეს კასპერს ლექციებზე არ ეჩქარებოდა: პროფესორმა ლანგემ გუშინ მოახლე გამოგზავნა და დააბარა, სტუდენტი ბერნატი ხვალ ჩემთან ბინაზე მოვიდეს ასტრონომიული ცხრილების შესადგენადო.

„ამ ამბავს რაღაც სხვა სუნი ხომ არ უდის? — ფიქრობდა სტუდენტი და თავისი ვიწრო საწოლიდან არც აპირებდა ადგომას. — ზბიგნევი კი არა, მე დამიბარა... აზიმუტის გამოთვლაში რაღაც შეცდომას დავუშვებდი და ალბათ იმიტომ მეძახის ლანგე...“

ცოდვა გატეხილი სჯობია, ბოლო დროს კასპერი მიტასადმი მიძღვნილ ლათინური ლექსების წერაში უფრო მეტს ვარჯიშობდა ვა მეცადინეობას ცოტათი უკლო.

ახლა, სანამ პროფესორთან წავიდოდეს, პურბახის „პლანეტების ახალი თეორია“ უნდა გადაიკითხოს.

კასპერი მზისა და მთვარის ორბიტების განსაზღვრისათვის განკუთვნილ თავს ჩაუღრმავდა და ვერც კი გაიგო, როგორ გავიდა ორი საათი.

მეცადინეობა მოულოდნელმა კარის კაკუნმა შეაწყვეტინა.

სანამ კასპერი გასძახებდა, „შემოდითო,“ ზღურბლზე პედელი ქრისტეფორე გამოჩნდა. გაკვირვებულმა კასპერმა პედელს კარიდან მაგიდამდე მიაყოლა თვალი. ასეთი გაბღენძილი შესახედაობა პედელს მის დღეში არა ჰქონია. არც „მდგმურის“ კარზე დაკაკუნებით იწუხებდა ხოლმე თავს.

„ოჰ, წუხელის, ალბათ, ზომაზე მეტად შევეყბედე! — სინანული გაჰკრა ჯაბუკს. — არა უშავს, ახლავე ყოველივეს მოვაგვარებ! პირველი შემთხვევა ხომ არაა!“

— დილა მშვიდობისა, დომინე ქრისტეფორე! — რაც შეიძლებოდა თავაზიანად მიესალმა კასპერი. — ჩვენებურ, გდანსკურ ძეხვს ხომ არ ინებებთ? სამწუხაროდ, არაყი გაგვითავდა...

— თქვენც დილა მშვიდობისას გისურვებთ, — უგემურად წაიდუდღუნა პედელმა და, სუფრასთან მიპატიჟებაზე მადლობაც არ უთქვამს, ისე დასძინა ხმამაღალმა: — სტუდენტო კასპერ ბერნატ, ღირსსადიდებელი კრაკოვის აკადემიის მამა რექტორი გიბრძანებს, დაუყოვნებლივ გამოცხადდე მასთან!

„რაში დავჭირდი რექტორს? — შეფიქრიანდა კასპერი. — ნეტავ, ქრისტეფორემ ხომ არაფერი დამაბეზღა? თუმცა, არა, ვერ მოასწრებდა... ისე კი, ამ ბოლო დროს, თითქოს ეჭვმისატანი არაფერი ჩამიდენია... ესეც ალბათ პურბახის გამოა... თანაც, სტუდენტებს ყოველთვის ცუდი საქციელის გამო ხომ არ დაიბარებენ რექტორთან“, — იქვე დაიმშვიდა თავი კასპერმა.

თავი მეოთხე

რეფერენდუმი

რექტორი ღირსსაქებელი კრაკოვის აკადემიისა უზარმაზარ მაგიდასთან პროფესორებისა და საბჭოს წევრების შუა დაბრძანებულიყო. ხელმარჯვნივ შვიდი თავისუფალი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი ეჯდა. კასპერმა შვებით ამოისუნთქა, — რაკი ლანგე აქ არ არის, საქმე პურბახს არ ეხება, რის გამოც წინა კვირას კარგა ლაზათიანად შემაჩვენაო. სტუდენტი გააოცა დამსწრეთა მკაცრმა, პირქუშმა სახეებმა. მხოლოდ დეკანმა, მამა ფაუსტინემ, გამოხედა

ალერსით თავის საყვარელ სტუდენტს. კასპერი კაბინეტის კარშივე შედგა და თავი მდაბლად დაუკრა იქ მყოფთ.

— მობრძანდი, გდანსკელო სტუდენტო კასპერ ბერნატ, — მიმართა რექტორმა ლათინურად, როგორც უნივერსიტეტის წესები მოითხოვდა, — ხვდები, რაზე გიხმეთ?

— რევერენდისიმე![1] — მიმართა დეკანმა რექტორს. — ნება მიბოძეთ, სტუდენტს ერთი შეკითხვა მივცე! — კასპერმა მამა ფაუსტინეს შეწითლებულ ღაწვისთავებსა და მაგიდაზე უნებურად აკაკუნებულ მთრთოლვარე ხელის თითებს რომ შეხედა, მერეღა იგრძნო შეშფოთება.

— შვილო ჩემო, — ალერსით მიმართა კასპერს დეკანმა, — ვთქვათ, უღრან ტყეში მიდიხარ... თუმცა, არა, სახელგანთქმული კაპიტნის შვილს უფრო გასაგებ მაგალითს მოვუყვან... კასპერ ბერნატ, ვთქვათ, ზღვაზე ან ჩქარ მდინარეზე გემით მიცურავ და უცებ ზვირთებზე ნავი შენიშნე, რომელშიც შენი კოლეგები და მეგობრები სხედან... ვთქვათ, შენი გემბანის სიმაღლიდან ხედავ იმას, რასაც ის განწირულნი ვერ ამჩნევენ — ქარი და დინება უმოწყალოდ მიაქანებს მათ უფსკრულისაკენ, — ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდი, შვილო ჩემო?

ყველა სტუდენტმა და მათ შორის კასპერმაც იცოდა, დეკანი როგორ ეხმარებოდა ხოლმე გასაჭირში ჩავარდნილ სტუდენტებს: მათ სწორ გზაზე დასაყენებლად ან საღვთო წერილიდან მოუყვანდა მაგალითს, ან ისტორიიდან, ან თავისივე ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. ახლა კი ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა სურდა მისგან მამა ფაუსტინეს.

— ჩვენ რეფერენდუმზე მოგიწვიეთ, — კვლავ ალერსით განაგრძო დეკანმა, — იმისთვის მოგიწვიეთ, რომ ჩაგაგონოთ მეგობრების გადარჩენა, არ მისცე მათ თავის დაღუპვის უფლება, მათს ნავს — უფსკრულში ჩანთქმის საშუალება...

კასპერი გაოგნებული შეჰყურებდა დეკანს.

— კმარა, მამა ფაუსტინე, — ჩაერია რექტორი, — სტუდენტო კასპარ ბერნატ! გუშინ, საერთო საცხოვრებლის წესდების წინააღმდეგ, გიქეიფნიათ, ღვინო თუ რაღაც სასმელი დაგილევიათ...

— ალუბლის ნაყენი, — წაიბურტყუნა შემკრთალმა კასპერმა.

— გავიგეთ, რომ მთვრალებს ჩვენი სახელგანთქმული აკადემიის სტუდენტებისათვის შეუფერებელი საუბარი გქონიათ. გილაზღანდარიათ ღირსსაქები კანონიკი კოპერნიკის მოძღვრებაზე,

---

[1] რევერენდისიმე — ღირსპატივცემულო.

მასზე მსჯელობის უფლება კი თქვენ, ცოდნის უკმარისობის გამო, არა გაქვთ; გილაპარაკიათ, რომ აჯობებს, კოპერნიკი თქვენი პატივცემული პროფესორის, ლანგეს ნაცვლად მოვიწვეიოთ ასტრონომიის კათედრაზე; გილაზღანდარიათ კალენდრის შესწორებისათვის სამზადისზე, რომელიც ჩვენი წმიდა მამის, დედამიწაზე უფალი ღმერთის მოადგილის, პაპი იულიუს მეორის ბრძანებით დაიწყო... გილაზღანდარიათ — თქმაც მაძრწუნებს — ჩვენს წმიდა კათოლიკურ ეკლესიაზე!

— ეგ სიცრუეა! — გაცხარებით შეეპასუხა კასპერი. — მომიტევეთ წმიდა მამებო, მაგრამ ცილს გვწამებენ მეცა და ჩემს ამხანაგებსაც... ვხვდები, იმ ცბიერმა მელამ, პედელმა ქრისტეფორემ...

— შენი მასწავლებლებისა და მოძღვრების პატიოსანი და მუყაითი თანაშემწის — მამა ქრისტეფორეს — მასხარად აგდების უფლება არავის მოუცია, — ტუქსვით შენიშნა დეკანმა, — გუშინ საუბრობდით თუ არა, საჭიროა ღირსპატივსაცემი პროფესორ ლანგესა და კანონიკ კოპერნიკს შორის დისპუტი გაიმართოსო?

კასპერმა ისე დამუშტა ხელები, ფრჩხილები ხელისგულებში ჩაესო.

— ვსაუბრობდით, — მიუგო მოკლედ.

— რომელიმე შენმა ამხანაგმა თქვა, კოპერნიკი უეჭველად აჯობებსო ლანგეს?

— არა, — შვებით ასწია თავი კასპერმა და ისე უპასუხა, — ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმას ვამბობდით, რომ კამათი პატივცემულ პროფესორ ლანგესა და კანონიკ კოპერნიკს შორის მეტად ცხარე იქნებაო.

— აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენც ამხანაგების აზრს იზიარებ კათედრაზე კანონიკი კოპერნიკის მოწვევის თაობაზე შენი პროფესორისა და მოძღვრის გიორგი ლანგეს ნაცვლად?

კასპერი დუმდა. რა უნდა ეთქვა? „ვიზიარებო“? — მაგრამ ეს ხომ სიცრუე იქნებოდა. ნეტავი რისი მოსმენა მოასწრო იმ წყეულმა პედელმა? სტაშეკმა თუ რამე თქვა ლანგეს კოპერნიკით შეცვლაზე, უფრო იმიტომ, რომ ისა და ზბიგნევი გაეღიზიანებინა.

— დუმილი თანხმობის ნიშანია, — გაისმა ცივი, სამარისებური ხმა რექტორისა, — ახლა კი მიპასუხე: გუშინდელ ქეიფზე იყო ლაპარაკი, სოფლის ქსენძები წმიდა პაპს იულიუს მეორეს დასწყევლიან, რადგან მან კალენდრის შეხწორება ბრძანაო? კვლავ დუმხარ? მაშ, ესეც სიმართლეა!

— რეევერენდისიმე! — რექტორისაკენ ვედრებით გაიწვდინა მოკლე ხელები მამა ფაუსტინემ, — მიიღეთ მხედველობაში, რომ

სტუდენტი კასპერ ბერნატი წარმოშობით გდანსკელია, შლიახტიჩი, შვილი სახელგანთქმული კაპიტნისა, მას სოფელში არ უცხოვრია და არც იმის თქმა შეუძლია, იქაური ქსენძები პაპს დასწყევლიან თუ არა. განა შეიძლება, პროფესორ ლანგეს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო სტუდენტს პასუხი ვაგებინოთ გაუთლელი სოფლის ბიჭების სიმთვრალეში ნალაპარაკევზე? მე მხედველობაში მყავს სტუდენტები სტანისლაუ კოგუტი და ჰენრიხ ადლერი. მართალია, მათ დაამთავრეს კურსი ჩვენი აკადემიის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მოსამზადებელი სკოლისა, მაგრამ მეცნიერებისადმი საჭირო მიდრეკილებას მაინცდამაინც ვერ ამჟღავნებენ...

„ოი, ოი, ცუდადაა საქმე! — გაუელვა კასპერს. — როგორმე სტაშეკი და ჰენრიხი არ უნდა გაცვივდნენ უნივერსიტეტიდან!“

თავის თავზე არ წუხდა ჭაბუკი: ლანგე უეჭველად დაიცავდა. კასპერმა თვალი მოავლო მამა რეფერენდარებს. აგერ, მამა დეკანი მის მხარეზეა, მის მხარეზევეა ნატიფ ხელოვნებათა პროფესორიც...

კასპერმა მაგიდისაკენ წარდგა ბიჯი და პირდაპირ თვალებში შეხედა დეკანს, მამა ფაუსტინეს:

— თქვენ, წმინდა მამაო, შემეკითხეთ, როგორ მოვიქცეოდი, თუკი დავინახავდი, რომ ჩემი მეგობრების ნავი უფსკრულისაკენ მიექანება. რომელი ამხანაგები გყავდათ მხედველობაში და რას გულისხმობდით უფსკრულის ნაცვლად?

— შ ე ნ აქ შეკითხვებს არ უნდა იძლეოდე, — გაისმა რექტორის ხმა. — განვაგრძოთ დაკითხვა, მამა რეფერენდარებო!

„დაკითხვაო! — გაოცებულა კასპერს. — ღვთისმშობელო მარიამ, მაინც რისი მოსმენა მოასწრო იმ წყეულმა პედელმა?“

პასუხი მაშინვე მიიღო.

— კასპერ ბერნატ, — განაგრძო მამა ფაუსტინემ, — რომელი შენი ამხანაგი კილავდა სარწმუნოების დამცველთ — მამა ინკვიზიტორებსა და ღვთის სიტყვის მქადაგებელთ — მამა დომინიკანელებს? — დეკანმა ცივად შეხედა კასპერს და შეწუხებულმა მყისვე დაუშვა თვალები. — მთვრალებმა რატომ მიეცით თავს ნება, გეზრახათ თქვენი მოძღვრების — მამა აკადემიკოსების საქმიანობა და პაპის კურიის გადაწყვეტილებები, აგრეთვე საეკლესიო მეათედის გადასახადზე დადგენილება? რომელმა შენმა ამხანაგმა განაცხადა, მის უსამღვდელოესობა ეპისკოპოს ვაცენროდს მძიმე ხელი აქვს და საეკლესიო მეათედს ხალხს ტყავთან ერთად აძრობსო? გახსოვდეს, კასპერ ბერნატ, რომ ჩვენი ღირსსადიდებელი კრაკოვის აკადემიაში შემოსვლისას ჯვარს შეჰფიცე, დაიცავდი უნივერსიტეტის წეს-დებულებას და საჭირო ყურადღებასა და მორჩილებას გამოიჩენდი შენი მოძღვრების ნება-სურვილისადმი... დადგა

დრო, კასპერ ბერნატ, შეასრულო შენი ფიცი და დაგვეხმარო ღვარძლის ძირფესვიანად ამოძირკვაში. რომელი შენი ამხანაგი გამოთქვამდა ასეთ ერეტიკულ აზრებს, კასპერ ბერნატ? — მამა დეკანის ხმაში ლამის ვედრება ისმოდა. — იმ ახალგაზრდებმა თუნდაც დამსახურებული სასჯელი მიიღონ, დამერწმუნე, შენი აღიარება მხოლოდ დაეხმარება, ღრმად ჩასწვდნენ თავიანთ დანაშაულს და გადაარჩენს მათ დამღუპველი ურწმუნოების გზაზე შედგომისაგან! გვიპასუხე, კასპერ ბერნატ, ისე, როგორც კეთილშობილსა და სახელგანთქმული კაპიტნის შვილს შეეფერება.

კასპერმა ყურადღებით შეათვალიერა რექტორის მარჯვნით მჯდარი ბოდოშა, პირგაუპარსავი დომინიკანელი, საეკლესიო სამართლის პროფესორი. რექტორის მარცხნივ შავგვრემანი მამა ჯიროლამო ბენვინი იჯდა და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა.

ამბობდნენ, ეს იტალიელი უნივერსიტეტის მეთვალყურედ წმიდა ინკვიზიციის გამოგზავნილიაო.

„ცუდადაა საქმე, ცუდად, რაკი მისი თანდასწრებით ასეთ რამეებს ლაპარაკობენ. მაშ, წუხანდელი ამბავი პედელმა მარტო რექტორს არ მიუტანა, თორემ რექტორი ეცდებოდა, მიეჩქმალა ყოველივე“.

ახლა კი მიხვდა კასპერი, როგორც უნდა მოქცეულიყო. ვთქვათ, იმ ბრწყინვალე ატესტაციამ, რომელსაც პროფესორი ლანგე მისცემს, და მამა ფაუსტინეს გამოსარჩლებამ ვერ უშველეს, მაინც მისი მდგომარეობა ათასჯერ უკეთესია, ვიდრე სტაშეკისა და ჰაინრიხისა. აკადემიიდან მათი გამორიცხვა შიმშილით სიკვდილს ნიშნავს! მამა რექტორმა კი, თუნდაც იგივე მამა ჯიროლამოს გულისათვის, უეჭველად უნდა მოძებნოს და დასაჯოს დამნაშავენი... საეჭვოა, რომ მაბეზღარა პედელმა, რომელსაც სტუდენტი კასპერი სულ თავიდანვე სძაგდა, უარყოს ბისი ახლანდელი ნათქვამი... მაშ, წმიდა მამები შეახსენებენ მას, კასპერს, შლიახტიჩის ღირსებას, მოაგონებენ მისი მამის — კაპიტნის დამსახურებას? ძალიანაც კარგი, ისიც სწორედ ისე მოიქცევა, რასაც პატიოსნება და მამის სიყვარული კარნახობს!

— მაბეზღარას, რომლის ნათქვამის საფუძველზეც სჯით ყოველივეს, ჩვენი საუბრის მხოლოდ ნაწყვეტები შეეძლო მოესმინა. მაშასადამე, თქვენ, წმიდა მამებო... — დაიწყო კასპერმა.

— ყმაწვილმა კაცებმა, უდაოდ, ზომაზე მეტი დალიეს, და უდაოდ, დაისჯებიან კიდეეაც, მაგრამ, მხედველობაში უნდა მივიღოთ...

— წმიდა მამებს მთლად კარგად არა აქვთ შეტყობილი. რაც

მოხდა: თუ კი ვინმე დათვრა, ეს მე, კასპერ ბერნატი, ოღონდ მე არც ღვინოს დავუთვრივარ, არც არაყს, არც ალუბლის ნაყენს. მე... — აქ ჭაბუკ სტუდენტს ენა დაება.

კასპერმა დააპირა, წმიდა მამებისთვის აეხსნა, როგორ ააღელვა ვუეკის ნათქვამმა, კანონიკ კოპერნიკს ვიცნობო, მაგრამ შედგა: არ ივარგებს, ამ ამბავში კარგი ბოცმანიც გავრიოო... და, საერთოდ, არც არავინ არ უნდა გავრიოო! თვითონ მან, კასპერმა, აიმხედრა ეს ეშმაკეული პედელი, თორემ იქნებ, არც გაქცეულიყო დასაბეზღებლად! მან, კასპერმა, წამოიწყო კოპერნიკზე საუბარი და მანვე, კასპერმა, უნდა აგოს პასუხი!

— მაშ, რამ დაგათრო, კასპერ ბერნატ, თუ არც ღვინომ, არც არაყმა, არც ალუბლის ნაყენმა? — გაისმა მამა რექტორის ხმა.

კასპერმა ისე ჯიუტად გადაიქნია თავი, რომ წითური ქოჩორი ზედ თვალებზე ჩამოეშალა. ჰოდა, ძალიანაც კარგი: მისი თვალები ველარ შეხვდება მამა დეკანის მზერას.

— დამათრო იმის შესაძლებლობაზე ფიქრმა, რომ დავესწრებოდი სახელგანთქმული კოსმოგრაფების, პროფესორ ლანგესა და კანონიკი კოპერნიკის მეცნიერულ კამათს! — გამომწვეევად თქვა კასპერმა. — მე, მხოლოდ მე, და სხვა არავის არ მოსვლია ეს აზრად. მევე გამოვთქვი სურვილი, რომ ჩვენს აკადემიაში ასტრონომი კოპერნიკი მოგვეწვია. სოფლის ღარიბ ქსენძებზეც მევე ვლაპარაკობდი, მაგრამ, მომიტევონ წმიდა მამებმა, რაცა ვთქვი, ხუმრობითა ვთქვი... რაც შეეხება დომინიკანელებს და მამა ინკვიზიტორებს, მათი შეურაცხმყოფელი არაფერი თქმულა. პედელ ქრისტეფორეს მეხსიერება ღალატობს! საეკლესიო მეათედზედაც...

დეკანს, მამა ფაუსტინეს გაუხარდა, რომ სწორედ ამ დროს რექტორი წამოდგა და რახრახით გადააყირავა სავარძელი. არავინ იცოდა, რას იტყოდა ჭაბუკი სტუდენტი გაბოროტებისა თუ სასოწარკვეთისაგან. ამ ჭკუიდან გადასულს თუ დაუჯერებდნენ, გუშინღამ მარტოდმარტო მას ულაპარაკია სუფრაზე!

— აი, ესეც თქვენ, ნაყოფი ყოვლის მიტევებისა, მამა ფაუსტინე! — ცივად თქვა რექტორმა. — ჩვენს აღსაზრდელებში არ უნდა ვაღვივებდეთ შლიახტურ მედიდურებას, არც სიბრძნის ბოყვარულობას, არც საღმრთო წერილით ნაანდერძევ ჭეშმარიტებათა განსჯის დამღუპველ მიდრეკილებას. თქვენ ამბობთ, სტუდენტები კოგუტი და ადლერი უბრალო სოფლის ბიჭები არიანო? ჩვენ კი სწორედ ისეთი უზაკველი. ახალგაზრდები გვჭირდება, როგორებიც კოგუტი, ადლერი და კიდეე იან სკლემბინსკია! წარმწყმენდელი ერეტიკული ფილოსოფიისადმი ლტოლვა სულ უფრო და უფრო

მეტად ედება სწავლულ სამყაროს... აი, შედეგიც!.. მაშ, როგორ ვსჯით სტუდენტ ბერნატს, მამა რეფერენდარებო?

— ყურად ვიღოთ მისი გულწრფელი აღიარება... — დაიწყო მამა დეკანმა, მაგრამ მისი სუსტი ხმა შთანთქა აღშფოთებულმა წამოძახილებმა: „გავაძეოთ, უღირსი!“, აღეკვეთოს წმიდა ზიარების მიღება!“, „გავაძევოთ კრაკოვიდან!“, „წმიდა ინკვიზიციის სასამართლოს გადავცეთ!“

რაც უფრო ახლოს ისხდნენ მამა რეფერენდარები მამა ინკვიზიტორ ჯიროლამო ბენვინთან, მით უფრო გულმოდგინედ და ხმამაღლა ყვიროდნენ.

კასპერს ესმოდა საკუთარი გულის ცემა. წამოძახილი ხმები ერწყმოდა რაღაცნაირ ღმუილს, რომელიც ქარბორბალას მოაგონებდა.

„ინკვიზიციაო! ღმერთო ჩემო, როგორ გადაიტან, დედა, შენ ამ ამბავს!“

რა ხანია, რექტორი რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ კასპერს ერთი სიტყვაც არ ესმოდა.

— სტუდენტო ბერნატ! — მუქარით აუწია ხმას რექტორმა. — შენ უკვე მოისპე შეწყალების უფლება. ამიტომ მე, უფლებამოსილი მამა რეფერენდარების მიერ, გაძევებ კრაკოვის უნივერსიტეტიდან! წადი და ნუღარასოდეს დაუბრუნდები ჩვენს ოჯახს! შეგიწყალოს უფალმა ღმერთმა და წმიდა ქალწულმა!

რექტორმა ყოველივე ეს ლათინურად წარმოთქვა. მხოლოდ დასასრულსა თქვა ერთადერთი პოლონური სიტყვა: „გასწი!“ — და კარზე მიუთითა.

კასპერს არც ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში. სუსხიანმა ქარმა ოდნავ გამოაფხიზლა და დაამშვიდა.

— ძალლივით გამომაგდეს! — ჩაილაპარაკა ხმამაღლა, მერე თოვლი მომუჭა და შუბლზე მოისვა.

„ლანგესთან ხომ არ წავსულიყავი? შეიძლება დამეხმაროს... ან რჩევა რამ მომცეს“.

ბაზრის მოედნის მოსახვევი ხალხს გადაეშავებინა. თოვლი დატკეპნილი და ფერნაცვალი იყო. კასპერმა თავი ასწია. სუკენიცის შენობის თავზე გრძელი ჯოხი დაინახა. ჯოხზე ქუდი იყო ჩამოფხატული და ზედ მიმაგრებულ მამლის ბუმბულს ქარი აფარფატებდა.

— ჯოხზე ქუდია ჩამოცმული,—მაშ, ბაზრობის დღე ყოფილა!— წაიდუდუნა გულმოსულმა კასპერმა. — ეჰ, ბედი არ მწყალობს!

ნაცნობებს გადავეყრები უეჭველად.. ახლა ქალაქში სტუდენტის ხეტიალის დრო არ არის — იმწუთას დაგაყრიან შეკითხვებს: რა მოხდა, რატომ უნივერსიტეტში არა ხარო?

კასპერი მოედნიდან ვიწრო,. თოვლში ჩაფლული შესახვევისაკენ გაბრუნდა, შემდეგ სამეფო ხიდი გადაიარა და კლეპაუის — კრაკოვის ყველაზე ახლოს მდებარე გარეუბნის გზაზე დაეშვა.

მაინც ეშინოდა ნაცნობების შეხვედრისა და ფრთხილობდა: ამ ცოტა ხნის წინ დედაქალაქის გარეუბანში დასახლებული შლიახტების ფოლვარკთა ღობეებს ეფარებოდა. თავისი ქალიშვილის მომავალი კეთილდღეობისათვის ეჭ გადმოსახლებაზე ოცნებობდა პანი სუხოდოლსკაიაც, ზბიშეკის დედა. აბა, რა ვქნათ, გოგო იზრდება, სოფელში საქმროები კი არც ეგრერიგად ბევრიაო! მაგრამ პან ვლაცლავმა მოახერხა ცოლის დაყოლიება, თუ გადასახლებაა, კრაკოვს გდანსკი სჯობია: კრაკოვში მეტად თავმიშვებული და განებივრებული ხალხი ცხოვრობს. ქალიშვილისთვის საქმრო გდანსკშიც მოიძებნებაო.

უგუნებობის მიუხედავად, კასპერმა, პატარა ვანქას წკრიალა თვალების გახსენებაზე, ღიმილი ვერ შეიკავა: „ვაპ, რა საპატარძლოაო!“

ქალაქის კარიბჭეს რომ გასცდა კასპერი მერეღა მოეგო გონს. მის წინ, დაბლობზე თეთრად ქათქათებდა თოვლით დაფარული სახლების სახურავები. მათ შორის მხოლოდ სამრეკლოს შპილი მოჩანდა შავად.

ლურჯად მიმქრალი ვისლის მარცხენა ნაპირზე კი უწესრიგოდ მიმობნეულიყო მებაღეთა, მეთევზეთა, მეკასრეთა, მჭედელთა, მეპარტაკეთა—გარეუბნის მრავალრიცხოვან ღარიბ მშრომელთა — ქოხნაცები.

„ოჰო, ეს უკვე სტაროდომია! ასე თუ ვიარე, ვისლის გაყოლებით, ალბათ სანდომირსაც ჩავაღწევ,“ — გაიფიქრა კასპერმა და შემობრუნდა.

გზისპირა ტრაქტირის მოქანავე აბრაზე გამოსახულ ტახის თავს რომ შეხედა, შერისხული სტუდენტი ახლაღა მიხვდა, როგორ მოშივებოდა. მან ჯიბეში ჩაიყო ხელი, ცივი მონეტები მოსინჯა და, ის იყო, ტრაქტირისაკენ წასვლა დააპირა, რომ შეცბუნებული უცებ შედგა.

„ვუუეკი! ეგღა მაკლდა! თანაც მარტო არ არის!“

კასპერი შენობის კუთხეს ამოეფარა და შეიცადა, სანამ ეზოში გამოსული ბოცმანი და მდიდრულმოსასხამიანი კაცი საჯინიბოსკენ გაუხვევდნენ. სტუდენტამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა მათი საუბარი, მაგრამ მას ყური არ მიუგდია. როგორც კი დარწმუნდა,

პან კონოპკა ვეღარ დამინახავსო, სუსხიანი ზურგქარისაგან ფეხაჩქარებული გაუდგა გზას.

მთლად გაყინულ-გათოშილი ჭაბუკი პროფესორ ლანგეს სახლის კარს ბინდისას მიადგა და გულდამძიმებულმა მოჭიდა ხელი ბრინჯაოს ჩაქუჩს.

— დიდება უფალს ჩვენსას, იესო ქრისტეს! — ჩაილაპარაკა მისალმების ჩვეულებრივი ფრაზა.

— უკუნითი უკუნისამდე, ამინ! — მიუგო მოახლემ და მოსასხამი ჩამოართვა. — ბატონი დოქტორი თავის ოთახშია.

ამ დროს მარჯვნივ ჩუმად გაიჭრიალა კარმა და ნამტირალევი ქალწულის სახე გამოჩნდა.

— კასპერ, კასპერ, მამას უკვე უთხრეს ყველაფერი... — წაიჩურჩულა მიტამ. — ოჰ, ასე ცუდად რატომ მოექეცი, კასპერ!

— მომისმინე, მიტა! — კასპერმა მუდარით შეხედა მიტას ცისფერ, ცრემლით სავსე თვალებში. — გეტყვი ყველაფერს...

— სუ! თუ ღმერთი გწამს, ჩუმად! მამამ ამიკრძალა შენთან შეხვედრა, მაგრამ მე შენ ყოველთვის მეყვარები, არასოდეს დაგივიწყებ!

კარი მოიხურა. კასპერი მარტო დარჩა.

— პანიჩ კასპერ, — ნაღვლიანად მიმართა მოსაცდელში ხელახლა გამოსულმა მოხუცმა მოახლემ, — ბატონმა პროფესორმა მიბრძანა, შოგახსენოთ, რომ შინ არ არის... რომ დღეიდან თქვენთვის აღარასოდეს იქნება შინ!

ეტყობა, პროფესორ ლანგეს ეს დანაბარები არ ეჩვენა საკმარისად და მოახლეს კვალდაკვალ გამოჰყვა.

— იმის შემდეგ, რაც მოხდა, კიდევ ბედავ ჩემს ოჯახში შემოჭრას? — მკვეთრი ფალცეტის ხმაზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად კიოდა პროფესორი. — განა შენა ხარ ჩემი მოსწავლე კასპერი, რომელზედაც ამდენ იმედს ვამყარებდი? სულმდაბალი უმეცარი აღმოჩნდი, სულმდაბალი და უმადური! განა, შენა ხარ შვილი სახელოვანი კაპიტან ბერნატისა? — პროფესორს ლამაზი სახე ისე დაეფოთლა წითლად, სულ მცირედი კვალიც აღარ შეიმჩნეოდა ნაზ, შშვენიერ მიტასთან მსგავსებისა.

— მაგრამ, პან დოქტორო, განა ისეთი მიუტევებელი ცოდვაა, ორი ბოწინააღმდეგე მეცნიერის შეხედულებათა შედარების გზით ჭეშმარიტების დადგენის სურვილი? ეპვები, რომლებიც უტრიალებს ახლანდელ...

— გაჩუმდი! — იკივლა ლანგემ. — ეპვები ბხოლოდ იტალიელ თავისუფლად მოაზროვნეებისგან გაწვრთნილთ აწვალებს და კას-

პერ ბერნატისნარ სწავლაგაუსრულებელთ! პატივცემულმა მამა ქრისტეფორემ ყოველივე მაუწყა უკლებლივ!

— მაგრამ, პან დოქტორო...

— კმარა! ყოფილმა სტუდენტმა კასპერ ბერნატმა უნდა დაივიწყოს ჩემი სახლის გზა. უნდა დაივიწყოს, რომ .ოდესღაც ჩემს ქალიშვილს იცნობდა! მიბრძანდი! — მერე კარში შეჩერდა ლანგე და მრავლისმთქმელად დაურთო: — უკანასკნელ რჩევას მივცემ ჩემს ყოფილ სტუდენტს: გამოუსწორებელ სისულელეს ჩაიდენს, თუ კრაკოვში თუნდაც სულ მცირე ხნით კიდევ დარჩება!

მიუხვდა კასპერი. მაშ... ჭაბუკმა შუბლზე ხელი მოისვა, თავი უხურდა, მუხლები ეღვენთებოდა. გულწრფელობა ალაპარაკებს ლანგეს თუ კასპერის მიტასთან დაშორების სურვილი ამოძრავებს? მაგრამ სტუდენტს უცებ გაახსენდა მამა რეფერენდარების აღშფოთებული შეძახილები... არა, უეჭველად უნდა ირწმუნოს პროფესორის ნათქვამი...

ხშირი ბინდი იყო, კასპერი პედელ ქრისტეფორეს სახლს რომ მიადგა. სტუდენტების ოთახში შუქი არ ენთო და ბერნატმა შვებით ამოისუნთქა — ყველანი დაწოლილანო. მაგრამ ჩაბნელებული სენაკის ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, გაძევებული სტუდენტი უმალვე მიხვდა, ამხანაგები მელოდებიანო. არავის ხმა არ გაუცია, მაგრამ ფრთხილი ფაჩუნი, თავშეკავებული სუნთქვა, მერხების ჩუმი ჭრიალი ახვედრებდა, რომ იქ მყოფნი ძილზე აოცა ფიქრობდნენ.

დაქანცული კასპერი გაუხდელად მიეგდო თავის საწოლზე. ხმა მაინც არავინ გასცა. ძალიანაც კარგი, ახლა თვალებს დახუჭავს და დაძინებას ეცდება.

ვიღაცის ფრთხილმა ხელმა ფეხებზე თბილი მოსასხამი მიაგდო. ჭაბუკი უხმოდ გაეხვია შიგ და კედლისკენ გადაბრუნდა. რა ქნას? გდანსკში მამინაცვალთან დაბრუნდეს? ამით საცოდავ დედას უარესად გატანჯავს... ეჰ, დასანანია, რომ ვუეკი მიდის!

ჭაბუკს პირი გაუშრა. წამოდგა კედელ-კედელ ფათურით გაჰყვა და კასრთან მივიდა. ტოლჩით გაყინული წყალი ამოიღო და მოულოდნელობისაგან შეკრთა: ვიღაცის თითები მჭიდროდ შემოეჭდო მის ხელს.

— აწოწილო, შენა ხარ? — იკითხა გუმანით.

ზბიგნევის ნაცვლად სტაშეკ კოგუტი დაელაპარაკა:

— ყველაფერი ვიცით. სულელი ხარ, წითურო, — წაიდუდუნა ალერსიანად. — სად იყავი? მამა რექტორმა თავისი კაბინეტიდან

დღეს უკვე გამოაპანღურა ჩვენი დელეგაცია... ვთხოვდით, უნივერსიტეტიდან არ გაერიცხე. წარმოიდგენ, ყველაზე უკეთესად ვინ წარმოთქვა ლათინურად შენი დასაცავი სიტყვა? — იან სკლემბინსკიმ! ღმერთმანი, იას-კაჭკაჭმა! სულ ჩამოარაკრაკა, რასაც ფიქრობდა, მაგრამ, მერე, უკან რომ ვბრუნდებოდით, შიშისგან ლამის იტირა... ახლა მამა ფაუსტინე, — იმან კი ნამდვილად წაიტირა... გვეუბნებოდა, იმის ფეხის მტვრადაც არა ღირხართო...

— ეგ მართლაც მასეა, — გაისმა სიბნელეში ზბიგნევის ხმა. — გვეყოფა დამალობანას თამაში. აანთე შუქი, ჰენრიხ!

ტალ-კვესმა გაიჩხაკუნა. იალა სანთლის სუსტმა, მოცახცახე შუქმა და ოთხი მეგობრის ფერმკრთალი, დაღლილი სახეები გაანათა.

— ყველაფერი შენ დაიბრალე, კასპერ. მე ამას არასოდეს დაგიეწყებ, — გულიანად წარმოთქვა ზბიგნევმა. — ნამდვილი შლიახტიჩი და მეგობარი ხარ!

— რ. დავიბრალე? — გაბრაზდა კასპერი. — ვინ გადაეკიდა მთვრალი იმ ეშმაკეულ პედელს? — მე! ვინ წამოიწყო ლაპარაკი კოპერნიკზე? — მე! მაშ, აქ სხვა რაღაა სალაპარაკო?! ჩვენი პატიეცემული დეკანი ლოგიკის გაკვეთილებზე გვასწავლიდა, საგანს საფუძველშივე ჩასწვდითო. ჰოდა, მეც შიგ საფუძველში ჩავწვედი. ვუეკს ის ამბავი რომ არ მოეყოლა, მე რომ მიკოლაი კოპერნიკის სადღეგრძელო არ დამელია, ის მაბეზღარა პედელი რომ არ ყოფილიყო, ოთხივეს ახლა მკვდრებივით გვეძინებოდა და არცროგორ განსაცდელზე არ ვისაუბრებდით. ანდა ასე ვიტყვი: ეს უბედურება რომ არ შემმთხვეოდა, მე, შეიძლება, ოთხი წელი კიდევ მეკირკიტა ასტრონომიულ ცხრილებში, მემღერა კლიროსზე შეჭდგარს, შობასა და აღდგომას სხვა სტუდენტებთან ერთად დავცემოდი ვაჭართა აღალებს... ახლა კი თავისუფალი კაცი ვარ. მინდა — გდანსკში დედაჩემთან წავალ, მინდა — გერმანელებს ან იტალიელებს ბივეკირავები მატროსად, თუკი პოლონელები არ მინდომებენ... ან სოფლელთა ფოლვარკებს მოვივლი და ჰოროსკოპებს შევადგენ. მართალია, ამ საქმეში შენნაირი გაწაფული არა ვარ, ზბიშეკ, მაგრამ პროფესორ ლანგესთან მეც მისწავლია ცოტა რამ.

— მერე, მიტა? — მკაცრად ჰკითხა ზბიგნევმა.

კასპერმა იგრძნო, რომ ყელში რაღაც გაეხირა. „ნუთუ, ამეტირება?“ გაუელვა შეშინებულს.

— მიტამ შემომფიცა, მეყვარები და მემახსოვრებიო, — როგორც იყო, მოითქვა სული და, რაც შეეძლო, უზრუნველად თქვა კასპერმა, — მაგრამ გოგოს მახსოვრობა ხანმოკლეა...

— გრცხვენოდეს! — ისევ ისე მკაცრად განაგრძო ზბიგნევმა. — შიტა უკვე იყო აღსარების სათქმელად მამა იანუართან, მოინანია მშობლის ურჩობა და შენთან, აი, ეს გულსაკიდი ხატი და ბეჭედი გამომატანა. თან დამაბარა, შენს დანიშნულად ვთვლი თავს და სამარის კარამდე დაგელოდებიო. მამამ ოთახში გამოკეტა, მაგრამ მოახლეს შეეცოდა და ჩუმად შემიშვა სანახავად. ვნახე საწყალი მიტა, ვანუგეშე. უნდოდა, შენთან საგზაო ფული გამოეტანებინა, მაგრამ მე არ გამოვართვი. არ გეკადრება შლიახტიჩს...

— თავი გაანებე მაგის შლიახტიჩობას! — ზბიგნევს სიტყვა გააწყვეტინა ჰენრიხმა. — შენ რა გგონია, განსვენებულ მეფეს კაპიტან როხ ბერნატისათვის აზნაურობა რომ არ ებოძებინა, კასპერს პატიოსნება ან ვაჟკაცობა მოაკლდებოდა? ან როხ ბერნატი, აზნაურობის მიღებამდე ნაკლებ მამაცურად ებრძოდა ხმელთაშუა ზღვაში ალჟირელ და ტუნისელ მეკობრეებს? ანდა შენ გგონია, უბრალო გლეხი, მეშჩანი ან, თუნდაც, ვაჭარი...

— მე უბრალო ხალხზე ცუდს არაფერს ვამბობ, — შეეპასუხა შეწუხებული ზბიგნევი, — კარგად იცით, რომ, შენც, ქარიყლაპიავ, და შენც, გაბერილო, ჩემი საუკეთესო მეგობრები ხართ, ისეთივე ძვირფასი მეგობრები, როგორიც კასპერია ჩემთვის.

— მადლობელი ვარ, — უთხრა გულაჩუყებულმა კასპერმა.

— ჩვენი მოთათბირებით კრაკოვიდან უნდა წახვიდე, — სტაშეკი ცდილობდა მოჩვენებითი ხალისიანობით ელაპარაკა. — ის იტალიელი აღარ მოგცემს გასაქანს! წასვლა კი, ჩვენივე მოთათბირებით, შენს ვუეკთან მოგიხდება ვარმიაში... მაგრამ უბედურება ისაა, დილას ვუეკი რომ დაგვემშვიდობა, შეგვპირდა, გამგზავრების წინ კიდევ შემოგივლითო, ის კი აღარ უთქვამს, სად გაჩერდა მისი ვაჭარი ღამის გასათევად. ზბიშეკი დღევანდელი დღე მევახშეებთან დარბოდა შენთვის ფულის საშოვნელად, მე და ჰენრიხმა ყველა სამიკიტნო, ფუნდუკი და ტრაქტირი მოვიარეთ. ზბიშეკმა ფული იშოვა. ჩვენ კი იმ ვაჭრისა და ვუეკისა ვერაფერი ვერ გავიგეთ.

კასპერს უკვე ნახევრად ეძინა.

— ტახის თავი... — წაილუღლუღა ძილში გაუგებრად.

— რაო, რა თქვი? ვის ამკობ ასე? — გაეცინა სტაშეკს.

მაგრამ კასპერი აღარ უსმენდა: ახალგაზრდობამ და ჯანსაღმა ორგანიზმმა თავისი გაიტანა — შერისხული სტუდენტი უკვე ღრმა ძილში იყო და იღიმებოდა კიდევაც.

მუვიდოგით, კრაკოვო!

ძველ ხალხს უთქვამს: დღე მოვა, ჭირი გადავაო. მართლაც, რაც გინდ დასანანი ყოფილიყო კასპერისათვის უნივერსიტეტის დატოვება, რაც გინდ ძნელი ყოფილიყო ამხანაგებთან განშორება, რაც გინდ გულსატკენი ყოფილიყო შეყვარებულ ქალიშვილთან გაყრა, დილა ისეთი ნათელი, გამჭვირვალე და სხივმოსილი გათენდა, რომ გუშინდელი უბედურება კასპერს ისეთ გასაჭირად აღარ მოსჩვენებია.

ამხანაგებმა გულიანად იცინეს, როცა გაიგეს, რას გულისხმობდა ნახევრად მძინარე კასპერი „ტახის თავიო“, რომ წაიბურტყუნა. ზბიგნევს პროფესორ ლანგეს მომიზეზებით ყოველთვის შეეძლო დეკანატში მეცადინეობიდან თავის განთავისუფლება. მან იკისრა კასპერის მიცილება გზისპირა ტრაქტირ „ტახის თავამდე“. რომ მივიდნენ, ბოცმანი კონოპკა იქ არ დახვდათ: გამგზავრების წინ წირვის მოსასმენად წასულიყო. მაგრ დამქირავებელი ვაჭარი დიდი მორწმუნე კაცი არ იყო. ხასიათითაც არც თუ ისეთი დამყოლი გამოდგა: მიუხედავად ზბიგნევის მიერ შეთავაზებული მგზავრობის ღირებულების გადახდისა, კასპერის თან წაყვანაზე გადაჭრით თქვა უარი. არც იმან უშველა საქმეს, რომ ზბიგნევმა მეგობარს კრაკოვის აკადემიის საუკეთესო სტუდენტის რეკომენდაცია მისცა.

— სტუდენტიო! — წამოიძახა შეშინებულმა ვაჭარმა. — მეტს ნულარაფერს მეტყვით! ვიცნობ ბატონ სტუდენტებს: ეგენი არიან, მგლებივით რომ დაეცემიან ხოლმე აღალებს. საჭველი ხომ სულ არ უნდა გააჭაჭანო მაგათთან, თვალის დახამხამებაში აგაცლიან ცხვრის ბარკალს ან სულაც მთელ ცხვარს!

მაშინ ზბიგნევმა ტაქტიკა შეცვალა:

— აღარაა უკვე სტუდენტი: მამა რეფერენდარებმა აკადემიიდან გამორიცხეს. თანაც კასპერი თქვენი თანამგზავრის, ბოცმან კონოპკას, კარგი ნაცნობია. ორივე ერთად უფრო მარჯვედ დაგიცავენ თქვენცა და თქვენს ქონებასაც, თუ გზად მგლებს ან უკეთურ ხალხს გადაეყრებით.

ამ მოსაზრებამ უფრო მეტად ააფორიაქა ვაჭარი.

— სტუდენტი, თანაც აკადემიიდან გარიცხული! არა, მე გდანსკელი ადოლფ კუგლერი არ ვიქნები, თუკი ამისთანა სისულელეს ჩავიდენ! ეგა და მაგისი ულვაშა ნაცნობი ერთად ვამომღადრავენ ყელს და მერე ჩემივე ცხენებით მოცოცხავენ!

— გდანსკელი ადოლფ კუგლერი? — იკითხა ზბიგნევმა და ყუ-

რადღებით შეათვალიერა ვაჭარი. — მითხარით, პან ნეგოციანტო, ხომ არ გეცნობათ გვარი სუხოდოლსკი? კარგა ხანია მამაჩემმა თავისი საქმეების წარმოება ვიღაც კუგლერს ჩააბარა... ის კუგლერი თქვენ ნათესავად ხომ არ გერგებათ?

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გახარებულმა ვაჭარმა. — როგორ ვერ ვიცანი პანას ძმა... ესე იგი, უწარჩინებულესი პან სუხოდოლსკის ვაჟიშვილი! ჩემი ნათესავი კი არა, მე თვითონ, საკუთარი პერსონით, ვაწარმოებ პან სუხოდოლსკის საქმეებს. მაშ, თუ არა ვცდები, ჩემ წინ პანიჩ ზბიგნევს ვხედავ, მოხუცი პან ვაცლავის ვაჟიშვილს? გავბედავ და შეგეკითხებით, როგორ ჯანმრთელად ბრძანდებიან ახალგაზრდა პანიჩის მამა, პან ვაცლავი, მისი პატივცემული პანი დედა და მისი მშვენიერი და, პანენკა ვანდა?

— სამწუხაროდ, დიდი ხანია შინიდან წერილი არ მიმიღია, მაგრამ, რადგანაც ცუდი ამბები კარგზე სწრაფად ვრცელდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს სახლში ყველა ჯანმრთელადაა...

— მაშინ, მე შემიძლია, პანიჩს უფრო ახალი ცნობები ვაუწყო, წარსულ კვირას მქონდა ბედნიერება, გდანსკში პან სუხოდოლსკის ოჯახს ვწვეოდი. ყმაწვილი კაცის მშობლები კარგად, ჯანმრთელად არიან და შეჰხარიან თავიანთ გოგონას, ვანდას, რომელიც, თავს ნებას მივცემ, ვთქვა, ამ უკანასკნელ წელს უნაზესი კოკრიდან უმშვენიერეს ვარდად გადაიფურჩქნა. — რომ შეატყო, დაზე ლაპარაკი მაინცდამაინც არ ესიამოვნაო ჩემს მოსაუბრეს, ვაჭარმა მყის შეცვალა საუბრის თემა, — მაშ, რაღაც ცოდვებისათვის აკადემიიდან გამორიცხული ეს ახალგაზრდა კავალერი პატივცემული პანიჩი ზბიგნევის კოლეგა არის?

— კოლეგაცა და საუკეთესო მეგობარიც, შემიძლია ვთქვა, ძმაც არის ჩემი, — მხურვალედ ჩამოართვა სიტყვა ზბიშეკმა. — ვფიქრობ, ჩემი მეგობრის ღონიერება, მოხერხებულობა და სიმარჯვე მეტისმეტად გამოგადგებათ გზაში. ძალიან გთხოვთ, ბატონო ვაჭარო, ვარმიაში ჩაიყვანოთ! იმასაც დავსძენ, რომ კასპერი თქვენებურია — გდანსკელი!

— პატივცემული სუხოდოლსკების ოჯახის წევრის თხოვნა ჩემთვის კანონია! — წაიყოყოჩა ვაჭარმა.

— იქნებ პან კუგლერი ფიქრობს, ღარიბი სტუდენტი სამგზავრო ფულს ვერ გადამიხდისო? მაგაზე ნუ ინაღვლებთ... — დაიწყო ზბიგნევმა, მაგრამ მისმა თანამოსაუბრემ ფართოდ გაშალა ხელები და სიტყვა გააწყვეტინა:

— რა ფულზე და რის გადახდაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საშუალება მეძლევა სუხოდოლსკების ოჯახის წევრს სულ უმნიშ-

ვნელო სამსახური გავუწიო! ოღონდ ერთ ნაცვალგებას მაინც ვთხოვ პან ზბიგნევს, — პირმოთნედ დაურთო ვაჭარმა: — ამ სასიამოვნო შეხვედრის სამახსოვროდ პან ზბიგნევი ნურც „პან ვაჭარს“ მიწოდებს, ნურც „პან კუგლერს“, უბრალოდ „ადოლფი“ დამიძახოს, როგორც კეთილ ნაცნობებს შეეფერება.

კასპერმა იმედით შეხედა მეგობარს, მაგრამ ზბიგნევის სახე სანუგეშოს არაფერს მეტყველებდა. მაშინ კასპერმა მლოცველივით შეატყუპა ხელები და მუდარით წარმოთქვა ერთადერთი სიტყვა: „ზბიშეკ!“ ოდნავ წარბშეკმუხნილმა ზბიგნევმაც მიუგო:

— მე, რა თქმა უნდა, შეეეცდები დავიმახსოვრო პან კუგლერის სახელი... ეს მეტისმეტად უმნიშვნელო საფასური იქნება იმ პატივისა, რასაც პან ადოლფი მომაგებს, თუკი ჩემს მეგობარს ვარმიაში ანდა, მთლად უკეთესი, პირდაპირ ლიძბარკში კანონიკ მიკოლაი კოპერნიკთან ჩაიყვანს.

— მისი უსამღვდელოესობა ვარმიის ეპისკოპოსის ძმისშვილთან? — პირფერულად ჰკითხა კუგლერმა. — ჩავიყვანთ, ჩავიყვანთ, ძვირფასო პან ზბიშეკ!

ზბიგნევი მეგობარს გამოსამშვიდობებლად გადაეხვია და აღელვებულმა გადასცა პატარა ტყავისყდიანი წიგნი.

— მართალია, საზღვაო მეცნიერებას არ ეხება და ვიღაც ბერძენი ფეოფილაქტე სიმოკატის ფილოსოფიურ ნააზრევს გადმოგვცემს, მაგრამ იგი ლათინურ ენაზე სწორედ იმ კოპერნიკის თარგმნილია... ეხლახანს ვიყიდე გამვლელი ბერისაგან...

ბოცმანი კონოპკა ტრაქტირში რომ დაბრუნდა, ზბიგნევი იქ აღარ დახვდა. მომავალი მგზავრები კი — ვაჭარი და სტუდენტი — სუფრას მისხდომოდნენ და ძველი მეგობრებივით გაებათ საუბარი. ბოცმანმა გაიგო, კასპერი ჩვენთან ერთად ლიძბარკში მოდისო, და სიხარულისგან აღარ იყო.

— ჰოო, ეს მესმის! ჰოო, ეს კარგია! — ბურდღუნებდა და ხან კასპერს უტყაპუნებდა მხარზე ხელს, ხან—კუგლერს.—მამაშენი, კასიო, შენ გამო ხარობს ეხლა იმ ქვეყანას! კანონიკ მიკოლაისთან მე თვითონ წარგადგენ, ის კი როხ ბერნატის შვილს გზას არ დაკარგვინებს! თან ამ ჩვენს ბიჭსაც გაეგება ცოტა რამ: ასტროლაბიაც იცის, სექსტანტიცა და კომპასიც, ციურ სხეულებშიც ერკვევა. „ღრუბლის ცნობას“, ანდა ხმელეთის სიახლოვის გამოცნობას წყლის ფერის მიხედვით, მე გასწავლი! ალჟირში ან ტუნისში წასვლა თუ მოგვიხდა, ეს შენი ვუეკი კაპიტანსაც და შკიპერსაც ჯიბეში ჩაისხამს! საყიდელი იქნება, გასაყიდი თუ ლოცმანი დასაქირავებელი — გემის როფებშუა გასატარებლად — იმათებური ჯიყჯიყის

ცოდნაა, შვილო, საპირო... მე კი სრული სამი წელი ტყვედ ვყავდი ალჟირელ ბეგს, სანამ არ გამომისყიდა კაპიტანმა როხმა, უფალმა განუსვენოს მართალთა წიაღში! სამაგიეროდ, ახლა შემიძლია ყველა კაპიტანს სამსახური გავუწიო: ალჟირელებთან და ტუნისელებთან ზოგიერთ თურქზე ნაკლებად როდი ვლაპარაკობ...

საღამოს, ლექციებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, ტრაქტირს სტუდენტთა მთელი პატიოსანი საზოგადოება მიაწყდა. გამოსამშვიდობებლად იმღერეს „Caudeamus", „პანენკა კრიშია" და სხვა მათი საყვარელი ძველებური სიმღერები. ამხანაგები კასპერს, როგორც ჰენრიხმა თქვა, „ბაგეღიმილიანები და გულცრემლიანები" დაშორდნენ. დანაღვლიანებულმა კასპერმა გაიფიქრა: ზბიგნევს ერთი სიტყვაც არ დასცდენია მიტაზე, მაშ, დღეს ვეღარ მოახერხა მისი ნახვაო.

მეორე დღეს, დილაბნელზე, კასპერი და ვუეკი საჯინიბოში წავიდნენ, ცხენებისათვის უნდა ეჭმევინებინათ, მარხილი რიგიანად გადაეხურათ და ცავები გაეპოხათ.

კრაკოვის ქუჩები დაცარიელებული იყო. ქალაქის ცა სუსტ აისს გაეშუქებინა.

— კარგი ამინდი იქნება, — თქვა ვუეკმა და ისეთი კმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები, თითქოს თვითონ მას, ბოცმან კონოპკას შეექმნა ეს მომტრედისფრო-მოვარდისფრო ცაც, ეს ნშვენიერი და დიდებული ქალაქიცა და ეს მაძღარი, ჯანიანი ცხენებიც კი, კასპერი წალიკად რომ აბამდა მარხილში.

— კარგია ხომ, შვილო, რას იტყვი? — მხიარულად ჰკითხა ბოცმანმა.

— კარგია, — ნაღვლიანად მიუგო ჭაბუკმა. — შენ როგორ ფიქრობ, ვუეკ, დავბრუნდებიღა კრაკოვში? ვნახავღა მეგობრებს? მომიხდებაღა დედაჩემთან წასვლა? მამაჩემის საფლავზე თავდახრა?

— ეჰ, შვილო, არც მთლად დედაშენს, არც ამხანაგებს, არც მამაშენის საფლავს ეხება საქმე! — ჩახვდომით უპასუხა კონოპკამ. — მოიცადე, ინდური აბრეშუმითა და უტრეხტული[1] ხავერდით მოსილი ვარმიის გემით შორეული ცურვიდან რომ დაბრუნდები, მარტო შენი პროფესორი კი არა, სამეფო კარის რომელიც გინდა დიდებული სიხარულით მოგათხოვებს ქალს... დაიცა, დაიცა, ის ადამიანები აქეთ ხომ არ მოდიან?..

[1] უტრეხტში იმ დროს ყველაზე საუკეთესო ხავერდს ამზადებდნენ ევროპაში.

უკაცრიელი ქუჩის ბოლოს კასპერმა ორ მოძრავ ფიგურას მოჰკრა თვალი.

— ისე მორბიან, თითქოს უწმინდური მოერეკებოდეთ, — წაიდუდუნა კონოპკამ. — კასპერ, ეი, კასპერ!

მაგრამ კასპერი უკვე ჭიშკრისკენ გარბოდა.

— დიდება შენდა, წმინდაო ქალწულო! — წარმოთქვა გახარებულმა ბოცმანმა, რაკი დაინახა, რომ ნაზი, ქერა ქალიშვილი მის საყვარელ კასპერს კისერზე ჩამოეკიდა, — არადა, ბიჭი გულბოღმიანი წამოვიდოდა.

კასპერი ტრაქტირში რომ მიბრუნდა, კუგლერს უკვე ეღვიძა.

— ო-ო, ყმაწვილი კაცი დღეს გუშინდელზე მხიარულად გამოიყურება, — კმაყოფილებით თქვა ვაჭარმა, — მოხარული ვარ, რომ განწყობილება ასე შესცვლია.

მართლაც, კასპერი ძლივს იკავებდა ღიმილს. დანიშნულთან გამოსამშვიდობებლად მამის უჩუმრა, მოახლის თანხლებით მიტას დილაბნელზე გამოპარვა ჭაბუკს სიამაყითა და სინაზით უვსებდა გულს. სხვა დანარჩენს კი ყურადღების ღირსადაც აღარ თვლიდა.

მაძღარი ცხენები თოვლით დატკეპნილ გზაზე სულ უფრო და უფრო ჩრდილოეთით მხნედ მიასრიალებდნენ მარხილს.

შორს, ჰორიზონტზე, დაბალი, დამრეცი ბორცვები რომ მოჩანდა, იქ დარჩა კრაკოვი. უკვე მერამდენე დღე იყო მოუუყისფრო გზა დათოვლილ ველებსა და წარაფებშუა მიიკლაკნებოდა. იშვიათად შეხვედრილი სოფლების განაპირას შავად მოჩანდა გზისპირას მდგარი ჯვარცმები და ეულუბრყვილო, სოფლური ხელით გამოყვანილი წმიდა ქალწულის გამოსახულებანი. ჩვენი მგზავრები გულმოდგინედ იწერღნენ პირჯვარს და კვლავ წინ მიიწევდნენ. ბემარხილე-ბოცმანი ცდილობდა, თვალნათლივ მისულიყო რომელიმე დასახლებასთან — ბინდის დადგომისთანავე გზებზე ყაჩაღები დაძრწოდნენ და მგელიც საკმაოდ იყო მომრავლებული იმ ზამთარს. ოღროჩოღროებზე მარხილი ძლიერ ჯანჯღარებდა, კასპერი თავს ვერ იკავებდა და უნებურად მეზობლის მუხლებზე ყრავდებოდა. კუგლერი მხოლოდ ქშინავდა და ხვნეშოდა, ხანდახან კი წახუბრებასაც ცდილობდა ხოლმე:

— ფრთხილად, ბატონო სტუდენტო. შენ თუ არ გამთელავ. მგლებსა და ყაჩაღებს, ღვთის მადლით, როგორმე გავუმკლავდები.

მაგრამ მგზავრები არც მგლებს გადაყრიან და არც ყაჩაღებს, პატარა თავგადასავალი კი მაინც გადახდათ.

შეღამდა. დაღლილმა ცხენებმა ნაბიჯს უკლეს. მარხილი სო-

ფელს უახლოვდებოდა. ქარი შესუსტდა, ყინვამ იკლო და კუგლერმაც მოსასხამის ბეწვის კაპიუშონი გადაიწია თავიდან. კასპერმა ყურადღებით შეათვალიერა თავისი თანამგზავრი, მხიარული, არც თუ ისე უჭკუო კაცი. ნაკვთები სწორი, მაგრამ ოდნავ უხეში ჰქონდა. უბრალოებამდე ძალდაუტანებელი საქციელით კეთილად განაწყობდა თანამოსაუბრეს, ოღონდ თვალებს აცეცებდა რაღაცნაირად...

„რა მესაქმება ამის თვალებთან, ანდა, რა მაქვს საერთო ამ ვაჭართან! მიმიყვანს და მორჩა, ალბათ, აღარც შევხვდებით ერთმანეთს.“ კასპერი მარხილის ტყავის საზურგეს მიაწვა და, კუგლერის წაბაძვით, დაძინება სცადა, მაგრამ ნურას უკაცრავად: მგზავრები უცებ ისე ძლიერად შეინჯღრნენ, რომ შუბლებით მიეხეთქნენ ერთმანეთს.

— სად მოძვრები, უჯიშოვ! — შემოესმა კასპერს კონოპკას ხმა.

ამავე დროს ჭაბუკს რაღაც მწარედ მოხვდა ფერდში: იმ წუთს გამოღვიძებულ კუგლერს სარტყლიდან გრძელი პისტოლეტი დაეძრო. „ოჰო! — გაიოცა სტუდენტმა: — ახლანდელი ვაჭრები, თავადებივით, ცოტა რაღაც და, იარაღზე გაიკრავენ თურმე ხელს“.

წინ, სიბნელეში რაღაც თეთრი მოხაზულობა გამოჩნდა, პირველ შეხედვაზე კასპერს იგი ძირს გართხმულ ღრუბლად მოეჩვენა, მაგრამ ძროხების ზმუილის, ჩუმი ბღავილისა და ჩლიქების არეულ ბაკუნზე მიხვდა, რომ მათ წინ პატარა ფარა მიდიოდა.

— ამ შუაღამისას, ამ ყინვაში რამ გამოგარეკინათ პირუტყვი? — უკვე ხმაშერბილებით კითხულობდა ვუეკი.

კასპერს პასუხი არ გაუგონია.

— ვინა ხართო, კითხულობ? — უცებ ზედ კასპერის ყურის ძირთან იყვირა კუგლერმა. — თქვენ რომელი მეფის საბაჟოს ზედამხედველებიღა ბრძანდებით? ვინ მოგცათ უფლება გამვლელების დაკითხვისა? ერთს მაინც გეტყვით: პატიოსანი ხალხი ვართ, ვაჭარი და სტუდენტი, ციხე-კოშკ ლიძბარკში მივდივართ, მისი უსამღვდელოესობა ვარმიის ეპისკოპოსის ძმისშვილთან მიკოლაი კოპერნიკთან.

ხალხს შავი სილუეტი გამოეყო. კასპერი დააშტერდა მის ნაოჭებით დასერილ სახეს, ამოღამებულ თვალებსა და ქარისაგან დახეთქილ ტუჩებს.

— ე-ეჰ, მაძღრისად ვერ უნდა ჭამდეს, ეს უბედური, — თანაგრძნობით ჩაილაპარაკა გლეხის შემხედვარე ვუეკმა, — მოიცა.!

რას სჩადი, რას! — მიაყოლა ყვირილი კონოპკამ. — გითხრეს: ვაჭარი და სტუდენტი ვართო... არც მეფე და არც ბისკუპი.[1]

მაგრამ გამხდარი, გაძვალტყავებული გლეხი პირდაპირ მუხლებით ჩაემხო თოვლში.

— შეგვიბრალეთ, თქვენო მოწყალებავ! ჩვენც ხომ თქვენნაირი ქრისტიანები ვართ, თქვენო მოწყალებავ! თქვენსავით ვმარხულობთ და ვიღებთ ზიარებას! არც ჩვენა ვართ ქურდები და ყაჩაღები, ღამით ქურდებივით კი მივაპარებთ დაწყევლილი კშიჟაკების გამოისობით ხელში ჩამდნარ საქონელს! შეგვიბრალეთ, გამოგვესარჩლეთ, ბისკუპს ლიძბარკში მოუყევით, რომ პოლონელ გლეხს კშიჟაკების ხელში აღარსად ედგომილება-თქო, ყველაფერი წაართქვეს-თქო — მარცვლეული, ტილო, ნამჯა. რაც კი ოჯახში ტყავის ჩასაცმელი ან ფეხსაცმელი მოეძებნებოდათ, სულ თავიანთი კშიჟაკური ჯარისათვის წაჰგლიჯეს-თქო... ცოლებსა და ქალებს გვიწბილებენ, პატარებს გვტაცებენ, თურქებსა და თათრებზე უარესად გვექცევიან! შეგვახვეწეთ, კარგო ბატონებო, ჩვენი ეპისკოპოსის ნათელ სახეს! დიდება წმიდა სამებას, რომ ქვეყნად არის კაცი, ვისაც ჩვენი ქომაგობა შეუძლია. ჰოდა, ჩვენც ვარმიის საზღვარს მოვადექით, იქნებ შეგვიბრალოს მისმა მოწყალებამ კანონიკმა მიკოლაი კოპერნიკმა! -

კუგლერმა ჯერ კასპერსა და კონოპკას გადახედა, მერე მედიდურად თქვა:

— ბედი გქონიათ, გლეხებო: ერთ-ორ დღეში უკვე კანონიკ მიკოლაი კოპერნიკთან ვიქნებით. შეიძლება მის უსამღვდელოესობა ეპისკოპოს ვაცენროდთანაც შეგვახვედრონ... რა გაგვირვებიათ, რითი შეუძლიათ თქვენი დახმარება, გლეხო? ოღონდ, მანამდე შემომხედე ერთი კარგად, ვგავარ ყაჩაღს, რომელიც სოფლებს გიძარცვავთ და ქალ-რძალთ გიწბილებთ? ჰა? მე კი წმინდა სისხლის გერმანელი ვარ, შვილი და შვილიშვილი გერმანელისა... სანამ წამოაყრანტალებდე რამეს, კარგად უნდა დაუფიქრდე!

— ნუ გაგვიჯავრდებით, ჩვენი სიბნელეა ყველაფერში დამნაშავე,—შეღაღადა გლეხმა და თოვლში პირქვე დაემხო, — სიმართლე თქვენკენაა, გერმანელებშიც არიან კარგი ადამიანები. ჩვენზე კარგად ვინ იცის ეს: ჩვენთან, ზღვისპირეთში, ვერც გაარჩევ, ვინ გერმანელია, ვინ პოლონელი, ყველას ერთნაირი გასაჭირი გვადგას... ერთ კოსტიოლში დავდივართ...ერთ მეათედს ვიხდით... მაგრამ ესენი ჩვენი გერმანელები არიან... კშიჟაკები კი ხალხადაც არ გვთვლიან... მაგრამ აქაც თქვენკენაა სიმართლე: როცა უფროსობა

[1] ბისკუპი — უბრალო ხალხი ასე უწოდებდა ეპისკოპოსს.

შორსაა, უბრალო რეიტერები — იგივე გერმანელები! — უფრო გულმოწყალედ გვექცევიან, ვიდრე ჩვენივე ძმები, პოლონელები... გაგონილი გექნებათ, ალბათ, პან, გდანსკელმა მეზღვაურებმა, თანაც შორეული ქვეყნებიდან დაბრუნებულებმა, რა ჩაიდინეს ჩვენს სოფელში?

— აბა, აბა, იცრუე და ზომა იცოდე! — კოფოდან გამოეხმაურა პან კონოპკა. — მეც მოვკარი ყური, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ პოლონელი მეზღვაური, ისიც შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებული, პოლონურ სოფელში უნამუსოდ მოიქცეს.

— გვაპატიეთ, თქვენო მოწყალებავ, ჩვენი სულელური ლაპარაკი, — მთლად დაბნეული გლეხი ახლა ბოცმანისაკენ გახოხდა მუხლებით. — კაშუბები[1] ვართ... კშიეკების ქვეშევრდომები, მამაცი მეზღვაურები შეიძლება ამიტომ არიან ჩვენზე გულაყრილები...

კასპერს შეეცოდა უბედური გლეხი და საუბარში ჩაერია.

— მაინც რა დახმარებას მოელით კანონიკი მიკოლაისაგან? — იკითხა ინტერესით.

— კანონიკი მიკოლაი წმიდა კაცია! — ერთხმად იყვირა ხალხმა.

— მე ავადმყოფი ბიჭი მომირჩინა, — თქვა ერთმა.

— მე ორი ტალერი მომცა, — მხარი აუბა მეორემ.

— ჩემს ძმისწულს წერა-კითხვა ასწავლა...

— აბა მაშ, გაირეკეთ ეგ თქვენი საქონელი, სანამ ინათებდეს, — აღარ დააცალა კუგლერმა გლეხებს. — იმიტომ რომ, — აქ იგი კასპერისაკენ მიბრუნდა და თვალი ჩაუკრა, — არც პოლონელი შლიახტიჩები წასულან შორს გერმანელი რაინდებისაგან. გაფრთხილდით, თვალი არ დაადგან თქვენს საქონელს.

კასპერმა ვუეკს სახელო ჩამოსწია იმ იმედით, პოლონელ შლიახტს გამოექომაგებაო, მაგრამ ბოცმანმა ვაჭრის დასტურად თავი დააქნია.

— მაპატიე, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელო და, ეგრეა საქმე: პანი პანს წაეკიდა, ვაი ყმის ბრალიო! მართალს ამბობს ბატონი ვაჭარი, ეგ ფარა ლიძბარკამდე ყამირით გაირეკეთ. ჩვენც იქით დავიძვრებით, ოღონდ ცოტა შორიდან, ტორუნის გზით, მოვუვლით.

ის იყო, გლეხი თავისიანებს უნდა შერეოდა, რომ კუგლერმა ხმა დააწია:

— ეი, გლეხკაცო, ერთ ბატკანს ხომ ვერ დაგვითმობდი, ჰა? აბა, მაშ, უსარგებლოდ ხომ არ დავკარგავთ ან ჩვენს, ან მისი უსამღვდელოესობის დროს თქვენს საქმეზე ლაპარაკით!

---

[1] კაშუბები — პოლონელები. პოლონეთის ზღვისპირა სავოევოდოებისა და იმ ოლქებში მცხოვრებნი, რომლებიც ტევტონთა ორდენს ეკუთვნოდა.

— ბატონო კუგლერო, რას ამბობთ! — შეშფოთებით წამოიძახა კასპერმა: — მაგ ღატაკს უკანასკნელ ლუკმას სწირავთ?!

— ოი, ოი, ყმაწვილო კაცო! — ამბობდა კუგლერი და თან გლეხს შეშინებულსა თუ სიცივისაგან აცახცახებულ ბატკანს ართმევდა.— ცხოვრებისა არაფერი გაგეგებათ. განა მაგ უბედურისათვის სულ ერთი არ არის, ვის სტომაქში ჩავა ამ ცხვრის ხორცი? პოლონელის, გერმანელის, სასულიერო თუ საერო კაცის სტომაქში... როცა დანამდვილებით შემიძლია გითხრა, რომ მაგ გლეხის მუცელში არამც და არამც არ ჩავა!

ამ შეხვედრამ საბოლოოდ დაუფრთხო ძილი მგზავრებს: ვუეკმა: ცოტა შევნაყრდეთო და სამივე მის წამოღებულ საგზალს შეექცა.

რაც გინდ გულმოსული ყოფილიყო კასპერი ღარიბ გლეხთან კუგლერის საქციელის გამო, მაინც არ შეეძლო არ შეემჩნია ვაჭრის გონიერება და ცხოვრების ცოდნის უნარი.

— აი, რა ბდება პოლონეთის მიწაზე, — საქმლის ღეკვა-ღეკვით ნელ-ნელა ლაპარაკობდა კუგლერი: — თქვენ თქვენს სულიერ მამებზე ხართ გაჯავრებულნი, ჩემთვის კი, გამოგიტყდებით, პტოლემეოსსა და პურბახზე მსჯელობა იგივეა, რაც ხვადი კატისათვის რახით გამასპინძლება. შეიძლება მღვდლები უმიზეზოდ ავიჯირღნენ, შეიძლება თქვენც ტყუილუბრალოდ ემდურით... ჩვენ კი, ვაჭრებს, შლიახტებმა თქვენს მღვდლებზე უარესად გაგვაბეზრეს თავი. წინათ ვაჭარს ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი საქონელი გაპქონდა, ახლა კი შლიახტს შურს ჩვენი მონაგები. ჰოდა, მარცვლეულით უკვე თვითონ, ჩვენი წარჩინებული თავადები ვაჭრობენ... არაყს. ლუდსა და რახს ხომ იგივე მარცვლეულისგან ხდიან, ამიტომ ამ საქონლით ვაჭრობაც ახლა მხოლოდ შლიახტს შეუძლია... წინათ ყველაფერი გარკვეული იყო: შლიახტა ომობდა, გლეხი — არჩენდა. ახლა პანებმა მეურნეობას მოჰკიდეს ხელი, გლეხებს სანადელო მიწის ნაგლეჯებიდან ერეკებიან. გლეხი კვირაში სამ დღეს პანისთვის მუშობს, სამს — თავისთვის. კარგი პატრონი ცხვარს გაკრეჭავს და მაძღრისადაც იყოლიებს, — მატყლიც ბლომად შემოუვა, ცუდი — გაკრეჭავს და ყელსაც გამოღადრავს, ხვალინდელ დღეზე აღარ იფიქრებს. ასეა ახლანდელი შლიახტაც: გლეხს მიწაზე აღებინებს ხელს, ვაჭარს — ვაჭრობაზე... პანისაგან კი რა ვაჭარი უნდა დადგეს?! უნდა გამოგიტყდე, ბატონო სტუდენტო, რომ ვაჭარს ხახ ეშმაკობა სჭირდება, ხან მოტყუილება, ხან მყიდველისაგან შეურაცხყოფის ატანაც. ჩვენს დიდებულებს კი შეუძლიათ ამდაგვარი რამ? ამიტომაც იყვანენ ათასგვარ შუამავლებსა და მოურავებს. ჯანდაბას, თუკი მეზობლებს — გერმანელებს — დაიქირავებენ. არა, უცხოელებზე — იტალიელებსა და ფლამანდიელებზე უჭირავთ

თვალი... სასაცილო რამ გამოდის, პირდაპირ! აქაური ოქრო უცხო ქვეყნებში მიედინება, იქიდან კი დიდებულებს ათასგვარი ზიზილ-პიპილოები შემოაქვთ. მათს ქალიშვილებს თავიანთ მამულებში ცხოვრება აღარ უნდათ — ვის ვაჩვენოთო აბრეშუმისა და ხავერდის ტანსაცმელი, ყველა კრაკოვისაკენ იწევს. თუ ნახა პანმა მთელი ქუჩა ახალი სახლებით? ისინი ხომ არც ვაჭრებს ეკუთვნის, არც ხელოსნებს, შლიახტიჩები დასახლდნენ მეფესთან ახლოს. ამ თხუთმეტი წლის წინ, პეტრკოვის სეიმის შემდეგ, წახდა ჩვენი საქმე, როცა შლიახტამ გადაწყვიტა ვაჭრობისათვის მოეკიდა ხელი...

მთელი გზა, ქალაქ ტორუნში ჩასვლამდე, სულ ამდაგვარად ესაუბრებოდა ვაჭარი კასპერს. ხან აგინებდა შლიახტებსა და მღვდლებს, ხან გლეხებს იცოდებდა, თავს ნებას აძლევდა და „ბიდლოებს“[1] ეძახდა. „ბიდლოები“ არიან, მაშ რა, გაყოფენ უღელში თავს და უსიტყვოდ ითმენენ ლანძღვა-გინებას“.

კასპერს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა კუგლერთან ბოლო საუბარი.

— ამიტომაც განსაკუთრებული პატივის გამოხატვა გვიჯდება ისეთი შლიახტიჩების მიმართ, როგორიც თქვენი მეგობრის, ზბიგნევის, მამაა. პანი სუხოდოლსკი დიდი სიმდიდრის პატრონი არაა, მაგრამ მის სულში ნამდვილი ძველპოლონური ჰონორი ცოცხლობს. ფულს უანგარიშოდ იდებს ჯიბეში. თუ რამ საყიდელი მოეწონა, შეუვაჭრებლად ჩაგითვლის იმდენს, რამდენსაც მოსთხოვ... ყოფილა პან კასპერი „სუხოი დოლში?“ ან გდანსკში, მათს მშვენიერ სახლში? იცნობს პანი პანენკა ვანდას?

— მათს მამულში შარშანწინ ვიყავი... რა დროს ვანძას პანენკობაა! ჭკის ბახალასავითაა აკლანჭული! თუმცა, თქვენ ამბობთ უკვე დაქალიშვილდაო? — შეეკითხა ფიქრებში წასული კასპერი, გაახსენდა, რომ მიტა ვანდა სუხოდოლსკაიაზე. დიდი არც იქნებოდა.

— მშვენიერი, ჭკვიანი და კარგად აღზრდილი ქალიშვილია!... — გაეპასუხა აღფრთოვანებული ვაჭარი. — რა ბედნიერებაა, რომ ასეთი განსწავლული და ღირსეული ყმაწვილი კაცის წამოყვანა მომიხდა. — უცებ ჩაურთო კუგლერმა დაწყებულ საუბართან დაუკავშირებლად. — თქვენთან ყოფნამ მოსაწყენი გზის გავლა რამდენადმე გამიიოლა. ნათქვამია, კაცი გზა-მგზავრობაში იცნობაო. ძალიან გთხოვთ, გდანსკში რომ ჩამობრძანდებით, მეც მესტუმროთ ჩემს ახალ სახლში, ბაზართან ახლოს!

— დიდი მადლობელი ვარ, — მიუგო შემცბარმა სტუდენტმა, — მაგრამ ჩვენს შეხვედრაზე თუ ვიტყვით რამეს, მაშინ იგი ჩემთვის

[1] ბიდლო — (პოლ. უკრ.) პირუტყვი.

უფრო ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თქვენთვის. თქვენ ფასდაუდებელ სამსახურს მიწევთ ლიძბარკში წაყვანით. ჩვენი საუბრიდან კი, ჭეშმარიტად, მე უფრო მეტი სასარგებლო რამ გამოვიტანე, ვიდრე ბატონმა ვაჭარმა.

კუგლერმა გამჭოლავად გახედა თანამგზავრს.

— სამსახური სამსახურის წილ, — მიუგო ჩაცინებით, — მაშ, იმედი ვიქონიო, რომ ყმაწვილ კაცს თუ კვლავ მოუხდება სუხოდოლსკების ოჯახში მისვლა, პან ვაცლავთან, პანი ანგელინასთან და აგრეთვე მშვენიერ პანენკა ვანდასთან, ჩემზე კეთილად სათქმელ სიტყვას არ დაიშურებს?

ვაჭრის თხოვნაში კასპერს არაფერი მოსჩვენებია ახირებული ან შეუძლებელი, მაგრამ სტუდენტი გააოცა კუგლერის სახეზე გადარბენილმა სიხარბის, ამავე დროს რაღაც შესაბრალისმა გამომეტყველებამ.

„მართლაც და, რას ჩავაცივდი? — იმწამსვე გაიფიქრა კასპერმა: — ვაჭარია და ვაჭარი. რა თქმა უნდა, მოეწონება პან სუხოდოლსკისნაირ კეთილშობილ შლიახტიჩთან საქმის დაჭერა. მაინც, სჯობია, შეცდომაში არ შევიყვანო“.

— პან კუგლერ, დიდი სიამოვნებით გაგიწევდით ყველაზე უკეთეს რეკომენდაციას, მაგრამ მე არც ისე გაშინაურებული კაცი ვარ სუხოდოლსკების ოჯახში. აი, ზბიშეკი — სულ სხვაა, მაგრამ, ღმერთმა იცის, როდისღა შევხვდები...

— პან სტუდენტი ლიძბარკში მიდის, მგონი, არ ეცდები? მაშ, თუ პანი კანონიკი კოპერნიკის ნდობას მოიპოვებს, დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი, იგი ჩქარა გაერევა დიდ ხალხში! განა სახუმარო საქმეა? — მისმა უსამღვდელოესობამ თავისი ორივე ძმისშვილისათვის კანონიკის წოდება მოიპოვა, ახლა კი, დიაცეზის ჯინაზე. მთელი ვარმიის საქმეს განაგებს. ეპისკოპოსს მეტი წონა აქვს ვარმიაში, ვიდრე ჩვენს მეფეს ზიგმუნდს პოლონეთში. გავბედავ კითხვას: პანი დიდი ხანია იცნობს ღირსსაქებელ კანონიკს?

კასპერს სახეზე ისეთმა ალმურმა აჰკრა, თვალებმა ტკივილი დაუწყო, ყმაწვილ კაცს ყურის ძირებიც კი გაუწითლდა.

— პან კუგლერმა, მგონი, სწორად ვერ გაიგო პან კონოპკას ნათქვამი, — ბორძიკით დაიწყო კასპერმა, — მე მისი მაღალღირსება თვალითაც არ მინახავს. მართალია, ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, პან კონოპკას შემთხვევა ჰქონდა, სამსახური გაეწია კანონიკის დედისთვის, მაგრამ ამის გამო, არა მგონია, მისი ყურადღების იმედი ვიქონიო... მე მინდოდა... როგორც ვატყობ, პან კუგლერს კარგი ნაცნობობა აქვს... ერთი დიდი სათხოვარი მექნება პან კუგლერთან...

— მაშ, ასე, — კუგლერმა უცერემონიოდ გააწყვეტინა კასპერს სიტყვა. ბეწვშემოვლებული განიერი სახელოდან საანგარიშო გამოაძვრინა და აჩქარებით ააჩხაკუნა.

კასპერმა გარეთ გაიხედა, თვალით ეძებდა წმინდა ქალწულის ქანდაკებას ან გზისპირა ჯვარცმას.

— ლოცვის დრო არაა, თქვენ როგორ ფიქრობთ? — დაცინვით ჰკითხა კუგლერმა. მე არცა ველოცულობ ხოლმე. ეს საანგარიშო გზაში შეუცვლელი რამ არის. ამაზე ვანგარიშობ ჩემს მოგება-წაგებას. გზაში ყველაფრის ანგარიში შეიძლება, რასაც შინ ვერ მოასწრებ, თან ღვთისმოსავი კაცის სახელსაც დაიგდებ, — ქირქილით დაატანა ვაჭარმა. — მე ეს ანგარიში, არც მეტი, არც ნაკლები, წმინდა იანის ტაძრის წინამძღვრისგან ვისწავლე. ერთხელ ერთად მივდივართ ქუჩაში. უცებ მანაც სახელოდან ჩემსავით გამოიღო საანგარიშო და თავისთვის ადუდღუნდა ცხვირში. ყური მივუგდე, ის კი: „ეკლესიის მნათესგან — თოთხმეტი ტალერი მივუმატოთ. პან ოლესნიცკოვისგან — ას ათი ტალერი, სამიც — პროცენტში...“ მაშ, ყმაწვილო კაცო. ჰო, მართლა, რის თხოვნას აპირებდი წელან?

— ძალიან მიხარია, რომ მოგეწონეთ, — დაიწყო კასპერმა მორიდებით, — თუკი ბედმა არ გამიღიმა ლიიბარკში, იქნებ პან ნეგოციანტს რეკომენდაცია მოეცა...

— არ ვიცი, არ ვიცი, — ვაჭარმა კვლავ არ დაამთავრებინა სათქმელი კასპერს. — მე თქვენ გთხოვეთ, სუხოდოლსკების ოჯახში ჩემზე კარგი რამ გეთქვათ, ხომ ასეა? გთხოვეთ, თან დარწმუნებული ვიყავი, ყმაწვილი კაცი ასე მიპასუხებდა: „დედაო ღვთისავ, ჩენსტოხოვსკისა! როგორ უნდა გაგიწოთ რეკომენდაცია ისეთ პატივსაცემ ოჯახში! მე ხომ დღეს პირველად გხედავთ!“ მაგრამ სტუდენტმა ვერ გამოიჩინა საჭირო წინდახედულობა. მე დიდად არ ვიქნები თქვენზე უფროსი, მაგრამ იმდენ? გამოცდილება კი მაქვს, რომ პირველ შემხვედრს რეკომენდაცია არავისთან მივცე!

კასპერმა ამოიოხრა, ალბათ, ვაჭარი თავისებურად მართალიაო. ოღონდ მეტად მოულოდნელი იყო ამ მწარე სიტყვების მოსმენა კუგლერის წელანდელი გულგახსნილობის მერე. ახლა უფრო ღრმად ჩაუკვირდა ჭაბუკი თავის ბედს. „ოჰ, მიტა, მიტა, ნეტავი დიდი ხნით დავშორდით ერთმანეთს? ან თუ მოვეწონები იმ განსწავლულ კაცს, მიკოლაი კოპერნიკს? ან ნახვა თუ მაინც მეღირსება. მისი?“— ფიქრობდა დანაღვლიანებული კასპერი.

ფიქრებით გარემოცულმა ჭაბუკმა ვერც შეამჩნია, საღამოს ცაზე როგორ გამოიკვეთა სახლებისა და კოშკების შპილები.

— ტორუნი, — გამოაცხადა პან კონოპკამ და მათრახი წინ გაიშვირა.

თავი მეოთხე

ლიძბარკის ციხე-კოშკი

— რა ლამაზი ყოფილა ტორუნი, ვუეკ! — უთხრა ქალაქის დათვალიერების შემდეგ ტრაქტირში დაბრუნებულმა კასპერმა კონოპკას. — კრაკოვსაც კი გაეჯიბრება... თან ხალხიც რამდენია! რომელი ქვეყნიდან გინდა, რომ არ იყვნენ ჩამოსულები! როგორც ჩვენთანაა, გდანსკში! ყური მიუგდე, თუნდაც, აქ, ტრაქტირში, პოლონურადაც ლაპარაკობენ, ლათინურადაც, ფრანგულადაც და ესპანურადაც... იცი, ვუეკ, ლიძბარკში მოწყობის იმედი რომ არ მქონდეს, და კრაკოვზე არა ვფიქრობდე, მგონი, აქედან აღარასოდეს წავიდოდი!

— ეგრე ვატყობ, კასიუ, ეგ წადილი იმაზე ადრე აგისრულდება. ვიდრე შენა გგონია, — მიუგო მოღუშულმა ბოცმანმა. — ეგ ჩვენი ვაჭარი დიდი მუდრეგი ვინმე გამოდგა! მე კიდევ ვცდილობდი, ნამდვილ მემარხილესავით მოვმსახურებოდი! ცხენებსაც ვუვლიდი. მარხილსაც ვრეცხავდი — და ამას კი ვეღარასოდეს ვაპატიებ თავს — იმ უბედური გლეხისგან წართმეული ბატკნის შეწვაც ვუბრძანე მზარეულს! თან ამ ჩემი სამსახურის სანაცვლოდ არც როგორი სასყიდელი არ მომითხოვია, ოღონდაც ლიძბარკამდე ჩავეყვანეთ. იმან კი...

— რა? — ჩაეკითხა შეშფოთებული კასპერი.

— რა და, აქ, ტორუნში, ვიღაც თავისიანი გერმანელი გამონახა, პოლონელებზე კი, რაღა თქმა უნდა, ხელები დაიბანა! არა, მთლად სწორად ვერა ვთქვი: თავისიანი ვაჭარი კაცი გამონახა, ჰოდა, გასაგებია, სტუდენტსა და ბოცმანზე ხელი დაიბანა! იდურდურეს, იდურდურეს თავიანთებურად, ეგონათ, ვერ გავიგებდი. აბა. ერთი მითხარი, რომელ გდანსკელს არ ესმის გერმანული! იმან, მეორე გერმანელმა, ჩვენსას სთხოვა, მე წაგიყვანო. ჰოდა, კუგლერიც მეუბნება: მართალია, შენ წამოღებულ ღორისა და ბატის ხორცს მივირთმევდი, მაგრამ, სამაგიეროდ, შენცა და შენმა სტუდენტმაც ჩემი ცხენებით კარგა ორი კვირა იმგზავრეთო! ქერიცო, მეუბნება, ფული ღირსო! გავიხედე და ის გერმანელი უკვე კოფოზე მიბობღავს. იცი, კასიო, ძუნწი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მეტისმეტად მომერია სიბრაზე: მაშ, გეხრამუნებინა-მეთქი, — ვეუბნები, — ეგ შენი ქერი მთელ ორ კვირას, ჩემს ბატის ხორცსა და ქონს რაღას ეტანებოდი-მეთქი.

მხიარულმა ხარხარმა შეაწყვეტინა პან კონოპკას ლაპარაკი.

— გდანსკელები ხართ? — იკითხა მომცრო ტანის კანონიკმა და

კასპერსა და ვუეკს ხელით ანიშნა, ჩვენ ახლოს დასხედითო, — უფროს პანს ლაპარაკის კილოსა და მიმოხრაზე შევატყვე. აბა, პან მეზღვაურო, გაიმეორეთ, რა უთხარით ვაჭარს.

ორმა კანონიკმა სულაც ზრ ითაკილა, ისე მიიღო მეზობელი მაგიდიდან ვუეკის გამასპინძლება. მერე ტრაქტირის პატრონს თვითონაც შეუკვეთეს ფლიაკებიცა და რახიც, მაგრამ, როგორც ჭაბუკმა შეამჩნია, უფრო ბოცმანსა და მას სთავაზობდნენ, თვითონ კი მაინცადამაინც არ ეტანებოდნენ სასმელ-საჭმელს.

კანონიკები ერთმანეთში საუბრობდნენ და შიგადაშიგ თუ გაეხმიანებოდნენ ხოლმე კონოპკასა და კასპერს. მათი საუბარი მხოლოდ იმ ორისთვის იყო გასაგები, თუმცა, ლათინურად კი არა, როგორც სწავლული კაცებისაგან იყო მოსალოდნელი, წმინდა კრაკოვულ კილოზე ლაპარაკობდნენ: რამდენადაც გაერკვა ჭაბუკი სტუდენტი, საუბარი სისხლის მიმოქცევასა და ადამიანის სხეულის აგებულებას შეეხებოდა, რისაც კასპერს ბევრი არაფერი გაეგებოდა. უფრო მაღალმა კანონიკმა თანამოსაუბრის დასარწმუნებლად სარტყლიდან სამგზავრო მელანი და ბატის ფრთა ამოიღო და ფურცელზე რაღაც წრეებისა და ოვალების გამოყვანას შეუდგა.

— ღვიძლი ღვიძლია, მაგრამ ძმა მიკოლაი ამბობს, სისხლი აქ, აი, ამ გზით შემოდისო, — და სისხლის მიმართულება ისრებით აჩვენა.

მომცრო ტანის კანონიკმა მაღალს ხელიდან კალამი გამოართვა და შეეპასუხა, თან თვითონაც რაღაც დახაზა ქაღალდზე. ჩვენმა ბარაქალა ბოცმანმა კი, ამასობაში, იმდენჯერ მოიყუდა და მოიხსნა კალის ტოლჩა, რომ, ბოლოს, გათამამებულმა წამოიძახა:

— არა, მაინც, წმინდა მამებო, რა წარამარა გავიძახით „პან მეზღვაურო“, „პან სტუდენტო“, „პან კანონიკო“, გეგონებოდეს, ნათლობისას ქრისტიანული სახელები არ მოეცეთ ჩვენთვის! მართალია, დიდგვაროვანი არა ვარ, მაგრამ, იმასაც გეტყვით, არც მერცხვინება ჩემი გვარისა. მე იაკუბ კონოპკას მეძახიან, ჩვიდმეტი წელი ვიმსახურე გდანსკის სამანძიან გემ „იასკოლკაზე“, ჩემი თანამგზავრი კრაკოვის აკადემიის სტუდენტი კასპერ ბერნატია. მივდივართ ვარმიის ეპისკოპოსის ძმისწულის კანონიკ მიკოლაი კოპერნიკის მიწვევით. მაგრამ, ეს ოხერი, ცხენების საქმე ვეღარ გვაქვს კარგად... ახლა წმინდა მამები რაღას გვიბრძანებენ, რა სახელებით მივმართოთ?

შეშფოთებულმა კასპერმა აღარ იცოდა, სად წასულიყო: ჯერ ერთი, ვუეკი კვლავ აშკარად იკვეხნიდა, ლიძბარკში ვართო მიწვე-

[1] ფლიაკი — პოლონური ნაციონალური საჭმელი.

ულები, მეორეც, უხერხული იყო, მგზავრებისათვის ისეთი რამ გეკითხა, რაზედაც თვითონ დუმდნენ. კასპერი უფრო მეტად შეშფოთდა, როცა მომცრო ტანის კანონიკმა ბატის ფრთა გადადო და კეთილი ღიმილით თქვა:

— მადლობელნი ვართ გულახდილობისათვის, პან კონოპკა, და მოხარულნიც, რომ შეგვიძლია ასეთივე გულახდილობით გიპასუხოთ. ეს კაცი სწავლული მედიკია, მამა იან ბარკოვსკი, მე კი მამა ტიდემან გიზე დამიძახეთ. თუ რაღაც გასაჭირი გადგათ ცხენების მხრივ, მე წაგიყვანთ დიდი სიხარულით. მეტისმეტ სიამოვნებას მომანიჭებს მამა მიკოლაის სტუმრების დახმარება, — თან, კასპერის გულის გასახეთქად, დაურთო: — მეც მასთან, ციხე-კოშკ ლიძბარკში მივდივარ.

...ზედ ტევტონთა ორდენის საზღვართან, ბალტიის ზღვის გდანსკის ყურიდან სამოც კილომეტრზე აზიდულიყო ლიძბარკის ციხე-კოშკი.

მაღალი, მუქი ყვითელი ქვით ნაგები შენობა ოთხი კოშკით მთავრდებოდა. კოშკებზე ვარმიის ქალაქების გერბებიანი დროშები ფრიალებდა. იქ მიმავალ მგზავრს მარტო ესეც მიახვედრებდა, რომ სწორედ აქ იყო ვარმიის ოლქის მმართველობის ცენტრი, რეზიდენცია ვარმიის ხელისუფლის და მეუფის, ეპისკოპოს ლუკაშ ვაცენროდისა.

— ესეც ასე, დიდება წმინდა მარიამს, მგონი, მოვედით, — თქვა მგზავრობაში უკვე გამოფხიზლებულმა ვუეკმა. — აბა, უყურეთ. ვითომ ესეც ციხე-კოშკის გარე ეზოა. ეჰ, თქვენცა! — დაატანა, როცა შეატყო, რომ ცხენების გამოშვებას არავინ აპირებდა.

ლიძბარკის შიდა ეზოში შესული მემარხილე და ვუეკი სანამ ბარგს გადმოაწყობდნენ, სანამ ოფლისგან ალაპლაპებული, ორთქლადენილი ცხენები მძიმედ ქშინავდნენ და ფეხს ფეხზე ინაცვლებდნენ, კასპერი აჩქარებით გადმოხტა ძირს, რომ ვეება ქურქში ჩაფლულ გალეულ მამა ტიდემანს გადმოსვლაში მიხმარებოდა.

მრავალი წლის შემდეგ, როცა კასპერი „ლიძბარკში მგზავრობას“ იხსენებდა ხოლმე, ხშირად ჩაფიქრებულა, რით დაიწყო ჩემი და მამა გიზეს გულითადი საუბარიო. რაღაზე „აღარ ილაპარაკეს მაშინ! — ილაპარაკეს პოლონეთზეცა და კოშუბებზეც, რომელთაც მცირესა და დიდ პოლონეთში მცხოვრებ გლეხებზე სამჯერ მეტი გასაჭირი ადგათ.

გერმანელები იმიტომ ავიწროებდნენ კოშუბებს, პოლონელები არიანო, პოლონელები იმიტომ — ამდენი ხნის მეზობლად ცხოვრების გამო კოშუბები გერმანელებთან დანათესავდნენ და დანათლი-

ავდხენ. თან თავიანთი პანებიც უპერდნენ ყელში, თან საეკლესიო მეათედსაც აქ უფრო მკაცრად ახდევინებდნენ, ვიდრე სხვაგან.

მამა ტიდემანი ბევრს ელაპარაკა ჭაბუკს მიკოლაი კოპერნიკზე, იტალიის განთქმულ ქალაქებზე, სადაც მამა მიკოლაის ყოფნა მოუხდა: ვერონეზე, ბოლონიაზე, რომზე...

— იცით, საყვარელო ჭაბუკო, — მიმართა გიზემ და მხარზე დაადო ხელი, — ბევრს ეგონა, ძმა მიკოლაი აღარ დაუბრუნდებოდა თავის მიყრუებულ სარმატიას. იმიტომ ეგონათ, რომ ბიძამ, ეპისკოპოსმა ვაცენროდმა, იტალიაში ორი წლით გაგზავნა, მიკოლაიმ კი ხუთი წელი დაჰყო. მერე მეორედაც გაემგზავრა იტალიაში—კიდევ ხუთი წლით. მოშურნენი ვარაუდობდნენ, რომ სასულიერო ხარისხს ვეღარც მიკოლაი მიიღებდა, ვეღარც მისი ძმა, ანჯეი. ეპისკოპოსმა ისიც გაგზავნა იტალიაში... ძმები იქ დიდკაცური გალაღებით ცხოვრობდნენ. ბოლონიაში მიკოლაი არფაზეც კი მღეროდა მოხეტიალე მომღერალ მატიტოსთან ერთად. ფლორენციაში დიდი ლეონარდო და ვინჩის პორტრეტს წერდა, თან მასთან ერთად დაწვრილებით სწავლობდა ადამიანის სხეულის ფგებულებას. რომში კი პროფესორ ლორენცო ბონინკონტრისთან[1] ერთად ვარსკვლავებსა და ცთვარის დაბნელებას აკვირდებოდა. „თავის ქვეყანასაც დაივიწყებს და მისადმი მოვალეობასაც“, — ფიქრობდნენ ზოგიერთნი, მე კი მაშინვე ვიცოდი, მიკოლაიმ სპეციალობად მედიცინა იმიტომ აირჩია, რომ ვარმიაში დაბრუნებულს დრო ჩვენი ღარიბი გლეხობის მკურნალობისა და თავისი საყვარელი საქმის, ვარსკვლავთა მეცნიერებისათვის გაეყო.

ეს გულითადი საუბარი სწავლულ კანონიკ ტიდემან გიზესა და კრაკოვის უნივერსიტეტის უცნობ სტუდენტ კასპერ ბერნატს შორის ზბიგნევის საჩუქრის, — ბერძენი სიმოკატის ფილოსოფიური წერილების პატარა ტომის გამო დაიწყო.

მოულოდნელად კასპერს წიგნი დაუვარდა და შეამჩნია, კანონიკი რა მონდომებით დააცქერდა გადაშლილ პირველ გვერდებს.

— ლექსებია? — იკითხა ტიდემან გიზემ. — ლექსებითა ხართ, ყმაწვილო, გატაცებული? ალბათ, თვითონაც სცოდავთ, არა?

კასპერს გაახსენდა რამდენიმე უსუსური ცდა, მიტასთვის ლექსად გაემეღავნებინა თავისი გრძნობები.

— არა, მე და ლექსები შორიშორსა ვართ, — გულახდილად

---

[1] ბონინკონტრი და სან-მინიატო ლორენცო — XVI ს-ის ცნობილი რომაელი ასტროლოგი.

ალიარა კასპერმა, — აქ მხოლოდ სიმოკატის შრომისათვის ლექსად დაწერილი წინასიტყვაობაა...

— მაშ, ეგ წიგნი „ზნეობრივი ფიქრები“ ყოფილა... — გიზეშ ცნობისმოყვარედ გაიწვდინა ხელი. — როგორ ჩაგივარდათ ხელში? ამისი წინასიტყვაობა ლავრენტიუშ[1] კორვინის დაწერილია.

— ჩემმა მეგობარმა ზბიგნევმა მაჩუქა. წიგნებით მოვაკრე ბერმა უთხრა, „ზნეობრივი ფიქრები“ ბერძნულიდან ლათინურ ენაზე მიკოლაი კოპერნიკმა თარგმნაო. წინასიტყვაობა რომ წავიკითხე, კანონიკ კოპერნიკზე უფრო მეტი რამ შევიტყვე, ვიდრე თვით ბერძენ სიმოკატზე...

მან მთვარის სრბოლა ზეცის თაღზე გამოიძია,
მოხეტიალე მნათობების სრბოლა მარადი, —
შემოქმედება ჩვენი დიდი ციური მამის, —
ჭეშმარიტების შემეცნების დიდი გენიით
შეძლო გონებით გამოკვლევა პირველმიზეზი
ყოველივესი, იპოვება რაც სამყაროში! —

მამა გიზემ პათოსით წაიკითხა კორვინის ლექსის ბოლო სტრიქონები.

— როგორც ამ ბარაქალა ბოცმანის ნათქვამიდან შევიტყვე, — კანონიკმა მარხილის კუთხეში მხვრინავი ვუეკისაკენ გაიქნია თავი, — მიკოლაი კოპერნიკი თქვენი კარგი ნაცნობია, ხომ? თუ სხვებივით, თუნდაც, ლავრენტიუშ კორვინივით, თქვენც მისი შრომებითა ხართ გატაცებული?

მთელი მგზავრობის მანძილზე კასპერი მეორედ წამოენთო სირცხვილისაგან.

— არც ერთი და არც მეორე, სამწუხაროდ, — თქვა და მღელვარებისაგან სული ძლივს მოითქვა, — ლიძბარკში მიწვევაზე რომ ლაპარაკობდა, პან კონოპკა მხოლოდ თავის თავს გულისხმობდა... შეშთხვევის წყალობით ოდესღაც მიკოლაი კოპერნიკს მცირედი სამსახური გაუწია, მაგრამ არა მგონია, კოპერნიკს აქამდე ახსოვდეს ის ამბავი. მე კი მამა მიკოლაისთვის სრულიად უცხო კაცი ვარ. მისი შრომების გაცნობის საშუალება არ მომცემია, თუმცა დიდი და დაუოკებელი სურვილი მაქვს. განსაკუთრებით ლავრენტიუშ კორვინის წინასიტყვაობის წაკითხვის შემდეგ...

— უკვე ორჯერ შეცდით, შვილო, ჩემო, — სიტყვა მოუჭრა ტიდემან გიზემ. — ჯერ ერთი, ძმა მიკოლაი არასოდეს ივიწყებს იმ ადამიანებს, ვინც კი ოდესმე სამსახური გაუწია... მეორეც, განა

[1] ლავრენტიუშ (ლავრენტი) კორვინი (1469-1527) — კრაკოვის უნივერსიტეტის აღზრდილი, კოპერნიკის მეგობარი, პოეტი, ფილოსოფოსი.

შეიძლება მიკოლაისთვის უცხო კაცად ჩაითვალოს, ვისაც მისი შრომების გაცნობის დაუოკებელი სურვილი აქვს?!

აქ კასპერი მიხვდა, რომ მამა კანონიკისთვის უნდა მოეთხრო კრაკოვის აკადემიიდან თავისი გამორიცხვის ამბავი...

— მამა ტიდემან, თუკი იმაზე არაფერს ვიტყვით, რომ ამხანაგების მიტოვება მომიხდა... ამხანაგებისა და ჩემთვის ყველაზე მახლობელი ადამიანებისა, — დაურთო კასპერმა და მამა ტიდემანის გამჭოლავ გამოხედვაზე გაწითლდა, — ჩემთვის ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ უნდა იყოს, არა?.. მე ხომ მთელი სიცოცხლე ზღვაზე ვოცნებობდი და, პან კონოპკა თუ მომიხერხებს ვარმიის რომელიმე გემზე თუნდაც უბრალო მატროსად მოწყობას, თავს უზომოდ ბედნიერად ჩავთვლი...

მამა ტიდემანმა თავი გადააქნია.

— საგნები, რომელთაც ღირსსაქებელი კრაკოვის უნივერსიტეტში გადიოდით, მეცნიერული კამათები, ლექციები, ვარსკვლავიერი ცის რუკები, ევროპის უგანათლებულეს ადამიანებთან ურთიერთობანი—ყველაფერი ეს იმიტომ უნდა მიატოვოთ, რომ თოკების ჯაჯგურში დაისისხლიანოთ ხელები ან რომელიღაც გადაკარგულ ზღვაში სურავანდით დასივდეთ? — ჰკითხა ყვედრებით. — მეგონა, კრაკოველ სტუდენტს თავისი ალმა მატერისაგან მეტი სიამაყე გამოჰყვებოდა, მეტი ლტოლვა ცოდნისადმი... გამარკვიეთ, კოპერნიკთან გემზე მოსაწყობი რეკომენდაციის მისაღებად მიდიხართ, თუ თქვენი მეცნიერული ეჭვების გამოსარკვევად.

— მე ხომ ჩემი ნებით არ მიმიტოვებია კრაკოვი და აკადემია,— ხმა შეუკრთა კასპერს, — თანაც, ყველა სტუდენტმა, ვინც ახალი ქარის ქროლვას აჰყოლია, აკვიატებული ეჭვების გასარკვევად თავის საყვარელ მეცნიერს რომ მიმართოს, სწავლულ ხალხს თავისთვის რაღა დრო უნდა დარჩეს. ვინა ვარ მე, რომ კანონიკი კოპერნიკი თავის საქმეს მოვწყვიტო?

— ვინა ხარ შენ? — სიტყვა ჩამოართვა უცბად გაღვიძებულმა ვუეკმა. — ვინა ხარ და, მამაშენის, როხ ბერნატის შვილი! გსმენიათ ეს გვარი, წმიდა მამაო?

— თუ არ ვცდები, ამ სახელოვანმა კაპიტანმა ასობით კაცი იხსნა ქოლერისაგან, როცა მეკობრეებმა კაფეს ყურედან გასასვლელი ჩაკეტეს, არა?

— ზუსტად სამას თერთმეტი კაცი გადაარჩინა, შეგიძლიათ, შერწმუნოთ! თვითონ კი — უბედურება თუ გინდა, ესაა! — ხუთი წლის შემდეგ სწორედ ქოლერით გარდაიცვალა! ეგ კიდევ რა: კანონიკი მიკოლაის დედა რომ დაქვრივდა და გემი დასჭირდა მცირე-

წლოვანი შვილებით ტორუნიდან ვლოცლავეკში ჩასასვლელად, კაპიტანმა ითავა ეს საქმე... ქალებსა და ბავშვებს კი, ალბათ, გეცოდინებათ, გემზე არ... — ვუეკი დაწვრილებით აპირებდა განმარტებას, მაგრამ კასპერმა არ დაამთავრებინა.

— თქვენი ნათქვამიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ შეცნიერების სწავლა უნდა განვაგრძო? — შეეკითხა კასპერი კანონიკს. — მე მგონია, კრაკოვის აკადემიიდან გაძევების შემდეგ გამიჭირდება პოლონეთში თავშესაფრის პოვნა... — კასპერს კუგლერისაგან მიღებული გაკვეთილი გაახსენდა და შედგა, მაგრამ კანონიკი ისეთი თანაგრძნობით შეჰყურებდა, რომ დაბნეულმა ენის ბორძიკით მაინც დაასრულა სათქმელი: — თქვენ მე პირველად მხედავთ და, არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება შუამდგომლობა გთხოვოთ... ცუდად ნუ გამიგებთ, მე არც ამ წელს ვგულისხმობ, არც მომავალს, გამომცადეთ, დამავალეთ ყველაზე შავი სამუშაო და; თუ გულმოდგინება გამოვიჩინე...

კასპერი ვერც იფიქრებდა, თუ მის ნათქვამს ასეთი საშინელი რისხვა მოჰყვებოდა.

— გრცხვენოდეთ, ყმაწვილო კაცო! — წამოიყვირა პატარა ტანის კანონიკმა და მწყრალად შეათვალიერა კასპერი. — კრაკოვის აკადემიის აღზრდილი რა შავ სამუშაოს უნდა თხოულობდეთ! როგორც თქვენი საუბრიდან შევიტყვე, უკვე გაგივლიათ „თავისუფალი ხელოვნების“ ფაკულტეტი, ახლა იმაზე უნდა ფიქრობდეთ, რომელი პროფესორისაკენ გიხმობთ მოწოდება... ოღონდ ნუ აჩქარდებით... სანამ საეკლესიო სამართლის დოქტორის წოდებას მიიღებდა, მიკოლაი კოპერნიკმა ლიტერატურაც შეისწავალა, მათემატიკაც, ასტრონომიაც... ბიძამისი საეკლესიო სამართალს აძალებდა, რადგანაც იმედი ჰქონდა, დიაცეზის მმართველობაში მიკოლაი თანდათან ჩემი მემკვიდრე გახდებაო. მაშინ ეს ცოდნა მეტისმეტად გამოადგებოდა მიკოლაის... მაგრამ კანონიკის ათასგვარი წვრილმანი საზრუნავი და მოვალეობანი არ იზიდავდა მას. ეპისკოპოსის დაჟინებული მოთხოვნით მან მაინც მიიღო საეკლესიო სამართლის დოქტორის ხარისხი, შემდეგ მედიცინის შესწავლას ჩაუჯდა და იტალიიდან სნეულებათა მკურნალობის მართლაც დიდი და ღრმა ცოდნა ჩამოიტანა. ალბათ მომიტევებს წმინდა ქალწული თუ ვცდები, მაგრამ ჩვენს მედიკებს, თავისდა სამარცხვინოდ, მიაჩნიათ, რომ კაცი, რომელიც ადამიანის სხეულს სადასტაქაროდ შეეხება, საეკლესიო ხელდასმის ღირსი აღარაა. ამიტომაც ბეითლები და დალაქები — ეს ხეპრე და უბირი ხალხი — ჩვენში მკურნალობენ კიდევაც, ჭრილობებსაც კერავენ და სისხლსაც უშვებენ... ეკლესიის მსახურმა კი, თუნდაც მედიცინის დოქტორის წოდება ჰქონდეს, მხოლოდ „უმაღლესი

სამკურნალო ხელოვნების“ დარიგებათა მიხედვით, სისხლის და-უღვრელად უნდა უმკურნალოს ავადმყოფს, მხოლოდ აბები, საზელები და სალბუნებლები იხმაროს. თუმცა, მიკოლაი, კანონიკი, მეცნიერი, ვარმიის ხელისუფლის ძმისშვილი და ლაიბ-მედიკი ყველაფერს სოფლის უბრალო დალაქივითა თუ ჯარაექიმივით ჰკიდებს ხელს. თითქმის მთელს კაპიტულს ისა მკურნალობს, სამაგიეროდ, კანონიკის მოვალეობაში შემავალი დიაცეზში ხშირი მიმოსვლისაგან გაათავისუფლეს. მას შეუძლია თავისუფალი დრო თავის საყვარელ ასტრონომიას მოახმაროს... ყოველივე ამას იმიტომ გეუბნებით, რომ სიყმაწვილეში კაცი ყოველთვის ჯეროვანად ვერ განსაზღვრავს თავის შესაძლებლობას. ჰოდა, ზღვამ, თქვენი მოწოდება რომ გგონიათ, შეიძლება მომავალში ადგილი დაუთმოს რომელიმე უფრო ღირსეულ მეცნიერებას. ხანდახან ახალგაზრდას თავის უნარში ეჭვი იმიტომ ეპარება, რომ მის მასწავლებელს ან გამოცდილება აკლდა ან გულმოდგინება... სამჯერ, ოთხჯერ შეამოწმეთ თავი, ვიდრე იმ საქმეს ამოირჩევდეთ, რომელიც ცხოვრების მიზნად უნდა გაიხადოთ!

— განა კანონიკი კოპერნიკიც არ ყოყმანობდა, სანამ არჩევანს ასტრონომიაზე შეაჩერებდა? — გაუბედავად იკითხა კასპერმა.

— ცის კვლევის სიყვარული მიკოლაის ყრმობიდანვე ჩაუნერგეს კანონიკმა ვოდკამ[1] და ბრუძეველმა პროფესორმა ვოიცეხმა[2] და თუ მიკოლაი ყოყმანობდა, მხოლოდ იმიტომ, ასტრონომიისათვის რომელი საქმე დამიტოვებსო მეტ დროს, — როგორც კასპერს მოეჩვენა, მამა ტიდემანმა უკმაყოფილად გაასწორა წეღანდელი ნათქვამი.

ამიტომაც კასპერი არამც და არამც აღარ მოელოდა ფრაზის ასეთ დაბოლოვებას:

— წინადაწინ ვერ დაგაიმედებთ — ძმა მიკოლაი თავის თავსაც ბევრსა სთხოვს და სხვებსაც... ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: მიკოლაის მცოდნე და გულმოდგინე დამხმარე სჭირდება. მერე, თუ მიიჩნევს, რომ კასპერ ბერნატმა საკმარისად შეითვისა მისი მეცნიერული სწავლებანი, შეიძლება უშუამდგომლოს კიდევაც მის უსამღვდელოესობა ეპისკოპოს ვაცენროდთან...

— უშუამდგომლებს; როგორ არ უშუამდგომლებს! — კვლავ ჩაერია საუბარში პან კონოპკა. — ხომ გითხარით, კაპიტანმა ბერნატ-

---

[1] კანონიკი ვოდკა—პოლონელი მეცნიერი, ბოლონიის უნივერსიტეტის ვარსკვლავთა მეცნიერების პროფესორი. მისი დაბადება-გარდაცვალების წლები არაა ცნობილი.

2 პროფესორი ვოიცეხი — ბრუძეველი (ბრუძევსკი) (1435—1494) — ცნობილი პოლონელი ასტრონომი.

მა ვლოცლავეკში კანონიკის დედა ორივე ბიჭით ჩაიყვანა-მეთქი... თანაც, არ დაგავიწყდეთ, წმინდა მამაო, კაპიკიც არ გამოურთმევია..

— ვუეკ, გაჩუმდი! — იყვირა შეშფოთებულმა კასპერმა, მაგრამ ტიდემან გიზემ ალერსით დაადო მკლავზე თავისი პატარა, სუსტი ხელი.

— თქვას... განა არ ვისწრაფვით, სულ მცირედ წვრილმანებამდე ვიცოდეთ მამა მიკოლაის ცხოვრება? — მერე ზეაწეული ხმით დასრულა: — გავა დრო და მთელი ქვეყნიერება გაიგებს, რომ მამა მიკოლაი კოპერნიკის მიერ განვლილი თითოეული დღე რაღაცას მატებდა მეცნიერებას.

— მეც მაგას ვამბობ, — წამოიძახა გამოქომაგებით გახალისებულმა ბოცმანმა, — ახლა ბევრი მოიძებნება კანონიკი მიკოლაის ნიჭიერებისა და განსწავლულობის მაქებარი, მე კი იმ დროს მინახავს, როცა, აი, ასეთი ერთი ციცქნელა ბიჭი იყო და მაინც, დამიჯერეთ მისი ძმა წყალში რომ ჩავარდა, დაუფიქრებლად გადაჰყვა თან. ახლა კაპიტან ბერნატისას თუ ვიტყვით, — თავისას არ იშლიდა ბოცმანი, — მართლაცდა ოქროკაცი იყო! ალეირელებს ტყვედ რომ ჩავუვარდი, იმან გამომისყიდა. ნამდვილი ესპანური დუბლონები ისე ჩაუთვალა ჩემი გულისთვის, თვალი არ დაუხამხამებია!.. მართალია, მერე მეც გამოვადექი, ორი წელი და რვა თვე დავყავი ალეირსა და მაროკოში. იმათებური ლაპარაკი ვისწავლე. მერე, ჩვენს კაპიტანს გაყიდვა მოუნდებოდა რამის, ყიდვა თუ იქაური ლოცმანის დაქირავება გემის ლოდებშუა გასატარებლად, ჩემ გარდა ვერავინ ახერხებდა გარიგებას. მერე ჩვენი „იასკოლკა" კონსტანტინოპოლში რომ ჩავიდა, მე უკვე ისე ვლაპარაკობდი თურქულად, კაპიტანს თარჯიმნადაც ვედექი... რასაც ვამბობ, იმიტომ ვამბობ, რომ ის ჩვენი კაპიტანიც, კოპერნიკივით, წყალში ჩავარდნილს თან ჩაჰყვებოდა გადასარჩენად... ჰოდა, კაცური კაცი ეთქმის ორივეს, არ უნდა ლაპარაკი!..

ტიდემან გიზემ ხელები გულზე დაიკრიბა და ტყავის საზურგეს მიეყრდნო.

— ჩემი ფიქრით, კანონიკის უფროსი ძმა სულ სხვანაირია, — გაუბედავად დაურთო ვუეკმა და გაჩუმდა, ეგონა, მამა ტიდემანს მარხილის რწევა-რწევაში ჩაეძინაო.

გიზეს შეჩიდროდ დახუჭულ ქუთუთოებს რომ შეხედა, ვეღარც კასპერმა გაბედა მისი შეწუხება. ამიტომაც გაოცდა ჭაბუკი, ლიძბარკს მიახლოებულმა კანონიკმა თავისი სხივიანი მზერა რომ მიაპყრო. კიდევ უფრო გაოცდა იგი მამა გიზეს ნათქვამით:

— მიკოლაი კოპერნიკი საქმიანი, კეთილშობილი და კეთილმოსურნე კაცია, მაგრამ თვით მისი ხვედრი გამოდგა საკმაოდ მძიმე.

მოშურნენი ამბობენ, ვაცენროდის ღონიერ ზურგს ამოფარებულმა ცხოვრება ლხინში გაატარაო. მაგრამ ასე არ არის... კაცი მხოლოდ ჭამისათვის არაა გაჩენილი. ღვთის ნებით მიკოლაი მაღალი საზოგადოების შვილია, ბუნებით — ფილოსოფოსი, მედიკი, პოეტი, ფერმწერი (დიახ, დიახ, ლიძბარკში შემახსენეთ და მიკოლაისაგან შესრულებულ ჩემს პორტრეტს გაჩვენებთ). და მაინც მიკოლაი იძულებული შეიქმნა ხარისხი მოეპოვებინა. რათა თავისი ბიძის, ეპისკოპოსის მემკვიდრეობის მიღება შეძლებოდა, რაკი ცოცხალთა შორის მეტი არც არავინ იმსახურებს ამ ადგილს. კანონიკისა და ვარმიის სასახლის ლაიბ-მედიკის საქმეები ჩაიბარა და ციურ სფეროთა შესწავლას შეუდგა გატაცებით, მაგრამ ახლა იძულებულია კვლავ მიატოვოს სექსტანტი და ასტროლაბი, რათა მახვილს მოჰკიდოს ხელი. თქვენ ლიძბარკში მოსვლა მოგიხდათ პოლონეთისათვის, მით უფრო, ვარმიისათვის მეტად მძიმე დღეებში. ჩვენი დასავლეთელი მეზობლები წარამარა გვირღვევენ საზღვრებს, წარამარა ხდება შეტაკებანი ტევტონთა ორდენის მეომრებსა და ჩვენი ქალაქის მოლაშქრეთა შორის... ამიტომ, ჩემი ფიქრით, ძმა მიკოლაი ვერ შეძლებს ისეთი ყურადღების მოქცევას, როგორსაც იმსახურებთ... დიახ, დიახ, როგორსაც იმსახურებთ! — გაიმეორა მამა ტიდემანმა, ყმაწვილი კაცის გაკვირვებულ მზერას რომ წააწყდა. — თქვენცა და ეს ბარაქალა მეზღვაურიც... ბევრ ქვეყანაში ბევრნაირი ხალხი შემხვედრია და პირველ შთაბეჭდილებას არასოდეს მოვუტყუებივარ. უბოროტო სული და ალალმართალი გული — აი, რა არის კაცის სამკაული. თანაც, სიტყვაზე, პან კონოპკა, იმან, რომ ბუსურმანებთან — ალჟირელებთან, ტუნისელებთან და თურქებთან — ლაპარაკი შეგიძლიათ, შეიძლება ვარმიაში კარგი სამსახური გაშოვნინოთ. მამა მიკოლაის რომ ნახავთ, ეგეც უეჭველად უთხარით... თქვენთვისაც, ძვირფასო კასპერ ბერნატ, ყოველივეს ვიღონებ. რისი შეძლებაც მომეცემა.

სამი თვეა, რაც კასპერი ლიძბარკშია. იგი თითქმის ყოველდღე ხვდება კანონიკ მიკოლაის, რომელიც ყველაფერი გახდა მისთვის: ცხოვრების მასწავლებელი, მოძღვარი, უფროსი ამხანაგი და თანამგზავრი დაუდეგარი ლინის სანაპიროზე მათი საუცხოო გასეირნების ჟამს.

„თვით უფალმა გამომიგზავნა ასეთი მუყაითი თანაშემწე", — ხშირად უთქვამს მამა მიკოლაის, მაგრამ კასპერი მაინც ვერ გარკვეულა, ამას სასწავლებლიდან გამოძევებული სტუდენტის სიბრალულის გამო ამბობს, თუ კანონიკს მართლა მიაჩნია კასპერ თავის გულმოდგინე თანაშემწედ.

თავის მხრივ კასპერი ყოველნაირად ცდილობს, გამოადგეს მამა მიკოლაის: თავისი ხელით შეკრა მძიმე მუხის სკამები და კოშკში დაწყო, საიდანაც კოპერნიკი ვარსკვლავებს აკვირდება. ფანჯრებს ქარსი ჩაუსვა, რადგანაც არაერთხელ გამხდარა მოწმე, მისი სათაყვანო მასწავლებელი როგორ ითოშებოდა ბალტიიდან მონაბერი ცივ ქარისაგან. კასპერი გულმოდგინედ აწარმოებს ცის „დაკვირვებათა ჟურნალს“, ერთი ადგილიდან მეორეზე ანაცვლებს მძიმე ხელსაწყოებს, ღამღამობით მორიგეობს კოშკში, თუ მის მასწავლებელს დაკვირვებებიდან მოსწყვეტს იშვიათი, მაგრამ აუცილებელი გასვლა დიაცეზში, ანდა დარბაზობა ეპისკოპოსის კარზე.

მეზობელ სოფლებში გამგზავრებისას მამა მიკოლაის ხშირად თან მძიმე ბარგი მიაქვს და კასპერი ვერ გარკვეულა, რად უნდა მასწავლებელს ამდენი რამ. ქაღალდი, კალამი, სამგზავრო მელანი სარტყელში — სხვა რა უნდა იყოს საჭირო იმისათვის, რომ ეპისკოპოსს აუცილებელი ცნობები მოუტანოს!

სანამ კანონიკთან ერთად არ გაემგზავრა, ჭაბუკი ვერ მიხვდა, რა შეკრულებსა და ტომრებს, ხანდახან კი რა კასრებს ტვირთავს ხოლმე მოხუცი ვოიცეხი, როცა ღირსი მამა მიკოლაი დაიცეზში წასასვლელად ემზადება.

— ეს ფქვილი და ღერღილი ღარიბებისთვისაა, ტევტონთა ჯარისკაცებისაგან დარბეული გლეხებისათვის, ამ შეკრულაში ქონია — მათთვისვე, ამაში — მედიკამენტები...

მისი უსამღვდელოესობის კარის მკურნალი მიკოლაი ვარმიელ კანონიკებსა და ვიკარიებს მოუცელლობის გამო უარს ეუბნება ხოლმე მკურნალობაზე, ისინიც შეძლებისდა მიხედვით გდანსკში, ხან კრაკოვშიც კი მიდიან საექიმოდ. გადაქანცული, უძილო ეპისკოპოსის ძმისშვილი ავადმყოფი სტაშკებისა და მაცკების ნახვას კი მაინც ახერხებს და, მამა გიზეს თქმისა არ იყოს, ყველაფერს სოფლის უბრალო დალაქივითა თუ ჯარაექიმივით ჰკიდებს ხელს. რამდენი კაცი გადაურჩენია თავის დროზე სისხლის გამოშვებით, დაჩირქებული ადგილის გაჭრითა თუ გაარჯლებული თითის მოკვეთით.

იცის შრომა მამა მიკოლაიმ, არ უნდა თქმა, მაგრამ დასვენებაც იცის. (საეკლესიო სამართლის დოქტორი, მისი უსამღვდელოესობის ლაიბ-მედიკი (ვინ წარმოიდგენს!) უარს არ ამბობს თავისი და კასპერის მიერ გამოგონილ თამაშობაზე, რომ სწრაფსა და ყინულივით ცივ ლინაში ბანაობის შემდეგ ცოტაბი გათბეს.

წინა კვირას კი მამა მიკოლაიმ სასეირნოდ წასვლისას ჩარჩოზე გადაჭიმული ტილო, საღებავები და ფუნჯები წაიღო თან.

— განა კაცთაგანი ვინმე მოიგონებს ფერთა ასეთი განსაცვიფრე-

ბელ შეხამებას? — ლურჯი, წითელი და მწვანე? — თქვა მიკოლაიმ მხიარულად.

კასპერმა ირგვლივ მიმოიხედა, ლურჯი ცა იქნება, ალბათ, ან მდინარე, მწვანე — ტირიფნარი, წითელიღა?..

კოპერნიკმა ალერსით მიიზიდა იგი თავისკენ.

— წითელი შენა ხარ, ჩემო დიდებულო შეგირდო, შენ, შენი ცეცხლწაკიდებული თმით! ერთხელ მითხარი, ვიღაცას მზეუჭვრიტასათვის შეუდარებია შენ თავი. აბა, საიდან ჰგავხარ მზეუჭვრიტას? მზეუჭვრიტა კი არა, მგონი, ყაყაჩოც უმალვე გაფერმკრთალდეს შენ გვერდით!

გუნებაში კასპერი სწყევლიდა თავის წითურ ქოჩორს, რის წყალობითაც იძულებული გახდა, რამდენიმე დღე ზედიზედ სამ-ოთხ საათობით მუხლამდე მდგარიყო წყალში. თანაც ბოლო ორ დღეს მასწავლებელმა მხრებზე პატარა იასი, მწყემსის ბიჭი შეასვა. ორივეს ნაბრძანები ჰქონდა, არ განძრეულიყვნენ, არ ელაპარაკათ და ერთი წერტილისთვის ეცქირათ. საწყალი იასიკი! ბიჭს რალა დაეთმართებოდა, როცა ოქლაქ კასპერსაც დაღლილობისაგან ხელ-ფეხი ჩამოაწყდა!

მოთმინების საზღაურად მამა მიკოლაიმ კასპერს თავისი პორტრეტი აჩუქა. პორტრეტი წმინდა ქრისტეფორეს განსახიერება გამოსულიყო, მდინარეზე ყრმა ქრისტე რომ გადაჰყავდა! ოღონდ ამ ქრისტეფორეს ცეცხლისფერ-წითლად უელავდა თმა.

თავის სენაკში დაბრუნებული კასპერი დიდხანს და ყურადღებით ათვალიერებდა ლურჯთვალება ყმაწვილ კაცს, წვრილი, გრძელი წარბებითა და ჩაღრმავებული ნიკაპით. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეიძლება, იგი ზბიგნევ სუხოდოლსკივით ლამაზი არ იყოს, მაგრამ, თუკი მამა მიკოლაი მის სიამოვნებას არ ეცადა, არც მაინცდამაინც უსახურია.

კასპერის ლიძბარკში ჩასვლის იმ სამახსოვრო დღეს ვოიცეხმა, კოპერნიკის მსახურმა, ისე მიუჩინა ახალ მოსულებს სასტუმრო ოთახი, მამა კანონიკისათვის არ მოუხსენებია. ნამგზავრმა ბოცმანმა ხელ-პირი დაიბანა, დაწვა და იმწამსვე ხვრინვა ამოუშვა. კასპერმა კი დიდხანს ვერ დაიძინა. ბოლოს, თვალები მიელულა თუ არა, ციხე-კოშკის ეზოში ამტყდარმა ხმაურმა, ხმამაღალმა ლაპარაკმა და ფანჯრებში გამკრთალმა ჩირაღდნების შუქმა ყმაწვილი კაცი დერეფანში გამოაგდო. სუსტად განათებული გასასვლელისაკენ გარბოდნენ მსახურები, მათ ვიშვიშით მიჰყვებოდა ვიღაც მოხუცებული ქალი, იქითვე გარბოდა მშვილდმომარჯვებული ბიჭი, სასახლის კაპელანი და, ბოლოს, მამა გიზე — თვალების ფშვნეტით, ნამძინარევი, ნახევ-

რად ჩაცმული. იმ ხალხსა და ხმაურში ისე ჩაუარა კასპერს, ვერ შეამჩნია, კასპერი კი უკან აედევნა მას.

გარეთ ხალხი ისე შეჯგუფულიყო, სანამ პირველი რიგი არ გაარღვია, კასპერმა ვერ დაინახა ძირს გაშხლართული მოხუცი კაცი. მის გვერდით სისხლს ალისფრად შეეღება თოვლი.

შიშნარევმა წამოძახილებმა მხოლოდ იმას მიახვედრა კასპერი, რომ მოხუცი ციხე-კოშკისაკენ მოაქროლებდა თურმე ცხენს, ამ დროს ვიღაცებს ცხენი მოეკლათ მისთვის, თვითონ ის ფეხში დაეჭრათ. ლაპარაკი ერთბაშად შეწყდა, როგორც კი დაჭრილისაკენ თხელმაუდისანაფორიანი კაცი დაიხარა. იმის მიხედვით, რა სწრაფად ჩაუჭრა ტანსაცმელი, მხარიღლივ გადაკიდებული ჩანთიდან რა უმალ ამოალაგა მედიკამენტები და რა მარჯვედ გადაუჭირა ჭრილობის ზემოთ ზონდი, კასპერი მიხვდა, ეს კაცი ექიმი იქნებაო. კარგა ხანს აღარაფერი ისმოდა, გარდა დაჭრილის საცოდავი გმინვისა და ექიმის ნაწყვეტ-ნაწყვეტ განკარგულებებისა:

— ძმაო მიხალ, მხრებით დაიჭირეთ!.. ასე, ახლა ვინმემ ფეხი გაუჭიმეთ, ფეხი ნაღრძობიც აქვს... ა-ა, გამარჯობა, ძმაო ტიდეშან! როგორ იმგზავრე? მადლობა ღმერთს, მაგრამ ამის შემდეგ უგამყოლოდ აღარ გაგიშვებ! ხომ ხედავ, უდანაშაულო კაცი როგორ დაზარალდა.... თქვენ კი, პან ლიუდეკ, გთხოვთ, ცოტაც მოითმინოთ...

— ვაი, ვაი, ფრთხილად, პან ექიმო! — დაიკვნესა დაჭრილმა.

— მორჩა, მორჩა უკვე... ნაღრძობი ძალიან მტკივნეულია, მაგრამ საშიში არაა. ჭრილობას კი ლიძბარკში მოგიშუშებთ! — შვებით თქვა ექიმმა. — კარგია, რომ ძვლამდე არაა დასული, ამ ასაკში ძვალი ძვალს ძნელად ეზრდება... — მერე მსახურს ანიშნა ფარანი მომინათეო, — მოიცათ, მოიცათ, დამშვიდდით, ჭრილობას მოგბანთ მხოლოდ... აჰა, შვება არ იგრძენით?

ფარნის შუქზე კასპერი ექიმს დააკვირდა: განიერყვრიმალებიანი, შავგვრემანი სახე ჰქონდა, ხშირი, შავი წარბები, ნაკვეთი გრძელი ცხვირი, ნაზი ბავშვური ტუჩები და ოდნავ საფეთქლებისკენ კილოებგაწეული ცეცხლივით მოელვარე უ ჩ ვ ე უ ლ ო თვალები. რაღაცამ შეუძრა ყმაწვილ კაცს გული, თითქოს ვიღაცის თბილი, მეგობრული ხელი მიესალბუნაო მას. „ისაა, ის!“ — და კასპერს აღარც გაჰკვირვებია პან ლიუდეკის ნათქვამი:

— რა ხელი გაქვთ, პან კოპერნიკო! ჯადოქარივით გამიქრეთ ტკივილი.

კოპერნიკმა დაფიფქული გრუზა თმა თავის აქნევით გადაიყარა შუბლიდან და სპილენძით მოჭედილი კარისკენ გაემართა. რამდენიმე ნაბიჯზე კასპერი უკან აედევნა. ამ საპატიო მანძილითვე მიჰყვა ყმაწვილი კაცი კანონიკს ცხე-კოშკის ბნელ დერეფანში და

შემცბარმა უცებ აღმოაჩინა, რომ სხვის დაუხმარებლად ვეღარ მიაგნებდა იმ ოთახს, სადაც ისა და პან კონოპკა დაბინავდნენ. ერთადერთი ბოცმანის დევგმირული ხვრინვა თუ მიაკვლევინებდა გზას!

მაგრამ მოულოდნელად დერეფანში შუქი გაკრთა. მისი წრისებური ანარეკლი ჯერ ჭერზე აცეკვდა, მერე კედელზე ჩამოცოცდა და პატარა, გამხდარი ხელი გაანათა, რომელსაც ფარანი ეჭირა.

— ძმაო ტიდემან! — გაუხარდა კოპერნიკს. — რა კარგია, რომ არ დაწოლილხარ! დღესვე უნდა მოგელაპარაკო! ძმა ბარკოვსკი გენუიდან დაბრუნდა? რა ამბები ჩამოიტანა? გიმეორებ, უგამყოლოდ აღარსად გაგიშვებ! იმათ, რა თქმა უნდა, ეგონათ, რომ პან ლიუდეკს იტალიიდან ჩემთან წერილი მოჰქონდა...

კასპერი კედელზე აკრული იდგა. არ იცოდა, რა ექნა. უკან გაბრუნებულიყო? მაგრამ — დალახვროს ეშმაკმა! — რომ ვერ გაიგო, სად დაიკარგა იმ დაწყევლილი ოთახის კარი?! მოწყალე მამა გიზესთვის დახმარება ეთხოვა? — მაგრამ კანონიკი კოპერნიკი რომ გაჯავრებულიყო, უცხო კაცი ჩვენი საუბრის მოწმე რად გახდაო? არადა, ასეა თუ ისე, მას, კასპერს, არა ჰქონდა უფლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

— მამა ტიდემან! — დაიძახა კასპერმა. დაბალჭერიან დერეფანში ისე ყრუდ გაისმა მის ხმა, თავადვე გაოცებული დარჩა.

— ვინ არის? — იკითხა აფორიაქებულმა კოპერნიკმა. კასპერმა დაინახა, მისი ხელი როგორ დაცურდა ანაფორის კალთისკენ. — აქ საიდან მოხვდით?

მამა გიზემ კოპერნიკი განზე გაიხმო და დიდხანს თავგამოდებით არწმუნებდა რაღაცას. ამის შემდეგ მასპინძელი ჭაბუკს მიესალმა და უთხრა:

— ნუ გაგიკვირდებათ ჩემი ცივი შეხვედრა. ეს ციხე-კოშკი, რეზიდენცია მისი უწმინდესობა ვარმიის ეპისკოპოსისა, არაერთხელ გამხდარა თავშესაფარი მრავალგვარი, ჩვენთვის არცთუ ყოველთვის სასურველი სტუმრებისა... ხომ ნახეთ საწყალი პან ლიუდეკი? იგი ზედ ლიძბარკთან დაჭრეს! მომიტევეთ, თუ იმაზე თავშეკავებულად შეგხვდით, ვიდრე მასპინძელს ეკადრება, მაგრამ, დამერწმუნეთ, მოხარული ვარ კაპიტან როხ ბერნატის ვაჟიშვილის სტუმრობისა... გარდა ამისა, მამა ტიდემანის ნათქვამი ჩემთვის მნიშვნელოვანი თავდებაა, პან იაკუბიც მშვენივრად მახსოვს. მე და თქვენ კი, უმაწვილო, უფლის ნებით, არაერთ ღამეს გავათევთ ვარსკვლავთა თვალთვალში, მიწიერ საქმეთა განსჯაში... ოჰ, როგორ გავაბი საუბარი! უკვე გვიანია, ნამგზავრს დასვენება გჭირდებათ. თქვენ, ძმაო ტიდემან, ასე მოწყალედ ვერ მოგექცევით, — სიცილით მიუბრუნდა იგი

კანონიკ გიზეს, — ოღონდ ჯერ ამ გზააბნეულ ბიჭს თავის ოთახამდე მივაცილებთ. დაღლილობისაგან ძლივსა დგას ფეხზე...

დაქანცულობის მიუხედავად თავის ოთახში შესულ კასპერს დაწოლაზე არც უფიქრია. არც მამა გიზეს მიერ მიცემული ფარანი ჩაუქვრია. თავისი ჩანთიდან სამგზავრო მელან-კალამი ამოიღო და დღიურში, რომელსაც უკვე მთელი წელია ადგენდა, ჩაწერა: „ქრისტეს აქეთ 1511 წელს, იანვრის თვეს, წმინდა ნათლიღების მესამე პარასკევს...“ მერე დაფიქრდა და თვალებზე ხელი აიფარა. იმღენნაირი აზრი აეშალა თავში, ქაღალდზე მათი გადატანა საძნელო გახდა... თანაც... კასპერმა შიშნეულად გადახედა მძინარე ვუეკს.

ბარაქალა ბოცმანი ლამის მსოფლიოს ყველა ენაზე ამტვრევდა ცოტ-ცოტას, მაგრამ ყველაზე მეტად პოლონური წერა-კითხვის ცოდნით ამაყობდა და, რაკი ვარაუდობდა, კასპერს ჩემგან დასამალდასაფარი არაფერი ექნებაო, არც იმას მოერიდებოდა, რომ ყმაწვილი კაცის ჩანაწერში ჩაეკრა თვალი.

ლათინურად რომ დაწეროს? — ო, არა, ლათინურმა აკადემიაშიც მოაბეზრა თავი! გერმანულად? — მაგრამ ვუეკმა, კასპერისა და გდანსკელთა უმრავლესობასავით, მშვენივრად იცის გერმანული...

აქ კასპერმა უკვე მერამდენედ უთხრა გუნებაში მადლობა გარდაცვლილ მამას, რომ მან თავის დროზე იტალიური ენა ასწავლა. ნეტავ თუ ახსოვსღა საკმარისად?

ჭაბუკმა გაჭირვებით მიაგნო იტალიურ ენაზე საჭირო სიტყვებს: „კურთხეულ იყოს უფლის სახელი: დღეს გავეცანი პოლონეთის უბადლო გენიას...“ კასპერი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე „პოლონეთის“ გადაშალა და „ევროპის“ ჩაწერა.

თვალები უბრწყინავდა კასპერს. გული გახეთქებით უცემდა.

„ასე დარწმუნებულმა რატომ დავწერე? — ჰკითხა თავის თავს — მაინც რა ვიცი კოპერნიკზე, მის შრომებზე, ჩემამდე მოღწეული ერთმანეთის საწინააღმდეგო და ბუნდოვანი ცნობების გარდა? უწყინარ მამა გიზეს ვერწმუნე თუ საკუთარ გულისთქმას? ანდა მეტისმეტად ხომ არ ვჩქარობ დასკვნის გამოტანას?“

მრავალი წლის შემდეგ ეს ჭაბუკობისდროინდელი ჩანაწერი რომ წაიკითხა, კასპერი მიხვდა, არ შემცდარიყო დასკვნის გამოტანაში. მეტიც: სიტყვა „პოლონეთის“ რომ გადაშალა, „ევროპის“ სანაცვლოდ თურმე „მსოფლიოს“ ჩაწერა მართებდა მას.

თავი მეხუთე

ბედნიერი დღე

ქარსის ფანჯრებში დილის ბინდბუნდმა რომ შეიხედა, კასპერი უკვე მაგიდას უჯდა, თავი ხელებში ჩაერგო, ძველი, სტუდენტური ჩვეულების მიხედვით აქეთ-იქით ერწეოდა და ხელნაწერს ჩაჩერებული დუდუნებდა:

— „აქსიომა[1] პირველი: ყველა ციურ სხეულსა თუ სფეროს არა აქვს ერთიანი ცენტრი.“ კარგი. ეს გასაგებია... „აქსიომა მეორე: დედამიწა არაა სამყაროს ცენტრი. იგი სიმძიმის ცენტრია და მთვარის ორბიტის ცენტრი“.

— დედაო ღვთისავ, ჩენსტოხოვსკისა! რა არხეინად ამბობს ახლა ამ მკრეხელურ სიტყვებს! მეცადინეობის იმ პირველ დღეს კი კასპერი, არც მეტი, არც ნაკლები შეხტა პირდაპირ, როცა მასწავლებლისაგან ეს აზრი მოისმინა...

— „აქსიომა მესამე: ყველა პლანეტა გარემოიქცევა მზის ირგვლივ, როგორც საერთო ცენტრის მიმართ და, მაშასადამე, მზე სამყაროს ცენტრია“. აი, ამ მესამე აქსიომის გამო პროფესორი ლანგე კოცონზე დააწვევინებდა კასპერის მასწავლებლის ქმნილებასაც და, ალბათ, თვით კოპერნიკსაც... მასწავლებელმა კი უთხრა, არისტარქე სამოსელი ჯერ კიდევ ორას სამოცდაათი წლის წინათ უფალი ღმერთის დაბადებამდე ამბობდა: დედამიწა მზის ირგვლივ გარბისო... თუმცა, მაშინაც წარმართებმა არისტარქეს სარწმუნოების შეგინება დასდეს ბრალად...

— აქსიომა მეოთხე: მზიდან დედამიწის მანძილისა და უძრავ ვარსკვლავებამდე მანძილის შეფარდება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დედამიწის რადიუსისა და დედამიწიდან მზემდე მანძილის შეფარდება, ამიტომ დედამიწიდან მზემდე მანძილი მეტისმეტად უმნიშვნელოა ცის თაღამდე მანძილთან შედარებით.

რამდენ დღეს წვალობდა მასწავლებელი, რომ კასპერისათვის გაეგებინებინა ეს თავისი დებულება! ახლა კი რა უტყუარ ჭეშმარიტებად ეჩვენება, ამიტომაც კასპერს წელიწადის რომელ დროსაც გინდა ეწარმოებინა დაკვირვება (მასწავლებლის თანდასწრებით თუ უიმისოდ) უძრავ ვარსკვლავთა კუთხურ გადაადგილებას, ანუ პარალაქსს თვალს აღარც ადევნებდა.

---

[1] ტერმინ „აქსიომას“ კოპერნიკის დროს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: ნიშნავდა „მეცნიერულ დებულებას“ და არა „ჭეშმარიტებას, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს“.

— მაშ ასე, მივყვეთ, — ხმამაღლა წამოთქვა კასპერმა. — „აქსიომა მეხუთე: ის, რაც ვარსკვლავთა შორის მზის მოძრაობად გვეჩვენება, მზის ნამდვილი მოძრაობის შედეგი არაა, იგი დამოკიდებულია დედამიწისა და მისი სფეროს მოძრაობაზე, რომელთანაც მზის ირგვლივ გარემოვიქცევით ისევე, როგორც ყველა სხვა პლანეტა. მაშასადამე, დედამიწას არ ახასიათებს მხოლოდ ერთადერთი მოძრაობა.

კასპერს გუშინდელი საუბარი გაახსენდა მასწავლებელთან და წელში გაიმართა, მერე მაგიდიდან ადგა და განზე გაშალა ხელები.

— ერთი-ორი, ერთი-ორი, ითვლიდა და ორივე ხელს წრიულად ამოძრავებდა, ხან რაპირით მებრძოლივით წინ გაიქნევდა მარჯვენას და წინ გადაიხრებოდა, ხან — უკან, ხან — მარჯვნივ, ხან — მარცხნივ.

მასწავლებელი სულ საყვედურობდა: „რა ძალიან იხრები წელში, კასპერ ბერნატ, მაგიდასთან ჯდომისას! მამაშენივით კაპიტანი გამოხვალ თუ ასტრონომი ან ვაჭარი, გახსოვდეს, უფალმა ღმერთმა მხოლოდ უკვდავი სული კი არა, ეს ხრწნადი სხეულიც გვიბოძა, და ვალდებულნი ვართ ერთნაირად ვიზრუნოთ სულზედაც და ხორცზედაც. Mens sana in corpora Sana[1]“.

მაგიდასთან დაბრუნებული კასპერი უკვე ცდილობდა, მთელი მკერდით ესუნთქა.

— „აქსიომა მეექვსე: ის, რაც ცის თაღზე მოძრაობად გვეჩვენება, არაა შედეგი ცის თაღზე ნამდვილი მოძრაობისა, იგი შედეგია დედამიწის მოძრაობისა. დედამიწა, თანმხლებ სტიქიებთან ერთად დღე-ღამეში ერთხელ შემობრუნდება თავისავე ღერძის ირგვლივ, ამასთანავე მისი ორივე პოლუსი უცვლელ მდებარეობას ინარჩუნებს, ხოლო ცის თაღი, ცის შორეული ზღვრები უძრავნი რჩებიან“.

ახლა კასპერს ეჩვენება, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც დღე-ღამის მონაცვლეობაზე, ცის თაღსა და დედამიწის ზედაპირამდე მოღწეულ მზის პირველ სხივებზე დაკვირვების საშუალება აქვს, სხვანაირად ვერც იფიქრებსო. ასე კი იმიტომ ეჩვენება, რომ პასუხია გაცემული პირველსა და ყველაზე ძნელ კითხვაზე. ამიტომაც სხვა დანარჩენი დასკვნები ისეთ განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას აღარ ტოვებენ.

კასპერი ოხვრით გადაწვა სკამზე. გასაგებია? ჰო, ა ხ ლ ა გასაგებია!

— მაშინ, დღეისათვის საკმარისია, — თქვა ხმამაღლა და მტკიცედ დახურა რვეული.

---

[1] Mens sana in corpora sana (ლათ.) — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიდგას.

ყდაზე ლათინურად ეწერა: „ნიკოლაუს კოპერნიკუსის მცირე კომენტარი მის მიერ წამოყენებული ციური მოძრაობის ჰიპოთეზების შესახებ“. ეს სწორედ ის ხელნაწერი იყო, ისე რომ გაახელა პროფესორი ლანგე.

კასპერ ბერნატი საწოლზე გაიშხლართა და კვლავ შეება კასპერ ბერნატთან კამათს. მუდამ, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, კასპერი ამ საქმიანობით იყო დაკავებული.

„ეჰ, სტუდენტო ბერნატ, ტყუილად ოცნებობ ასტრონომიაზე, რომზე, პადუაზე... ლიძბარკის ეს. მცირედი კოშკიც შეიძლებოდა შენთვის მეცნიერების ტაძრად ქცეულიყო, ასედაც ვარაუდობდა შენი მასწავლებელი. მართალია, შენ მოთმინებით ათრევდი ხელსაწყოებს ერთი ადგილიდან მეორეზე, ზუსტად ანგარიშობდი ვარსკვლავთა კუთხეებს, მასწავლებლის მითითების მიხედვით მორჩილად მიმართავდი ტრიკეტრუმის ზედა თამასას ციური სხეულებისაკენ, უშეცდომოდ შეგქონდა ჟურნალში ხელსაწყოს ქვედა თამასაზე შესაბამისად აღნიშნული სიდიდეები, შენ, კასპერ ბერნატ, ან მონაცემების მიხედვით რიგიანადაც ითვლიდი ამა თუ იმ მნათობის სიშორეს... მაგრამ... — ჭაბუკი ფეხზე წამოიჭრა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა, — მაგრამ... იმ ხანში, რაც შენ კუთხეებს ჭვრეტდი და სიბრტყეთა გადაკვეთებს, უნიათოვ, მასწავლებლის ხელითვე ამ ფიქვის ფიცრებისაგან შეკოწიწებული ტრიკეტრუმიდან მიკოლაი კოპერნიკი ვარმიის ბურუსიანი ცის იქით მთელ სამყაროს ხედავდა!“

არ გასცნობოდა კასპერ ბერნატი ვარმიის კანონიკს, ალბათ, დღემდე ეგონებოდა, აკადემიის დამთავრების შემდეგ მეცნიერ-ასტრონომი, უფრო უკეთესიც — ასტრროლოგი დადგებოდა: მისი მაღალი და ფართო შუბლი პროფესორ ლანგეს ხელმძღვანელობით საკმაო ცოდნას დააგროვებდა ამ ხანში.

ახლაღა, ო-ო, ახლაღა მიხვდა კასპერი, როგორია ნ ა მ დ ვ ი ლ ი მეცნიერი!

დღეს ვუეკი უნდა ჩამოვიდეს. მამა მიკოლაიმ მას გდანსკში კარაველის მშენებლობის თვალყურის დევნება დაავალა. მეორე გუმის აღჭურვა, ხმების თანახმად, გენუაში მთავრდება და მის მისაღებად იტალიაში ვუეკი უნდა გაგზავნონ. ბედნიერი! ვუეკი ძველებურად კეთილად ექცევა კასპერს, ყურადღებით, მზრუნველობით. მისი ჩამოსვლა კასპერისათვის ნამდვილი დღესასწაულია. რა დასანანია, რომ სწორედ ახლა, როცა ვუეკი ასე ხშირად ჩამოდის გდანსკიდან ლიძბარკში და შეუძლია დედის ამბები ჩამოუტანოს, შამინაცვალს იგი კრულევეცში, იქიდან კი კილიში წაუყვანია!

კარგი, კეთილი ვუეკი! წინა ჩამოსვლაზე მან, თავისდა უნებურად. ზუსტად განსაზღვრა კასპერის ადგილი ცხოვრებაში.

— გიჭირს, კასიო? — ჰკითხა თანაგრძნობით, რაკი დაინახა, ჭაბუკი როგორ ატეხდა თავს მამა მიკოლაის მიერ მიცემულ გაკვეთილს.

— ეჰ, ჩემო ბიჭო, იხვის დღეში ხარ... იხვისა...

კასპერმა გაუგებრად შეხედა, ბოცმანმა კი განუმარტა:

— გინახავს იხვი, ყველაფერს ერთბაშად რომ ყლაპავს? — საჭმელსაც, ჭიებსაც, ქვებსაც, კენჭებსაც... ყოველივე ამას ჯერ ჩიჩახვში დაამუშავებს და მერე მოინელებს. საბოლოოდ შენც მოინელებ ყოველივეს, მანამდე კი ყლაპე განურჩევლად, რაც მოგხვდება... მთავარია, არ შედრკე და შენც პატიოსნად გახდები ბაკალავრი!

არა, არა, საფრინველეთის მთელ მოდგმასთან ასეთ შედარებას თუ დავუშვებთ, მაშინ კასპერი იხვი კი არა, ყველაზე ჩვეულებრივი ქათამი გამოვა. იგი ქვებსა და კენჭებს კი არა ყლაპავს, ქვებიდან მხოლოდ იმ მარცვლებს კენკავს, რომლებიც მას სჭირდება.

„მაშ, კასპერ ბერნატ, ეცადე, მასწავლებელმა მის უსამღვდელოესობასთან იმ გემზე მოწყობაში გიშუამდგომლოს, რომელსაც სულ მალე წყალში ჩაუშვებენ, — დაასრულა სტუდენტმა უცნაური საუბარი თავის თავთან, — მხოლოდ იქ გამოგადგება შენი გამოთვლების უნარი, კომპასის, ასტროლაბის, სექსტანტის ხმარება და ყოველივე იმ ახლის ცოდნა, რაც ლიძბარკში ციურ სხეულებზე დაკვირვებისას შეიძინე, — ფეტვის ის უწვრილესი მარცვლები, რომლის აკენკვაც შეძელი მდიდარი და ვრცელი მეცნიერული ლანგრიდან...“

კასპერმა მასწავლებლის რვეული გვერდზე გადადო, სუფთა ფურცელი ამოიღო და გულდაგულ გათალა კალამი. საწყენია, რომ პროფესორმა ლანგემ საჭიროდ არ ჩათვალა, ქალიშვილისთვის იტალიური ან, თუნდაც, ლათინური ენა ესწავლებინა. პოლონურად თუ დაწერს კი... ჭაბუკმა ოხვრით გახედა კარს... ვუეკის ჩამოსვლა კასპერისათვის ნამდვილი დღესასწაულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბარაქალა ბოცმანი თავს ვალდებულად თვლის თავისი გაზრდილის მარტო დღიური კი არა, უჯრაში ჩალაგებული ყველა ქაღალდი გადაჩხრიკოს.

„ძვირფასო, საოცნებო მიტა!“ — გულდაგულ, მსხვილად გამოიყვანა კასპერმა პოლონური ასოები.

კარმა გაიჭრიალა.

— ოჰ, ხსენებაზე! — წამოიძახა ჭაბუკმა და ვუეკს გადაეხვია.

გაწითლებული, ქარდაკრული სახე უბრწყინავდა ბოცმანს. ეტყობოდა, იქ, გდანსკში საქმე კარგად მიდიოდა. ახლა ბოლო აღარ ექნება „პოლონეთის ოქროს გვირგვინის უმშვენიერეს მარგალიტზე“

საუბარს, გდანსკის გულში, მოტლავაზე, გაშენებულ დიდებულ პორტზე ლაპარაკს, რომელიც ჭიანჭველების ბუდესავით სავსეა მეზღვაურებით, მტვირთავებით, შაკლერებით, ვაჭრებითა და კაპიტნებით — ნავიგაციის სეზონი უკვე დაიწყო!

— ოჰო, ყოჩაღ, ცაში ნათელი ძლივს ჩავარდნილა და შენ უკვე შრომობ! — ეუბნებოდა ბოცმანი და ზურგს უკან მალავდა ხელს, — აბა, კასპერ ბერნატ, მიხვდი, რა მოგიტანე!

ყმაწვილ კაცს გული ისე შეუხტა, თითქოს გაუჩერდაო, მერე კვლავ ძალუმად დაუწყო ცემა.

— წერილია? — იკითხა გაუბედავად.

მამა ტიდემანი შეპირებული იყო, როცა კრაკოვში შიკრიკს გავგზავნი, დავავალებ, ბურსაში, მამა ქრისტეფორესთანაც შეიაროს ყოველთვის და, ყოფილი სტუდენტის სახელზე წერილი თუ იქნება, გამოაყოლოსო.

— წერილია, — თავი დაუქნია ბოცმანმა და მაგიდაზე დაუდო ვეება პაკეტი. — მოვდივარ ჩემთვის და ვხედავ, გზაგასაყარზე ვიღაც გლეხი მეძახის: „ლიძბარკში მიდიხარ?“ — „ფიძბარკში!“ — ვეუბნები. „აჰა, ფოსტა ჩაიბარე!“ — მითხრა, წერილების დასტა მომაჩეჩა და თვითონ უკანმოუხედავად გაბრუნდა! არა, მაინც რა ხალხია: იქნებადა ქურდი ვარ ან ყაჩაღი! ჰოდა, სანამ ლინაში დავიბანდი, წერილები წაიღ-წამოიღეს, ეს კი შენთან გამომატანეს... კრაკოვიდანაა, მგონი... უჰ, რა ცივი წყალი იყო! — დაურთო პან კონოპკამ და მოიბუზა. — დავიჯერო, შენა და მამა კანონიკი უკვე ბანაობთ?!

— ყოველდღე. მამა მიკოლაიმ შემოიღო. ჯანმრთელობისთვისო... — უპასუხა ანგარიშმიუცემლად კასპერმა.

„მიტას წერილია, მიტასი, ტყუილად არ უბრწყინავს ვუეკეს სახე“, — ჭაბუკს ბაგუნით აუწყებდა გული. მიტას ნაწერი არასდროს ენახა კასპერს, თუმცა, მართალი რომ ეთქვა, არც იმაში იყო დარწმუნებული, მიტამ თუ იცოდა წერა. კითხვით კი პოლონურადაც კითხულობდა და გერმანულადაც... არა, მიტა ვერ შეძლებდა ამხელა წერილის გამოგზავნას.

პაკეტი რომ გახსნა, კასპერმა ვერ დაფარა წყენა.

— ზბიგნევისგანაა, — თქვა და პან. იაკუბისკენ შებრუნდა. „ისე, ნამდვილი უმადური და გონებასუსტი სახედარი ვარ! — იმწამსვე შემოირტყა შუბლში ხელი: — თუნდაც ერთ სიტყვას მაინც როგორ არ მომწერს ზბიშეკი მიტაზე!“

„ერთი სიტყვა“ კი არა, ზბიგნევის თითქმის მთელი უსტარი მიტასადმი, პროფესორ ლანგეს ქალიშვილისადმი იყო, მიძღვნილი. პან კონოპკა იდგა და შეჰყურებდა, რა სწრაფად გადარბოდა კასპე-

რის თვალი სტრიქონებზე, უხმოდ როგორ აცმაცუნებდა ტუჩებს. ხან შეიჭმუხნებოდა, ხან გაიღიმებდა, ხან ისევ შეიჭმუხნებოდა. წერილის ბოლოში რომ ჩავიდა და აცაბაცა ბავშვური ხელით გამოყვანილი მინაწერი წაიკითხა: „გფარავდეს წმიდა ქალწული, ჩემო ძვირფასო დანიშნულო. ამას მე გწერ, მიტა“, კასპერმა თავი ველარ შეიკავა, ეცა ბოცმანს და გულში ჩაიკრა.

— ჰა, რა ისმის კრაკოვიდან? ხომ იქვე დგას ქალაქი კასპერ ბერნატის წამოსვლის შემდეგ? — ჰკითხა ბოცმანმა.

— წერილი სულაც არაა კრაკოვიდან, — მიუგო კასპერმა ბედნიერი ღიმილით. — ვუეკ, ვუეკ, ისინი აქვე არიან, სულ ახლოს, მენდელშტამის ციხე-დარბაზში. ზბიგნევი მწერს, ციხე-დარბაზი, ორდენის მიწაზეა, ზედ ვარმიის საზღვართანო... პროფესორი, მიტა და ზბიგნევი ბარონ მენდელშტამის მოწვეეით ჩამოსულან. რაინდი ქალის ან ვაჟის დაპაოდებას ელოდებოდა თურმე და ლანგე მოუწვეევია ახალშობილისათვის ჰოროსკოპის შესადგენად. მიტაც თან გამოჰყოლია... პროფესორს წნევა აწუხებს და მიტას გარეშე დიდხანს ვერ რჩება მარტო: ვერც მკურნალი, ვერც დალაქი ვერაფერს შველის... მიტას კი ხელი აქვს გაწაფული, კეფაზე წურბლებს ჰკიდებს ხოლმე და ფეხებთან სათბურებს უწყობს!

ყოველივეს კასპერი ისეთი სახეგაღიმებული ამბობდა, თითქოს ლანგეს ავადმყოფობაზე კი არა, რაღაც გულგასახარელ ამბავზე ლაპარაკობსო. ბოცმან კონოპკას სიტყვის ჩართვა უნდოდა, მაგრამ თავის სათაყვანო კასპერის გაცისკროვნებულ თვალებს რომ შეხედა, თავი შეიკავა. თქმით კი, დაახლოებით, აი, ამის თქმას აპირებდა: „ეგ მენდელშტამი ასე ახლოს არ ყოფილიყო ვარმიასთან, მაშასადამე, შენთან, კასპერ, შენს პროფესორს შვილის მზრუნველობის გარეშე მოუხდებოდა ყოფნა. ის გოგო არ მოინდომებდა ამხელა გზაზე წამოსვლას!“

უცნაურია, მაგრამ კასპერიც იგივეს ფიქრობდა. ამშვენივრად ახსოვდა, შარშან როგორ შეშინდა, მიტა, მამამ ელოცლავეკში წაყვანა რომ დაუპირა. კრაკოვიდან კი ვლოცლავეკი გაცილებით ახლოსაა ვიდრე ვარმიის საზღვარი!

— მაინც რა კარგად წერს ზბიგნევი, — ამბობდა გაბადრული კასპერი, — თანაც ყოველი სიტყვის შემდეგ „მიტა და მიტაო“. ოთხი დღეა უკვე მენდელშტამში ყოფილან... გუშინ ქვეყანას მოვლენია მენდელშტამების მემკვიდრე. კარგი ჰოროსკოპის შედგენისათვის გახარებულ რაინდს გულუხვად დაუსაჩუქრებია პროფესორიც, მისი თანაშემწეცა და მისი ქალიშვილიც. მომისმინე, ვუეკ, ზბიგნევი რას იწერება: „პანა მიტას რაინდმა ქარვის გულსაკიდი აჩუქა. ციხე-დარბაზი ხალხითაა სავსე. მრავალ წარჩინებულ ქალბატონს ვხედავ

ირგვლივ, მდიდრულად ჩაცმულებს, ლამაზებს, მაგრამ თეთრ კაბაში გამოწყობილი, ძაფზე აცმული ნაჩუქარი ქარვით ყელდამშვენებული პანა მიტა ყველას სჯობია". ვუეკ, ისინი კიდევ დარჩებიან. ციხე-დარბაზში... ზბიგნევი იწერება: პროფესორის ვარაუდით ცოტა ხანს შეეყოვნდებითო. ბარონი ბავშვის ნათლობაზე მრავალ სტუმარს ელის და ჰპირდება, სამი-ოთხი ჰოროსკოპის შედგენას კიდევ დაგიკვეთენო... ველით სტუმრებსა და ნათელ ცას, უამისოდ გერმანელ ბატონებს ჰოროსკოპის გარეშე მოუხდებათ შინ დაბრუნება. მაშ, მე და მიტა კიდევ შენს ჩამოსვლას ველით ციხე-დარბაზში!"

— გარდა მიტასა და ჰოროსკოპზე სხვას არაფერს იწერება ეგ შენი ზბიშეკი? — იკითხა ბოცმანმა.

— იწერება, იწერება, როგორ არა! — გამოცოცხლდა კასპერი. — ჭკვიანია ჩვენი ზბიგნევი და იცის წარჩინებულ საზოგადოებაში თავის დაჭერა. ციხე-დარბაზში ახლა ტევტონთა რაინდების ნაღებია თავშეყრილი. ვიღაც მაღალი თანამდებობის პატერი მამა არნოლდიც იქ ყოფილა. კიდევო, იწერება ზბიშეკი, ნაცნობობა გავაბიო რაინდ ფონ ელსტერთან. ეს ელსტერი წარმოშობით გერმანელი ყოფილა, მაგრამ გარეგნულად იტალიელს ჰგავს თურმე... მასაც, ზბიგნევივით, განათლება მამა დომინიკანელებთან მიუღია და ბევრი რამაც უპოვიათ ერთმანეთში საერთო... ფონ ელსტერს ზბიშეკი ელსტერშტეინშიც მიუწვევია, მაგრამ ზბიგნევს უდროობის გამო უარი უთქვამს... ისე, ზბიგნევს, მართლაც არა სცალია ციხე-დარბაზებში სასიარულოდ—მომავალ კვირას კრაკოვში უნდა დაბრუნდეს: მამა რექტორი პროფესორს უკან იწვევს და ზბიგნევი მის მაგივრად წავა... რაო, რას ბუტბუტებ მანდ, ვუეკ?

— მეტისმეტად კეთილსანდომიანია-მეთქი ეგ შენი ზბიშეკი, — ამოიხვნეშა კონოპკამ და კასპერს ცერად გახედა. მაგრამ, რაკი შეატყო, კასპერმა ყურიც არ ათხოვაო ჩემს ნათქვამს, იქვე დაურთო: — აბა, შენ რა გგონია? პოლონელი და ისიც კრაკოველი ვინმეს რამეში ჩამორჩება?! გერმანელს კი არა, რომელ იტალიელსაც გინდა, ჯიბეში ჩაისვამს! ესპანელები ხომ რა ამაყი ხალხია, მაგრამ ერთი გენახა, როგორი თავის დაკვრით ჩაიარეს (მეფის სასახლეში ვნახე მე ეს ამბავი), ესპანელმა თავისებურად, ჩვენმა, გდანსკელმა კიდევ — თავისებურად, ესპანელი ხომ დიდის ამბით გამოხატავდა ქუდის მოქნევით თავაზს, ჩვენი — უფრო მეტად...

სიხარულით დაწყებული ეს დღე კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას უმზადებდა კასპერს. ბოცმანმა კოპერნიკის ხელნაწერი რვეული, რომელიც არაერთხელ შეუნიშნავს კასპერის ხელში, გვერდზე გადადებული რომ დაინახა, ჰკითხა:

— ჰა, კასიო, მიდის საქმე წინ? მალე გახდები ბაკალავრი? წავალთ იტალიაში?

ამ მომაბეზრებული კითხვის გამო სხვა დროს კასპერი ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ დღეს სხვა გუნებაზე იყო და მოუნდა ჭკვიანი ბოცმანისათვის გაენდო თავისი ეჭვები.

— არ მინდა გული გატკინო, ვუეკ, მაგრამ ვეჭვობ, იტალიაში წამოვიდე. გავა დრო და, ალბათ, გამოვალ ბაკალავრი, მაგრამ მჭირდება მე ეს საქმე?

ჩაფიქრებულმა კასპერმა მწითურ ქოჩორში შეიცურა თითები. რა ქნას, როგორ გააგებინოს კეთილ ვუეკს, რომ არ მოხვედრილიყო პროფესორ ლანგესთან, არ მიჩვეულიყო ამ დაწყევლილ ზუთხიაობას, შეიძლება მისგან, მართლაც, დამდგარიყო ნამდვილი მეცნიერი. ახლა რა, ამ გაუთავებელ ზუთხვაში, ცხრილების დამახსოვრებაში და ჰოროსკოპების შედგენაში გავიდა მისი სტუდენტობის საუკეთესო წლები (ყველა თვრამეტი წლის ჭაბუკივით კასპერსაც თავი გამოცდილ კაცად მოჰქონდა).

— ვუეკ, ახლა შენ იმაზე ჩამომიგდე ლაპარაკი, რაზედაც ამ დღეებში გამუდმებით ვფიქრობ... ლიიბარში ყოფნამ, უეჭველია, ძალიან ბევრი რამ შემძინა. გავიგე, მეზღვაურს რა დახმარებას გაუწევს ასტროლაბიცა და სექსტანტიც. ტრიკეტრუმი ხომ, ეს მარტივი და ჭკვიანი ხელსაწყო, რომლის ხმარება მამა მიკოლაიმ მასწავლა, გადატრიალებას მოახდენს ზღვაოსნობაში... თუმც, არ ვიცი, გამოიყენა თუ არა იგი სახელგანთქმულმა გენუელმა,[1] როცა ზღვაში გადიოდა. კარგი, კანონიკი კოპერნიკი ისეთი მასწავლებელია, რომლის თითოეულ სიტყვას ხარბად ეყლაპავ, მაგრამ, როგორც მივხვდი, კასპერ ბერნატი არაა ისეთი მოწაფე, როგორიც მას სჭირდება.

— რას ამბობ, კასიო, სხვა როგორიღა მოწაფე უნდა სჭირდებოდეს! — ნაწყენი კილოთი თქვა ბოცმანმა.

— ეგ არ ვიცი, როგორი, ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემნაირი არა, — კასპერს ფრაზა არ დაემთავრებინა და უკვე აუწერელი შვება იგრძნო.

ეს, სწორედ ეს ფიქრები აწვალებდა კასპერს ბოლო დღეებში: მასწავლებელი მას უზიარებს თავის უძვირფასეს დროს, უძვირფასეს აზრებს, ის კი, კასპერი, სულაც არაა ის მოსწავლე, რომელიც მისთვის საჭიროა. მის ადგილას ზბიშეკი რომ ყოფილიყო, მეცნიერებაში ყოველგვარი ახლისადმი მტრულად განწყობილი, ისიც კი მეტ სარგებლობას მოიტანდა. ეჭვგარეშეა, ზბიშეკი ან ჩასწვდებოდა მასწავლებლის იდეებს, ანდა, მისი აზროვნებისათვის დამახასია-

[1] ლაპარაკია ქრისტეფორე კოლუმბზე.

თებელი ფილოსოფიური მიდრეკილების გამო, შეძლებდა შეეთავსებინა ეს იდეები ეკლესიის მოძღვრებასთან, ეს კი ასტრონომიასაც მოუტანდა სარგებლობას და წმინდა მამათა სწავლებასაც... ოჰ, ღმერთო, კასპერის რომელიც გინდა ამხანაგი — ზბიგნევიც, სტაშეკიც, ჰენრიხიც, იას-კაჭკაჭიც კი კოპერნიკის საუკეთესო მოსწავლეები იქნებოდნენ და მისგან უკუღმა გადაგდებულ თესლსაც ნაყოფს გამოაღებინებდნენ!

თორმეტ საათზე მამა მიკოლაიმ ვოიცეხი გამოგზავნა და კასპერს შეატყობინა, რომ მან, კანონიკმა, მის უსამღვდელოესობას გამოსთხოვა ახალგაზრდა მეამბოხის წარდგენის ნება.. ვოიცეხმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა თავისი ბატონის დანაბარები.

— სწორედ ასე თქვა „მეამბოხეო“, — ღიმილით გაიმეორა მოხუცმა და თან ურჩია ყმაწვილ კაცს: — ყველაზე საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვიო.

კასპერმა სასოწარკვეთით ჩაიხედა თავის ცარიელ სკივრში, მაგრამ ვუეკი იმ წამსვე წამოეშველა.

— არ შეგშვენის უსახელო სტუდენტს აბრეშუმსა და ხავერდში გამოწყობა, როდესაც ვარმიის ხელისუფლის უგანათლებულესი და უგავლენიანესი ძმისწული არასოდეს იხდის ანაფორას, — უთხრა გადაჭრით. თან გუნებაში გაივლო, როგორ დამშვენდებოდა ჩემს ბიჭს წარჩინებულის სამოსი, დაშნა და დეზებიანი ჩექმებიო. მერე კი კეთილმა ბოცმანმა დაურთო:

— არა უშავს, კასპრუკ, შენი დროც მოვა. მაგ სტუდენტურ ანაფორაშიც კარგი თვალადი და რიგიანი ბიჭი ჩანხარ.

და მაინც, ეს „თვალადი და რიგიანი ბიჭი“ არცთუ თავისუფლად გრძნობდა თავს ვარმიის რჩეულ საზოგადოებაში.

ლიძბარკში ჩასვლისთანავე მამა ტიდემანმა და მამა მიკოლაიმ პან კონოპკა და კასპერი პან ზდისლავ ბენიოვსკის, ციხე-კოშკის მთავარ მარშალეკს წარუდგინეს. მარშალეკმა კი ორივეს ის ადგილი მიუჩინა სუფრაზე, სადაც, ჩვეულებრივი, დაბალი რანგის სტუმრებს სხამდნენ, იმათ, ვისაც მის უსამღვდელოესობასთან საუბრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. კასპერის ორივე მფარველი მაინც ვარაუდობდა, რომ დროთა განმავლობაში კასპერი მის . უსამღვდელოესობასთან უფრო ახლო ადგილს დაიჭერდა ციხე-კოშკის მდივნებს, კაპელანებსა და სხვა მსახურთა შორის, ეს კი დაეხმარებოდა ჭაბუკს, წინ წაწეულიყო სამსახურში. ახლა ვინ არის კასპერი? — კანონიკ მიკოლაის დამხმარე, რაღაც საშუალო მოსწავლესა და მსახურს შორის.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც კასპერი და არც კონოპკა

არ ჩქარობდნენ ლიიბარკის დარბაზობებზე დასწრების უფლებით ესარგებლათ და კმაყოფილდებოდნენ მოხუცებული მზარეული ბალის, ადელიას მიერ ოთახში მიტანილი საჭმლით.

— კურდღლის ხორცია და კურდღლის ხორცი, თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, ჩვენ მონადირენი კი არა, მეზღვაურები ვართ და კურდღლის ხორცი მის დღეში არ გვიჭამია! — ოხრავდა პან კონოპკა, — მაგრამ იმასაც გეტყვი, კასიო, რომ ტახის მწვადებსაც მაშინ აქვს გემო, როდესაც შენს გულითად ხალხთან შეექცევი... იქ, კი, ომათ მდიდრულ სუფრაზე, ლუკმა ყელში არ გადაგივა!

ვუეკის იქ არყოფნისას კეთილი ადელია სტუდენტს ისეთი გულმოდგინებით უმასპინძლდებოდა შტრუდელის, ღორის ქონში მომზადებული კურდღლის ხორცის, ატრიისა თუ ბიგოსის ორ-ორი ულუფით, ისეთი დედური ღიმილით უვსებდა პირთამდე ქლიავისა თუ ალუბლის ნაყენით ჭიქას, რომ კასპერი სულაც არ ნაღვლობდა იმ წარჩინებულ საზოგადოებაში გამოკლებას, რომელიც, თავის მხრივ, იძულებული იყო, უიმისოდ მისჯდომოდა ეპისკოპოსის. სატრაპეზოში სუფრას.

იმ დღეს კი ყველაფერი შებრუნებულად ხდებოდა. კასპერმა თვალი შეასწრო, რომ თვით უტეხმა ბოცმანმაც კი გამოისახა პირჯვარი, როცა შეიტყო, კანონიკის მიწვევა მეც მეხებაო.

მარშალეკის ნიშანზე სტუდენტი და ბოცმანი თავიანთი ოთახის კართან დადგნენ და მისი უსამღვდელოესობის გამოსვლას დაელოდნენ. ლიიბარკში ყოფნის მთელი სამი თვის მანძილზე კასპერს დღეგანდლამდე ერთხელაც არ შეუხედავს რიგიანად ეპისკოპოს ვაცენროდისთვის. ახლაც, წააწყდა თუ არა ვარმიის მეუფის არწივისებურ გამოხედვას, თვალები ძირს დახარა. მაგრამ ეს წამიერი შეხედვაც კმაროდა მისახვედრად: ეპისკოპოსი ვაცენროდი იმ პიროვნებათაგანი იყო, რომელიც ერთი ნახვით სამუდამოდ ჩაგრჩება მეხსიერებაში. ბიძა-დისშვილს ბევრი რამ ჰქონდა საერთო: ერთნაირი ხშირი, გაფრენილი წარბები, ერთნაირი ნაკვეთი ცხვირი, ერთნაირი პატარა პირის ჭრილიც კი იმ განსხვავებით, რომ მის უსამღვდელოესობას ტუჩის კუთხეები უკადრებლად ქვემოთ ჰქონდა დაშვებული, მის ძმისშვილს კი—ზემოთ აწეული, რაც მიკოლაი კოპერნიკის სახეს რბილსა და რაღაცნაირ მაცდურ იერს აძლევდა.

ოღონდ თვალები, ო-ო, თვალები ლუკაშ ვაცენროდისა სულაც არ წააგავდა კოპერნიკის ვარსკვლავებივით მოკიაფე თვალებს. ძნელად თუ ვინმე გაუძლებდა ეპისკოპოსის ცივ, გამჭოლავ გამოხედვას!

მაღალი, მოსული, ჭარმაგი ეპისკოპოსი მხოლოდ მდიდრული ტანსაცმლით როდი გამოირჩეოდა თანმხლები ამალისაგან.

— მეფური სისხლის კაცია, მეფური! — აღტაცებით ჩაილაპარაკა პან კონოპკამ, როცა ჩაცმულ-დახურულ კარისკაცთა მთელი ამალა ეპისკოპოსს ჩამოეფარა. — იმას კი ყბედობენ, მდიდარი მემკვიდრეობის მიღებით გაიკაფაო გზა. — თავის თავს ელაპარაკებოდა ვუეკი. — ცრუები! ახლა სიარული, სიარული ჯროგორიღა აქვს! შეიძლება თვით ჩვენმა მეფე ზიგმუნდმაც კი ისწავლოს მაგისგან!

კიდევ კარგი, გულკეთილმა ადელიამ პან კონოპკასა და თავის საყვარელ „წითურ ბიჭს“ დილასვე მიუტანა ღვეზელების ვეება ნაჭრები, თორემ კასპერი იმ დღეს მშიერი დარჩებოდა: რა დროს ჭამაზე ფიქრი იყო, როცა ირგვლივ იმდენი რამ იყო სანახავი! თვალისმომჭრელად კიაფობდა მისი უსამღვდელოესობის მიტრაზე ალმასის ჯვარი, იისფერ ხავერდის ანაფორაზე მოსხმულ სტიქარს თეთრად გაუდიოდა ქათქათი. ხელისუფალს მარჯვნივ ვარმიის გენერალური ვიკარი ეჯდა, მარცხნივ — ვარმიის კანონიკი, მისი უსამღვდელოესობის ლაიბ-მედიკი მიკოლაი კოპერნიკი. შემდეგ — წოდებისა და ხარისხის მკაცრი თანმიმდევრობის დაცვით — ბურგომისტრები, დიდგვაროვნები, სტუმრები მეზობელი ტევტონთა ორდენიდან.

მეორე, ასევე მეტად საპატიო სუფრას უსხდნენ ვარმიის მდიდარ ვაჭართა ამორჩეულნი და თანამდებობის პირნი. კასპერი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა ამ ხალხს, რომელიც მდიდრული ჩაცმულობით გასჯიბრებოდა მაღალ საზოგადოებას, და თვალით ეძებდა მწვანით მოსილ კაცს, რომელსაც ტანსაცმელი სიასამურის ბეწვით ჰქონდა გაწყობილი. ეს კაცი დღეს გვიანი წირვიდან გამოსვლისას შინაურულად დაელაპარაკა. მენდელშტამის ციხე-დარბაზიდან წერილის მიღებასაც თურმე მას უნდა უმადლოდეს კასპერი!

სტუმართა მკერდებზე ელავდა ოქროს ჯაჭვები, ძვირფასი ქვებით გაწყობილი ბალთები. ფუმფულა, მაღლააწეულ სახელოთა მიღმა ჭირდა სახეთა გარჩევა. დარბაზში კოტრიალით შემოცვივდნენ დუდკა და ხომუსი — მისი უსამღვდელოესობის საყვარელი ხუმარები. მოულოდნელად კასპერი წააწყდა თავისი ახალი ნაცნობის თვალებს. მწვანე ტანსაცმელზე სიასამურის ბეწვმოვლებული კაცი მეორე სუფრას თავში უჯდა. სწორედ ამ დროს ეპისკოპოსმა მერიქიფეს უბრძანა, თავისი სუფრიდან იმ კაცისათვის კერძი მიერთმია, რაც განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივს ნიშნავდა: პატივდებული ფეხზე წამოდგა, თასი ასწია და ეპისკოპოს ვაცენროდისა და მისი განსწავლული, მრავალნაცადი დისშვილის, საეკლესიო სამართლის დოქტორის მიკოლაი კოპერნიკის სადღეგრძელო წარმოთქვა.

კასპერს მოეჩვენა, რომ მის სათაყვანო მასწავლებელს სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა, მაგრამ ეპისკოპოსმა რაღაც წასჩურჩულა დისშვილს, ისიც წამოდგა, და ბრანევის ბურგომისტრს, ფილიპ ტეშ-

ნერს საპასუხო სადღეგრძელო უძღვნა. კასპერს გაუბარდა ამ ლამაზი და მედიდური ბატონის სახელის გაგება. დღეს კოსტიოლის გამოსასვლელში რომ შეხვდა, ტეშნერმა მზრუნველობით ჰკითხა ყმაწვილ კაცს, მენდელშტამიდან გამოგზავნილი წერილი მოგიტანეს თუ არაო.

— ჩემი შიკრიკი ჩამოვიდა იქიდან, და, სანამ ჩემს წერილებს გადავსინჯავდი, ჯერ თქვენი გახარება გადავწყვიტე, — უთხრა ბურგომისტრმა თავაზიანი ღიმილით, — მეც ვყოფილვარ ახალგაზრდა და ვიცი, შენი გულითადი ადამიანების ამბის დროზე გაგება რას ნიშნავს.

კასპერს ჯერ სიწითლემ გადაურბინა: მოეჩვენა, ბურგომისტრმა ტეშნერმა იცის ზბიგნევის წერილის შინაარსიო, მაგრამ მერე თავი დაიტუქსა ზედმეტი ეჭვიანობისათვის. ფილიპ ტეშნერი გამოცდილი კაცი ჩანს და მიხვდებოდა, რომ კასპერს მხოლოდ მისი გულითადი ადამიანები გამოუგზავნიდნენ წერილს. საქმიანი მიმოწერისათვის სტუდენტი ჯერ კიდევ შეტისმეტად ახალგაზრდა იყო...

— კოშკის საათს ყურადღებით ადევნე თვალი, ყმაწვილო, — ვიღაცის ჩურჩული მოესმა კასპერს ზურგს უკანიდან. მიიხედა და მარშალეკი ბენიოვსკი დაინახა. — ზუსტად პირველ საათზე მისი უსამღვდელოესობა სუფრიდან ადგება და ბიბლიოთეკისაკენ გაეგზავნება. იქ დიდი მიღებაა დანიშნული. მის უსამღვდელოესობასთან საუბარი ექნება მისი მეფური უდიდებულესობის, ჩვენი ხელმწიფე ზიგმუნდის დესპანს. შემდეგ ეპისკოპოსი იტალიიდან დაბრუნებულ კანონიკ მამა იან ბარკოვსკის მიიღებს... გამიგეთ? — ჰკითხა მარშალეკმა. — თქვენ დერეფანში უნდა დაელოდოთ, სანამ მისი უსამღვდელოესობა რაინდის დარბაზიდან ბიბლიოთეკისაკენ გასწევს. გზადაგზა ეპისკოპოსს მთხოვნელები წარუდგებიან. მამა მიკოლაიმ და მამა ტიდემანმა დამავალეს ყველაზე წინ დაგაყენოთ, რომ მის უსამღვდელოესობას პირველად თქვენ მოხვდეთ თვალში. ყურადღება თუ მოგაქციათ, მამა მიკოლაი მხოლოდ მაშინ წარუდგენს თქვენს თავს!

შემდეგ ყოველივე მძიმე, ბურუსით მოცულ სიზმარს დაემსგავსა.

ნეტავი წუთები გავიდა თუ საათები? კასპერს თვალებთან უკვე დიდ-დიდი ცისარტყელასფერება რგოლები აუთამაშდა, გულის რევა იგრძნო.

წინა რიგში მდგარ კასპერს თვალები ძირს დაეშვა და მონდომებით ათვალიერებდა გამვლელთა ნაირ-ნაირ ფეხსაცმელს. აგერ, განიერი, უკანასკნელი მოდის მიხედვით ოთხ ადგილას გაპრილი ესპანური ტყავის ფეხსაცმელი. აგერ, მწვანე ფერის ფეხსაცმელი,

მის პატრონს ტანთაც მწვანე აცვია და მსუბუქი, შემპარავი ნაბიჯით მოდის. ეს კაცი ფილიპ ტეშნერია, კასპერის ახალი ნაცნობი.

მომლოდინე ხალხს სიცილმა გადაუქროლა: შორიახლოს ეპისკოპოსის სენბერნარი მოდიოდა და პირით. მისი უსამღვდელოესობის კვერთხი მოჰქონდა.

და, აჰა, რაღაც განსხვავებული შმაშურის მიხედვით, ირგვლივ მდგომთა ჩურჩულისა და იმის მიხედვით, დერეფნის ორივე მხარეს უკან როგორ დაიხია ხალხმა, კასპერი მიხვდა, რომ თვით ვარმიის მეუფე მობრძანდებოდა.

— მოემზადეთ, — კასპერის ზურგს უკან დაიჩურჩულა მარშალ-ეკმა ბენიოვსკიმ.

არა, არაროგორი ამქვეყნიური სიკეთისათვის არ სურდა კასპერს, შეუფეს თვალში მოხვედროდა!

უპისკოპოსმა მიიხედა და რაღაც შეეკითხა ერთ-ერთ თანმხლებ პირს.

— დიახ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ეს ის ჭაბუკია. — მოესმა კასპერს მასწავლებლის ხმა. — ჩემი ახალგაზრდა მეგობარი გზაჯვარედინზე დგას. ან მთელი მონდომებით მეცნიერებას უნდა დაეუფლოს, ან თავისი მამის, კაპიტან როხ ბერნატივით, ზღვას უძღვნას თავი... მახსოვს, უკვე მქონდა შემთხვევა, მესაუბრა თქვენთან ამ ღირსეული კაპიტნის ცხოვრებისა და სიკვდილის თაობაზე...

მძიმე ქუთუთოებში ჩამდგარი ცივი გამოხედვა კასპერის სახიდან სტუდენტურ ანაფორაზე დაცურდა და მღელვარებისაგან მტკივნეულად დამუშტულ ხელებზე შეჩერდა.

— გამომიწოდე ხელები, შვილო ჩემო, — წარმოთქვა ეპისკოპოსმა, — ხელისგულები ზემოთ შეაბრუნე!

— მეომრის ხელები აქვს, მეზღვაურისა... ანდა სულაც დახელოვნებული ხელოსნისა, — კმაყოფილებით თქვა მეუფემ, — მომიტევე, მიკოლაი, იცი, მეცნიერების ერთგული ვარ შენსავით, მაგრამ ახლა ვარმიას, — მაშ, პოლონეთსაც, — ისეთი დრო დაუდგა, როცა ხელოსანიც, მეზღვაურიცა და მეომარიც ჩვენთვის უფრო სამჯობინოა, ვიდრე სწავლული კაცი... რას გინდა ეწიო ცხოვრებაში, ჭაბუკო? — ეპისკოპოსმა ლათინურად ჰკითხა კასპერს.

ყმაწვილი კაცი მოულოდნელობისაგან შეკრთა.

— კრაკოვის აკადემიაში, ასტროლოგ პროფესორ ლანგეს ყველაზე საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა, — კოპერნიკმა შეატყო, კასპერი დაიბნაო და წამოეშველა... — მაგრამ შექმნილმა გარემოებამ არ დააცალა ახალგაზრდას სწავლა განეგრძო... ახლა ჩემთან არის და ფასდაუდებელ სამსახურს მიწევს ღამიერ ცაზე დაკვირვებისას. ჩემი მხრივ, მეც ვეცადე, აქ გატარებულ თვეებს უქმად არ ჩაევლო ჭა-

ბუკისათვის: გამოთვლებისა და გაზომვების უნარით საგრძნობლად წაიწია წინ, ხელსაწყოებს ხომ უკვე ჩემზე ნაკლებად არ ხმარობს. გარდა ამისა, ბევრი ვიშრომეთ რომაელი ავტორების თარგმნაზე. იმედი მაქვს, ძალიან ჩქარა შევუდგებით ახლანდელი დროისათვის მეტისმეტად საჭირო ბერძნული ენის შესწავლას...

— კაპიტულის ხარჯზე სწავლის გასაგრძელებლად ბოლონიაში გაიგზავნოს, — არ დაასრულებინა ეპისკოპოსმა დისშვილს და თანმხლებ მწერალს ანიშნა. — ჩაიწერე: „სასწავლებლად იგზავნება მამის, კაპიტან ბერნატის დამსახურების გამო". მომავალ კვირას შეგახსენებ მაგის საქმეს... რას მოუყვანიხარ ჩემს სასახლეში? — მოეესმა კასპერს, მაგრამ ეს შეკითხვა უკვე სხვა მთხოვნელისადმი იყო მიმართული.

— შეიძლება წავიდე? — მიუბრუნდა ჭაბუკი პან ბენიოვსკის, მაგრამ იგი ზურგსუკან აღარ ედგა.

ეპისკოპოსი ბიბლიოთეკის კართან შედგა, როცა მოწიწებული თავის დაკვრით ერთდროულად მიეახლნენ ტიდემან გიზე და ფილიპ ტეშნერი.

— თქვენო მაღალღირსებავ, თუ არ ვცდები, ამას თქვენც მფარველობთ, არა? — კეთილმოწყალე ღიმილით ჰკითხა ლუკაშ ვაცენროდმა კანონიკს.

კასპერმა იფიქრა, ბურგობისტრზეა ლაპარაკი, მაგრამ მის უკურთასმენას მისწვდა მამა გიზეს მეღერი ხმა.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, ვაი თუ მოუფიქრებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებით ვავნოთ ჭაბუკს... ვბედავ, თუკი, ნება მაქვს რჩევის მოცემისა. კასპერ ბერნატს კარგა ხანია ვადევნებ თვალს. ენერგიით სავსე ახალგაზრდაა, სავაჟკაცო საქმეს მოწყურებული, სამშობლოსი და თავისი მასწავლებლის, კანონიკ კოპერნიკის უზომოდ ერთგული. კასპერ ბერნატმა იცის საზღვაო საქმე, შეუძლია იალქნების მართვა, ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ასტროლაბი და სექსტანტი. მე მგონი, კასპერი ოთხკედელშუა გამომწყვდეულ მწიგნობრად არაა დაბადებული. თანაც ცოტაოდენი ლათინური იცის, ცოტაოდენი იტალიური და ძალიან კარგად გერმანული. თუკი თქვენ, თქვენო უსამღვდელოესობავ, პან კონოპკას ნებას დართავთ, იმ გემის შემადგენლობაში ჩარიცხოს, რომლის მშენებლობასაც ბოცმანი, თქვენივე განკარგულებით, მეთვალყურეობს გდანსკში, ახდებოდა ჭაბუკის ყველაზე სანუკვარი ოცნება... ანდა, გემის წყალში ჩაშვება თუ დახანდება, ან თუ მისი ეკიპაჟი უკვე შედგენილია, იქნებ სარეკომენდაციო წერილი მიგეცათ ჭაბუკისათვის ტორუნის ან გდანსკის გემთმეპატრონეებთან?

ვარმიის ხელისუფალმა მიიხედა და კასპერს სწრაფი, გამომცდელი მზერა ესროლა.

— ჩვენში სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება მამაცი, მცოდნე და სამშობლოს ერთგული ხალხი, — თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო ეპისკოპოსი, — თუ მამაცნი და ერთგულნი არიან, ცოდნა აკლიათ, ჩვენს სწავლულებს კი ხშირად გამბედაობა არა ჰყოფნით... იმაზე რაღას იტყვით, თქვენო მაღალღირსებავ, რომ რა ხანია, შეესაფერის კაცს ვეძებთ, ის კი აქვე ყოფილა თურმე, ჩვენ გვერდით! — მიმართა მან კანონიკ გიზეს. — ჭაბუკის ბედზე ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ. მაინც გავგზავნოთ სასწავლებლად. ფილიპ, შეგიძლია, ამ საუბარში შენც მიიღო მონაწილეობა. ოღონდ ჯერ მამა კანონიკებს უნდა მოვეთათბირო დიაცეზის სხვადასხვა საქმეებზე...

ეპისკოპოსი და მისი თანმხლები ამალა ბიბლიოთეკაში გაუჩინარდნენ. მიღება დაიწყო. კასპერი ვეღარ ითმენდა ვუეკისათვის უხარებინა თავისი ამბავი, თუმცა კარგად მაინც ვერ გარკვეულიყო, რა სარბიელს უმზადებდა მისი უსამღვდელოსობა. უცნაურია, მაგრამ მასწავლებლისა და ეპისკოპოსის საუბარს რომ უსმენდა, ყმაწვილმა კაცმა იფიქრა, არც ისე უიმედოდ მქონია საქმე, ღმერთის შეწევნით, შეიძლება ჩემგან მეცნიერიც დადგესო, ახლა კი, მამა გიზეს ნათქვამის შემდეგ, მის შეგნებაში კვლავ შეტრიალდა ყოველივე და თვალდახუჭულმა გზნებით წარმოიდგინა ლურჯად მოლივლივე ოკეანის უსაზღვრო სივრცე.

ჩემი კეთილი, კარგი ვუეკი სადღა გაქრა? როგორ გაიხარებს! რაინდთა დარბაზიდან გამოღწევა კი არც ისე იოლი გამოდგა.

— მიღება არ დამთავრებულა, სად მიდიხარ? — შეუბღვირა მსუქანმა შლიახტიჩმა, როცა კასპერმა, გატარება სთხოვა.

სადღაც, კედელთან, ერთი აწოწილი მღვდლის უკან გამოჩნდა პან კონოპკას გაწითლებული, დაბნეული სახე.

— მიღების დამთავრებამდე აქ უნდა დარჩეთ, — უთხრა მარშალეკმა ბენიოვსკიმ, რომელსაც, როგორც იქნა, თვალში მოხვდა კასპერი.

ორი საათის შემდეგ ბიბლიოთეკის კარში მამა მიკოლაი გამოჩნდა. მან ხალხში ვიღაც კაცი მოძებნა და ორიოდ სიტყვა ჩაულაპარაკა, მერე კასპერი დაინახა და ხელით ანიშნა რაღაც. „უნდა დავიცადო? თუ წასვლაა საჭირო? მაგრამ ასე იოლად რას გახვალ“. ყოყმანი ზურგის მხრიდან მოსულმა ტიდემან გიზემ გადააჭრევინა.

— გასასვლელისკენ გააღწიე, — უჩურჩულა გიზემ.

ზედ კართან კოპერნიკაც წამოეწიათ.

— მე ისევ მის უსამღვდელოესობასთან უნდა მივბრუნდე, — ჩქარობდა კოპერნიკი. — ეპისკოპოსთან შენზე მოლაპარაკება მოვახერხე.

ძალზე კარგად იცოდა კასპერმა, რომ შეეძლო მამა მიკოლაის ეგრძნობათა დაფარვა. ჭაბუკი ცდილობდა კიდევაც მიებაძა მისთვის.

მაგრამ მოსწავლეს უფრო უკეთესად ჰქონდა შეცნობილი და უყვარდა მასწავლებლის თვალები. ახალ ამ სხივმფინარ თვალთა სილრმეში ურვა ამოიკითხა. მამა ტიდემან გიზეს ხომ სახეზე აშკარად ეხატა წყენა.

ორივე კანონიკი ისევ შებრუნდა სააუდენციო დარბაზში.

მიღება გრძელდებოდა. ბიბლიოთეკიდან სწრაფად გამოვიდა ფილიპ ტეშნერი, შემდეგ — ვიღაც მორთულ-მოკაზმული ბატონი თანმხლები ქალბატონით, შემდეგ — მამა ბარკოვსკი, მას ტიდემან გიზე მოჰყვა, გიზეს უმალ წამოეწია მამა მიკოლაი.

— იტალიაში უნდა წახვიდე, კასპერ! — მოსვლისთანავე თქვა მან. — ასე გადაწყვიტა მისმა უსამღვდელოესობამ.

— რამითა ხართ უკმაყოფილო? — კრძალვით იკითხა ჭაბუკმა. — შიკრიკებმა შორეული ქვეყნებიდან ცუდი ამბავი ხომ არ ჩამოიტანეს? ან იქნებ მე ვერ მოვიქეცი ისე, როგორც საჭირო იყო და მისმა უსამღვდელოესობამ...

კოპერნიკმა ფიქრიანად შეხედა თავის ახალგაზრდა მეგობარს, შემდეგ ჩვეული ჟესტით უკან გადაიყარა გრუზა თმა.

— ჰა? რაა? — იკითხა დაბნეულად. — არა, ცდები, შვილო ჩემო. საფუძველი არა მაქვს უკმაყოფილებისა. შიკრიკების ჩამოტანილი ცნობები სასიხარულოა მხოლოდ. მისი უსამღვდელოესობაც, თვითონვე შეამჩნევდი, მეტად კეთილად მოგექცა. იტალიაში გამგზავრების დიდი ხნის ოცნებაც აგიხდება. შენა და პან კონოპკა ერთდროულად წახვალთ, ოღონდ სხვადასხვა გზით. რომში შეხვდებით ერთმანეთს... მისი უსამღვდელოესობა სინამდვილეში სასწავლებლად გგზავნის, ოღონდ, მანამდე საშუალება მოგეცემა, თავი გამოიჩინო საზღვაოსნო საქმის ცოდნით. ამაზე კიდევ დაწვრილებით ვილაპარაკებთ... მე მაინც სხვა რამ მინდოდა შენთვის, მაგრამ გარემოებანი ასე აეწყო...

— თქვენ ნურაფერზე იწუხებთ! — ფიცხლად მიუგო კასპერმა. — რაკი პან კონოპკა ახსენეთ, უკვე მივხვდი, მამაჩემის კარიერის გაგრძელება მომიხდება. ბოცმანი კონოპკა! ზღვაოსნობის საქმეში უკეთეს მასწავლებელს ვერც ვისურვებდი! ვეცდები, არ შევარცხვინო როხ ბერნატის სახელი. მამაჩემი მამაცი და გამოცდილი კაცი იყო. მე ჩემს გამოუცდელობას იმ ცოდნით შევავსებ, რომელიც აკადემიაში და აქ, თქვენი ხელმძღვანელობით შევიძინე... სიმამაცის გამოჩენის შემთხვევა ჯერ არ მომცემია, მაგრამ, მგონია, არც აქ მივაყენებ ჩრდილს მამის სახელს... რა მადლობელი ვარ თქვენი, ძვირფასო მამა მიკოლაი, რომ იმდენ მნიშვნელოვან საქმეთა შორის ჩემთვისაც პოულობთ დროს... მმართებს, მის მაღალღირსება მამა ტი-

დემანსაც მოვახსენო მადლობა, მისი და ეპისკოპოსის საუბრიდან რამდენიმე სიტყვას მოვკარი ყური...

— ასე, ასე, — დაეთანხმა ტიდემან გიზე, მერე მოულოდნელად ფეხის წვერებზე აიწია, თავის პატარა ხელებში მოიქცია ჭაბუკის სახე და პირზე აკოცა. — მხოლოდ უფალი ღმერთია მოწმე, როგორ მინდა, შვილო ჩემო, რომ არასოდეს შემაჩვენო მაგის გულისათვის!

თავი მეექვსე

სიტყვა არავისთან ,დაგცდეთ!

მიუხედავად გაზაფხულის დღეებისა, კასპერისა და პან კონოპკას პატარა სენაკი ისე იყო გახურებული, სუნთქვა ჭირდა. საუბარში გართული ოთხი კაცი კი ვერაფერს გრძნობდა, ხანდახან თუ მოიწმენდნენ ხოლმე შუბლზე ოდადენილ ხვიოქს.

— მაშ, კარგად გაიგე, კასპერ, რა გევალება? — შეეკითხა მამა მიკოლაი. — ვარმიის კაპიტული ორი წლით გგზავნის სწავლის გასაგრძელებლად. ამ ხნის მანძილზე კაპიტული თავის სალაროდან გადაგიხდის კვებისა და ჩაცმის ფულს. ყველაფერს კი მისი უსამღვდელოესობა მამაშენის, კაპიტან ბერნატის დამსახურების გამო აკეთებს...

გაოგნებულმა კასპერმა თავი დაუქნია.

— ყურადღებით მისმინე, — განაგრძობდა კოპერნიკი, — ხომ საამყოდ გექნებოდა ვარმიის... უფრო მეტიც, პოლონეთის სამსახურის საშუალება რომ მოგცემოდა...

გაოგნებულმა კასპერმა კვლავ დაუქნია თავი. სიხარულისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო.

— ჰოდა, მაშ, გეძლევა ამის საშუალება. გამგზავრების წინ პაკეტს ჩაგაბარებენ რომში მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა კარდინალ მაძინთან გადასაცემად. მხოლოდ კარდინალ მაძინისაგან გაიგებ, შემდეგ რა უნდა გააკეთო. შეიძლება კაპიტან ბერნატის კარიერაც განაგრძო. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ისაა, რომ შენ და პან კონოპკას მცირედი მგზავრობა მოგიხდებათ ზღვით ვარმიის კაპიტულისათვის ფრიად საჭირო დოკუმენტის მისაღებად. ეს დავალება, მე მგონი, დიდ დროს არ წაგართმევს, მაგრამ იტალიაში ჩასვლა გაგიჭირდება დიდად! იქ, აგერ, რამდენი წელია არ ცხრება შინაომი. დავალებას რომ შეასრულებ, თუ გინდა, შენ ჩამოიტანე მოპოვებული ქაღალდები ლიძბარკში, თუ გინდ, პან კონოპკას ჩააბარე იმიტომ, რომ გიმეორებ, ამ დავალების შესრულების შემდეგ

ნება გექნება, საკუთარი სურვილის მიხედვით განაგო შენი ბედი. რა თქმა უნდა, აჯობებდა, თუ ორივენი ერთად დაბრუნდებოდით.. იტალიაში, მაძინის გარდა, არავინ უნდა იცოდეს, რომ შენა და პან კონოპკა ნაცნობები ხართ. პან კონოპკას ჩვენ უკვე მოველაპარაკეთ. აქედან ის სხვა გზით წავა და რომში ან ვენეციაში შეგხვდება. ამ საკითხს თვით კარდინალი მაძინი გადაწყვეტს.

თუმც კვლავ გაოგნებული იჯდა კასპერი, მაგრამ გახარებულმა მაინც ცერად გადახედა ვუეკს, ზღვაზე ერთად მოგვიხდებაო ცურვა!

კოპერნიკი განაგრძობდა:

— შეიძლება ისეც მოხდეს, იტალიაში დარჩე სწავლის გასაგრძელებლად. თავს ნუ აქნევ, ვერავინ დაგიჩემებს, შენი ახლანდელი გეგმები არ შეიცვლებაო, ჩახვალ იტალიაში და ნახავ, მთელი იქაური გარემო როგორაა განწყობილი მეცნიერებათა მიმართ. თუ საბოლოოდ დარწმუნდები, რომ სხვაა შენი მისწრაფება, შენი სურვილის მიხედვით, თუ გინდ, პოლონეთში დაბრუნდი, თუ გინდ, გენუაში, კაპიტნების ქალაქში ჩადი. ნუ შიშობ, ჩემო კარგო ბიჭო, არ ვაპირებ შენგან ძალით მეცნიერის გამოყვანას, — ალერსიანი ეშმაკობით დაურთო მაშა მიკოლაიმ („ღმერთო ჩემო, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდეს!" — გაიფიქრა კასპერმა). — უკან დასაბრუნებელ თანხას მაძინისაგან მიიღებ.

ეს გრძელი დარიგება რომ დაამთავრა, კოპერნიკმა ჩვეული ჟესტით შუბლიდან უკან გადაიყარა თმა და უცებ გაიღიმა: ხელისგულიც, შუბლიცა და თმაც ისე დასველებოდა ოფლით, გეგონებოდა, უბანავიაო.

— გაზაფხულია, მაგრამ ამ დროს, ამ გაუთავებელი წვიმების შემდეგ ციხე-კოშკის კედლები ნესტიანდება ხოლმე და ბუხრები დავანთებინე... — თქვა კოპერნიკმა. — თუმც, კასპერ, აქამდე უნდა მიხვედრილიყავი, რომ ფანჯარა გამოგეღო. შენ არ გცხელა? ძალიანაც კარგი: მაშ, იტალიაში ჩემსავით არ შეგაწუხებს სიცხე. ისევ საქმეს დავუბრუნდეთ: უნდა გაგაფრთხილოთ ორივე, კასპერ და პან კონოპკა, რომ დავალება სახელმწიფო მნიშვნელობისაა და სიტყვა არავისთან არ უნდა დაგცდეთ!

კასპერმა წვალებით გამოაღო ჩაჭედილი ფანჯარა. ოთახი იმწამსვე გაივსო ნაზი, ახლად მოსული ბალახის სურნელით.

შემოტრიალებულმა კასპერმა უნებურად დაიჭირა, როგორი თვალებით გადახედა ორმა კანონიკმა ერთმანეთს. სიყვარული, წუხილი, შეცბუნება, რაღაც სიბრალულიც კი გამოსჭვიოდა მათს მზერაში.

— კასპერ, ჩემო ბიჭო, — უცებ სულ დაუწია ხმას მამა მიკოლიამ. — დავალება, რომელსაც ვარმიის დიაცეზი გაძლევს, დიდმნიშვნელოვანია და სახიფათო... დარწმუნებული რომ არ ვიყო, რა მხურვალედ, ერთგულად გიყვარს პოლონეთი, არასოდეს გენდობოდი. პან კონოპკაზე აღარაფერს ვამბობ: მაგან უკვე მრავალჯერ დაუმტკიცა სამშობლოს ერთგულება! გესმის, ჩემო ბიჭო, შეიძლება მრავალი რამ შეგემთხვეს, მაგრამ რასაც მოიმოქმედებ, პოლონეთის გულისთვის მოიმოქმედებ! მაშ, დაიმახსოვრეთ: სიტყვა არავისთან არ უნდა დაგცდეთ!

პან კონოპკამ, ხელით რომ იწვალებდა გრძელი ულვაშის ბოლოს, ჩაახველა, თითქოს რაღაცის თქმა დააპირაო, მაგრამ ან გამბედაობა არ ეყო ან ხმა ვერ დაიმორჩილა. კონოპკამ მეორედაც ჩაახველა და გაჩუმდა. კასპერს აღარ დასჭირვებია, ვუეკისათვის თუნდაც შეხედვით გამოეთხოვა მისი სათქმელის გაცხადების ნება.

— მასწავლებელო, — თითქმის ვედრებით წარმოთქვა ჭაბუკმა, — ვხვდები, რაც აწუხებს პან კონოპკას: ჩვენ ხომ, არც მე და არც მაგან, არ ვიცით, რა დავალებას გვაძლევს მისი უსამღვდელოესობა. ყოველივეს რომში გაიგებთო. მაშ, სურვილიც რომ გვქონდეს, ვერ გავცემთ იმ საიდუმლოს, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, არც გვანდობენ...

ჩია ტანის მამა გიზე, ძლივს რომ ჩანდა სავარძელში, ამოძრავდა.

— მგონი, მე და შენ მართლები ვიყავით, ძმაო მიკოლაი, — გაისმა გიზეს, საუცხოო მქადაგებლის ლამაზი, მეღერი ხმა. — კასპერისთვისაც და პან კონოპკასთვისაც უნდა გაგვემხილა დავალების საიდუმლოება, რომ გაუთვალისწინებულ დაბრკოლებასთან გადაყრის შემთხვევაში შესაფერისი გადაწყვეტილების მიღება შეძლებოდათ.

კოპერნიკმა თითებით მუბლი მოისრისა და ერთ ხანს გაჩუმებული იჯდა.

— მეც მაგას ვფიქრობდი, სანამ მისი უსამღვდელოესობის განმარტებას მოვისმენდი, — მტკიცედ თქვა ბოლოს, — ვიმეორებ: მომავალ გამგზავრებაზე აქ არავისთან არაფრის თქმა არ შეიძლება... ვგონებ, იმ მოკლე დროში, რასაც ესენი ლიძბარკში დაჰყოფენ, გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება. აქ კოპერნიკმა კასპერის საწოლის თავიდან მომცრო ჯვარცმა ჩამოიღო და ჭაბუკს გაუწოდა: — დაიფიცე, შვილო ჩემო, და თქვენც, პან კონოპკა!

კასპერმა და კონოპკამ ერთდროულად დაადეს ჯვარს თითები. ორივეს თითოჯერ უკვე ჰქონდა ფიცი დადებული. პან კონოპკას —

როცა „იასკოლკაზე“ ბოცმანის თანამდებობას იღებდა, კასპერს — როცა კრაკოვის აკადემიაში შედიოდა.

მღელვარების, სიამაყისა და განცდისაგან ჭაბუკს თვალებზე ცრემლი მოადგა. იგი ემთხვია ჯვარცმას, მერე მიკოლაი კოპერნიკისკენ შებრუნდა.

— მისრულდება ცხოვრებაში ყველაზე სანუკვარი ოცნება, — ზღვაში ჩემს საყვარელ, ბუზღუნა ვუეკთან ერთად გავდივარ, — უთხრა მან ხმადაწევით, — ვნახავ იტალიას და, ალბათ, სხვა ქვეყნებსაც. შემეძლება სწავლის გაგრძელება, რაზედაც ისე ოცნებობდა დედაჩემი და, ყველაზე მთავარი — შემეძლება სამშობლოში დაბრუნება, თუკი სევდა შემომაწვა. მაგრამ, თქვენო მაღალღირსებავ, — უფრო დაუწია ხმას კასპერმა, — გამგზავრების წინ ხომ მომცემთ ნებას, მოვინახულო... — კასპერი შებორძიკდა, — ჩემთვის ძვირფასი ადამიანები?.. თუ სწორად გავიგე, საიდუმლოდ ვარმიის კაპიტულის დავალება უნდა შევინახო, რის გამოც ჯვარცმაზე უკვე დავიფიცე, სიტყვა არავისთან დამცდება-მეთქი... მაგრამ სასწავლებლად რომ მივდივარ...

მამა გიზე უფრო ღონივრად ჩაეჭიდა სავარძლის სახელურებს და უფრო ღრმად ჩაჯდა შიგ. მასა და მიკოლაის მის უსამღვდელოესობასთან ამაზედაც ჰქონდათ საუბარი.

— ჩანს, ცუდად გაიგე ჩემი ნათქვამი, — ნაღვლიანად უპასუხა კოპერნიკმა. — ჩვენ მტრებითა ვართ გარემოცულნი... მომავალ გეგმებზე ლაპარაკისას, ჭაბუკური გამოუცდელობით, შეიძლება მტერს საიდუმლო გაუმხილო. ლიძბარკის ციხე-კოშკიდან მხოლოდ იმიტომ გახვალ, რომ იტალიას გაემგზავრო: შენი გამგზავრების ამბავი ვარმიის მიწაზე არც წერილობით უნდა შეატყობინო ვინმეს, არც სიტყვიერად... გიმეორებ: დავალება დიდ დროს არ წაგართმევს, ხანგრძლივად არ მოგიხდება აქაურობის დატოვება, თუკი, რაღა თქმა უნდა, შენ თვითონ არ მოისურვებ იტალიაში დარჩენას. დავალების შესრულების შემდეგ, თუ საბოლოოდ განსაზღვრავ შენს ბედს, იტალიაში დარჩები და გადაწყვეტ, შენი განზრახვა მახლობლებს შეატყობინო, წერილს მანამდე ვერ გამოგზავნი, სანამ არ დარწმუნდები, რომ პან კონოპკამ შენ მაგივრად ლიძბარკში უკვე ჩამოიტანა ჩვენთვის საჭირო ქაღალდები. ჩემი ვარაუდით, თქვენს მგზავრობას, უკან დაბრუნების ჩათვლით, წელიწადზე მეტი არ დასჭირდება.

— ცხვირი ნუ ჩამოუშვი, კასპრუკ, — მხიარულად შეეძრახა პან კონოპკა. — ექვს, შვიდ თვეობით არ წერ ხოლმე დედაშენს წერილს, მაგრამ, რაღაც არ შემიტყვია, სინდისს მეტისმეტად შეეწუხებინე. სხვების დარდი თუ გაქვს კიდევ... მეგობრებისა თუ ვიღაც-ვიღაცე-

ბისა... ერწმუნე ძველ მეზღვაურს, ნამდვილი სიყვარული... უნდა მეთქვა მეგობრობა-მეთქი, კაჟივით გამძლეა, ვერც როგორი განშორება ვერ მოერევა... აბა, ჩამოიარე გდანსკის ნავმისადგომის ქოხმახები და გაიგებ, რამდენწლობით ელოდებიან მეზღვაურის ცოლები თუ საცოლეები თავიანთი საყვარელი ადამიანების დაბრუნებას! ჰოდა, რაღაც ერთ წელიწადში თუკი ხელში შემოგადნებათ ყველაფერი, მაშინ, მაპატიეთ, წმინდა მამებო, და მაგისთანა მეგობარს... ჯანდაბის იქით უნდა ჰქონდეს გზა!

— ჩვენი კარგი ბოცმანი ერთ რამეში უეჭველად მართალია, კასპერ, — სავარძლის სიღრმიდან გამოეძახა მამა ტიდემანი, — ცხვირს ნუ ჩამთუშავებ, შვილო!

კასპერი მაინც დაღონებული იჯდა, რა ძნელია, მიტასგან სულ ორიოდე საათის სავალი გზა გყოფდეს, თანაც მთელი წლით მიდიოდე! ვინ იცის, რა მოხდება ამ ერთ წელიწადში... ვთქვათ და მიტამ იფიქროს, კასპერმა დამივიწყაო? არა, არა, მიტა მშვენიერად იცნობს კასპერს, ცუდს არაფერს იეჭვიანებს!

მიკოლაი კოპერნიკი რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იჯდა და თვალს ადევნებდა ჭაბუკს.

— პირობას გაძლევ, კასპერ, — უთხრა მან ბოლოს და თავის ახალგაზრდა მეგობარს მხრებზე მოხვია ხელები. — როგორც კი კრაკოვში ჩავალ, მოვინახულებ პროფესორ ლანგეს ქალიშვილს და ვეტყვი, რომ გიყვარს იგი, ვეტყვი, რომ არ შეგეძლო წერილის მიწერა და სულ მალე დაუბრუნდები უკან...

კასპერმა მასწავლებლის ხელები სწრაფად მოიშორა მხრებიდან და გველნაკბენივით წამოიჭრა ზეზე.

— ვუეკ! — სასაყვედუროდ ამ სიტყვის თქმაღა მოახერხა მხოლოდ. აი, თურმე პან კონოპკა ამწინებზე რას ეჩურჩულებოდა ორივე კანონიკს!

კასპერმა აღარ დაინდო თავისი ხნიერი მფარველი და ალმურმოდებულმა მიაყარა:

— სცოდნოდა მის უსამღვდელოესობას, რა ენაჭარტალაც ხარ, მოგანდობდა ასეთ სერიოზულ დავალებას, როგორ არა!

საწყალი ბოცმანი დაბნეული იწიწკნიდა ულვაშს.

— შენი სიყვარულით მომივიდა, კასიუ... მის მაღალღირსებას მე მხოლოდ ის ვუთხარი, გოგონა რაღაცნაირად მივახვედროთ-მეთქი, იმიტომ რომ... მე ხომ ვიცი... — ბოცმანმა თავი ველარ გაართვა საუბარს და გაჩუმდა.

— პან კონოპკას მხოლოდ სიკეთე უნდოდა შენთვის, — საუბარში ჩაერია მამა ტიდემანი, — მოდით, ამაზე მეტს ნუღარაფერს ვიტყვით.

ფანჯარაში ცა გალურჯდა, გამკრთალდა, შემდეგ მოიისფრო-მომწვანო ფერი დაიკრა და ბოლოს შეევარდისფერდა. სადღაც, მოპირდაპირე მხარეს, მზე ამოდიოდა.

„ღამე დასრულდა. კიდევ რამდენი ღამის გატარება მომიხდება აქ ლიძბარკში?“ — გაიფიქრა გუნებაწამხდარმა კასპერმა. როგორც უცებ წამოენთო, ისევე უცებ გადაუარა ვუეკის წყენამ.

თითქოს ემშვიდობებაო, კასპერმა თვალი მოავლო თეთრ კედლებს, უბრალო, ფიცრისგან შეკრულ მაგიდას, კუთხეში მდგარ მუხის დიდ ჯვარცმას და საწოლების თავით ჩამოკიდებულ ორ პატარა ჯვარცმას. მისი მზერა შეჩერდა ზეთით შესრულებულ წმინდა ქრისტეფორეს გამოსახულებაზე, მდინარეზე ყრმა იესო რომ ვადაპყავდა.

— რამდენი ხანია უნდა მეკითხა თქვენთვის მამა გიზე, შენთვისაც, ვუეკ, მამა მიკოლაიმ თავისი ჩვეული სიკეთის გამო ხომ არ გამალამაზა? ამ სურათს რომ შეხედავს კაცი, იტყვის, კასპერ ბერნატი არისო?

სტუდენტმა ტიდემან გიზესა და პან კონოპკას დაუსვა კითხვა, გაპასუხებით კი მამა მიკოლაი გაეპასუხა.

— იქნებ უიმედოდ ჩამოვრჩი ფერწერაში, იქნებ ყოველგვარი გემოვნება დავკარგე იმიტომ რომ, მართალი გითხრათ, ეს პორტრეტი უკეთესი მგონია იმ ჩემს ნამუშევართა შორის, რაც კი ოდესმე შემისრულებია. ოღონდ, ამ სურათში უფრო გაბრაზებული იყურები, ჩემო კასპერ. ეტყობა, ან წყალი იყო ძალიან ცივი, ან პატარა იასი მეტისმეტად გიჭერდა ყელში ხელებს. ერთი რამ მაინც უდავოდ მეჩვენება, ვინც ამ პორტრეტს შეხედავს, უსათუოდ მაშინვე იცნობს კასპერ ბერნატს...

— ჰო, ჰო აი, ბრანევის ბურგომისტრი შემოვიდა თუ არა, მაშინვე წამოიძახა: „ეჰე, ეს ხომ ის ჭაბუკია, მამა მიკოლაის ვარსკვალებზე დაკვირვებაში რომ ეხმარებაო“! — ჩაერია საუბარში პან კონოპკა. — გუშინ საღამოს გეძებდა ის კაცი, კასპერ, ციხე-დარბაზ მენდელშტამში წერილს წავიღებო...

— რაო? — ჩაეკითხა კოპერნიკი, მერე მამა ტიდემანს გახედა და დაურთო: — მაშ, დაიმახსოვრეთ, მეგობრებო, სიტყვა არავისთან დაგცდეთ! ახლა კი ცოტა მაინც დაისვენეთ, გვიანი წირვის შემდეგ კიდევ მოვისაუბრებთ.

როგორც კი კანონიკებმა კარი გაიხურეს, სტუდენტმა და ბოცმანმა ტანთ გაიხადეს და დაწვნენ.

— ვუეკ, შენც ატყობ, რომ მამა მიკოლაის ფილიპ ტეშნერი არ უყვარს? თუ მე მეჩვენება?

— გეჩვენება! — მიუგო პან კონოპკამ ძილის ხმაზე. — აბა, ახლა დავიძინოთ!

— მისი უსამღვდელოესობა კი ძალზე მოწყალედ ექცევა ბურგომისტრს... გახსოვს...

— მოწყალედ მოექცევა, მაშ რა! — გააწყვეტინა კასპერს ვუეკმა. — არა, მაინც რა გულახდილობა აგიტყდა ჩემისთანა ბებერ ენაჭარტალასთან?

ჭაბუკი უცებ წამოვარდა საწოლიდან, პან კონოპკასთან მიიჭრა და, როგორც ბავშვობაში იცოდა, მხარზე ცხვირი გაუხახუნა.

— მეტს აღარ ვიზამ, ნუ ბრაზობ! — უთხრა შესაბრალისად.

— მაინც რა მდაბიური საქციელი აქვს ამ ფილიპ ტეშნერს! ის კი, წარმოიდგინე, ბრანენვის ბურგომისტრია! — ხმამაღლა მსჯელობდა ბოცმანი. — ბრანენვი კი, არ დაგავიწყდეს, ვარმიის ყველაზე მდიდარი ქალაქია! მისი ბურგომისტრობა, იცი, რას ნიშნავს... — პან კონოპკამ თავი გადააქნია, — მაგრამ მის უსამღვდელოესობას ვინ რას ეტყვის: რაც არ უნდა, იყოს, მისი სისხლი და ხორცია, ღვიძლი შვილი...

— მისი სისხლი და ხორცი? ღვიძლი შვილი? — გაოცდა კასპერი. რას ამბობ?

— დედაო ღვთისა, — ამ მიამიტს აქამდე არ სცოდნია, რომ ფილიპ ტეშნერი ვარმიის მეუფის შვილია! ოღონდ ფილიპ ტეშნერი იმ დროს გაჩნდა ამ ქვეყნად, როდესაც ეპისკოპოსი ერთი უბრალო მასწავლებელი იყო... ჰოდა, სკოლის დირექტორმა, იმ გოგოს მამამ, არ ისურვა, ვაცენროდისთვის შვილი მიეთხოვებინა. საქმე ის იყო, რომ განზის მდიდარი ვაჭრები, ტეშნერები — დირექტორის ნათესავები, — ამ ქორწილის წანააღმდეგები იყვნენ. მაშინ კიდევ, როდესაც ლუკაშ ვაცენროდმა მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო, დაგვიანებული იყო: მათს სასიძოს უკვე საეკლესო ხარისხი ჰქონდა მიღებული...

— იცი, რა გითხრა? მართალია, პატიება გთხოვე, მაგრამ მაინც ენაჭარტალა ყოფილხარ, ვუეკ... საიდან იცი მასეთი ამბები?

— იესო დიდებულო! ვიღამ არ იცის ეგ ამბავი! ჩვენი მზარეული ადელია რომ ადელიაა, იმანაც იცის! მამა მიკოლაის კი ცილს სწამებ... ტეშნერზე რომ გეთქვა, სხვა საქმეა: იმას აქვს მიზეზი მამა მიკოლაის შეჯავრებისა; რაც არ უნდა იყოს, ის, ტეშნერი, ღვიძლი შვილია, ვაცენროდმა კი ყოველგვარი სიკეთე და სიყვარული დისწულისთვის გაიმეტა... აბა, გვეყოფა, ერთი საათი მაინც დავიძინოთ!

დაძინება კი არც კასპერს ეწერა იმ დილას, არც პან კონოპკას. ციხე-კოშკის ეზო თანდათან ახმიანდა. ფეხის ხმამ და ლაპარაკმა იმა-

ტა, სამზარეულოდან კვამლი გაიწელა და შემწვარი ხორცის სუნი დატრიალდა, მაგრამ ბოცმანისა და სტუდენტისთვის ამას არ დაუფრთხია ძილი. ორივენი საბნებში რომ გაეხვივნენ და კედლისაკენ გადაბრუნდნენ, კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა.

— შემობრძანდით! — ბრაზიანად გასძახა ბოცმანმა.

ოთახში ფილიპ ტეშნერი შევიდა.

— თქვენს წყენას არ მოვერიდე და მაინც გნახეთ, — თავაზიანად თქვა ტეშნერმა. — გუშინ გეძებდით, მაგრამ ვერ გიპოვეთ... ეს რა კარგი პორტრეტია! — თავის თავს თვითონვე გააწყვეტინა სიტყვა ტეშნერმა. — მაინც რამდენნაირი ტალანტის პატრონია მამა მიკოლაი! ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მეჩქარება და ამიტომაც გავბედე, დილის ძილი დამეფრთხო თქვენთვის. გაქვს რამე გასატანებელი მენდელშტამში ჩამოსულთათვის? ნახევარი საათის შემდეგ ბრანეეოში მივემგზავრები. ჩემი მსახური გზად ციხე-დარბაზში შეივლის და თქვენს წერილსაც გავატანდი...

„სიტყვა არავისთან არ უნდა დამცდეს!“ — გაიმეორა გუნებაში კასპერმა, ხმამაღლა კი თქვა:

— საწყენია, ასე რომ ჩქარობთ! ჩემდა სამწუხაროდ, არ დამიწერია პასუხი ჩემს მეგობარ ზბიგნევთან...

— საწყენია, საწყენი, — გაწელა ტეშნერმა, — თუმცა, თუ აჩქარდებით, რამდენიმე წუთს შემიძლია შევყოვნდე... მისაწერი ახალი ამბები კი, იცოცხლე, ბევრი გექნებათ. მისი უსამღვდელოესობის საუბარს კანონიკ გიზესა და მამა მიკოლაისთან მეც დავესწარი... ერთობ ვწუხვარ, დილის ტკბილი ძილი ამაოდ დაგიფრთხეთ!..

„ყველაფერი სცოდნია, მაგრამ, სულ ერთია, ჩემს დავალებაზე მაინც არაფერი არ უნდა დამცდეს!“

გულუბრყვილო ჭაბუკმა უცებ ვერაფერი მოისაზრა და დაბნეული მიაშტერდა ტეშნერს.

— არა, არ გაგიღვიძებივართ, — როგორც იყო გონს მოეგო კასპერი, — ჯერ არც დავწოლილვართ... არ დავწოლილვათ კი არა, ეხლახანს დავწექით...

— სტუმრები გყავდათ? — ჩაეკითხა ბურგომისტრი. — თუმცა რას გეკითხებით! იმის თქმა მინდოდა, ალბათ მანპინძლები გეწვივნენ-მეთქი სტუმრებს გამოსამშვიდობებლად...

„ყველაფერი იცის. მაგრამ მე ჯვარცმაზე მაქვს დაფიცებული“. კასპერმა მუშტებით თვალები ამოისრისა და ხმამაღალი მთქნარებაც მიაყოლა.

— მომიტევეთ, პან ტეშნერ, წუხანდელი უძილობის ბრალია... ახლა პან კონოპკამ დაამთქნარა ხმიანად.

— ბოდიშს მოვითხოვთ, პან ბურგომისტრო. უბრალო ხალხნი

ვართ, გაუთლელნი... გუშინ სადილზე სულ თქვენი ძვირფასი ბეწვის თვალიერებაში ვიყავი... გავბედავ და შეგეკითხებით, მოსკოვიდან ხომ არ ჩამოაქვთ ასეთი სიასამური? ნამდვილი მეფის საკადრისი ბეწვია, არა, კასპერ?

მაგრამ კასპერს ბალიშზე კისერი გადაეგდო და ხვრინავდა კიდევაც.

— ვხედავ, უდროო დროს მოვედი, — შემცბარი ღიმილით თქვა ფილიპ ტეშნერმა. — აბა, კარგად იყავით... ალბათ, დიდხანს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს, არა?

— რაო, ამ მოკლე ხანში აღარ აპირებთ ლიძბარკში ჩამოსვლას? — ჩაეძია ვუეკი და დარცხვენით მიიფარა პირზე ხელი, ვითომც, კიდევ არ დავამთქნაროო.

— ბედნიერად ბრძანდებოდეთ! — ფილიპ ტეშნერმა მოწიწებით დაუკრა თავი. ოთახიდან გასვლისას მორიდებით აბაკუნდა მისი მწვანე ფეხსაცმელი.

— ახლაღა დავაკვირდი რიგიანად, — კარი დაიხურა თუ არა, თავი წამოყო კასპერმა. — მართლაც, მისი უსამღვდელოესობის განსაზიერებაა. ოღონდ, ლუკაშ ვაცენროდი არწივს მავონებს, ეს კი...

— ...ქორს ან კირკიტას, — დაასრულა ვუეკმა. მერე უცებ წამოვარდა ლოგინიდან, კარი გამოაღო და დერეფანში გაიხედა. — არავინაა! — თქვა შვებით. — მე კი ვიფიქრე, ყურს არ გვიგდებდესმეთქი...

— რას ამბობ, ვუეკ! მაგას ვინ იზამს! — საყვედურით უთხრა კასპერმა. — ვუეკ, ეგ ხომ ჩვენს გამგზავრებაზე საუბარს ესწრებოდა... იქნებ, მისმა უსამღვდელოესობამ დაავალა შეემოწმებინა, საიდუმლოს შენახვა შეგვიძლია თუ არა?

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, — მოიღუშა პან კონოპკა. — ოღონდ მაგისთანა საქმეს ბურგომისტრები არა, მაგათი ფისკალები, თუ რა ვიცი, რას ეძახიან თავიანთებურად, ისინი ჰკიდებენ ხელს! მე ხომ, აგერ, უბრალო ბოცმანი ვარ, მაგრამ... — ფრაზა ვერ დაასრულა პან კონოპკამ.

— კასპერ ბერნატ! — მოისმა ძახილი ეზოდან.

— ისევ ისაა! — თქვა სტუდენტმა, ანაფორა მოისხა და ფანჯარაში გაიხედა.

ჩექმებში გამოწყობილი ბრანევის ბურგომისტრი უკვე სამგზავრო მოსასხამითა და ქუდით იდგა დაბლა.

— წერილის დაწერას ვერ მოასწრებდით, მაშინ, ჩემი რჩევა იქნება: მეგობარს ძვირფასი საჩუქარი მიართვათ. თქვენს პორტრეტს იტალიაშიც ვერ დახატავდნენ მასე კარგად... დაახვიეთ და გადმომიგდეთ. გზაში ფრთხილად წავიღებ, იქ კი თქვენი მეგობარი ჩარჩოში ჩაასმევინებს.

„მამა მიკოლაის საჩუქარი გავატანო? — დაფიქრდა კასპერი. — ზბიგნევი, რა ფქმა უნდა, სურათს მიტას გადასცემს... არა უშავს, სურათზე კარგადა ვარ გამოსული. ოღონდ, ამით ფიცს ხომ არ დაეარღვევ?.. რა თქმა უნდა, არა, — იქვე დაიმშვიდა თავი კასპერმა, — სიტყვა არავისთან დაგცდეთო. ჰოდა, მეც არაფერს არ ვამბობ, არც ვწერ... ოჰ, რა კარგად მოიფიქრა ფილიპ ტეშნერმა, ჰფარავდეს წმინდა სამება! თანაც რა დროულად გამოდის: ზბიშეკი დღეს არა, ხვალ წავა აქედან! მე კი არც ფიცს გავტეხ და მიტასაც მივაწვდენ ხმას... ერთი ეგ არის ცუდი, რომ მამა მიკოლაის საჩუქარია...“

ამ ფიქრებით გაბრუებული კასპერი ანგარიშმიუცემლად ავიდა სავარძელზე, მარჯვედ ამოაძრო თავისიქვ ხელით მიჭედებული ლურსმნები, ჩამოხსნილი სურათი დაახვია და ძაფი შემოუჭირა. კასპერმა ფილიპ ტეშნერს პირდაპირ ხელებში ჩაუგდო დახვეული პორტრეტი... ჩანს, ბურგომისტრი სულაც არ ყოფილა ქედმაღალი კაცი!

— ადგეს და მოახსენოს მის უსამღვდელოესობას, მე ცუდი არაფერი მიქნია! — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა კასპერმა, ვიდრე ვუეკის გასაგონად.

პან კონოპკა ხმის ამოუღებლად გადაბრუნდა კედლისკენ.

— გძინავს, ვუეკ? — ფრთხილად იკითხა კასპერმა.

— არა, არ მძინავს... ჩემი პანი იაკუბოვა კიდევ მეტყვის სულწწრაფი ხარ გადაწყვეტილების მიღებისასო. მე კი მანამდე არაფერს ვაკეთებ, სანამ გუნებაში ორჯერ მაინც არ წავიკითხავ „Ave Maria“-ს.

— თუ მასეა, მე სამჯერ მოვასწარი „Ave Maria“-ს წაკითხვა, სანამ კედლიდან ლურსმნებს ვიღებდი, — სიცილით გამოტყდა კასპერი.

კასპერის გასახარად, მამა მიკოლაის სახიფათოდ არ მოსჩვენებია ის, რომ მისმა ახალგაზრდა მეგობარმა მენდელშტაშში ბრანევოს ბურგომისტრის ხელით საჩუქარი გაგზავნა.

— შენი გამგზავრების ამბავი იქაც მალე ჩააღწევს... და გოგონა დარწმუნდება, წასვლის წინ ჩემზე ფიქრობდაო. შენს წასვლას არა ვფარავთ, მაგრამ, სანამ აქა ხარ, არც ის გვინდა, ვინმეს შეხვდე.

მამა მიკოლაის არც ის სწყენია, რომ მასწავლებლის საჩუქარი ასე გაიმეტა კასპერმა.

—პოეტებს უყვართ, როცა მათ ლექსები და პოემები ხალხში გადის, იგივე ითქმის მხატვრებზეც, — დაამშვიდა მან ჭაბუკი, — მხატვრებსაც სურთ, მათმა სურათებმა მნახველი დაატკბოს... ბევრი მნახველი! ეს პორტრეტი ასე ძალიან რომ არ გგავდეს, თანაც წმინდა ქრისტეფორეს მეტისმეტი პირქუში გამომეტყველება რომ არ ჰქონდეს, ვაკურთხებინებდი და პონევიჟის წმინდა ბენედიქტეს სამლო-

ცველოს მაიხც შევწირავდი, ხალხი ნახავდა... მართალია, ნამდვილი მხატვარი არა ვარ, მაგრამ ჩემ წილად პატივმოყვარეობაც არ მაკლია და, თუ ჩემი ნახატი გოგონას თავის მიჯნურს შეახსენებს, ორმაგად კმაყოფილი დავრჩები.

„დედაო ღვთისავ, ყველა ხვდება, რომ პორტრეტს ზბიშეკს კი არა, მიტას ვუგზავნი!“ — გაწითლდა კასპერი.

— ერთი რამ ვერ გამირკვევია მხოლოდ, — განაგრძობდა კოპერნიკი, — ასე რატომ ზრუნავს ფილიპ ტეშნერი შენზე. უნდა გითხრა, ეგ კაცი თავს არ შეიწუხებს ისე, თუ სათავისო სარგებელი არა ნახა... თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ პროფესორ ლანგეს ვინაობაზე ყური აქვს მოკრული და იმედოვნებს ქალიშვილის დახმარებით იაფად დაუკვეთოს ჰოროსკოპი! — დაურთო კანონიკმა თავისი ჩვეული ეშმაკური ღიმილით, რომელსაც ამ ბოლო დროს იშვიათადღა ხედავდა კასპერი მის სახეზე, — ნუ წითლდები, გაგეხუმრე...

— თქვენ არ გიყვართ ფილიპ ტეშნერი? — მოულოდნელად იკითხა კასპერმა და პირდაპირ თვალებში შეხედა მასწავლებელს.

— სად წავიდა მთელი ჩემი შეგონება, კასპერ?! — ყვედრებით მიუგო მამა მიკოლაიმ და ჭაბუკის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

— ჰო, იმის გაგება მინდოდა, ჩემო ჭაბუკო მეგობარო, ფილიპ ტეშნერს თქვენს გამგზავრებაზე ხომ არაფერი უკითხავს? — გამომშვიდობებისას თითქოს შემთხვევით მოაგონდაო კოპერნიკს.

— არა, — მიუგო კასპერმა, — მაგრამ მე ხომ ფიცი მაქვს დადებული და მაინც არაფერს ვეტყოდი! ანდა რატომ უნდა ეკითხა, როცა თვითონაც ესწრებოდა მეუფესთან თქვენს საუბარს!

— კი! ნათელმხილველი ან მამლის შიგნეულზე მკითხავი უნდა იყო, რომ ჩვენი საუბრიდან რამე გაიგო, — მხიარული სიცილით უთხრა კანონიკმა, — ტეშნერმაც და სხვებმაც იციან, რომ იტალიაში სასწავლებლად გგზავნიან. ვარმიის მეუფე, გიმეორებ, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა. ტეშნერის მოსვლამდე ჩვენ და მამა გიზემ დაწვრილებით ვილაპარაკეთ შენი და პან კონოპკას დავალების თაობაზე. რობდესაც საქმე სამშობლოს ბედს ეხება, ლუკაშ ვაცენროდისათვის არ არსებობს ნათესაური დამოკიდებულებანი... მას თავისი მდივნისათვისაც არ გაუმხელია შენი გამგზავრების ნამდვილი მიზანი მაშინ როცა, თუ ჯერი პოლიტიკაზე მიდგება, ვაცენროდისათვის მდივანი უფრო საჭირო კაცია, ვიდრე ფილიპ ტეშნერი!

იმ საღამოს დასაძინებლად რომ დაწვნენ, ვუეკი და კასპერი ისეთი დაღლილები იყვნენ, ერთმანეთს აღარც დალაპარაკებიან. სალაპარაკო კი ბევრი რამ ჰქონდათ.

ხვალ ორშაბათია, ნავსიანი დღე, გზას ზეგ გაუდგებიან კონოპკა და ერთი შტურმანი, რომელთანაც ბოცმანი მრავალი წლის წინ, კა-

პიტან ბერნატის დროს, დაცურავდა ზღვაზე. ისინი გენუაში ჩავლენ ვარმიისათვის იქ აგებული სამანიძანი ფრეგატის ჩასაბარებლად. რაკი ზღვით მგზავრობისათვის დიდი დროა საჭირო, ორივე მეზღვაური ხმელეთით წავა. გენუაში საქმეს რომ მორჩება, ვუეკი ფრეგატს შკიპერითა და წინასწარ შედგენილი ეკიპაჟით პოლონეთში გამოამგზავრებს, თვითონ რომში ჩავა და იქ, მაძინთან, დაელოდება კასპერს. კასპერის საქმე კიდევ უფრო რთულად იყო. ისეთი არეული დრო იდგა, სტუდენტს გაუჭირდებოდა საგანგებო წერილებისა და რეკომენდაციის გარეშე იტალიაში ჩაღწევა. იტალია შინაომისა და აჯანყებების ალში იყო გახვეული. მილანელი ჰერცოგები დამხმარე ჯარს ქირაობდნენ. ქვეყანა ესპანელ და ფრანგ მოლაშქრეებს აევსო იმ იმედით, რომ იქაური თავადების შუღლით ისარგებლებდნენ და ამ აყვავებულსა და უიღბლო მხარეს სათავისო ლუკმას გამოჰგლეჯდნენ.

არავინ იცოდა, იმჟამად ვის ეპყრა ძალაუფლება, ვისთვის მიეწერათ წერილი. ამიტომ, სანამ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, კასპერს მოხეტიალე სტუდენტად უნდა გაესაღებინა თავი.

იმ შემთხვევისათვის, როცა მოხეტიალე სტუდენტსაც გაუძნელდებოდა ფრანგთა, ესპანელთა თუ სხვათა ბრბოში გაღწევა, ეპისკოპოსის კანცელარიაში სერტიფიკატი მოუმზადეს. სერტიფიკატი იუწყებოდა, რომ მომნანიე ცოდვილი კასპერ ბერნატი რომს მიდიოდა, რათა მისი უწმინდესობა პაპისათვის ცოდვათა მიტევება გამოეთხოვა.

როცა ვეება მწვანებეჭედდასმული სერტიფიკატი უკვე მზად იყო, მამა ტიდემანმა კასპერს შეხედა და ორჭოფულად გადააქნია თავი:

— მეტისმეტად ახალგაზრდაა ჩვენი მოციქული იმისთანა მძიმე ცოდვათა ჩასადენად, რომელთაც ჩვენი უწმინდესი მამის მიტევება სჭირდებოდეს...

— მართალია, — თქვა ჩაფიქრებულმა კოპერნიკმა, — მეტისმეტად ახალგაზრდაა, ჩვენი დავალება კი უდიდეს წინდახედულებას მოითხოვს.

— არ ვიცი, რა საქმე მევალება, მაგრამ თქვენო მალალღირსებავ, იქნება სწორედ ახალგაზრდობამ გაფანტოს ჩემზე მოტანილი ეპვები, — ჩაერია საუბარში კასპერი, რომელიც აქამდე თავს არასოდეს მისცემდა ნებას, უფროსებისთვის სიტყვა ჩამოერთმია.

— მოხეტიალე სტუდენტის სახელით კასპერი იოლად ჩააღწევს ტიროლამდე, იქიდან მთებს გადაივლის და ლომბარდიაში ჩავა, სადაც აუცილებლივ დასჭირდება სერტიფიკატი. — განაგრძობდა მსჯელობას კოპერნიკი. — ლომბარდიაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეაჩერებენ მოლაშქრეთა რაზმები. თუმცა, იმედი მაქვს, კასპერი

გზაში წვერის გაპარსვას არ მოჰყვება, წითური წვერი კარგა დიდზე წამოეზრდება და ხანსაც მოუმატებს. იტალიელები კი, ესპანელებივით, თავგამოდებული კათოლიკები არიან. ამგვარად, მომნანიე ცოდვილს ყველგან გზა ხსნილი ექნება...

— წითური წვერიო, რომ გაიძახი, იპარსავს კი, საერთოდ, ჩვენი კასპერი წვერს? — შეეპასუხა ტიდემან გიზე კოპერნიკს.

ჭაბუკი მიხვდა, მამა მიკოლაი და კანონიკი გიზე სერიოზულ დარიგებაში ხუმრობას იმიტომ ურევდნენ, რომ უნდოდათ, ყველასათვის საძნელო — სამშობლოს პირველად მიტოვების ნაღველი გაეფანტათ მისთვის.

ახლა, ლოგინში მწოლი კასპერი აკვიატებულ საფიქრალს უტრიალებდა ისევ. დილაადრე გაივირაუდა ზუსტად, როდის ჩააღწევდა მენდელშტამში მისი პორტრეტი. იქამდეო, ამბობენ, რიგიანი ცხენი ორ საათს მოუნდებაო. ფილიპ ტეშნერს კარგი ცხენები ჰყავს. მაშ, სანამ დილის წირვის ზარებს შემოჰკრავდნენ, ტეშნერის მსახური უკვე იქ იქნებოდა. კასპერმა თვალები დახუჭა, ვუეკს ზურგი შეაქცია და ცხადად წარმოიდგინა, ზბიშეკი როგორ მიიღებდა საჩუქარს. გაუკვირდებოდა და გაუხარდებოდა კიდევაც! შემდეგ კი, თქმა არ უნდა, მოახერხებდა, პროფესორის უჩუმრად მიტასთვის გადაეცა პორტრეტი. მიტას ალბათ, არც ისე დიდგვაროვან ქალბატონთან ექნება მიჩენილი ოთახი... ქალბატონი ხანდახან დატოვებს მარტოდ, და მიტასაც საშუალება ექნება, დატკბეს თავისი „მზეუჭვრიტას“ ყურებით.

ჰო, რა მარჯვედ გამოვიდა ყოველივე!

მომავალ გამგზავრებაზე კასპერი არც ფიქრობდა. გდანსკელს ყოველთვის უხდება სხვადასხვა ეროვნებისა თუ სარწმუნოების ზალხთან შეხვედრა და კასპერიც ყოველთვის ძალდაუტანებლად ახერხებდა ყველასთან გაშინაურებას... მათ შორის, ტევტონთა ორდენის მაგისტრის, გროსმაისტერ ალბრეხტის ტლანქ ლანდსკნეხტებთანაც. იტალიელები კი მეტად გულითადი და მხიარული ხალხია...

დანდობილა, თითქოსდა გულზე ცეცხლი შემოენთოო, ამ ფიქრებით ალსავსე დღეებში კასპერს პირველად წამოაგონდა დედა.

— დედა, — წაიჩურჩულა დანანებით, — ჩემო დედილო!

— მითხარი რამე, კასპერ? — ჰკითხა კონოპკამ (მაშ, ვუეკსაც არ სძინავს? თაგვივით კი განაბულა...) — გინდა რამე, კასიო? — ალერსით ჰკითხა ბოცმანმა.

ჭაბუკმა ხმა არ გასცა.

„ძილშია, — სიყვარულით გაიფიქრა პან კონოპკამ. — დაღალა ბიჭი ამ ბოლო დღეებმა!“.

ორი ფრანციის საუბარი და შემდგომი ამბები

ის ზაფხული წვიმიანი დაიჭირა, მაგრამ ბოლო ორ დღეს, შუადღის შემდეგ, მზე გამოანათებდა ხოლმე და გადაწმენდილ ცაზე მხიარული ქარი ღრუბლის ნარჩენებს მიერეკებოდა. ქარი გზებსაც მალე ააშრობდა, მანამდე კი ცხენით მგზავრობა მეტისმეტად გამაბეზრებელი იყო.

თუმცა სიბერისგან ჯერ შორის იყო (ფილიპ ტეშნერს ‹აბ›ებ›ს შემდეგ ორმოცდა ხუთი წელი უსრულდებოდა), მაგრამ ბურგომისტრს უკვე სიმსუქნე შეპარვოდა. იგი უფრო მეტად იმან გააწვალა, რომ ვერაფრით ვერ შეეგუა თავისი ახალი ცხენის ალურს. აბრაშმა ფაშატმა — ეარმიის მეუფის საჩუქარმა — ისე დაანჯღრია ტეშნერი უნაგირზე, რომ შან პირვანდელი განზრახვა შეცვალა და მენდელშტამში სტუმრობა გადადო — მეტისმეტად დიდი მანძილზე მოუხდებოდა გადახვევა გზიდან.

„ლიძბარკში მომხდარი ამბების შეტყობა თუ ძალიან უნდათ, ისინი ჩემთან, ბრანევოშიც ჩამოვლენ. ეგეც არ იყოს, ლიძბარკში მარტო მაგისთვის ინახავენ ლოთ ნიშკეს,“ — ფიქრობდა ბურგომისტრი.

„ისინიო“ რომ ამბობდა, არც ციხე-დარბაზის ხეთაგან მფლობელ ბარონ ალბრეხტ მენდალშტამს გულისხმობდა და, რა თქმა უნდა, არც მის ღერღეტ მეუღლეს, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ ეყოლა პირველი შვილი. „ისინი“ ახლა ციხე-დარბაზს სტუმრობდნენ და მეტად გავლენიან, ფილიპ ტეშნერისათვის საჭირო პიროვნებებს წარმოადგენდნენ. ერთი მათგანი პაპის ლეგატი, პატერი არნოლდი იყო, დიდი ჭკუა-გონების კაცი. დაკისრებული მისია, რისთვისაც პოლონეთში გამოგზავნეს, შეიძლებოდა წინასწარ მოგებულად ჩათვლილიყო, რადგანაც მას თვით მამა არნოლდმა მოჰკიდა ხელი. მაგრამ ტეშნერს უფრო მეტად ჰუგო ფონ ელსტერთან მეგობრობა იზიდავდა. იგი ყველაზე საუკეთესო მეგობარი იყო თვით დიდი მაგისტრ ალბრეხტისა... ბოლო დღეებში ფონ ელსტერი იმდენად დაუახლოვდა ტეშნერს, რომ ბრანევის ბურგომისტრისგან ძვირფასი საჩუქრების მიღებაზეც არა თქვა უარი.

„შენს ვაჭრებსა და ხელოსნებს იმდენ ფულს დააყაჭინებ, რამდენიც დაგჭირდება, — იცინოდა ჰუგო, — ჩვენი საქმეა ცუდად: ჩვენს გლეხებს კარგა ხანია, კუდის რიკამდე გავაძვრეთ ტყავი და წასართმევი აღარაფერი აქვთ.“

ეს კი ასეა, მაგრამ მძიმე ოქროს ჯაჭვი ჯერ მაინც არ უნდა მე-

ჩუქებინა ფონ ელსტერისათვის, — ბრაზობდა გუნებაში ფილიპ ტეშნერი, — თუმცა, მეორეს მხრივ, რა საქმესაც ამ ხალხმა ხელი მოჰკიდა, ნაღდი საქმეა. დაარტყან ერთი აღმოსავლეთიდან თურქებმა პოლონეთს და მერე ვნახოთ, ჭკუისკოლოფ კანონიკ მიკოლაის როგორ გამოადგება თავისი ასტრონომია და ასტროლოგია! თურქები, რაღა თქმა უნდა, წინ ცხენოსან თათართა რაზმებს გამოიმძღვარებენ. ცხენოსნები რამდენიმე დღეში გადაჯეგავენ ქვეყანას, მაშინ დასავლეთიდანაც დაიძვრება მძლავრი, ჭკვიანი და ფრთხილი მოწინააღმდეგე:

„მაშინ კი... — ფილიპ ტეშნერი ანგარიშმიუცემლად გასწორდა ცხენზე: მან ოცნებით ვარმიის ნაცვლად წარმოიდგინა უკვე თავი... — თუმცა, დონერვეტერ[1], რა ვარმიისა?! — ერმლიანდისა!“[2]

ასეთი საქმისთვის, ოღონდაც, სამ ოქროს ჯაჭვსაც გაიმეტებს კაცი და კიდევ იმ სანდომიან მოახლეს, ისე რომ მოუვიდა თვალში ფონ ელსტერს!

გზაგასაყართან ფილიპ ტეშნერმა მსახურს უბრძანა, მენდელშტამისკენ გადაუხვიეო.

— ამ პაკეტს კრაკოვიდან ჩამოსულ სტუდენტს გადასცემ, ამასწინათ ვისი წერილიც ჩამოიტანე, იმას. მე კი სასაუზმეში დაგელოდები.

შემდეგ ბურგომისტრმა სადავეები მიუშვა და ცხენის ნებას მიჰყვა.

ფრანეკ პტახამ, საბატონყმო სიგელების მიხედვით ფრანც ფოგელმა თავის სისვ იაბოს მათრახი გადაჰკრა და მენდელშტამისაკენ მოკლეებზე გააჭენა. მისი საცოლე ურშულა ახლა იქაა. ბატონმა იგი დროებით „დაუთმო“ ბარონესას, რომ ნათლობაზე ჩამოსულ წარჩინებულ ქალბატონებს მოემორჩილოს. ცამეტი წლის ურშულა სიპატარავის მიუხედავად, უფრო მარჯვედ უძღვება საქმეებს და უფრო საქციელიანია, ვიდრე ციხე-დარბაზ მენდელშტამის გამოფხავებული მოახლეები. ოთხ წელიწადში, სანამ ურშულას ჩვიდმეტი წელი შეუსრულდება, ფრანცი ფულს დააგროვებს, ბურგომისტრისგან გამოისყიდის საცოლეს და ჯვარს დაიწერს, მერე კი, ვინ იცის, იქნებ ტეშნერმა თავის ერთგულ მსახურსაც მიანიჭოს თავისუფლება.

ერთი საათიც არ იყო გასული და ფრანცი უკვე ციხე-დარბაზის

---

[1] დონერვეტერ (გერმ.). — გინება, ეშმაკმა დალახვროს.

2. ერმლიანდი (გერმ.) — ტევტონთა ორდენის რაინდებმა ასე გადანათლეს პოლონური სახელწოდება „ვარმია“.

კარიბჭეს არახუნებდა. არახუნა, არახუნა მუშტებით, ხელები დაიბეჟა, მაგრამ სულიერი რა არის, სულიერი არ გაჭაჭანდა არსაით.

— რა შავი ჭირი დარევიათ! — წაიბურტყუნა ფრანცმა. — ბატონები თუ სადმე წავიდნენ, მსახურები სადღა გადაიქაჯნენ.

როგორც იქნა, ეზოს შიგნით, ქვაფენილზე, დამძიმებული ფეხის ფლარტუნი გაისმა და მოხუცის ხმამ იკითხა:

— ღვთის გულისათვის, ვინ არახუნებს?

ფრანცმა იცნო მოხუცის ხმა:

— გამიღე კარი, ძია ფრანც, მე ვარ.

— შენა ხარ, ფრანეკ? ცუდ დროს მოხვედი, ცუდ დროს. დიდი უბედურება დაგვიტრიალდა!

— ურშულა აქაა? — ყურიც არ ათხოვა, ისე იკითხა ახალგაზრდა ფრანცმა.

— აღარც ურშულაა... აღარც ის პანენკა, ვისაც ემსახურებოდა, აღარც პროფესორი... პატერი არნოლდი და რაინდი ფონ ელსტერილა დარჩნენ მასპინძლების მოლოდინში.

— სად არის-მეთქი ურშულა? — იკითხა ახალგაზრდა ფრანცმა შეშფოთებით. — ახლავე გამიღე კარი, გინდ პატერი იყოს, გინდ რაინდი, პაკეტი მაქვს გადასაცემი!

თუჯის ჭიშკარი ოდნავ შეიღო.

— ცხენი მანდ დააბი. ისედაც ნაბრძანები მაქვს, არავინ შემოუშვაო, — უთხრა მოხუცმა ფრანცმა.

— გგონია, ჭკუიდანა ვარ შეშლილი? განა დამავიწყდა, ტევტონთა მამულში რომ ვარ! — გაბრაზებით წაუღრინა ახალგაზრდა ფრანცმა. — საჯდომად თუ არ ივარგა ჩემმა ცურკამ, იქნებ თქვენმა მშიერმა რეიტერებმა ქვაბშიც უკრან თავი! — ნაღვლიანად წაიხუმრა ფრანცმა. — გამიღე კარი!

ჭიშკარი იმხელაზე გაიღო, რომ მხედარი გატეულიყო.

— რა მოგიხდათ? — იკითხა ახალგაზრდა ფრანცმა.

— ბუჩქებთან მივსხდეთ, რომ ფანჯრიდან არავინ დაგვინახოს... — შესთავაზა მოხუცმა ფრანცმა, — უბედურება, ფრანიჩკო, უბედურება! სტუდენტი, პან პროფესორი და იმისი ქალიშვილი ხომ გახსოვს? ჩვენი პატარა ბატონი დაიბადა თუ არა, იმ პროფესორმა მის სახელზე რაღაც, ოჰ, კარგად ვერ მითქვამს, ჰოროკოპი შეადგინა...

— ჰოროსკოპი! — გაუსწორა ბატონების საქმეში ჩახედულმა ახალგაზრდა ფრანცმა.

— გახარებაც ვერ მოვასწარით: რა აღარ უწინასწარმეტყველა პატარა პანიჩს პროფესორმა! ბედნიერ ვარსკვლავზეც არისო

დაბადებული, დიდ ხალხშიც გაერევაო, ღვიძლიც საღი ექნებაო... გვიხაროდა...

— მოიცადე, გაგეზრდებათ ეგ თქვენი ბატონი და გაგახარებთ კარგად! — დაემუქრა ახალგაზრდა ფრანცი.

— ვეღარ გაიზრდება, ფრანეკ, ვეღარა! დღეს დასამარხად წაიღეს დედა ცელესტინას, ჩვენი ბატონის დის საბატოში.

— ყველა იქ წავიდა? გეკითხები, ურშულა სადაა-მეთქი.

— ვაი ჩემს თავს, სხვა უბედურებაც დატრიალდა!.. ოღონდ არ ვიცი... ჩემს ბატონს ჯვარზე შევფიცე, ჩემგან ძე-ხორციელი ვერავინ ვერაფერს გაიგებს, რაც აქ ვნახე-მეთქი...

— მე „ძე-ხორციელი“ კი არა, შენნაირი ყმა ვარ! — კბილებში გამოსცრა ახალგაზრდა ფრანცმა: — ბოლოს და ბოლოს აღარ ამოღერღავ, რა მოხდა?

— სამი დღის წინ მოხდა ეს ამბავი... ჩვენი პატარა ბატონი ავად გახდა, მონათვლაც ძლივს მოასწრეს, რომ მისი სული სამოთხეს შეხვეწნოდა.. ურშულა შუაღამისას მოვარდა ჩვენთან ყვირილით: არიქა, ჩვენი ალბერტიკი კვდებაო! მართლაც, ავედით მაღლა და ბავშვი გათავებული დაგვიხვდა. დაუძახა ბარონმა იმ პროფესორს. პროფესორი რომ მოვიდა, მე მაგიდას ვალაგებდი. სხვა მსახურები დაითხოვეს, მე კი მოხუცებულობის გამო მენღინენ. პროფესორი ცოცხალ-მკვდარი შემოვიდა, მუხლებში იკეცებოდა. იმ უბედურს უკვე სცოდნოდა ყველაფერი და დერეფანში ურშულასათვის ეთქვა: „მიტას ნუ შემიშინებთ, ეძინოსო!“

მოხუცმა ფრანცმა პირჯვარი გამოისახა და, მწუხარედ ჩამოიდო თავი ხელებზე.

— მოულოდნელად ამ ჩვენმა ბარონმა პროფესორს ისე ჩასცხო თავში ჯოხი, შიშისაგან შევტრიალდი... რომ მოვიხედე, პროფესორი სისხლში ცურავდა. „ხედავ, ეს ბებერი ყეყეჩი სიმხდალით წაიქცა და თავი გაიხეთქა“, — მეუბნება რაინდი ფონ ელსტერი. ისიცა და მამა არნოლდიც იმ დროს იქ იყვნენ. გავშტერდი: ეს აზნაური, რაინდი კაცი ყმას თვალდათვალ მატყუებს და არ სცხვენია-მეთქი. კიდევ კარგი, პატერმა არნოლდმა მაინც აიფარა სახეზე ხელები და შეტრიალდა... დანახვით იმანაც დაინახა, ბარონმა პროფესორს ჯოხი რომ ჩასცხო... გითხარი, შუაღამე იყო-მეთქი... ბარონმა მიბრძანა, ურიკა მოაგორეო. დაუდეს პროფესორი ურიკაზე, ვერ გეტყვი, ცოცხლი იყო, თუ მკვდარი, შეკაზმეს ცხენები და ციხე-დარბაზიდან კარგა შორს წაიღეს. სადღაც, ვარმიის საზღვრის იქით, ბუჩქებში ჩააგდეს. ფონ ელსტერმა გაიხუმრა კიდევაც (ასეთ დროს — ცოდვა მისი კისერზე იყოს!): ამბობენ, კანონიკი მიკოლაი უებრო მედიკია, აჰა და, მოარჩინოსო. გეგონება, არ იცოდეს, რომ სიკვდილისაგან

ვერავის მოარჩენენ... პანი მიტა და შენი ურშულა, არაფერი წა-
მოსცდეთო, მეორე დილასვე კარეტაში ჩასხეს და აბატისა ცელეს-
ტინას მონასტერში წაიყვანეს. ამბობდნენ: იქ ძალით აღვკვეცავთო
მონაზნებად და ამათ ასავალ-დასავალსაც გავაქრობთო.

— რა-ა-ო? — იყვირა ახალგაზრდა ფრანცმა. — რა გული გა-
მიწვრილე იმ შენს პროფესორსა და ღლაპზე ლაპარაკით! სადა
გყვანან ის მღვდელი და რაინდი, მიმიყვანე მათთან!

— ფრანიჩკო, თავსაც დაიღუპავ და მეც დამღუპავ! — შესთხოვა
მოხუცმა ფრანცმა. — ჯერ ხომ არავინ იცის, იმ გოგოებს რას უპი-
რებენ, მართლა საბატოში თუ... სადმე შორეულ მონასტერში გა-
მოამწყვდევენ... ჭკუის მოხმობაა საჭირო, შვილოსან... შეიძლება
ურშულა არც აღკვეცონ მონაზვნად, ბოლოს და ბოლოს, რა არის
მისთვის პროფესორი? ხატზე დაიფიცებენ, გაჩუმდიო, და გამოუ-
შვებენ... პანენკას საქმეა უფრო ცუდად. რაც არ უნდა იყოს, მამაა
მისი! ჰოდა, თუ გინდა, შენი ურშულა დაიბრუნო, შვილო, ცეცხლს
წუ დაუწყებ თამაშს. ძალითა და ყვირილით აქ ვერაფერს გახ-
დები... არც აშოგაღებინებენ ხმას, ისე ჩამოგკიდებენ პირველსავე
ხეზე, როგორც კაჟიმიზ ლისი ჩამოჰკიდეს ამასწინათ. თუ იმას იტყ-
ვი, ბრანევის ბურგომისტრის კაცი ვარო, — იმასაც მოელაპარაკე-
ბიან. ნუ გეშინია, პანი პანს მოურიგდება, ძაღლი ძაღლის ტყავს არ
დახევს...

— კარგი, ნუ მოთქვამ, — უთხრა ახალგაზრდა ფრანცმა, — მი-
მიყვანე იმ ძაღლებთან, ნუ გეშინია, პროფესორზე არაფერს ვიტყვი.

პატერ არნოლდსა და ფონ ელსტერს კარის ეკლესიაში უკვე მოს-
მენილი ჰქონდათ დილის წირვა, როდესაც მსახურმა ბრანევის ბურ-
გომისტრის კაცი შეიყვანა პაკეტით ხელში.

— ეს რა ხატია? — გაიკვირვა პატერმა. — ჰო, წმინდა ქრისტე-
ფორეა გამოსახული... რა გიბრძანეს, ვის გადაეცით?

— ეს, თქვენო მაღალღირსებავ, კასპერ ბერნატის გამოგზავნი-
ლი საჩუქარია... მიბრძანეს, პროფესორ ლანგეს კრაკოვიდან სტუ-
დენტი რომ ჩამოჰყვა, იმას გადაეცით, — კარგად დასწავლილი გა-
კვეთილივით ჩამოთვალა ფრანცმა.

— აჰა! მაშინ, ჩემო კარგო, შენს ბატონს მოახსენე, რომ სტუდენ-
ტი კრაკოვში წასულა და ერთი კვირის მერე ელიან-თქო... წერილიც
ხომ არაფერი გაქვს?

— მარტო ამ ხატის გადმოცემა მიბრძანეს... მომიტევეთ, წმინდა
მამაო, შაგრამ შეიძლება თქვენი მოწყალებისაგან შევიტყო, სად
არის მოახლე ურშულა? იგი ბატონმა ბურგომისტრმა დროებით
გამოგზავნა, რომ წარჩინებულ სტუმრებს მოშსახურებოდა.

— ბატონი ბურგომისტრი კითხულობს მოახლეს? — იკითხა პატერმა არნოლდმა და ცერად გახედა ფონ ელსტერს.

ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ ტეშნერმა ფონ ელსტერს ხელმისაცემ ფასად — ას ზლოტად — მიჰყიდა ურშულა.

— არა, ბატონ ბურგომისტრის მნეა შეწუხებული, — მიუგო ფრანცმა.

— იმას რა აწუხებს, თუ ბატონი არა წუხს, — ჩაერია ფონ ელსტერი და სალბუნწასმული ლოყა თითით მოისინჯა (წყეულო გოშბიო! მოხვევნა რომ დაუპირა, ანჩხლი კატასავით ეცა სახეში). ყურადღებით მისმინე და ასევე გადაეცი იმ თქვენს მნეს: ის გოგო პროფესორის ქალიშვილს კენიგსბერგში გაჰყოლია-თქო. პროფესორი მოულოდნელად ავად გამხდარა და შინ მიმავალ სტუმრებს უკისრიათ მისი განთქმულ ექიმთან, დოქტორ ფელიციუსთან წაყვანა-თქო. მათ ერთად გაუელიათ მეცნიერებათა კურსი და პროფესორი ყველაზე მეტად მას ენდობა-თქო. იმ ღამეს პროფესორს უთხოვია, ჩემს ქალიშვილს ნუ შეაწუხებთო, აღარც კარეტაში ყოფილა ადგილი, მეორე დილას კი ქალიშვილი მოახლესთან ერთად კენიგსბერგის გზას გასდგომია, მამას კვალში გაჰყოლია-თქო.

— უღრმეს მადლობას მოვახსენებ თქვენს მოწყალებას, — მდაბლად დაუკრა თავი ფრანცმა, — მაშ, წერილი არაფერი იქნება წასაღები?

დაახლოებით ასეთსავე ამბავს დაახვედრებდნენ სტუდენტ ზბიგნევ სუხოდოლსკის, კრაკოვში საქმეებს რომ მორჩებოდა და ციხე-დარბაზში დაბრუნდებოდა.

მამა დომინიკანელების აღზრდილმა კრაკოვში ამხანაგები მოინახულა, ქალაქში გავრცელებული ახალი ამბები მოისმინა და ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებითა და აზრებით აღივსო. ზბიგნევს უხაროდა, მენდელშტამში მამა არნოლდი დამხვდება, ჭკვიანი, ჰუმანური თანამოსაუბრე, რაც მთავარია, მოძღვარი, რომელთანაც შეიძლება მოძალებული ეჭვების განდობაო.

ჭაბუკს მამა არნოლდი დომინიკანელ მამა კაეტანას, სუხოდოლსკების ოჯახის მოძღვარს, აგონებდა. სანამ ზბიგნევი უნივერსიტეტში შევიდოდა, ის იყო მისი აღმზრდელიც.

მენდელშტამში მიმავალმა ახალგაზრდა სუხოდოლსკიმ კასპერის სანახავად ლიმბარკისკენ გადაუხვია, თუმცა სულაც არ ეპრიანებოდა ეს „ანტიქრისტეთა ბუნაგი“, — ასე უწოდა პროფესორმა ლანგემ ეპისკოპოსის რეზიდენციას.

ზბიგნევს მაინც არ ეწერა ამ „ბუნაგში“ შესვლა: კაკუნზე გამოსულმა მეკარემ სტუდენტს აცნობა, ვარმიის კაპიტულის გადაწყვე-

ტილებით თქვენი მეგობარი ორი კვირის წინ იტალიას გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლადო.

ახალგაზრდა სუხოდოლსკის გაუხარდა კიდევაც, იქ, იტალიაში, წმინდა ტახტის სიახლოვეს კასპერს ნაკლები საფრთხე დაემუქრება, ვიდრე აქ, კანონიკი მიკოლაის გვერდითო.

იმ ამბავმა კი, კრაკოვში თავისი მეგობრებისაგან, სტაშეკისა და ჰენრიხისაგან რომ გაიგო, მეტად დააღონა ზბიშეკი. თქმა არ უნდა, ცუდად ცხოვრობენ ბიჭები: უნივერსიტეტის კმაყოფაზე მყოფნი მუცელს ვერ გაიძღებენ, სახლიდან კი არაფერს უგზავნიან. ოჯახები დიდი აქვთ, შემოსავალი — ცოტა, მაგრამ ყველაფერს ეკლესიის მამათ, მით უფრო, წმინდა ტახტს ვერ დააბრალებ! ან რად უნდა დაადანაშაულო შლიახტა თუ სამეფო კარი, რომელიც იმ წელს მეტისმეტად მდიდრულ ზეიმებს აწყობს მეფე ზიგმუნდის მოახლოებული ქორწინების გამო...

ოჰ, ბევრი, ბევრი რამ აქვს ზბიგნევს მამა არნოლდთან სალაპარაკო!

ლანგეს ავადმყოფობა რომ შეიტყო, ჭაბუკი მხოლოდ იმან შეაშფოთა, მიტას ჩემთვის არცროგორი ცნობა არ დაუტოვებიაო. თვით პროფესორის ავადმყოფობა სტუდენტს არ მიუღია სერიოზულად: მან, ლანგეს უახლოესმა თანაშემწემ, მშვენივრად იცოდა, ხანდახან პროფესორი თავს რომ იავადმყოფებდა და ლექციებს აცდენდა. ამ დროში ან ჰოროსკოპს ადგენდა ან ჩამოსულ სტუდენტებს განსაკუთრებულ საზღაურად ასტრონომიაში ლექციებს უკითხავდა, — კრაკოვის აკადემიის წარსული დიდების გამო აქ ყველა ქვეყნიდან კვლავინდებურად ჩამოდიოდნენ ხოლმე მოხეტიალე სტუდენტები, თუმცა, ძველი დიდება რამდენადმე გაფერმკრთალებულიყო. წავიდა მარტინ ბილიცასა და ვოიცეხ ბრუძეველის[1] დრო, როცა კრაკოვი ათასობით სტუდენტს ითვლიდა და ისეთ ქალაქებსაც კი მეტოქეობდა, როგორიც რომი, ბოლონია და პადუა იყო.

ასეც სჯობიაო! — ამ აზრისა იყო მკაცრი მამა კაეტანაც, რომელიც ზბიგნევმა კრაკოვში ინახულა, და მამა რექტორიც. თვით უგანათლებულესი და მოწყალე მამა არნოლდიც მიიჩნევდა, ცნობილ მეცნიერებზე, პოეტებსა და ძველ ფილოსოფოსებზე უსასრულო მსჯელობა აზრის გადამეტებულ მოძრაობას იწვევსო. განა სახუმაროა, ახლანდელი ეკლესიის ზოგიერთნი მამანი შესაძლებლად რომ მიიჩნევენ, ამბიონიდან ქადაგების დროსაც კი ქრისტესთვის

---

[1] მარტინ ბილიცა და ვოიცეხ ბრუძეველი — კრაკოვის უნივერსიტეტის მსოფლიოში განთქმული პროფესორები.

წამებულებზე ლაპარაკის ნაცვლად ამა თუ იმ პოეტისა თუ ფილოსოფოსის ღირსებებზე იმსჯელონო!

პატერი არნოლდი ზბიგნებს თავის ყველაზე მახლობელი ადამიანივით შეხვდა.

— ამ ციხე-დარბაზში მხოლოდ თქვენთან, კიდევ ბრანვვის ბურგომისტრთან და ჩემს მეგობარ ჰუგო ფონ ელსტერთან შემიძლია თანასწორივით საუბარი, — გამოუტყდა იგი ზბიგნევს.

ნასიამოვნმა ზბიგნევმა მდაბლად დაუკრა თავი.

— არ ვაჭარბებ. თქვენთან საუბარი ყველაზე მეტ სიამოვნებას მანიჭებს, — მე ხომ მოწოდებით მოძღვარი ვარ, მასწავლებელი, მოქადაგე, ამიტომაც არ ვვარაუდობდი იმ ბრწყინვალე ადგილს, რომელიც მისმა უწმინდესობა პაპმა განმიმზადა! მე უფრო იმის თვალისდევნება მახარებს, უზადო სულში ჩემგან გადაგდებული მარცვალი თანდათანობით როგორ იწყებს გაღვივებას. ბედნიერი ვარ, რაკი მასზე ზრუნვის, მცხუნვარე მზისა თუ ზამთრის სუსხისგან მისი დაცვის საშუალება მეძლევა.

— ჩემს სულში თქვენმა ჩაგდებულმა მარცვალმა უკვე მოიმაგრა ფესვები, წმინდა მამაო, — მიუგო ზბიგნევმა, — და მწამს დიდი ლოდინი აღარ დასჭირდება მის აღმოცენებას. ოღონდ თქვენი მუდმივი დამოძღვრება მჭირდება... ბევრი რამ მიშფოთებს სულს, მაგრამ ჯერ თვითონაც არ ვიცი, რაგვარად გაგიმჟღავნოთ ჩემი ეჭვები.

— ნუ ისწრაფვი, შვილო ჩემო, ფიქრთა განდობას, — მზრუნველობით მიუგო პატერმა. — შენ, ალბათ, შენი მოძღვარი გყავს და ყოველკვირა ეუბნები აღსარებას. ბოლოს და ბოლოს გყავს მშობელი მამა... რაო, შვილო ჩემო, შენდ სულის რომელიმე მტკივნეულ სიმს შევეხე? რატომ შეიჭმუხნე?

— მამაჩემი იშვიათი კაცია და მამაცი შლიახტიჩი, — ძგზნებარედ მიუგო ზბიგნევმა, — მაგრამ რანაირად გავუზიარო ჩემი ეჭვები, როცა განწყობილია ჩემი ოცნების, ჩემი სულიერი მისწრაფებების წინააღმდეგ, როცა მან, თქმისაც მრცხვენია, ჩვენი სახლიდან მამა კაეტანა დაითხოვა მხოლოდ და მხოლოდ იმის მომიზეზებით, ცდილობ, სუხოდოლსკების გვარის მემკვიდრე ქსენძი ან ბერი გამოიყვანოო... არა, მამაჩემს გულს ვერ გადავუშლი! აგერ, არდადეგები დამეწყო, მაგრამ შინისაკენ გული არ მიმიწევს... პროფესორი სადღაც წასულა, ადგილს ვერსად ვპოულობ, მაგრამ შინისკენ მაინც არ მიმიწევს გული...

— იქნებ მამაშენს აქ სულაც არ მიუძღოდეს ბრალი, — შემპარავად შეესიტყვა პატერი არნოლდი, — ნუ, ნუ შეცბები, პანეწკა

მიტას სულაც არ ვგულისხმობ. ბევრჯერ მოგვსვლია, ყველაზე მახლობელ ადამიანსაც ვერ ვანდობთ გულის პასუხს, პირველ შემხვედრ თანამგზავრს ან თანამესუფრეს კი იოლად გავენდობით... ამიტომაც ხშირად ვახედებთ ჩვენს გულის თქმაში იმათ, ვინც სულაც არ იმსახურებს ნდობას, მასეთი სულიერი სიმარტოვის წამალი, შეწც იცი, აღსარებაა. აღსარების საიდუმლოება ზედმეტი ცნობისმოყვარეობისაგან გაგმიჯნავს, სულს შეგიმსუბუქებს და, რაც ყველაზე მთავარია, შენზე გარდმოვა მადლი უფლისა... ამაში მდგომარეობს წმიდა საიდუმლოება წმიდა საიდუმლოებისა. მაგრამ, საწყალო ჭაბუკო, როგორც გავიგე, შენთვის სულიერი მწყემსიც წაურთმევიათ!

პატერი არნოლდი, კრიალოსნის მარცვლაში, ყურადღებით ათვალიერებდა ზბიგნევს.

— სულით ნუ დაეცემი, — უთხრა მან ბოლოს, — მე დაგეხმარები. სამ დღეს გაძლევ, შვილო ჩემო, მოსამზადებლად. მარხულობითა და ლოცვით განიწმინდე ხორცი და სული. მერე, ხუთშაბათს, დილის წირვის დაწყებამდე, მოდი ჩემთან, მივიღებ აღსარებას.

აღელვებული, გულაჩუყებული დაბრუნდა ზბიგნევი თავის ოთახში. წარმოიდგინეთ: მამა არნოლდი ფონ ბრეევე, პაპის ლეგატი, ტევტონთა ორდენის თვით დიდი მაგისტრის ყოფილი მოძღვარი დათანხმდა, მისი სულიერი მამა გამხდარიყო!

სამ დღეს ელოდა პატერი არნოლდი ახალი სულიერი შვილის აღსარებას და მცირედი ინტერესიც არ გამოუმჟღავნებია. დანიშნულ დროზე ნახევარი საათით ადრე კი პატერი რამდენიმეჯერ გამოვიდა თავისი ოთახიდან და ბნელ დერეფანს გახედა, ერთხელ მსახურთა და მდაბიო სტუმართათვის განკუთვნილი შენობის კიბეს აუყვა კიდევაც, ზბიგნევის ოთახის კართან შედგა და გაფაციცებით მიაყურადა. ეტყობოდა, ჭაბუკს ჯერ არ გაეღვიძა.

საქმე ის იყო, რომ ლიძბარკიდან შიკრიკმა მოაგდო გაქაღული ცხენი და პატერ არნოლდს წერილი გადასცა. სასურველი გახდა, ზბიგნევისაგან სასწრაფოდ მიეღო აღსარება. ჭაბუკის მოლოდინში პატერმა თავი ვერ შეიკავა და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მიღებულ წერილს. ასე, წერილის კითხვაში წაადგნენ თავს ფონ ელსტერი და ციხე-დარბაზში ახლახან ჩამოსული ფილიპ ტეშხერი.

„ორ კვირას ვიჯექი ციხე-კოშკის საწყობში და, როგორც მიბრძანეთ, ყველაფერი გუნებივრივ დავათვალიერე, — წაიკითხა პატერმა ხმამაღლა. — იარაღი ბლომადაა იქ, მაგრამ დენთი და ბომბარდები არსად მინახავს. შესაძლოა სხვაგან ინახავენ. იმ საწყობი-

დან, სადაც მე ვიყავი ჩაკეტილი, მეორე საწყობშია გასასვლელი. ის მეორე იატაკიდან ჭერამდე ფქვილის ტომრებითა და შაშხით სავსე კასრებითაა გატენილი. სარდაფში ამის მეტი არაფერი მინახავს... სამაგიეროდ, მომეცა შემთხვევა, სარდაფის ფანჯრიდან მეყურებინა, ციხე-კოშკიდან როგორ გააცილა კოპერნიკმა ზემოთ ხსენებული, სტუდენტი კასპერი.

კანონიკმა გულში ჩაიკრა და გადაკოცნა სტუდენტი, მერე პირჯვარი გადასახა. შეიძლება გვეფიქრა, კოპერნიკმა ისე შეითვისა ეს ცხვირმოუხოცავი სტუდენტი, განშორება გულწრფელად აღონებსო, გარკვევით რომ არ გამეგონა კასპერის ნათქვამი: „ყველაფერს ისე მოვაგვარებ, როგორც საჭიროა". ყოველივეს დაწვრილებით ვაცნობებ თქვენს მაღალღირსებას, რადგან მგონია, მხოლოდ სასწავლებლად არ უნდა მიდიოდეს კანონიკის საყვარელი სტუდენტი. ასეთი ცნობის მოწოდება ჩემს მოვალეობაში არ შედის, მაგრამ იმდენად ვარ დავალებული თქვენი მაღალღირსებისაგან, რომ სიხარულით გიწევთ ამ სამსახურს. ჩემი ვარაუდით, ის ცხვირმოუხოცავი სტუდენტი მეტისმეტად მნიშვნელოვანი დავალებით გაამგზავრეს აქედან.

თქვენი უმორჩილესი მსახური და პატივისმცემელი ბაკალავრი
ვილჰელმ ნიშკე".

გალოთებული ახალგაზრდა ვილჰელმ ნიშკე კვიძინის წმინდა სტეფანეს სამრევლო კანცელარიიდან გააძევეს. ბაკალავრი მშვენივრად უკრავდა ბარბითზე, ხმაც კარგი ჰქონდა და ამ ნაკლის გარეშე ნებისმიერი წარჩინებულის კარზე სახელს მოიხვეჭდა. პატერმა არნოლდმა იგი პირდაპირ ქუჩიდან აიყვანა და ტეშნერის დახმარებით ლიძბარკის კოსტიოლში მომღერლად მოაწყო. ამის სამადლობელოდ ლოთი ნიშკე სიამოვნებით ასრულებდა თავისი მფარველების ზოგიერთ დავალებას. მამა არნოლდმა დაარიგა ნიშკე, ვითომდა სიმთვრალის გამო ჩხუბი ატეხეო. მარშალეკი ბენიოვსკის განკარგულებით ასეთ მოჩხუბრებს ჭკუის სასწავლებლად ციხე-კოშკის სარდაფში ამწყვევდნენ და ცარიელ პურსა და წყალზე ამყოფებდნენ. გაუგებარი იყო, ღირსი მამა მიკოლაი ვერ ხვდებოდა, რომ დამწყვდეულებს შეეძლოთ სარდაფში შენახული სურსათის დათვალიერება, რომელსაც, უეჭველია, ომის შემთხვევისათვის იმარაგებდა... თუ ხვდებოდა და, მიუხედავად თავისი წინდახედულებისა, მაინც მნიშვნელობას არ ხძლევდა ამ ამბავს.

სამი მეგობარი მზად იყო მაშინვე შედგომოდა წერილის გარჩევას, მაგრამ პატერი არნოლდი ჩაფიქრდა და საუბრის დაწყება ნაადრევად მიიჩნია.

— მერე ვილაპარაკოთ, როცა მოვიცლით, ახლა კი ჩემს სულიერ შვილს ველოდები... — თქვა მან. — იქნებ იმისგანაც შევიტყოთ ცოტა რამ საყურადღებო. თან ფილიპიც ნამგზავრია და ჭამა უნდა. წადით მზარეულთან. სახლის პატრონებმა სამზარეულო და სარდაფი მთელი სასმელ-საჭმელით ჩემს განკარგულებაში დატოვეს...

მამა არნოლდის ბრძანებით, ზბიგნევს სამი დღე უნდა ემარხულა. არ ეჭამა ხორცი, არ დაელია ღვინო, არ ეკითხა საერო წიგნები და მთელი დრო ლოცვაში გაეტარებინა.

მენდელშტამის ციხე-დარბაზში მკაცრად იცავდნენ ყველანაირ მარხვას, საალდგომო იქნებოდა, საშობაო თუ საზაფხულო. არც ოთხშაბათ-პარასკევობით ჭამდნენ ხორცეულს, მაგრამ ციხე-დარბაზის დახელოვნებული მზარეული საუცხოოდ ამზადებდა თევზის კერძებს, მარხვის დღეებში ღვინოს თაფლუჭით, ბურახითა და ხილის წვენებით სცვლიდა, ზბიგნევს მაინც ეგონა, რომ მხოლოდ სრული თავშეკავებულობით განიწმინდებოდა ცოდვებისაგან, ამიტომაც ჭაბუკმა იმ სამ დღეს ხმელ პურსა და წყალზე გადაიარა. პარასკევ დილას ოდნავი თავბრუსხვევა, მაგრამ ნათელი გონება და სიმსუბუქე აჰყვა. კიბეებს იგი ფრთებშესხმულივით ჩაუყვა და გალმობიერებულმა პატერ არნოლდის კარზე შიშნარევი კრძალვით მიაკაკუნა. ადრიანი დილა იყო, მაგრამ არნოლდთან უკვე რაინდი ფონ ელსტერი იჯდა. ეტყობოდა, რაინდი მიხვდა ჭაბუკის მდგომარეობას და არ გამოელაპარაკა. თავის დაკვრით მიესალმა მხოლოდ და იმწამსვე გავიდა ოთახიდან. პატერს ლოცვა-კურთხევის მისაღებად რომ მიეახლა, ზბიგნევმა მაგიდაზე წმინდა ქრისტეფორეს სურათს მოჰკრა თვალი, ყრმა იესო მდინარეზე რომ გადაჰყავდა. „მეჩვენება თუ რა არის?!“ — გაუელვა შეშინებულ ჭაბუკს. წმინდა ქრისტეფორეს ნაცვლად სურათიდან მისი მეგობარი კაპერ ბერნატი შემოჰყურებდა. ზბიგნევმა იმწამსვე მოიშორა ამქვეყნიური ფიქრი. „პურიც არ უნდა მეჭამა! ბევრ წმინდა მოსაგრეს თვეობით ცარიელ წყაროს წყალზე გადაუვლია“.

...აღსარება დასრულდა. პატერმა ჭაბუკს თავიდან შესამოსელის კალთა მოაშორა, ჯვარი გამოსახა, ლათინურად წარმოთქვა ლოცვა ცოდვათა მიტევებისა და ჯვარსა და ხელზე ამთხვევინა ჭაბუკს. შემდეგ წმინდა მამამ შთამაგონებლად უთხრა:

— წადი და ნუღარ შესცოდებ! შენი ზრუნვა გზააბნეულ მეგობრებზე მახარებს, შვილო ჩემო. მათთან ერთად იმ სიმღერას რომ მღეროდი კი, შე უფრო ჭაბუკურ სილაღეს ვაწერ, ვიდრე ამბოხს, როგორც შენა გგონია. იქნებ უკეთესიცაა ბატონ მაკნატებს შევახსენოთ, რომ ახლანდელივით იოლად არ შერჩენიათ მათ ყოველივე.

ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბავია, მაგრამ, ხომ ხედავ, ხალხს ახსოვს, მოქალაქენი როგორ გაუსწორდნენ მაგნატ ანჯეი ტენჩინსკის[1] მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მან მრისხანების შემოტევის ჟამს იქვე აკუწა მეიარაღე. დასამშვიდებლად მაინც უნდა გითხრა: მოძღვარ მამათა გასაღიზიანებლად ოდესღაც ბურსაში ჩვენც გავყვირობდით მაგ სიმღერას. თუმცაღა ახლა ბატონ სტუდენტებს ჩვენზე მეტი წინდახედულება მართებთ, — განაგრძნობდა მამა არნოლდი. — მაშინ, მშვენიერად მახსოვს, ' ცემა-ტყეპაზედაც შიდგებოდა ხოლმე საქმე. ერთნი სქოლასტიკებს ვემხრობოდით, მეორენი—ჰუმანისტებს ვიცავდით და ცხვირპირდასისხლიანებულები ვშორდებოდით ერთმანეთს. ამით სრულდებოდა ყოველივე. ახლა კი მეტისმეტად მომრავლდა ავყია კაცი. ამიტომაც შენ მართალი ხარ: ჩვეულებრივი სტუდენტური ღრეობა მამა აკადემიკოსებმა, შესაძლოა, კრაკოვის აკადემიის წესდების საწინააღმდეგო ჯანყად მიიჩნიონ... თუ სწორად გაგიგე, მგონი, ამის გამო გამოუძევებიათ შენი მეგობარი კასპერ ბერნატიც!

— დიახ, — ნაღვლიანად მიუგო ზბიგნევმა, — და ახლა იმ აზრს ვადგები, რომ კასპერი ტყუილუბრალოდ არ დაისაჯა... ესე იგი, თვითონ დამნაშავე არ იყო, მაგრამ არც ამხანაგებისათვის უნდა დაეფარებინა ხელი. იმან, რაც ჩემი მეგობრებისგან, სტაშეკისა და ჰენრიხისაგან მოვისმინე, ეჭვში ჩამაგდო, მაქვს თუ არა უფლება, ისინი კვლავ მეგობრებად ვიგულვო... წარმოიდგინეთ, ეს „უბრალო სოფლის ბიჭები", როგორც მამა დეკანმა უწოდათ, რაღას არ ლაპარაკობენ! კასპერიც ხომ იმიტომ გამორიცხეს, რომ მათი დანაშაული თვითონ დაიბრალა! აქეთ მომავალმა ლიძბარკში შევიარე, მაგრამ კასპერი ვეღარა ვნახე...

— შემიძლია კვლავ დაგამშვიდო, შვილო ჩემო, — შთაგონებით უთხრა პატერმა, — ის საუბრები, შენი ამხანაგები თავიანთ სენაკებში რომ მართავენ, ზუსტად ჰგავს ასეული წლის წინ სტუდენტურ სენაკებში გამართულ საუბრებს. შემდეგ ის ახალგაზრდები ბაკალავრის, ლიცენციატის, დოქტორის ხარისხებს ღებულობენ და ივიწყებენ ჭაბუკურ ნაბოდვარს... ნურც ის გაშფოთებს, რომ შენი საუკეთესო მეგობარი კასპერ ბერნატი კანონიკი კოპერნიკის გავლენის ქვეშ მოექცა. კოპერნიკი პატიოსანი კაცია, დიდი მეცნიერი და ცუდ გავლენას არ მოახდენს კასპერზე. მართალია, ხმები დადის კანონიკი პტოლემეოსის მოძღვრების დასარღვევად ემზადებაო,

---

[1] იგულისხმება „სიმღერა ანჯეი ტენჩინსკის სიკვდილზე". ეს სიმღერა XVI ს-ის უცნობმა პოეტმა შეთხზა და აღწერა, მაგისტრატი როგორ გაუსწორდა ოსტატ-მესაფურვლეებს, რომლებმაც თავიანთი თანამოძმის მოკვლის გამო დასჯეს მაგნატი.

მაგრამ მე ამას ვერასოდეს დავიჯერებ. პტოლემეოსის მოძღვრების უარყოფა ნიშნავს კათოლიკური ეკლესიის თვით საფუძვლების შერყევას, ამის ჩამდენი კი მხოლოდ უფალი ღმერთის მოძულე შეიძლება იყოს. როგორც ამბობ, კასპერი წასულა, არა? წერილი თუ დაგიტოვა?

— არა, — მიუგო ზბიგნევმა, — და, რაც მთავარია, არც მიტა ლანგეესთვის დაუტოვებია წერილი. ისინი კი დანიშნულები არიან!..

— ჰო, ჰო, — გააწყვეტინა არნოლდმა, — ჩვეულებრივ საუბარში იმას ნულარ გავიმეორებთ, რაც აღსარების დროს ითქვა.

ამიტომაც ზბიგნევმა დიდხანს იყოყმანა, სანამ სულიერ მამას თავის მტანჯველ კითხვას დაუსვამდა. ბოლოს, როგორც იყო, გაბედა:

— ვატყობ, იმდენ ხანს იყო ჩემი გონება კასპერით დაკავებული, რომ ყველგან ის მელანდება. აი, ეს წმინდა ქრისტეფორეს ხატიც...

— ჰო, გისმენ, შვილო ჩემო, — დიდად დაინტესდა პატერი არნოლდი.

— წმიდა სამებისგან მეპატიოს, მაგრამ წმიდა ქრისტეფორეს ეს ხატი კასპერ ბერნატის ასლია... — ზბიგნევმა თავისკენ მიიცურა ჯერ ისევ საღებავშეუმშრალი ტილო და ფიქრიანად განაგრძო: — არა, არა, არ მეჩვენება, წმიდა ქრისტეფორეს თმაც ისეთივე წითური აქვს... ნამდვილად კასპერ ბერნატია!

— განა შეიძლება ასეთი დაბნეულობა? — შეშფოთდა მამა არნოლდი. — ეს ხატი თუ, იქნებ, პორტრეტიც ლიძბარკიდან სწორედ კასპერ ბერნატმა გამოგზავნა. მოიტანა ბურგომისტრ ტეშნერის მსახურმა. ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის: მამა მიკოლაი კოპერნიკს თავი მოაქვს მედიკად, ასტრონომად, პოლიტიკოსად, ნეომრად... ახლა კიდევ ერთი ტალანტი გამოამჟღავნა — ფერწერაში სცდის ბედს. მაშ, შენ ამბობ, პორტრეტი კასპერ ბერნატს ჰგავსო? ჰოდა, იქნებ, აჯობებდა, მამა მიკოლაის ასტრონომიისა და ვარმიის დიაცეზის საქმეებში ჩარევის ნაცვლად ფერწერისთვის მ·ეკიდა ხელი?

„პირწავარდნილი კასპერია, როგორ ჰგავს კასპერს," — თავისთვის ბუტბუტებდა ზბიგნევი.

— აჰა, საიდუმლოების გასაღებიც, — განაგრძო პატერმა, — რა თქმა უნდა, შენი მეგობრის პორტრეტი კანონიკმა მიკოლაიმ შეასრულა და არ მოერიდა იმ პოზაში დაეყენებინა, როგორადაც ხატის მწერლები წმინდა ქრისტეფორეს გამოსახავენ ხოლმე. ახლა ასე შემოიღეს ბატონმა მხატვრებმა! — მრისხანედ დაასრულა პრელა-

ტმა. — თავიანთ მეგობარ ქალებს ისინი წმინდა სესილიას, მეტიც, უფალი ღმერთის მშობელი დედის სახეს აძლევენ... ვინ არის? შემობრძანდით!

რაინდი ფონ ელსტერი და ბურგომისტრი ტეშნერი შევიდნენ. ტეშნერს ზბიგნევი უკვე ნანახი ჰყავდა ამ ციხე-დარბაზში. მისმა მსახურმა კი ერთხელ სტუდენტს სამსახურიც გაუწია, — მისი წერილი ლიძბარკში წაიღო.

— აღსარება ჯერ არ დაგიმთავრებიათ? — გაიკვირვა ფონ ელსტერმა. — გაათავისუფლეთ, ბოლოს და ბოლოს, ეს ახალგაზრდა ცოდვილი!

ოთახში უცებ დამდგარმა ღვინის სუნმა ზბიგნევი მიახვედრა, რაინდი ამჯერად რატომ ლაპარაკობდა აღსარებაზე ასეთი შეუფერებელი ტონით. ზეაწეული განწყობილება რომ არ წახდენოდა, ჭაბუკი მდაბალი თავის დაკვრით გაემართა კარისაკენ.

— ჰერ, სტუდიოზუს, — დაეწია ფონ ელსტერის ხმა. — გააყოლეთ თქვენი საჩუქარი. აგერ, ჰერ ბურგომისტრი ირწმუნება, რომ მისმა ბიძაშვილმა, კანონიკმა მიკოლაიმ შეტისმეტად მიამსგავსა პორტრეტი შენს მეგობარს... რაო, თქვა რამე? — ელსტერი კითხვით მიუბრუნდა მამა არნოლდს.

ზბიგნევმა ბურგომისტრ ტეშნერის გამაფრთხილებელ ჟესტს მოჰკრა თვალი და ისე აჩქარებით გაიხურა კარი, კასპერის საჩუქარი სულ გადაავიწყდა. მას სურვილიც არ გასჩენია, გაეგო, რაზე იყო ლაპარაკი. „ჯერ კიდევ რა ცუდად ვარ მომზადებული, რომ ღვთის ქოფაკთა[1] ორდენში შესვლის წინ ყოველგვარ მიწიერს განვემიჯნო! — ფიქრობდა ზბიგნევი დანანებით. — შეიძლება მამაჩემი მართალიცაა: სუხოდოლსკისაგან არც ქსენძი დადგება, არც ბერი... აგერ, ახლახანს მოვინანიე ცოდვები, მაშ, სადაა მადლი უფლისა, გარდმოსული ადამიანზე?! სულის სიღრმეში კვლავ ვცოდავ. ეს ხალხი, ეტყობა, ღირსად არ მთვლის, თავის საუბარში ჩამრიოს, მე კი, ნაცვლად იმისა, რომ მორჩილად შევხვედროდი ამ ამბავს, გამოსვლისას კინაღამ კარი გამოვიჯახუნე... საწყალი 'მამა არნოლდი, ის ხომ არ აგებს პასუხს მთვრალი ბურგომისტრისა და რაინდის საქციელზე...' მაინც უსიამოვნოა, პოლონეთის მეფის ქვეშევრდომნი პოლონეთის მიწაზე ერთმანეთს „პანობით“ კი არა, „ჰერობით“ რომ მიმართავენ. ისე, მაინც შარზე ვარ: ფონ ელსტერი ტევტონთა ორდენის მაგისტრის ქვეშევრდომია, ეს მიწაც, სადაც ახლა ვიმყოფები, ტევტონთა ორდენისაა... ბურგომისტრი ტეშნერი კი, რა თქმა უნდა, ჩემზე ჭკვიანია და რაინდს ჩხუბს არ აუტეხავს, მით უფრო ახლა, როცა ნასვამია“.

---

[1] ღვთის ქოფაკთა ორდენი — დომინიკანელთა ორდენი.

...ფონ ელსტერი მთვრალი იყო თუ ფხიზელი, მის თანამოსაუბრეთ თქმა გაუჭირდებოდა, ისე საღად აზროვნებდა. სამმა მეგობარმა ერთხელ კიდევ წაიკითხა ვილჰელმ ნიშკეს წერილი და მის დაწერილებით გაჩხრეკას შეუდგნენ.

— ტყუილუბრალოდ არ მიაცილებდა ჩემი სახლიკაცი იმ სტუდენტს ზედ ჭიშკრამდე, არც მაგის გულისათვის ადგებოდა დილაუთენია! — თქვა ტეშნერმა. — თქვენ რას იტყვით, ღირსპატივცემულო ფონ ბრევე?

— მაინც რა ჭკუის კოლოფია ეს ჩვენი ტეშნერი! — უცებ წამოიძახა ფონ ელსტერმა. — ახლაღა მივხვდი მთელ მაგის ოინებს. იკისრე, ფილიპ, შენ ხომ იცოდი, ან ეჭვად გქონდა, რომ იმ ვაჟბატონს რაღაც მნიშვნელოვან დავალებას აძლევდნენ, ჰა? იმ წითური პოლონელის სურათიც ხომ იმიტომ გამოგზავნე, საჭირო შემთხვევაში. შეგეძლებოდა მისი ცნობა? მომაწოდე, მომაწოდე, რიგიანად შევხედო ერთი. მაშ, წითური უკვე გზაშია? დასანანი იქნება, რომში თუ ვერ შეეხვდებით ერთმანეთს! თუმცა, მისი რომში გაგზავნა, როგორც ტეშნერს უთხრეს, ნაკლებსარწმუნოა... თორემ ისე როგორ იქნება, არ შეეხვდე იმ პოლონელ ბიჭუნას „მარადიულ ქალაქში...“ აბა, მთელ დროს მისი უწმინდესობის ფეხსაცმლის მთხვევაში ხომ არ გავატარებ, ჰა? — და რაინდმა ერთი დიდი გადაიხარხარა.

— ყოველივეზე განურჩევლად არ შეიძლება სიცილით ლაპარაკი! — გაჯავრდა პატერი არნოლდი.

ფილიპ ტეშნერი დუმდა, მან იმიტომ დაიყოლია კასპერი სურათის მენდელშტამში გაგზავნაზე, რომ კოპერნიკი გაეღიზიანებინა, ეთქვა: აი, ჩემს საჩუქარს ეს ბიჭი როგორ ექცევაო!

ის კი, კასპერს თუ რაიმე დიდმნიშვნელოვან დავალებას მისცემდნენ, ბურგომისტრს ეჭვადაც არ მოსვლია. სიმართლე რომ ითქვას, ახლაც დარწმუნებული იყო, ლოთმა ბაკალავრმა სტუდენტის განსაკუთრებული მივლინება ტყუილად მოჩმახაო, მაგრამ მიხვდა, ასეთი წინდახედულება მეგობრების თვალში ამამაღლებსო, და ფონ ელსტერს აღარ შეეპასუხა. პირიქით, დიდის ამბით დაურთო კიდევაც:

— ოღონდ, ჩემი სახლიკაცის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, არჩევანს ასეთი თვალში საცემი გარეგნობის შიკრიკზე არასოდეს შევაჩერებდი! იგი ისეთი წითურია, თვით ფილიპ ბარბაროსაც კი შურით გასკდებოდა! ისე, შენი წვერიც თვალში საცემია, ძვირფასო ჰუგო. მასეთ კუნაპეტივით შავწვერიანს არც თურქს გადავყრიეარ სადმე, არც ბერძენს, არც ესპანელს და არც იტალიელს!..

— ჩემო მეგობარო, — რაინდმა ლაპარაკი გააწყვეტინა ტეშნერს. — ის სტუდენტია თუ ვიღაცა აშკარად საიდუმლო მისიით იგზავნება, მე კი ორდენის სრულუფლებიან ელჩად მივდივარ! მივდი-

ვარ წმიდა ტახტის ნებართვითა და იმპერატორ მაქსიმილიანესთან, აგრეთვე საქსონიის, მაკენბურგის და პომერანიის ჰერცოგებთან შეთანხმებით! ამიტომაც არ დამჭირდება ვიღაც-ვიღაცებს დავემალო. ეგეც არ იყოს, ჩემი განზრახვა ისეთი მშვიდობისმოყვარულია, მეც მომიმატებს პატივსა და ჩემს მიმვლინებელ ორდენსაც: სულთანი უნდა შემოვურიგო ჩვენი დიდი მაგისტრის ბიძას — პოლონეთის მეფე ზიგმუნდ პირველს.

მისი უკანასკნელი სიტყვები ბურგომისტრ ტეშნერის თავაწყვეტილმა ხარხარმა დაფარა.

პატერი არნოლდი გაჩუმებული იჯდა და თითებშუა ღვრიდა ყელზე ჩამოკიდებულ ჯვრის ოქროს ჯაჭვს.

უცებ, ღია ფანჯარაში ცხენის ფეხის ხმა, გაღებული ჭიშკრის ჭრიალი და ხალხის ხმაური შემოიჭრა. შემდეგ ყოველივე ქალის სასოწარკვეთილმა კივილმა დაფარა.

— დაწყნარდით! თქვენს ოთახებში წადით, მეგობრებო, — წარმოთქვა პატერმა. — ახლა ღვინის სმისა და სიცილის დრო არ არის: ჩვენი მასპინძლები დასაფლავებიდან დაბრუნდნენ. წავალ, დავამშვიდებ საბრალო ქალს.

თავი მერვე

რომი

ღიავარდისფერ დილის ბურუსში ვახვეული „მარადიული ქალაქი“ რომი კასპერის თვალწინ გარინდულიყო. იმ დღეს ჭაბუკმა იგი პირველად ნახა განთიადისას, როცა ის იყო ამოცურდა ჯერ კიდევ უძალო, მაგრამ თვალისმომჭრელად მბრწყინავი ზაფხულის მზე. მისი ალმაცერი სხივები ჯერ ყარიბთაგან მიტოვებულ ბორცვებს დაეცა, შემდეგ ჩრდილოეთის მხარეს ბრანჩანოს ტბის ზედაპირი აალაპლაპა და ბოლოს, კამპანიას თვალუწვდენელ დაბლობს ცხოველმყოფელი შუქი მოჰფინა.

ყავისფერმოსასხმიანი, წელზე უბრალო თოკშემოჭერილი, ნამგზავრი, გაუპარსავი კასპერი არგანს დაყრდნობილი დასცქეროდა ქალაქს, რომლის სახლების სახურავებზე ჯერ ისევ ირწეოდა დილის ბურუსი. აქ უნდა შესდგომოდა კასპერი სამშობლოსათვის მნიშვნელოვანსა და, მასწავლებლის თქმით, სახიფათო დავალების შესრულებას.

იტალია, მართლაც, ომისა და აჯანყების ქარცეცხლში იყო გახვე-

ული და ჭაბუკს მეტისმეტად გამოადგა ვარმიის ეპისკოპოსის სერტიფიკატი, რომელიც იუწყებოდა: „მონა ღმრთისა გდანსკელი კასპერ ბერნატი ეძიებს ცოდვათა მიტევებას, რომელიც უნდა გამოითხოვოს ჩვენი უწმინდესი მამის, იულიუს მეორის წინაშე“.

მომნანიე ცოდვილს წარამარა აჩერებდნენ შეიარაღებულთა რაზმები. ხანდახან ეს რაზმელები ისეთი ჭუჭყიანები და ჩამოფლეთილები იყვნენ, შარაგზის ყაჩაღები გეგონებოდათ, სინამდვილეში კი რეგულარული ჯარის მეომრები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ხანდახან, უფრო ხშირად მთებში, კასპერს ნამდვილი ყაჩაღებიც იპერდნენ. უნდა ითქვას, რომ ერთნიცა და მეორენიც იმედოვნებდნენ, ჭაბუკს ან ოქროს უპოვიდნენ ან ძვირფასეულობას ან, თუნდაც, იარაღს. მაგრამ, როგორც კი შეიტყობდნენ მისი მოგზაურობის ნამდვილ მიზეზს, ესპანელებიცა და ფრანგებიც, რომელთაც გზებზე ფეხს ვერ აუქცევდი, იტალიელებიც უვნებლად უშვებდნენ.

და, აი, ჩამობრანძულ-ჩამოხეული კასპერი უკვე აკაკუნებდა კარდინალ მაძინის უბრწყინვალესი პალაცოს კარიბჭეს.

ღობის ლამაზ, სახეებიან ჭრილებში ჭაბუკმა კარგად დაინახა მაღალი ბატონი. ბატონს რომის პატრიციის მდიდრული საცმელი ემოსა და მხრებზე შინდისფერი მოსასხამი მოეგდო. გამხდარი, შეუხედავი კაცი, ეტყობოდა, მებაღე დაჰყვებოდა მას გვერდით, ხან ერთ, ხან მეორე ვარდის ბუჩქს აჩვენებდა და ხელების ქნევით რაღაცას მოწადინებით უხსნიდა.

ჭიშკრის დაკაკუნებაზე ორივემ თავი აიღო, მაგრამ მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ, როცა მეკარემ კასპერი შიგნით შეუშვა და მდაბალი თავისდაკვრით შინდისფერმოსასხამიან ბატონს ჭაბუკის მოტანილი პაკეტი გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოდან გარკვევით ეწერა: „მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა კარდინალ მაძინს საკუთარ ხელში“, ბატონმა მყისვე გახსნა პაკეტი. მერეღა, კასპერის დაბნეული გამოხედვა რომ დაიჭირა, ღიმილით უთხრა:

— მაძინი მე ვარ. მოხარული ვარ თქვენი სტუმრობით! ვარმიიდან ჩემთან ორი შიკრიკი რომ უნდა ჩამოსულიყო, კანონიკმა ბარკოვსკიმ უკვე გამაფრთხილა, მაგრამ, იმის დასადასტურებლად, ნამდვილად თქვენ იყავით თუ არა ის პიროვნება, ვისაც ველოდი, ჩემი ძვირფასი მეგობრის, მიკოლაი კოპერნიკის ხელწერა უნდა მენახა.

კასპერმა მდაბლად დაუკრა თავი, რაკი საერო ტანსაცმელში ასე კოხტად გამოწყობილ ბატონს ლოცვა-კურთხევის მისაღებად ვერ მიეახლებოდა! ჭაბუკს არასოდეს უსაუბრია კაცთან, ვისაც კარდინალის ხარისხის ტარების უფლება ჰქონდა. მართალია, კასპერმა იცოდა, რომ მაძინი კოპერნიკის ფერარის უნივერსიტეტისდროინდელი მეგობარი იყო, სადაც ერთად გადიოდნენ საეკლესიო სამართალს,

იცოდა, რომ კარდინალისათვის უცხო იყო წმიდა ტახტის ახლო-მდგომთათვის დამახასიათებელი სიამაყე და ქედმაღლობა, მაგრამ მა-ინც ისე აღელდა, სულ გამოუფრინდა თავიდან ვარმიის კანონიკის დარიგებანი და ისიც ვერ გაიხსენა, როგორ მიემართა პალაცოს ამ დი-დებული პატრონისათვის. თუმც, ეტყობოდა, მოჩვენებით პატივის-ცემას სულაც არ საჭიროებდა იგი.

— გზაში ძალიან თუ უფრთხილდებოდით ამ წერილს, შვილო ჩემო? — ჰკითხა კარდინალმა სტუმარს და გაუწოდა გახსნილი პაკე-ტი. — წაიკითხეთ, რას წერს მისი მაღალღირსება.

— ძალიან თუ ეუფრთხილდებოდი? — კითხვა შეუბრუნა კასპერ-მა. — ეუფრთხილდებოდი და კინაღამ... — ჭაბუკმა აღარ დაასრულა ფრაზა, კარდინალი თავის ქებად ხომ არ ჩამომართმევს, თუ მოვახსე-ნებ, რაც ვერონის მისადგომებთან გადამხდაო?

კასპერმა წერილს დახედა. მასწავლებლის ნაწერი თითქმის ზუს-ტად იმეორებდა სერტიფიკატის ტექსტს: „დახმარებისთვის მოვმარ-თავთ თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას და გვედრებთ, შე-წევნა არ მოაკლოთ მომნანიე ცოდვილს — მეგობარს ჩემსას, პოლო-ნელ თავადს კასპერ ბერნატს, განთქმული მეზღვაურის როხ ბერნა-ტის ვაჟიშვილს.“

ღმერთო დიდებულო, ამ სამიოდე სტრიქონს კასპერმა კინაღამ თავი გადააყოლა!

ფერარის მისადგომებთან წვერმოშვებულმა ხელთოფიანებმა კასპერი რომ გაჩხრიკეს და კოპერნიკის წერილი აღმოუჩინეს, ერთ-მა ჯარისკაცმა იქვე მოიწადინა წერილის გახსნა.

— თავი გაანებე, ჯიროლამო, კითხვა მაინც არ იცი! — შეაჩერა იგი ხანში შესულმა ხელთოფიანმა.

ჯიროლამომ მაინც დაიწყო ბეჭდის ამტვრევა:

— კითხვა არ ვიცი, მაგრამ, ამბობენ, რომელიღაც ქალაქიდან ვიღაცას ალყაში მოქცეულთათვის სიმაგრის გეგმა გამოუგზავნია და ჯვრებით აღუნიშნავს ის ადგილები, საიდანაც შეტევის დაწყება შე-იძლება, — ჯიუტად მიუგო ჯიროლამომ.

კასპერი ჯარისკაცებს ხელიდან დაუსხლტა და ჯიროლამოს წე-რილი გამოსტაცა.

— აქ არავითარი გეგმა არ არის! — იყვირა. — მიმიყვანეთ თქვენს უფროსთან! იქნებ იმან მაინც აგიხსნათ, რომ მოვალე ვარ, წერილი უვნებლად ჩავაბარო პატრონს. გახსნის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვისი სახელიც ზედ აწერია!

— ასეა თუ ისე, შენი გულისათვის უფროსს ვერ გავაღვიძებთ,—

დინჯად მიუგო ჯიროლამომ და, დარწმუნებულმა, ნებით არ დამანებებსო წერილს, კასპერს ხელები გადაუგრიხა.

— ახლავე ჩამოახრჩე, — ურჩია ხანში შესულმა ჯარისკაცმა, — ეგ წერილი კი, ერთგულების ნიშნად, უბეში ჩაუდე, იქნებ იმქვეყანას მაინც აღირსოს მიტანა...

მეტისმეტად მოწადინებულ ჯიროლამოს თოკი რომ აღმოსჩენოდა, ვარმიის მოციქული რომამდე ვეღარ ჩააღწევდა, მაგრამ, კასპერის ბედად კარავიდან ნამძინარევი, წეერგაუპარსავი რაზმის უფროსი გამოვიდა. გაიგო, რაც ხდებოდა და ბრძანა, კასპერისათვის წერილი წაერთმიათ, თვითონ კი უვნებელი გაეშვათ.

— ყველა რომ ჩამოახრჩოთ — თოკები არ გვეყოფა! — დამრიგებლურად აუხსნა ჯარისკაცებს, მერე სერტიფიკატს გადაჰკრა თვალი, წერილსაც დახედა და — „მა-ძი-ნი“, — მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა: — „მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მაქინს“. ეს ხომ ჩვენი კარდინალია, ჩვენი ვენეციელი! თუ ხვდებით, სახედრებო, რას სჩადიოდით?.. შენ კი, ჯეილო, ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ფეხმიდგმული და ყოჩაღი ვინმე ყოფილხარ. — მიუბრუნდა იგი კასპერს.— წადი, სწრაფად ჩააბარე წერილი პატრონს და უკანვე დაბრუნდი... ამ სერტიფიკატით, სულ ერთია, მაინც მოგიტევებენ ცოდვებს. ჰოდა, ჩაეწერე ჩვენს რაზმში, რომ წმიდა მამისაგან მართლაც გქონდეს მოსატევებელი ცოდვები!

ეს ამბავი კასპერს არ მოუყოლია კარდინალი მაძინისათვის.

— ახლა ოთახს მოგიჩენენ, — უთხრა პალაცოს პატრონმა კასპერს, — დაიბანეთ, დანაყრდით. ჯაკომომ, კარგა ხანია, მოგიმზადათ საცმელი. ხვალამდე აღარ შეგაწუხებთ. შეგიძლიათ დაისვენოთ, გახსეირნოთ, წიგნები იკითხოთ, — არა მაქვს ცუდი ბიბლიოთეკა... გადით რომის ქუჩებში, ბევრი რამ ღირს სანახავად. ოღონდ, ჯერ სული მოითქვით დამქანცველი მგზავრობის შემდეგ. „მეგობარნი ჩემი მეგობრისა — ჩემივ მეგობრები არიან“.—დაურთო მაძინმა თავაზიანად. — ჩემი სახლი თქვენად იგულეთ... თქვენდა საქებრად უნდა გითხრათ, რომ ძალიან ცოტას ვიცნობ, ვისაც ტორუნელი მიკოლაი კოპერნიკის მეგობრობა დაეკვეხნოს!

ასე, ძველი, სტუდენტური ჩვეულების მიხედვით მოიხსენია კარდინალმა მშვენიერ ქალაქ ტორუნის მკვიდრი — ვარმიის კანონიკი.

ის იყო, კასპერს მეკარის მიერ მითითებული გრილი პორტიკის ჩრდილში უნდა შეერგო თავი, რომ კარდინალმა კვლავ დაუძახა და მხიარულად ჰკითხა:

— სად ისწავლეთ მასეთი იტალიური? — ასოებს ყლაპავთ და სიცილიელივით ჩლიფინებთ. მეც შემიძლია მასე ლაპარაკი. ძიძა

მყავდა სიცილიიდან. — და მისმა უსამღვდელოესობამ მაღალი, ხრინწიანი ხმით წარმოთქვა: — „მესმის, ეჩჩელენცა[1]... რიზოტო სუფრაზეა მოტანილი, მიირთვით ეჩჩელენცა!“

„აი, თურმე როგორ ვლაპარაკობ იტალიურად, რომლის ცოდნითაც ასე მომაქვს თავი!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა კასპერმა.

იმ მოკლე დროში, რაც კასპერი პალაცოს პატრონს ელაპარაკებოდა, მზემ კარგად შეიმაღლაურა და სპილენძით შემოჭედილმა კარმა კასპერს ხელი აუწვა.

დაბანილი, ტანსაცმელგამოცვლილი, მსახურისაგან შეთავაზებული ვარდისზეთნაპკურები კასპერი კარგად გამოძღა, მერე პალაცოს მდიდრულ პალატებს გაუყვა და იქამდე იარა, სანამ ბიბლიოთეკაში არ ამოყო თავი.

ბიბლიოთეკაში კრაკოველი სტუდენტისათვის ბევრი რამ იქნებოდა საგულისხმო, ძილს მეტისმეტად რომ არ წაერთმია თავი.

თავის ოთახში შესულ კასპერს არც გაუხდია, არც შენანებია ახალი, ლამაზი ტანსაცმელი, ისე მიეგდო ლოგინზე. ძილში ბუნდად ჩაესმა სადილად რომ იწვევდნენ, შემდეგ ზედ მისი ოთახის კართან ვიღაცამ მანდოლინა დაუკრა. მაგრამ კასპერმა ვერა და ვერ გაახილა თვალი.

კასპერმა თითქმის ოცი საათი იძინა. მეორე დილას სიმღერამ გამოაღვიძა.

> შუადღის ჩრდილები მოკლდებიან,
> ჯაკომო, ნუთუ იმიტომ მოკლდებიან,
> მე რომ გიგონებ ამ სექტემბრის
> შუადღის ხვატში? —

ისმოდა ქალის ლამაზი, წკრიალა ხმა. ჭაბუკმა თვალები დახუჭა. იქნებ ისევ ძილში ვარო? არა, მზის ათინათები უკვე დარბოდნენ კედელზე და იუწყებოდნენ, აღარც ადრიანი დილაა და კასპერის სიზმარიც, სამწუხაროდ, დასრულდაო. სიზმრად კი ვარმიის გაცრეცილ, ძირს ჩამოწოლილ, ჩამობურუსებულ ცას ხედავდა კასპერი, ჩამონისლულ მდინარის მოსაბრუნებს, სანაპიროების ნისლში გახვეულ ტირიფნარებსა და ნისლმობურვილ, მოალერსე, მხურვალებაგანელებულ მზეს.

> საღამოს ჩრდილები გრძელდებიან,
> ჯაკომო, ნუთუ იმიტომ გრძელდებიან,
> ზემს სიყვარულზე რომ ეცემა
> შენი გაყინული ჩრდილი? —

---

[1] ეჩჩელენცა (იტალ.) — თქვენო ბრწყინვალებავ.

ქალის წკრიალა ხმა სულ ახლოდან, სადღაც გვერდიდან ისმოდა. კასპერმა მძიმედ დაშვებული ფარდები გადასწია და თვალმოჭრილი დაბარბაცდა. ვიღაც გოგონამ, მოპირდაპირე ფანჯრიდან კასპერს სარკე რომ მიანათა სახეში, გადაიკისკისა და ოთახში მიიმალა. გოგონამ ისე გაიელვა, კასპერმა შეხედვაც ვერ მოასწრო.

— ეჩჩელენცა ძირს ჩამობრძანდება სასაუზმოდ თუ აქ ინებებს საჭმლის მორთმევას? — კარზე დააკაკუნა და მორიდებით იკითხა წარმოსადეგი ტანადობის მსახურმა.

„ჩემს ბრწყინვალებას ბარემ აქ, უცხო თვალთაგან დაფარვით ურჩევნია ჭამა, — გაიფიქრა სტუდენტმა, — მაგრამ არა, მალვა-კრძალვა არ შეშვენის პოლონელს და ისიც დიდი ვარმიის მოციქულს!“

— როგორ დაისვენეთ? — ჰკითხა კარდინალმა მაძინმა, თან სუფრასთან ადგილი უჩვენა სტუდენტს.

მისმა მაღალღირსებამ კასპერს ახალგაპარსული, ვაჯკაცური პირისახე, ხშირი, ლამაზად დატალღული თმა, აღნაგი ტანი, გრძელი, ჩამონაკვთული ფეხები რომ შეუთვალიერა, გულში გაიცლო, საერო სამოსი ჩემი სტუმრის მოხდენილობას უფრო მეტად აჩენს, ვიდრე მომნანიე ცოდვილის ანაფორაო.

— მარჩელა! — გაისმა კარს იქით ქალის ხმა. — ქუდი სად დადე? ბეწვის ქუდი?

— ჩემი ძმისშვილია! — მაძინმა თვალით ანიშნა კარისკენ. — რომ გაიგო, ჩვენი სტუმარი პოლონელი სტუდენტიაო, ტანსაცმლის გამოსაცვლელად გაიქცა...

ოთახში ქალიშვილი შემოვიდა, ერთი შეხედვით ის ქალიშვილი, კასპერს სარკეს რომ ანათებდა თვალებში, მაგრამ, დედაო ღვთისა, რა უცნაურად იყო ჩაცმული! სინიორინა რაღაც ჭრელ ქსოვილში გახვეულიყო, მაჯებიდან იდაყვებამდე სპილენძის სამაჯურები აესხა, ყელზე რაღაც უცნაური პატარ-პატარა მხეცუნების ტყავების აცმულა ჩამოეკიდნა, თავზე ვეება ბეწვის ქუდი დაეხურა, კაზაკების ქუდის მინამგვანი, ოღონდ კრაველისა კი არა, რაღაც ხავერდოვანი ბეწვისა.

— რას გავხარ, ბეატრიჩე? — გაუკვირდა მაძინს.

— ჩვენი სტუმრის სასიამოვნოდ ჩავიცვი ასე, — ამაყად მიუგო ბეატრიჩემ. — ეს ის პოლონური ეროვნული ტანსაცმელია, მის უწმინდესობას ძალიან რომ მოეწონა საგაზაფხულო კარნავალზე... ხომ არაფერი დამავიწყდა. პოლონელი ქალბატონის მორთულობიდან, სინიორ სტუდენტო?

„თქვენ დაგავიწყდათ, რომ პოლონეთი ევროპული სახელმწი-

ფოა, ჰყავს თავისი ფილოსოფოსები, მეცნიერები, პოეტები, მხატვრები; თქვენ დაგავიწყდათ, რომ პოლონეთი უდიდესი სამეფოა და არა ვიღაც ველურთა ტომი, სპილენძის ჟღარუნებით რომ ირთვება და სიშიშვლეს ბეწვით იფარავს", — უნდოდა ეთქვა კასპერს.

კასპერმა გუნებაში ჩუმად წაიკითხა „Ave Maria" ერთხელ, მეორედ, მესამედ, მაგრამ არ უშველა. რაკი ქალიშვილმა პასუხი ვერ მიიღო და გაკვირვებული მოლოდინით შესცქეროდა, კასპერმა ტკივილამდე მომუჭა ხელები და ნელ-ნელა, დაწყნარებით დაიწყო:

— სინიორინას ტყუილად დაუკარგავს ამდენი დრო და თავისი თავისთვის ტყუილად მიუცია ეს უცნაური შესახედაობა, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ქალებიც ისევე იცვამენ, როგორც იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთსა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში... შეიძლება ბეწვეული, რომელსაც კაბის ბოლოს ივლებენ და საყელოებს იკეთებენ უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე ჩამოთვლილ ქვეყნებში, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩემს სამშობლოში უფრო მკაცრი კლიმატია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. სინიორინა ასე თუ გაივლის კრაკოვის — ეს პოლონეთის დედაქალაქია, ანდა გდანსკის — ეს ჩემი მშობლიური ქალაქია — ქუჩებში, უკან ხალხი აედევნება ყიჟინით, დედები კი შეშინებულ შვილებს დამალავენ.

ახლაღა დაინახა კასპერმა, რომ კარდინალის ძმისშვილს დიდრონი მონაცრისფრო-მომწვანო თვალები ჰონდა და საოცრად ხშირი, ოქროსფრად მბზინავი თმა კულულებად ჩამოშლოდა ბეწვის ქუდიდან. კასპერმა შეატყო, განაწყენებულ ქალიშვილს როგორ აუთრთოლდა ტუჩები და, რამდენადაც შეძლო, გალანტურად დაურთო:

— შეიძლებოდა სინიორინა პოლონელ ქალად მიეღო, მაგრამ ტანსაცმლით სულაც არა, გარეგნობით. პოლონელი ქალები სამართლიანად ყველაზე ლამაზ ქალებად ითვლებიან ნსოფლიოში...

— მე ვენეციელი ვარ. — თქვა ბეატრიჩემ და სახეზე წყენამ გადაურბინა. — ვენეციელი ქალებიც განთქმულნი არიან სილამაზით, განსაკუთრებით ოქროსფერი თმით, ოღონდ თითქმის ყველა რაღაც აღმოსავლური საღებავებით იღებავს, მე კი ბუნებრივად მაქვს ასეთი ფერის თმა... ხომ მართალს ვამბობ, ი...

კასპერმა ახლაღა გაბედა თვალი გაეპარებინა კარდინალისკენ და დაინახა, რომ თავშეკავებისაგან წამოწარხლებული მასპინძელი სიცილს პირზე მიდებული ხელსახოცით იფარავდა. ასეთივე ხელსახოცები სუფრაზე ყველასთვის ეწყო. მიკოლაი კოპერნიკისგან კასპერმა იცოდა, რომ მდიდარ იტალიურ ოჯახებში ტრაპეზის დამთავრების შემდეგ თითებს ვარდისფერ წყალში იბანდნენ და ტუჩებს ასეთი ხელსახოცით იწმენდნენ.

— აპატიეთ ჩემს თავქარიან გოგონას. აქ ბეატრიჩე არა, მაგისი

საქმროა დამნაშავე. მართალი თუ გინდათ, იმ ბრიყვმა შეასრულა აშისთვის ეგ ეგრეთ წოდებული „პოლონური ჩაცმულობის“ ჩანახატები... თქვენ კი, მინდა, მადლობა მოგახსენოთ, იმისთვის, რომ ასე აზრიანად და ღირსეულად დაიცვათ სამშობლო. თანაც, მინდა გაგაფრთხილოთ, ჩვენში მრავლად შეხვდებით ისეთებს, ვინც ეჭვადაც არ იცის, რომ პოლონეთი ევროპული ქვეყანაა. თუმცა რომში მაინც უკვე უნდა იცოდნენ ეს ამბავი: უკანასკნელ ორმოცდაათ წელიწადში კარდინალთა კონკლავში ოთხჯერ შედიოდნენ პოლონელები და, ვინ იცი, იქნებ ის დროც დადგეს, რომ პაპის ტახტზე კრაკოველი, გდანსკელი ან ლიმბარკელი კარდინალი აღზევდეს... შენ კი ბეატრიჩე. შესაქები გულმოდგინებით სწავლობ ბერძენთა და რომაელთა ქმნილებებს და ის აღარ იცი, ჩვენთან, იტალიაში, ხელოვნება, მეცნიერება და ხელოსნობა იმიტომ აყვავდა, რომ თავის დროზე პოლონეთმა გადაიტანა მთელი ის უბედურება, რაც ევროპას ემუქრებოდა! 1241 წელს ჩვენი სტუმრის სამშობლო გადათელა თათართა ურდოებმა და პოლონეთს რომ არ გაეწია ისეთი თავგანწირული წინააღმდეგობა, ისინი, ალბათ, უფრო დასავლეთისკენ დაიძვრებოდნენ. პოლონელები მედგრად იცავდნენ თითოეულ ქალაქს, სოფელს, თითოეულ ქოხს, სისხლით ნაპოხი მშობლიური მიწის თითოეულ მტკაველს. თათრებმა პოლონეთის ნახევარი ამოჟლიტეს და უკან გაბრუნდნენ, მაგრამ ახლა სხვა, უფრო დაუნდობელი ბარბაროსები — ტევტონთა ორდენის რაინდები — შეესივნენ პოლონეთს! პაპი კლიმენტი მეხუთეც კი, კაცთმოყვარის ბრალს რომ ვერავინ დასდებს, შეუერწუნებია მათს სისასტიკეს.

მდუმარე მსახურს ზედიზედ შემოჰქონდა ნარ-ნარი კერძები. კასპერს აოცებდა როგორც მდიდრულად გაწყობილი სუფრა. ისე მისთვის უცხო სანოვაგე თუ ხილი, თუმცა იგი ზღვისპირა ქალაქ გდანსკში ცხოვრობდა და გაცილებით მეტი რამ ენახა. ვიდრე მცირე და დიდი პოლონეთის მცხოვრებთ. ერთხელ ჭამა კიდეც არომატული, წვნიანი ნარინჯები. მაგრამ ბეატრიჩეს მიერ შემოთავაზებულმა მოყვითალო-მომწვანო ფერის გრძელმა ნაყოფმა მთლად დააბნია იგი. კასპერმა ისიც კი არ იცოდა, რანაირად შეიძლებოდა მისი ჭამა.

— ასეთი ხილი იტალიიდან ჩვენში არასრდეს შემოუტანიათ, — თქვა კასპერმა და თანაგრძნობისთვის კარეინალს გახედა.

— იტალიაში არც ხარობს, — ცივად უთხრა ბეატრიჩემ. — ეს ბანანია. აფრიკიდან გამოგვიგზავნეს.

თუკი ბეატრიჩეს გუნებაში სწადდა, რამენაირად გაემწარებინა სტუმარი, გაკვეთილობანა რომ გაუბა აქ, ახლა ეს სურვილი უცებ გაუქრა.

— მომეცით, მე გაგიფცქვნით, — უთხრა თავაზით. თან ვერ მოითმინა და მაინც დაურთო:

— მიწის ვაშლი, ბატატი, თუ გსმენიათ? იგი გენუელმა კოლომბომ ახალი ქვეყნიდან ჩამოგვიტანა. თქვენთან, სარმატიაში, თუ გაგიგიათ რაიმე ახალ ქვეყანაზე?

კასპერმა ქალიშვილს ყვავილის ფორმაზე ჩაფცქვნილი ბანანი ჩამოართვა, გასინჯა რბილი, სურნელოვანი ნაყოფი და გემოვნება შეუქო.

— ბეატრიჩე, კვლავ სულელურ მდგომარეობაში იგდებ თავს, — შენიშნა კარდინალმა. — სინიორ კასპერის მამა ცნობილი კაპიტანია და ზღვაოსნობაში მომხდარ ყოველივე სიახლეს ალბათ აცნობს ხოლმე შვილს.

— სამწუხაროდ, მამაჩემი ვერ მოესწრო ვესტინდოეთის კუნძულების აღმოჩენას, — მიუგო კასპერმა, — მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ახალ ქვეყანას უკვე აქვს თავისი სახელი და მისი ერთ-ერთი ნათლიათაგანი პოლონელია, კრაკოვის აკადემიის პროფესორი იან სტობნიცელი.[1] სწორედ პოლონეთიდან გამომგზავრების წინ მქონდა შემთხვევა, ხელნაწერში წამეკითხა პტოლემეოსისთვის დაწერილი მისი წინასიტყვაობა. ეს შრომა ჩქარა გამოქვეყნდება, ხოლო კრაკოვის საგრავიურო სახელოსნოში უკვე მზადაა იან სტობნიცელის რუკათა ანაბეჭდები, სადაც ახალ აღმოჩენილ ქვეყანას „ამერიკა“ ჰქვია.

— ახლა? — კარდინალი სიცილით მიუბრუნდა ძმისშვილს. — ერთი შეხედვით კი ჩვენი სტუმარი ჩუმი და მორიდებული კაცი ჩანს. არამც და არამც არ მოველოდი თუ კამათში ასეთ პირდაპირობასა და სისხარტეს გამოიჩენდა.

არა და, არც თვითონ კასპერი მოელოდა ამას. „საიდან მომდის პასუხებიო? — უკვირდა თვითონვე, — რა კარგად გამახსენდა იან სტობნიცელი, ღმერთმა დალოცოს! თურმე თუ გინდა კაცს ცურვა ასწავლო, წყალში უნდა გადააგდო!“

— ბეატრიჩე! — მიმართა კარდინალმა ძმისშვილს, — შენი წინდაუხედაობის საზღაურად ჩვენი სტუმარი უნდა გაართო ამ დღეებში: მე მისი უწმინდესობის კანცელარიაში ვიქნები დაკავებული. ამ ახალგაზრდა კაცს დაათვალიერებინე რომი, ოღონდ, წასვლისას მოსასხამების წაღება არ დაგავიწყდეთ! თქვენ ჯერ არ გეცოდინებათ, როგორი დაცდა იცის აქაურმა ჰაერმა, — მიუბრუნდა იგი კასპერს. — მცხუნვარე დღეს უცებ გრილი საღამო მოსდევს ხოლმე, თუ ამ

---

[1] იან სტობნიცელი ანუ იან სტობნიჩკა (გარდაიცვალა 1530 წ.) — კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. 1512 წელს გამოსცა პტოლემეოსის „კოსმოგრაფია“ თავისი წინასიტყვაობით.

დროს ჭაობიდან ქარმაც დაბერა, ძალიან იოლად აიკიდებთ ჩვენებურ, იტალიურ ციებას — ინფლუენცას. სხვა ქვეყნებში კაცმა ცხვირი თუ დააცემინა, არავინ მიაქცევს ყურადღებას, იტალიაში კი უსათუოდ „ჯანმრთელობაო“, — უსურვებენ რადგანაც ინფლუენცა. ასობით კაცს რომ აწვენს სამარეში, სურდოდან იწყება.

რაზე უნდა ესაუბრა ორ, დაახლოებით, ერთი ასაკის ახალგაზრდას, გალაღებულს, იმ წუთს ყოველმხრივ უზრუნველს?

კასპერმა და ბეატრიჩემ მზით გაჩახჩახებული ძველი, ამავე დროს, მარად ახალგაზრდა ქალაქის ქუჩები მოიხეტიალეს. უსმენდნენ შადრევანთა ჩქრიალსა და მზისგან თავდასაცავად მძიმეფარდებჩამოშვებული ფანჯრებიდან გამოღწეულ სიმღერებს. შიგადაშიგ იჭერდნენ აივნებიდან ნასროლ ყვავილებს. ბინდის დადგომამდე ამ ყოფით შემოიჯირითეს, თუ შეიძლება ასე ითქვას ქვეითად მოსიარულეზე, თითქმის ნახევარ რომზე მეტი.

კასპერს ეუხერხულებოდა ის ამბავი, რომ უკან ფეხდაფეხ მოჰყვებოდათ ბეატრიჩეს მეხვაშიადე — მისი მოახლე თუ მეგობარი — მშვენიერი მარჩელა, რომელსაც ქალბატონის ნაცვლად მოჰქონდა მისი მოსასხამი და ქისა.

— განა ისეთი უძლური გგონივართ, ვერ შევძლო ორი მოსასხამი' ტარება? ჰკითხა ბოლოს და ბოლოს ჭაბუკმა თავის ოქროსთმიან თანამგზავრს. — ანდა ისეთი არასაიმედო კაცი ვარ, რომ საფულეს არ მანდობთ?

— ჩვენთან წესი არაა, რომ აზნაურმა დაშნაზე ან სტილეტზე მძიმე ტვირთი ატაროს, — მიუგო ბეატრიჩემ და პატარა ცხვირი აიჭმუხნა. — ბატონების ქისებიც კი ჩვენთან მსახურებს დააქვთ.

კასპერი მიხვდა, ბეატრიჩეს „ჩვენთან“ გულისხმობდა: „ისე არა, როგორც თქვენთან, სარმატიაში“.

კასპერს ბევრ რამეში შეეძლო შედავება. გზაშიც და აქაც, იტალიაშიც, მრავალ ნაძარცვწამოკიდებულ აზნაურს შეხვედრია, რომელთა ტვირთი სტილეტზეც გაცილებით მძიმე იყო და დაშნაზეც. ქისისას თუ ვიტყვით, ბატონი აზნაურები არც თავიანთი ქისის ტარებას თაკილობდნენ და არც სხვისას. ქალიშვილის გამოსაჯავრებლად კასპერს შეეძლო ეთქვა: „რამდენიც გინდათ, იმდენი ტვირთი ამკიდეთ, მე ხომ შემთხვევის წყალობით ვარ აზნაური: მამაჩემს, კაპიტან როხ ბერნატს, განსვენებულმა მეფემ აზნაურობა ამ თხუთმეტიოდე' წლის წინ უბოძა ზღვაზე დამსახურებისათვის და, მაშასადამე, დაბადებიდან სამი წელი ისე ვიცხოვრე, აზნაური არ გახლდიო...“

მაგრამ ისეთი ბრწყინვალე და ნათელი დღე იდგა, ისეთი ზეაწეუ-

ლი სულიერი განწყობა ჰქონდა ჭაბუკს, რომ გადაწყვიტა, არ შედავებოდა ბეატრიჩეს. კასპერმა იმ წუთსავე დაიმსახურა ქალიშვილის კეთილმოსურნე გამოხედვა.

— სხვათა შორის, მარჩელა ყოველთვის და ყველგან თან მახლავს, მაშინაც კი, როცა მისი თავი სულ არ მჭირდებს. ჩემს ჯაკომოს (სინიორ ორსინის, ჩემს საქმროს) სძულს საცოდავი, თუმცა, ეს ბიძაჩემის ბრძანებაა და მარჩელას ბრალი არ მიუძღვის... თქვენთანაც ასე იცავენ გასათხოვარ ქალიშვილებს?

კასპერს გაახსენდა დიდგვაროვანთა ქალიშვილები, რომელთა კარეტებს ათობით ახოვანი ჰაიდუკი მიაცილებდა, გაახსენდა, თოვლის ნამქერში მოახლის თანხლებით როგორ გამორბოდა მასთან შესახვედრად მიტა და მძიმედ ამოიოხრა.

— ზუსტად ასევე იცავენ, — თქვა ხმამაღლა. თავისთვის კი ნაღვლიანად გაიფიქრა: „მიტა, მიტა, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს?“

— პოლონეთში თუ ჩამობრძანდებით... — დაიწყო კასპერმა, მერე უცებ უკან მიიხედა და წამოიძახა: — გემუდარებით, სინიორინა, შადრევნისკენ დაიხიეთ, მე ახლავე გავჩნდები თქვენთან!

მაგრამ ბეატრიჩეც უმალ გაერკვა, რაც ხდებოდა: იმ სამიკიტნოდან, გვერდით რომ ჩაუარეს, მეზღვაურთა მთელი ჯგრო გამოვარდა, მათში ერთი მხრებგანიერი, თმახუჭუჭა ოქლაქი განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

იქნებ, იმ წუთას, დაბნეულმა-მარჩელამ ფეხი რომ წაიკრა და პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა თმახუჭუჭას, მას ცუდი არცა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ახლა მძლავრად მოჰხვია მკლავები და სახეზე ლოშნა დაუწყო. მარჩელა თავს იცავდა, როგორც შეეძლო, მოძალადეს ღონივრად ჰკრავდა ხელს და მუშტებს უბაგუნებდა.

ბეატრიჩემაც ვერ მოითმინა და შადრევნისაკენ კი არ გაიქცა, კასპერს აედევნა თავისი საყვარელი მარჩელას საშველად.

— გემუდარებით, სინიორინა ბეატრიჩე, განზე გადექით, თქვენ მხოლოდ ხელს შემიშლით, — ჩაილაპარაკა სტუდენტმა, თან იმ ოქლაქს მაგარი ალიყური აჭამა და მის ერთ ამხანაგს წიხლი ჩააზილა.— ო-ო, სინიორინა ბეატრიჩე, ზურგზე შემომხედეთ, რა მჭირს! — იყვირა კასპერმა, რადგანაც სიმხურვალემ და რაღაც სისველემ შეაწუხა. დანის დარტყმა და ტკივილი თავიდან ვერც იგრძნო. — ოღონდ გემუდარებით შორს დადექით!

როგორც იყო, მარჩელა ხელიდან დაუსხლტა შეურაცხმყოფელს და ახლა ორი ქალიშვილი გულის კანკალით ადევნებდა თვალს, მათი გალომგულებული თანამგზავრი როგორ ებრძოდა ოთხ მოწინააღმდეგეს. ყველაზე გაცოფებით ის თმახუჭუჭა ოქლაქი უტევდა კასპერს.

— Per Bacco![1] — ღრიალებდა მთელი ხმით.—მაგან მე სილა გამაწნა! არ დავდგები, სანამ აქვე არ დავაწვენ! მაგან მე სილა გამაწნა!..

კასპერის ზურგსუკან რაღაცამ გაიწკარუნა. ყოჩაღმა მოახლემ როგორც კი შეატყო, ჭაბუკის საქმე ცუდად არისო, თავისი პატარა სტილეტი გადაუგდო. სტილეტიც ვეღარაფერს უშველიდა კასპერს, რადგანაც სამიკიტნოსთან თავშეყრილი სეირის მაყურებელნი ჩხუბში ჩარევას აპირებდნენ, აქამდე კი მხოლოდ სიტყვიერად ამხნევებდნენ იტალიელებს და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ უცხოელს, რომელიც მხოლოდ თავიანთთვის გასაგები ნიშნების მიხედვით შეიცნეს. აქა-იქ ზოგ-ზოგმა უკვე ხელიც გამოიღო.

კასპერისთვის ცუდად შეტრიალდებოდა საქმე, მოულოდნელად მოსახვევიდან მაღალი, შავწვერა კაცი რომ არ გამოჩენილიყო.

შავწვერამ, თავადურად ჩაცმული, მაგრამ საკმაოდ ტანსაცმელ-ჩამოხეული, გაცოფებული ხალხით გარშემორტყმული კაცი რომ დაინახა, ეტყობა, შეჩვეულმა მსგავსს შემთხვევებს, უმალ იშიშვლა გრძელი მახვილი.

ისა და კასპერი ზურგიზურგ დადგნენ თუ არა, მათ ირგვლივ ხალხი საგრძნობლად შეთხელდა. შავწვერას დარტყმები უკლებლივ ხვდებოდა მიზანს. თმახუჭუჭას მეგობრებმა უკვე მესამე დაჭრილი გაათრიეს განზე. სულ ბოლოს სამიკიტნოს შესასვლელთან ის თმახუჭუჭა ოქლაქი, კასპერი და შავწვერა რაინდიღა დარჩნენ.

— ამისი სიკვდილით ვასწავლოთ სხვებს ჭკუა? — იკითხა კასპერის მხსნელმა ქოშინით.

— ორმა ერთს? რას ბრძანებთ, ბატონო! — შეეპასუხა შემცბარი ჭაბუკი.

— თქვენ ჯერ არ იცნობთ იტალიელებს! — ჩაილაპარაკა რაინდმა. — როცა იქნება, გაიხსენებთ ჩემს ნათქვამს... — ხომ გაიგონე,— მიუბრუნდა იგი მარჩელას შეურაცხმყოფელს, — სინიორი თანახმაა, საქმე მორიგებით დაამთავროს.

— მაგან მე სილა გამარტყა, ვერ მოვურიგდები!

— მაშინ, თვითონ ელაპარაკე! — უთხრა რაინდმა. — დამიჯერე, ჯეილო, ნურასოდეს მოეხვევი ქალიშვილს, სანამ არ დარწმუნდები, რომ უკან საქმრო არ მოსდევს!

თმახუჭუჭას სახეზე სინანული გამოეხატა.

— თქვენი საცოლე იყო, სინიორ? — ჰკითხა კასპერს დამნაშავედ.

— არა, — ალალად აღიარა კასპერმა. — მაგრამ ჩვენთან, პოლო-

---

[1] იტალიური გინება.

ნეთში, მამაკაცი გასაჭირში ჩავარდნილ ქალს, თუნდაც პირველად ხედავდეს, მაინც გამოექომაგება!

— მაშ, პირველად ნანახი ქალის გულისთვის გამარტყა სილა?! — კვლავ გაცოფდა ხუჭუჭთმიანი ახალგაზრდა.

— ჩვენ ხომ გადავწყვიტეთ, საქმე მორიგებით დაგვემთავრებინა. ეს სინიორი რომ არ ყოფილიყო, ახლა ცოცხლებში აღარც ეწერებოდი, — უთხრა რაინდმა და მახვილის ტარზე დაიდო ხელი. — აჰა, დაიჭი! — იყვირა და ხუჭუჭთმიანს ქისა გადაუგდო. — თქვენ კი შადრევანთან მიგიყვანთ: გასისხლიანებული ხელ-პირი დაიბანეთ. თან მოსასხამი მოიხურეთ, რომ ამ სინიორინებს ჩამოხეული კაცის გვერდით გაყოლის არ შერცხვეთ... ეი, ეი, ჯეილო, გადაყარე ეგ რაღაც სათამაშოები, — უცებ გაჯავრდა რაინდი და ხუჭუჭთმიანს ხელიდან სტილეტი გამოჰგლიჯა, ხანჯალზე კი ფეხი დაუდგა. — ფული ხომ აიღე, მაშ, რაღა გინდა? — და მან წართმეული სტილეტი მუხლზე გადაიმტვრია.

— აჰა, თქვენი ფული! — თმახუჭუჭამ ქისა მიწაზე დაანარცხა და იქამდე იმეორა: — მაგან მე სილა გამაწნა! მაგან მე სილა გამაწნაო! — სანამ რაინდმა კინწისკვრით არ გააგდო.

კასპერი იბანდა, თან იმანჭებოდა ტკივილითა და თავისი თავით უკმაყოფილო. ჭრილობა სადღაც მარცხენა ბეჭ ქვეშ სტკიოდა, მაგრამ ეს იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ჩალურჯებულ-ჩალილავებული ცხვირ-პირი.

გეგონება, წუხილს მიუხვდაო, ბეატრიჩემ უთხრა:

— ახლა ეს შავწვერა სინიორი სახლამდე მიგაცილებთ. მე და მარჩელა კი სასწრაფოდ ერთ უებრო მალამოს მოგაშველებთ. ის მალამო უცებ აშუშებს ჭრილობებს.

კასპერმა დაიბანა, თმა გაისწორა, როგორც შეიძლებოდა ტანსაცმელიც მოიწესრიგა და შებრუნდა, რომ თავისი მხსნელისათვის მადლობა მოეხსენიებინა.

— ოჰ-ო-ო! თქვენ კასპერ ბერნატი არა ბრძანდებით? — უცებ წამოიძახა რაინდმა. — ახლაღა გიცანით თქვენი საოცრად მომგვანებული პორტრეტის წყალობით... მაშ, რაკი თქვენი ვინაობა ვიცი, ველარც ჩემსას დაგიმალავთ... მე ჰუგო ფონ ელსტერი მქვია. მოვლენილი ვარ ტევტონთა ორდენის მაგისტრისაგან მის უწმინდესობა პაპ იულიუს მეორესთან. დაკისრებული მისია წარმატებით დავასრულე, ახლო მომავალში დავტოვებ რომს და, თუ ინებებთ, თქვენს ამბავსაც ჩავიტან სამშობლოში.

ძალიანაც ეწადა კასპერს, რაინდისაგან გაეგო, სად და როდის ნახა მისი სურათი, ანდა, საერთოდ, რა ამბები იყო პოლონეთში, მაგრამ ჭაბუკი ნელ-ნელა ეჩვეოდა სიფრთხილეს.

— თუ სამშობლოში წერილის გატანება მოგინდებათ, მითხარით, სად მოგძებნოთ, — გაუმეორა რაინდმა, — თუმცა ამ მშვენიერი სინიორინების თხოვნით, ჯერ სახლამდე უნდა მიგაცილოთ...

— ოჰ, არა, გმადლობთ. თავს მშვენივრად ვგრძნობ, — იუარა ტკივილისაგან დამანჭულმა კასპერმა. — შეიძლება რომიდან სამშობლოში ჩაგასწროთ კიდევაც, — თქვა და გაწითლდა (სუფრაზე საუბარს მიეჩვია კასპერი, სიცრუის თქმა კი კვლავინდებურად უჭირდა). — ჩვენი შეხვედრა ამავე სამიკიტნოში შეიძლება. — დაურთო იმით გულდაწყვეტილმა, რომ მეტისმეტი უმადურობით უხდიდა სიკეთეს იმ კაცს, ვინც ისეთი თავგამოდებით გამოექომაგა.

„არ იქნება, ამ მეტისმეტად სახელგატეხილი ორდენის ყველა რაინდი მკვლელი, მძარცველი და ფიცისმოღალატე იყოს!“ — ირწმუნებდა თავს კასპერი, მაგრამ მაინც არც ერთი სასიკეთო სიტყვა არ წამოსცდენია.

ახალმა ნაცნობებმა მომავალი შეხვედრის დღე და საათი დათქვეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

„ფონ ელსტერი... ფონ ელსტერი... რატომ მეცნაურება ეს გვარი და სახელი ასე?“ — ფიქრობდა მაძინის პალაცოსაკენ მიმავალი კასპერი. მხოლოდ დაძინების წინღა გაახსენდა კასპერს, რომ ელსტერშტეინელი ფონ ელსტერის, საუკეთესო მეგობრისა და მამა დომინიკანელების აღზრდილის ამბებს მენდლშტამიდან ზბიშეკ სუხოდოლსკი სწერდა.

თავი მეცხრე

პაოლო როტა

ბეატრიჩეს უებარი მალამო, მართლაც, სასწაულმოქმედი გამოდგა: ბეჭქვეშა ნაჩხვლეტი ჭრილობა, ისე რომ აწუხებდა კასპერს, თანდათან იკრავდა პირს. მაგრამ, ჭაბუკის გულის გასახეთქად, მარცხენა თვალზე უფრო და უფრო გაეზარდა სილურჯე და, კოხტად მოყვანილმა ცხვირმაც, მიუხედავად საფენების ხშირი ცვლისა, მთლად დაკარგა ლაზათი.

კასპერი უკვე შეშფოთებით ელოდა იმ დღეს, კარდინალი პაპის კურიის საქმეს რომ მორჩებოდა და მის მისაღებად მოიცლიდა. უნდა ითქვას, რომ ბეატრიჩე და ყოჩაღი მარჩელაც კი გულგრილად არ მოკიდებიან სტუმრის საწუხარს: ბეატრიჩე ლამის ყოველწუთს უმოწმებდა ჩალურჯებულ სახეს, მარჩელა კი მონდომებით უცვლიდა

საფენებს. ბოლოს, ბეატრიჩე თავის მეხვაშიადესა თუ მოახლეს მოეთათბირა და კასპერს დამწუხრებულმა განუცხადა:

— გადავწყვიტეთ, აღარ გაგაწვალოთ. სილურჯემ უფრო მოიმატა, თანაც რაღაც მოყვითალო-მომწვანო ფერი დაიკრა და სულ გამოგცვალათ. მე ყოველდღე ვეევედრები თქვენს წმინდა გასპარეს, სანამ კარდინალი დაგიძახებდეთ, ყველაფერმა გაგიაროთ... ბიძაჩემმა თუ მაინც შეგატყოთ... მე კართან ვიქნები მოყურადებული და, როგორც კი რაიმის თქმას დაგიპირებს, ფეხებში ჩავუვარდები, მოვუყვები, რა მამაცურად, რა დიდსულოვნად გეჭირა თავი იმ დღეს!

კასპერს უნდოდა ეთქვა სინიორინასათვის, კარს უკან დგომა და მიყურადება შენნაირ დიდებულ ოჯახისშვილს არ ეკადრებაო, მაგრამ რაც ბორჯიების წარჩინებული გვარის შვილის, პაპი ალექსანდრეს ამბებს მოუყვნენ, ხმას როგორღა ამოიღებდა!

დიდი ლეონარდო და ვინჩის შემუშავებული გეგმის თანახმად ყველა კარდინალის შენობიდან პაპის განსასვენებლამდე თურმე სასმენი მილები გაიყვანეს და მისი უწმინდესობა კარდინალთა საუბრების მიყურადებით ირთობდა ხოლმე თავს.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ეს ამბავი მთელმა რომმა შეიტყო. ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ, კასპერს მოუსმენია, ხალხი აღშფოთებას რომ გამოთქვამდა, ამ უდიდესმა მხატვარმა ასე ძვირფასი დრო რანაირად ანაცვალა პაპის უხეირო ახირებასო. საქმეში უფრო ჩახედულნი კი გაჩუმებას ამჯობინებენ, ემანდ პაპ იულიუს მეორესაც არ იტაცებდეს იმდაგვარივე გასართობიო.

ჰოდა, კასპერს აღარაფერი უთქვამს ბეატრიჩესთვის და მადლობის ნიშნად ხელზეღა ემთხვია.

— სინიორინა მეტად გულმოწყალეა ჩემდამი, მაგრამ, ვიმედოვნებ, მე თვითონ გავიმართლო თავი კარდინალის წინაშე. უფრო სწორად, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის საყვედურები სამართლიანი იქნება და, ვეცდები, მორჩილად მივიღო.

მაძინის საყვედურის მოლოდინის შიშით სამიკიტნოსთან მომხდარი ჩხუბის შედეგი მთლად ვერც კი გაესიგრძესიგანებინა კასპერს.

რომში ჩამოსვლიდან მეექვსე დღეს ბიბლიოთეკაში გამართულმა საუბარმა სერიოზულად ჩააფიქრა ჭაბუკი, ვარ თუ არა ღირსი ვარმიის მეუფის და მამა მიკოლაის ნდობისა, ხომ არ შეცდნენ ჩემს არჩევანშიო.

საბედნიეროდ, ჭაბუკს სახე თანდათან დაულაგდა. მიუხედავად იმისა, რომ დაბეჟილზე საგულდაგულოდ ჰქონდა წაცხებული სალბუნი და კარდინალთან საუბრისას ცდილობდა, მარჯვენა, ნაკლებ

დაზარალებული მხრით მიბრუნებულს ელაპარაკა, მისმა ძალაყოვლადუსამღვდელოესობამ პირქუშად შეათვალიერა და უთხრა:

— ვგონებ, ზედმეტია. წინდაუხედაობის გამო თქვენი დატუქსვა, ისედაც, გატყობთ, საკმაოდ იმტყუნებთ თავს... თქვენი ჩხუბის ამბავი შემატყობინეს... მე მხოლოდ იმასღა მინდა მიგახვედროთ, რა მოხდებოდა, უფრო მეტად რომ დაშავებულიყავით... — არა, მე თქვენ გამო არ ვწუხვარ, — თქვა კარდინალმა კასპერის დამამშვიდებელი მოძრაობის საპასუხოდ, — მე ის მინდა შეიგნოთ, რა მოხდებოდა, დაკისრებული მისია რომ ვეღარ შეგესრულებინათ. ვინც საქვეყნო სამსახურზე თავს დებს, მან ყველაფერი უნდა დათმოს: სახლიც, ნათესავებიც, სატრფოც, დიდებაც, პატივმოყვარეობაცა და, თითოეული ჩვენთაგანისათვის ნიშანდობლივი ყოველი წვრილმანი სისუსტეც. მძიმე წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, კონსტანტინეპოლს წასვლა და საჭირო წერილის მიღება რომ აღარ შეგძლებოდათ!

— კონსტანტინეპოლს წასვლა?! — კასპერი მოულოდნელობისაგან შეკრთა კიდეც.

„აჰა, მაშ, ეს იქნება ის „მცირედი მგზავრობა ზღვით", მასწავლებელი რომ მეუბნებოდა!"

— იცით კია, რას გულისხმობს მიკოლაი კოპერნიკის დავალება? — ჰკითხა კარდინალმა კასპერს, დაბნეულობა რომ შეატყო. — თქვენი საუბრიდან შევიტყვე, როგორ გულმხურვალედ გიყვართ სამშობლო და როგორ გძულთ მისი ოდინდელი მტერი — ტევტონთა ორდენი. ვფიქრობ, მაგისტრის სულ ბოლო დროს ჩადენილი ქვენა საქმეც ცნობილია თქვენთვის... არა და, ახლავე შეგატყობინებთ, რომ თქვენს სიძულვილს კიდევ ერთი მძიმე საბუთი დაემატოს: ალბრეხტი, ზიგმუნდის დისშვილი, ბიძას ყოველთვის ყურადღებიან და ერთგულ ნათესავად აჩვენებს თავს. ვარმიის მეუფე და ჩემი მეგობარი კოპერნიკი კი ცდილობენ, ზიგმუნდს ალბრეხტის ვერაგობის დამადასტურებელი საბუთი წარუდგინონ... ეს საბუთი თქვენ უნდა ჩამოიტანოთ! ალბრეხტის ვერაგობა ისე შორს წავიდა, რომ რამდენიმე თვის წინ თურქეთის სულთანს პოლონეთზე თავდასხმის ზუსტად შემუშავებული გეგმა წარუდგინა, იმ პოლონეთზე თავდასხმისა, რომლის ლენიკადაც[1] მაგისტრი დღემდე ითვლება. კშიჟაკები საკმაო ძალას რომ მოუყრიან თავს, სულთანი პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრისაკენ დასძრავს თავის ჯარს, რაც პოლონეთის ძირითადი საბრძოლო ძალების აუცილებელ გადაჯგუფებას გამოიწვევს. ალბრეხტი დროს იხელთებს და პოლონეთს დასავლეთიდან დაარტყამს.

---

[1] ლენიკი — პირი, რომელიც თავისი ბატონის მიმართ ლენის (ვასალის) პირობებში იმყოფება.

ბევრი კი არაფერი სურს ალბრეხტს: პოლონეთის გვირგვინიდან მხოლოდ ვარმიისა და ზღვისპირეთის წაგლეჯა უნდა. კარგა ხანია, თვალი უჭირავს ორიეზე...

— „მხოლოდო“! ამბობთ, — წაიდუდუნა კასპერმა. — იქ ხომ უმდიდრესი ქალაქებია, ზღვაში გასასვლელი...

— ახლა თქვენს მისიაზე გეტყვით, — განაგრძობდა კარდინალი. — კალაბრიაზე გსმენიათ რამე? მე იმის გაგება მინდა, იცით, რომ ეს პატარა, მედგარი ქვეყანა უკვე მერამდენე წელიწადია, ესპანელ დამპყრობლებს უმკლავდება? მიუხედავად სასტიკი ღონისძიებებისა — წამება, ციხე, სიკვდილით დასჯა — კალაბრია განუწყვეტელ აჯანყების ალშია გახვეული. მრავალ კალაბრიელ პატრიოტს მოუხდა თურქეთში გაქცევა, რადგანაც მისი კათოლიკური უდიდებულესობის წინააღმდეგ აჯანყებულნი ერეტიკოსებად ჩათვალეს და დაუსწრებლად კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. გასაჭირში ჩავარდნილთ ვერც ერთი კათოლიკური ქვეყანა ვერ შეიფარებდა, თურქეთში კი მთელი სიცოცხლე ან მონობაში უნდა გაეტარებინათ, ან ისლამი მიეღოთ. გაქცეულთაგან უმრავლესობამ მეორე გზა ირჩია.

ერთმა, ისლამის რჯულზე იძულებით შემდგარმა კალაბრიელმა, ჭკვიანმა, განათლებულმა და შორსგამჭვრეტელმა კაცმა სტამბოლში სულთანის კარზე დიდ წარმატებას მიაღწია. სულის სილრმეში ის მაინც ნამდვილ კათოლიკედ რჩება და იმედი აქვს, რომ ოდესმე სამშობლოშიც დაბრუნდება. ესპანელი პაპის ალექსანდრეს დროს ეს შეუძლებელი იყო. ახლა ამ კალაბრიელმა ჩემთან საიდუმლო ურთიერთობა გაბა. მე შევპირდი, ჩვენს წმინდა მამას შენთვის პატიებას გაშოვთხოვ-მეთქი, ამის საზღაურად იგი მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის სულთანის კარიდან...

— ორმხრივი მოღალატე ყოფილა! — უნებურად წამოსცდა კასპერს. — მერე თქვენ ენდობით იმ კაცს?!

სტუმრის მხრივ ეს არც თუ ისე თავაზიანი საქციელი იყო, მაგრამ კარდინალმა ყოველივე ახალგაზრდობასა და გამოუცდელობაში ჩამოართვა კასპერს. მაძინი გაჩუმდა და თვალებზე ხელი აიფარა.

„ოდესღაც, ამ გულმხურვალე პოლონელივით, მეც ახალგაზრდა, შატიოსანი და მიმნდობი ვიყავი, მაგრამ პაპის ცრუ, ვერაგსა და უზნეო კარზე წლობით ყოფნამ ნელ-ნელა დამიშხამა კეთილი გრძნობები...“ — ფიქრობდა კარდინალი.

სიჩუმე აუტანელი შეიქნა. კასპერი მიხვდა, წესისამებრ ვერ მოვიქეცი და შეწუხებული შეჰყურებდა კარდინალს. ბოლოს, მაძინმა ახლად გამოფხიზლებულივით ჩამოისვა სახეზე ხელი და თქვა:

— თქვენ მკითხეთ, იმ კალაბრიელს ენდობითო? დიახ, ვენდობი... — მისმაღალყოვლადუსამღვდელოესობას მხოლოდ წარბები

შეუკრთა ოდნავ, — სწორედ მან მაცნობა მაგისტრის წერილის ამბავი... სულთანის კანცელარიიდან მან მოახერხა იმ წერილის მოპარვა თუ დახსნა... უსასყიდლოდ არა, რა თქმა უნდა.., იმ წერილში სამი ათასი დუკატი უკვე გადაუხადეს. მეორე სამ ათას თქვენ ჩაუტანთ და იმ საჭირო დოკუმენტში გაუცვლით, ვენეციიდან უკვე ჩამოვიდა მეზღვაური და კაპიტნის სახელით მაცნობა, რომ კონსტანტინეპოლს თქვენი გასამგზავრებელი გემი სანაოსნოდ მზად არის.

კარდინალი სავარძლის ზურგს გადააწვა და კვლავ წუთით გაირინდა.

— კალაბრიელმა მიმახვედრა, რომ ჩემგან მოციქულსა და ფულს ელის. მაგრამ დიდხანს არ დაგველოდება: შეიძლება იგივე წერილი ტევტონთა ორდენს მიჰყიდოს. ორდენი კი ფულს არ დაიშურებს...

კასპერმა მძიმედ ამოიოხრა და თავი გადააქნია.

— მაშ, ხვდებით, რა მოხდებოდა, თქვენებური, პოლონური მაჩხუბარა ხასიათის გადამკიდე დროზე რომ არ ჩასულიყო ჩვენი მოციქული ადგილზე? — მკაცრად ჰკითხა კარდინალმა. მერე ხმას დაუწია: — ბოცმანი კონოპკა რომშია.

კასპერმა წამოხტომა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კარდინალის ხელის მოძრაობაზე შეჩერდა.

— ისწავლეთ მარტო გრძნობების კი არა, თქვენი გამომეტყველების, თქვენი მოძრაობის დამორჩილებაც. თუ საჭიროებამ არ მოითხოვა, სახეზე ნუ შეიტყობთ ნაფიქრალს. ბოცმანი რომშია, შეტიც, ჩემს სასახლეშია. მაშ, მისი ნახვისას იმაზე მეტ სიხარულს ნუ გამოხატავთ, რაც ახალგაზრდა, ზღვაოსნობით დაინტერესებულ კაცს შეპფერის გამოცდილ მეზღვაურთან შეხვედრისას. დაიმახსოვრეთ კარგად, თქვენ მას პირველად ხვდებით ცხოვრებაში! მისი სახელი და გვარი გუსტავ კნებელია... მაშ, ასე, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, — უთხრა კარდინალმა უკვე ჩვეული მხიარული ღიმილით. — თქვენ ისეთი რამ ჩაიდინეთ, წასვლის წინ, მართლაც, მოსატევებელი გაქვთ ცოდვები... თუმცა, — მაძინი კვლავ სერიოზულ კილოზე გადავიდა, — თუმცა, თქვენი დანაშაულის სიმძიმეს მაშინ შეიცნობთ, როცა იმ კაცს ნახავთ, ვისთანაც კონსტანტინეპოლისაკენ მიმავალი გზა გიდევთ. შემოიყვანეთ პაოლო როტა, — უბრძანა კარდინალმა მსახურს.

ცოტა ხანში ბიბლიოთეკის კარი გაიღო და მაღალი, ბეჭგანიერი, უგემოვნო ფრანტივით მორთული კაცი გამოჩნდა.

— მეზღვაური პაოლო როტა, — წარუდგინა კასპერს კარდინალმა, — გემ „სანტა ლუჩიას“ კაპიტნის, ზორზიო ზიტოს ცოლისძმა. ამ გემით წახვალთ კონსტანტინეპოლს. კაპიტანი ზიტო, ჩემი შორეული ნათესავი და უახლოესი მეგობარი, ნაცადი ზღვაოსანია, შემოვლილი აქვს ქრისტიანული სამყაროსათვის ცნობილი ყველა ქვეყანა... რო-

ტასაც ვენეციაში გულად მატროსად იცნობენ... ეს კი კასპერ ბერნატია. ახედ-დახედეთ ერთმანეთს და გულები დაიმშვიდეთ: ჩხუბში ორივენი ერთნაირად დაზარალდით!

როტას ლამაზი ხაერდის კამზოლი, ბუფეტიანი შარვალი, აბრეშუმის წინდები და ფეხსაცმელი ეცვა, მაგრამ კასპერმა, შეხედა თუ არა, მაშინვე იცნო მატროსი. სიმართლე უნდა ითქვას, იქ, სამიკიტნოსთან იგი გაცილებით უკეთესი და შნოიანი ჩანდა, ვიდრე აქ.

კასპერს თავი არ აუღია, რამდენჯერმე ისე წაიკითხა ლოცვა. უკვე მეხუთედ დაიწყო „Ave Maria“, როცა კარდინალმა ორივეს შესთავაზა:

— ჩამოართვით ერთმანეთს ხელი პაოლო როტა და კასპერ ბერნატ! პაოლო, ყურადღებით მისმინე: ეს ახალგაზრდა პოლონელი თავისი შორეული ქვეყნიდან იმიტომ ჩამოვიდა, რომ კაპიტან ზიტოსთან გაისრულოს საზღვაოსნო ცოდნა. თქვენ დიდხანს მოგიხდებათ ერთად ცურვა, ამიტომ, გთხოვთ, შეიყვაროთ და შეიტკბოთ ერთმანეთი!

— თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, მე უბრალო და უხეში კაცი ვარ, შეიძლება არც ისე ვლაპარაკობ, როგორც მიღებულია, მაგრამ ჩემს ადგილას ყველა ამასვე გიპასუხებდათ: როგორ უნდა შევიყვარო და შევიტკბო ადამიანი, რომელმაც შეურაცხყოფა მომაყენა. ასეთი შეურაცხყოფა მხოლოდ სისხლით იბანება!

— აბა, შეხედე, პაოლო, ეს ახალგაზრდაც საკმაოდ არის დალილავებული, — მოთმინებით შეეპასუხა მაძინი, — მაგრამ შეურაცხყოფაში არ გდებს ბრალს და არც შენი სისხლი სწყურია...

— მომიტევოს თქვენმა უსამღვდელოესობამ, ჩხუბი იმისაა, მოჩხუბრენი დალილავდნენ. მაგან კი მე შეურაცხყოფა მომაყენა, მაგან მე სილა გამაწნა!

— მართალს ამბობს, კასპერ ბერნატ? — ჰკითხა კარდინალმა სტუდენტს და რაღაც ანიშნა. — ეს ქვენ განზრახ გაარტყით სახეში?

— დიახ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, — მიუგო ჭაბუკმა და თავი მოდრიკა. — მაგან ჩემ თვალწინ ქალი შეურაცხყო და სასჯელად სილა დაიმსახურა.

— სხვა იყო, დას ან საცოლეს გამოქომაგებოდა! მაგან კი ერთი ვიღაც სანდომიანი გოგოსთვის მომაყენა შეურაცხყოფა.

კასპერმა შენიშნა, მისი მასპინძელი რა შვებით გასწორდა საგარძელში.

— პაოლო, შენს სიტყვებს ახლავე უკან წაიღებ! ქალიშვილი, ვისაც შენი მომავალი მეგობარი გამოესარჩლა, ვიღაც უცხო კი არა, ჩვენი სახლიდან, მაძინის პალაცოდან გასული სინიორინაა!

როტამ კარდინალს შეხედა და ეჭვიანად გადააქნია თავი, არ სჯეროდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობისა.

მაძინმა ზარი დარეკა და მსახურს უბრძანა, ბიბლიოთეკაში სინიორინა ბეატრიჩე და მარჩელა ეხმოთ.

ქალიშვილები ხელიხელგადახვეულები შემოვიდნენ. მარჩელამ იცნო თავისი შეურაცხმყოფელი და შეკრთა, თუმცა ხმა არ ამოუღია. ბეატრიჩეც დუმდა.

— იცანი? — ჰკითხა კარდინალმა. — მაშ ასე, სხვა დროს უცხო ქალაქში უფრო წინდახედულად მოიქეცი. ყმაწვილო კაცებო, ახლა თქვენ ერთმანეთს ხელი ჩამოართვით, თქვენ კი, სინიორინებო, შეგიძლიათ თქვენს საქმეს მიხედოთ.

— როგორც თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ინებებს, — მორჩილად წაიბურდღუნა როტამ, მაგრამ ხელის ჩამორთმევისას ისე შეჰბღვირა კასპერს, რომ მეგობრულს სულაც არ ჰგავდა

ეტყობა, მისი ამგვარი გამოხედვა მაძინმაც დაიჭირა. მან მძიმე, წითელი ფარდა გადასწია. მაძინის უკან კედლის ნიშში ჩადგმული წმინდა ქალწულის მარმარილოს ქანდაკება დაინახა კასპერმა.

— ერთად ვილოცოთ, შვილნო ჩემნო, — თქვა კარდინალმა და მუხლებზე დაეშვა.

სამივემ ლოცვა წარმოთქვა, ქანდაკებას მიწამდე სცეს თაყვანი და წამოდგნენ.

— პაოლო, — მიუბრუნდა მატროსს მაძინი, — შეჰფიცე წმინდა ქალწულს, უფალი ღმერთის მშობელს, რომ კასპერ ბერნატის სიცოცხლის ხელსაყოფად ცუდს არაფერს განიზრახავ! თქვენც, კასპერ ბარნატ, წმინდა ქალწულის ხატების წინაშე დადეთ ფიცი, რომ დაივიწყებთ წყენას და მეგობრულად მოექცევით პაოლო როტას.

კასპერმა ხალისით, უყოყმანოდ შეასრულა კარდინალის ნება.

მატროსს კი მაძინის ბრძანება აშკარად არ ესიამოვნა. თუმცა, პაოლო როტამ პირჯვარი გამოისახა, ფიცის წარმოსათქმელად ორი თითი ასწია მაღლა და მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობასთან ერთად მორჩილად გაიმეორა:

— „მეზღვაურთა მფარველის, წმინდა ქალწულის ხატების წინაშე ფიცსა ვდებ, რომ სინიორ კასპერ ბერნატის სიცოცხლეს წმინდად და ხელშეუხებლად მივიჩნევ. მაღალი ღმერთი მრისხავდეს, თუკი ჩემი ფიცის გატეხვას შევეცადო!“

— ამინ! — დაასრულა კარდინალმა. შემდეგ ორივე ახალგაზრდას მხრებზე ხელი მოხვია და თავისი კაბინეტისკენ გაუძღვა. იქ ძვირად-

ღირებული „ლაკრიმა კრისტი“[1] სავსე ჭიქებთან განაგრძეს საუბარი.

— მოხარული ვარ, რადგანაც სინიორ კასპერს ბოლოს და ბოლოს აუხდება ოცნება: ისეთი გამოცდილი კაპიტნის დახმარებით, როგორიც ზორზიო ზიტოა, კონსტანტინეპოლს ჩასვლამდე სანაოსნო საქმის ცოდნაში უეჭველად წაიწევს წინ. ხომ მართალს ვამბობ, პაოლო? იცი, რომ შენმა სიძემ „სანტა ლუჩიასათვის“ საუკეთესო ბოცმანი, მეტად გამოცდილი კაცი იშოვა?.. ის კაცი განზეს კავშირის გემებით ჩრდილოეთის ზღვებში დაცურავდა, მაგრამ კარგად იცნობს ხმელთაშუა ზღვასაც და ადრიატიკასაც. ვფიქრობ ბოცმანი გუსტავ ენბელი თქვენს კომანდას მოეწონება.

შეზღვაური მაინც პირქუში და დაღრუბლული იჯდა.

— გერმანელი ხომ არაა, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ? — იკითხა როტამ და კარდინალის დადებით პასუხზე თავი გადააქნია. — გერმანელ უფროსთანაც მიცურნია, ინგლისელ კაპიტანთანაც და ესპანელთანაც... მაგრამ კაპიტანს ხომ თითქმის არ უხდება მატროსთან ლაპარაკი. იგი შკიპერს აძლევს ბრძანებას, შკიპერი — ბოცმანს, ბოცმანი კი ყველაზე ახლოს არის მატროსებთან... — პაოლო როტამ კვლავ გადააქნია თავი. — რომელი ეკიპაჟი დაემორჩილება გერმანელი ბოცმანის ბრძანებას, თუ მან ჩვენს ლამაზ იტალიურ ენაზე ბლუკუნი დაიწყო.

— როგორც მახსოვს, თქვენს შემადგენლობაში არც ისე ბევრი იტალიელია, — შეედავა კარდინალი, — ისიც ვიცი, საწყალი ზორზიო რა დღეში ჩავარდა ათას ხუთას წელს, ქოლერის შემდეგ, ვინც მოხვდა, რომ ის აიყვანა გემზე... თუმცა, მოსაწონია, პაოლო, შენი ასეთი ზრუნვა ამხანაგებზე.

მატროსი კი ფურმე თავის თავზე ზრუნავდა მხოლოდ.

— ბიანკა შარშანვე მპირდებოდა, ზორზიო კარაველაზე შენ აგიყვანს ბოცმანადო, მაგრამ, ხომ ხედავთ, ახლა გერმანელები და პოლონელები უფრო დასჯდომია ჭკუაში, — წაიბუზღუნა როტამ, — რაც მთავარია, როგორ გინდა ელაპარაკო ამ გერმანელს, პორკა მადონა![2]

მატროსს გინება უნებურად წამოსცდა. როტამ იმწამსვე მოიხადა ბოდიში მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობასთან და იმწამსვე პირზე ჯვარი გამოისახა.

— კაპიტანი ზიტო შენზე ნაკლებად არ ზრუნავს გემზე წესრიგი-

---

[1] „ლაკრიმა კრისტი“ — ქრისტეს ცრემლები (იტალიურად). საუკეთესო იტალიური ღვინო.

[2] იტალიური გინება.

სათვის, — შეედავა კარდინალი და ეტყობოდა, უკვე მოთმინებას კარგავდა, — ბოცმან გუსტავ კნებელს მრავალ გემზე უმსახურია, მრავალ ქვეყანაში ყოფილა და ბევრ ენაზე შეუძლია ლაპარაკი. ვერ გეტყვი, სიყვარულზე იტალიურად მსჯელობას გაგიბამს-მეთქი, მაგრამ ასეთი ბრძანებების გაცემას: „გემბანზე!“ ანდა „აფრები დაუშვით!“ უეჭველად შეძლებს.

მრავალი საათის შემდეგ კასპერი ვუეკთან მარტო რომ დარჩა, დარწმუნდა მაძინის სიმართლეში. ბოცმანი იტალიურად მშვენივრად იძლეოდა ბრძანებებს და ჭაბუკის გასაოცრად, მასზე სუფთად წარმოსთქვამდა იტალიურ სიტყვებს.

რაზე აღარ ილაპარაკეს იმ ღამეს! თავიანთ მოგზაურობაზე, იმაზე, თუ როგორ გადალახა კასპერმა ალპები, რამდენ ჩიყვისაგან დადუხჭირებულ ადამიანს შეხვდა მთებში, ილაპარაკეს ქარიშხალში მოხვედრილ ვუეკის გემზე, მომავალ ზღვით მგზავრობაზე, მატროს როტაზე (თუმცა ვუეკს ჯერ არ ენახა იგი), მაძინის მდიდრულ სასახლეზე და კარდინალის მშვენიერსა და ხალისიან ძმისწულზეც...

— რაღაცას მიმალავ, კასიო, — უცებ საყვედურით უთხრა პან კონოპკამ თავის საყვარელ ბიჭს და დაჟინებით ჩააშტერდა, — რაღაცა გაწუხებს... კარდინალის ლამაზ ძმისწულზე ხომ არ შეგივარდა გული?

მოულოდნელობისაგან კასპერმა წაიფხუკუნა კიდეც.

— რას ამბობ, ვუეკ, მე ხომ მიტას საქმრო ვარ! — მიუგო მიამიტად. — მეკითხები, რა გაწუხებსო? — ალბათ ის, რომ იმ კაცთან მომიხდება ზღვაზე ცურვა, რომელსაც, მიუხედავად ღვთისმშობლის ხატთან ფიცის დადებისა, მაინც ვძულვარ... მაგრამ ყველაზე უფრო ალბათ, ეს სამშობლოს სევდა უნდა იყოს...

პაოლო როტასთან კასპერის ჩხუბისა და შერიგების ამბავმა იმაზე მეტად შეაშფოთა პან კონოპკა, ვიდრე გამომეღვაძა სურდა.

„გემი ხმელეთი არაა, რომ შენს უამურ კაცს გაერიდო“, — თქვა გულში ბოცმანმა და მაშინვე გადაწყვიტა, კაპიტნისათვის ეთხოვა, კასპერი მასთან ახლოს მოეთავსებინა.

რომიდან ვენეციაში ჩასვლას დიდი დრო არ წაურთმევია სამი მგზავრისათვის. კარდინალმა ყველას საკმაო ფული და სარეკომენდაციო ბარათები გაატანა, რომ გზაზე იძულებით არავის გაეჩერებინა.

კაპიტანი ზორზიო ზიტო იშვიათი გულღია და შინაურული კაცი აღმოჩნდა. კაპიტანმაც და მისმა მეუღლემაც, პაოლო როტას დამ, ჭაბუკი ნათესავივით მიიღეს.

— ასეთი ახალგაზრდა რამსიშორეზე მოშორებულხარ სამშობლოს! — ეუბნებოდა შეწუხებული სენიორა ბიანკა სადილობისას სტუმარს და თეფშზე საუკეთესო კერძებს ულაგებდა.

— მაგხელობაში მე უკვე აფრიკასა და აზორში დავცურავდი! — დას გაბრაზებით გააწყვეტინა ლაპარაკი როტამ (მაინც რა მცირედ ჰგავდა იგი თავის სასიამოვნო შესახედაობის, გულკეთილ დას).

— ამბობ შენც, „აფრიკასა და აზორშიო!“ — გაიოცა სინიორა ბიანკამ. — ეს ყმაწვილი კაცი კი თვით სარმატიიდან ჩამოვიდა! ბევრ ვენეციელს იცნობ, ვისაც იმ მხარეში წასვლა გაებედოს?!

მართალი იყო კარდინალი მაძინი: როგორც ჩანდა, იტალიელები მსოფლიოს რუკაზე პოლონეთს სადღაც სიპანგოსა და კატაის[1] იქით ათავსებდნენ.

კაპიტანი ზიტოს მთელი სახლეული მონაწილეობდა ოჯახის უფროსის გასამგზავრებელ სამზადისში. წინ სახიფათო გზა ედოთ და არავინ იცოდა, ჩვენს მგზავრებს რა მოელოდათ ნახევარმთვარის ქვეყანაში. თუმცა გარეგნულად არავინ იმჩნევდა შეშფოთებას. მომავალ გამგზავრებაზე სადილზეც კი არ ამოუღიათ ხმა, მაშინ როცა ათას რამეს მოედვნენ: საქონლის ფასზეც ილაპარაკეს, ესპანელებმა სადღაც, პიზის მახლობლად მთელ სოფელს ყელები რომ დასჭრეს, იმაზეც; იმაზეც, რომ შვიდი წლის გადაკარგული გენუელი დაბრუნებულიყო ინდოეთიდან და ტომრით ოქრო ჩამოეტანა...

ჩამოსული სარმატის სანახავად ზიტოს ოჯახში მეზობლებმა ცოლშვილიანად მოიყარეს თავი. კაპიტნის ერთმა მოკეთემ ცოტაოდენი გერმანულიც იცოდა და გუსტავ კნებელს საუბარი გაუბა.

კასპერმა ყურები ცქვიტა, ვუეკს თუ გასაჭირი დაადგება, მივეხმარებიო, მაგრამ ბოცმანმა მარტომაც მშვენივრად გაართვა თავი საუბარს. მართლაცდა, გდანსკელი იყო, ლაპარაკი არ უნდოდა!

მთელი მსოფლიოს მეზღვაურები იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ აქ, ვენეციაში, ზღვის ამ პატიოსან მსახურთა შორის კასპერმა უცებ ისე იგრძნო თავი, თითქოს კვლავ თავის მშობლიურ გდანსკში ყოფილიყოს! კაპიტანმა ზიტომ კასპერს თავისი მამა, კაპიტანი ბერნატი გაახსენა: ციებისაგან ისეთივე გამოფიტული, მაგრამ ახოვანი, ძლიერი აღნაგობისა, ისეთივე ქარდაკრული, მზემოკიდებული სახით. თვალებიც კი ამ ვენეციელ კაცს პოლონელივით ცისფერი ჰქონდა.

კაპიტნის სტუმრები მასპინძელივით კეთილი ხალხი აღმოჩნდა. ბოცმანი ან კასპერი თუ საჭირო სიტყვებს ვერ მოუყრიდნენ თავს, ყველა მიშველებას ლამობდა — კაციც, ქალიც და ბავშვიც კი. ასეთი თბილი და გულღია იყო აქაური ხალხი უცხოელის მიმართ ამ ოჯახში გამეფებული ცხოვრების ნირიც ზუსტად წააგავდა იმას, რასაც კასპერი გდანსკში იყო მიჩვეული.

კაპიტანი ზიტო მეტად შეძლებული კაცი იყო. როგორც კასპერ-

---

[1] ასე უწოდებდნენ ჩინეთს იმ ხანებში.

მა გაიგო, შორეული ნაოსნობიდან მხოლოდ აბრეშუმი და ნელსაცხებლები კი არ ჩამოჰქონდა გასაყიდად, ჩამოჰქონდა ოქროცა და სპილოს ძვალიც. სინიორა ბიანკა მაინც არ თაკილობდა სამზარეულოში ტრიალს, თვითონვე რეცხავდა სარეცხს და ქმარსა და ძმას თვითონვე უკერებდა ტანსაცმელს, სწორედ ისევე, როგორც კასპერის დედამ იცოდა.

— იქნებ ჩვენი სახლი ჭერდაბალიც მოგეჩვენოთ და ბნელიც, მაგრამ მე მას მარმარილოს სასახლეშიც არ გავცვლ! — ეუბნებოდა კაპიტანი სტუმრებს, თან გლიცინიაშემოხვეულ კიბეებზე მიუძღვებოდა, — როგორი უბრალო კაციც ვიყავი მატროსობაში, ისეთივეე დავრჩი კაპიტნობაში... მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ შვილები არა გვყავს, პატარაობაშივე დაგვეხოცნენ... მთელი ჩვენი ქონება პაოლოს უნდა დარჩეს. მაგას მაინც მოეყვანა ცოლი დროზე! „სანტა ლუჩიაც“ პაოლოს დარჩება, — დაასრულა ზიტომ უნებლიე ოხვრით.

სადილობის შემდეგ სუფრიდან არავინ ამდგარა და ამასობაში ვახშმობამაც მოატანა. ერთი თვალის შევლებით კასპერს უგემურად ეჩვენა სინიორა ბიანკას მოტანილი „ტუტი ფრუტი დი მარე“.[1] მაგრამ ვუეკმა გემო გაუსინჯა, მოწონების ნიშნად ტუჩები გააწკლაპუნა და კასპერს მაგიდის ქვეშ ფეხი გაჰკრა: ჭამე, არ ინანებო!

სუფრაზე, მართლაც, ყველაფერი გემრიელი იყო მორთმეული: თევზიც, ვეება კიბორჩხალებიც, პაწაწინა კრევეტებიც, მაგრამ ყველაზე საუცხოო მაინც მოწნული ჭურჭლით მოტანილი ღვინო იყო. საღამოს ყველამ ერთად იმღერა. ამანაც სამშობლო გაახსენა კასპერს. იმღერეს მშვენიერი ვენეციური, გენუური, ნეაპოლიტანური სიმღერები. შემდეგ კასპერმა მანდოლინაზე შეასრულა „პანენკა კრიშია“ და „ეალობა მაზურა“. ბოლოს გუსტავ კნებელსაც სთხოვეს, გერმანულად გვიმღერეო რაშე. ჩვენმა ბარაქალა ბოცმანმაც არც აიღო, არც დაიღო და „დამხრჩვალი გდანსკელის სიმღერა“ შეაწიათ — ყველაზე უფრო პოლონური სიმღერა, რაც კი მანამდე სმენია კასპერს.

გვიან ღამეს მასპინძლებიცა და სტუმრებიც ლიდოზე გავიდნენ მთვარის შუქზე „სანტა ლუჩიას“ დასათვალიერებლად.

„სანტა ლუჩია“ მართლაც და ბრწყინვალე კარაველა აღმოჩნდა! მართალია, იგი ღუზაზე იდგა, მაგრამ გასაფრენად გამზადებულს ჰგავდა თავისი ლამაზად მოკაუჭებული ცხვირით, წვრილი, მაღლა აწეული ანძებითა და კოხტად ნაგები ვიწრო კორპუსით.

რანაირი გემის მნახველი აღარ იყო პან კონოპკა თავის სიცოცხ-

---

[1] „ტუტი ფრუტი დი მარე“ (იტალ.) — ყოველგვარი ხილი ზღვისა.

ლეში, მაგრამ ამ კარაველის შემხედვარემ ვერც მან შეიკავა თავი და მოწონების ნიშნად რაღაცის ბუტბუტით ენა გააწკლაპუნა.

იმ ღამეს, დაღლილობისა და ნასვამობის მიუხედავად, კასპერს არ დაეძინა. იწვა და ხან იმას ფიქრობდა, ახლა მიტა რას აკეთებსო (პოლონეთში ბინდბუნდი იქნებოდა უკვე), ხან იმას, ერთმანეთს როდისღა შევხვდებითო.

ძილგამფრთხალი ჭაბუკი გვერდს გვერდზე ინაცვლებდა, გახურებულ ბალიშს წაღმა-უკუღმა იბრუნებდა, ბოლოს კი ფანჯარასთან დაჯდა და ვარსკვლავიერ ცას ჩააშტერდა.

აი, ამ დროს კასპერი უნებლიე მოწმე გახდა მასპინძლების საუბრისა.

ვენეციელის მეტყველება ისევე განსხვავდება კამპანელთა სალაპარაკო ენისგან, როგორც კრაკოველისა მაზურელის ან ზღვისპირელის მეტყველებისაგან. უცხოელთა პატივსაცემად სუფრაზე ყველა ცდილობდა ნელა და მკაფიოდ ელაპარაკა. ახლაც ჭაბუკის გულს გარკვევით მოხვდა სინიორა ბიანკას შეწუხებული ხმა და კაპიტნის მოალერსე დამამშვიდებელი პასუხები.

კასპერი მიხვდა, ზორზიო ზიტო მძიმედაა დაავადებული და ცოლიც მიტომ არის ასე შეწუხებულიო.

— ზორზიო, ჩემო ზორზიო, მარტო ნუ დამტოვებ! პაოლო მგელივით მიყურებს, სხვა მახლობელი კი არავინა მყავს. ღვიძლი ძმის მეშინია, ზორზიო!

— პაოლო ხომ ჩემთან მოდის, კონსტანტინეპოლში, და იქ უყუროს თურქებს მგელივით, შენ რა! — პასუხობდა კაპიტანი.

კასპერს მოეჩვენა, რომ კაპიტანზე უკეთესად მას ესმოდა საბრალო ქალის საწუხარი.

— ძალზე გახდი და ფერიც დაკარგე, ღამღამობით კი ოფლში ევლები...

— მსუქანი და ფეროვანი აღარასოდეს ვიქნები, — დაილაპარაკა ოჯახის პატრონმა, — წავიდა ის დრო, ჩემთან პაემანზე რომ დარბოდი და დეიდა ტერეზა ფანჯრიდან წყალს გვასხამდა. წავიდა კაი ბიჭობის დროც. ოფლში გავლება თავისთვის იყოს და რუმპელს ისე შემოვატრიალებ, კარგ ახალგაზრდას შეშურდება. მე კი, როგორც გინდა თქვი, წინა კვირას მერვე ათეულში გადავდექი!

კაპიტნის ამ პასუხმა დაამშვიდა კასპერი და თვალები დახუჭა.

მეორე დღეს, სადილობის წინ კასპერი თვითონ შეესწრო, კაპიტანმა ზიტომ რა იოლად მოიგდო ზურგზე ხუთფუთიანი ფქვილის ტომარა და რა იოლად წაიღო ფარდულისაკენ. შემდეგ მეორე იმხელავე ტომარა გაუყენა იგივე გზას, შემდეგ მესამე... —

სამოცდაათი წლის კაცს თუ ამდენი შეუძლია, მაშ, მთელი ცხოვრება კიდევ წინა აქვს და სინიორა ბიანკას შიში უსაფუძვლოა.-

მეორე დილას კასპერი „სანტა ლუჩიას“ დატვირთვას დაესწრო და ერთხელ კიდევ, დღის სინათლეზე დაათვალიერა კარაველა.

კარაველას კორპუსი ხელახლა შეეღებათ. აფრები თეთრად ქათქათებდა, გემის საბიჯელა აქეთ-იქით შეწყობილად მავალ მატროსთა ფეხქვეშ იზნიქებოდა, ჰაერი ბაგირების, ფისისა და რომელიღაც სანელებლის სუნს გაეჟღინთა. შემადგენლობა გულდადებითა და თანხმობით შრომობდა. ეტყობოდა, ახალი ბოცმანი თვალში მოუვიდა ყველას.

ზღვაში გასვლის წინ „სანტა ლუჩიას“ მახლობლად ვეება გემი „წმინდა ბენედიქტი“ გაჩერდა ბაგირზე. მეზღვაურები იცინოდნენ: „ერთი უყურეთ როგორ ცდილობს, ჩვენს „ლუჩიასთან“ ახლოს მოსვლას! სულ ერთიანად გარს დასტრიალებს“.

კასპერს უნდოდა მატროსთა კუბრიკში მოწყობილიყო, მაგრამ კაპიტანმა ზიტომ ბრძანა, მისი სკამლოგინი ახალი ბოცმანის კაიუტაში ჩამოეკიდათ. „თქვენ ახლა არც მთლად მატროსი ხართ, არც მთლად მოსწავლე, მიეჩვიეთ ჩვენებურ ცხოვრებას, ჩვენს ბიჭებს და შემდეგ თვითონვე გადაგიყვანენ თავიანთ კუბრიკში“.

„წმინდა ბენედიქტიდან“ მორიგეს გამოსძახეს, თქვენს გემს კურსი საით უჭირავსო. რომ გაიგეს, „სანტა ლუჩიას“ დატვირთვა დამთავრდება თუ არა, გეზს კონსტანტინეპოლისკენ ავიღებთო, „ბენედიქტიდან“ უპასუხეს, ჩვენც იქით მოვცურავთო.

— ჩვენს „ლუჩიას“ გვერდიდან არც მოშორდება, — სიცილით იჭაჭებოდა ერთი მატროსი.

მაგრამ დიდხანს არ „უტრიალია“ „წმინდა ბენედიქტს“ „სანტა ლუჩიას“ მახლობლად. იმავე დღეს ახსნა ბაგირი და კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აიღო.

კაიუტაში მარტო დაიგულა თუ არა კასპერი, ვუეკმა კითხვები დააყარა. ჭაბუკსაც მოთმინება ელეოდა, სანამ პოლონურად დაილაპარაკებდა.

— როგორ მოგეწონა ვენეცია? ხომ ღირსეული და უბრალო კაცია ჩვენი კაპტანი! თუ შეამჩნიე, რა მძიმედაა ავად? მაინც კი თავს იდვა ეს ძნელი მგზავრობა, რადგანაც კარდინალს ჩვენი კონსტანტინეპოლს ჩაყვანისა და უკან დაბრუნების სიტყვა მისცა. დღეს ორჯერ

შევასწარ თვალი, გადაფითრებული როგორ მიეყრდნო კედელს და ტკივილის გავლას დაელოდა... ჰო, მართლა, კასპერ, წეღან რას მისჩერებოდი „ბენედიქტს“? ზარბაზნებს ეძებდი? მეც ისე მომეჩვენა, ის გემი „მოვაჭრე“ არ უნდა იყოს... თუმცა, ზარბაზნები რომც ჰქონდეთ, ეგრე იოლად ვერ შეამჩნევდი.

— არა, ვუეკ, მაგათი ზარბაზნები სულაც არ მენაღვლება. „წმინდა ბენედიქტის“ გემბანზე ნაცნობი სახე მომელანდა და იმას მივშტერებოდი... გახსოვს, ზბიგნევი მენდელშტამიდან რაინდ ფონ ელსტერის ამბავს რომ მწერდა? სულ დამავიწყდა შენთვის მეთქვა, იმ რაინდმა გამიწია რომში უდიდესი სამსახური. იმან გამაშველა როტასთან. მე კი რიგიანი მადლობაც ვერ ვუთხარი! ჰოდა, ამ დილას ისე მომეჩვენა, თითქოს „ბენედიქტის“ გემბანზე იმ კაცს მოვკარი თვალი. შავი, კუნაპეტივით შავი წვერი აქვს. დაბეჯითებით რომ არ ვიცოდე, რაინდი სამშობლოში აპირებდა წასვლას, თავს დავჯებდი, ნამდვილად ის იყო-მეთქი.

— თავს გაუფრთხილდი, კასიო. ალბათ ვიღაც იტალიელი იქნება... შავი წვერიო! დიდი ამბავი! — მხრები აიჩეჩა ვუეკმა, — „წითური წვერი“ რომ გეთქვა, კიდევ სხვა იქნებოდა. უშავწვერულვაშო იტალიელს თუ შეხვედრიხარ სადმე? ერთი სიტყვით, თუ ისაა ნამდვილად, ღმერთის წყალობით კონსტანტინეპოლში შეხვდებით ერთმანეთს. ქრისტიანები იქ ბერძენი სპირიდონ აკრიტის ყავახანას ეტანებიან ხოლმე... ანდა სულაც „ლუჩიაზე“ მოიპატიჟე, თუკი რაინდი არ იწყენს მდაბიოთა კომპანიას...

ბოლოს ზღვაში გასვლის დიდი ხნის ნანატრი წუთებიც დადგა. კასპერმა გულის ფანცქალით დააბიჯა გემბანს ფეხი. მსუბუქმა, წაგრძელებულმა გემმა ბაგირი ახსნა. გამცილებლები ნაპირზე ქუდებსა და ცხვირსახოცებს იქნევდნენ. კასპერი მათ შორის ჯერ ისევ კარგად არჩევდა სინიორა ბიანკას, მის მეზობლებსა და მსახურ ბიჭს... შემდეგ ხალხი რაღაც ერთიან ცისარტყელასფერება სხეულს დაემსგავსა. მშვიდობით, ვენეციავ, შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრების გულითადი მასპინძელო; მშვიდობით, კეთილო სინიორა ბიანკა; მშვიდობით, კარდინალო მაძინო; მშვიდობით, სინიორინა ბეატრიჩე; მშვიდობით, პატარა, ყოჩაღო მარჩელა!

მოყვითალო-მომწვანო ტალღებს თეთრმა ქაფმა დაურბინა, თოლიების უთვალავმა გუნდმა კი, გეგონება, გემს ეთხოვებაო, ზღვის სანაპირო საბრალობელი ყივილით გააყრუა!

მშვიდობით, იტალიავ!

თავი მეათე.

ზღვა

ბოცმანი გუსტავ კნებელი საკმაოდ შარიანი უფროსი გამოდგა: თავდაპირველად კასპერს მოსწონდა კიდევაც ეს ჭირვეულობა. უპირველესად ყოვლისა, ბოცმანმა მოითხოვა, კასპერისათვის ამბანაგებს „სინიორობით“ არ მიემართათ.

— შენ ხომ გინდა, ზღვაზე რიგით მატროსად იმსახურო? მაშ, მითხარი, თუ ღმერთი გწამს, გემზე ვინ ეტყვის მატროსს „სინიოროო“? — უთხრა ვუეკმა ცურვის დაწყების მესამე დღესვე.

ბოცმანის ბრძანებით კასპერი ციყვივით დაძვრებოდა ანძებზე. მოქანავე ქანდარას იალქნებს ამაგრებდა და ყოველ წუთს რისკავდა, რომ იმ სიმაღლიდან ძირს არ ჩამოვარდნილიყო. ეს სამუშაო ნაცნობი იყო მატროს ბერნატისათვის და ახლა შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი მოხერხებულობა და სიმარჯვე ეჩვენებინა, თუმცა, ერთია, საკუთარი მამის, გემის კაპიტანის ბრძანებით გამოიჩეღავნო. პატივისცემით მაყურებელი მთელი ეკიპაჟის წინაშე შენი მოხერხებულობა და სიმარჯვე, მეორე — ბოცმანის სასტვენის ხმაზე ყოველ ცისმარე დღეს წამოხტე ლოგინიდან, შენს მორიგობაში ხეხო გემბანი და კუბრიკი, აკერო აფრები, წყალში ყვინთო აშვებული წოლოსთვის. ერთ კვირაში ჭაბუკ მატროსს ხელის გულებზე ბებერები დაასხდა, მერე კი ქალამანივით გაუხდა. მთელ სხეულზე უკვნესოდა შეხლილი, დაკაწრული, დალილავებული ადგილები. მეტისმეტად ძნელი იყო, ვახტზე ღამენათევი ამდგარიყო და ხელახლა შედგომოდა ყოველდღიურ საქმიანობას. მაგრამ კასპერი მოთმნებით იტანდა ყოველივეს, რადგანაც მამა გამუდმებით ჩასჩიჩინებდა: რაც უკეთესად იცნობს კაპიტანი მატროსის შესაძლებლობას, მით უფრო უადვილდება გემის კომანდობაო.

ცოტა ხანში კასპერსა და „სანტა ლუჩიას“ მთელს ეკიპაჟს მძიმე დღეები დაუდგა.

ყოველივე იმით დაიწყო, რომ კასპერს გასლიპული თოკი ხელიდან გაუსხლტა, ქანდარის უზარმაზარი კოჭი თავში მოხვდა და კინაღამ გონი დააკარგვინა. კასპერმა დათრგუნა ტკივილი, მოთმინებით მოაგვარა ყველა უწესივრობა და გემბანზე ჩამოვიდა.

ძლივს მოასწრო კასპერმა წელში გაშლა და ამოსუნთქვა, რომ შიშველი ფეხები ღონივრად მოქნეულმა თოკმა აუწვა.

გაგულისებული ჭაბუკი შებრუნდა და ვუეკის გაცეცხლებულ თვალებს წააწყდა.

— ადი ზევით! — იმხელაზე უღრიალა ბოცმანმა, კასპერს ლამის

საფეთქლები დაასკდა. — მატროსო ბერნატ, ორჯერ ურიგოდ გაჰვალ ვახტზე.

ამასობაში კასპერისაგან ძლივს მიმაგრებული ქანდარა აეშვა და უღონოდ დაკიდული იალქანი ქარმა აატლაშუნა. ჭაბუკი მატროსი კვლავ ანძაზე ახოხდა.

იმ საღამოს, იმდენი გაჭირვების გადატანის შემდეგ, ძილი თავს ართმევდა კასპერს, მაგრამ უმაგრდებოდა, ვუეკის მოსვლას ელოდა. მოვა ვუეკი და, რა თქმა უნდა, ახსნა-განმარტებას დაუწყებს თავის საყვარელ ბიჭს, წელან ამისა და ამის გამო მოგექეციო ისე მკაცრად.

კასპერი ვუეკის დასამოძღვრადაც კი მოემზადა: ბოცმანის როლის შესულებაში მეტისმეტები მოგდისო.

შერიგების მოლოდინში კასპერს ასევე გაუხდელს ჩაეძინა. უცებ რაღაც გრიალმა გააღვიძა იგი. პატარა კაიუტაში ყველაფერი ერთმანეთს იყო ნაცემი. ღელვის დროს ჩამოვარდნილი თიხის ქოთნის ნამსხვრევები იატაკზე დაგორავდა. კაიუტის შუაგულში ბოცმანი იდგა, მაგრამ მობოდიშებაზე, ახსნა-განმარტებასა თუ შერიგებაზე არცა ფიქრობდა.

— ადექი! — უთხრა ბოცმანმა პირქუშად. — შტორმია! თანაც, თითქოს ჯიბრზეო, კაპიტანი მძიმედ გაგვიხდა ავად. ადი გემბანზე და გაფრთხილდი, თუ კიდევ უნდილად იმუშავე, ხმელ პურსა და ცარიელ წყალზე გამყოფებ!

ქარიშხალმა ფოკ-ანძა ჩამოლეწა. დაჯახებულმა ტალღამ გემბანის ტიხარს ფიცარი ააგლიჯა, ფიცარი კომპასის ბუდეს წამოედო და სადგამიდან გადმოაყირავა. კიჩოს მხარეს წყალმა გაეონა, მაგრამ კარაველაზე საკმარისად ჰქონდათ ხე-ტყე, ფისი, ძენძი, საკმარისნი იყვნენ გამოცდილი ხეროები, მგმანავები, იალქნის ოსტატები და გემს ჭრილობები ნელ-ნელა მოუშუშეს. გაცილებით უარესად იყო „სანტა ლუჩიას“ კაპიტნის საქმე.

თავის საწოლზე მისვენებული, ლიმონივით გაყვითლებული, თვალებჩაცვივნული ზორზიო ზიტო ენით წარამარა ისველებდა დამსკდარ ტუჩებს და ოდნავ გასაგონად იძლეოდა ბრძანებებს.

საწოლისკენ მოწიწებით დახრილი ბოცმანი გუსტავ კნებელი კაპიტნის ტუჩების მოძრაობაზე ხვდებოდა ბრძანებებს, შემდეგ ელვის უსწრაფესად არბოდა გემბანზე და თავისი ხმით ქარიშხლის ღმუილის დაფარვას ლამობდა, რომ მატროსებისათვის კაპიტნის განკარგულებები გაეგონებინა.

— შეუსვენებლივ ამოხაპეთ წყალი! ნახვრეტები დაგმანეთ! — ძლივსძლივს ჩურჩულებდა ზორზიო ზიტო.

გაჭირვება გამოგაცნობინებს მტერსაც და მოყვარესაც, ნათქვამია, გადატყავებული, დასისხლიანებული ხილებით დღედაღამ მო-

მუშავე, წელამდე წყალში მდგარი კასპერი ხშირად იჭერდა დამცინავ გამოხედვასაც და თანამგრძნობსაც. მაინც ცუდი იყო, რომ კაპიტანმა მატროსებთან კუბრიკში ცხოვრების ნება არ მისცა! რა თქმა უნდა, ბევრს იგი უქნარა ჰგონია, მაგრამ კასპერი მათაც დაუმტკიცებს და ვუეკსაც, რა ფასის მქონეცაა.

ალბათ ორი ან სამი დღე თუ იქნებოდა ამ ყოფაში გასული, კასპერს კი ეჩვენებოდა, მთელი თვეა წელში ვწყდებიო, თანდათან ხან რომელი მატროსი გამოუჩენდა უბიდან მათარას, ხან რომელი და ღიმილით ეპატიჟებოდა, შევთბეთო.

ქარიშხალი ოდნავ რომ შედგა და სულის მოთქმის საშუალება მიეცათ, კასპერთან ახალგაზრდა მატროსი მარიო მივიდა და ჩურჩულით უთხრა:

— გასპარე, შენზე რას ბოდავდა ის როტა, რაღაც სარმატიიდან არისო? შენ კი სწორედ ჩემს მეგობარ ფილიპესავით ლაპარაკობ. მე მშვენივრად ვიცი, სიცილიაში როგორ ლაპარაკობენ: მე და ფილიპე სამი წელი ვიწექით ერთ საწოლზე, უკანასკნელ ლუკმას ვიყოფდით და ერთმანეთს საიდუმლოებებსაც ვანდობდით... მის მერე გულითადი მეგობარი აღარც მყოლია, შენ სიცილიურად რომ დაილაპარაკე, ლამის გული საგულედან ამომიხტა... შენ სულაც არა ხარ უცხოელი! ფილიპეს სახითაც კი ჰგავხარ. ოღონდ ის შავგვრემანი იყო, შენ წითური ხარ...

— ახლა სადაა ის შენი მეგობარი? — ჰკითხა კასპერმა.

— მთასავით ბიჭი იყო, ციებამ კი სამ დღეში წააქცია. ამოვკერეთ ძველი ანძის ნაჭერში და სადღაც, პატმოსის ახლოს ჩაეუშვით ზღვაში. ჯვრებიც კი ვერ გავცვალეთ ერთმანეთში. შენ ალბათ სიცილიაში დაბრუნდები. ძალიან გთხოვ, მისი ნათესავები მოძებნო!.. აქ, „ლუჩიაზე“ უმრავლესობა ხანში შესული ხალხია და შენს გემოზე ვერავის დაელაპარაკები. მიხარია, რომ შეგხვდი!

მაშ, ტყუილად არ გაამხიარულა მისმა ჩლიფინა ლაპარაკმა კარდინალი და სინიორინა ბეატრიჩე, რაკი, აქაც, გემზე, მას სიცილიის მკვიდრად მიიჩნევენ.

კასპერმა ძლივს-ძლივს გამართა გახევებული წელი და მიუგო:

— მეც მიხარია, რომ დამლაპარაკებელი ვიშოვე. დაგვიდგება მშვიდი დრო და ნახავ, მე და შენ ვიცეკვებთ და ვიმღერებთ კიდევაც. ჩვენებურ, პოლონურ ცეკვებსა და სიმღერებს გასწავლი, რადგანაც როტას არ მოუტყუებიხარ — მე, მართლაც, უცხოელი ვარ, შორეული სარმატიიდან ჩამოსული, მაგრამ მალე დარწმუნდები, რომ ეგ დაბრკოლებად არ ჩაითვლება, თუ ორი ადამიანი ერთმანეთთან დაახლოებას მოიწადინებს. მე ჯვარი არა მაქვს, მხოლოდ დედაჩემის ნაჩუქარი ჩემი წმინდანის ხატი წამომყვა... — კასპერმა თან გაქონილი,

გადაქექილი, ფერგადასული ზონარი გადაიძრო თავიდან და წმინდა კასპერის ხატი მარიოს ჩამოჰკიდა. სანაცვლოდ სპილენძის ჯვარი მიიღო მისგან.

მარიოსგანვე გაიგო კასპერმა, გემზე როგორ ეშინოდათ ზორზიო ზიტოს სიკვდილისა.

— როტა იქადნება, გემის კაპიტნობა დამრჩებაო... ოჰ, ცუდი დღე დაგვიდგება ყველას! იმ ღვთისნიერი სინიორა ბიანკას ძმა რომ არ იყოს, აქამდე ერთ ღამეს თავზე ტომარას ჩამოვაცმევდით და ისე ვცემდით, კარგა ხანს ფეხზე ვეღარ დამდგარიყო! — გულახდილად გამოუტყდა მატროსი. — კაპიტანი ზორზიო აქ ყველას უყვარს და აფასებს. გამოცდილი კაცია, სამართლიანი. ჩვენსავით უბრალო მატროსი ყოფილა, მაგრამ ამით სულაც არ ყოყოჩობს... აი, მაგის ცოლისძმა კი სულ სხვა ვინმეა! ქარიშხლამდე, როგორც კი კაპიტანი ავად გახდა, მე თვითონ დავინახე, როტამ თავისი სკივრი რომ გახსნა და კაპიტნის ძვირფასი ტანსაცმელი მიიზომა. კაპიტანი მალე მოკვდება, უფროსობა მე დამრჩება და უბრალო მატროსული ჩაცმულობა არ მეკადრებაო... ყველანი ყოველდღე ვავედრებთ წმინდა გიორგის ჩვენს კაპიტანს: უფალმა ჩვენდა საიმედოდ შეუნარჩუნოსო სიცოცხლე! შეგვარჩინოს კაპიტანი და დაგვიხსნას როტასგანო! მამა ლუკა, ჩვენი გემის მღვდელიც მშვენივრად ხვდება, რა ვნებას მოუტანს როტა გემსაც და ეკიპაჟსაც, ამიტომ ისიც ჩვენთან ერთად აღავლენს ლოცვას... აგერ, გახედე, ის ფრანტი უკვე კაპიტნის ბოგურაზე დგას! — ჩაილაპარაკა გაგულისებულმა მარიომ.

მართლაც, კასპერმა გაიხედა და სასაკე რუმპელთან ბოცმანი დაინახა, მის ზურგს უკან როტა იდგა, რომელიც გამწარებით იქნევდა ხელებს, ჩანდა, ვუეკის დარწმუნება სწადდა რაღაცაში. ბოცმანის სახეს ვერ ხედავდა კასპერი, მაგრამ ზურგიდანაც კარგად ატყობდა, როგორ იგერიებდა იგი დაჟინებულ მატროსს. თურმე დაზიანებული კომპასი გაესინჯა როტას, ამოვარდნილი ისარი გაჭირვებით დაემაგრებინა ღერძზე და ახლა გუსტავ კნებელისაგან კარაველას კურსის შეცვლას მოითხოვდა.

— კომპასი არ მუშაობს, ეგ კურსი თუ ავიღეთ, კონსტანტინეპოლში კი არა, მე ვიცი რა ჯანდაბის იქითაც ამოვყოფთ თავს. — გაიმეორა ვუეკმა თავისი საყვარელი გამოთქმა.

როტას კი უკვე გემის პატრონად მიაჩნდა თავი. ხელი ჰკრა ბოცმანს და რუმპელს ჩაეჭიდა. პან კონოპკამ სიბრაზისაგან გადააფურთხა.

— კანჯოები მოამზადეთ, — გაჯავრებით უთხრა ბოცმანმა შემოფეთებულ მარიოს. — ამ ჯიქს ლოდებისაკენ მიჰყავს კარაველა!

რუმპელს ჩაჯაჯგურებულმა როტამ ჯიუტად განაგრძო აღებული

კურსი და მაშინლა მიმოიხედა შეშფოთებით, როდესაც წყალქვეშა კლდეებს მიხეთქებული ტალღების ღმუილი გარკვევით გაიგონა.

— სად არის ის თქვენი სტუდენტი? — იკითხა ბოლოს. — მართლა შეუძლია უკომპასოდ გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა?

მთელმა კომანდამ ახლალა გაიგო, რომ გასპარე ახალბედა მატროსი, რომელსაც ხშირად დასცინოდნენ კიდევაც, ნასწავლი კაცი ყოფილა.

მარიომაც კი პირი დააღო გაოცებისაგან.

მაინც არავის სჯეროდა, თუ გასპარე სწორ კურსზე დააყენებდა გემს.

ვუეკმა კასპერი ჯიხურთან მიიყვანა.

— შეგიძლია გაასწორო? — ჰკითხა და კომპასზე მიუთითა.

კასპერმა კომპასი დაათვალიერა და უბრად დაუქნია თავი. ვუეკზე განაწყენებას ჯერ კიდევ არ გაევლო მისთვის.

— ვარსკვლავების მიხედვით გამოიცნობ, სად ვიმყოფებით?

— შეიძლება, ოღონდ მთლად ზუსტად ვერა, მიახლოებით კი, — მიუგო მცირე ფიქრის შემდეგ კასპერმა.

— აბა, მაშ შენ იცი! — უბრძანა ბოცმანმა. სანამ კასპერი კომპასს დასტრიალებდა, ბოცმანი გვერდით ედგა და თვალყურს ადევნებდა მის საქმიანობას.

განზე გამდგარი როტა კი შეუვალად იყურებოდა სადღაც, სიბნელეში, თითქოსდა არც კომპასის დარდი ჰქონდა, არც კასპერისა.

ბოლოს და ბოლოს, კომპასი თავის ადგილას რომ დააყენეს და ისარიც ღერძზე აქანავდა, ბოცმანმა როტას ეშმაკური ღიმილით უბიძგა გვერდში.

— ტანსაცმელმაც ვერაფერი გიშველა, — უთხრა და ტუჩაკვრით შეუთვალიერა მოკაზმულობა, — იქნებ ბევრი გიცურნია და არც ცუდი მატროსი ხარ, მაგრამ კაპიტნის ბოგურა საშენო საქმე არაა! — შემდეგ მხიარულად გასცა ბრძანება: — აბა, ყველანი მაღლა! ადგილებზე! აუშვით იალქნები!

კასპერის გაანგარიშებით შტორმმა კარაველა პირვანდელ კურსს დასავლეთის მიმართულებით ას მილზე ააცდინა.

გაზომვების შემდეგ კასპერმა განსაზღვრა, რომ კიპროსის ნაპირების შორიახლოს იმყოფებოდნენ.

— ბრავო, კასპერ ბერნატ, ბრავო! — მხიარულად უთხრა ვუეკმა, მერე კი პოლონურად მიუალერსა. — ყოჩაღად, კასიო, ვუჩვენოთ ამ ხალხს, რისი შემძლეცაა ორი გდანსკელი!

საშიშროებამ განვლო და ბოცმანმა თავისი ადგილი მესაჭეს დაუთმო.

— აუშვით იალქნები! — ჩაჰყვირა ნიჟარაში, რომელიც რუპორის

მაგივრობას სწევდა. —ნელი სვლა ქარის მიმართულებით! კურსი არ შეშალოთ!

ბოცმანი კომანდას კომანდაზე იძლეოდა. ეკიპაჟი შეთანხმებულად და ზუსტად ასრულებდა მის ბრძანებებს. ხელახლა იალქნებაშვებული „სანტა ლუჩია“ განთიადისას შემოტრიალდა და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაიძრა.

ვუეკის დავალებით კასპერი რამდენჯერმე ჩავიდა კაპიტნის კაიუტაში და ყოველ ჩასვლაზე აკვირდებოდა ზორზიო ზიტოს სუნთქვას. ისე მოეჩვენა, თითქოს ავადმყოფის მკერდი თანდათან მშვიდად ადი-ჩადიოდა და ეს სასიხარულო ამბავი მაშინვე შეატყობინა შეშფოთებულ ეკიპაჟს.

—აბა, როტა გამოიცვალე ეგ ტანსაცმელი, ვერ გახდები კარაველას კაპიტანი, არ გეღირსება ჩვენი უფროსობა! — დაუფარავი ზიზღით უყვიროდნენ მატროსები კაპიტნის ნათესავს.

— არ ყოფილიყო გასპარე, იქამდე ვიცურებდით აღმა-დაღმა, სანამ ეს ჩვენი კოპწია „ლუჩია“ რამეს არ შეენარცხებოდა!

— უყურეთ ერთი, — მარიო ხარხარით უთითებდა კასპერსა და როტაზე, — ორივე ვითომც ახალგაზრდაა, ტვინი კი ერთს თავში აქვს, მეორეს... — რაო, როტა, მაგ შენს ლამაზ კამზოლს პოლონელს ხომ არ მიჰყიდიდი? მაგას უფრო მოუხდება ბატონკაცური ჩაცმულობა!

კასპერი ხედავდა, როგორ უთრთოდა ღაწვისთავები როტას, მაგრამ აღარც ეკიპაჟის ბედი აფიქრებდა, აღარც კარაველასი: ზიტო ჩქარა დაუბრუნდებოდა კაპიტნის ბოგურს!

უკვე ვთქვით, რომ კარაველაზე არც ხუროები აკლდათ, არც მგმანავები და არც იალქნის ოსტატები. ჰყავდათ მღვდელიცა და ნორვეიგელი მატროსი კნუტ რასმუსენიც, რომლისთვისაც ღმერთს ისეთი მხედველობა მიემადლებინა, ყველაზე შორსმდებარე საგნებს არჩევდა და ეს სამოც წელს გადაცილებული კაცი ღამით კატაკავით ხედავდა.

კარაველზე მხოლოდ მკურნალი აკლდათ. შეიძლება ყოველივე სხვაგვარად შეტრიალებულიყო, კაპიტან ზორზიო ზიტოსთვის თავის დროზე საჭირო დახმარება რომ აღმოეჩინათ!

ჯოჯოხეთური გამოდგა ის ღამე!

ვუეკისაგან უცაბედად გაღვიძებული კასპერი გადარეულივით გავარდა კაპიტნის კაიუტისაკენ. იქ იგი შეშფოთებით დაჰყურებდა, რა შეუჩერებლად არწყევდა კაპიტანი სისხლსა და ნაღველს ერთად. არ დაიხრჩოსო, სამივემ, ვუეკმა, მარიომ და კასპერმა, გვერდზე გადააბრუნეს ზიტოს საოცრად შემსუბუქებული სხეული.

— მღვდელი! — მოითხოვა ავადმყოფმა, როგორც კი ოდნავი შვება იგრძნო.

კაიუტაში მამა ლუკა შეევიდა. სამი მეზღვაური კი თავჩაქინდრული გაემართა კარისაკენ, მაგრამ კაპიტანმა ხელის სუსტი მოძრაობით შეაჩერა ისინი.

— ყველას გასაგონად მინდა აღსარების თქმა, მამა ლუკა! — მუდარით მიმართა ზორზიო ზიტომ.

— აღსარებაც იქნება და ანდერძიც, — მიუბრუნდა მღვდელი მღელვარებისგან გაფითრებულ მოწმეებს, — მე და სინიორ კაპიტანი რამდენიმე დღის წინ შევთანხმდით ამაზე. რომელს შეგიძლიათ წერა?

— იტალიურად თუ ლათინურად? — იკითხა კასპერმა და წინ წამოდგა. — ლათინურად უკეთესად შევძლებ.

მოწმეები ისმენდნენ, როგორ ინანიებდა მომაკვდავი ცოდვებს, მას ტყუილის თქმაც დასჭირვებია, ძარცვაც, მკვლელობაც, ქრისტეს სხვა მცნებებსაც გადასულა, მაგრამ ყველაზე დიდ ცოდვად მაინც ის მიაჩნდა, რომ თავის დროზე, ხელი დაიფარა და მართლმსაჯულებას დაუმალა ცოლისძმა — პაოლო როტა, კარაველას მატროსი. რა დანაშაული ჩაედინა როტას, კაპიტანს არ უთქვამს: მე ჩემს ცოდვებს ვინანიებ, მოვა დრო და როტა თავისას მოინანიებს, ღმერთმა კი ისედაც უწყის ყოველივეო.

— მისი დის, ჩემი ცოლის სიყვარული მაყოვნებდა ყოველთვის, — გაჭირვებით ლაპარაკობდა მომაკვდავი, — მაგრამ ახლა, უზენაესის წინაშე აცრემლებული ვინანიებ იმ ჩემს დანაშაულს. იმაშიც ვარ დამნაშავე, რომ ჩემი ცოლის დიდმა სიყვარულმა ხელი შემიშალა და როტა იტალიიდან არ გავაძევე, პირიქით, ჩემს სახლში, ჩემს კარაველაზე შევიფარე, თუმცა, შეგნებული მქონდა, ამ საქმიდან სასიკეთო არა გამოვიდოდა რა. მეტიც: სამი წლის წინ სიკვდილის მოახლოება რომ ვიგრძენი, ანდერძი შევადგინე, რომლის თანახმადაც „სანტა ლუჩიას“ როტას ვუტოვებდი. ეს ანდერძი რომში, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მაძინთან ინახება... მაგრამ ახლა ჩვენ ახალ ანდერძს შევადგენთ, ის ძველი კი კარდინალმა უნდა დახიოს...

ლაპარაკით დაღლილი კაპიტანი ბალიშზე მიესვენა.

— დაწერეთ! — თქვა შემდეგ ხმამაღლა.

კასპერმაც დაწერა, რაც კაპიტანმა უკარნახა:

— ქრისტეს აქეთ 1511 წლის სექტემბრის ოცდაოთხს მე, კაპიტანი ზორზიო ზიტო, საღი გონებითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ჩემი ანდერძის ამსრულებელს ვავალებ, „სანტა ლუჩიას“ ცურვის დასრულების შემდეგ გემის მთელ ეკიპაჟს ხელფასის ზევით ათ-ათი ოქროს დუკატი გადაუხადოს. ჩემს ცოლისძმას — მატროს პაოლო

რიტას ამ ფულის გარდა კიდევ სამას დუკატსა და ჩემს ტანსაცმელს ვუტოვებ. დანარჩენ ქონებას უძრავსა და მოძრავს, ჩემს ცოლს, სინიორა ბიანკა ზიტოს ვუანდერძებ. კარაველა „სანტა ლუჩიას“ ვენეციის გემთმეპატრონეთა კომპანიას ვუტოვებ იმ პირობით, რომ თავიანთი შეხედულების მიხედვით დანიშნონ კაპიტანიცა და ბოცმანიც, თუკი გუსტავ კნებელი ვეღარ შეძლებს გემზე სამსახურს. ღმერთის სახელით ვევედრები უკვე მოხსენიებულ გუსტავ კნებელს, რომ „სანტა ლუჩია“ ჯერ კონსტანტინეპოლს ჩაიყვანოს, შემდეგ უკანვე, ვენეციაში. ამ ხნის მანძილზე იგი გემის კაპიტნადაც დარჩება. იმ შემოსავალს, რასაც ვენეციის გემთმეპატრონეთა კომპანია მიიღებს „სანტა ლუჩიას“ მეშვეობით ტვირთის გადაზიდვაში, თანაბრად ვუანდერძებ ჩემს ცოლსა და ვენეციის გემთმეპატრონეთა კომპანიას სინიორა ბიანკას სიკვდილამდე. ჩემი ცოლი დასაფლავდეს კომპანიის სახსრებით. ჩემი ცოლისძმა პაოლო როტა გემის ვენეციაში დაბრუნებისთანავე ამოირიცხოს მეზღვაურთა სიიდან. მემკვიდრეობის მიღების შემდეგ ვუანდერძებ პაოლოს, ვაჭრობას ან სხვა პატიოსან საქმეს მოჰკიდოს ხელი.

ამ ანდერძის შემსრულებლად, უწინდელივით, . მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა კარდინალი მაძინი დარჩება. ჩემი წინანდელი ანდერძი გაუქმებულად ჩაითვალოს“.

ანდერძი თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს თვით კაპიტანმა ზიტომ, მამა ლუკამ, მატროსმა კასპერ ბერნატმა და გენუელმა მატროსმა მარიო სკამპიონიმ. როცა ბოცმანის ჯერი დადგა, მან კითხვით შეხედა კასპერს, მანაც ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი. ვუეკმა მსხვილი ასოებით გამოიყვანა: „კენიგსბერგელი ბოცმანი გუსტავ კნებელი“.

საბუთის შედგენა რომ დაასრულეს, გადაფითრებული კაპიტანი ზიტო მოულოდნელად წამოიზიდა ბალიშიდან.

— მინაწერი! — თქვა მან. — მინაწერი მინდა დავურთო ანდერძს!

კასპერმა ხელახლა აიღო კალამი და კაპიტნის თხოვნის შესასრულებლად მოემზადა, მაგრამ კაპიტანი დუმდა. მისკენ დახრილი მღვდელი კი წამდაუწუმ უმშრალებდა ცივად დაცვარულ შუბლს.

— თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ანდერძი კარდინალ მაძინთან ვერ მიაღწევს, — ძლივს გასაგონად დაიწყო აღმსარებელმა, — და თუ აქ დამსწრე ოთხ მოწმეთაგან რომელიმე ცოცხალი გადარჩა, მაშინ... — კაპიტანი ზიტო დადუმდა.

კალამმარჯვებული კასპერი გაირინდა მოლოდინში, მაგრამ იმ ღამეს ზორზიო ზიტოს ხმა აღარ ამოუღია.

— მივხვდი, რაც უნდა ეთქვა, — თქვა ბოლოს კასპერმა, — დავამთავრო? — და ჭაბუკმა იქ მყოფთ თვალი მოავლო.

ყველამ უხმოდ დაუქნია თავი. კასპერმა დაასრულა ანდერძი: „ფიცი დადოს, რომ მივა კარდინალთან და ფიცითვე ამცნობს ჩემს უკანასკნელ სურვილს“.

კასპერმა ხმამაღლა წაიკითხა მინაწერი, კაპიტანს გაციებულ მარჯვენაში ჩაუდო კალამი და ხელი მოაწერინა. შემდეგ დანარჩენებმაც დაადასტურეს ანდერძი.

კაპიტანი ზორზიო ზიტო გათენებისას გარდაიცვალა. დაკრძალვა ზღვის კანონების შესაფერისად მოხდა. მამა ლუკამ მიცვალებულის კუბოსთან სიტყვა წარმოთქვა, თუმცა, სად იყო კუბო. შემდეგ სულის მოსახსენიებელი წირვა გადაიხადეს, საუკეთესოდ შემოსილი კაპიტნის გვამი აფრის ნაჭერში ამოკერეს, ფეხებზე ტვირთი მოაბეს და ნელ-ნელა ჩაუშვეს ზღვაში. დამსწრეთაგან ცოტა თუ აღმოჩნდა ისეთი, თვალზე მომდგარი ცრემლი არ მოეწმინდოს.

თერთმეტი დღის შემდეგ მრავალ გაჭირვებაგამოვლილი „ლუჩია“ როგორც იყო, ოქროს რქის ყურეს მიადგა. მთელს ეკიპაჟს თვალწინ გადაეშალა ბორცვებზე შეფენილი ხალხმრავალი, ხმაურიანი კონსტანტინოპოლი.

კასპერი მეტისმეტად გააკვირვა იმ ამბავმა, რომ კაპიტნის დაკრძალვის მეორე დღესვე პაოლო როტამ, მართლაც, გაიხადა თავისი საგარეო ტანისამოსი, სხვების თანაბრად მუშაობდა და სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა გუსტავ კნებელის ბრძანებებს. კაპიტანმა გემის უფროსობა ბოცმანს რომ ჩააბარა, მამა ლუკამ ამცნო ყველას.

როტა ხვდებოდა თავისი ბედის სხვაგვარად შეტრიალებას, თუ სიძის სიკვდილმა მოაქცია უკეთესობისაკენ, კასპერი ვერ მიმხვდარიყო, თუმცა, მართალი რომ ითქვას, ბევრს არც ფიქრობდა ამაზე.

სამი დღე-ღამე მოუნდა გემის გადმოტვირთვას, მაგრამ კასპერი პირველსავე დღეს გაეშურა კარდინალ მაძინის მიერ მინიშნებული მისამართით იმ სახლის მოსაძებნად, სადაც რჯულგამოცვლილი კალაბრიელი ცხოვრობდა.

კასპერმა არ იცოდა იმ კაცის სახელი. კითხვა კარდინალმა აუკრძალა, მაგრამ სახლის გარეგნული ნიშნები ისეთ წვრილმანებამდე აუწერა, ჭაბუკმა მაშინვე იცნო შესასვლელის დახვეული სვეტებიც, მოოქრული სახურავიცა და აივანზე შეშვებული გლიცინიას ლილისფერი მტევნებიც.

კასპერი გალატაში[1] წინასწარ დასაზვერად წავიდა, ამიტომ საბუთები თან არ წაუღია, მეორე დღეს კი მან და ვუეკმა დალამებას

[1] გალატა — კონსტანტინეპოლის საქმიანი უბანი.

დაუცადეს, წაიღეს წერილებიცა და მინდობილობებიც, აგრეთვე მაძინის გამოტანებული თამასუქიც და ვარმიის ეპისკოპოსის დავალების შესასრულებლად წავიდნენ. კარდინალის ბრძანებისამებრ ორივენი თურქულად იყვნენ ჩაცმულები.

სახლის ირგვლივ შემოვლებულ მაღალ კედელს რომ მიადგნენ, როგორც დათქმული იყო, კასპერმა პატარა კარზე ორჯერ მოკლედ, მოწყვეტით მიაკაკუნა, შემდეგ — სამჯერ გრძელი პაუზებით. შიგნიდან ხმაური გაისმა, ვიღაცა კართან მივიდა.

— ალაჰის სახელით, ვინ აკაკუნებს? — იკითხეს თურქულად.

პან კონოპკა წინ წადგა.

— მეგობრობა და თავაზი! — უპასუხა თურქულადვე.

კარი უხმაუროდ გაიღო და ორივენი ჩრდილოვან ბაღში შევიდნენ. კასპერი და ვუეკი თითქმის სიბნელეში მიჰყვებოდნენ წინ მიმავალი გამყოლის ძლივს გასარჩევ სილუეტს. ხმის ამოუღებლად მიადგნენ მდიდრული მარმარილოს პორტიკს, აიარეს კიბეები და უზარმაზარ, ნოხებით მოფენილ ოთახში აღმოჩნდნენ. ბინდბუნდში თავიდან ვერც კი შეამჩნიეს განიერ ტახტზე მჯდომი კაცი. მერეღა, როცა მიმჭრალ შუქს თვალი შეეჩვია, კასპერმა დაინახა, რომ იმ კაცს თვალებთან აწოჭრილი პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული. პოლონელების მისალმებაზე კაცი წამოდგა და მდაბლად დაუკრა თავი.

— მიხარია თქვენი ხილვა, სინიორებო, — თქვა იტალიურად, — ვიმედოვნებ, მომიტევებთ ამ მასკარადს? დაბრძანდით, გთხოვთ. აი, ის წერილი, თქვენს ნაცნობ პირებს რომ აინტერესებს. მიიტანეთ სანათთან და დარწმუნდებით, სწორედ ის საბუთია, რომლისთვისაც მოსულხართ.

კასპერს გული ძალუმად უცემდა. დაუდგა დიდი ხნის ნანატრი წუთები.

ჰაბუკმა სწრაფად გაშალა გრაგნილი და ყურადღებით წაიკითხა პატარა ზეთის სანათის მკრთალ შუქზე. კასპერს მაშინვე თვალში ეცა ქაღალდის თავში დასმული ტევტონთა ორდენის ვეება გერბი, ბოლოში კი — ორდენის მაგისტრის, ალბრეხტის თავისებური ხელმოწერა, დამოწმებული იგივე გერბიანი ბეჭდით. ლუკამ ვაცენროდის კარზე ყოფნისას კასპრეს არაერთხელ უნახავს ბეჭედიცა და მაგისტრის ხელმოწერაც. წერილი ლათინურ ენაზე იყო შედგენილი — ალბრეხტი თავისი დროის მიხდვით განათლებულ კაცად ითვლებოდა. მაგისტრი ამ წერილს თურქეთის სულთანს უგზავნიდა.

— თქვენთვის პირობები ცნობილია? — იკითხა უცნობმა.

კასპერმა ქაღალდი აჩქარებით გადასცა ვუეკს და უბიდან სამი ათასი დუკატის თამასუქი ამოიღო, რომელსაც წმინდა გიორგის გენუის ბანკი თავის კონსტანტინეპოლელ წარმომადგენელს უგზავნიდა.

უცნობმა სწრაფად გადაჰკრა თვალი საბანკო ვალდებულებას და უბეში შეინახა.

— სიამოვნებით გაგეცნობოდით უფრო ახლოს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მეტისმეტად მნიშვნელოვანი მიზეზები მაიძულებენ, საუბარი დავამთავრო, — თქვა უცნობმა თავაზით. — წარმატებას და სამშობლოში მშვიდობიან დაბრუნებას გისურვებთ, სინიორებო.

კასპერი წამოდგა. ორივემ, კასპერმაც და ვუეკმაც, თავი დაუკრეს და ისე მოაჩვენეს, თითქოს ვერ ამჩნევდნენ მათკენ გაწვდილ ხელს. იმავე უტყვი გამყოლის თანხლებით გამოსწიეს გასასვლელისკენ. იქ მეკარემ სათითაო ჩირაღდანი გადასცა: ქალაქს შავი, ხავერდოვანი ღამე დასწოლოდა უკვე და იქაური წესის თანახმად, ყოველ გამვლელს ან ჩირაღდანი უნდა სჭეროდა ხელში ან ფარანი ანდა ხმამაღლა ემღერა, რომ წინ შემხვედრს არ დასჯახებოდა.

სანამ ჩვენი მგზავრები პორტში მივიდოდნენ, ჩირაღდნები დაიწვა. იმ სიბნელეში „ლუჩიას“ გვერდით უზარმაზარ, ეტყობა, სულ ახლახან ჩამომდგარ გემს გაკვირვებით დააკვირდა ვუეკი და კმაყოფილმა ენა გააწკლაპუნა:

— ნამდვილად ეგ შენი „წმინდა ბენედიქტია“, არა, კასიო? ჩვენზე ერთი დღე-ღამით ადრე გამოვიღნენ და, ხედავ, ერთი დღე-ღამით გვიან მოსულან... ალბათ ეგენიც ქარიშხალში მოხვდნენ... ეხლა კი, ღმერთის ნებით, შეხვდები შენს ქომაგ ფონ ელსტერს. რას იშმუხნები, კი არ გაძალებ... კარგი, კარგი, ნახავ თუ არა, შენი ნებაა. ჩვენ კი დავამთავრებთ თუ არა დატვირთვასა და რემონტს, უკანვე დავიძვრებით!.. ოჰ, როგორ დამავიწყდა! — უცებ შუბლში ხელი შემოირტყა ბოცმანმა. — კარდინალის ძმისწულმა, სინიორინა ბეატრიჩემ მთხოვა, სტამბოლიდან თუნდაც სულ პაწაწინა ბოთლით ვარდის ზეთი ჩამომიტანეო. აქ კი ხედავ, სულთანს სასტიკი ბრძანება გაუცია და თურქეთიდან ნელსაცხებლის გატანა კი არა, დედაქალაქზე გატარებაც აუკრძალავს!

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხნის შებინდებული იყო, „სანტა ლუჩიას“ მთელი ეკიპაჟი მეტისმეტად აფორიაქებული დახვდათ, მოხუცებს ერთმანეთისაგან ძლიერძლიერობით გაეშველებინათ პაოლო როტა და მარიო სკამპიონი. რაზე დაიწყეს დავა, წესიერად არავინ იცოდა, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ გაბოროტებულ მარიოს წამოეროტა გარდაცვლილი კაპიტნის ანდერძის ამბავი.

— აღარ გიწერია ჩვენს ლამაზ „ლუჩიაზე“ ყოფნა! — ღრიალებდა მარიო და თან სისხლს აფურთხებდა. — აღარც ვენეციაში დაგედგომება! წადი, შორეულ ქვეყანაში გადაიკარგე და ვაჭრობა დაიწყე, თუ

არადა მონასტერს მიუტანე დიდი შესაწირი, რომ წმინდა მამებმა შენი ცოდვებისათვის ილოცონ!

„ეჰ, მარიო, მარიო, ჩემო ძმობილო, ეს რა წამოგიროშავს?“

ამხანაგების ვახტზე შესაცველელად ღამიანად ამდგარი კასპერი დიდხანს გაჰყურებდა მძინარე ქალაქის თავზე გადაკამარებულ მუქ ხავერდოვან ცას.

„მასწავლებელი აქედან უნდა აკვირდებოდეს მნათობებს! — გაიფიქრა კასპერმა, თან უბეში ჩადებული წერილი მოისინჯა და საცოდავი ზორზიო ზიტოს სიკვდილის შემდეგ პირველად გაიღიმა: — კარგია, რომ მოგვარდა ყოველივე! უკან, ღმერთის ნებით, დაუბრკოლებლივ დავბრუნდებით. ვუეკი უკვე კარგად გაეცნო კარაველას, კომანდას მიეჩვია; ნატროსებმაც, ჩანს, შეიყვარეს ბოცმანი“.

— გასპარე! — მოულოდნელად ვიღაცის ჩახლეჩილი ხმა გაისმა სიბნელიდან. — გასპარე!

კასპერმა ძლივს იცნო პაოლო როტა, მატროსი მთლად დარეგვილ-დალილავებული იყო.

— რა გინდა, პაოლო? — იკითხა ჭაბუკმა, თან ცდილობდა, ამ ჩხუბისთავის დასიებულ-დალურჯებული თავ-პირის დანახვით შეღიტინებული სიხარული დაეფარა.

— გასპარე, მართალია, რაც იმ გენუელმა წამოროშა? ზორზიომ მართლა გამომტოვა ანდერძში?

— ღმერთმა მოგხედა, პაოლო! — სიტყვა შეაგება კასპერმა. — კაპიტანმა ქვეყნის ქონება დაგიტოვა! მთელი სიცოცხლე თითიც რომ არ გაანძრიო, მაინც უზრუნველად იცხოვრებ იმ ფულით!

— მე არ მინდა არაფრის კეთება! — დაიღრიალა როტამ. — მე „სანტა ლუჩიას“ კომანდობა მინდა! ზორზიომ ბიანკას სიტყვა მისცა, რომ კარაველას მე დამიტოვებდა!

— მან დაწერა კიდევაც ანდერძი, რომლითაც „სანტა ლუჩია“ შენს საკუთრებად გადმოვიდოდა... მაგრამ, პაოლო, შენ თვითონ თქვი, განა შეგიძლია ასეთი გემის კომანდობა? კაპიტანმა გადაიფიქრა და მეორე ანდერძი შეადგინა.

— ანდერძი შენა გაქვს, გასპარე? — ჩუმად იკითხა როტამ. — გასპარე. მთელი ჩემი სიცოცხლე შენი მლოცველი ვიქნები... გასპარე დახიე, მოსპე ანდერძი!

— ბავშვივით ლაპარაკობ! — გაბრაზდა კასპერი. — მღვდლის, მაშა ლუკას გარდა ანდერძის შედგენას კიდევ სამი კაცი ესწრებოდა. ეგეც არ იყოს, კაპიტანმა განმარტებაში დაურთო, რაიმე მიზეზის გამო თუ ანდერძი მაძინთან ვერ მიაღწევს, მაშინ, ჩვენ ოთხიდან რომელიც ცოცხალი დარჩება, კარდინალთან უნდა მივიდეს და ფიცით დაადასტუროს კაპიტნის უკანასკნელი ნება.

— ანდერძი შენა გაქვს? — ისეთი ხმით ჰკითხა როტამ, კასპერმა ინანა, სხვა მატროსებივით სარტყელში მეც დანა ან პისტოლეტი რატომ არ მიდევსო.

„რა ვუპასუხო? ვუთხრა, ანდერძი მამა ლუკასთანაა-მეთქი, მაგრამ მღვდელი მოხუცი და უძლურია, როტა კი ყველაფერს იკადრებს“.

— მე მაქვს, — მიუგო კასპერმა მტკიცედ. — ახლა კუბრიკში წადი და გამოიძინე! იმხელას ღრიალებ, მარტო ჩვენს გემზე კი არა, შეზობელ გემზეც გააღვიძებ მთელს ეკიპაჟს.

„წმინდა ბენედიქტი“, „ლუჩიას“ გვერდით იდგა. მისმა გემბანმა, მართლაც, გამოცოცხლება იწყო, აქა-იქ ფარნის შუქმაც გაიელვა. სულ ახლოს პირდაპირ ქიმზე ვიღაცის გადმოკიდებული შავი ფიგურაც კი გაარჩია კასპერმა.

— უკანასკნელად გეუდრები, გასპარე ბერნატ, — ცრემლნარევი ხმით მიმართა როტამ, — მომეცი ანდერძი... ჩემი დის, ბიანკას ხათრით, რომელმაც თავისიანივით მიგიღო.

„სწორედ ბიანკას ხათრით არ გავაკეთებ მაგას,“ — გაიფიქრა კასპერმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

— მომეცი ანდერძი, წყეულო პოლონელო! — უცებ იღრიალა როტამ. — ანდერძის ამბავი ოთხმა ვიცითო, ამბობ, არა? მაშ, გეუბნები, მაგ ოთხიდან ერთიც ვეღარ მიაღწევთ ვენეციამდე!

— რაო, „სანტა ლუჩიას“ ძირის გახვრეტას უპირებ? — ზიზღით ჰკითხა კასპერმა. — მაშინ ხომ შენც ჩვენთან ერთად დაიხრჩობი! თუმცა, — უცებ მოაგონდა კასპერს, — სანამ მე „ლუჩიაზე“ ვარ, ცუდს ვერაფერს ჩაიდენ. ღვთის მშობლის წინაშე გაქვს დაფიცებული, რომ ჩემი სიცოცხლე შენთვის წმინდა და ხელშეუხებელია. წადი, გამოიძინე, გეტყობა, კონსტანტინოპოლში ჩამოსვლის აღსანიშნავად ზედმეტი გადაჰკარი... სხვათა შორის, პაოლო, — შემრიგებლურად დაურთო კასპერმა. — შენ არ უნდა სვამდე. მთვრალი ან ჩხუბს ატეხ, ანდა, ახლანდელივით, რაღაც არასაბირს აიხირებ ხოლმე... უმჯობესია, შენს სათნო დაზე, სინიორა ბიანკაზე იფიქრო, მის განუგეშებაზე... შენ ახლა უკვე მდიდარი კაცი ხარ, პაოლო, დროთა განმავლობაში პატარა ნავს შეიძენ, შემდეგ კი, ვინ იცის, გამოცდილებაც დააგროვო და ჩინებული კაპიტანიც დადგე... მე ბევრი ვის წავლე და ვიცურე მამაჩემთან. მაგრამ ფიქრადაც არ მოშივა ისეთი გემის კაპიტნობა, როგორიც „სანტა ლუჩიაა!“ თან ბიჭებსაც არ უყვარხარ, პაოლო, შენც კარგად იცი ეს!

— მომეცი ანდერძი! — ამოიხავლა როტამ.

კასპერმა მხრები აიჩეჩა და ზურგი აქცია.

შეხვდნენ — ღმერთის შეწევნით

თუმცა ბოცმანი იაკუბ კონოპკა მთელი ხუთი წელი აღარ ყოფილა სტამბოლში, მაგრამ მაინც მართალი გამოდგა: იქ ჩასული უცხოელები სპირიდონ აკრიტის ყავახანაში იყრიდნენ თავს. მთელს ქალაქში ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ღორის ხორცის ჭამა და ღვინის დალევა შეიძლებოდა.

ახლაც „სანტა ლუჩიას“ თითქმის მთელ შემადგენლობას იქ მოეყარა თავი გარდაცვლილი კაპიტნის აღაპის გასამართავად. კარაველაზე მორიგეები და გემის შემკეთებლებიღა დარჩნენ. საერთოდ, ცურვის დამთავრებამდე ყველა ერიდება ხოლმე, მატროსებს კუთვნილი ფული დაურიგოს, მაგრამ ზიტომ იცოდა, თურქეთში არავინ დარჩებოდა, თანაც თავის ხალხს უკვე საკმაოდ იცნობდა, ამიტომ კონსტანტინეპოლში ჩასვლამდე კარგა ხნით ადრე ბოცმან გუსტავ კნებელს უბრძანა, ეკიპაჟს ხელფასის ნაწილი მიეცით.

პაოლო როტაც მიუჯდა ერთ მაგიდას, მაგრამ ოთხმა მეზღვაურმა, მოლაპარაკებულივით, ზურგი აქციეს, შემდეგ კი რაღაც მოიმიზეზეს და გვერდითა მაგიდაზე გადასხდნენ.

კასპერმა დაინახა მარტოდ მჯდომი როტა. შეეცოდა სინიორა ბიანკას ძმა, მაგრამ „ლუჩიაზე“ ეჩქარებოდა და ვეღარ მივიდა მასთან. იმ დღეს გემზე მორიგეებად ბოცმანი და სამი მოხუცი დარჩნენ, მეორე დღეს კი ისინი კასპერ ბერნატს უნდა შეეცვალა.

თანდათანობით ყავახანა სხვა მეზღვაურებმაც მიატოვეს.

ყავახანის პატრონმა უკვე მერამდენედ ჰკითხა თავაზით მარტოდ დარჩენილ მუშტარს, ბატონი მატროსი რამე მისატანებელს ხომ ინებებსო, მაგრამ როტა მხოლოდ ტკბილით შეზავებულ ბერძნულ არაყს თხოულობდა.

ბინდი წვებოდა. სპირიდონ აკრიტმა უკვე ფარანი მოამზადა მთვრალი სტუმრის სანაპირომდე მისაცილებლად, რომ ყავახანის ერთადერთ დაკავებულ მაგიდასთან კიდევ დაჯდა ახალი მუშტარი. პაოლო როტამ მიბლეტილი თვალებით შეხედა მოსულს და ისევ ჩაჰკიდა თავი.

— სინიორ მატროსი ვერა მცნობს? — თავაზით იკითხა მდიდრულმოსასხამიანმა შავწვერა მამაკაცმა.

მატროსმა რაღაც გინება წაიბლუკუნა.

— ”იმედია, სინიორი ჩემზე კი არა, პოლონელ კასპერ ბერნატზეა გაჯავრებული! — განაგრძობდა შავწვერა კაცი.

როტა უცებ გამოფხიზლდა.

— საიდან იცნობთ კასპერ ბერნატს? — იკითხა და დაკვირვებით შეათვალიერა უცნობი. — ვინა ხართ?

— რაკი სინიორი ვერა მცნობს, მე თვითონ გამოვუტყდები: მე ვიყავი, რომში სამიკიტნოსთან ჩხუბში კასპერ ბერნატს რომ დავეხმარე.

— თქვენ მეგობარი ხართ კასპერ ბერნატისა? — მუქარით ჰკითხა მატროსმა.

— არ, მტერი ვარ კასპერ ბერნატისა. მეტიც: წუხელის „წმინდა ბენედიქტის" გემბანზე ვიყავი და თქვენი საუბარი მოვისმინე. მე შემიძლია და მინდა თქვენი დახმარება... კიანტი[1], — გასძახა მან ყავახანის პატრონს, — ახლა მე და თქვენ მოვილაპარაკებთ, — დაასრულა მან და მეზღვაურს ჭიქა გაუვსო.

— ისედაც მთვრალი ვარ, — წაიბურდღუნა როტამ. — თქვენ მართლა შეგიძლიათ დამეხმაროთ? — იკითხა და ჭიქა ხელის კანკალით მიიტანა პირთან. — თქვენ გაგიმარჯოთ სინიორ... სინიორ...

— ფონ ელსტერი... რაინდი ფონ ელსტერი, — უკარნახა შავწვერა კაცმა. — მაშ, ჩვენ, ორივეს, ერთი მტერი გვყავს და უნდა გავერთიანდეთ მის წინააღმდეგ. განა ორი ჩვენისთანა ბრგე ვაჟკაცი ვერ მოერევა იმ პოლონელ ლაწირაკს? მერე მისი გვამი კონსტანტინეპოლის კიბორჩხალებს ჩაეუგდოთ საჯიჯგნად.

— ღმერთმა იცის, სინიორ რაინდო, როგორ მინდა მისი სიკვდილი! მან მარტო იქ, რომში კი არ მომაყენა შეურაცხყოფა, აქაც, გემზე, მთელი ეკიპაჟი მომისია, გემის კაპიტანი, ჩემი სიძეც ამიმხედრა... — როტა ოდნავ შეყოვნდა, — მაგრამ მე მის სიკვდილს ვერც ვინატრებ, ღვთისმშობლის წინაშე მაქვს დაფიცებული, მისი სიცოცხლე ჩემთვის წმინდა და ხელშეუხებელი იქნება-მეთქი.

— ჰო, გავიგონე, რასაც გეუბედებოდა ის ძაღლის ლეკვი, — ზიზღით ჩაურთო რაინდმა, — მაგრამ ისეც მომხდარა, რომ მის უწმინდესობა პაპს უფრო უარესი ფიცი აუხსნია მორწმუნეთაგან.

— მე ვენეციელი ვარ და მატროსი, თქვენო მოწყალებავ, — გააწყვეტინა როტამ, — ჩემს ფიცს თვით უფალი ღმერთიც ვერ ამხსნის. მე ღვთისმშობლის წინაშე, მეზღვაურთა ქომაგისა და მფარველის წინაშე მაქვს ფიცი დადებული!

რაინდი ფონ ელსტერი დუმდა. მერე უცებ მაგიდას დაჰკრა ხელი და წამოიძახა:

— თანახმა ვარ! მასე იყოს: ნახევარი საათის წინ ერთ თურქ ვაჭარს ველაპარაკე... მშვენიერად ეწყობა საქმე... კარგი, მე მოგაშორებ იმ პოლონელ ლაწირაკს ისე, რომ მისი სიცოცხლე წმიდა და

---

[1] კიანტი — იტალიური ღვინო.

ხელშეუხებელი დარჩეს, იცოცხლებს, გესმის? მხოლოდ იცოცხლებს და მეტი არაფერი.

— მე მეტი მინდა, — წაიბურდღუნა როტამ, — მე ერთი ქაღალდის წართმევაც მინდა...

— ოჰო! თითქოს და მოლაპარაკებულნი ვიყოთ. მეც მინდა ერთი ქაღალდის წართმევა...

— იმ ქაღალდს რაიმე კავშირი აქვს კაპიტნის ანდერძთან? — იკითხა შემკრთალმა მატროსმა.

პასუხის ნაცვლად რაინდმა მხიარულად დაჰკრა მხარზე ხელი. „ეშმაკმა დალახვროს, — გაიფიქრა გახარებულმა, — მაგისტრის წერილით იქნება იმდენი ფული ვიშოვო, ვალის ნახევარი გაეისტუმრო! ცოტაოდენი ალბათ ამ ბრიყვსაც უნდა ჩავუჯიბო, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი კარგად ეწყობა... თუმცა, თავსდამტყდარმა ქარიშხალმა შეგვაყოვნა და „წმინდა ბენედიქტი“ იტალიელებზე გვიან ჩამოვიდა. დაგვასწრო იმ ლაწირაკმა და რენეგატ ჯულიოს მაგისტრის წერილი გამოართვა. ეჰ, იმდენი არ უნდა ევაჭრა მაგისტრს! თუმცა, პოლონელის ჰონორმა ცუდი საქმე დამართა კასპერ ბერნატს: არ მოისურვა, გამომშვიდობებისას ხელი ჩამოერთმია ჯულიოსათვის! რენეგატი ახლა ცოფებს ჰყრის: არც ორდენი გადაუხდიდა ნაკლებ თანხას, ფანაც ორდენის მოციქულმა, რაინდმა, თვით დიდი მაგისტრის ნათესავმა, არა თუ ხელი ჩამოართვა, გამოთხოვებისას ემთხვია კიდევაც ზედ. მართალია, მას შემდეგ ემთხვია, როცა ჯულიომ მიახვედრა ფონ ელსტერი, რა გზით მოეგდო ის წერილი ხელთ და ამ საქმისათვის ორდენისაგან ასიგნებული ის ექვსი ათასი დუკატიც როგორ მიესაკუთრებინა“.

ყავახანის პატრონი ორჯერ გამოვიდა ანთებული ფარნით, მაგრამ მის ორ დაგვიანებულ მუშტარს კვლავ თავი თავს მიედო და რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.

ბოლოს და ბოლოს მუშტრები მაგიდიდან რომ ადგნენ, სპირიდონ აკრიტმა ფარანი ჩააქრო: მის სტუმრებს იგი აღარაფერში დასჭირდებოდა. კონსტანტინოპოლის გუმბათებს, კოშკებსა და მინარეთებს უკვე ალისფერი აისი დასდგომოდა თავს.

ამ ალისფერ აისს კასპერ ბერნატი კაპიტნის ბოგურიდან შეჰყურებდა. სამორიგეოდ ემზადებოდა ჭაბუკი და იმ დილას ადრიანად ადგა, რომ ბოცმან გუსტავ კნებელს ორივესათვის ყველა საჭირბოროტო საკითხზე მოლაპარაკებოდა. მართალია, ვარმიის მეუფისა და კანონიკი მიკოლაი კოპერნიკის დავალება შესრულებული იყო: მოპოვებული წერილი მათს კაიუტაში ვუეკის მიერ შემთხვევით აღ-

მოჩენილ სამალავში ინახებოდა და, იქნებ შიშიც აღარაფრის უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა.

სადაფისფერი, დაფიონის ალდაკრული ზღვის გლუვი, უნაოჭო სივრცე გადაჭიმულიყო კასპერის ფეხთა ქვეშ. ქარს სანაპიროდან ლიმონისა და დაფნის ხეივნების სურნელი მოჰქონდა. რაიმე საწყენსა და ხიფათზე ფიქრიც კი უსიამო იყო, მაგრამ, მაინც, საქმე იყო, უპირველეს ყოვლისა, მისახედი.

— კასიო, ყველანი მოკვდავნი ვართ, — ამბობდა პან კონოპკა, — აქ, ამ თბილ ქვეყნებში ხალხი ციებით, ქოლერითა და შავი ჭირით უფრო მეტად იხოცება ბუზივით, ვიდრე ჩვენს სამშობლოში, ამიტომ დაუფარავად ვთქვათ ყველაფერი. მე ხშირად მიხდება ამ ხალხში სიარული, აი, დღესაც, პერაში ერთი ნაცნობი ვაჭარი მყავს სანახავი: სინიორინა ბეატრიჩეს თხოვნა უნდა შევუსრულო! მე კონოპკა არ ვიქნები, თუ ერთი ციცქნელა ბოთლით მაინც არ ვუშოვი ვარდის ზეთს... ჰოდა, იმ შემთხვევისათვის თუ რაღაცას გადავეყარე, როგორღაც დავჩხაპნე მინდობილობა, რომლითაც აქ ბოცმანის ხელფასს აიღებ ჩემსას, ვენეციაში კი იმ თანხას, რაც კაპიტნის ანდერძით მერგება. მთელი ეს ფული არა თუ ვენეციაში და რომში, ვარმიაშიც ჩაგიყვანს. რომში კარდინალს ეტყვი, კასიო, ჩვენი მოგზაურობის შედეგს და თან სინიორინასაც გადასცემ ვარდის ზეთს...

— რა დაგემართა, ვუეკ? ღმერთმანი, დედაბერივით აჰყოლიხარ რაღაც წინასწარგრძნობებს! — გაიოცა კასპერმა. — მაინც რატომ უნდა ჩავიდე ვენეციაში ან რომში მარტო? ახლავე დახიე ეგ შენი მინდობილობა! ვარდის ზეთს სინიორინა ბეატრიჩეს სიამოვნებით მივართმევ, მაგრამ რომშიცა და ვენეციაშიც ერთად ჩავალთ. ნურც იმის იმედი გექნება, ფულით მომისყიდო: სულ ერთია, მაინც არ დაგივიწყებ თოკით ცემას! — და კასპერმა, როგორც ბავშვობისას იცოდა, პან კონოპკას ლოყაზე ცხვირი გაუხახუნა.

— არ დამივიწყებ? ძალიანაც კარგი! — მშვიდად უთხრა ბოცმანმა. — ის თოკი სწორედ დასამახსოვრებლად შემოგკარი! არცროგორი დარიგება ისე არ გამახსოვრდება, როგორც მოქნეული თოკის სიმწარე. მე ეს ჩემს თავზე გამომიცდია...

კასპერი ცოტაოდნავ სხვა აზრის იყო, მაგრამ აღარ შეპასუხებია თავის ძველ მეგობარს და სიყვარულით შეჰყურებდა ცურვის დროს სიგამხდრისაგან ჩამოგრძელებულ სახეში.

— ისე, ანდერძით (საწყალი ჩვენი კაპიტანი!) და კარაველაზე სამსახურით მეც კარგა ბლომა ფულს მივიღებ... შენი მინდობილობის გარეშეც შეძლებული კაცი გავხდები. ჰოდა, დროა, ოჯახზე ვიფიქ-

---

[1] პერა — კონსტანტინეპოლის უბანი.

რო... როგორ ფიქრობ, მამა მიკოლაის ვთხოვო, რომ ჩემ მაგივრად ორიოდე სიტყვა უთხრას...

— ...მიტას მამას? — დაასრულა პან კონოპკამ მისი აზრი. — რა გითხრა, კარგად მოგიფიქრებია! პროფესორს არ უყვარს კანონიკი, მაგრამ მამა მიკოლაი თუ მაჭანკლად დაგიდგება, არა მგონია, ლანგემ უარით გამოაბრუნოს ვარმიის მეუფის ძმისწული...

კასპერი დუმდა. მას უკვე გული მოსდიოდა, რომ ეს საუბარი წამოიწყო. ყველაზე მახლობელ ადამიანსაც არ უნდა გაუმხილო შენი ყველაზე ფარული ფიქრები... მხოლოდ ღამით... შენს თავთან განმარტოებისას...

— აგერ, დავბრუნდებით, კასიო, სამშობლოში, შენ ცოლს შეირთავ, ვიყიდით სახლს, ჩემი პანი იაკუბოვა იდიასახლისებს და ვიცხოვრებთ გემოზე! — დიდის ამბით თქვა ბოცმანმა და საჩვენებელი და ნეკი თითებით ჯეტატურა[1] აჩვენა.

„ამას პოლონური ცრურწმენისათვის იტალიურიც მიუმატებია!" — გუნებაში გაეცინა კასპერს, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

— ძალიან მაწუხებს, კასიო, რომ შენა და როტა მაინც ვერ შეეწყვეთ ერთმანეთს, — განაგრძობდა ბოცმანი, — დაიმახსოვრე, ძმობილო, ცოტა რბილად მოექეცი. ოჰ, მეტისმეტად ფიცხი ხალხია ეს იტალიელები! ნამდვილ პოლონელებს ჰგვანან, რას იზამ! ან იქნებ, არც ეგეთი ცუდი კაცია როტა? გაცხარდება, ატეხავს აყალმაყალს და ბოლოს თვითონვე ნანობს... ჰა?

— შეიძლება, — დაუდასტურა კასპერმა.

როტასგან მიყენებულ წყენას გაევლო კასპერისათვის და ახლა ეცოდებოდა კიდევაც ეს ჩხუბისთავი, ყველასაგან ამობუებული მარტოდ რომ დაყიალობდა გემზე. თუმცა, ასე ადრიანად როტაზე სასაუბროდ არ ასულა კასპერი კაპიტნის ბოგურაზე.

— ვუეკ, ყურადღებით მისმინე და, გთხოვ, ბოლომდე არ გამაწყვეტინო. არ იფიქრო, თითქოს შენგან გადმომედო შენს ან ჩემს სიცოცხლეზე შიში. ჩვენი საქმე სამართლიანია, ამიტომაც უფალი ღმერთიცა და წმიდა ქალწულიც დაგვიცავს მომავალ მგზავრობაში. მჯერა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. მაინც, ვუეკ, როტასა და ვარდის ზეთზე საუბრის დრო არ არის ახლა. საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ: ჩვენი სამშობლოს, პოლონეთის ბედი თუ უბედობა ხომ იმაზეა დამოკიდებული, მე და შენ დავალებას თავს გავართმევთ თუ არა.

---

[1] ჯეტატურა — საჩვენებელი და ნეკი თითების წინ გამოშვერა, თითქოსდა უწმინდურის გასადევნად, თვალის ცემის ასაცილებლად და სხვა...

კასპერი გაჩუმდა. პან იაკუბ კონოპკა შეშფოთებული შეჰყურებდა სახეში თავის საყვარელ ბიჭს.

„თავის მიტაზე წუხს, ნამდვილად!“ — დაასკვნა ბოცმანმა.

— შეხვდებით ერთმანეთს და, ჩემი ფიქრით, ძალიანაც ჩქარა, — უთხრა ბოცმანმა, მაგრამ სწორი წარბებქვეშიდან ისე მკაცრად გამოჰყურებდა ცისფერი თვალები, რომ პან კონოპკა შეიშმუშნა და რალაცნაირი მოკრძალებით დაასრულა: — გისმენ, თქვი, კასპერ.

— ჩვენი საქმე, შეიძლება ითქვას, წარმატებით დავასრულეთ, — ამბობდა ჭაბუკი, — მე მწამს, რომ ამ წერილს მშვიდობით ჩავიტანთ ვარმიაში. მაგრამ, ვუეკ, შემომფიცე, თუ არ მიწერია ის ბედნიერება, მამა მიკოლაის ჩემი ხელით ჩავაბარო მაგისტრის წერილი, ამას ჩემ მაგივრად შენ თვითონ გააკეთებ. გამიგე და შემომფიცე, რომ ასე მოიქცევი; გადადებ ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვას, თუ ვთქვათ, ციებამ ლოგინად ჩამაგდო, ჩემს სიცოცხლეზე ზრუნვას მაშინაც გადადებ, თუ საფრთხე რამ დამემუქრა საიდანმე...

ბოცმანმა პროტესტის ნიშნად ხელის აწევა დააპირა, მაგრამ კასპერმა ძალით დააშვებინა ძირს და ლამის შეეეედრა:

— შემომფიცე!

— მე ერთხელ უკვე შევფიცე კანონიკ კოპერნიკს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა კონოპკამ, — შენ რაღა შემოგფიცო?

კასპერი სულ ახლოს მივიდა ბოცმანთან და ორივე ხელი ჩასჭიდა ხელში. ჭაბუკს უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ ერთხელ მაინც, როდისმე ხომ უნდა ეთქვა ის, რაც გულში ედო!

— ვუეკ, ჩემო ვუეკ, — ისეთი სინაზით წარმოთქვა კასპერმა, კონოპკა კვლავ ფორიაქმა მოიცვა. — მე არაფერი, არაფერი არ დამვიწყებია! მამაჩემის სიკვდილის ამბავი რომ მოგვივიდა, შენ სამი დღეღამე ტიროდი ჩემთან ერთად სხვენში შეყუჟული. მერე, მისი ცხედარი იმ საშინელი შეჭედილი კუბოთი რომ მოასვენეს, შენ ითავე ყველაფრის გაძღოლა ჩვენს ოჯახში, რადგანაც მე და დედა მწუხარებისგან გათანგულები ვიყავით... მერე, ორი წლის შემდეგ, როცა მეგონა, ვერ გადავიტანდი იმ უბედურებას (იმაზე ვამბობ, დედაჩემი რომ გამომიტყუა, კაპიტან კუჩინსკის ცოლად მივყვებიო), შენ ერთადერთი მაძლევდი ნუგეშს, მამხნევებდი, არ მაძლევდი გასაქანს, ჩემი თავისთვის ცუდი რამ ამეტეხა... ის, რომ ყოველ წუთს მზადა ხარ, შენი ბედნიერება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე სამშობლოს, მოვალეობას შესწირო, მამაჩემმაც იცოდა და ახლა მეც კარგად ვიცი... მაგრამ, ვუეკ... — კასპერს ენა დაება და გადაფითრებულ სახეზე ფორეჯები დაასხდა. — არ ვიმსახურებ, მაგრამ ვიცი, ვუეკ, როგორ ძალიან გიყვარვარ... ჰოდა, შემომფიცე, რომ ეგ სიყვარული ხელს არ შეგიშლის შენი მოვალეობის აღსრულებაში!

ბოცმანი დუმდა. „ღმერთმა ჩემი შვილების გაზრდის ბედნიერება არ მაღირსა და ამ წითური ბიჭის პატრონობაში ვნახე ნუგეში... — ფიქრობდა იგი. — იესო ქრისტეე, რა შეუმჩნეველად გაზრდილა!“ იაკუბ კონოპკას უცაბედად ქვითინის მსგავსი რაღაც მოაწვა ყელში. „აი, ეგეთივე დაუნდობელი იყო ამისი მამაც თავის თავთანაც და მახლობლებთანაც. მერე რა ნახა ცხოვრებაში?“

— შემომფიცე, ვუეკ, — უფრო დაჟინებით გაუმეორა კასპერმა.

ბოცმანმა პატარა ვერცხლის ჯვარი ამოიღო უბიდან, სასოებით მიიტანა ტუჩებთან და წარმოთქვა:

— გეფიცები, კასიო, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა!

ვახტიდან რომ გამოიცვალა, პან კონოპკამ გადაწყვიტა, ნაღველის გასაქარვებლად სპირიდონ აკრიტის ყავახანაში წასულიყო და იმ ბიჭებისთვის დაეძახა, რომლებიც პირველ დღეს ვერ გაუშვეს ნაპირზე.

მზე უკვე კარგად იყო შემაღლაურებული, როდესაც გემზე მარტო მარიო სკამპიონი დაბრუნდა — იმ დღეს მას უნდა ემორიგევა. ჭაბუკი კარგად იყო შექეიფიანებული, მაგრამ მაინც ზუსტად გადასცა კასპერს ბოცმანის დანაბარები. მეო, ჩვენ რომ ვიცით, იმ საქმეზე სავაჭრო უბანში მივდივარ და გემს შენ მიხედეო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პან კონოპკას გადაეწყვიტა, სინიორინა ბეატრიჩესთვის უეჭველად ეშოვა ვარდის ზეთი. მაინც რანაირი მოუსვენარი კაცია!

მატროსებმა გემის დალაგება დაამთავრეს, გემბანს პრიალი დააწყებინეს, სპილენძის ნაწილები ცარცით გაუწმინდეს და ახლა, სადილის მოლოდინში, ზანტად დაყიალობდნენ იქით-აქეთ. მარიო სათვალთვალო საკიდელას გადაეყუდა და ქვემოთ დაიწყო ყურება, იქ მისი ამხანაგები ზარს თამაშობდნენ. კატალინელი პედრო კი იტალიელებს გიტარის დაკვრას ასწავლიდა.

გემზე მყოფთაგან ყველაზე პირველად მარიომ მიაქცია ყურადღება ნავმისადგომიდან „სანტა ლუჩიასაკენ“ მიმავალ ადამიანთა ჯგუფს. ამ ჯგუფს წინ როტა მოუძღოდა ხელების ქნევით და ცდილობდა, გვერდით მომავალი ჩასორსლებული თურქისთვის რაღაცა გაეგებინებინა. მარიომ დაუძახა თავის მტერმოყვარეს, მაგრამ როტამ ხმა არ გასცა. მარიოს ნაცვლად მაღალი, შავწვერა კაცი გამოეძრახა. ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ ევროპელი იყო.

— ეი, ვინა ხართ მანდ, „სანტა ლუჩიაზე!“ — დაიძახა მან იტალიურად. — თქვენში რომელმა იცის თურქული ლაპარაკი? მეზობლების დასახმარებლად მოვედი, მაგრამ ამათი ყატყატის არაფერი გამეგება. არც ამ პატივცემულ აბდურაჰმანს ეხერხება მაინცდამაინც იტალიური.

მარიომ უპასუხა, ძველი მატროსებიდან ყველა მოახერხებს თურ-

ქულად რაღაცის თქმას, ყველაზე კარგად კი ბოცმანი ლაპარაკობს, მაგრამ ახლა ისიცა და მოხუცებიც ნაპირზე არიან გადასულებიო. ბოცმანს კასპერ ბერნატი სცვლისო. მართალია, კასპერი უბრალო მატროსია, მაგრამ ნასწავლი კაცია და ახლა კარაველაზე უფროსის მაგივრობას სწევსო.

ჩასორსლებული თურქი და შავწვერა ქრისტიანი ტრაპით გემზე ავიდნენ, უკან თორმეტი ჯანზე მოსული ახალგაზრდა მიჰყვა. გარეგნულად ისინი ქალაქის ჩაფრებს ჰგავდნენ. მათ წინ კასპერ ბერნატი შეეგება.

შავწვერა კაცს მარიოს ძმობილი ძველი ნაცნობივით შეეგება და გაცხოველებული საუბარი გააბეს ერთმანეთში. ღმერთმა იცის, რა ენაზე ლაპარაკობდნენ, პოლონურსა თუ გერმანულზე. მარიომ მათი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო. მატროსს მობეზრდა მათი ყურისგდება, შებრუნდა, აუტანლად მოლიცლიცე ზღვის ზედაპირს თვალი მოუჭუტა და პატარ-პატარა სახლებით მოფენილ ნაპირს ჩააშტერდა. ქალაქის ყურეაში გართული მარიო ბოცმანის სასტვენმა გამოაფხიზლა — „ყველანი მაღლაო.“ რაკი ეს სიგნალი მორიგეს არ ეხებოდა, მან არხეინად განაგრძო ნაპირის თვალიერება.

ალბათ ნახევარი საათი იქნებოდა გასული, რომ მარიომ შემთხვევით ჩაიხედა ძირს და შეძრწუნებულმა მოჩვენების გასაფანტავად პირჯვარი გამოისახა. თუმცა არა, არაფერიც არ ეჩვენებოდა! მისი უსაყვარლესი ძმობილი იმ ჯანიან ჩაფრებს გაეკავებინათ და ბორკილის დადებას უპირებდნენ. ათზე მეტი მისეოდა იმ ერთ კაცს. უცებ კასპერმა გაიბრძოლა, თავი დაარტყა ერთ ჩაფარს, წააქცია და ქიმისაკენ გავარდა წყალში გადასახტომად. მარიო ციყვის სისწრაფით დაეშვა ანძაზე, თან იმწაწსვე გაახსენდა, მეცა და გასპარეც უიარაღონი ვართ და თორმეტ კბილებამდე შეიარაღებულ ჩაფართან ვერაფერს გავაწყობთო. სხვა გზა არ არის, მუშტები უნდა დავატრიალოთ, მაგრამ ამით გასპარეს ეშველება რამე? თუმცა, შეიძლება ეშველოს. ისინი ორნი კი არა, სამნი არიან. როტა რამ დაავიწყა? რაც არ უნდა იყოს, მაინც იტალიელია და თავისიანს გასაჭირში არ მიატოვებს.

— როტა, როტა! — დაიყვირა მარიომ.

დაბლიდან ექოსავით გაისმა კასპერის ძახილი:

— როტა, მომეშველე!

მაგრამ ეს რა ხდება? ის წყეული როტა გასპარეს ქამანდს ესვრის, ანძასთან თრევა-თრევით მიჰყავს და ზედ აბამს!

ამხანაგების მისაშველებლად ძირს დაშვებულმა მარიომ უცებ შეცვალა განზრახვა: ხელებზე დაკიდებული ქანდარას გემის ქიმისაკენ გაჰყვა, იქ წამით შეჩერდა, წონასწორობა აღიდგინა და წყალში

ჩაეშვა. წყლის ჩქაფანზე მხოლოდ როტამ მოიხედა, მაგრამ ახლა მას მარიოსათვის არ ეცალა. გასპარესათვის მკერდზე ხანჯალი დაებჯინა და ეშმაკეულივით ჩაჰკიოდა სახეში:

— ანდერძი! ანდერძი მომეცი!

მარიოს უცებ მოვარდნილი ტალღა გადაეელო, მაგრამ თვალებმოჭუტულმა წყალი გამოაფურთხა და გამძვინვარებულმა აამუშავა მკლავები, ნაპირისკენ გაცურა. მძიმედ აქოშინებული მარიო ნაპირზე ავიდა, გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა და უკან მოიხედა. „სანტა ლუჩიას“ გემბანი უკვე ცარიელი იყო.

აკრიტის ყავახანასთან მთლად ქანცგაწყვეტილი მივარდა მარიო.

— მატროსებო! ქრისტიანებო! — იყვირა და გაღებულ კარშივე ჩაიკეცა. — უშველეთ! ჩვენს გასპარეს თურქები კლავენ!

მაინც, რა მოხდა „სანტა ლუჩიას“ გემბანზე?

იმ დღის ყოველი წვრილმანი სიკვდილის ბოლო წუთამდე ახსოვდა კასპერ ბერნატს.

შავწვერა ევროპელმა, რაინდმა ფონ ელსტერმა, ჭაბუკ პოლონელს უთხრა, ჩემი თანმხლები თურქი აღა აბდურაჰმანია, მისი მოვალეობა გემების გაჩხრეკვა და კონტრაბანდის აღმოჩენაა. აბდურაჰმანს ნაბრძანები აქვს, „სანტა ლუჩიაცა“ და მთელი მისი შემადგენლობა — კაპიტნიდან დაწყებული უკანასკნელ მატროსამდე — გაჩხრიკოს: ახლა ძალიან დიდი სიმკაცრეა თურქეთიდან ნელსაცხებლების, განსაკუთრებით, ყაზვინის ვარდის ზეთის გატანაზეო.

კასპერმა შვებით ამოისუნთქა: კარგია, რომ ბოცმანი აქ არაა თავისი ერთი ციცქნელა ბოთლით, თორემ შარს გადავეყრებოდითო. ფონ ელსტერის იქ ყოფნა კი კასპერს გაუხარდა კიდევაც: რაინდი მშვენივრად ლაპარაკობს იტალიურადაც და თურქულადაც, გაუგებრობის შემთხვევაში დაგვეხმარებაო. მართლაც, ფონ ელსტერი კასპერისაკენ დაიხარა და ჩურჩულით ჰკითხა:

— როგორა გაქვთ საქმე? გადასამალი ხომ არაფერია გემზე? თუ საჭიროა, აღა აბდურაჰმანს შევაყოვნებ... იქნებ ეკიპაჟიდან რომელიმე აკრძალული საქონლის გატანას ცდილობს? გაფრთხილდით, თურქს ესმის იტალიური...

კასპერმა დაამშვიდა თავისი კეთილმოსურნე: ჩვენს ბიჭებს კარგად ვიცნობ, ნებადაურთველი საქონელი კარაველაზე არ არის. თურქმა გინდაც დილამდე ჩხრიკოს „სანტა ლუჩია“, მაინც ვერაფერს იპოვისო. „იესო დიდებულო, დედაო ღვთისავ, ჩენსტოხოვისა! — ლოცულობდა ჭაბუკი გულში. — ოღონდაც არ მოვიდეს ვუეკი თავისი ვარდის ზეთით!“

— ძალიან კარგი! მაშინ განკარგულება გაეცი, მატროსები ქვემოთ,

კუბრიკში ჩავიდნენ და თავ-თავიანთი ზანდუკები დახსნან... — უთხრა რაინდმა. — რა? მთელი ეკიპაჟი აქ არ არის? არა უშავს, ვინც არის, იმან გახსნას ამხანაგის ზანდუკი, თანაც თურქებს კარგად ადევნეთ თვალყური, არაფერი მოიპარონ. ოღონდ წინასწარ, რამე შეტაკება რომ არ მოხდეს, თქვენმა ბიჭებმა იარაღი გემბანზე დატოვონ. თურქებმა „წმიდა ბენედიქტიც“ ასეევ გაჩხრიკეს. ისე, თქვენთან იარაღის ჩამორთმევა აუცილებელიც კი არის, — დაურთო რაინდმა და თვალით თავჩაღუნულ როტაზე ანიშნა, — მე და შენ მშვენივრად ვიცით იტალიელთა შარიანი ხასიათი!

აი, სწორედ ამ დროს დაუსტვინა კასპერმა, „ყველანი მაღლაო“.

მას შემდეგ, რაც მატროსებმა ჩხუბითა და ბუზღუნ-ბუზღუნით დაყარეს გემბანზე იარაღი, კასპერმა ბრძანა, დაბლა, კუბრიკში ჩასულიყვნენ თავ-თავიანთ ზანდუკებთან. უცაბედად, ფონ ელსტერის ბრძანებით, როტა კუბრიკის ჩასასვლელს ეცა, რკინით შეკედილი მუხის სახურავი ჩააფარა და საგდული გაუყარა. ამ ჭირვეული კაცის მოულოდნელმა დამყოლობამ მეტად გააკვირვა კასპერი, ხოლო რაინდის უფროსულმა ტონმა, ცოტა არ იყოს, გააბრაზა კიდეეც. კასპერმა ვერც კი მოასწრო, ფონ ელსტერისათვის საქმეში გარკვევა მოეთხოვა, რომ აუტანელი დარტყმისაგან შეტორტმანდა. აბდურაჰმანმა ნიშანი მისცა და ეს ჯანმაგარი ჩაფრები ეძგერნენ ჭაბუკს. კასპერმა გაიბრძოლა, ერთ-ერთი ჩაფარი წააქცია, გემის ქიმისაკენ გაიჭრა და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:

— როტა, მომეშველე!

— მოგეშველო? — იკითხა როტამ, — ახლავე! — და გაშლით მოიქნია ხელი. ნასროლი ქამანდი წელზე რომ ჩამოეცვა, კასპერი მაშინღა მიხვდა ყოველივეს. ასეთი ქამანდით ზაკოპანაში[1] მწყემსები ფარას ჩამორჩენილ ცხვარს იჭერდნენ ხოლმე. კასპერს ფეხები ჯერ ისევ თავისუფალი ჰქონდა და გაცოფებით ურტყამდა მომხუდრთ მარჯვნივ თუ მარცხნივ, სანამ თავით-ბოლომდე არ გათოკეს და გემბანზე არ დააგდეს.

— ჰა, რას იტყვი, პატივცემულო აბდურაჰმან, ღირს ჭაბუკი იმ ფასად, რასაცა გთხოვ? — იკითხა ფონ ელსტერმა თავმოწონებით. რაინდი იტალიურად ლაპარაკობდა, ალბათ იმიტომ, რომ კასპერს გაეგონა მისი ნათქვამი. — ახალგაზრდაა, ჯანმრთელი, ჯიქივით ღონის პატრონი! გალერაზე კარგა თხუთმეტ წელს მაინც იმუშავებს. ბატონი ვაჭარი დღეს ურიგო გარიგებას არ დებს!

აღა აბდურაჰმანი ზედ წაადგა კასპერს, ხვნეშა-ქშენით ძლივს დაიხარა და ხელ-ფეხის, მკერდის, კისრის სინჯვა დაუწყო, თან რაღაცას

---

[1] ზაკოპანა — პოლონეთის მთიანი ადგილი.

ჩაჰბურდღუნებდა თავისსავე წვერს. ბოლოს, მოწონების ნიშნად მხარზე ხელი წამოუტყაპუნა ჰაბუკს.

— კარგი მენიჩბე! — თქვა დამტვრეული იტალიურით. — ვიყავან! — და ჩაფრებს რაღაც უბრძანა.

— მოიცადეთ! — სასოწარკვეთით იყვირა როტამ. — ანდერძზე რას მეუბნებით?

— ამას არც ანდერძი ექნება თან, არც წერილი, — დაამშვიდა იგი რაინდმა. ისე ნამუსის მოსახდელად, მაინც ბრძანა, კასპერი გაჩხრიკეთო. — აჰა, ხომ გითხარი! ქაღალდები, რა თქმა უნდა, კაიუტაში იქნება შენახული. შენ არა თქვი, ბოცმანთან ერთად ცხოვრობსო? წადი და თითოეული ხვრელი გაჩხრიკე!

კასპერმა დაიგმინა სასოწარკვეთისაგან. მიხვდა, რასაც უპირებდნენ ფონ ელსტერი და როტა, მაგრამ იგი ახალგაზრდა იყო, ჯან-ღონით სავსე და ფიქრობდა, თავის დაღწევას მოვახერხებო. „სანტა ლუჩიას“ კომანდიდანაც ბევრი ყოფილა თურქებისა თუ ალჟირელების ტყვედ. ვუეკმაც თითქმის სამ წლამდე იცხოვრა ერთ ბეგთან.

კასპერმა თავი წამოსწია. მარიო საყარაულო საკიდელასთან ვეღარ დაინახა და გაუხარდა. კარგია, რომ არამზადებს გადაავიწყდათ მისი არსებობა! თავის ძმობილს მარიო არავის დააღუპინებს... მაგრამ წერილი. წერილს რა ეშველება!.. იმის ერთი გაფიქრებაც, შეიძლება როტამ სამალავსა და წერილს მიაგნოსო, კასპერს სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

როტა დაბრუნდა გემბანზე. კასპერმა თვალები დახუჭა, რომ ამ მოღალატის გაწბილებული სახის დანახვის გამო შიგ ჩამდგარი სიხარული არავის შეენიშნა.

— გადავანგრიე ყველაფერი, ყველა კუთხე-კუნჭული, ბოცმანის კაიუტა კი რა არის, აიღე-დაიღე, ერთი მტკაველი, მაგრამ ქაღალდები ვერსად ვნახე! — ჩაიბურდღუნა როტამ. — სადა გაქვს ანდერძი, წყეულო პოლონელო? — წაუსისინა შეკრულ კასპერს ზედ წახრილმა როტამ.

პასუხის ნაცვლად კასპერმა სახეში შეაფურთხა. იმავე წამს ჰაბუკმა თავში საშინელი დარტყმა იგრძნო და გონი დაკარგა.

სიბრაზისაგან გაფითრებულმა რაინდმა რამჯენდერმე ჩაჰკრა წიხლი კასპერს. „ცუდადაა საქმე, — გამოსცრა კბილებში, — დრო ცოტა გვაქვს, თორემ მთელ გემს გადავაბრუნებდით. სადა ჰყავთ მღვდელი? წესით მთელი ეკიპაჟი მღვდელს აბარებს ხოლმე ყველაფერს, თუკი რამ ფასეული გააჩნია. ეშმაკსაც წაუღია ყველანი ძავიანთი მღვდლიანად, წერილებიანად და ანდერძიანად!“

— ბოცმანი რომ დაბრუნდება, უთხარი, პოლონელს ჩაფრებმა კონტრაბანდა უნახეს და ქალაქში წაიყვანეს-თქო. დანარჩენზე რაც აქ მოხდა, ხმა, კრიზტი! ისე გირჩევ მაინც მოძებნო ის წერილი... ანდერძიც. კარგ საქუჩარს მიიღებ. თუმცა ამად არცა ღირხარ, აჰა, ეს ბედა გქონდეს! — და რაინდმა როტას ფეხებთან ქისა დაუგდო, — თუ იპოვი წერილს, სამ მაგდენს კიდევ მიღებ... „სანტა ლუჩიას“ მხედველობიდან არ დავკარგავ და ყველა პორტში გიპოვი!

შემდეგ აბდურაჰმანისაკენ შებრუნდა ფონ ელსტერი და მკაცრი დამრიგებლობით უთხრა:

— წაიყვანე შენი მონა და აჩქარდი... თან დაიმახსოვრე, პატივცემულო ვაჭარო, რომ შენს გალერაზე პოლონელი კასპერ ბერხატი არც ყოფილა და არც არის... ჩათვალე იგი გერმანელად, შვედად, ფოსკოვიტელად... ჩვენი მეგობრობისა ურთიერთსარგებლობის გულისათვის...

— არც ვიძიებთ ხოლმე არასოდეს, რა ჰქვიათ ჩვენს გალერაზე მომუშაველებს, ანდა რომელი ქვეყნიდან არიან, — ბღენძით მიუგო ვაჭარმა, — ჩვენ მარტო კბილებსა და კუნთებს ვუსინჯავთ. შეხი მეგობრობა კი ოქროზედაც ძვირად მიღირს. მაშ, რად- დავკარგო? ყველაფერი გასაგებია, ეს ბიჭი მანამდე დარჩება გალერაზე, სანამ მის სულს შაითანი მოაკითხავდეს.

სპირიდონ აკრიტის ყავახანიდან სანაპირომდე კარგა მანძილი იყო, მაგრამ „ლუჩიას“ მატროსებმა იგი ხელად გაირბინეს. გემბანზე რომ აცვივდნენ, იქ მარტო როტა დახვდათ, რომელიც თან კუბრიკში ჩაკეტილ ამხანაგებს ედავებოდა, თან დაჟანგულ საგდულებს ეჯაჯგურებოდა.

— რა იქნა გასპარე?! — უყვირა მარიომ. ნამტირალევი, ტუჩგახეთქილი, თმააბურძგნილი მარიო საშინელი შესახედავი იყო.

როტამ ნაღვლიანად გადააქნია თავი და გაზეპირებული ფრაზა გაიმეორა:

— რაღაც კონტრაბანდა უპოვეს და ქალაქში წაიყვანეს.

— ანდერძიც უპოვეს? ძაღლო, უჯიშოვ, მონის ნაშიერო, გამყიდველო! აი, ამ ოქროზე გაჰყიდე შენ ჩვენი გასპარე! — მარიომ ზლუქუნით სტაცა ხელი როტას უბიდან გადმოვარდნილ ქისას. — შეჰკარით, მაგან მიჰყიდა თურქებს ჩვენი გასპარე! მაგან მოიყვანა ისინი გემზე! პოლონელი უკვე გემის ნაპირთან იყო მისული, თავსაც გადაირჩენდა, ამ ძაღლს ქამანდი რომ არ ესროლა!

ბოცმანი გუსტავ კნებელი გვიან საღამოს მშვენიერი გუნება-განწყობით ბრუნდებოდა გემზე. მისი შემწვეედრი გამვლელნი გაკვირვებით ყნოსავდნენ ჰაერს: ეს უთვალტანადო, ხანში შესული მეზღვაური ნამდვილი სეფეწულივით აფრქვევდა ვარდის ზეთის სურნელს. „ნაპერში უნდა გამოვკრა მაგრად და სკივრში ღრმად ჩავდო, თორემ ხიფათს რასმე გადამყრის“, — ფიქრობდა გზაზე ბოცმანი.

კარგი გუნება-განწყობა ბოცმანს მისი მეგობარი თურქების მონაყოლმაც ვერ წაუხდინა. მთელს სტამბოლში განთქმულმა მონათვაჭარმა აღა აბდურაჰმანმა დღეს თავის მსახურებს ქალაქის ჩაფრის ტანსაცმელი ჩააცვა და ორი ქრისტიანის დახმარებით რომელიღაც ქრისტიანული გემიდან ერთი სათვალიო მატროსი მოტყუებით წაიყვანა. ზღვის ღრუბლით მოვაჭრემ თავისი თვალით დაინახა, ხელფეხშეკრული ჭაბუკი როგორ აათრიეს გალერაზე, ახსნეს ზაგირები და გაშლილ ზღვაში გავიდნენო.

ბოცმანმა თანაგრნობით გადააქნია თავი, მაგრამ მაინც ვერა და ვერ დაიჯერა, თუ ქრისტიანი ქრისტიანს ურჯულოზე გაჰყიდდა. ეს ამბის მთქმელი ნეგობრებიცა და ის ზღვის ღრუბლით მოვაჭრეც მუსულმანები არიან და უხარიათ ქრისტიანის ცილისწამებაო.

თავზარდამცემი ამბავი ბოცმანმა „სანტა ლუჩიას“ გემბანზე ფეხის დადგმისთანავე შეიტყო.

სიმწრით, სიბრაზით, შეძრწუნებისგან გადაფითრებული ისმენდა იგი მარიოს მოთხრობას.

— სად არის როტა? — ესღა ამოილუღლუღა ბოლოს.

ყველაზე ხნიერი მეზღვაური, ფრანჩესკო, წამოდგა წინ.

— ბოცმანო, შენ კარგად იცი ზღვის კანონები. ჩვენ ყოველთვის სიტყვაშეუბრუნებლად გემორჩილებოდით იმიტომ, რომ მართლაც ჩინებული მეზღვაური ხარ და შემადგენლობასაც რიგიანად ეჭცევი... მაგრამ ახლა შენი მორჩილების დროც დადგა. როტა ჩვენი მატროსული სამართლით — ზღვის კანონებით გავასამართლეთ და განაჩენიც გამოვიტანეთ. განაჩენი სიკვდილით დასჯაა. სამ მოხუცს, რომელნიც აგერ, უკვე ორი ათეული წელია, „ლუჩიაზე“ დაცურავს, მივანდეთ ეგ საქმე.

„ლუჩიაზე“ მომხდარი ამბავი ყველა მეზობელ გემზე შეიტყვეს. მთელი ნავსადგური ფუტკრის სკასავით გუგუნებდა. „სანტა ლუჩიაზე“ მრავალმა უცხო ხალხმა მოიყარა თავი, მხოლოდ „წმინდა ბენედიქტის“ ეკიპაჟიდან არ ჩანდა არავინ: მზის ჩასვლისთანავე ამ

ვეებერთლა გემმა აფრები აუშვა, თურქეთის სანაპირო დატოვა და შავ ღამეს შეერია.

„ლუჩიას“ გემბანი ისეთ მღელვარებას მოეცვა, საკუთარი ნათქვამის გაგონებაც ჭირდა, მაგრამ მოხუცმა ფრანჩესკომ მაინც მოახერხა ყველას ხმის დაფარვა.

— ჩვენ ასე ვიცით, რომ კასპერ ბერნატი მონად გაყიდა მოღალატე მეზღვაურმა პაოლო როტამ. მართალს ვლაპარაკობ? — მიმართა მან ხალხს.

ათობით ხმა გაეპასუხა:

— მართალს!

— ეხლა შენა თქვი, ერიკ! — ფრანჩესკო ჭაღარათმიანი ნორვეგიელისკენ შებრუნდა.

— თავისი ღალატით მაგან შებღალა გემი და შებილწა ზღვამაშ, ზღვამვე უყოს პირი! — წარმოთქვა ნორვეგიელმა.

— თქვი, სანჩო! — ბრძანა კვლავ ფრანჩესკომ.

მაღალმა, გამომხმარმა ბარსელონელმა ზეცისკენ რისხვით აღაპყრო ხელები.

— ძაღლია, გამცემელი! მაგისი ადგილი აღარაა ჩვენ შორის! მაგისი ადგილი აღარც დედამიწაზეა! — ღაღადავდა სანჩომ.

იაკუბ ჯონოპკამ მიმოიხედა. გემბანზე ყოველი მხრიდან მატროსები მოჯარულიყვნენ. წარმოქმნილი ნახევარწრის შუაგულში მოსამართლენი ფრანჩესკო, სანჩო და ერიკი იდგნენ. მათთან მიათრიეს შიშისაგან გადამწვანებული როტა.

— გამიშვით, მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია, — დუდუნებდა იგი, — გამიშვით! შეიბრალეთ ჩემი და, ორ უბედურებას ერთად ვერ გადაიტანს... იმ წყეული პოლონელის გულისთვის მართლა უნდა...

მარიო სკამპრონი წინ წადგა და გაბედულად მოიქნია ხელი. ჰაერში ისეთი ლაწანი გაისმა, გეგონება, შოლტი გაატყაჩუნესო. როტა ძლივსღა დადგა ფეხზე. ყბაზე სისხლისფრად დაეტყო ნათითრები.

— დადექ, მარიო, — მკაცრად უთხრა ფრანჩესკომ. — ჩვენ აქ ანგარიშსწორება კი არა, სასამართლო გვაქვს! ჩვენ, „კარაველა „სანტა ლუჩიას“ მატროსებმა იმიტომ მივუსაჯეთ ამ კაცს სიკვდილი, რომ მონად გაყიდა ჩვენი ამხანაგი და მეგობარი მატროსი კასპერ ბერნატი. ახლა იმას გეკითხებით, რანაირი სიკვდილი ვარგუნოთ?

— ცული მაგას თავში! — დაიძახა ვიღაცამ. — რაღას ვაჭიანურებთ! ანდა ანძაზე ჩამოვკიდოთ...

— თავზე ტომარა ჩამოაცვით, ფეხებზე — წყვილი ლოდი დაჰკიდეთ! — ურჩია ვიღაცამ.

— და სულთმბრძოლის ლოცვა წაუკითხოთ, ხომ? — იკითხა ფრანჩესკომ. — ერიკ, გამოაცხადე ჩვენი გადაწყვეტილება.

— მიესაჯა თავზე ტომრის ჩამოცმა, ფეხებზე სათითაო ლოდის დაკიდება, სულთმბრძოლის ლოცვის წაკითხვა და ზღვაში გადაგდება! — გამოაცხად ერიკმა. — ოღონდ ლოდები არა გვაქვს.

— ბორკილი და მაგისი ჯანი, გადაუძახეთ ზღვაში! — დაიხავლა სანჩომ. — თუ ზღვამ უკანვე არ ამოაგდო.

— ბოცმანო, რაღას უყურებ? დაძარი გემი — ეგ შენი საქმეა, გასამართლება და დასჯა — ჩვენი. შენ აქ უცხო კაცი ხარ, ნუ ჩაერევი, — მისთვის რაღაც უჩვეულო სილბილით თქვა ფრანჩესკომ. — თქვენ რაღა მოგვივიდათ, მამაო ლუკა? — მიუბრუნდა იგი შეშინებულ მღვდელს. — განზე მიდექით და ლოცვა წაუკითხეთ, თუ ეგ ქრისტიანად მიგაჩნიათ...

მოკლეხანიერი წაპიდავება და ფეხდაბორკილი როტა ძირს ეგდო უკვე.

„ყველანი მაღლა!“ — ძლივს მისცა სიგნალი ბოცმანმა. ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა. სახეზე განუწყვეტლივ ჩამოსდიოდა ცრემლები. „კასიო, ჩემო ბიჭო, ოოჰ, როგორ მიგრძნობდა გული და ვერ კი გაგიფრთხილდი...“ — დუდუნებდა იგი თავისთვის.

იაკუბ კონოპკამ მაინც აჯობა თავს, ცრემლები მოიწმინდა და წელში გასწორდა:

— აუშვით იალქნები! — გასცა ბრძანება. მისი ხმა, წინანდებურად, მთელ გემს გადასწვდა. — მოაბოშეთ ბაგირები! ასწიეთ ღუზა!

დაიღრიალა ღუზის ჯაჭვმა. ნელ-ნელა, ღრჭიალით აიწია და ღაიბერა იალქნები. რამდენიმე წუთში „სანტ ლუჩია“ რწევით გაშორდა სტაპბოლის ნაპირს და ზურგის ქარს ჩრდილო-დასავლეთით მიჰყვა.

იაკუბ კონოპკა კაპიტნის ბოგურაზე კუშტი და გულისყურიანი იდგა.

ცოტა ხნის შემდეგ სანჩო იხმო, შტურვალი გადასცა და თავის კაიუტაში ჩავიდა. ერთ წუთში კვლავ ბოგურაზე გაჩნდა, ხელში იმ სანუკვარ პაკეტს ბღუჯავდა. მისი ნამტირალევი სახე შეუვალ გადაწყვეტილებას გამოხატავდა.

— ბეფიცები, ჩემო ბიჭო, როგორც მიბრძანე, პირველ რიგში ამ ქალალდს მივიტან თავის ადგილზე. მერე დავბრუნდები ვარმი-

ოდან, მოგძებნი და დაგიხსნი განსაცდელისგან... — მე თვითონ გავიყიდები მონად, შენ კი დაგიხსნი!

„ლუჩია“ მსუბუქი რწევა-რწევით მიარღვევდა ტალღებს და უფრო და უფრო შორდებოდა თურქეთს. ბოლოს, სანაპირო კიჩოს მიღმა ჰორიზონტს შეერწყა.

— დროა! — უთხრა ფრანჩესკომ ერიკს. — კარლო, ლორენცო, — დაუძახა ახლოს მდგომ მატროსებს, — მოიყვანეთ აქ!

ეკიპაჟი სწრაფად შეიკრიბა გროტ ანძასთან.

მოიყვანეს როტა. მოდიოდა იგი მიწისფერი, შორეთში უაზროდ თვალმიშტერებული.

ფრანჩესკო მათარითა და ჭიქით მივიდა მასთან.

— დალიე! — უთხრა და ღვინო დაუსხა, — დალიე, უკანასკნელად!

ბოცმანმა ხელი ჩაიქნია და კაპიტნის ჯიხურისაკენ გაემართა. კარაველაზე მდუმარება ჩამოწვა. ამ მდუმარებას მხოლოდ გემს მიხეთქებულ ტალღათა ტყლაშანიღა არღვევდა.

იაკუბ კონოპკას ზურგს უკანიდან რაღაც ფაციფუცი შემოესმა, შემდეგ მამა ლუკამ აკანკალებული, ბებრული ხმით „მამაო ჩვენო“ დაიწყო.

შემდეგ რაღაც დგაფუნით ჩავარდა წყალში.

იაკუბ კონოპკამ ქუდი მოიხადა და პირჯვარი გამოისახა.

თავი მეთოთრმეტე

მძიმე დრო

1512 წლის თებერვალი მთელს პოლონეთში მეტისმეტად ყინვიანი დაიჭირა. ასეთ ყიამათს დიდი ხანია აღარ მოსწრებოდა ხალხი. ფრინველი ჰაერშივე იყინებოდა. შარაგზებსა და შლიახებზე ქარბუქი მძვინვარებდა. სოფლები სახურავებამდე იყო ჩაფლული თოვლში. გზებზე გაყინულთ კოსტიოლებში წესს უგებდნენ.

კანონიკი მიკოლაის სულსაც უჭუნებობა და სიცივე დაუფლებოდა, თითქოს ამ უამინდობასა და მუახე ყინვებს მოჰყოლოდეს მისი მწუხარება და დარდი.

კრაკოვში მეფე ზიგმუნდის ქორწილსა და ახალი დედოფლის კურთხევაზე[1] დასწრების შემდეგ, სადაც კოპერნიკი ლუკაშ ვა-

[1] იგულისხმება ზიგმუნდის მეორე ცოლის, ბონა სფორცას კურთხევა.

ცენროდს ახლდა, მამა მიკოლაი ეპისკოპოსთან ერთად პეტრ-კოვში გასამგზავრებლად, სრულიად პოლონეთის სეიმზე დასასწრებლად ემზადებოდა. ამის სანაცვლოდ კი ფრომბორკს გაეშურა სასწრაფოდ: კაპიტულიდან მისი უფროსი ძმის, ანჯეის ავადმყოფობის ცნობა მოვიდა.

თავიდან ვერც კოპერნიკმა დაადგინა ანჯეის სნეულების მიზეზი, ვერც სხვა ექიმებმა, შემდეგ კი, როცა შეიცნეს სენის შემზარავი ნიშნები, ცხადი გახდა, რომ შველა არაფრით შეიძლებოდა: ანჯეი კეთრით იყო დაავადებული.

აი, როდის მიეცათ საშუალება ვარმიის მამა კანონიკებს, ვაცენროდებისა და კოპერნიკებისათვის ანგარიში გაესწორებინათ, აი, როდის შეძლეს ბოლოს და ბოლოს შური ეძიათ ლუკაშის თვითმმართველობის გამო. ასე უწოდებდნენ ისინი ეპისკოპოსის მიერ კაპიტულის საქმეებისადმი გამუდმებულ თვალყურის დევნებას. მანამდე არცერთ ეპისკოპოსს, ამასთან, საერო ხელისუფლებითაც აღჭურვილს, არ გაუბედავს ეს ძალაუფლება ვაცენროდისნაირი სიმტკიცით გამოეყენებინოს! ეპისკოპოსის დისშვილიც მეუფის კვალს მისდევდა!

გულმოწყალე მამა კანონიკებმა ანჯეის ცხენების მიცემაზეც კი უარი უთხრეს, რომ ლეპროზორიუმამდე ნისულიყო. ბევრი ცხარე კამათის გადატანა მოუხდა მამა მიკოლაის, სანამ ანჯეის გასამგზავრებელ ცოტაოდენ თანხას მიიღებდა მამა ხაზინადარისგან.

დადგა განშორების მძიმე წუთები. კოპერნიკი სამუდამოდ კარგავდა ძმას, მაგრამ ამ საბოლოოდ გაყრის ჟამსაც კი არ შეიძლებოდა გადახვეოდა და ეკოცნა მისთვის. დიდი იყო კოპერნიკისათვის ეს დანაკარგი: ძმები არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნაზესი გრძნობებით იყვნენ დაკავშირებულნი. იდგა თავშიშველი კოპერნიკი და თვალმოშტერებული გაჰყურებდა შორს მიმავალ მარხილს. გვერდით ერთგული მეგობარი ტიდემან გიზე ამოსდგომოდა. მოწყალე მამა ტიდემანი შეშფოთებით შეჰყურებდა მიკოლაის, როგორ ეყინებოდა სახეზე ცრემლები. როგორ ედებოდა თოვლი მოსასხამის ბეწვის საყელოს. ბოლოს იგი ფრთხილად შეეხო კოპერნიკს იდაყვში.

— წავიდეთ, ძმაო, — უთხრა წყნარად. — მე თუ არა, სხვამ ვინ უნდა იცოდეს, რა ძნელი გადასატანია შენთვის ეს წუთები, მაგრამ დრო არ ითმენს, ლიძბარკში უნდა ჩავიდეთ. დღეს არა, ხვალ დაბრუნდება მისი უსამღვდელოესობა და ციხე-კოშკი უნდა მოვამზადოთ. თანაც ღამდება, გზებზე კი მშიერი მგლები ჯოგებად დაძრწიან.

მამა ტიდემანს ერთი სული ჰქონდა, მეგობრისათვის კრაკოვის ახალი ამბები გამოეკითხა, როგორია მეფისა და ორდენის ურთიერთდამოკიდებულება, ანდა, კონსტანტინოპოლიდან რაიმე ცნობა გაჩნდა თუ არაო, მაგრამ გრძნობდა, რომ ძმა მიკოლაის ახლა ამის თავი არა ჰქონდა.

თუმცა, კოპერნიკმა ცრემლები რომ მოიწმინდა, ქუდი დაიხურა და მოსასხამი შემოიხვია, თითქოს სრულიად გარდაიქმნაო. მხოლოდ თვალის უპეებში ჩაუდგა ნისლი და ბავშვური ტუჩის კუთხეებში გაუწვა ნაოჭები, რამაც საოცრად დაამსგავსა ლუკაშ ვაცენროდს. მაგრამ როგორადაც არ უნდა აეღერებინა ვარმიის კანონიკს თავი, როგორადაც არ უნდა გაემართა მხრები, მისი მეგობარი ტიდემანი ნაღვლიანად ფიქრობდა: „ბერდება მიკოლაი! ბერდება ჩვენი არწივი მიკოლაი ტორუნელი! საქმეებმა, უჭკუო და რეგვენი ხალხის მტრობამ, ახლო ნათესავის, ფილიპ ტენშერის შურმა, მნათობებზე დაკვირვებაში კოშკში გატარებულმა უძილო ღამეებმა, ვარმიის ღარიბ ხალხზე ზრუნვამ, ყველაფერმა ამან მის ოდესღაც ნათელ შუბლზე წარუშლელი კვლები გაავლო...“

— კასპერისა არაფერი ისმის, — თქვა კოპერნიკმა, თითქოს მიუხვდაო, რის კითხვას აპირებდა გიზე. — კიდევ ორდენის ამბები გაწუხებს, ალბათ? ეპისკოპოსი შეეცადა მაგისტრის ღალატზე სიტყვა ჩამოეგდო, მაგრამ მის უდიდებულესობას გაგონებაც არ სურს არაფრის... ჩვენი ხალხიდან ვიღაცამ ჩაუჩურჩულა მეფეს, ვარმიის მეუფე მაგისტრის პირადი მტრობით ხელმძღვანელობს და დღე არ გავა, ორდენზე თავდასასხმელი ხაბაბი არ გამოძებნოსო. ორდენის მარშალი — ენამოქარგული ფონ ეიზენბერგი — სასახლეში უკვე აშკარად კითხულობს პასკვილებს ეპისკოპოსზე, მეფე და დედოფალი კი იცინიან მხოლოდ... საქმე იქამდე მივიდა, რომ დედოფალმა საყვედურით მითხრა: „შეაკავებინეთ თავი თქვენს ძლვამოსილ ბიძას, ორდენთან ომს ნუ დააწყებინებთ! მეფენიც ხალხნი ვართ, მოგვეცით სიმშვიდითა და ზეიმით დატკბობის საშუალება. შეწყვიტეთ დიაცეზის ფულების ხარჯვა იარაღსა და ხურსათზე. როგორ მინდა, ჩვენი სასახლე სიმდიდრითა და ბრწყინვალებით ამეტებდეს სხვა ევროპულ სასახლეებსო!“

— მიუგე რამე დედოფალს? — ჰკითხა გიზემ. — აუხსენი, რომ ომი მაინც გარდაუვალია? როცა ბრანდერბურგელი ძალას მოიკრებს, ომი კი არა, ნამდვილი სასაკლაო გაიმართება, ტევტონები ვარმიას აღგავიან პირისაგან მიწისა?

კოპერნიკი უხმოდ გაჰყურებდა ქარისგან აყენებულ თოვლის ბუქს.

— არაფერი არ მითქვამს, — როდის-როდის გაეპასუხა იგი. — ისეთ საზეიმო დღეს, როგორიც მისი უდიდებულესობა დედოფლის ქორწილია, უსიამოვნებაზე საუბარი მიზანშეუწონელია... რა თქმა უნდა, ბიძაჩემი უმალვე ისარგებლებდა ამ შემთხვევით და ჩვენთვის საჭირბოროტო საქმეებზე ეცდებოდა ლაპარაკს, მაგრამ მე ასე განვსაჯე: თუკი თვით ზიგმუნდსაც სჯერა თავისი დისშვილის, მაშ როგორღა დავარწმუნო-მეთქი დედოფალი ჩემს სიმართლეში? მერე კიდევ, დედოფალი ჩემთან საუბრისას ისეთი უმწეობით ატარებდა აქეთ-იქით თვალებს, მივხვდი: ეშურება ჩემთან საუბრის დამთავრებას-მეთქი. ის თავქარიანი ეიზენბერგიც ხომ იმას წერს, ვარმიელებისაგან უკმაყოფილებისა და დარიგების მეტს ვერაფერს გაიგონებო. რაკი მისმა უდიდებულესობა დედოფალმა ჩემგან ვერც უკმაყოფილება მოისმინა და ვერც დარიგება, ეტყობა, მადლიერების ნიშნად თავაზიანი საუბარი გამიბა. „პან დანტიშკის, მეფის მდივნის ახალი ლექსები თუ მოგისმენიათ? — შემეკითხა და დაურთო: — დედაო ღვთისავ, ენა არ მიტრიალდება, დანტიშკს „მისი მაღალღირსება“ ვუწოდო, ისეთი სასიამოვნო და ზრდილი დიდებულია! საწყენია, რომ სასულიერო ხარისხი მიიღო!“

ღრანტედან ღრანტეზე მარხილის რახრახში საუბარი გაძნელდა.

— ჰო, სასულიერო ხარისხი დანტიშკს სულ არ უშლის ხელს, მაღალ საზოგადოებაში დრო ატაროს. — ჩაიცინა გიზემ ნაღვლიანად, მაგრამ კოპერნიკი არ აჰყვა ამ ლაპარაკში.

— ტიდემან, ტიდემან, როგორ გვჭირდება ახლა რაც შეიძლება, ჩქარა მივიღოთ ალბრეხტის წერილი! — სიმწრით წარმოთქვა, კოპერნიკმა. — გული ისედაც დამძიმებული მაქვს და რომ გავიფიქრებ, კასპერის თავს შეიძლება რაღაც უბედურება ტრიალებდეს-მეთქი...

მეგობრები გაჩუმდნენ და ლიძბარკის გადასახვევამდე თითოოროლა სიტყვითღა თუ გაეძრახებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ორივე ერთსა და იმავე საფიქრალს მისცემოდა: გახარბებული მამა კანონიკები ებღაუჭებიან თავიანთ თბილ ადგილებს, პრებენდებს[1], თავიანთ უფლებებს. ეპისკოპოსს ბრალს სდებენ, ორდენთან თანხმობა არ გსურსო. წმინდა მამები, დაახლოებით, ასე სჯიან: თუ ვარმიის საზღვართან მართლაც იქმნება ძლიერი, პოლონეთის მტრული სახელმწიფო, მაშინ ვინ იცის, იქნებ ვარმიისათვის უკეთესიც იყოს, კეთილმეზობლობა სწორედ მასთან გაიბას და არა პოლონეთთანო!

---

[1] პრებენდი — სასულიერო პირების შემოსავალი მოსახლეობიდან.

მამა ტიდემანს კაპიტულის ერთ წევრთან საუბარი გაახსენდა. „მიკოლაი კოპერნიკი მეტისმეტად ჰგავს თავის ბიძას! — თქვა იმ კანონიკმა. — ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფერში ერევა! დამჯდარიყო იმ თავის ლიძბარკში, ემკურნალა თავისი წვირიანი გლეხებისათვის, რაკი ასე ძალიან ეწყინოს და დამტკბარიყო ვარსკვლავების ჭვრეტით. არა, მაგან პოლონეთი უეჭველად უნდა დაიცვას ტევტონებისაგან, თითქოსდა მეფეს უმაგისობა სჭირდეს... ახლა კიდევ ის არ მოსწონს, რომ ქალაქები თვითონ ჭრიან ფულს, ამითო, ამბობს, პოლონეთი ძლიერ ზარალობსო, რადგანაც ზარაფები ვერცხლში სპილენძსა და კალას ურევენო. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია პოლონეთს! მართალია, გაყალბებული ფულის გამოისობით ვაჭრები საქონელს უფრო აძვირებენ, მაგრამ მამა კანონიკებისათვის ეგ არაფერს ცვლის: ვაჭრები სასულიერო პირებზე მამასისხლად არაფერს გაჰყიდიან... ბატონმა შლიახტიჩებმა კი ყარონ ფულები, .რა უჭირს!“

„იმათ რაში ენაღვლებათ პოლონეთი, იმ გულდონდლოებს! — ნაღვლიანად ფიქრობდა მამა გიზე. — ოღონდაც მსუყე სუფრა, ბუმბულის ფუმფულა საგებელი, მორჩილი მსახურები და უხვი შემოსავალი არ მოაკლდეთ და...“

— ფულის მოჭრაზე ამბობენ რამეს? — იკითხა უცებ კოპერნიკმა.

მამა ტიდემანი მოულოდნელობისაგან შეკრთა კიდევაც, თუმცა მიჩვეული იყო, რომ მასა და ძმა მიკოლაის ერთდროულად ერთიდაიგივე აზრები მოსდიოდათ ხოლმე.

დიახ, ისა და მიკოლაი ძმებზე უფრო მახლობელნი, მეგობრებზე უფრო ძვირფასნი იყვნენ ერთმანეთისათვის: ერთსაც და მეორესაც ერთი აზრი, ერთი მიზანი ასულდგმულებდა.

— სწორედ მაგაზე ვფიქრობდი ახლა, — გამოუტყდა დაღლილი გიზე, — როგორც კი შენა და მეუფე გაგიცილეს, კაპიტულში განხეთქილება და კამათი წამოიჭრა... მაგ ფულის მოჭრის თაობაზე. მაგისტრატში კი, ამბობენ, საქმე ხელის გამოღებამდეც მიდისო...

— და ყველა მე მწყევლის, ხომ? — ჰკითხა კოპერნიკმა ნაღვლიანი ღიმილით. — არა უშავს, ოდესმე დარწმუნდებიან ჩემს სიმართლეში! გაუმაძღარი ვაჭრების მიზეზით მთელი პოლონეთი ზარალდება.

გაყალბებული ფულიდან ტიდემანის ფიქრები დანტიშკზე გადავიდა, ასეთ ქება-დიდებას რომ ასხამდნენ მეფის სასახლეში. მართალია, არ უნდა. მიეღო დანტიშკს სასულიერო ხარისხი! მაგისთანები აძულებენ ხალხს ღვთის მსახურთ. შლიახტა და კრაკოვის

სასახლე დანტიშკს ყველაფერს პატრობენ ფარსაგი ლათინური ლექსებისა და ზრდილი საქციელის გამო... მეფე და დედოფალი განსაკუთრებული წყალობის თვალით უყურებენ. იგი ჩინებული დიპლომატია და გვირგვინოსანთა გულების მოგების ბრწყინვალე უნარი ჯერ კიდევ იმპერატორის კარზე თავისი ელჩობის დროს გამოამჟღავნა... თუმც უბრალო ხალხში ხმა დადის მის ლოთობაზე, ქრავალცოლიანობაზე, ვაჭრებისაგან ქრთამის აღებაზე... მეფე მაინც სულში ისვამს.. ოჰ, ზიგმუნდ, ზიგმუნდ, როგორ დაგარწმუნოთ, რომ შენი კეთილგანწყობით უღირსი ხალხი სარგებლობს! როგორ დაგიმტკიცოთ, რომ ეპისკოპოსის ორდენისადმი სიძულვილი პირადი მტრობით კი არა, პოლიტიკოსის ნათელი და ზუსტი წინასწარხედვით არის ნაკარნახევი. ზიგმუნდს მაგისტრის წერილი რომ ენახა, მოვლენები იქნებ კიდევ შემობრუნებულიყო პოლონეთის სასარგებლოდ!

ტიდემან გიზე გზას აშურებდა მამა მიკოლაის, მაგრამ ღამემ მაინც უსწროთ. ყოველი ბუჩქის დანახვაზე ცხენები შიშისაგან ძაგძაგებდნენ. საბოლოოდ გატანჯულმა მემარხილემ მაშინღა გადაიწერა შვებით პირჯვარი და მაშინღა წარმოთქვა სამადლობელი ლოცვა, როდესაც შორიდან ლიძბარკის კოშკები დალანდა.

მემარხილემ ციხე-კოშკის შესასვლელთან გააჩერა მარხილი და, დარწმუნებულმა, კანონიკს მოუთმენლად მოელიანო, ოდნავ მიუკაკუნა თუჯის კარს, მაგრამ მეორედაც, მესამედაც დასჭირდა მას კარის დაკაკუნება. მამა მიკოლაი ხელებგადაჭდობილი იჯდა და ყურადღებას არ აქცევდა შეყოვნებას. ბოლოს და ბოლოს ჭიშკარი გაიღო. ფარნიანმა კაცმა სიბნელისაკენ დაიხია. მამა ტიდემანი უყურებდა მეკარეს და ფიქრობდა, „რანაირად მოკაკავს ხოლმე კაცს ეს სიცივე, მეკარე ბარტეკი ლამის ორჯერ დაბალი მეჩვენებაო.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, — წარმოთქვა მამა მიკოლაიმ ჩვეული მისალმება, შემდეგ მოულოდნელი სისხარტით გადმოხტა მარხილიდან და ფარნიანი კაცისკენ გაექანა: — პან კონოპკა! დიდი ხანია ჩამოხვედი? სად არის კასპერი?

„არამც და არამც ძმა მიკოლაი არ დაბერებულა! — გადაწყვიტა თავისთვის ტიდემან გიზემ. — ახალგაზრდაა კვლავ სულითაც და ხორცითაც!“

— გამარჯობათ, კარგო პან კონოპკა! — მიესალმა ბოცმანს ტიდენმანიც.

— კასპერი სადღაა? — იმეორებდა გაღიმებული კოპერნიკი. — ნუ გეშინია, ალბათ გველოდა, გველოდა და დაღლილმა რომელიმე სენაკში მიიძინა, თუ ჩემს ჯაბუკ მეგობარს სხვა ჩვეულებები დასჩემდა?

პან კონოპკა ხმას არ იღებდა.

„რა თქმა უნდა, მგზავრობით დაღლილ კასპერს დაეძინებოდა და ახლა პან კონოპკა ხელს აფარებს. ადრეც ხშირად უქნიათ ასე... — გაიოვიქრა მამა მიკოლაიმ, თან გაკვირვებითა და შეშფოთებით შკერდზე მოიკლო ხელი, — ასე რატომ მიჩხვლიტა გულმა?!“

— მაინც რას ჩავაციედი კასპერს, როცა მე თვითონ ვურჩიე, იტალიაში დარჩი-მეთქი სწავლის გასაგრძელებლად... — ღიმილით ცდილობდა კოპერნიკი მღელვარების დაფარვას.

პან კონოპკა დუმდა.

— ბოლოს და ბოლოს, სად არის კასპერი?! — ლამის იყვირა ტიდემან გიზემ, ბაგრამ მამა მიკოლაის გადაციებულ სახეს რომ შეხედა, ძალდატანებით გაიღიმა. — დაგვამშვიდე რაღაცით, კარგო პან კონოპკა, გვითხარი, სად არის კასპერი... თავისი ცეცხლწაკიდებული ქოჩრით რომელ იტალიურ ქალაქში იქცევს თვალწარმტაცი სინიორინების ყურადღებას?

ბოცმანმა ხმიერად გადაყლაპა ყელში გაჩხერილი ცრემლი.

— დამსაჯეთ! — დაიხრიალა ბოლოს. — ვერ მოვუარე ჩვენს კასპერს! ვაი ჩემს თავს, ვაი! — ბოცმანი კონოპკა კანონიკების წინ ღრიალით ჩაემხო თოვლში. — კასპერი გალერაზე მონად გაყიდეს! სკამზე ჯაჭვითაა მიბმული ჩვენი კასპერი!

... თუ ეპისკოპოსი ციხე-კოშკში არ იყო, მამა მიკოლაის ბრძანებით სადილს მცირე დარბაზში შლიდნენ. ამ დარბაზის კედელთან მოოქრული არფა იდგა, ხოლო თაროებზე სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი იყო ჩამორიგებული. მისი უსამღვდელოესობა ვარმიის ეპისკოპოსი იშვიათად თავისუფალ დროს თუ მოიხელთებდა, აქ შეიქცევდა ხოლმე თავს მუსიკით.

ამ პატარა შენობის გათბობა გაცილებით იოლი იყო, ვიდრე უზარმაზარი სატრაპეზოსი ან ბიბლიოთეკისა და მეუფის არყოფნაში სასადილოც აქ გადმოჰქონდათ ხოლმე. ეს წესი შემოიღო მამა მიკოლაიმ — როგორც ერთხელ ფილიპ ტენშერმა ბრძანა, მისმა „ძუნწმა სახლიკაცმა, ტყიდან მოტანილ შეშასაც რომ ზოგავდა“!

კერძები მოხუც ვოიცეხს შეჰქონდა და გამოჰქონდა.

მოხუცს არავისთვის არაფერი უკითხავს, იგი ისედაც მიხვდა, რომ სტუდენტ კასპერ ბერნატის თავს რაღაც უბედურება დატრი-

ალებულიყო: პან ბოცმანს მისი მოკითხვა არავისთვის ჩამოუტანია. ეს ბატონებიც კერძებს გემოს გაუსინჯავად აბრუნებდნენ სამზარეულოში და ნამა-პაპეული სასმელით სავსე შტოფიც ხელუხლებელი დატოვეს, მიუხედავად იმ სიცივე-ყინამათში ისეთი მომქანცველი მგზავრობისა!

ნიკოლაი კოპერნიკმა პან კონოპკასაგან მოისმინა რომში, ვენეციასა და კონსტანტინოპოლში მგზავრობის ანგარიში და შემდეგ ყურადღებით წაიკითხა მაგისტრის წერილი. მანაც და მამა ტიდემანმაც მაშინვე იცნეს ალბრეხტის ხელი, რომლის სინამდვილეს ადასტურებდა მათთვის კარგად ნაცნობი ტევტონთა ორდენის ბეჭედი.

— როგორ გაახარებს ეს დოკუმენტი მის უსამღვდელოესობას!— თქვა მამა მიკოლაიმ და ბოცმანს შეხედა. — წერილს იგი დაუყოვნებლივ გადასცემს მეფეს, მასზე უკეთესად ვერავინ მოაგვარებს ამისთანა საქმეს. მხოლოდ მის უსამღვდელოესობას ეყოფა ჭკუაცა და სიმტკიცეც, მეფეს მაგისტრის ვერაგობა გაუმჟღავნოს... ვიცი მისი უდიდებულესობის ხასიათი: დიდი ხანია მაგრობს და არ უნდა თავისი დისშვილის ღალატი დაიჯეროს, მაგრამ თუ ერთხელ ირწმუნა, სამუდამოდ გაწყვეტს ორდენთან კავშირს! კარგია, რომ ზამთარია და კშიჟაკებს ძალა არ მოუკრებიათ პოლონეთთან დასაპირისპირებლად! მეფეცა და ეპისკოპოსიც უეჭველად მიიღებენ ზომებს კასპერის ტყვეობიდან დასახსნელად... გაცვლა იქნება თუ გამოსყიდვა... ოღონდ ზუსტად გაგებაა საჭირო, სად არის ახლა კასპერი...

— ღმერთს თვალი არ მიუწვდება, მეფეს კიდევ — ხელი, — გააწყვეტინა პან კონოპკამ. — სანამ მისი უსამღვდელოესობა და მისი უდიდებულესობა სახელმწიფო საქმეებს მოაგვარებდნენ, ეს საზღვრების გამაგრებაო, ის რაზმების აღჭურვაო, გვარიანი დრო გავა, იმ ბიჭს ამასობაში სული ამოხდება კიდევაც შიმშილით, წყურვილითა და ჯაფით, თუმცა იმისი მამაცა და მეც გაჭირვებას არ ვარიდებდით, არ ვცდილობდით ერთი ვინმე ბატონკაცი გამოგვეზარდა... მე სხვა რამეც მაღონებს: ძალზე ფიცხი სისხლი უდგას ჩვენს კასპერს! გაფიქრებაც საძნელოა, მაგრამ,. ვაი თუ მათრახები ვერ აიტანოს და ამას სიცოცხლე გადააგოს... ვფიქრობ, მეფისა და ეპისკოპოსის დაუხმარებლადაც შეეძლებთ...—პან კონოპკამ აღარ დაამთავრა ფრაზა და ნაჭრის აბგა ჩხრიალით დადო მაგიდაზე. — გამოსასყიდია! — თქვა ბოჭრით. — ჩემი ხელფასია, „სანტა ლუჩიაზე“ აღებული, კასპერის ხელფასი და კაპიტან ზიტოს ანდერძით ჩვენზე მოკუთვნებული ფული... გითხარით, როგორც

შოკედა კაპიტანი... კარდინალი მაძინის ახალგაზრდა ძმისშვილმაც, სინიორინა ბეატრიჩემაც შესწირა კასპერის განთავისუფლებას ს[illegible] თასი ცეხინი, მაგრამ მთელი ეს ფული საკირო თანხასთან შედარებით არაფრად გამოჩნდებოდა, ძისი მაღალყოვლადუსამღვდელოებობა რომ არ დაგვსარებოდა. კარდინალმა ბაძინმა სამი ათასი ფლორინი გამოგიგზავნათ და ბიბრძანა გადმოგცეთ, რომ ეს ფული მის უწმინდესობას ვარშიის დიაცეზის საჭიროებისათვის გამოთხოვა... მაგრამ პაპმა ეს ოქრო ხელიდან ხელში გადასცა და ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, ამიტომო, დამბარა თვით კარდინალმა მაიინმა, ხეგიძლიათ მთელი ეს ფული კასპერის გამოსყიდვას მოახმაროთო.

მამა ტიდემანმა შეშფოთებით შეხედა მამა მიკოლაის: ავნეახი ხშირად დაიეჯითებით ირწმუნებოდსენ, ვაცეწროდიცა და მისი ორივე ძმისშვილიც სინდისის შეუწუხებლად აფათურებენო ხელს ვარშიის ფულის ზანდუკში, მაგრამ სხვამ თუ არა, მან, ტიდემან გიზემ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ამ ჭორში იოტისოდენა სიმართლეც არ ერია!

მართალია, საწყალი ანჯეი ახალგაზრდობაში დიდი მხარჯველი იყო, ხანდახან ბიკოლაიც ირენდა თავქარიანობას და ვალებს ღებდა, მაგრამ ეს ვალები ეპისკოპოსმა თავის დროზე საკუთარი თანხებით დაფარა უკანასკნელ კაპიკამდე. ეს ყოველივე დიდი ხნის ამბავია, ახლა მიკოლაი, აგერ, უკვე მრავალი წელიწადია უბრალო, მეტიც, მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობს. მგლისტყავგადაფარებულ ფიცრებზე სძინავს, უბრალო ბერის სამოსს იცვამს, ვარკვლავებსე დასაკვირვებელ ინსტრუმენტებს თავისი ხელით იკეთებს, საჭმელ-სასმელსა და შეშასაც კი გამოზოგვით ხარჯავს. თუ ლუკაშ ვაცენროდი კიდევ კოსტიოლების შემკობასა და მდიდრულ ბიღებებზე დიდძალ ფულს ხარჯავს, ამას ან უფალი ღმერთის ან პოლონეთის სადიდებლად სჩადის.

ორივე კანონიკის სიჩუმით შეწუხებულმა ბოცმანმა ბოლოს გაბედა და კოპერნიკს გახედა. კოპერნიკს თავისი გრძელი თითები ერთმანეთში გადაეჭდო და გაუნძრეველად იჯდა. მხოლოდ საფეთქლებზე უცემდა დაძაბული ცისფერი ძარღვი, ხან ამოებურცებოდა, ხან ჩაუცხრებოდა.

— ეგ სამი ათასი ფლორინი ვარშიის დიაცეზის საკუთრებაა, — თქვა ბოლოს ჩამქრალი ხმით, — დადგენილია, რომ ეგ ფული ცხენოსანთა რაზმის შესაიარაღებლად და ორი ბომბარდის საყიდლად დაიხარჯოს. კარდინალმა მაძინმა არ იცის ჩვენი ეს გადაწყვეტილება, თორემ მასეთ რჩევას არ მომცემდა.

ბოცმანმა კონოპკამ სასოწარკვეთით გახედა კუთხეში მდგარ ვეება ჯვარცმას, თითქოს უფალს საშველად უხმობსო, მერე ეს სასოწარკვეთილი მზერა მამა ტიდემახ გიზეზე გადაიტანა. ტიდემანს მათრახივით მოხვდა მისი გამოხედვა და გადაწყვიტა, მეგობარს შეკამათებოდა:

— ეს წერილი რომ არ მიგვეღო, რომლის ჩამოტანაში ღირსეულმა პან კონოპკამ იმდენი საფრთხე გამოიარა და როშელსაც კასპერ ბერნატის თავისუფლება შეეწირა, არ ვიცი, დიაცეზს არმიის შეიარაღება ან ბომბარდების ყიდვა დასჭირდებოდა თუ არა... ამიტომაც, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ეს წერილი სამი ათასი ფლორინი უეჭველად ღირსო!

— ეს წერილი უკვე ვარმიას ექვსი ათასი ფლორინი დაუჯდა, კასპერისა და პან კონოპკას სამგზავრო ხარჯების მიუთვლელად... — მტკიცედ მიუგო კოპერნიკმა. — მე მაინც შევეცდები დანაკლისი თანხა სხვა გზით შევავსო.

კოპერნიკი ოთახიდან გავიდა, მამა ტიდემანმა და ბოცმანმა ვერც მოასწრეს ერთმანეთისათვის გაკვირვებით გადაეხედათ, რომ უკანვე დაბრუნდა. გამოწვდილ ხელში ჭრელ აბრეშუმში გამოხვეული რაღაც ნივთი ეჭირა.

— შეიძლება ძალიან ძვირფასი არც იყოს, — თქვა შეჭირვებით, — მაგრამ ტორუნში წმინდა ანას ქუჩაზე სულ სხვა აზრისანი იყვნენ ამაზე.

მიკოლაი კოპერნიკი თავისი მამის, ტორუნის ბურგომისტრის სახლს გულისხმობდა.

როგორც კი ჭრელი აბრეშუმის ნაჭერი გაშალა, პან კონოპკამ მაშინვე იცნო ძვირფასი ქვებით მოჭედილი ჯვარი. მრავალი წლის წინ პანი ბარბარა კოპერნიკოვა ამ ჯვარს ბოცმანს ძალით ჰკიდებდა კისერზე, ვისლის ყინულივით ცივი ტალღებიდან ორივე ვაჟის გადარჩენის საზღაურად.

— თოთხმეტი ზურმუხტია, ექვსი ლალი, ოთხი დიდი მარგალიტი, წვრილები კი არც ვიცი, რამდენია, — თქვა კოპერნიკმა.

მიკოლაიმ მოსწავლის ისეთი გულმოდგინებით ჩამოთვალა ძვირფასი ქვები, ტიდემან გიზე მიხვდა, რა განძიც იყო ეს ჯვარი კოპერნიკების ოჯახისათვის. ყოველივეს პან კონოპკაც მიხვდა, მაინც დათრგუნა მღელვარება და ეს საოჯახო ნივთი ნაჭრის აბგაში ჩაუშვა.

— გდანსკელი ოქროს ოსტატები, უეჭველად, უფრო მეტს გადაგვიხდიდნენ, მაგრამ ცოდოა ამის დაკარგვა... — ოხვრით თქვა ბოცმანმა. — იქვე, გდანსკში, თევზის ქუჩაზე, ერთ ფლამანდელს ვიც-

ნობ, ის დაგირავებული ძვირფასეულობის შესატყვისად იძლევა ფულს. ის ჩვეულებრივ მოვაჭრეზე ნაკლებს მოგვცემს, მაგრამ ჩვენ ეს უფრო გვაძლევს ხელს: ღმერთმა ქნას და გადატანილი ვაების სამაგიეროდ თვითონ ბისკუპმა მოინდომოს კასპერის ტყვეობიდან გამოსყიდვა... მაშინ ფლამანდელს დავუბრუნებთ თავის ფულს, ეს ძვირფასი ნივთი კი კვლავინდებურად თქვენს გვარს დარჩება...

— ჩემი გვარი ჩემით მთავრდება, — ნაღვლიანი ღიმილით შეეპასუხა კოპერნიკი, — ეს ჯვარი ანჯელისათვის უნდა გამეტანებინა, მაგრამ არ წაიღო: ლეპროზორიუმში არც დასჭირდებოდა ასეთი ძვირფასი ნივთი. ჩვენთვის კი ახლა ყველაზე მთავარი კასპერის განთავისუფლებაა. ამიტომ გთხოვთ, პან კონოპკა, ჯვარს ნუკი დაგირავებთ, გაყიდეთ! დროს დაკარგვა არ შეიძლება! მე ახლავე წერილს დაგიწერთ ძია ლუკაშის მხრიდან ჩემს ბიძაშვილთან, მიკოლაი ფებერ უმცროსთან, და სასწრაფოდ მოგაწყობთ გდანსკის რომელიც გინდა გემზე. მაგრამ ამ წერილის მისატანად ცოტა გზიდან გადახვევა დაგჭირდებათ: მიკოლაი ახლა ტჩევშია, ჩვენს სხვა ბიძაშვილთან...

მამა მიკოლაიმ დაინახა, რომ ბოცმანმა დაბნეულად გაშალა ხელები და მკაცრად გაუმეორა:

— ხომ გადავწყვიტეთ, დრო არ დავკარგოთო... ვარაუდობთ, რომ სხვის დაუხმარებლად გდანსკში ყველა გემზე მოახერხებთ მოწყობას? მაგრამ ვინ იცის, თქვენი ძველი ნაცნობებიდან ახლა იქ ვინმე დაგხვდებათ?..,

პან კონოპკაც იძულებული გახდა, დათანხმებულიყო, ასე უფრო საიმედო იქნებაო.

— ჰოდა, დროს დაკარგვა არ იქნება! — თქვა კონოპკამ და ფეხზე წამოდგა. — გამიმზადეთ წერილი. ხვალ ადრიანად, სანამ თქვენ ადგებოდეთ, ტჩევისკენ გავწევ. იმ თურქი ვაჭრის სახელი ვიცი, ვის ხელშიც ჩვენი ბიჭი ჩავარდა. ვისაც მიჰყიდა, იმის სახელსაც გავიგებ... მაგრამ უბედურება ეგაა, რომ ქრისტიანს ქრისტიანის დახსნა უფრო უჭირს, ვიდრე თურქის, არაბის ან ალჟირელის... თუ მიმხხვდნენ, რისთვისა ვარ ჩასული, ღმერთმა იცის, ფასს სად შეჰკიდებენ! ამიტომ მგონია...

„სჯობდა, მამა გიზეს ცალკე მოვლაპარაკებოდი ამის თაობაზე, — გადაწყვიტა კონოპკამ გუნებაში, — ეგ უფრო შემწყნარე და დამთმობია...“

გვიან საღამოს იაკუბ კონოპკა მამა გიზეს ოთახიდან მეტისმეტად შეჭირვებული სახით გამოვიდა. რაც გინდ შემწყნარე ჰგონე-

ბოლ ა კანონიკი, ბოცმანის თხოვნაზე ცოდვები „წინდაწინ“ მომიტევეო, გადაჭრით უთხრა უარი.

— ინდულგენცია არა მაქვს, — უთხრა მისთვის უჩვეულო სიმკაცრით, — მაგისათვის ან მამა დომინიკანელებს უნდა მიმართოთ, ან და მოხეტიალე ბერებს, ინდულგენციებს მაგათ უგზავნის მისი უწმინდესობა...

ის რჩევა კი, რომელიც კანონიკმა ბოცმანს მისცა, კონოპკამ ყურადღების ღირსად მიიჩნია.

— თქვენ გინდათ, მაჰმადიანობა „მოსაჩვენებლად“ მიიღოთ და ამიტომ თხოულობთ ცოდვათა მიტევებას? — ჰკითხა კანონიკმა. — მამულისა და სარწმუნოების ღალატი უმძიმესი დანაშაულია და არა მგონია, თუნდაც პაპმა, იულიუს მეორემ მოგიტევოთ მაგისთანა ცოდვა!

პან კონოპკა განსხვავებული აზრის იყო ამის თაობაზე. მამულის ღალატი მასაც უდიდეს ცოდვად მიაჩნდა, მაგრამ იქ, იტალიაში, წმინდა ტახტის სიახლოვეს შეხვედრია ხალხს, რომელთაც სამშობლოსთვისაც უღალატიათ, სარწმუნოებისთვისაც, მაგრამ მერე პაპს კვლავ გადაუფარებია კათოლიკური ეკლესიის კალთა... თუნდაც ის კონსტანტინეპოლელი ავიღოთ, რომელსაც მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ კარდინალმა მაძინმა თვითონ უნდა უშუამდგომლოს წმინდა ტახტის წინაშე... მაგრამ ტიდემან გიზეს სულ ბოლოს ნათქვამმა რჩევამ მიიქცია პან კონოპკას ყურადღება.

— თქვენ იმედოვნებთ, რომ ისლამის სარწმუნოებაზე გადასვლით უცებ დაიმსახურებთ თურქთა ნდობას? სცდებით! — ეუბნებოდა კანონიკი, — მრავალი წელი დაგჭირდებათ, სანამ მათს ქვეყანაში თქვენს ნებაზე სიარულს, საქმეების გარიგებას, გალერებზე ასვლასა და მონების დათვალიერებას შეძლებთ. რაკი კარგად იცით თურქული ენა და მარტო თურქებთან კი არა, ალჟირელებთან, ტუნისელებთანაც შეგიძლიათ ლაპარაკი, გერჩევთ, თურქი ვაჭრის ტანსაცმელი შეიძინოთ... თქვენ ისე ხართ გაშავებული, ყველაზე კირკიტა ჩაფარიც ვერ იფიქრებს თქვენს ევროპელობას, ამ ხერხით უფრო ადვილად მოინახულებთ გალერებს... თუ ხანდისხან, თავის მოსაჩვენებლად, ნამაზის შესრულება მოგიხდებათ, ამ ცოდვას კი მოგიტევებთ, — ღიმილით დაურთო მამა ტიდემანმა, — მაგრამ სარწმუნოების გამოცვლა, ჯვარზე ფეხის დაბიჯება, უფალი ღმერთისა და წმიდა ქალწულისგან-გამიჯვნა კი... არა, არა, მაგაზე ფიქრსაც კი შეუძლებლად მივიჩნევ!..

იაკუბ კონოპკამ დილაადრიანად დატოვა ლიძბარკის ციხე-კოშკი. ბეკარე ურჩევდა: მოიცადე, სადაცაა, ტჩევიდან გლეხები

ჩაშოვლენ საზიდრებით და იმათ გაჰყევიო, მაგრამ ბოცმანმა ივარაუდა, ფეხით უფრო დროულად ჩავალ, რას ვიდგე და ველოდო, შეიძლება გლეხები სულაც არ ჩამოვიდნენო. თან იმასაც იმედოვნებდა, ვინმე წამომეწევა და გზად გამაყოლებსო.

— მიკოლაი ფერბერი პან კონოპკას ტრეენში აღარ დახვდა, მაგრამ გდანსკელ გემთმეპატრონეებთან წერილი მამა მიკოლაის სხვა ბიძაშვილმა, ლუკაშ ალენმა დაუწერა. ბოცმანს გულუხვად გაუმასპინძლდნენ, საგზალიც გაატანეს და საუცხო ცხვრის ტყაპუჭიც ჩააცვეს, — რაც უფრო მიუახლოვდები გდანსკს, უფრო აგიცივდებაო.

მართლაც, რაც უფრო უახლოვდებოდა პან კონოპკა გდანსკს, სიცივე უფრო მატულობდა: ან გაშლილი ადგილის ბრალი იყო, ანდა ყინვა უჭერდა თანდათან.... ბოცმანმა მაშინღა ამოისუნთქა შვებით, როდესაც მზემ ცოტათი დაათბო, გზაც მალე გადაუხვევდა ხევისკენ, ტყისაკენ და სითბო იქ უფრო ჩადგებოდა.

ბოცმანმა გადაწყვიტა ხევ-ხევ, გზის გასწვრივ ეევლო, ოღონდ ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რომ გზას არ ასცდენოდა. ზემოთ, გზაზე, მგზავრები ხან ცხენებით გაივლიდნენ, ხან მარხილით. ხან ურმებით, ხანაც კარეტით, მაგრამ ყველა აქეთ მომავალი იყო, პან კონოპკას ერთიც არავინ დამგზავრებია. ბოლოს საიდანღაც, კარგა შოშორებით თვლების რახრახი გაისმა. პან კონოპკა ტყიდან გამოვიდა და გზას ხელმოჩრდილვით გახედა. „ეჰ, ბედი არ გინდა, ეგენიც აქეთ მომავლები არიან!“ — გაიფიქრა და, გრძლად გაჭიმული პროცესია რომ დაინახა, გულმოდგინედ გამოისახა პირჯვარი: კონოპკას მდიდრული საშგლოვიარო პროცესია უახლოვდებოდა. წყვილ-წყვილად შეშმულ ჯიღიან ცხენებს დინჯი ნაბიჯით მოჰქონდა კაკებზე შედგმული უზარმაზარი ვერცხლის კარეტა. ყინვით მოსარკულ გზაზე კარეტას ბატონების და ქალბატონების მცირე ჯგუფი მოჰყვებოდა. იმაზე კარგა ხნით ადრე, სანამ ეს ხალხი გამოჩნდებოდა, სიცივით გაუხეხებულმა ჰაერმა მათი ხმაური — ქალების ტირილი, შოლტების ტყლაშუნი და ფორვეიტერთა შეძახილები — მოაწვდინა კონოპკას ყურთასმენას.

თითქმის ყველა გამყოლი ბეწვის ქურქში იფუთნებოდა. ანდა სუსხიანი პირქარისაგან განიერი სახელოებით იცავდა თავს.

„აჰა, თფრმე მარტო მე არ ვეფარები ხევს“, — გაიფიქრა ბოცმანმა, როცა დათოვლილი ბუჩქებიდან თავი გამოყო გამხდარმა, სიცივისაგან წელში მოკაკულმა გლეხკაცმა.

— ვის მოასვენებენ, თუ იცი? — ჰკითხა პან კონოპკამ, მაგრამ

გლეხკაცმა ტირილისაგან დაწითლებული თვალები გაუგებრად მიაპყრო უცნობს. შემდეგ ოხვრით გამოისახა პირჯვარი და თავისთვის ჩაიდუდუნა:

— უბედურება, დიდი უბედურებაა ჩვენს თავს!

— მოსახლე თუ გამოჩნდება მალე? — დაუყვირა ბოცმანმა მიმავალს, მაგრამ პასუხი ვერც ახლა მიიღო.

მოსახლეს პან კონოპკა ბინდისას მიადგა: ის ღამე კეთილ ხალხთან გაათია, მეორე დილას კი იქირავა ორცხენშებმული ფორანი და გდანსკისკენ გასწია, მაგრამ გზაში გადახდენილმა ამბავმა ბოცმანი აიძულა, პირველ განზრახვაზე ხელი აეღო და კრაკოვისაკენ გაეხვია.

გამხდარმა, ჩამოხეულმა, წელში გატეხილმა პან კონოპკამ კრაკოვს სამი კვირის მერეღა ჩააღწია უტყაპუჭოდ და, რაც მთავარია, იმ სანუკვარი ნაჭრის აბგის გარეშე.

ის, რაც გზაში შეემთხვა, პან კონოპკამ პირველად კასპერის ამხანაგებს ამცნო მათს საერთო საცხოვრებელში, რადგანაც კრაკოვში ჩასული პირდაპირ იქით გაემართა.

— ზბიშეკი სადღაა? — იკითხა ბოცმანმა, სენაკში მხოლოდ სტაშეკი და ჰენრიხი რომ დაინახა.

მეგობრები დუმდნენ. ისინი ისე გააოგნა კასპერის ამბის გაგებამ, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდათ. მათ კარგა ხნის მერეღა გაიხსენეს ზბიშეკი.

— ზბიშეკი ეგრე იოლი სანახავი კაცი აღარაა! — თქვა სტაშეკმა. — ძველებურად ერთხელ აწოწილო-მეთქი დავუძახე და ისე შემომბღვირა... ახლა იგი ჩვენს ბურსაში კი აღარ, კაეტანას ოჯახში ცხოვრობს, იმ დომინიკანელის ოჯახში, ერთხელ მოხუცმა სუხოდოლსკიმ სახლიდან რომ გამოაგდო... დომინიკანელები ახლა ძალმოსილი ხალხია. ზბიგნევიც დიდი კაცი გამოვა! მაგრამ თქვენ ნუ გეფიქრებათ, როგორც კი თქვენს ჩამოსვლას გაიგებს, აქ გაჩნდება!

ასეც მოხდა. გულამოვარდნილი, მღელვარებისაგან გადაფითრებული ზბიგნევი ოთახში შეიჭრა და ბოცმანს გადაეხვია.

კასპერის მეგობრები სულ სხვადასხვაგვარად შეხვდნენ პან კონოპკას მოტანილ ამბავს. ზბიგნევს ბოლომდე არც მოუსმენია ბოცმანისათვის, ჯიბიდან ქისა ამოიღო და რაც ფული ჰქონდა — რამდენიმე ტალერი და ერთი მუჭა წვრილი მონეტები — მაგიდაზე წამოცალა.

— მამაჩემი გაჯავრებულია ჩემზე, მაგრამ არა უშავს, დედაჩემი მაინც გამომიგზავნის ფულს! — თქვა ჭაბუკმა. — მართალია, მეტად

მცირეა, მაგრამ ალალი გულითა ვდებ. მე ახლავე მოველაპარაკები აკადემიის ბიჭებსა და ზოგიერთ მამა მოძღვარს, იმათ, ვინც იცნობდა და უყვარდა კასპერი...

სტაშეკსა და ჰენრიხს სულს. იქით არაფერი ებადათ, მაგრამ ესენიც შეჰპირდნენ ბოცმანს, ბიჭებს მოველაპარაკებითო. სტაშეკ კოგუტმა შეიტყო თუ არა, პან კონოპკას ხმლებითა და მუშკეტებით შეიარაღებული გლეხები დასხმიანო თავს, უნდოდ გაიქნია თავი.

— არა მგონია, გლეხებს იარაღი ჰქონოდეთ... რაც თავი მახსოვს, მაგათ ხელში კეტის გარდა არაფერი მინახავს... ცელები რომ გეთქვა კიდევ ჰო, მაგრამ გლეხს ნამდვილი იარაღი არა აქვს.

— ჯერ არა აქვს! — გაუსწორა ჰენრიხმა. — გლეხები არც დაესხმოდნენ კონოპკას. — რაკი პან კონოპკამ გაკვირვებით შეხედა, შეცბუნებულმა ჰენრიხმა დაურთო: — რომელიმე გაპრანჭულ შლიახტიჩს კიდევ ჰო, შეიძლება დასცემოდნენ... მეტისმეტად არიან აყელთებულნი იმათგან...

როდესაც სტაშეკმა და ჰენრიხმა შეიტყვეს, გლეხთა მეთაურს „მასკის მინამგვანი“, პან კონოპკას თქმით, იტალიაში კარნავალებზე რომ უნახავს ხშირად, სახე ისეთი ტილოს ნაჭრით ჰქონდაო დაფარული, ერთხმად იყვირეს:

— გლეხები არა, კშიჟაკები იქნებოდნენ. მეთაური ალბათ ცნობილი პიროვნებაა და სახე იმიტომაც დაუმალავს, არ მიცნონო...

ბოცმანმაც უფრო კარგად გაიხსენა თავდასხმის ყოველი წვრილმანი და დაასკვნა, გლეხები არ იქნებოდნენო. კშიჟაკებისა რა ვიცი, მაგრამ გლეხები, მართლაც, არ იყვნენო.

— არა ტყუიხართ, ომის საქმეს მიჩვეული ხალხი იყო, — აღიარა ბოცმანმა. — ვებრძოდი, როგორც შემეძლო, მაგრამ რას ამბობ! შემკრეს უენო ხბოსავით, წამართვეს ლიძბარკელი მზარეული დედაკაცისაგან გამოტანებული ღვეზელების ტოპრაკი და იმდენი იქექეს, ოქრო და ძვირფასი ჯვარი რომ მქონდა შენახული, იმ აბგასაც მიაგნეს. ოქროს დანახვაზე ამბავი დაიწყეს — ლამის დაცოფდნენ! ჰო, ჰო, ეხლაღა მაგონდება: ერთმანეთში გერმანულად იგინებოდნენ... ოქრო იშოვეს, იქნება ტყაპუჭი მაინც შემარჩინონ-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ — ტყაპუჭიც გამხადეს!..

აქ ზბიგნევ სუხოდოლსკისაც კი გაეცინა სიმწრით.

— არ შემიძლია, მე აქ, კრაკოვში ვიჯდე და დავიჟინო, არა, კშიჟაკები იქნებოდნენ, არა ჩვენები-მეთქი. სტაშეკისა და ჰენრიხივით ნათელმხილველი არა ვარ, მაგრამ, ვინც გინდა ყოფილიყვ-

ნენ, ჩვენები თუ კშიეაკები, ტყავს პირველ რიგში გაგხდიდნენ... ოქროს და ჯვარს მაინც წაართმევდნენ უფროსები, ტყაპუჭს კი მშვენივრად გამოიყენებენ ზამთარში... ახლა რას აპირებთ, პან კონოპკა, რატომ მაშინვე არ დაბრუნდით ლიძბარკში?

ბოცმანმა ბოღმიანად ამოიოხრა:

— არა სცალიათ ლიძბარკში ჩემთვის... მამა მიკოლაის ახლა არც ჩემთვის სცალია, და, მგონი, არც კასპერისთვის... სულ ეხლახანს, შეიძლება ითქვას, ლამის ცოცხლად დამარხა ღვიძლი ძმა, გამწარებულია კაცი... ანდა რაღა უნდა მარგოს კანონიკმა?.. ერთადერთი ძვირფასი ნივთიღა ჰქონდა და ისიც მომცა... სულ სხვა ფიქრები მიტრიალებს თავში და იმიტომ ჩამოვედი კრაკოვში. პროფესორ ლანგეს, მიტას მამის სახლი უნდა მაჩვენოთ, ბიქებო, გამიგონია, ბევრი ფული აქვსო... მე კონოპკა არ ვიქნები, თუ კასპერის გამოსასყიდი ფული არ გამოვთხოვო...

— ეჰე, პანიმ პანენკობა გაიხსენაო! — დაუსტვინა ჰენრიხმა. — ჩვენი პროფესორი კშიეაკებთან ჰოროსკოპის შესადგენად წავიდა და წავიდა, აღარც დაბრუნებულა. როგორც ჩანს, კრულევეცში გაცილებით მეტს უხდიან. ეტყობა, ეგ საქმე წინდაწინ მოფიქრებულიც ჰქონდა, თორემ შვილს რაღად წაიყვანდა თან? მამა რექტორი გაცეცხლებულია, მაგრამ რა უნდა ქნას: სტუდენტებსაც და პროფესორებსაც ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში თავისუფლად გადაბარგების უფლება აქვთ...

— მაშ, პროფესორი აქ არ არის? — თავზე ხელები შემოიწყო ბოცმანმა. — არც პანა მიტა? არც წერილი მოუწერია კრაკოვში? — ბოცმანს არა და არ ერწმუნებოდა, რომ მიტამ ასე ჩქარა და იოლად დაივიწყა კასპერი, — ალბათ, მამამ აუკრძალა წერილის მოწერა...

— შეიძლება მასეც იყოს, — უპასუხა ჰენრიხმა, — ისიც შეიძლება, რომ კრულევეცში ვინმე ფულიან, სათვალიო ვაჭარს გადაეყარა და დაივიწყა ჩვენი გაღლეტილი სტუდიოზუსი კასპერი.

ბოცმანი წამოენთო:

— გაღლეტილიო? გაღლეტილი შენ თვითონა ხარ! აქ თქვენსავით სტუდენტური ანაფორა ეცვა... მაგრამ თქვენ რომში უნდა გენახათ! კარდინალმა მაძინმა თავით-ფეხამდე შეჭოსა. ერთ რამედა ღირდა ბატონკაცურად ჩაცმულ-დახურული კასპერის ნახვა, — გამომწვევად თქვა ბოცმანმა.

— ალბათ წითური თმის გამო, — ცხვირში წაიდუდღუნა სტაშეკმა, მაგრამ პან კონოპკამ მაინც მოჰკრა ყური.

— არ ვიცი, თმის გამო იყო თუ რა, მაგრამ კარდინალის ძმის-

წული მთელი დღეები გვერდიდან არ შორდებოდა... აი, ეგრევე ხელიხელგაყრილები გადიოდნენ ქუჩაში (მეტი დამაჯერებლობისათვის ბოცმანმა გადაწყვიტა, ცოტა რამ წაეტრაბახა კიდევაც). სინიორინა კასპერს თვალს ვერ წყვეტდა... მერე, უკან დაბრუნებისას, მათთან რომ მივედი და მოვუყევი, რა უბედურებაც შეემთხვა კასპერს, საწყალმა გოგომ მთელი დღე-ღამე გაუჩერებლივ იტირა. მერე კი თავისი სამზითვო ფული გამომიტანა და მითხრა: „კასპერი თუ არ იქნება, ეს ფულიც აღარ დამჭირდებაო!“

ზბიგნევმა გაკვირვებით ასწია წარბები და ბოცმანს შეხედა. ბოცმანმა ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჯნა იგრძნო, რადგანაც არც ბეატრიჩეს ფულის ამბავი თქვა მთლად სისწორით. ბეატრიჩემ, მართლაც, ბევრი იტირა კასპერის ამბის გაგებაზე, ფულიც მართლა მისცა ბოცმანს, მაგრამ თან ესეც უთხრა: მე და ჩემმა საქმრომ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, დედაჩემისგან მიღებული მემკვიდრეობის ნაწილი იმ პოლონელი კარგი ჭაბუკის გამოხსნას მოვახმაროთო.

„არა უშავს, პურს საფანელი მოუხდებაო“, — გაიფიქრა პან კონოპკამ გუნებაში.

— ახლა რას ფიქრობთ, პატივცემულო პან ბოცმანო, როგორ წავა კასპერის საქმე? — იკითხა სტაშეკ კოგუტმა. — რაღაც ორიოდე ტალერი გაქვთ... ვთქვათ, ჩვენ და ზბიგნევმა კიდევ მოვაგროვეთ ცოტაოდენი, მაგრამ ეგ ფული ხომ გზაშიც არ გეყოფათ... რომამდეც, იმ თქვენს მაძინამდეც ხომ ვერ ჩაგიყვანთ!

— მაინც რისთვის გაგზავნეს კასპერი მაძინთან? — იკითხა უცებ ზბიგნევმა.

— ეგ არც ჩემი ჭკუის საქმეა და არც თქვენი! — მოუჭრა ბოცმანმა. — ჩასვლით კი რომამდეც ჩავალ და კონსტანტინოპოლამდეც, მაგისათვის ფული არ დამჭირდება. სუყველა გემზე კალთებს კი არ დამაგლეჯავენ ორივე ხელით!

რაკი შეატყო, სტუდენტები ეჭვიანი თანაგრძნობით შეჰყურებდნენ გამხდარ, გატანჯულ სახეში, პან კონოპკა მოულოდნელად მძიმე მუხის მაგიდას დასწვდა ერთ ფეხში და მაღლა ასწია.

— ხედავთ? ბოღმისაგანა ვარ ეგეთი... შესახედავი... თორემ ძალა ისევ მომდევს! მაძინი მომცემს ფულს, უეჭველია... ვენეციაში ჩვენი კაპიტნის ქვრივთან, სინიორინა ბიანკასთანაც მივალ, ისიც შემომწირავს ცოტაოდენს — ძალიანაც უყვარდა და შეეცოდა კიდევაც ჩვენი კასპერი! აქ, სანდომირში, ჩემს პანი იაკუბოვასთან გავივლი. ის ჯერ შეიცხადებს, თქმა არ უნდა,

მერე ყველაფერს გაჰყიდის კასპერის გამოსახსნელად. ახსოვს და ძალიან კარგადაც, კაპიტანმა ბერნატმა ალჟირელებისაგან რომ გამომისყიდა!

— ეს რა დამართნია იმ ჩვენს ლუჩუნა კასპერს? — თავი გადაქნია ზბიგნევმა. — აქ მიტაო, რომში — ვიღაც ბეატრიჩეო, ვენეციაში — ბიანკაო.

— ნუ სცოდავ, ჯეილო! — მკაცრად შეუტია ბოცმანმა. — ჩვენი კასპერი ახლა სისხლის ოფლსა ღვრის გალერაზე, ნუ ხვევ უცილო ცილში... კასპერს თითიც არ გაუნძრევია საიმისოდ, რომ ამ სინიორებისა და სინიორინებისთვის თავი მოეწონებინა... იმისი მამაც ეგეთი იყო: მთელი სიცოცხლე ცოლის გარდა არავინ ჰყვარებია, ყველა პორტში კი გასათხოვრებიცა და ქვრივებიც იმისი სიყვარულით დნებოდნენ:

„Angelus"[1]-ის ზარებმა დარეკა.

— ჩემი წასვლის დროა, — თქვა ზბიგნევ სუხოდოლსკიმ, — იმედი მაქვს, პან კონოპკა ჩქარავე მოვბრუნდები... — და ზბიგნევი ისევე ისარნაკრავივით გავარდა, როგორც შემოიჭრა ოთახში.

— უყურე ერთი, რა ღვთისმლოცველი ყოფილა! — წყენით თქვა ბოცმანმა. — იაკუბ კონოპკა ყოველ დღე კი არ მოუვა ეგეთი ცნობებით. ჩემი ფიქრით, შეიძლებოდა ერთი წირვის გაცდენა.

— ეჰ, არც პან სუხოდოლსკი მოელოდა, მაგრამ მისი ვაჟიშვილისაგან დიდი თავგადაკლული ქსენძი, ანდა იქნებ ბერიც კი დადგეს, — კვერი დაუკრა სტაშეკმა, — მეცოდება ბიჭი!

— შენ ვითომ რა, მღვდლობას არ აპირებ? თუ ფიქრობ, მჭევრმეტყველების პროფესორად ანდა ნამდვილ რაინდად დადუღდები? — დაცინვით ჰკითხა ჰენრიხმა.

— მე შლიახტიჩი სუხოდოლსკის ვაჟი არ გახლავარ, — მშვიდად მიუგო სტაშეკმა. — მე ჩვენი კოშუბების მივარდნილ მხარეში წავალ ქსენძად. ერთ-ორ გლეხის ბიჭს ვასწავლი რაღაცას, ხალხში გავრევ და ისიც კარგი იქნება!

— მგზავრობაში გაფრთხილდით, პან კონოპკა, არ გეგონოთ, კშიკაუების გარდა გზაზე სხვა არ ყაჩაღობდეს... — უთხრა ჰენრიხ ადლერმა. — მარტო მაგისტრის მეომრებში კი არა, ჩვენი მეფისა და ბისკუპის...

— ე-ე, ბიჭებო, — სიტყვა ჩამოართვა ბოცმანმა ჰენრიხს და დამრიგებლურად დაუქნია თითი, — ნურც მეფეზე იდებთ ცოდვას

---

[1] Angelus (ლათ). — საღამოს წირვის ლოცვა.

და ნურც ბისკუპეზე!.. რომ გაყურებინათ, რა ამბებიც რომში ხდება, იტყოდით, ჩვენები ეგრეევე ცოცხლად ზეცაში არიან წასაყვანებიო!

— მაშ, მაშ! — ჰენრიხის თვალებში ცეცხლმა გაკვესა.

მაგრამ ბოცმანს ყურიც არ უთხოვებია, ისე გაუტია თავის სათქმელს:

— იქნება მეფეცა და ბისკუპიც ხანდახან ისე არ იქცევიან, როგორც საჭიროა, მაგრამ ვინ არის მათი გამმტყუნებელი? ისინი იმიტომაც არიან მეფე და ბისკუპი, რომ თვით ღმერთმა დაგვიდგინა ბატონებად... არავინ არც უნდა გაამტყუნოს, არც წინააღმდეგი წავიდეს... თუ მაგისთანა მუდრეგი ვინმე აღმოჩნდა, მე თვითონ წავახრჩობ ჩემივე ხელებით!

ჰენრიხმა თავისდაუნებურად ყელზე შემოივლო თითები!

— გვეყოფა, — თქვა მან ბოლოს, — ახლა აქ არც მეფეზეა ლაპარაკი და არც ბისკუპზე...

კიდევ კარგა ხანს მსჯელობდნენ ბოცმანი და სტუდენტები, როგორ დახმარებოდნენ კასპერს. შემდეგ ზბიგნევიც შეუერთდათ. აკადემიის ამხანაგებს ცოტაოდენი ფული მოეგროვებინათ.

— მეტის შოვნის იმედი ნეღარ გექნებათ! — განაცხადა ზბიგნევმა და ვერცხლისა და სპილენძის ფულები მაგიდაზე წამოშალა. — წარმოიდგინეთ, ისეთმა ღარიბებმაც, როგორებიც ფრანეკ ციბულსკი და იას-კაჭკაჭია, უკანასკნელი გროშები ჩამაბარეს... შამა მოძღვრები კი გატრუნულები არიან! — დაასრულა ცხარედ.

— სანდომირში ჩემი ქონებიდან ამოვიღებ კიდევ ცოტაოდენს, — თქვა ბოცმანმა, — ოღონდ ახლა ჭკუას მოვიხმარ, ფულს სადმე სხვაგან საიმედოდ დავმალავ... ისე, ბიჭებო, თუ გაგიგიათ, ზაპოროჟელი უკრაინელები გასაჭირიდან როგორ გამოიხსნიან ხოლმე თავისიანებს? ხომ რა გულადი მეომრები არიან, მაინც არ თაკილობენ გზა-გზა მათხოვრობას და ამხანაგის გამოსასყიდს აგროვებენ...

ამათაც ასე გადაწყვიტეს: არაფერს არ უნდა დარიდებოდა პან კოწოპკა — თუ შეწირულობა იქნებოდა, თუ მათხოვრობა, ოღონდ, რაც შეიძლება, სწრაფად მიეღწია რომელიმე გემამდე, შემდეგ კი — იტალიასა და კონსტანტინოპოლამდე.

უკვე შუაღამე იყო, ბოცმანმა კრაკოვი რომ დატოვა. გზა ნაცნობი იყო: — კაზიმიჟი, კლეპაჟი, შემდეგ სამიკიტნო „ტახის თავი“, სადაც ერთხელ ისა და ვაჭარი კუგლერი გაჩერდნენ.

პან კონოპკამ მუქლურჯად ჩაბნელებულ, ვარსკვლავებით მოჭიქულ, სიცივისგან გაჭახჭახებულ ზეცას აღაპრო თვალები.

— იესო ქრისტეს! დედაო ღვთისავ! წმინდაო კასპერ! — წარმოთქვა და ვედრებით გადაიჭდო ხელები გულზე. — შეიწყალეთ და გადაარჩინეთ ჩემი ბიჭი, ნუ გასწირავთ ქრისტიანის სულს დასაღუპავად!

თავი მეცამეტე

ღრუბლები ლიძბარკის თავზე

იტალიაში წასვლის წინ სტუდენტმა კასპერ ბერნატმა კანონიკ კოპერნიკს ჩააბარა თავისი დღიური, რომელსაც იგი 1509 წლიდან წერდა.

ლიძბარკში ყოფნისას კასპერმა ერთხანობა ისიც იფიქრა, დღიური ხომ არ დავხიოო. ჩემს ცხოვრებაში ღირსსახსოვარი არაფერი ხდება და საყვარელ გოგოსთან განშორებაზე წუწუნი კი მხოლოდ ღლაპების ხელობააო! სიტყვაზე, ჭაბუკმა სტუდენტმა დათვალა და მიტას სახელი ოცდაორჯერ შეხვდა გამეორებული.

თავის განზრახვაზე ახალგაზრდა კაცს მხოლოდ მამა გიზესთან საუბარმა ააღებინა ხელი და ამგვარად გადარჩა მისი მესაიდუმლე ლურჯი რვეული დახევას.

„ყოველი კაცი თავისი ცხოვრების მანძილზე ისეთი ამბების მოწმე ხდება, რომლის აზრსა და მნიშვნელობას უცებ ვერ ჩასწვდება, — უთხრა ერთხელ მამა ტიდემანმა. — რა ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ ძველ დროშიც და ახლაც, სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებმა დღიურის წერა შემოიღეს და განურჩევლად შეაქვთ შიგ თავიანთი ყოველდღიური ამბები. გადის წლები, ამ ჩანაწერთაგან ყველა მცირე-მნიშვნელოვანი ამბავი იცხრილება და ცნობამოწყურებულ თაობათა წინაშე თვალნათლივ იკვეთება ეპოქა, ამ ეპოქის ის უდიდესი ადამიანები, რომელთა გვერდითაც ან ცხოვრობდა დღიურის ავტორი, ანდა რაღაც სმენია მათზე“.

ამ საუბრის შემდეგ, როცა კასპერი ლურჯ რვეულში თავის მოსაზრებებს, ანდა რომელიმე მომხდარ ამბავს იწერდა, უფრო იმას ცდილობდა, დროს ნაკლებად გაეცხრილა მისი აზრები, ასეთი მიზანდასახულობა კი ჭაბუკის ხასიათისთვის შეუთავსებელი იყო, ამიტომ გული აიცრუა დღიურის წერაზე და მთელი ორი კვირა ხელი აღარ უხლია, მაგრამ რა ექნა ჭაბუკს, როცა ვიღაცისათვის მაინც უნდა გაეზიარებინა თავისი აზრები და გრძნობები. ამიტო-

მაც მან ცნობამოწყურებულ შთამომავლობაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და ძველებური გულახდილობით გაანდო თავის მეხვაშიადე დღიურს ყოველივე, რაც ფიქრად მოუვიდა: ერთმანეთში აურია მოგონებები კრაკოვზე, საყვედურები პროფესორ ლანგეს სიმკაცრეზე, ჩაწერა თავისი და მამა მიკოლაის საუბრები და შიგადაშიგ ვარსკვლავთა კუთხეების გამოთვლათა ცხრილებიც კი ჩაურთო.

— რატომ იტალიაში არ მიგაქვს დღიური? — ჰკითხა კოპერნიკმა, როცა სტუდენტმა რვეული გაუწოდა. — იქ, მაინთან, შეიძლება ნებითხვევა მოგეცეს და ჩვენი დროის მეტად საყურადღებო ადამიანებს შეხვდე. შენ ძალიან კარგად გადმომეცი მამა ტიდემანის მოსაზრება. განა არ გიზიდავს შესაძლებლობა, რომ შენს თანამედროვე დიდ ადამიანებზე შეიძლებ რამის თქმას?

როგორ უნდოდა კასპერს სანაცვლოდ მიეგო, მაგისთვის იტალიაში წასვლა არ ეწირდებაო! მაგრამ ჭაბუკმა თავისი ღირსების შეუფერებლად ჩათვალა, პირში ექო ის კაცი, ვისზედაც მისი ბედი იყო დამოკიდებული.

ის მიზეზიც, რის გამოც კასპერი დღიურს ტოვებდა, საკმაოდ საფუძვლიანი ჩანდა:

— თქვენ, თქვენო მაღალღირსებავ, გამაფრთხილეთ: „სიტყვა არავისთან დაგცდესო“, ადამიანებთან ურთიერთობაში ვცდილობ, არ გადავიდე ამ თქვენს დარიგებას, მაგრამ დღიურის წერისას შეიძლება რაღაცით მაინც გადავუხვიე თქვენს შეგონებას, ამიტომ გთხოვთ, ჩემ ჩამოსვლამდე რვეული დაუმალოთ უცხო თვალს. თქვენ, თუ გნებავთ, წაიკითხეთ, რადგან მე თქვენგან საიდუმლოდ არაფერს ვინახავ, მაგრამ ერთ იმედს მაინც ვიტოვებ ჩემთვის — დღიურს მაშინ გაეცნობით, როცა ლიმბარკიდან საკმაოდ შორს ვიქნები.

კასპერის ამ იმედს, შესაძლოა, ასრულება არც ეწერა, პან კონოპკას ჭაბუკის დატყვევების საშინელი ამბავი რომ არ მოეტანა.

მიკოლაი კოპერნიკმა იცოდა სხვისი საიდუმლოების გაფრთხილება, ამიტომაც შეინახა ხელსახოცში სათუთად გახვეული კასპერის რვეული და მთელ ნახევარ წელიწადს არც უფიქრია ხელის ხლება.

ახლა კი, თავის ხმელ ტახტზე მწოლარე კანონიკი განსაკუთრებული სინაზითა და ტკივილით იხსენებდა ჭაბუკი კასპერის ყოველ ნათქვამს, ნამოქმედარს, წარმატებასა თუ მარცხს.

პან კონოპკას რომ გამოეთხოვა, ვერ იქნა და ვერ დაიძინა იმ ღამეს კანონიკმა.

ორ-სამ წუთს წასთვლემდა, მერე კვლავ თვალგახელილი იწვა

და ელოდა, როდის შემოჰკრავდნენ ცისკრის ზარებს. კოპერნიკს ესმოდა, გვერდითა ოთახში როგორ ოხრავდა და ტრიალებდა ლოგინში მისი კეთილი მეგობარი ტიდემანიც. იმ ღამეს მათ თავიანთ ოთახებშუა გამავალი კარი შეღებული დატოვეს. ოთახში ბნელოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა დილა, მით უფრო მატულობდა სიბნელე, რადგანაც ჩრდილოეთის ქარი თოვლის ღრუბლებს აქეთ მოერეკებოდა.

ფანჯრის ჩასწვრივ ლაპარაკი, ფეხის ხმა და გაწეული ურდულის ღრჭიალი გაისმა. მეკარემ პან კონოპკა გაატარა ალაყაფის კარში.

გათენებამდე კიდევ კარგა ხანს უნდა ელოდნა...

კოპერნიკი უცებ წამოხტა ლოგინიდან და ისევე, როგორც იყო, ფეხშიშველმა, საღამური სამოსის ამარამ გაიარა გრძელი დერეფანი, ხელის ცეცებით მოძებნა ოდესღაც კასპერისა და პან კონოპკას სენაკის კარი, ხელის ცეცებითვე, სინათლის აუნთებლად, მიაგნო მაგიდის უჯრას, უჯრაში კი — ხელსახოცში გამოხვეულ რვეულს.

შეციებული დაბრუნდა კოპერნიკი თავის ოთახში, კბილს კბილზე აცემინებდა. დაწვა და ისევ გადაიფარა გაქუცული მგლის ტყავი, მერე ანთებულ სანთელს, რომელსაც ორპირი ქარი აწვალებდა, სქელი წიგნი გაშლით ჩამოაფარა და გარკვეული, ბავშვური ხელით ნაწერი რვეულის ფურცვლა დაიწყო.

„1511 წლის 21 იანვარი. მიტა, მიტა, ოდესღაც მე და შენ გავიხსენებთ ჩვენთვის ამ მძიმე დღეებს...“

მამა მიკოლაიმ სწრაფად გადაფურცლა რვეული. კასპერმა დღიურის წაკითხვის ნება დართო, მაგრამ კანონიკს მაინც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს კასპერი კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა შიგნით მყოფთ, ესენი კი ეპვსაც ვერ იღებდნენ მზვერავზე.

...კიდევ რამდენიმე გვერდი გადაშალა. ისევ: „მიტა“... „საყვარელო მიტა“... „ძვირფასო მიტა“... მთელი რვეული გავსებული იყო საცოლეზე მოგონებებით, ანდა მისდამი მიმართვებით...

თუმცა არა... მეთექვსმეტე გვერდზე მთელი გულმოდგინებით იყო გამოყვანილი მისი სახელი: „მისი ღირსება, მამა მიკოლაი კოპერნიკი“.

უხერხულობისგან ოდნავ ალმურმოდებულმა კანონიკმა წაიკითხა:

„19 მარტი. მისი ღირსება მამა მიკოლაი გამბედავია, მაგრამ არაა ჯიქური კაცი. გუშინ პატარა იასს სველი ქვიდან ფეხი ჩაუცდა და წყალში ჩავარდა. მე სწრაფად გავიხადე ტანთ, რომ იასს შივშველებოდი, მაგრამ მამა მიკოლაიმ ხელით მანიშნა, შეჩერდიო.

იდგა იგი თვალებმოჭუტული და ზუსტად ანგარიშობდა ქვებსა და ნაპირს შორის დარჩენილ მანძილს, შემდეგ მხოლოდ სანდლები გაიხადა ფეხთ, შევიდა შემეჩხერებულ წყალში და ბიჭს სწორედ მაშინ სტაცა ხელი, როცა დინებამ ყველაზე ახლოს მოაგდო. ეს ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, იასმა შეშინებაც ვერ მოასწრო. მაშინ თავს ნება მივეცი და მამა მიკოლაის შევახსენე ის შემთხვევა, რომელსაც ასე ხშირად იგონებს ხოლმე ვუეკი: ძმის გადასარჩენად მიკოლაი ანგარიშმიუცემლად გადაეშვაო ვისლის ტალღებში. მე მეგონა, მასწავლებელი ძმურ სიყვარულზე დამიწყებდა ლაპარაკს, მან კი გაიღიმა და თქვა: „მაშინ ჯერ არ ვიცოდი გეომეტრია, არც ქარის სიჩქარისა და წყლის დინების შეპირისპირება შემეძლოო“. ერთი სიტყვით, ამ გეომეტრმა მოიხადა თავისი ბეწვის მოსასხამი, იასი შიგ გაახვია, მიიყვანა ციხე-კოშკში და თავისივე ხელით აბანავა თბილ წყალში...

„23 მარტი. მაინც რა ბრძენი და მომთმენი მოძღვარი მარგუნა უფალმა იმ გადატანილი გასაჭირის გამო! გუშინ მასწავლებელმა ძალიან რთული გამოთვლები დამავალა. საქმეს ჩემს შესაძლებლობაში დიდად დაეჭვებული შეუდგებოდი, ისეთი ნდობით რომ არ მოემართა, თითქოს სამი წელი აკადემიაში კი არ გამეტარებინოს, ოცდაცამეტი წელი პროფესორის მაღალი კათედრიდან სტუდენტებისთვის მესწავლებინოს.

შემდეგ, როცა დარწმუნდა, ჩვენი გამოთვლები ერთმანეთს ემთხვევაო, მამა მიკოლაიმ ვერ დამალა თავისი სიხარული: „ის გარემოება, რომ ორივე მათემატიკოსი ერთ შედეგამდე მივედით, საშუალებას მაძლევს, ვიფიქრო, ამჯერად გამოთვლებში შეცდომა არ დამიშვია!“ — „ორი მათემატიკოსიო!“ ახლაღა მივხვდი მამა გიზეს ნათქვამის მნიშვნელობას: „თუ მისი უსამღვდელოესობა ლუკაშ ვაცინღორი, როგორც პოლიტიკოსი, მკაცრია ადამიანთა შეფასებისას, მამა მიკოლაის ყველა პოლიტიკოსისაგან ადამიანებისადმი ნდობა გამოარჩევსო“.

„25 მარტი. ერთი კვირის წინ მასწავლებელმა ჩემი დახმარებით ძველზე ორჯერ მაღალი ტრიკეტრუმი ააწყო. რამდენსაც არ ეცადა მამა მიკოლაი, მივეხვედრებინე, ჩემი თანაშემწე მარჯვეც არის, მოსაზრებულიცა და კარგადაც გაისარჯაო, თვალებში მაინც უკმაყოფილებას ვატყობდი.

„გულისტკივილით ვაღიარებ, რომ ცამეტი საუკუნის წინ დიდ პტოლემეოსს უფრო ზუსტი ხელსაწყოებით სარგებლობა შეეძლო, ვიდრე ჩვენ, ამ განსწავლულ საუკუნეში! — დღესღა გამომიტყდა მამა მიკოლაი. — მისი ტრიკეტრუმი ჩვენსაზე რვაჯერ დიდი იყო

და, მაშასადამე, გამოთვლებიც — ჩვენსაზე რვაჯერ უფრო ზუსტი!.. დიდი ალექსანდრიელის უშეცდომო გამოთვლებს ისიც უწყობდა ხელს, რომ მისი სამშობლოს ცის პოლუსი ჰორიზონტისკენ გაცილებით დაბლაა დაშვებული, ვიდრე ჩვენთან, ვარმიაში". მასწავლებელმა ისიც მითხრა: „ფერდინანდ მეფეს, კათოლიკედ წოდებულს, ესპანეთიდან მავრები რომ არ გაეძევებინა, შეიძლება ხშირი და ახლო ურთიერთობა გვქონოდა ამ უბადლო მათემატიკოსებთან. მნახველნი ამბობენ, რომ დამასკოში, ბაღდადში, მოგრებში, კაიროსა და სამარყანდში ცის მნათობებზე დასაკვირვებლად ასტრონომიული ხელსაწყოებით მდიდარი კაბინეტებიაო. მე თუ სამუდამოდ ვარ მიჯაჭვული მთელი სამყაროსაგან დაშორებულს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე უძვირფასესი მიწის ამ პატარა ნაგლეჯს... შენ მაინც შემპირდი, კასპერ, თუ ბედმა ოდესმე ამ ქვეყნებში მიგიყვანა, გაიხსენებ შენი მასწავლებლის სურვილს და მოინახულებ ასტრონომთა ამ სახელგანთქმულ კაბინეტებს!"

ამ სტრიქონების წაკითხვაზე კოპერნიკმა ოვალებზე ხელი დაიფარა, შესაძლებელია, კასპერი მოხვდეს კიდევაც ამ ქვეყნებში, მაგრამ, — უფალო შეგვიწყალე! — მონის, სკამზე მიჯაჭვული მონის სახით!

კოპერნიკმა კვლავ გადაფურცლა რამდენიმე გვერდი.

„ამბობენ, ძველად რაიმის აშენებას რომ იწყებდნენ, საძირკველში მსხვერპლად შეწირულ ან ბატკანს ატანდნენ, ან მამალსო... რომ ვიცოდე, მასწავლებელს რაღაცით მაინც შეუმსუბუქდება შრომა, რომაელთა მამლის ან ელინელთა ბატკნის მსგავსად სიხარულით შევწირავდი სიცოცხლეს".

კოპერნიკს ხელები აუცახცახდა, თვალებში ცრემლი მოერია, შემდეგ მრავალი გვერდი გამოტოვა და დღიურის ბოლოში ჩაიხედა: ათი აპრილით დათარიღებულ გვერდზე ეწერა:

„ამ რამდენიმე დღის წინ მოწყალე მამა ტიდემანმა მასწავლებელს უსაყვედურა, შენს ჯანმრთელობას უდიერად ექცევიო. წელში იხრები, სიარულში ჩვეული სისხარტე დაკარგე... ნუ დაივიწყებ, რომ იმ ასაკში აღარ ხარ, როცა ღამის ტეხვა შენს სახეს კვალს არ ამჩნევდაო. რაკი მასწავლებელმა უდარდელად ჩაიქნია ხელი, მამა ტიდემანმა ჰკითხა: „მითხარი, მიკოლაი, შენთვის ასტრონომიაზე ძვირფასი თუ რამ არისო ამქვეყნად?" მამა მიკოლაიმ გაოცებით შეხედა ტიდემანს. „არისო, — მიუგო წყნარად: — ჩემი სამშობლო, პოლონეთიო!"

ეს საუბარი დღეს გამახსენდა, როცა გავიგე, რომ მე და პან კონოპკას იტალიაში გვგზავნიან. დილას მამა მიკოლაის დიდი უსიამოვნება მივაყენე. ჩვენი ახალი ტრიკეტრუმის დასაყენებლად იმ კოშკის სახურავზე ავედი, რომლის ფანჯრიდანაც ცაზე დაკვირვებას ვაწარმოებთ. მოულოდნელად გატეხილ კრამიტს უხერხულად დავადგი ფეხი და კინაღამ ძირს ჩამოვვარდი. კოშკში რომ დავბრუნდი და მამა მიკოლაის გადანაცრისფერებულ სახეს შევხედე, მივხვდი, რამხელა მწუხარება მივაყენე ჩემი გაუფრთხილებლობით.

„ვერასოდეს ვაპატიებდი თავს, შენი სიცოცხლე თუნდაც ჩემთვის ყველაზე სანუკვარსა და ძვირფას მეცნიერებას ემსხვერპლა. მეცნიერება ვერასოდეს გაუწევს ადამიანს მახლობლის მაგივრობას“, — მითხრა მასწავლებელმა.

არ ვიცი, რა დავალების შესრულება მეკისრება იტალიაში, მაგრამ, ყოველივეს რომ ვაკვირდები, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მამა მიკოლაისთვის და, მაშასადამე, პოლონეთისთვისაც. დღეს ოთახში შესვლისას ყური მოვკარი მამა ტიდემანს რომ ეუბნებოდა: „მხოლოდ პოლონეთის ბედმა გადამაწყვეტინა მისი გაგზავნა...“ მასწავლებელმა დამინახა თუ არა, გაჩუმდა, მაშ, ჩემზე ლაპარაკობდნენ...“

...დიდხანს იწვა კოპერნიკი გახურებულ თვალებზე ხელისგულებაფარებული. მერე რვეული გადადო და სანთელი ჩააქრო. მკერდში რაღაც ტკივილი უბრუნავდა. თუმცა, მკერდში არა, უფრო ყელთან უჭერდა ეს ტკივილი.

ნაუ! — შემოჰკრეს კოშკის დიდი ზარი. — ნაუ, ნაუ!

„მადლობა უფალს, ღამე დასრულდა!“ — მამა მიკოლაი აჩქარებით ჩამოჯდა თავის ხმელ საწოლზე.

მაგრამ ეს რა არის? დედაო ღვთისავ! შესანდობარი ზარი! არაჯ საბედნიეროდ, მგონი, მოეჩვენა. მაგრამ ზარი მაინც რეკდა მუქარით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ასეთი ზარით ან ხანძრის დროს უხმობენ ხალხს, ანდა მტრისგან თავდასაცავად!

— გძინავს, ძმაო ტიდემან? — გასძახა კოპერნიკმა მეგობარს.

მამა გიზეს უკვე გაღვიძებოდა, მაგრამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ დერეფნის მხრიდან კარი ყურთამდე გაიღო. ოთახში დაუკაკუნებლად შეიჭრა ვოიცეხი, მას სამგზავროდ ჩაცმული ხალხი შეჰყვა თან.

— რა მოხდა, ვოიცეხ? — ჰკითხა კოპერნიკმა.

— მისი უსამღვდელოესობა... მისი უსამღვდელოესობა...—ამასღა იმეორებდა ყელში ცრემლმობჯენილი მოხუცი მსახური.

დანარჩენებს მდუმარედ დაეხარათ თავები.

— რა მოუვიდა მის უსამღვდელოესობას? — იკითხა ალელა, ბულმა ტიდემან გიზემ.

— მისი უსამღვდელოესობა იმიერ ქვეყნად მიემგზავრება, — ხალხიდან გაისმა ვიღაცის ნაღვლიანი, მკაფიო ხმა, — პეტრკოვიდან რომ გამოვედით, გზაში შეუძლოდ შეიქმნა და უკვე ლონჩიცაში ბრძანა, ტორუნისაკენ გამაბრუნეთო. პან ლუკაშ ალენმა თქვენთან გამომგზავნა: „ამის გადარჩენა ახლა უფალ ღმერთსა და მიკოლაი კოპერნიკს თუ შეუძლიაო“. მთელ გზაზე ჩარიგებულია დასვენებული ცხენები. სწრაფად ჩახვალთ ტორუნში.

გიზემა და კოპერნიკმა ჰაიჰარად ჩაიცვეს ტანთ და კიბეებზე დაეშვნენ.

ცხენები თვალის დახამხამებაში შეკაზმეს. ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ცხენჭენებით მიმავალნი ტორუნის გზაზე გაიბაწრნენ.

— ასეთ ყინვაში ცხენით სიარული! — თავის ქნევით იმეორებდა შეშინებული მოხუცი ვოიცეხი. — ღმერთმა ნუ ქნას და, რა გვეშველება, ყველანი ხელფეხმოყინულები რომ მოვვაყენონ უკან?

მამა მიკოლაიმ ტორმუნში ბიძას ცოცხალს ჩაუსწრო, მაგრამ ეპისკოპოსს უკვე რამდენიმე დღის წინ დაეკარგა გრძნობა.

— მოწამლულია? — სწრაფად შეაგება შეკითხვა ლუკაშ ალენმა, როგორც კი მიკოლაიმ დაასრულა გასინჯვა კაცისა, რომელიც სულ ახლახანს ვარმიის განუყოფელი მეუფე იყო.

— სხეულზე ლაქები რომ გამოეყარა, ვიტყოდი, მოწამლულია-მეთქი, ახლა კი... — მიკოლაი კოპერნიკმა ხელები გაშალა. — პეტრკოვში გამგზავრების წინ მისი უსამღვდელოესობა ოდნავ შეუძლოდ გრძნობდა თავს, მეგონა, სასახლის დამქანცველი დღესასწაულის ბრალი იყო. დაღლილობა, უკმაყოფილება იმის გამო, რაც კრაკოვში ხდება... მაინც ვთხოვე, ნუ გამგზავნი-მეთქი ფრომბორკში... თითქოს გული მიგრძნობდა...

მესამე დღეს ავადმყოფს ტანზე შავი ლაქები გაუჩნდა. პულსი არეული ჰქონდა. გზაშივე, ვლოცლავკში, სისხლი გამოუშვეს. შესქელებულმა სისხლმა შავფრად იფეთქა. ახლა კი მიკოლაი კოპერნიკმა წვეთიც ვეღარ გამოადინა. ეპისკოპოსს კისერზე წურბელები დააყარეს, მაგრამ ყველა უმალ მოვარდა. ავადმყოფი ბოდავდა: — ნათესავ-მეგობრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ ოთახიდან და ბიძა-დის-

შვილი მარტოდ დატოვეს, მაგრამ ეპისკოპოსის ნალაპარაკევის გარჩევა უკვე აღარ შეიძლებოდა.

...უკანასკნელი ვაცენროდის უზარმაზარი, მოსული სხეული მოვერცხლილ სპილენძის კუბოში ჩასვენეს, ეს კი მეორე, შავი მუხის კუბოში ჩადგეს. სამგლოვიარო პროცესია, როგორც მიღებული იყო, ღამით დაიძრა. წინ მეჩირაღდნეები მიუძღოდნენ. ფრომბორკში ჩასვლას ახლა სამჯერ მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ლიძბარკიდან ტორუნამდე კოპერნიკის გადარეულ ცხენჭენებას.

დასაფლავება, ქელეხი, მიცვალებულისადმი უკანასკნელი ვალის მოსახდელად ფრომბორკში ჩამოსულ მოსამძიმრეთა მიღება, ვარმიის მომავალი ეპისკოპოსისათვის შენობის მომზადება, განსვენებულის ქაღალდების გადარჩევა — ყველაფერს კოპერნიკი რაღაც დაუსრულებელ, კოშმარულ სიზმარში მყოფივით აკეთებდა. მაინც, რამდენი მძიმე დანაკლისი განიცადა სულ მოკლე დროში: ძმა ანჯეი, კასპერი, ახლა კიდევ ბიძა!

ლუკაშ ვაცენროდი მამა მიკოლაისთვის ერთდროულად მოძღვარიც იყო, ქომაგიცა და მაგალითიც სამშობლოს თავგადაკლული მსახურისა.

„რა აუნაზღაურებელი დანაკლისია ქვეყნისთვის! — ფიქრობდა სასოწარკვეთილი მამა მიკოლაი. — ჩემს თავზე არა ვდარდობ, უფალო ღმერთო, პოლონეთის ბედი მაფიქრებს!“

იმ მძიმე დღეებში ირგვლივმყოფთ არც ოხვრა გაუგონიათ სწავლულისა, არც წუწუნი. რა ხდებოდა მის გულში, არავინ იცოდა, თუმცა კაპიტულის ძმანი ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდნენ თავიანთ დაობლებულ მოძმეს. „ახლა რაღას იქმ, დიდო მკურნალო, საეკლესიო სამართლის დოქტორო და ვარსკვლავთმისანო? მოგიხდება ლიძბარკის ჩვეული ადგილის დათმობა, ვარსკვლავთმრიცხველის კოშკის მიტოვება და ვარმიის რიგითი კანონიკის მოვალეობის შესრულება!“

დიახ, მამა მიკოლაის უნდა დაეტოვებინა ლიძბარკი. მანამდე კი უნდა ჩასულიყო იქა და ახალი მეუფისათვის ციხე-კოშკი მოემზადებინა. საბედნიეროდ, ამ საზრუნავს ეწირებოდა მთელი დღეები.

მაგრამ ღამეები! დედაო ღვთისავ! ღამეები კოპერნიკისთვის ყველაზე გაუსაძლისი ხდებოდა. მხოლოდ მისი მეგობარი ტიდემან გიზე იყო მოზიარე იმ ღამის ტეხვისა. ციხე-კოშკში ყოველივე რომ მიყუჩდებოდა, მეგობრები დილამდე ისხდნენ სანთლის შუქზე. ისხდნენ და დუმდნენ, მაგრამ ძმა გიზეს უბრალო იქ ყოფნაც კი კოპერნიკს შვებას აგრძნობინებდა.

მრავალმა დღემ განვლო, სანამ მამა ტიდემანი გაბედავდა და კოპერნიკს ჰკითხავდა:

— მითხარი, ძმაო, როგორ მოხდა ყოველივე? მის უსამღვდელოესობას ხომ შენ მკურნალობდი. რაიმე ნიშანი შეგიმჩნევია, რომ მეუფის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა? მე მგონია, კრაკოვში გამგზავრებამდე ეპისკოპოსი თავს კარგად გრძნობდა...

— გამგზავრებამდეც და იქაც, კრაკოვშიც ბიძაჩემი მხნე და მხიარული იყო... ეიზენბერგის დაცინვაცა და ცილისწამებაც, მგონი, მე უფრო მაღიზიანებდა, ვიდრე მის უსამღვდელოესობას... კრაკოვიდან წამოსვლის წინ ოღნავ ცუდად იგრძნო თავი, მაგრამ, ჩემი დაჟინების მიუხედავად, მაინც გამგზავნა ჩემს ძმასთან, ანჯეისთან ფრომბორკში. შუაგზაში, პეტრკოვში, დავშორდით ერთმანეთს. როგორც მითხრეს, იქიდან წამოსვლის წინა დღეს ბიძაჩემს თეეზის ლაბა უჭამია და გზაში უკვე ცუდად გამხდარა... ვახშამი ქალაქის წარჩინებულმა მამებმა გაუმართეს თურმე. მიწვეულნი ჩვენებიდანაც ბევრნი ჰყოლიათ და ორდენიდანაც... ძმა ფილიპ ტეშნერიც ყოფილა იმ ვახშამზე. არა მგონია, სუფრაზე უვარგისი საჭმელი მიეტანოთ... თუმცა, რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო...

— ფილიპ ტეშნერი? — გაიკვირვა ტიდემან გიზემ და მაშინვე გაჩუმდა, უფრო მეტად არ ავაღელვოო მეგობარი.

კოპერნიკი მაინც მიუხვდა უთქმელს.

— ძმა ფილიპი, ყველა სმა-ჭამის მოყვარულივით კარგი კულინარია, — თქვა მან ცხარედ. — მაგრამ პეტრკოვში ვახშმის მოსამზადებლად, არა მგონია, ვინმეს მიეშვას... თანაც მამა იყო, მშობელი!

ტიდემან გიზემ თავი გადააქნია და მწარედ ამოიოხრა.

— ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო, — გაიმეორა მან კოპერნიკის სიტყვები.

ძმა მიკოლაის მაინც არ აუღია თავი.

გიზემ კვლავ მძიმედ და მწარედ ამოიოხრა.

— აღარა ეშველება რა, — თქვა მან. — დაკარგა პოლონეთმა თავისი ერთგული ქომაგი, სახელმწიფოს ნამდვილი ბურჯი. ტევტონთა ორდენი კი ძლევამოსილი და ბრძენი მოწინააღმდეგისაგან გათავისუფლდა... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მისი დაწყებული საქმე მაინც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. კაპიტულის მიერ არჩეულ ახალ ეპისკოპოსზე რაღას იტყვი, ძმაო მიკოლაი?

— არ შემეფერება ჩემი მოძღვრის განსჯა, მასზე აუგის თქმა, — მიუგო კოპერნიკმა უწადინრად, — მაგრამ კარგსაც ბევრს ვერა-

ფერს ვიტყვი. მეტისმეტად დამთმობია მამა ფაბიან ლუზიანსკი. იგი უფრო თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს და ტრჩევნია. ადამიანებთან ურთიერთობა არ წაიხდინოს.. თანაც მერყეევი შეხედულებებისაა... ო, ეგ არაა ლუკაშ ვაცენროდი! ფაბიანის ბაწინაურებაც ხომ „გერმანელთა“, ლუკაშ ვაცენროდის მტრულმა პარტიამ მოიწადინა.

...ფაბიან ლუზიანსკის გარდაცვლილი ეპისკოპოსის საქმეებს რომ აბარებდა, კოპერნიკმა საჭიროდ სცნო, კონსტანტინოპოლიდან მიღებული დიდი მაგისტრის წერილიც გადაეცა ეკლესიის ახალი მთავრისათვის.

მამა მიკოლაიმ ფეხი შედგა თუ არა ასე ნაცნობ კაბინეტში, გული მტკივნეულად შეეკუმშა. ავეჯი უკვე სხვანაირად გაეწყოთ. ის ბალიშიც აეღოთ იატაკიდან, რომელზედაც ძია ლუკაშის სენბერნარი თვლემდა. ახლა ეზოდან ისმოდა იმ საცოდავის წკმუტუნი... უნდა უპატრონოს ძაღლს!

ფანჯრისაკენ მიბრუნებულ სავარძელში ვიღაც შეტოკდა. კოპერნიკს ხელები აუთრთოლდა. იგი თვითონვე ეხმარებოდა ვარშიის მეუფის ჯერ ვერცხლის, შემდეგ მუხის კუბოში ჩასვენებაში, ახლა კი მოეჩვენა, თითქოს სავარძლის მაღალი საზურგედან გამოხედავდა მკვეთრად გამონაკვთული პროფილი და მკაცრი ხმით ჰკითხავდა: „აბა, როგორაა საქმეები, მიკოლაი? ყველა ქაღალდი გაგზავნილია? ტაძსაცმელი და ხურსათი წაუღეს იმ საცოდავ ბეჟიცელებს, ტევტონთა ორდენის ყაჩაღებმა რომ დაარბიეს?“

მაგრამ არა, შემოსულის შესაგებებლად სავარძლიდან წამოდგა დაბალი, ხანში შესული პრელატი, რომელსაც სანდომიანი, ოდნავ შეშუპებული სახე თავაზიანად უღიმოდა.

— ძვირფასო ძმაო მიკოლაი! როგორ გამიხარდა შენი მოსვლა! შენ რომ არ მყოლოდი, სულ დამაბნეევდა დიაცეზის საქმეები!

— თქვენს უსამღვდელოესობას გარდაცვლილი ხელისუფლის ბრძანებით კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი საიდუმლო საბუთი მოვუტანე. ბიძაჩემი ამ საბუთს კრაკოვში წაღებას უპირებდა, რომ კონფინდენციალური აუდენციის დროს ჩვენი ყოვლადმოწყალე მეფისთვის წარედგინა. ხომ არ ინებებდით მის წაკითხვას?

ეპისკოპოსი ფაბიანი პატარა მაგიდას მიუჯდა (ამ მაგიდაზე ძია ლუკაში ჭადრაკს ეთამაშებოდა თავის თავს. ახლა ჭადრაკის დაფაც აღებული იყო). ფაბიანი კითხვას შეუდგა და რაც ქვემოთ ჩადიოდა, მით მეტი მღელვარება იპყრობდა. კოპერნიკი ზურგს უკან ედგა და ხედავდა, როგორ აუჭარხალდა კეფა მის უსამღვდელოესობას.

— ძმაო ჩემო, ეს რა წამაკითხეთ?! რა სიმდაბლეა! რანაირი ღალატი! მაგისტრი მხოლოდ პოლონეთს კი არა, მთელ ქრისტიანულ სამყაროს ღალატობს!

მღელვარებისგან აკანკალებული ეპისკოპოსი ვეღარ იმორჩილებდა ხელებს და კარგა ხანი მოანდომა, სანამ წერილს წითელ ტარსიკონის ჩანთაში ჩადებდა.

— სულ მალე მექნება საშუალება ჩვენი ყოვლადმოწყალე მეფის ხილვისა და პირდაპირ გადავცემ ამ წერილს. ო, მეფე ზიგმუნდი ასეთ ღალატს ვერ მოითმენს! მკაცრად დასჯის ორდენს. დამიტოვე, შვილო ჩემო, წერილი და იმედიანად იყავი, ისევე იქნება დაცული, როგორც შენი გარდაცვლილი ბიძის დროს!

მისი უსამღვდელოესობისგან რომ გამოვიდა, კმაყოფილმა კოპერნიკმა გაიფიქრა, ეპისკოპოსი სულის სიღრმემდე შეძრულია მაგისტრის საქციელითო. თუ მის უსამღვდელოესობას არ მოუხდება ახლო მომავალში პეტრკოვში წასვლა. შეიძლება, მან, კოპერნიკმა, გამოსთხოვოს მეუფეს, რომ თვითონ წაუღოს მეფეს წერილი.

მაგრამ გარემოებანი ისე შეტრიალდა, ამას ვერც ეკლესიის ახალი მეთაური ივარაუდებდა, ვერც მიკოლაი კოპერნიკი.

მას მერე, რაც გარდაცვლილი ეპისკოპოსის კანცელარია ახალს ჩააბარა, გააცნო ფაბიანს ის გადაუდებელი საქმეები, რომლებიც ვარმიის მეუფის ჩარევას მოითხოვდა, კანონიკ მიკოლაის ბოლოს და ბოლოს შეეძლო, დაბრუნებოდა იმდენი ხნით მიტოვებულ თავის ასტრონომიას. აი, სწორედ მაშინ გამოირკვა, რომ ამ საქმეში მას ყველაზე მეტად შეუწყვეს ხელი მამა კანონიკებმა, რომელთა საწინააღმდეგო მოქმედებისაც ისე ეშინოდა კოპერნიკს ფრომბორკში გადასახლებამ თავიდან სულ ცოტათი თუ შეცვალა კოპერნიკის ცხოვრება. იგი ძველებურად მოგზაურობდა სოფლიდან სოფელში, ძველებურად მკურნალობდა გლეხებს, ძველებური ხალისითა და დაჟინებით სთხოვდა კაპიტულს მათთვის დახმარებას.

მამა მიკოლაის ხშირმა ჩასვლამ ლიძბარკში, აგრეთვე ახალი მეუფის სტუმრობებმა კანონიკ მიკოლაისთან ფრომბორკში მამა კანონიკებს აფიქრებინა, რომ მისი უსამღვდელოესობა ფაბიან ლუზიანსკისთვისაც კოპერნიკი შინაური კაცი გახდაო.

კანონიკები მოთმინებით იტანდნენ მათ საქმეში ჩარევას თავის დრომდე და თავის ჟამამდე! მათ ეშინოდათ კოპერნიკის გავლენის მეტისმეტი გაძლიერებისა და ერთსულოვან დასკვნამდე მივიდნენ: რაღაცით უნდა დავაკოთო ეს მოუსვენარი კაცი, ჩამოვაშოროთ

ლიძმარკს, სუსტი ნებისყოფის ეპისკოპოს ფაბიანზე გავლენის-ჭოხდენის საშუალება არ მივცეთო! აქაც, ფრომბორკშიც, შეიძ-ლება ძმა მიკოლაის მშვენიერი სამუშაო ოთახი მოვუწყოთ. თანაც საქმეს დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთო.

ფრომბორკის კოშკი უფრო მოსახერხებელი იქნება ასტრონომი-ული სამუშაოებისათვის და ღამეულ ცაზე დაკვირვებებისათვის, ვიდრე ლიძბარკისა. სახილველი ცაც მის ოთხ ფანჯარაში გაცი-ლებით მეტი იქნება, ვიდრე ლიძბარკის კოშკის ერთ ვიწრო სარკ-მელში. დანახვაც აქედან მეტი რამისა შეიძლება: ფრისკის ყუ-რის მიღმა მზიან დარში ტყვიისფერი ბალტიკის ვიწრო ზოლიც კი მოჩანსო.

ჰოდა, მამა კანონიკებმა სამუშაო ოთახის გასამართავად კო-პერნიკს თავის განკარგულებაში გადასცეს ხუროები და დურგლები, თან ლიძბარკიდან წიგნების, ნახაზებისა და ინსტრუმენტების გა-დატანასაც შეჰპირდნენ.

„ღირსპატივცემული პან ექიმი აქ უფრო თავის ნებაზე მოა-ხერხებს შუშაობას, ფიქრსაცა და ღამეულ ცაზე დაკვირვებაც საცო“.

მართლაცდა, ფრომბორკის კოშკი თითქოს თვით განგებას შე-ექმნა იმისთვის, რომ კოპერნიკს ღამის დაკვირვებებში მომსახურ-ებოდა. რაც უფრო ეთვისებოდა მეცნიერი თავის ახალ სამუშაო ოთახს, მით უფრო იშვიათად უჩნდებოდა ლიძბარკში წასვლის სურვილი — კაპიტულის მამანი მართალნი აღმოჩნდნენ.

ამასობაში ვარმიის დიაცეზს საშიშროება დაეუფრა. პეტრკო-ვიდან, სადაც კვლავ იმყოფებოდა მეფე, მოვიდა ცნობა, რომ ზიგმუნდი ეპისკოპოს ფაბიან ლუზიანსკის კანდიდატურას უარყოფ-სო. ამასვე შიშობდნენ კაპიტულის წევრებიც.

ახალი ეპისკოპოსის არჩევას ისინი ხომ იმ ანგარიშით აჩქა-რებდნენ, პეტრკოვში მყოფი მეფე სრულიად პოლონეთის სეი-მის საქმეებით არის დაკავებული და მისი უდიდებულესობა უგუ-ლისყურად მოეკიდება თავისი პრეროგატივის შელახვასო, მაგრამ მეფე მეტისმეტად მტკივნეულად ეკიდებოდა თავისი უფლებების შებღალვასაც და შლიახტების ისედაც შებღალულ უფლებებსაც.

მეფის პრეროგატივა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ვარმიის ეპისკოპოსის არჩევისას, რაკი კრაკოვიდან ამ მოშორებული მხა-რის ეპისკოპოსები საერო ხელისუფლებითაც იყვნენ აღჭურვილ-ნი, ვატიკანი უფლებას უტოვებდა მეფეს, თავისთვის სასურვე-ლი პირის დადგინება მოეთხოვა. ფაბიან ლუზიანსკი კი, გერმა-

ნული ორიენტაციის მქონე, გერმანული პარტიის მიერ არჩეული, არამც და არამც არ იყო მეფისთვის სასურველი კაცი.

კაპიტულის წევრები აფორიაქდნენ. გაგზავნეს დელეგაცია რომში — ვატიკანში მეფის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. ფრომბორკიდან რომში, რომიდან — პეტრკოვში, პეტრკოვიდან — ფრომბორკში დაქროდნენ შიკრიკები, ვარმიის, მეფის, პაპის მოციქულები. მეფე ცხარობდა, კაპიტული მაგრობდა, ვატიკანი ითათბირებდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. მთლად დაბნეული ეპისკოპოსი ფაბიანი წარამარა იბარებდა კოპერნიკს, დახმარებასა და რჩევას სთხოვდა.

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე წყდებოდა, მაგრამ ვარმიის გერმანული პარტიის მომხრენი ყველაზე მეტად იმაზე შფოთავდნენ, რომ „ვარსკვლავთმრიცხველს“ ისევ ძალა ემატებოდა. აი, მაშინ კი მიაღწინეს შიკრიკი ბრანენვოში გარდაცვლილი ბისკუპ ლუკაშის „უკანონო ვაჟთან“.

ბოლოს დადგა ის დღეც, რომელმაც მრავალი თეთრი სიმი ჭაურია მიკოლაი კოპერნიკის გრუზა თმას.

იმ ღამეს მეცნიერი კანონიკის საწოლი ხელუხლებელი დარჩა. მნათობებზე დაკვირვებაში გართული კოპერნიკი არც [illegible]ნწოლილა: რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ ცამ ღრუბლები გადაიყარა და ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება, უბრალოდ, ცოდვა იყო. ამიტომაც მოუვიდა მამა მიკოლაის გული, როცა გაიგო, კვლავ ლიძბარკში მიბარებენო. სულ რაღაც სამი დღის წინ ეპისკოპოსი მოელაპარაკა კანონიკს, ვარმიის დიაცეზის დელეგაციასთან ერთად ერთი კვირის შემდეგ გაგზავნიო პეტრკოვში. ეპისკოპოსი განსაკუთრებული მისიის დაკისრებას არ უპირებდა კოპერნიკს, მაგრამ თვითონ მამა მიკოლაი იმედოვნებდა, მის უსამღვდელოესობას გამგზავრების წინ საქმეებზე მოლაპარაკებოდა.

„მაშ ასე, პეტრკოვში გამგზავრებამდე აღარ შეგაწუხებ, შვილო ჩემო, — მოწყალედ უთხრა ფაბიანმა მესამე დღეს. — მიხედე შენს ვარსკვლავებს, მთელი კვირით გათავისუფლებ, თუმცა უშენოდ ერთი საათითაც მიჭირს გაძლება!“

დღეს რაღა მოუნდა იმ მოუსვენარ და უნიათო ეპისკოპოსს?

მაგრამ მამა მიკოლაის არც ის შეეძლო, რომ მისი უსამღვდელოესობა დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე მიეტოვებინა. იქნებ იმაზეც დაიყოლიოს, ფაბიანი თვითონ გაემგზავროს მეფესთან! არა ღირს ზიგმუნდის გაღიზიანება... მეფე ფიცხია, მაგრამ გულღვარძლიანი არაა. ვარმიის კაპიტულის თვითნებობით განრისხებულმა მისმა უდიდებულესობამ პეტრკოვში დაიჩემა, კა-

პიტულის არჩევნებისას ახალი წესები შემოეღოთ. პაპის ეპისტოლეში ბუნდოვნად გადმოცემული პოლონეთის მეფის უფლებები ახლა შავით თეთრზე დაადასტურეს პეტრკოვის სრულიად პოლონეთის სეიმის დადგენილებით. მეფემ ახლა უფლება მოიპოვა, მისდამი დასამტკიცებლად წარდგენილ ეპისკოპოსის საეარძლის მაძიებელ კანდიდატთა სიიდან თავისთვის სასურველი ოთხი კაცი ამოერჩია. კაპიტულს კი უკვე ამ ოთხი კაციდან უნდა შეერჩია ეპისკოპოსი. ფაბიანი თვინიერად უნდა დამორჩილებოდა არჩევნების ახალ წესს და ერთგული ქვეშევრდომის შესაფერისად ეთხოვა მეფისთვის მისი კათედრაზე დამტკიცება. სინამდვილეში ეს არაფერს შეცვლიდა, მაგრამ მეფის ჰონორს დააკმაყოფილებდა. თანაც, სწორედ დროულად, ფაბიანი მის უდიდებულესობას მაგისტრის წერილს გადასცემდა. ეს კიდევ ერთი დაშამტკიცებელი საბუთი იქნებოდა იმისა, რომ გერმანული პარტიიდან დაყენებული ეპისკოპოსი სინამდვილეში პოლონეთის პატრიოტია და იმავე ტევტონთაგან თავის სამშობლოს დაცვაზე ფიქრობსო! მეფე უკიდურესად არის გაღიზიანებული ორდენის ხრიკებით და მაგისტრის წერილი სწორედ რომ დროულად ჩაუვარდებოდა ხელთ.

მსახურმა მდაბალი თავის დაკვრით შეიყვანა კოპერნიკი მეუფის ოთახში. მამა მიკოლაი უკვე მიეჩვია იმ აზრს, რომ „ვაცენროდის სული“ საბოლოოდ განქრა ამ შენობიდან.

ყოველივე, რაც ეპისკოპოსთან სათქმელად ივარაუდა, კოპერნიკმა დაბეჯითებული სიცხარით მოახსენა. ფაბიანი თითქმის ჩაკარგული იჯდა მაღალ საეარძელში და მოწონების ნიშნად თავს უქნევდა.

— გთხოვთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ნუ შეცვლით თქვენს გადაწყვეტილებას და პეტრკოვში თავად გაემგზავრეთ. მეფეს ამით გულს მოუგებთ. კაპიტულის სიჯიუტემ კი შეიძლება ვარმიასა და მეფეს შორის განხეთქილება ჩამოაგდოს!

ფაბიან ლუზიანსკის სახეზე დაცინვამ გადაურბინა.

— არ ეჩვენება ძმა მიკოლაის, რომ ვარმიის კაპიტულს შეუძლია უფრო ძლევამოსილი მფარველი იშოვოს, ვიდრე პოლონეთის მეფეა? — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა ეპისკოპოსმა.

მოულოდნელობისაგან კანონიკმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ეგონა მომესმაო. ფაბიან ლუზიანსკი კი იჯდა და აუღელვებლად აქნევდა თავს.

— და არ ფიქრობს ძმა მიკოლაი, რომ ჩვენი ყოველადმოწყალე ხელმწიფე ადრე თუ გვიან ვარმიას პოლონეთს შეუერთებს, —

განაგრძო ეპისკოპოსმა, — გააუქმებს მთელ მის პრივილეგიებს და ჩვეულებრივ პროვინციად გადააქცევს?

ახლა კოპერნიკისთვის ცხადი გახდა, საით უმიზნებდა ეპისკოპოსი. ეტყობა, ორდენმა მიახვედრა ლუზიანსკი, რომ მაგისტრის მფარველობა შეიძლება მისთვის უფრო სარფიანი გამომდგარიყო, ვიდრე პოლონეთის მეფისა. ორდენმა ეპისკოპოსს პოლონეთის საქმის ღალატი შესთავაზა!

— შესაძლებლია, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ მეფემ საბოლოოდ შეიერთოს ვარმია, — შეეპასუხა კოპერნიკი, თან ცდილობდა მღელვარება და სიბრაზე დაეცხრო, — მაგრამ განა ამაზე არ ოცნებობდნენ პოლონეთის საუკეთესო შვილები?

— ვარმიისაღა? — ცბიერად იკითხა ფაბიანმა და გამაფრთხილებლად ასწია თითი.

მეტის მოთმენა აღარ შეეძლო კოპერნიკს.

— ნუ შეურაცხყოფთ ვარმიელებს, თქვენო უსამღვდელოესობავ! — წამოიძახა კოპერნიკმა. — მე ტორუნელი ვარ, თქვენ — გდანსკელი, ჩვენს კაპიტულში კრაკოველებიც არიან, ფლატრველებიც, სვიაჟინელებიც, მაგრამ ყველანი ერთად პოლონელები ვართ! ჩვენი ვარმიაც — ძველისძველი პოლონური მიწაა, მეფე ზიგმუნდიც — ჩვენი, პოლონეთის მეფე! თქვენო უსამღვდელოესობავ, — განაგრძო მან მუდარით, — ნუ დაუჯერებთ დიდ მაგისტრს! ნუ დაიჯერებთ მის მაცდურ სიტყვებს. საჭიროა დაუყოვნებლივ გადავცეთ მის უდიდებულესობა მეფეს ჩვენი მოპოვებული საიდუმლო წერილი. ხვალ, თქვენი ბრძანებით, პეტრკოვში მივყვები ვარმიის კაპიტულის დელეგაციას... მაშ, შემიძლია თავს ვიდო და მეფეს ის წერილი მე თვითონ ჩავაბარო?

— თითქოს ჩემი ფიქრი წაგეკითხოს, ძმაო მიკოლაი! რა თქმა უნდა, მასე სჯობია. ჩააბარე წერილი ჩემი სახელით და მის უდიდებულესობას გადაეცი კიდეეაც, რომ მე ხმის ამოუღებლად დავემორჩილები მის გადაწყვეტილებას მისთვის სასურველი ეპისკოპოსის არჩევაში... ბრანენეის ბურგომისტრმა, პან ფილიპ ტეშნერმა მოიწონა კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილ წერილზე ჩემი გადაწყვეტილება...

— რაო? — კინაღამ იყვირა კოპერნიკმა. ფილიპ ტეშნერმა იცის ამ წერილის ამბავი?

— ჰო, შვილო ჩემო, მე მივეცი წასაკითხად, — უთხრა ეპისკოპოსმა უდრტვინველად, — შენ რა გაღელვებს? ტეშნერი შენი ღვიძლი ბიძაშვილია. ჭკვიანი კაცია... ფილიპმა ეს დოკუმენტი შინაც კი წაიღო და გულდასმით შეისწავლა... ბუშინ საღამოს და-

მიბრუნა უკანვე. ტეშნერმა მითხრა, ჩემი აზრით უკეთესია, თვითონ მიკოლაიმ ჩააბაროს ზიგმუნდს წერილიო... ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ სწორედ შენი გამგზავრება სჯობია პეტრაკოვში...

კოპერნიკს თვალთ დაუბნელდა.

ფილიპ ტეშნერმა ნახა ეს წერილი, შეისწავლა, შინაც წაიღო! ახლა კი მას, მიკოლაი კოპერნიკს, ურჩევენ თვითონ ჩააბაროს წერილი, აქ რაღაც ხდება...

— დედაო ღვთისა! რანაირად ანდეთ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ასეთ... კაცს? — ენის ბორძიკით დაასრულა კოპერნიკმა.

— ნუ ღელავ, ძმაო მიკოლაი! — აღელვებული მიკოლაის შემხედვარე ფაბიანმა ხვნეშა-ქშენით გააღო რკინის ზანდუკი, ამოიღო წითელი პორტფელი, იქიდან კი — ქაღალდის გრაგნილი.

კოპერნიკისათვის ერთი თვალის შევლებაც კმაროდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს პან კონოპკას მიერ კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი წერილი იყო.

— ახლაევე წაიღებ თან, ძმაო ჩემო? — ჰკითხა ეპისკოპოსმა.

— მომიტევეთ. თქვენო უსამღვდელოესობავ, ლიძბარკში დაუმთავრებელი გამოთვლები მივატოვე... ამაღამ ცოტას კიდევ წავემუშავებ, ხვალ კი გზად შემოგივლით წერილისა და ინსტრუქციისათვის... ზუსტად შევასრულებ თქვენს დავალებას მის უდიდებულესობა მეფესთან საუბრისას.

კოპერნიკი მოწიწებით ემთხვია ფაბიანს ხელზე და გარეთ გაშოვიდა.

„უბადრუკი... საცოდავი კაცი", — დუდუნებდა თავისთვის კოპერნიკი.

ლიძბარკში დაბინავებული საეკლესიო თუ საერო პირნი, ვინც კი დერეფანში შეხვდა, შეშინებულნი გვერდს უვლიდნენ კოპერნიკს.

„დამშვიდდი, ძმაო მიკოლაი, — აწყნარებდა კოპერნიკი თავის თავს, — გამოუსწორებელი არაფერი მომხდარა... ძმობილი ტეშნერი, ეტყობა, დარწმუნებულია, რომ მე ვერ გავბედავ ზიგიშუნდთან მაგისტრზე ლაპარაკს. მაგრამ ხუთი დღეც არ გაივლის და მეფე გაიგებს თავისი დისშვილის მზაკვრობას... როგორ მუხრუჭივით მომიჭირა გულზე! ღრმად ჩაისუნთქე, ძმაო მიკოლაი, და რაც შეიძლება ხანგრძლივად შეიკავე სუნთქვა".

გული თანდათან დაუწყნარდა, თანაბრად და რიტმულად აუძგერდა. მოულოდნელად დერეფანში ბრანეების ბურგომისტრის საზემ გაიელვა, მამა მიკოლაი თითქოსდა დასწვა ტეშნერის

ღვარძლიანმა ჩაღიმებამ. კანონიკი მკვეთრად შებრუნდა და კი არ შეეიდა, შეევარდა ეპისკოპოსთან.

— რა მოგვივიდა?! — წამოიძახა შეშინებულმა ფაბიანმა. — კაცის ფერი აღარ გაძევს!

კოპერნიკს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ენა მოისვა გამშრალ ტუჩებზე.

— თქვენო უსამღვდელოესობავ... წერილი... უნდა დავრწმუნდე... მომიტევეთ... — როგორც იყო ამოთქვა ხმაშეცვლილმა.

— ღმერთმა მოგხედოს, ძმაო მიკოლაი, დაგიფაროს წმინდა ქალწულმა, ახლავე მოგცემ წერილს!

ეპისკოპოსი კვლავ დაიხარა რკინის ზანდუკისკენ. ზარივით გაიწკრიალა ეშმაკურ-ქაჯურმა საკეტებმა. გადაიწია ხახურავმა და ეპისკოპოსმა ამოიღო წითელი ტარსიკონის პორტფელი.

„ჭკუაზე შეხვალ ნამდვილად. — გაიფიქრა კოპერნიკმა, — იგივე წერილია, სწორედ ის წერილი...“

კოპერნიკმა ძლივს მოიბრუნა სული.

„რამდენი რამის გამო შეიძლებოდა ისე ბოროტად გაეცინა ტეშნერს... არა, ჭკუაზე კი არ ვიშლები, გამოძინება მჭირდება“.

— აჰა, შვილო ჩემო... გამომართვი წერილი და ამ დროულ კაცს ნუღარ ჩამაყუდებ ზანდუკში...

კოპერნიკმა სწრაფად გაშალა გრაგნილი. „გერბი ტევტონთა ორდენისაა. ხელწერა — ალბრეხტისა... ბეჭედიც — ალბრეხტისა. არ უნდა მოვბრუნებულიყავი უკან“!

უცებ კანონიკს გული გადაუცივდა, თითქოს ზედ ყინულის ლოდი დაადესო. ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და კედელს მიეყუდა.

— გერბი — ნამდვილი, ტევტონთა ორდენის გერბი იყო, ხელწერაც — ნამდვილი, ალბრეხტის ხელწერა იყო, მაგრამ წერილის ტექსტი იყო სულ სხვა!

ორდენის მაგისტრი მიმართავდა მართლმორწმუნეთა მბრძანებელს, მის სულთანურ უდიდებულესობას თხოვნით, რომ ყოველგვარი საშუალებით აღედგინა კეთილი განწყობილება პოლონეთის სამეფოსთან და მაგისტრის ბიძასთან — პოლონეთის მეფე ზიგმუნდთან. მაგისტრი ევედრებოდა მის სულთანურ უდიდებულესობას, პოლონეთის წინააღმდეგ არ დაეწყო საომარი მოქმედება და აგრეთვე აეკრძალა ყირიმის ხანისთვის პოლონეთის საზღვრების დარღვევა. ყირიმის ხანი ხომ კრძალვით იღებს თქვენი სულთანური უდიდებულესობის ყოველ ნებასურვილსო...

კოპერნიკს შესაზარი სახე ჰქონდა, ამიტომ ფაბიანმა მხარი შეუდგა და დამეყრდნეო, სთხოვა.

— მაგისტრის წერილი შეუცვლიათ, — ჩაილაპარაკა ტუჩებგადაფითრებულმა კოპერნიკმა.

— რას ამბობ, შვილო ჩემო! — ხელი ხელს შემოჰკრა ფაბიანმა. — ეგ როგორ შეიძლება მომხდარიყო?

კოპერნიკმა ფაბიან ლუზიანსკის ფეხებში მიუგდო გრაგნილი, გამოვიდა, გამოიჯახუნა კარი და გუნებაში დასწყევლა ის წუთი, როდესაც თავის მოვალეობად ჩათვალა, ახალი ეპისკოპოსისთვის ალბრეხტის წერილი გადაეცა.

„დედაო ღვთისავ! ყველაფერი დაილუპა! მზესავით ნათელია, რომ ყალბი წერილი მაგისტრმა შეადგინა მოღალატე ტეშნერის ხელშეწყობით... თანაც ისეთი მოხერხებით მოაწყეს ყოველივე, შეუძლებელია მათი მხილება. ო, კასპერ, კასპერ, თუ ცოცხალი გადარჩი, როგორღა შემოგხედო თვალებში!“

იმავე დღეს, იმავე საათს, არანაკლებ ზრუნვასა და ფიქრს მოეცვა ერთი გლეხურად ჩაცმული, კომბალდაბჯენილი და სამგზავროჩანთამოკიდებული კაცი.

ამ გამხდარ, გატანჯულ, გაშაღარავებულ კაცში ძნელად თუ ვინმე იცნობდა ჩვენს ოდესღაც მხნესა და მხიარულ ბოცმან კონოპკას.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ბაბუკი ბაკალავრი

სვენტოჟიცის მონასტერში მამა დომინიკანელების ცხოვრება, მართლაცდა, გაცილებით უფერულად მიდიოდა, ვიდრე ყველა სხვა სავანეში.

წესები აქ უფრო მკაცრი იყო, საკანონო — უფრო ძნელი და, თუმცა პოლონეთის საუკეთესო ოჯახის შვილები სდებოდნენ აქ, ისინი, ვინც, ორდენში შესასვლელად ემზადებოდნენ, მონასტერში მათი ყოფნის პირველი წელი შავი სამუშაოს შესრულებაში, ლოცვასა და ღამის ტეხვაში გადიოდა...

ახლა ეს მომქანცველი საეკლესიო სამსახური კიდევ სხვა!

ცისკრის წირვისას გაშეშებული მუხლების გამართვას ძლივს ასწრებდნენ, რომ ზარები ადრეულ წირვაზე უხმობდა მათ, შემდეგ გვიანი წირვა მოდიოდა, შემდეგ მწუხრისა ლოცვა და კვლავ ცისკრისა.

წირვასა და წირვას შუა მოკლეხანიერ შესვენებებში გამოსაცდელ ახალგაზრდებს მოჰქონდათ წყალი, წმენდნენ მონასტრის ცხენებს, გამოჰქონდათ ნაკელი, მახლობელ ტყეში დადიოდნენ შეშაზე, რეცხავდნენ მონასტრის იატაკს და სამზარეულოში მზარეულს ეხმარებოდნენ.

ეს განებივრებული ახალგაზრდა შლიახტიჩები, მიჩვეულნი უთვალავ შინამოსამსახურეთა მორჩილებას, დიდ ბედნიერებად მიიჩნევდნენ, თუ შემთხვევით ტყეში შეშაზე წასვლა ერგებოდათ, ანდა წყალსაზიდარ კასრებზე გადამსხდართ ხევში ქვებშუა მოლიკლიკე წყაროზე ჩასვლა მოუხდებოდათ. განსაკუთრებულ შურს ის ბედნიერი იმსახურებდა, ვინც სამზარეულოში იმოდრიგეებდა. მათ, ფეტვის ფაფით თავგაბეზრებულებს, შეიძლება თევზის ნაჭერი რგებოდათ წილად!

მაგრამ ეს ახალგაზრდებს, მორჩილთგან განსხვავებით, ტყეი-

ლად არ ეძახდნენ „გამოსაცდელებს“. მათ გაცილებით მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ, ვიდრე მორჩილებსა და, წინამძღვრის ნებართვით, ხანდახან მონასტრის საზღვრებიდან გასვლაც კი შეეძლოთ.

ბერად აღკვეცილნი გაცილებით გაიოლებულად ცხოვრობდნენ. მათთვის იყო გამოცდილი მამა ეზოს მოძღვარი, მამა ღვინისმწდე, უხვი და მრავალფეროვანი სუფრა, მუსიკის ოთახი, მდიდარი სვენტოჟიცის ბიბლიოთეკა.

მორჩილებსა და გამოცდით გამოსაცდელებს დროის უქონლობის გამო გვიან-გვიან უხდებოდათ წიგნთსაცავში შეხედვა. წმინდა მამების აზრით, არც იყო გონივრული, სარწმუნოებისათვის ბრძოლაში გამოუწრთობი ახალგაზრდობის იქ შეშვება.

დომინიკანელთა ორდენის წესდება უშვებდა, თავის წევრებად მიეღოთ გამოცდაგავლილი, ოღონდ ჯერ ისევ ბერადაღუკვეცელი წარჩინებული უვარის შვილები, რის გამოც გარკვეული განსხვავებული დამოკიდებულება მყარდებოდა მორჩილთა და გამოსაცდელთა მიმართ. თუმცა, ახალგაზრდობას, ცხოვრების ერთნაირად ძნელ პირობებს თავისი გაჰქონდა და ამ სხვადასხვაგვაროვნული წარმოშობის ჭაბუკთა შორის ხშირად მეგობრობა მყარდებოდა. თვეში ერთხელ ამათაც და იმათაც მაინც ერეკებოდნენ ბიბლიოთეკაში—თაროებიდან მტვერი უნდა გადმოეწმინდათ, უნდა აელაგებინათ იატაკზე ჩამოყრილი ფოლიანტები და ხელნაწერები, რომლებიც სვენტოჟიცის მონასტერში დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან იყო ჩამოზიდული.

წავიდა ის დრო, როცა მამა დომინიკანელები მეცნიერების სარგებლიანობას უარყოფდნენ, — ახლა მათ, „ღვთის ქოფაკებს“ ქრისტიანული ქვეყნებიდან უნდა განედევნათ ერესი, წარმართთა ქვეყნებში ექადაგათ სახარება, ებრძოლათ იმ სულის წარმწყმენდელ შედეგებთან, რომლითაც გაჟღენთილი იყო ისლამის სწავლულთა შრომები... ცოდნისათვის უნდა დაეპირისპირებინათ ცოდნა, ოღონდ ეკლესიის მიერ ნათელმოსილი, მახვილისთვის — მახვილი, საბრძოლო ეშმაკობისთვის — საბრძოლო ეშმაკობა.

იმასაც ამბობდნენ, ახალგაზრდა გამოსაცდელები მონასტერში საომარ საქმესაც გაეცნობიანო, მაგრამ ჭაბუკებს არ სჯეროდათ ასეთი ბედნიერების.

მანამდე კი მამა დომინიკანელები ხარბად სწავლობდნენ ფოლიანტებსა და ხელნაწერებს, განსაკუთრებით ესპანეთიდან შემოტანილებს: მას შემდეგ, რაც სარწმუნოების ქომაგმა ფერდინანდ

კათოლიკემ მავრები განდევნა, ქვეყანაში მრავლად დარჩა ამ არასწორი, ერეტიკული მონაჩმახითა და ცრუ მოძღვრებით სავსე შრომები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ წმინდა წიგნების მტკიცებებს ქვეყნიერების შექმნაზე, სამყაროს აგებულებასა და მნათობთა წრებრუნვაზე. ამიტომაც, მოხუცებული, სიბეცემორეული, მცირემცოდნე მამა ბიბლიოთეკარი გუმანით ხვდებოდა, რომ მის შესაცვლელად მალე მოიწვევდნენ ახალს, უფრო მცოდნე კაცს.

მონასტრის ცხოვრებაში რამდვილ ხალისიან გამოცოცხლებას იწვევდა იშვიათი — განსაკუთრებით გაზაფხულის ჭყაპებში სტუმართა ჩამოსვლა. ამიტომაც მონასტრის ჭიშკართან მთლად ტალახით მოსვრილი კარეტა რომ გაჩერდა, მამა მნის მკაცრმა დაყვირებამაც ვერ შეაკავა სვენტოიციის გამოსაცდელები და მორჩილნი, ყველანი გალავანთან გამოეფინნენ.

კარეტის კოფოდან მეეტლის გვერდით მჯდარი ახალგაზრდა, ახოვანი ბერი გადმოხტა, კარეტის კარი გამოაღო და გადმოსვლაში მოწიწებით მიეხმარა მდიდრულმანტიიან, ხანშიშესულ პრელატს. მანტიიანი კაცი მარტო ამ მონასტერში ბყოფთათვის კი არა, კრაკოვის, ვარმიის, კრულლეეციისა და რომისთვისაც კარგად ნაცნობი იყო! მას პატერი არნოლდი ფონ ბრეევ ერქვა.

პრელატის თანმხლები ჭაბუკი რომ დაინახეს, რომელსაც ანაფორის ქვეშ ესევე უთამაშებდა მძლე კუნთები და რომლის მხარგამართულობა ბერს კი არა, უფრო ჯარისკაცს მოაგონებდათ, გამოსაცდელებმა ერთმანეთს მუჯლუგუნები გაჰკრეს: ისე ჩანს, პატერმა არნოლდმა ბოლოს და ბოლოს დანაპირები შეგვისრულა და დიდი ხნის ნანატრი ომის საქმის მასწავლებელი ჩამოგვიყვანაო.

მამა მნემ იმავე წამს იხმო მზარეული, ღვინისმწდე და გამრიგე. ხოლო იმ პატივდებული მოძღვრის შესაგებებლად უკვე თვით მისი მაღალღირსება წინამძღვარი მოეშურებოდა.

სტუმრების პატივსაცემად სატრაპეზოში გამართულ სადილზე ისევ ის მორჩილნი და გამოსაცდელნი ემსახურებოდნენ, ამიტომაც მონასტერში უკვე გავრცელდა ყველა საჭირო ცნობა ფონ ბრეევეს თანმხლებ ახალგაზრდა კაცზე.

ჯერ ერთი, ბერი კი არა, ერისკაცი ყოფილა, თანაც ბაკალავრის ხარისხი ჰქონია. მეორეც, იგი ჭაბუკებისთვის ომის საქმის გასაცნობად სულაც არ ჩამოსულა აქ. ოთხი წლის წინათ წარმატებით დაუსრულებია კრაკოვის აკადემიის შვიდი თავისუფალი ხელოვნების ფაკულტეტი და იქვე დაუტოვებიათ პროფესორის

თანაშემწედ. ახლა კი, მამა არნოლდის ხელმძღვანელობით, სქვ-
მის მისაღებად და დომინიკანელთა ორდენში შესასვლელად ემ-
ზადება. ეგ, ალბათ, ჩვენი დროისათვის ერთობ საჭირო სწავლუ-
ლი ბერთაგანი დადგება: თურმე დისერტაციის დაცვაცავად და
ღვთისმეტყველების მაგისტრის მეცნიერული ხარისხის მოსაპო-
ვებლად ემზადებაო.

აქ, სვენტოჟიცის მონასტერში, როგორც სუფრაზე პატერმა
არნოლდმა წინამძღვარს უთხრა, ბაკალავრი გაეცნობა ძველს,
მეტად ძვირფას ხელნაწერებსა და წიგნებს, რაც მეტად დიდ სარ-
გებლობას მოუტანს დისერტაციის მომზადებაშიო. თან ბიბლი-
ოთეკასაც წესრიგში მოიყვანს — იგივე სურვილი გამოთქვა დო-
მინიკანელთა ორდენის მაგისტრმა მამა ფოკა რავენსკიმ. ერთ-
დროულად ეს ჭაბუკის გამოცდაც იქნებაო. დომინიკანელი მისი-
ონერის საქმისათვის ყმაწვილი კაცი ლამის სიყრმიდანვე ემზა-
დებაო.

ახალგაზრდა მორჩილებმა და გამოსაცდელებმა მომავალი მი-
სიონერის სახელიცა და გვარიც გაიგეს: იგი პან ზბიგნევ სუხ-
დოლსკი ყოფილა, წარმოშობით კრაკოველი, შვილი დიდებული
შლიახტიჩის პან ვაცლავ სუხოდოლსკიისა, მამულიდან „სუხოი
დოლი“, ბოლო დროს ჭაბუკის ოჯახი გდანსკში გადასახლებულა
საცხოვრებლად.

ვანა შეიძლებოდა გადამეტებული ცნობისმოყვარეობა გესაყ-
ვედურებინა ახალგაზრდებისათვის, როცა ყოველგვარი მიწიერი-
საგან განდგომილმა, სარწმუნოებისათვის გამოცდილმა მებრძოლ-
მა მამა დომინიკანელებმაც ვერ დაიდუმეს სურვილი, რაც შეიძლე-
ბა მეტი რამ გაეგოთ მომავალ ბიბლიოთეკარზე?! ბერები გარს
შემოეხვივნენ ორივე სტუმარს, როდესაც ისინი მონასტრის ბალ-
ში გავიდნენ სასეირნოდ.

მათ შორის არ იყო მხოლოდ სწავლული მამა ფლორიანი, ის
კი იტალიიდან იცნობდა თურმე პატერ არნოლდს. ამბობდნენ,
ბოლონიის უნივერსიტეტში ერთ მერხზეც მსხდარანო... შეეძლო
მამა ფლორიანს, თუნდაც ძველი ნაცნობობის გულისთვის, ხალ-
ხისგან გამიჯვნით ყოფნის თავისი ჩვეულებისათვის ერთხელ
მაინც ეღალატა!

მამა ფლორიანმა თავიდან უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა
ზბიგნევზე. შესაძლოა, ამის მიზეზი ბერის ქედმაღლური სიარუ-
ლის მანერა იყო, ანდა მისი გამოფიტული, გადაყვითლებულ-

გადანაცრისფერებული სახე ჩაცვივნული ღაწვისთავებითა და მსხვილი შავი თვალების უნდო გამოხედვით.

მაგრამ ახალგაზრდა სუხოდოლსკის მონასტრის ბიბლიოთეკარად ყოფნიდან ორ თვესაც არ გაევლო, რომ ჭაბუკმა საფუძვლიანად შეიცვალა დამოკიდებულება მამა ფლორიანისადმი. შემდეგ კი მათ შორის მეგობრობაც გაიბა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ზბიგნევის მომავალ ბედზე.

მათი ნაცნობობა ერთი უმნიშვნელო შემთხვევის წყალობით დაიწყო.

ბიბლიოთეკის კუთხეში მიყრილი ქაღალდებისა და წიგნების გადარჩევას რომ ამთავრებდა, ზბიგნევი უცნობი ავტორის ერთი მცირე მოცულობის ხელნაწერს წააწყდა.

რაკი ახალგაზრდა ბაკალავრი ბიბლიოთეკას აწესრიგებდა მისთვის ჩვეული წესრიგიანობის გამო, თავის ვალად მიიჩნია, წიგნების აღწერაც მოეხდინა, ამიტომ საჭირო გახდა, ხელნაწერის ავტორის ვინაობის დადგენა. მაგრამ ზბიგნევმა ერთადერთი იმის გარკვევა მოახერხა მხოლოდ, რომ ხელნაწერი მისთვის ნაკლებად ნაცნობ ესპანურ ენაზე იყო დაწერილი. ესპანურ ნაწერს ფორმულები და გამოანგარიშებები მოსდევდა, თან უამრავი შენიშვნა იყო მინაწერი, ეს უკვე არაბულ ენაზე.

სწავლულ ბერთაგან ვერც ერთი ვერ დაეხმარა ბზიგნევს, სანამ მამა არტემიმ, რომელსაც საეკლესიო სამართლის დოქტორის ხარისხი ჰქონდა მინიჭებული, არ ურჩია:

— მამა ფლორიანს მიმართე, შვილო ჩემო. შეიძლება დაინტერესდეს ხელნაწერით: იგი ჩვენთან ცნობილი ბიბლიოფილია... შეიძლება გადაგითარგმნოს კიდევაც ესპანელი ავტორის ეს შრომა... ავტორის სახელს მაინც უეჭველად გეტყვის, წადი, ამ საათებში იგი ყოველთვის ბაღში დასეირნობს.

უნებლიე მოკრძალებით გაემართა ზბიგნევი ხეივნის ბოლოში მოსიარულე მხრებში მოხრილი ფიგურისაკენ.

— მომიტევებს ღირსპატივცემული მამა ფლორიანი, თუ შევაწუხებ და ვთხოვ, ამ ხელნაწერს ჩახედოს? — ჭაბუკმა მამა ფლორიანს გაუბედავად გაუწოდა დახვეული პერგამენტი.

— მე უბრალო ბერი ვარ და ასეთი საქმეები არ მევალება! — მიუგო ფლორიანმა, თან თავით-ფეხამდე უკეთურად შეათვალიერა ზბიგნევი. — საეკლესიო სამართლის დოქტორს მამა არტემის მიმართეთ.

— სწორედ მამა არტემიმ გამომგზავნა თქვენთან, — მიუგო ბზიგნევმა, — მითხრა, რომ თქვენ გარდა ვერავინ დამეხმარება,

თანაც გაგონილი მაქვს, ძალიან გიყვართ სიძველენი, — დაურთო ზბიგნევმა და მუდარით გადაიჭდო ხელები, — ეს ხელნაწერი კი, როგორც ეტყობა, ძველი უნდა იყოს... მგონი, გასული საუკუნისა.

ბერმა მაინც უარით გაიქნია თავი.

გაწბილებული ჭაბუკი, ის იყო, წასასვლელად შეტრიალდა, რომ მამა ფლორიანის დაბალი ხმა შემოესმა:

— მოიცა! Bene![1] მომეცით აქ ეგ ხელნაწერი, ვნახო რა არის... თუ გაწყენინე, მომიტევე: ავადმყოფი კაცი ვარ და ხანდახან უმართებულოდ ვიქცევი...

ორივენი სკამზე ჩამოსხდნენ. ფლორიანი კითხვას ჩაუღრმავდა. ზბიგნევს მეტისმეტად გრძელად მოეჩვენა დუმილის წუთები, რომელსაც ბერის მშრალი ხველა არღვევდა მხოლოდ.

ბოლოს მამა ფლორიანმა ჭაბუკს ხელნაწერი დაუბრუნა, თავი გადააქნია და ჰკითხა:

— ხომ არავის წაუკითხავს? შენ გარდა კიდევ ვინ ნახა ეს ხელნაწერი?

— მამა არტემიმ დაიწყო კითხვა, მაგრამ სხვა ძმებს ზედაც არ დაუხედავთ...

— Bene! ეს ხელნაწერი არც ისე ძველია... იგი ტრაქტატია რწმენასა და შემეცნებაზე. ეკუთვნის ნაკლებად ცნობილ ბერს, ფილოსოფოს დიეგო გარსიას, რომელიც 1489 წელს ბარსელონაში კოცონზე დაწვეს... ამ ხელნაწერის კოპიო ოდესღაც ძალიან დიდ თანხად შეეიძინე ჩემი ბიბლიოთეკისათვის... იგივე აზრები უფრო დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ჩემს თანამემამულე პომპონაციის...[2] — და თითქოს თავისივე უნებლიე ნათქვამით უკმაყოფილო მამა ფლორიანი აჩქარდა საუბრის დასრულებას: — წადი, შვილო ჩემო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ოღონდ ჯერ მითხარი, ახალო ბიბლიოთეკარო, რას დაუპირებ დიეგო გარსიას ნაშრომს?

— მე თვითონ არ ვიცი... დიდი ფოლიანტების გვერდით დავდებ. სულ ერთია, ენის უცოდინარობის გამო, თქვენ გარდა, მაინც ვერავინ წაიკითხავს... ჩემდა სამწუხაროდ!

— კი არ უნდა წუხდე, გიხაროდეს, — მკაცრად შეეპასუხა მამა ფლორიანი. — მამა დომინიკანელებმა სარწმუნოების თავგამოდე-

---

[1] Bene (ლათ). — კარგი.

[2] პომპონაცი, პიეტრო (1462 — 1525) აღორძინების ეპოქაში არისტოტელეს ერთ-ერთი ყველაზე ღრმა მკვლევარი და განმმარტებელი.

ბული დაცვით გაითქვეს სახელი, მაგრამ მაინც სჯობია, ეგ ერეტიკული ტრაქტატი ხელთ არავის მოხვდეს!

— თქვენო მაღალღირსებავ, — მუდარით მიმართა ზბიგნევმა, — მე დომინიკანელთა ორდენში შესასვლელად ვემზადები... და, თქვენი ნათქვამის მიუხედავად, დიდი სურვილი გამიჩნდა, გავეცნო ამ უბედური კაცის შრომას... რა კარგი იქნებოდა, თუკი მე, ახლად აღკვეცილს, ჯერ კიდევ სახელმოუხვეჭელ ბერს, შემეძლებოდა ამ ცრუ მოძღვრების უარყოფა! — დაურთო ზბიგნევმა მიამიტური თვითკმაყოფილებით.

— აჰა, შენ ჯერ არ მიგიღია სქემა? — თქვა ბერმა და ყურადღებით შეათვალიერა ზბიგნევი. — მით უფრო საშიშია შენთვის ეგ ხელნაწერი. წმინდა წიგნების ყველა უარმყოფელთაგან, ვისაც კი ვიცნობთ, ეს, ალბათ, ყველაზე დამაჯერებელია! პომპონაციის, როშელიც წეღან ვახსენე, შეუძლია ლამაზ ფრაზებს ამოაფაროს თავისი გამანადგურებელი იდეები, რომელთა მნიშვნელობის უცებ გაგება შეუძლებელი ხდება... იგი ამ გამონათქვამის მიმდევარია: „Sapienti sat“[1], ესე იგი... — ბერმა რომ დაინახა, ჭაბუკმა ხელი ასწია იმის საუწყებლად, ლათინური საფუძვლიანად მაქვს შესწავლილიო, ღიმილით განაგრძო: — ესე იგი, „სულელებმა წაიკითხონ ის, რაც წერია, ჭკვიანებმა ის — რისი თქმაც უნდოდა ავტორს... „ბარსელონელისათვის კი ამდაგვარი ეშმაკობანი უცხოა, იგი ყველაფერს მთელი სიცხადით გვაუწყებს: შავზე — შავიაო, ამბობს, მცდარზე — მცდარიო...

სუხოდოლსკების გვარში მრავლად იყვნენ ჯიუტნი და ფეხმიდგმულნი. ზბიგნევიც ნაკლებად გამოირჩეოდა თავის წინაპართაგან.

— გემუდარებით, თქვენო მაღალღირსებავ, ცოტათი გაახანგრძლივოთ თქვენი მოწყალება ჩემდამი... ტრაქტატი, ისედაც ხედავთ, ძალზე მცირეა. მითარგმნეთ იგი ან ლათინურ ან პოლონურ ენაზე, ვატყობ, ორივეს ბრწყინვალედ ფლობთ. მომეცით საშუალება, ხელნაწერი საფუძვლიანად შევისწავლო, დავწერო მისი ყოველი ცრუ მოსაზრების პასუხი და უარვყო ამ ესპანელის მოძღვრება, რათა ჩვენს წმიდა ეკლესიას დიდების სახელი შევმატო!

„შენსავე დიდებაზე ხომ არ ოცნებობ, უფრო რაინდს მინამგვანო მწირო?“ — გაიფიქრა მამა ფლორიანმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

— მერე, დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ მის უარყო-

---

[1] „Sapienti sat“ — „ბრძენთა უწყიან“. მაგრამ ამ გამონათქვამს მამა ფლორიანი თავისებურ ახსნას უძებნის.

ფას? — ჰკითხა კარგა ხნის დუმილის შემდეგ. — და არ შეგაშინებს ის აზრები, რომლებიც შეიძლება ამ ტექსტმა შთაგითესოთ?

მამა ფლორიანის ნათქვამით შეშინებული, ნირწამხდარი ზბიგნევი იმ დღეს ფაციფუცით გაეცალა იქაურობას და სკამზე დარჩა ის ავადსახსენებელი ხელნაწერი, მაგრამ სამ დღესაც არ გაევლო, რომ, როგორც ცეცხლმა ფარვანა, ისე მიიზიდა ბაღის იმ ბილიკმა, სადაც ამოჩემებულ საათებში სეირნობდა ხოლმე უცნაური ბერი. შემდეგში ზბიგნევს ჩვეულებად გადაექცა: წაიმუშავებდა ბიბლიოთეკაში ცოტას და ყოველდღე მიაშურებდა ხოლმე ბაღს; თუ ავადმყოფობის გამო მამა ფლორიანს გარეთ გამოსვლა არ შეეძლო — იმის კედლებმოშიშვლებულ, უღიმღამო სენაკს. ხმამაღალი კითხვა და თარგმნა მამა ფლორიანს დიდხნობით არ შეეძლო — ხველა არ აცლიდა.

მაშინ გადადებდა ხელნაწერს, რომელიც უკვე ზეპირად იცოდა და ჭაბუკს ძლივს გასაგონი ხმით გადასცემდა წაუკითხავი თავების შინაარსს.

ბოლოს, დაამთავრეს ტრაქტატის გაცნობა.

— ახლა დროა, შეუდგე მის უარყოფას, — უთხრა გვერდში ნაგრძნობი ტკივილისაგან სახეშეჭმუხნილმა მამა ფლორიანმა. — დაიწყე, როგორც აკადემიაშია მიღებული: პირველი განყოფილება — „საკამათო ავტორის შრომის გაცნობა“, მეორე განყოფილება — „ამ შრომის შინაარსისა და გადმოცემის მეთოდების გარჩევა“, მესამე განყოფილება — „ამ შრომის გაბათილება“ და მეოთხე — „დასკვნები“. თუმცა, დასკვნები უკვე გამოტანილია. ესპანელი დაწვეს. წინდაწინ კი მიაღწიეს მის მონანიებას. მისი სული შეიძლება ახლა სასუფეველში განისვენებს.

კარგა ხანია, ზბიგნევს აღარც ბერის უცნაური მსჯელობანი აშინებდა, აღარც მისი მწარე, დამცინავი ღიმილი, აშინებდა სულ სხვა, თვით მასში მომხდარი უცნაური ძვრები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ აძლევდა ანგარიშს.

— მე ვგონებ, მიჯობს, წმიდა მამაო, შრომის შემდეგნაირად დაწყება: — თქვა გადაჭრით ზბიგნევმა: — „ამ განსასჯელი, წმინდა ინკვიზიციის მიერ დაგმობილი შრომის ავტორი ამტკიცებს, თითქოს ადამიანს ბრმად სჯერა მხოლოდ ის, რისი აღთქმაც მისი გონებისთვის მიუწვდომელია, რომ, იმისდა მიხედვით, როგორ ეხსნება ადამიანს გონება და იწყებს საგანთა ნამდვილი არსის წვდომას, მისი ბრმა რწმენაც თანდათან ირყევა. ავტორი იმასაც ამტკიცებს, თითქოს რწმენამ ბოლოს და ბოლოს გზა

უხდა დაუთმოს გონიერებასა და ცდას...“ — ზბიგნევი სულ წყნაროად და წყნარად ლაპარკობდა, ბოლოს დადუმდა.

— შეუდგეთ მეორე განყოფილებას, შვილო ჩემო, — უთხრა მამა ფლორიანმა, — აქ მრავალ რამეში შეგიძლია შეედაო ავტორს: ესპანელი რიტორიკისა და მქევრმეტყველების ხელოვანი არაა, ეკლესიის მამათა აზრით, ვერ მოჰყავს საჭირო დასაბუთებები წმინდა წიგნების წინააღმდეგ... თუმცა არ განვჭვრეტ შენს აზრებს წინდაწინ. განსაჯე, როგორადაც გასწავლეს და როგორადაც შენ მიიჩნევ საჭიროდ. მაშ, ასე, განიხილე ტრაქტატი როგორც შინაარსის, ისე გადმოცემის ხერხის მიხედვით.

ზბიგნევი დუმდა. მამა ფლორიანმა შეხედა თავისი შავად აპრიალებული თვალებით.

— ბინდდება, პოლონეთში კი გრილი გაზაფხულის ღამეები იცის, — თქვა უცებ ბერმა და ერეოლვით აიწურა მხრები, — ვფიქრობ, დღეს საკმაოდ წავიმუშავეთ.. კარგად მოიფიქრე მეორე განყოფილება, შენი ვარაუდებიც. ხვალ დავუბრუნდებით ამ ტრაქტატის განხილვას.

ბაგრამ ბეორე დღეს ზბიგნევს აღარ უნსჯელია ბარსელონელის ბაძრომზე, რადგანაც მონასტერში პატერი არნოლდი ჩამოვიდა. იგი გულმოდგინედ ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას, ყურადღება არ მოეკლო თავის კალთას შეფარებული ზბიგნევისათვის.

ზბიგნევი ჩვეულებრივ მიეახლა პატერ არნოლდს ლოცვა-კურთხევის მისაღებად და სთხოვა პრელატს, სააღსარებოდ რამდენიმე წუთი დამითმეო.

— რაიმე მძიმე შეცოდებამ დაგიმძიმა სული? — ჩაეკითხა პატერი არნოლდი დაბნეულად, რადგანაც სამზარეულოდან შემწვარ-მოხრაკულის სუნი სცემდა უკვე, — იქნებ ცოტა ხნით გადაგვედო ალსარება?

„რა უნდა მოხდენოდა განშორების ამ მცირე ჟამს?“ — გაჰკრა პატერ არნოლდს ფიქრმა.

— თავისუფალი აზრები მეუფლებიან ჩოლმე! — ნაღვლიანად გამოტყდა ზბიგნევი.

ჭაბუკის გადაჭარბებულმა მორწმუნეობამ და მეტისმეტად მკაცრმა დამოკიდებულებამ ყოველგვარი ამქვეყნიური სიამოვნებისადმი, ჩააგონა პატერ არნოლდს, ზბიგნევისათვის ერჩია, ბერად აღკვეცილიყო. უზომოდ ცოტანი არიან ახლა სანიმუშო, მართლმორწმუნე და ამასთანავე განსწავლული ბერები!

და მაინც ჭაბუკის შეხედულებათა ასეთი შეზღუდულობა ხანდახან მეტისმეტად უძნელებდა პატერ არნოლდს ბაკალავრთან ურ-

თიერთობას. თან იმ ამოცანაზეც, რომელიც ზბიგნევის სულიერმა მამამ დაისახა და რომლის გადაჭრასაც, აგერ, უკვე რამდენი წელია ესწრაფვოდა, ეტყობა, უარი უნდა თქვას. „მეშფოთე“ სტანისლავ კოგუტსა და ჰენრიხ ადლერთან მჭიდრო კავშირი ზბიგნევმა კრაკოვშივე გაწყვიტა. იმ ბებერმა ყეყეჩმა, დომინიკანელმა მამა კაეტჟნამ, ოდესღაც სუხოდოლსკებთან რომ ცხოვრობდა და მოხუცმა შლიახტიჩმა გამოაგდო, როგორც ჩანს, შურისგების მიზნით, ჭაბუკი გადაიბირა და ბურსიდან თავის სენაკში გადააბარგა საცხოვრებლად.

ახლა, აკადემიის დამთავრების შემდეგ, რაკი სტანისლავ კოგუტი თავის შორეულ კაშუბურ სოფელში წავიდა უწყინარ ჭენძად, ხოლო ჰენრიხ ადლერი — გერმანიაში სახეტიალოდ, ზბიგნევს სულაც ვეღარ ხვდებიან... საფიქრებელია, რომ აკადემიაში რომიდან ნეთვალყურედ მოვლენილი მამა ბენვინის მიერ ამ ახალგაზრდებზე აღებული ეჭვები წმინდა ეკლესიის წინააღმდეგ რაღაც მზაკვრულ განზრახვაში, ტყუილი გამოდგა. „უბრალო სოფლის ბიჭები“, — ასე დაახასიათა ოდესღაც ისინი დეკანმა და მართალიც იყო იგი!

ზბიგნევისა და კანონიკი კოპერნიკის ურთიერთობის მოგვარება ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ ამ საქმეს თავის დროზე თვით მამა არნოლდი აღუდგა წინ. ახლა ზბიგნევი მტკიცედ დგას სარწმუნოებაზე და ყოველგვარი კოპერნიკები მისთვის საშიში აღარაა, მაგრამ კავშირი ლიძბარკთან, სამწუხროდ, უკვე გაწყვეტილია.

— შვილო ჩემო, — გულში ჩამწვდომად მიმართა მოძღვარმა ზბიგნევს, — შენ აქ წელიწადზე ნაკლებს არ დაჰყოფ, ჩემი მოვალეობანი კი მოითხოვს, ხან კრაკოვში ვიყო, ხან ვარმიაში, ხანაც რომში! ამდენი ხნით შენი უაღსარებოდ და ცოდვათა მიუტევებლად დატოვება შეუძლებელია! ამიტომ, ვფიქრობ, აქვე, ამავე მონასტერში უნდა ირჩიო ახალი მოძღვარი... ღმერთმა იცის, როგორ მიჭირს შენთან ურთიერთობის გაწყვეტა, მაგრამ მოვალეობანი უპირველეს ყოვლისა! აქაც მრავალად არის ცხოვრების მკაცრი ნირითა და სარწმუნოების ერთგულებით სახელმოხვეჭილი მამა დომინიკანელები...

— არის აქ ერთი წმიდა მამა... — დაიწყო ზბიგნევმა გაუბედავად. — მაგრამ მისთვის მე ჯერ არაფერი მითქვამს. მისი ერთი შეხედვაც გაფიქრებინებს, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი მოსაგრეა... იგი თავისი ღრმა და მრავალმხრივი განათლებითაც თვალსაჩინოდ გამოირჩევა დანარჩენებისაგან...

— ქრისტიანი მოსაგრე? ღრმა და მრავალმხრივ განათლებულ

კაცი? — გაიმეორა პატერმა არნოლდმა დაფიქრებით. — აქ ყველაზე მცოდნე და განათლებული ბერი მამა არტემია, მაგრამ თავისი ჩათქვირებული გარეგნობითა და გადმომრგვალებული ღიპით ნაკლებად წააგავს ქრისტიან მოსაგრეს... მხოლოდ მამა სებასტიანეა ზუსტი კოპია თავისი მფარველი წმიდა სებასტიანისა წარმართებთან გადატანილი წამების გამო... ეს ბერი წრფელი და ღრმად ერთგულია ჩვენი წმიდა ეკლესიისა, მაგრამ განათლებული კაციაო, ვერ იტყვი მასზე... მოიცა, მოიცა, — წარმოთქვა პატერმა არნოლდმა და თავისი ხავერდოვანი წარბები ერთად შეჰყარა, — მამა ფლორიანს ხომ არ გულისხმობ? მაშ, გქონდა მასთან საუბარი? ამას კი აღარ მოველოდი თუ იმ განრიდებულ კაცს სიტყვას დააცდენინებდა ვინმე! მისი არჩევა ხომ არ გინდა შენს სულიერ მამად?

— მისი... მიმიხვდით... — დაუდასტურა ზბიგნევმა. — რა, წმიდა მამაო, გაქვთ საწინააღმდეგო მოსაზრება?

— მამა ფლორიანი! — გაიმეორა პატერმა არნოლდმა აღშფოთებით. — მერე, იცი, რა ქარმა გადმოაგდო იგი აქეთ? „ვენეციელი არშიყი“, „ქუჩის მომღერალთა, მეტადრე მომღერალ ქალთა ქომაგი“. აი, როგორი ზედმეტი სახელები შეარქვეს რომში! არა, არა, იგი არ უნდა იყოს მოძღვარი და სულიერი მამა ნორჩი სულისა! უფალი ღმერთია მოწმე, ზბიგნევ, როგორ მწყინს, რომ არ შეგიძლია ადამიანთა ცნობა!.. ჩვენმა წმიდა მამამ, ლევ მეათემ, ეგ მამა ფლორიანი აქ რომ გამოგზავნა, იქნებ ამით ინკვიზიციის კოცონისაგან იხსნა კიდევაც! — განაგრძო პატერმა არნოლდმა. — ეგ კაცია, და, სხვათა შორის, ბევრი სხვაც, რომში ჰუმანიზმის წარმყვანელი სულით არიან მოწამლულნი. ეგ ხალხი ძველ ფილოსოფოსთ ქრისტიან წამებულებზე მაღლა აყენებენ! მზად არიან, მიწიდან ამოთხრილი მარმარილოს შიშველ გომბიოს სული ანაცვალონ! მამა ფლორიანი!.. მე არ შემიძლია მასზე დაწუნარებით ლაპარაკი. უმაგისოდ არ ეწყობილა არც ერთი მასკარადი! გაიხდიდა თავის კარდინალის მანტიას... რა შეშინებული მიყურებ. ჰო, ჰო, ეგ საბრალობელი ბერი, ფლორიან მაძინი. ოდესღაც კარდინალი იყო!.. ჰოდა, მაშ, გაიხდიდა კარდინალის წითელ მანტიას და მეთევზის, ჯარისკაცის, მასხარის ტანსაცმელსაც კი ჩაიცვამდა... ახლა მაგისი ბიბლიოთეკა!.. იქ ათასობით ტომია თავმოყრილი, მაგრამ ეკლესიის მამათა შრომებს ტყუილად დაუწყებ ძებნას... ახლა იმდენი მითქმა-მოთქმის ამტეხი მაგისი ქადაგება, რომ გაერთო და ბრეევლთან წარმართთა მხილების ნაცვლად რომაელ და ბერძენ ლექსმჩხიბავთა შედარებაზე ბულბულივით მოჰყვა გალობას...

— მამა ფლორიანის გამოძევების მიზეზი რა იყო? — იკითხა ზბიგნევმა. რაც არ უნდა მტკიცნეული ყოფილიყო ამის შეგნება, მამა, არნოლდის ნათქვამის შემდეგ თანაგრძნობა ყოფილი კარდინალისადმი ნელ-ნელა უქრებოდა ზბიგნევს.

— მე მხოლოდ მისი ცოდვათა ნაწილი გითხარი. თითოეული მათგანი სხვას, ვისაც გინდა, კოცონზე დაწვამდე მიიყვანდა! მაგრამ მისი უწმინდესობა პაპი იულიუს მეორე თავის გზააბნეულ კარდინალს მომაკვდინებელი შემწყნარებლობით ექცეოდა! — გულიდან აღმოხდა პატერ არნოლდს და იქვე დაურთო: — ნუ შეგაშინებს წმიდა ტახტზე გამოთქმული ეს აზრი, შვილო ჩემო, რომში ახლა, საბედნიეროდ, სხვა ფესრიგია... მაშინ კი ჩემი თვალით მინახავს ნდობადამსახურებულ კაცთაგან დაწერილი ექვსი თუ შვიდი დასმენა. ისინი იტყობინებოდნენ, კარდინალი ფლორიან მაძინი შავ მაგიას სწაელობსო, იცნობს ჯადოქრებსა. და გრძნეულებსო. თავისავით სირცხვილ და ნამუსდაკარგულ ხალხთან ერთად გვამებს ფატრავსო, თავის ქალაქგარეთულ ვილაში იმ მავრ ექიმს ძალავს, რომელსაც წმიდა ინკვიზიცია ეძებსო და ბრალავს, მრავალი კიდევ სხვა... მისი უწმინდესობა იულიუს მეორე კი ყურს იყრუებდა. პაპი ლეე მეათეც მაძინისადმი კეთილგანწყობილი იყო და მოწყალედაც ექცეოდა, მაგრამ მოთმინების ფიალა უკანასკნელმა წვეთმა აუვსო. უეჭველია, იცი, რომ პაპის მეუფება იტალიის მრავალ ოლქზე ვრცელდება, მათ შორის ვენეციასაც. მაძინის სამშობლოზეც. ჰოდა, როდესაც ლეე მეათეს წარუდგინეს უტყუარი საბუთები იმის. დასადასტურებლად, რომ გაიძვერა კარდინალი თავის თანამოქალაქეთ წმიდა ტახტს უმხედრებსო, პაპი მაშინღა მიხვდა, რა გველსაც ისვამდა უბეში! — რა ხანია, პატერი არნოლდი მღელვარებისგან უკვე ხმაჩახლეჩილი ლაპარაკობდა. — წყალი მომაწოდე, შვილო ჩემო, სთხოვა ზბიგნევს და მანაც დოქიდან წყალნარევი ღვინო დაუსხა. — მაშინ კი პაპმა მაძინის ყველა ძველი ცოდვა გაუხსენა, — განაგრძო პატერმა, — წმინდა ტახტის გადაწყვეტილებით კარდინალი აქ, ამ დაშორებულ მონასტერში გადმოგზავნეს... თუმცა, გარყვნილმა ცხოვრებამ მანამდე გაუნადგურა ჯანმრთელობა, ცოდვილის აღსასრული მოახლოებულია... ერიდე მას, შვილო ჩემო! მოახლოებული სიკვდილის წინ ასპიტი კაცის დაგესვლას ცდილობს!.. ცხელ ქვეყნებში იცის ერთგვარი ქვემძრომი — ღრიანკალი, სიკვდილის ჟამს იგი თავის შხამს რომელიმე სუნდგმულს შთაანთხევს ხოლმე... ეს გზააბნეული და მონანიებადაკარგული ცოდვილიც აღსასრულის დადგომამდე მოი-

წადინებს, ირგვლივმყოფთაგან ვინმე აცდუნოს.. ფრთხილად, იქნებ, შენ აგირჩია თავის მსხვერპლად, შვილო ჩემო!

ზბიგნევმა იგრძნო, როგორ დაუარა შიშის ერუანტელმა მთელ სხეულში.

— მე დამაკისრეს, ფლორიანისგან უკანასკნელი აღსარების მიღება და ცოდვათა უკანასკნელი მიტევება. — განაგრძობდა პატერი არნოლდი. — მეც ვიდე თავს ეს მოვალეობა, რადგანაც, ცოტა მღვდელს თუ ვიცნობთ, ვინც არ შედრკება მაგ კარდინალის ყველა ცოდვათა ჩამოთვლის მოსმენისას! ურყევი რწმენა გინდა მაგის აღსარების შემდეგ, რომ წმინდა ტახტის უცოდველობაში არ დაეჭვდე... ღმერთმა შთამინერგა მე ასეთი ურყევი რწმენა, ამიტომაც მომიწოდეს მე, ეკლესიის მორჩილ მსახურს, აღვასრულო ეს უკანასკნელი ვალი გზააბნეულის მიმართ და შევუმსუბუქო ცოდვილი სული... მაგრამ, გიმეორებ, ერიდე მას, შვილო ჩემო!.. ლამაზი სიტყვებითა და ალერსიანი ღიმილით შეუძლია მას ახალგაზრდის თავისკენ გადაბირება...

— მამა ფლორიანს ჩემთვის არც ლამაზი სიტყვები ულირსებია, არც ალერსიანი ღიმილი, — მიუგო ზბიგნევმა, — იგი მკაცრია, სიტყვაძუნწი, უკარება და ერთი შეხედვით, განრიდებული ამქვეყნიური ამაოებისაგან...

— მაშ, ახლა სხვა ხერხი აურჩევია სულთა მისანდობად! — შეაწყვეტინა პატერმა არნოლდმა. — სიტყვაძუნწობა, მრავლისმეტყველი დუმილი, ყოველგვარი ბრბოსთვის და, სავალალოდ, წმინდა სავანეებისთვისაც ნიშანდობლივ წვრილმან უსიამოვნებათაგან თავის არიდება განა საშუალება არაა მშფოთვარე სულის მქონე ახალგზრდის ყურადღების მისაპყრობად? შემდეგ კი, თევზი სატყუარს რომ მიეტანება, გაუადვილდება, იგი ურწმუნოებისა და ღვთისმგმობელის ანკესს წამოაგოს... მითხარი, შვილო ჩემო, ის ხომ არაა დამნაშავე იმ თავისუფალი ფიქრებისა, ჩემთან რომ უნდა მოგენანიებინა?

ზბიგნევი უნდა დათანხმებულიყო, რომ პატერი არნოლდი ახლაც, კვლავინდებურად, მართალი იყო... იგი ხმაამოუღებლივ მიჰყვებოდა პატერს თიხით მოსლიპულ გზაზე და შეწუხებული ფიქრობდა, როგორ განრიდებოდა მამა ფლორიანს, რომელსაც ისე მიეჩვია და რომელიც, იქნებ მოჩვენებითაც, მაგრამ გამოსაცდელ ჰაბუკთან ყოველი შეხვედრისას დაუფარავ სიხარულს ამჟღავნებდა.

პატერ არნოლდთან გამოთხოვების შემდეგ ზბიგნევს დაუძლეველი სურვილი აეკვიატა, განმარტოვებით ეფიქრა იმაზე, რაც იმ დღეს მოისმინა. ბიბლიოთეკაში დარჩენილიყო მარტო? — მაგრამ სანამ ბიბლიოთეკამდე მიაღწევდა, სამჯერ თუ ოთხჯერ გამოელაპარაკნენ. ერთმა ახალგაზრდამ, მასსავით გამოსაცდელმა, ჰკითხა, ბერძნულად როგორ გადავთარგმნოო სიტყვა „ინდულგენცია“ ან, საერთოდ, ბერძნულად ამ გაგების სიტყვა თუ არსებობსო.

მძმა არტემი დაინტერესდა, მამა ფლორიანმა ესპანური ხელნაწერის თარგმნა დაასრულა თუ არაო.

ორმა ჭაბუკმა მორჩილმა ზბიგნევს შესთავაზა, ტყეში წავიდეთო. იქ მათ წმიდა მამების ფარულად პატარა ადგილი გაჩეხეს და ბურთს თამაშობდნენ.

სამზარეულოს ფანჯრიდან მზარეულმა გამოყო თავი და ჰკითხა, ღირსპატივსაცემ მამა არნოლდს არაჟანიანი კარჩხანა თუ უყვარსო.

ზბიგნევმა უფრო შორს წასვლა გადაწყვიტა — იგი ტყეში მიმავალმა ბილიკმა შეიტყუა.

პატერი არნოლდის მონაყოლის გამო ჭაბუკი შეშინებული და აფორიაქებული იყო, მაგრამ ამავე დროს დიდი უბედურებიდან თავდაღწეული კაცის უჩვეულო შვებასაც გრძნობდა...

„როგორი მადლობელი ვარ მამა არნოლდისა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელ წუთებში მხარში მიდგას ხოლმე, მამხნევებს სიტყვითაც და საქმითაც! ვგონებ, უკვე აღარავისთან შეხვედრის საშიშროება აღარ მელის!“ — ფიქრობდა ტყის სიღრმეში შესული ზბიგნევი.

— მაგრამ, ეჰ, — ბილიკის მოსაბრუნზე ზბიგნევს ამხანაგებისგან „პშეპრაშემად[1]“ წოდებული ახალგაზრდა ელოდა.

მორჩილი თავმოდრეკილი, გულზე ხელებგადაჭდობილი იდგა და მთელი თავისი არსებით ღრმა სინანულს გამოხატავდა.

ეს ამბავი მოხდა ზბიგნევის მონასტერში მისვლის დღეს, ბაკალავრის დაღლილობით რომ ისარგებლა და „უცხოთშესავრდომში“ უგრძნობლად მძინარე ზბიგნევს ცხვირთან ულვაშები მიახატა. ახალგაზრდა ბიბლიოთეკარს კი ეშვიც არ აუღია და ტრაპეზამდე ასე, ულვაშებმინატული დაბრძანდებოდა.

ყველა გამოსაცდელი და მორჩილი, მათ შორის ზოგიერთი ბერიც ამბობდა, ტანადსა და ვაჟკაცური აღნაგობის ზბიგნევს ულვაშები მეტისმეტად უხდებაო.

---

[1] პშეპრაშემ (პოლ.) — „მომიტევეთ“.

თვით ბაკალავარს ამ ხუმრობაზე გული მხოლოდ იმან მოაყვანინა, რომ თავის ორეულის დაბნახვისას დარწმუნდა, ულვაშები, მართლაც, მიხდებაო, და სადღაც, სულის სიღრმეში სინანული იგრძნო, რადგანაც თავის სიცოცხლეში ვეღარსოდეს მოუშვებდა გრძელ, პოლონურ ულვაშს, ვეღარასოდეს ატარებდა ხმალს და ურწმუნოებს ჯვრით კი არა, მახვილით ვეღარ შეებრძოლებოდა.

ახლა ამ ახალგაზრდა ხუმარას გადაეწყვიტა, თავისი უადგილო ხუმრობისათვის ერთხელ კიდევ გამოეთხოვა ბაკალავრისაგან პატიება.

ზბიგნევმა დაამშვიდა ახალგაზრდა, როგორც შეეძლო, და აჩქარებით გამოეთხოვა.

გზებზე და მონასტრის ბაღში თოვლი თითქმის აღებული იყო. აქ ამ ნაძვნარსა და ფიჭვნარს ქვეშ კი მოციესფრო სქელ ფენად იდო ისევ, აქა-იქ რომელიღაც პატარა ცხოველის ნაფეხურებით აჭრელებული.

„ოჰო, აგერ, ადამიანის ნაფეხურებიც... ნაფეხურები სადღაც, ტყის სიღრმეში იკარგება. ტყისმჭრელის იქნება ან მონადირისა..." — დაასკვნა ზბიგნევმა.

ჭაბუკმა ფიჭვნარის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა და გზა განაგრძო. იარა, იარა და თავს იმ სურვილში წაასწრო, რომ სიმღერა მოუნდა, ყვირილი, სირბილიც კი ამ ხრაშუნა, გადალიპულ თოვლზე.

— ამაზე რაღას მეტყოდა პატერი არნოლდი? — თვითვე შეაჩერა ზბიგნევმა თავისი თავი. — რამხელა ბედნიერებაა, რომ ეს წმიდა კაცი შემხვდა ცხოვრების გზაზე! განა მან მეტისმეტად რბილად, მაგრამ თანმიმდევრული დაჟინებით რამოდენიმე წლის მანძილზე ნელ-ნელა არ ჩამომაშორა თავისუფლად მოაზროვნეებს, მართალი რომ ვთქვა, უმეცარ სტაშეკსა და ჰენრიხს? განა მან არ მათქმევინა უარი ჩემს სურვილზე, კანონიკ კოპერნიკს ლიიბარკში ვწვეოდი? განა მან ფერებით, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით არ გამაგდებინა ხელიდან კოპერნიკის ტრაქტატი, რომელიც პროფესორმა ლანგემ გადმომცა?

ზბიგნევი ხელებს მიიქნევდა და ხმამაღლა მილაპარაკობდა. ტყის ბილიკზე გადაფრთხიალებული წითელგულა სტვენია შენიშნა და ჯიბეში ხელი ჩაიყო: ჯიბეში ყოველთვის ჰქონდა შენახული საჭმელი თავისი ფრთოსანი მეგობრებისთვის.

— აჰა, გაძეხით! — ამბობდა ზბიგნევი, თან ხელისგულზე იფშხვნიდა პურის ნატეხს და უხვად აბნევდა გზაზე. მერე უცბად გაჩუმდა და გვერდზე გადაქანდა.

— შეჩერდი! — იმწუთასვე გაისმა მკაცრი ხმა და ზბიგნევს ხელკეტიანმა ტანმაღალმა კაცმა გადაუღობა გზა.

ბაკალავრი არ იყო ერთი ვინმე მხდალთაგანი. დამხდურს მან ყურადღებიანი მზერა ესროლა და დაასკვნა, ასეთი მოწინააღმდეგის მორევა არაფრად ეღირება, მიუხედავად მისი მრისხანე შეძახილისა და ნუჟრებიანი კეტისაო. უცნობის ჩამოსანთლული, გადაფითრებული სახე, თვალებამდე დაბურდული წვერი, ჩამოფლეთილი ტანისამოსი, რომლის ამოგლეჯილი ადგილებიდან გამხდარი, ჭუჭყიანი სხეული მოუჩანდა, ჯოხივით გაწვრილებული ფეხები, ქალამნების ნაცვლად ზედ რაღაც ჭილობის ნაგლეჯები რომ შემოეხვია, უფრო სიბრალულს იწვევდა.

ზბიგნევმა მოულოდნელი დარტყმით უიღბლო ყაჩაღს კეტი გააგდებინა ხელიდან და ღონივრად სწვდა საყელოში.

— ვინა ხარ? რატომ უდგები წინ ისეთ ხალხს, რომელთაც შენთვის არაფერი ვნება არ მოუყენებიათ?

წვერიანი კაცი გაჭირვებით ხვნეშოდა და უბრად შეჰყურებდა თავის დამჯაბნელს. მერე უცებ დაუსტვინა.

— ბიჭოს! ეს ის პან სტუდენტი არ არის, მენდელშტამში რვა წლის წინ სტუმრად რომ იყო? მე ხომ, თუ პანიჩსაც ახსოვს, მისი წერილი ლიძბარკში წავიღე... მერე უკან მისი ამხანაგისგან პანიჩს ხატი ჩამოვუტანე... მაშ, ღმერთს არ გავუწირივარ, რაკი პოლონელს შემახვედრა...

— მოიცა, მოიცა! — თქვა ზბიგნევმა, თან ამ ხმასა და ამ ცისფერ თვალებს იხსენებდა. სიფრთხილის გამო მაინც არ უშვებდა წვერიან კაცს ხელიდან. — შენ ტეშნერის მსახური ხარ, ხომ? რა გქვია, იაცეკი, იანეკ, მაცეკი? ჰო, ჰო, გამახსენდა, ფრანცი! რატომ მოგიშვია წვერი მოსკოვიტელივით? მაშ, პან ტეშნერი თავისი ტევტონი მეგობრებივით, გლეხებს შარა გზებზე საყაჩაღოდ გზავნის? — დაასრულა ბაკალავრმა ზიზღით.

— მე ყაჩაღი არა ვარ, — მიუგო ფრანცმა საწყალობელი ღიმილით. — რომ დავინახე, პანიჩი სტვენიებს პურს უფშხვნიდა, ნერწყვი მომადგა...ოთხი დღეა ჩემს პირში ნაწილი არ ჩასულა...

— დედაო ღვთისავ, წმინდაო ზბიგნევ! — წამოიძახა შეცბუნებულმა ჭაბუკმა და დარჩენილი პურის ნატეხი გაუწოდა გასაცოდავებულ ფრანცს, — მაშ, პან ტეშნერი თავის მსახურებს არც აჭმევს და, როგორც ვხედავ, არც აცმევს? ეგ ხელკეტი ჩემ შესაშინებლად გამონახე?

— მე ვიცი, ვის შესაშინებლადაც გამოვნახე ხელკეტი! — თქვა დამუქრებით ფრანცმა. — რომ დავინახე, ტყეში ანაფორიანი კაცი

მოდიოდა, სისხლმა ტვინში ამასხა! მართალია, შიმშილისაგან დასუსტებული ვარ და ფეხები მებლანდება, მაგრამ სულმა მაინც იფეთქა... ფილიპ ტეშნერს კი რამდენი წელია, გამოვექეცი...

— როგორ თუ გამოექეცი? — ჰკითხა შემკრთალმა ზბიგნევმა. — ძაღლებით დაგედევნება და, ხომ იცი...

— გამოვექეცი... — გაიმეორა ფრანცმა, თან პურის ნატეხს ვეება ლუკმებს აგლეჯდა და დაუღეჭავად ყლაპავდა. — მას შემდეგ გამოვიპარე, რაც მენდელშტამის ციხე-დარბაზში ის ვიღაც პროფესორი მოკლეს და იმის ქალიშვილი ჩემს ურშულასთან ერთად შონასტერში გამოკეტეს... ტეშნერი არც მეძებს... ეშინია! იქნებ არც იცის პანიჩმა, ახლა რამდენი ხალხი იმალება ტყეში. ყველა გაქცეული რომ მოძებნონ — ძაღლები არ ეყოფათ...

— ძაღლებს თავი გაანებე და მითხარი, რაებს ჩმახავ? — წყროშით გააწყვეტინა ზბიგნევმა. — ვინ მოკლა პროფესორი? თუ ლანგეს გულისხმობ, ლანგე და მისი ქალიშვილი, პანენკა მიტა, ორდენის პრუსიაში გადავიდნენ... ან ის შენი ურშულა რაღა შუაშია?

ცქრიალა, თვალმახარა ურშულა, მიტას ოქროსფერ თმას ისეთი ოსტატობით რომ ვარცხნიდა კრაკოვულად, ზბიგნევს მშვენივრად ახსოვდა.

— იაკ ბოგა კოხამ![1] პან სტუდენტო, არ ვტყუი! — დაიფიცა ფრანცმა. — თუ ახსოვს პან სტუდენტს, რომ იმ პროფესორმა მენდელშტამების ჩვილი ბალღისთვის ჰოროსკოპი შეადგინა? ყოველგვარი სიკეთე უვარაუდა: დიდხანს სიცოცხლე, დიდება, სიმდიდრე...

ზბიგნევს მშვენივრად ახსოვდა ის ჰოროსკოპიც, რადგანაც მის დახაზვაში თვითონ ეხმარებოდა ლანგეს.

— ის ჩვილი ბალღი კი ეგრეევე უცებ ჩაბარდა პატრონს! — განაგრძო ფრანცმა. ამასობაში პური გაათავა, დარჩენილი ნამცეცები დიდი სიფრთხილით მოიგროვა ხელის გულზე და პირში შეიყარა.— მენდელშტამის რაინდის ხუშტურები კი ყველას მოეხსენება... — ხელები გაშალა ფრანცმა, — რაინდმა პროფესორს ჯოხი უცხუნა თავში, იმან კი ღმერთს მიაბარა სული... გვამი, სანამ თბილი იყო, თვითონ მენდელშტამმა და მისმა სტუმრებმა — რაინდმა ფონ ელსტერმა და პატერმა არნოლდმა — ურიკაზე დაუდეს და ტევტონთა მამულის იქით გადააგდეს. პანენკა მიტა და ჩემი ურშულა, არაფერი წამოსცდეთო, მონასტერში გამოკეტეს... დაიბარეს მენ-

[1] ღმერთს გეფიცები (ბოლ.).

დელშტამის და, აბატისა ცელესტინა, და ძალისძალად წააყვანინეს გოგოები...

— რაებს მიედ-მოედები! — გაცეცხლდა ზბიგნევი. — შენ თვითონ შეესწარი? ან ეგ როგორ შეიძლება, ორი მოწიფული ქალიშვილი დღისით, მზისით, ძალისძალად წაიყვანონ?!

— ფრანეკმა, მენდელშტამების მსახურმა, ნახა ყველაფერი, — მიუგო თავჩაქინდრულმა ფრანცმა. — ოღონდ, ქრისტე ღმერთს გაფიცებთ, არავისთან გასცეთ!.. ეტყობა, პანიჩმა ისიც არ იცის, რაც ახლა ტევტონთა მიწაზე ხდება! — დაურთო ფრანცმა გაფიცებით. — ფრანეკი მომიყვა: მიტა გარეთ რომ გამოიყვანეს, ცოცხალმკვდარი იდგაო. პატერი არნოლდი ჩასჩიჩინებდა თურმე, მამაშენი ავად გახდა, კრულეევეცში წაიყვანეს და შენც იქ ggზავნითო... ჩემს ურშულას კი — ან უფრო ჭკვიანია, ანდა იცოდა, პროფესორი მოკლეს და ვარმიის საზღვარზე გადააგდესო, — ისეთი კივილი გაუბამს, ქვეყანა გაუყრუებია... პანენკა მიმხვდარა, რა საქმეც დამართიათ და ატირებულა... პატერ არნოლდს კი უქნევია, უქნევია თურმე ჯვარი, მერე — რაკ! — ერთისთვისაც ჩაურაკუნებია ჯვარი თავში და მეორისთვისაც. იმ საწყლებს გულები შეღონებიათ... ამათაც ჩაუყრიათ კარეტაში და ისეთ ადგილას გადაუქაჯნიათ, ბრმა მგელიც არ წაროტინდება იქით... რამდენი წელი ვეძებე ჩემი ურშულა და სულ ახლახანსღა მივაგენი.

— ხომ არ ცრუობს ეგ შენი ფრანეკი? — ჰკითხა დაეჭვებულმა ზბიგნევმა. — იქნებ თავისი ბატონის რაიმე ჯავრი სჭირს, ჰა?

— არ ცრუობს... დრომოჭმული კაცია, ცალი ფეხი სამარეში უდგას, რატომ უნდა იცრუოს? თანაც ჯვარცმაზე დაიფიცა! ეი, ურშულას წერილიც... ეტყობა, მოწყენილობისგან პანენკამ მონასტერში წერა-კითხვა ასწავლა ურშულას, თუმცა, შეიძლება სხვამაც დაუწერა. — და ფრანცმა ბაკალავრს ჭუჭყიანი, დაჭმუჭნული ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა. ზბიგნევი ჩაუკირკიტდა დაღვლარჭნილ ბატიფეხურს:

„მაინც რანაირად გვიპოვე, ფრანიჩკო?..“

იქნებ, ურშულას კარნახით მიტას დაწერილია ეს წერილი?

შემდეგ:

„გამოგვიხსენი, ფრანეკ, თანაც, ჩქარა, იმიტომ, რომ პანოჩკა მიტა ძალიან ცუდადაა! პატერი არნოლდი რამდენიც აქ მოვა, იმდენი რაღაც წამალს ასმევს... მიტამ უკვე მეხსიერება დაკარგა და სიტყვებიც ავიწყდება. მოდი ჩქარა! შენი მოსიყვარულე და კუბოს კარამდე ერთგული ურშულა“.

არა, არა, რა თქმა უნდა, ეს მიტას დაწერილი არაა... ზბიგნევმა

იგრძნო, როგორ გაუჩერდა გული, მერე ისე აუბაგუნდა, თითქოს მკერდის გამოგლეჯვასა და გარეთ გამოვარდნას ლამობსო.

„საწყალი, საწყალი მიტა! პანი პროფესორიღა? რა საცოდავად და უმადურად დასრულებულა მისი სიცოცხლე!.. ეს გარეწარი და მკვლელი პატერი არნოლდიღა!.. მართალი უთქვამს: „ღმერთია მოწმე, როგორ მწყინს, ზბიგნევ, რომ არ შეგიძლია ადამიანთა ცნობა“. ო, მიფრთხილდი, პატერო არნოლდ, თუ ვიცნობ, მართლაც ვიცნობ! მაშინ კი აღარ გაგეძლებინება, თქვენო მაღალღირსებავ!“

— მომისმინე, ფრანც! — მიმართა ზბიგნევმა . გადაჭრით, — ეგ ქალიშვილი, მიტა, ჩემთვის ძვირფასია, არ ვიცი, როგორ გითხრა... სიცოცხლეზე მეტად... ის ჩემი მეგობრის საცოლეა... ისიც და ურშულაც უნდა გამოვგლიჯოთ ბერებისა და მონაზვნების ბრჭყალებს. უწმინდურნი, კიდევ ღვთის მსახურებს ეძახიან თავს! — აქ ჭაბუკმა ისეთი სიტყვა ჩაურთო, სრულებითაც რომ არ ეკადრებოდა განსწავლულ ბაკალავრს. — კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ ვიმოქმედოთ... მითხარი, სად გნახავ, დანარჩენზე კი მერეც მოვითათბირებთ. საჭმელსაც მთელი ტომრით მოგიტან!

— ხომ ხედავთ, კვალი ტყეში რომ მიდის? იქ კი, ცოტა მოშორებით, წყდება... — ფრანცმა ხელით ანიშნა ზბიგნევს, — გაყვებით ამ კვალს, გასცდებით გადატეხილ ნაძვს, ნამქერს, მიხვალთ ერთ პატარა კორდთან და შემდეგ ნაძვისაკენ პირშებრუნებული გამობრუნდებით... ეს ხერხი გამოცდილი ხალხისგან ვისწავლე... იმ ნამქერში, ნაძვის ძირას, სორო გამოვთხარე და ვცხოვრობ შიგ მხეცივით. მაგრამ უკვე გაზაფხული დგება და ცუდია, ველარსად დავიმალები...

— დაგმალავთ, — მტკიცედ უთხრა ზბიგნევმა, შემდეგ შეტრიალდა და მონასტრისაკენ გაეშურა.

— პანიჩ, ორ პისტოლეტსა და ერთ კარგ ხმალს თუ იშოვით, ურიგო არ იქნება! — სიტყვა დაადევნა ფრანცმა.

თავი მეორე

მეორედ დაბადება

მეტისმეტად აღელვებული დაბრუნდა ზბიგნევი მონასტერში. ჭიშკარში არანაკლებ აღელვებული პშეპრაშემი შემოხვდა.

— პან ბაკალავრო, — მიმართა შეშფოთებით — პშეპრაშემ, მაგრამ მამა ფლორიანი ძალიან ცუდადაა... დღეს არა, ხვალ მოკვდება...

— რას ამბობ? საიდან მოიგონე? ექიმმა ნახა?

— მთელი ორი საათი სისხლს აღებინებდა, — მიუგო ხმის კანკალით პშეპრაშემმა. — მე თვითონ გამოვიტანე ორი სავსე თასი — გეგონება. ხარი დაუკლავთო! მამა კლემენტიმ, გამოცდილმა მკურნალმა, თქვა, მამა ფლორიანმა ფილტვის უკანასკნელი ნაგლეჯი წამოახველაო... მამა კლემენტიმ კიდევ თქვა, მამა ფლორიანი წარმოშობით თბილი ქვეყნიდანაა, იტალიიდან, და მაგისთვის აქ ცხოვრება საზიანოაო... ფლორიანი ახლა გამუდმებით ყინულს ყლაპავს.

— ჰო, მაგრამ, ფლორიანი დიდი ხანია ახველებს სისხლს, — შეეპასუხა იმედის ნაპერწკალს ჩაჭიდებული ზბიგნევი. — მაშ, საიდან მოიტანეთ, დღეს არა, ხვალ მოკვდებაო?

პშეპრაშემმა თვალი ფრთხილად მოატარა ირგვლივ.

— მამა არნოლდი დღეს ჩვენგან წასასვლელად ემზადებოდა მაგრამ ეს უბედურება რომ მოხდა, დარჩა, — წაუჩურჩულა ჭაბუკმა, — მამა ფლორიანს ხომ მაგან უნდა ათქმევინოს უკანასკნელი აღსარება... მამა არნოლდი და მონასტრის მსახური ახლახანს ქალთა მონასტერში წავიდნენ მონსტრანცის[1] მოსატანად. მაგრამ მონასტერი შორსაა აქედან და არ ვიცი, დროულად დაბრუნდება თუ არა... იმის თქმა მინდა, მამა ფლორიანს ცოცხალს მოუსწრებს თუ არა...

ზბიგნევი ისე შევარდა ფლორიანის სენაკში, არც დაფიქრებულა, მომაკვდავს ხომ არ შევაწუხებო.

მამა ფლორიანი, შეიძლება, ჩვეულებრივზე ოდნავ ფერმკრთალი, მაგრამ თავისებურად მშვიდი იწვა ლოგინში. მან თავი მოაბრუნა ჭაბუკისაკენ და უღონოდ გაუღიმა.

— მაინც მოხვედი? მე კი მეგონა, პატერმა არნოლდმა აგიკრძალა ჩემი ნახვა...

[1] სირცხვილი, სიბრალული, წუხილი და — ჭაბუკი ვერ მოერია თავის თავს — ავადმყოფის სიყვარული ერთიმეორის მონაცვლეობით გამოეხატა სახეზე.

ზბიგნევი მამა ფლორიანის საწოლთან მუხლებზე დაემხო და მის გახურებულ ხელს ემთხვია.

— გაფრთხილდი, შვილო ჩემო, ჩემნაირ ავადმყოფთან ახლო ურთიერთობამ შეიძლება გავნოს... — ფლორიანს ჩვეული დამცინავი ღიმილი გადაეფინა სახეზე: — განა არ გელაპარაკა ამაზე დიდად პატივცემული პატერი არნოლდი? გასაგებია, ის სხვაგვარ ენებას გულისხმობდა, მაგრამ ხომ გელაპარაკა ამაზე!

ზბიგნევმა არაფერი უპასუხა და სახე ხელებში ჩამალა.

---

[1] მონსტრანცი — ჯურჭელი, რომელშიც ინახება უკანასკნელი ზიარება.

— შეიძლება მოგიყვეთ, რა მაშფოთებს? — შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ. — თუ ძალიან შეგაწუხებთ?

მამა ფლორიანს გაეღიმა ჭაბუკის გულუბრყვილო ეგოიზმზე და უნებურად გაახსენდა მეორე პოლონელი ჭაბუკი, დაახლოებით, ამისივე ტოლი, რომელიც მან რომში თავის მდიდრულ პალაცოში მიიღო. ისიც ამასავით ფიცხი იყო. შეიძლება, ამასავით წინდაუხედავიც, მაგრამ მამაცი და ნაკლებად ზრუნავდა თავის თავზე.

— გისმენ, შვილო ჩემო, — მიუგო მან მშვიდად, — მე უკვე ვეღარც მავნებს რამე, ვეღარც მარგებს, შენ კი ახალგაზრდა ხარ, ენერგიით სავსე და დამრიგებელს საჭიროებ... ერთი ეგ მაფიქრებს მხოლოდ, პატერი არნოლდი გაიგებს შენს აქ ყოფნას და ყურს აგიწევს!

— პატერი არნოლდი მონასტერში არაა, — სწრაფად მიუგო ზბიგნევმა და ამ განსწავლულ ბაკალავრის სახეზე იმ მოსწავლის შეშფოთება გამოეხატა, რომელმაც წაიცელქა და ახლა დასჯას ელოდა.

ეს ფიქრი მამა ფლორიანმა ნაღვლიანი ღიმილით გაივლო გუნებაში, მაგრამ ზბიგნევის შემდგომმა ფრაზამ აიძულა ბერი, ჭაბუკზე ! აზრი შეეცვალა.

— ისეთი ამბავი მოხდა, რომელმაც მაიძულა, ჩემს მოძღვართან ძირფესვიანად შევცვალო ურთიერთობა, — თქვა ახალგაზრდა ბაკალავრმა. — დავრწმუნდი, რომ იგი სულაც არაა წმიდა კაცი, როგორც წინათ მეგონა. პატერი არნოლდი მატყუარაცაა, მოღალატეცა და... მკვლელიც!

— კაცი კაცს დანით, ტყვიით, ან კეტით რომ კლავს, რა თქმა უნდა, დიდი ცოდვაა, — წყნარად გაეხმიანა მამა ფლორიანი, — მაგრამ ჩვენი წმიდა ეკლესია მაინც გამართლებას უძებნის, თუკი დანაშაული ჩადენილია წმიდა კათოლიკური რწმენის სადიდებლად... მაგრამ სარწმუნოების სადიდებლად არსებობს კიდევ სხვაგვარი მკვლელობაც, ნელ-ნელი, თანდათანობითი...

— საწამლავით? — წაიდუდუნა ზბიგნევმა შიშნეულად.

— მე სულიერ მკვლელობაზე ვლაპარაკობ. — მამა ფლორიანმა ვერ გაიგონა ზბიგნევის ნათქვამი და თავისი განაგრძო: — დღითი დღე ადამიანს შეაგონებენ სიცრუეს და სჯიან სიმართლისათვის. ადამიანის ყოვლისმძლე გონება ერთგული ძაღლის ინსტინქტებამდე დაჰყავთ, ერთთავად პატრონს ხელებს რომ ულოკავს, დაჰყავთ ფრინველის ინსტინქტამდე, რომელიც ადამიანებისგან შეთავაზებულ ნამცეცებს მისივე გაწვდილი ხელის გულიდან კენკავს მორჩილად...

ზბიგნევი დუმდა. მსგავსი ეროტიკული ფიქრები მასაც გაუვლია გონებაში, მაგრამ იგერიებდა. ის კი არა, მონანიებასაც აპირებდა, თანაც ვისთან — პატერ არნოლდთან!

ჰოდა, ყოველივეს, რაც იმ მკვლელისათვის, ძვირფასი მიტას შეურაცხმყოფელისათვის უნდა ეთქვა, ეხლა ამ ჭკვიან, მჭმუნვარე კაცს ეტყვის.

— მსგავსი აზრები ხანდახან მეუფლებოდნენ ხოლმე, მაგრამ ვიგერიებდი, რადგანაც დაუშვებელია, გონება რწმენაზე გააბატონო. ჩვენ ხომ რწმენის საშუალებით შევიცნობთ უფალ ღმერთს, ადამიანის გონება კი — მხოლოდ უბადრუკი ქმნილებაა მისი!

მამა ფლორიანმა ნელ-ნელა, ძლივს-ძლივს წამოიწია ბალიშიდან. კარგა ხანს სიტყვის თქმა ვერ შეძლო, გაბმული ხველა სულს არ ათქმევინებდა. ზბიგნევმა შეშფოთებით მიუცურა თასი, ეგონა, კვლავ სისხლის ღებინებას დააწყებინებსო, მაგრამ ამჯერად საშიშროებამ მშვიდობიანად განვლო.

— ღვთის რწმენას შევეშვათ, შვილო ჩემო, — დაილაპარაკა როგორც იყო ბერმა; — ღვთისა, დაუსაბამოსი, უხილავისა, მიუწვდომელისა. ეს ქვეყნიერება შემეცნებისა და ცდის საგანია და არა რწმენისა!

— კი, მაგრამ... თეოლოგია გვასწავლის, რომ... — მორიდებით გაბედა შედავება ახალგაზრდა ბაკალავრმა.

— თეოლოგია გვასწავლის, რომ, — გააწყვეტინა ზბიგნევს ბერმა, — ვირწმუნოთ მხოლოდ ის, რასაც ეკლესიის მამანი გვთავაზობენ, როგორი სულელურიც არ უნდა იყოს იგი... თუმცა, იმასაც გეტყვი, ეკლესიის ყველა მამას არცა სჯერა იმის, რასაც სხვას ასწავლის, — თქვა ავადმყოფმა და ჭაბუკს არაბუნებრივად აღგზნებული თვალები მიაპყრო.

„ასეთი საუბრით ვავნებ, — გაიფიქრა ზბიგნევმა სინანულით. — მთელი შუბლი ოფლმა დაუცვარა!“

მაგრამ საუბრის გაწყვეტა უკვე აღარ შეიძლებოდა.

— ერთ ასეთ ეკლესიის მამას უკვე კარგად ვიცნობ! — თქვა გაბოროტებით ზბიგნევმა. — მას არასოდეს არ სჯეროდა თურმე იმისი, რასაც ამდენი წლის მანძილზე მასწავლიდა! შეიძლება ხუთი წუთით მომაპყროთ ყურადღება, რათა მოგიყვეთ, რაც პატერ არნოლდზე გავიგე?

— პატერ არნოლდზე? ო-ო, იმის მოყოლას, რამდენად განსხვავდება მისი სიტყვა საქმისაგან, წუთები კი არა, თვეები, წლები დასჭირდება! — მიუგო ავადმყოფმა მწარე ღიმილით. — მაგრამ, მაინც გისმენ. ოღონდ, აგერ, იმ დოქიდან ღვინო დამისხი, იტალიიდან გამომიგზავნეს... ცოტას მომაღონივრებს...

— ხომ არ გაწყენთ?.. სისხლღვრინება არ დაგეწყოთ... ამბობენ, ასეთ დროს ავადმყოფს ღვინო არ უნდა მივცეთო... — მორიდებით უთხრა ზბიგნევმა.

— ასეთ დროს ავადმყოფს ყველაფერი უნდა მივცეთ, რაც სიხარულს მოჰგვრის უკანასკნელ წუთებში... თუმცა, პატერი არნოლდი ანგარიშში მოტყუვდა: მე არც დღეს მოვკვდები, არც ხვალ. კანონიკი მიკოლაი კოპერნიკი და მე პადუაში საექიმო საქმეს ვსწავლობდით და ვიცი, რომ ჭლექიანები სიკვდილის წინ შვებას გრძნობენ, რის გამოც ჰგონიათ, ავადმყოფობამ პირი იბრუნაო. მე ასეთ შვებას ვერა ვგრძნობ... გარდა ამისა, ფილტვის ნაგლეჯი კიდევ დამრჩენია, და შემიძლია, იმით ვისუნთქო... აბა, გისმენ, შვილო ჩემო.

ჭაბუკმა რაც შეიძლება დაწვრილებით გადასცა ფრანცის მონიყოლი პროფესორის მკვლელობაზე, მიტასა და ურშულას ამბავზე და იმაზე, რომ ქალიშვილები ძალდატანებით გამოჰკეტეს მონასტერში, და იმაზეც, თუ ფრანცს დავუჯერებთ, პატერი არნოლდი მიტას რაღაც ნელამოქმედ საწამლავს ასმევსო.

— ბელადონას ნაყენია, წმიდა ეკლესიის ნაცადი საშუალება! — უთხრა ყოფილმა კარდინალმა დარწმუნებით. — მაგ წამალს ისეთ შემთხვევაში ხმარობენ, როცა მოკვლა კი არა, იმ ადამიანის გზიდან ჩამოშორება უნდათ, ვინც მეტისმეტად ბევრი რამ იცის წმიდა მამათა საქმიანობაზე. ბელადონა მეხსიერებას აქვეითებს, ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანს გონებასაც ურევს.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! — წამოიძახა ზბიგნევმა. — მამაო ჩემო, თუკი ძალიან არ გეჭირდებით, დღესვე გავემგზავრები ქალთა მონასტერში, სადაც მიტა იტანჯება!

— შენ კი არ მჭირდები მე, — გაუსწორა მაძინმა. — მე გჭირდები შენ! ამ რამდენიმე დღეში, რაც შეიძლება კიდევ გავატანო, მე და შენ ვისაუბრებთ ყველაფერზე, რაც შემდგომ ცხოვრებაში გამოგადგება. ის ქალიშვილი კი სამ-ოთხ დღეში არც მოკვდება და არც შეიშლება... ანდა ისეთი იოლი გგონია მისი მონასტრიდან წამოყვანა? წამოყვანა კი არა, შეღწევაც არაა იოლი... ჯერ იარაღი უნდა იშოვო, გამონახო მამაცი და ერთგული დამხმარენი, ფეხმარდი ცხენები და, რაც მთავარია, შენს სულში უნდა გაბოძებნო ძალები, რომ ძველ ცხოვრებას გაემიჯნო და ახალი დაიწყო! მაგ საქმეში მე შემიძლია შენი დახმარება... დანარჩენ საქმეებშიც შემიძლია რამდენადმე სასარგებლო რჩევა მოგცე... ხომ გითხრა პატერმა არნოლდმა, რომ მე წმიდა ტახტს ვენეციას ვუჯანყებდი? დამიჯერე: მაქვს ცოტაოდენი გამოცდილება მაგისთანებში..

პატერი არნოლდი ქალთა მონასტრიდან მხოლოდ მესამე დღეს, საღამო ხანსღა დაბრუნდა. ზბიგნევმა თავისი სენაკის სარკმლიდან დაინახა, რომ იგი მონასტრის კარის ეკლესიისაკენ გაემართა. წინ სრული წესით შემოსილი კოსტიოლის მსახური ბიჭი მოუძღოდა შესაფერისი კუშტი გამომეტყველებით და ორივე ხელით მოჰქონდა მინსტრანცი — ჭურჭელი, რომელშიც წმინდა ზიარება: მირონი[1] და სეფისკვერი[2] ინახებოდა უკანასკნელი ზიარებისათვის.

კოსტიოლიდან გამობრუნებული მსახური ბიჭი ზბიგნევმა მიიხმო მსახური დაბნეული მივიდა მასთან.

— მითხარი, ძმაო ჩემო, გუშინ მამა არნოლდმა მოახერხა ავადმყოფი მონაზვნის ნახვა? — ჰკითხა ხმადაბლა. — მასთან წასაღები წამალი ჩემთან დაავიწყდა... საწყალი ქალი, როგორ არის ნეტავ?

— ძმა ჩემი იმ ოქროსთმიან მონაზონზე მელაპარაკება? — იკითხა მსახურმა ბიჭმა და იქვე დაეჭვდა: — ანდა მამა არნოლდმა მისი ამბის გაგების ნება დაგრთოთ?

— მე მამა არნოლდის თანაშემწე ვარ, ბაყალავრი საეკლესიო სამართლისა, ჩემთან დაუფარავად შეგიძლია ყველაფრის თქმა! — მედიდურად მიუგო ზბიგნევმა.

— მომიტევეთ, პან ბაკალავრო... გუშინ მამა არნოლდს არ ჰქონდა ავადმყოფის ნახვის დრო... მაგრამ დედა აბატისაც საკმაოდ ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე... დედა აბატისამ თქვა, წინათ არაკათოლიკურად „მიტა“ ერქვაო. ეხლა ყველა მეორე სახელს, ამალიას ეძახის... ეს რამდენიმე დღეა; და ამალიამ ცოტათი მოიკეთა...

„ალბათ იმიტომ, რომ პატერი არნოლდი რამდენიმე დღეს იქ არ ყოფილა და გუშინაც ვერ მოასწრო იმ დაწყეულილი წამლის მიცემა.“ — გაიფიქრა ზბიგნევმა.

ხმამაღლა კი იკითხა:

— მეორე მონაზონი, ურშულა როგორღაა?

— ო, ის ყოჩაღადაა! — წამოიძახა მსახურმა. — ის ბაღშიც მუშაობს, სამზარეულოშიც ეხმარებათ... — ეკლესიის ახალგაზრდა მსახურის სიტყვებში გამოსჭვიოდა წრფელი აღტაცება: — და ამალია კი სხვანაირია... თითქოს ამქვეყნიური პირი არც უჩანსო...

— მადლობელი ვარ, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — ისეთივე მედიდურობით უთხრა ზბიგნევმა.

ზბიგნევს უნდოდა, ამ სიტყვამრავალი ბიჭისთვის ფული ჩაედო ჯიბეში, მაგრამ გადაიფიქრა, არ დავაეჭვოო.

„ამქვეყნიური პირი არც უჩანსო!“ — გულის ტკივილით ფიქ-

---

[1] მირონი — სურნელოვანი ზეთი, რომელსაც ნაზიარებს შუბლზე სცხებენ.
[2] სეფისკვერი — კათოლიკეებიც, მართლმადიდებლებივით, ზიარების დროს სეფისკვერს იყენებენ.

რობდა ჭაბუკი ბაკალავრი. — უჯიშო! — არა, გამოვიხსნით მიტას და მოვარჩენთ! ჩემი სიყვარულით დავუბრუნებ სიცოცხლეს!“

ზბიგნევი უცებ მოეგო გონს. მიტა ხომ სხვისი საცოლე იყო!

„ჯერ უნდა გადავარჩინო... მერე გაირკვევა რაღაც... იქნება, იმ ბეატრიჩეებმა და ბიანკებმა კასპერს მიტა დაავიწყებინეს კიდევაც!“

პატიოსან ზბიგნევს იმის გაფიქრებაც არ უნდოდა, რომ მისი მეგობარი კასპერი შეიძლება ვეღარც დაბრუნებულიყო.

„კანონიკი კოპერნიკი და პან კონოპკა აუცილებლივ გამოიხსნიან კასპერს. ქალიშვილებზე კი მე და ფრანცი ვიზრუნებთ. დღესვე უნდა შევხვდე ფრანცს!“ — გადაწყვიტა ჭაბუკმა.

შემდეგი მისვლისას ჭაბუკს მამა ფლორიანი ლოგინში დახვდა და, მისდა გასაოცრად, რეგიომონტანს კითხულობდა.

— ეს კაცი დიდი ასტრონომია, — უთხრა ბერმა. — გაოცებული რად მიყურებ? ეკლესიის მამანი ხომ იჩემებენ, კაცი ცხოვრების დასასრულს რომ უახლოვდება, ყოველივე მიწიერს უნდა გაემიჯნოს და თავისი ზრახვანი ზეცას მიმართოსო!.. მეც ასე ვიქცევი, მაგრამ მე შენ სულ სხვა რამ უნდა მოგცე ასტრონომიაში წასაკითხავად, — ღა მამა ფლორიანმა გაოცებულ ზბიგნევს მიკოლაი კოპერნიკის „მცირე კომენტარი“ გადასცა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ბაკალავრმა. — ეს ტრაქტატი მე მქონდა ერთხელ! იგი ჩემმა პროფესორმა ლანგემ მომცა. მისი უდროო სიკვდილის ამბავი უკვე მოგიყევით. ლანგე სქოლასტთა სწავლების ერთგული იყო და ყოველგვარ ახალს ჰგმობდა. იგი მიკოლაი კოპერნიკს დასცინოდა და მისი ტრაქტატი იმიტომ გადმომცა, რომ მეც დავრწმუნებულიყავი მის მცდარობაში... შემდეგ ტრაქტატი თითქმის ძალისძალით გამომგლიჯა ხელიდან პატერმა არნოლდმა. მითხრა, მსჯელობებმა, რომელთაც კანონიკი უშვებს, შეიძლება მომაკვდინებლად იმოქმედოს ჭაბუკურ სულზეო.

— ჰო-ო? — წარმოთქვა მამა ფლორიანმა თავისი ჩვეული ღიმილით. — მერე, მისი სიტყვებიდან ვერ დაასკვენი, რომ კოპერნიკის შრომაზე პატერ არნოლდს სულ სხვა, საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონია, ვიდრე იმ შეწს განსვენებულ პროფესორს? მოასწარი მაინც თუნდაც ზერელედ გადაგეხედა ტრაქტატისათვის?

— მე ის, როგორც იტყვიან, ძირფესვიანად წავიკითხე, მაგრამ რაღაცნაირი სულიერი კრძალვის გამო ვერ გამოვუტყდი პატერ. არნოლდს.

— მერე, რა აზრი გამოიტანე? — შეეკითხა მამა ფლორიანი.

— ეს ტრაქტატი მეტისმეტად შეკუმშული, სერიოზული და გა-

საგები მეჩვენა. იგი მათემატიკოსის ზუსტი ენითაა დაწერილი. მასში არავითარი დოგმატური თავდასხმა არაა მისი თეორიის შესაძლო მოწინააღმდეგეებზე, არაა ზედმეტი ფილოსოფოსობა, სქოლასტურობა... ყველაფერი მოფიქრებულია უმცირეს წვრილმანებამდე. კოპერნიკის ნაშრომმა ამაღელვა და, მართლაც, ერეტიკული მეჩვენა. იმდენად თვით ნაშრომი არა, რამდენადაც ის შედეგები და დასკვნები, რომლებიც შეიძლება კაცმა გამოიტანოს, თუკი კოპერნიკის თეორია გაიზიარა...

ავადმყოფმა დაკვირვებით შეხედა ჭაბუკს.

„მე იგი ბრმად და ანგარიშმიუცემლად შევიყვარე. ავადმყოფები და მოხუცები, უეჭველია, მუდამ ასე ეთვისებიან ხოლმე ყოველივე ახალგაზრდულსა და ჯანსაღს, — გაიფიქრა ფლორიანმა. — მაგრამ მე მაინც ვერ შემიფასებია მისი გონიერება და ლოგიკური აზროვნების უნარი“.

— ჰოდა, მე მადლობელი ვიყავი ჩემი მოძღვრის, პატერი არნოლდისა, რომ გამომართვა ტრაქტატი, ამით მან საშუალება მომისპო, მეფიქრა ამ ერეტიკულ, როგორც მაშინ მომეჩვენა, ნაშრომზე, — განაგრძობდა ზბიგნევი.

— იმაზე თუ გიფიქრია, შვილო ჩემო, რატომ არ დაგმო ეს ტრაქტატი ჩვენმა წმიდა ეკლესიამ და ჩვენმა წმიდა მამამ რომისამ? პირიქით, პაპი იულიუს მეორეცა და ლევ მეათეც მეტისმეტ კეთილგანწყობას იჩენდნენ კოპერნიკისადმი. წმიდა ტახტი იმასაც კი აპირებდა, რომ იგი საეკლესიო კალენდრის შემსწორებლებში ჩაერთოთ. განა ჩვენი ეკლესიის მესვეური ასეთ დიდ საქმეს მიანდობდა ისეთ დაუძინებელ მტერს, როგორადაც შენს პროფესორსა და პატერ არნოლდს მიაჩნიათ კოპერნიკი?

— ახლა ჩემთვის გასაგებია, რომ საწყალი ლანგე, უბრალოდ, სქოლასტი იყო და ყოველივე ახალი თვალსაზრისი, როგორც ხელოვნებაში, ისე მეცნიერებაში, თავზარს სცემდა... პატერი არნოლდი კი — უკვე დანამდვილებით ვიცი — მატყუარა, ფიცისმოღალატე და მკვლელია... მას რატომღაც სჭირდებოდა, ჩემს თვალში დაეკნინებინა კოპერნიკი, მიაღწია კიდევაც!.. ახლა ეჭვი აღარ მეპარება, რომ კანონიკი მიკოლაი კოპერნიკი ღრმად მორწმუნე კაცია და ყველა მისი მეცნიერული ნაშრომი ჩვენი კათოლიკური ეკლესიის დიდებას შეუწყობს მხოლოდ ხელს! — ამ რწმენითა და სიამაყით სავსე სიტყვების წარმოთქმისას მეტისმეტად ამო შესახედავი იყო ზბიგნევი და მამა ფლორიანი ერთის წუთით დაეჭვდა, ღირს კი ამ საუბრის გაგრძელებაო?

„ღირს“, — გადაწყვიტა ბოლოს გუნებაში.

— პატერი არნოლდი მატყუარა, ფიციისმოღალატე და მკვლელია, — წარმოთქვა გაჭირვებით, — ეგ მართალია! ერთადერთი, რაშიც არ ტყუის, ისაა, ჩემო ბიჭო, რომ მიკოლაი კოპერნიკი თავისთავად თუ ღრმად მორწმუნე კაცია, მისი მეცნიერული შრომები სრულებითაც ვერ შეუწყობს ხელს ჩვენი კათოლიკური ეკლესიის დიდებას. მეტიც: როდესაც ეკლესიის მსახურნი გაიგებენ, რა საშიშია მათთვის მისი შრომები, კანონიკს კოცონზე დაწვავენ და ფერფლს ოთხსავ კუთხივ გააბნევენ. ვერც დიეგო გარსია, ვისი ტრაქტატიც შენ უნდა უარგეყო, ვერც ჩემი მეგობარი პომპონაცი ისე დაურიდებლად ვერ არყევენ ჩვენი რელიგიის საფუძვლებს, როგორც ეს მოკრძალებული ვარმიის კანონიკი... რაც შეეხება პაპს, უნდა ვაღიარო, რომ პროფესორი ლანგეცა და პატერი არნოლდიც მასზე შორსგამხედველნი აღმოჩნდნენ... შორსგამხედველი აღმოჩნდა ის დამთხვეული ავგუსტინელი ბერიც, რომელიც ორი წლის წინ თავისი ოთხმოცდათხუთმეტი თეზისით მიადგა ვიტენბერგის ტაძარს! გამიგე? მე ავგუსტინელ მარტინ ლუთერს ვგულისხმობ.

მარტინ ლუთერი, რა თქმა უნდა, იცოდა ზბიგნევმა. იგი თავისი მოძღვრების დახმარებით ერთხელ ეცადა კიდევაც დაეწერა „უარყოფა 95 თეზისისა“, მაგრამ ავგუსტინელის დახლართულმა, დამძიმებულმა შენათხზავმა საბოლოოდ დააბნია ზბიგნევი და საქმე ვერ მიიყვანა ბოლომდე.

...ლოყები უხურდა მამა ფლორიანს. სუნთქვას მკერდიდან სტვენისმაგვარი ხმა ერთვოდა.

— მომიტევეთ, მამაო ჩემო, ისე შემოვედი, არც მიკითხავს თქვენი ჯანმრთელობა! — სინანულით უთხრა ზბიგნევმა. — გატყობთ, უფრო ცუდად შეიქენით!

— გადმოსახლებაში მთელი ჩემი ყოფნის მანძილზე ყველაზე უკეთესად ახლა ვგრძნობ თავს, — მიუგო ავადმყოფმა. — იქნებ, იმაზე უკეთესადაც, ვიდრე მთელი ჩემი ხანგრძლივი და ამაოდ გავლილი ცხოვრების მანძილზე. ერთადერთი, რამაც შეიძლება მასთან შემარიგოს, ის შესაძლებლობაა, რომ თუნდაც ერთი ადამიანის სული გაშოვგლიჯო ჩვენი სასულიერო მამების თვალთმაქცობას და გავიყვანო სიმართლისა და შემეცნების გზაზე... ღმერთო ჩემო. ღმერთო, რას არ მივცემდი, ოღონდაც თავიდან დამეწყო ცხოვრება! გავყოლოდი მეორე გზას — ლეონარდო და ვინჩის, პიკო დე მირანდოლას, მიკოლაი კოპერნიკის, პარაცელსის... და თუნდაც იმ კოცონზე დაღუპული ბარსელონელის გზას... სიკვდილის წინ მაინც ყოველივეს, რასაც ვფიქრობ, მთელი ხმით გადავძახებდი მოედანს... მაგრამ უკვე გვიანია... პატერი არნოლდი უფრო გამო-

ცდილი მედიკი გამოდგა, ვიდრე მე. არც მონსტრანცი მოუტანია ტყუილად საუფლო ძღვენით. ვგრძნობ, ახლოა აღსასრული... ჩემი კუთვნილი სიცოცხლე, კვირებით, დღეებით კი არა, საათობით, შეიძლება, წუთობითაც დაითვალოს... ზბიგნევ, ზბიგნევ, რა გემართება?!

მამა ფლორიანმა ძალით აუწია თავი ჭაბუკს და ცრემლით სავსე თვალებში ჩახედა.

— გამაგრდი, ჩემო ბიჭო... წინ მრავალი საქმე გელის, მას კი სიმაგრე და შეძლება სჭირდება... და რადგანაც მოსპობილი მაქვს შესაძლებლობა, საკოცონედ ახორავებული შეშის გროვიდან ხალხს სიმართლე ვუთხრა, მე შენ გირჩევ ჩემს უკანასკნელ მსმენელადაც, მემკვიდრედაც, ანდერძის ამსრულებლადაც... გთხოვ, ჩემს უკანასკნელ აღსარებას დაესწრო... ეს ჩვენი გამოთხოვებაც იქნება, შვილო ჩემო, და, ოღონდაც გამხნევდი! რამდენიმე წუთის შემდეგ პატერი არნოლდი მოვა აქ ჩემი უკანასკნელი ბრონანიების მისაღებად... რადგანაც ძალა არ შემწევს, ერთი და იგივე ორჯერ გავიმეორო, თან დროც ცოტაღა დამრჩა, ჩემი თხოვნაა, დაესწრო ამ აღსარებას!

— განა ეს შესაძლებელია? პატერი არნოლდი ღათანხმდება? — ჰკითხა ზბიგნევმა.

— აგერ, კედლის კარადა. შიგ სამი შენნაირიც მოიავსდება. უკვე ლაპარაკისა და ფეხის ხმაც მესმის. პატერი არნოლდი და მისი მსახური მოდიან. ბიჭს, რა თქმა უნდა, უკან გააბრუნებს. შენ კი... ჩქარა შედი კარადაში და შიგნიდან ჩაიკეტე. აქ ბევრ ისეთ რამეს გაიგონებ, რაც ცხოვრებაში გამოგადგება... ეს შენი უკანასკნელი დარიგება იქნება ჩემგან, შეიძლება შემოვლით ნათქვამი, მაგრამ შენ, წმიდა მამების ბეჯითი მოსწავლე, სილოგიზმებისა და ალეგორიების გაგებაში დახელოვნებული, უნდა მიმიხვდე სათქმელს... ჩქარა! ჩქარა!

კარადის საკეტმა საკმაოდ ხმამაღლა გაიჩხაკუნა, მაგრამ მისი გახმიანება არავის გაუგონია, რადგანაც ზუსტად იმავე წამს ღრჭიალით შეიხსნა კარი. კარი მსახურმა გააღო და პატერი არნოლდი გამოატარა წმიდა ზიარებით. თვითონ მსახური სენაკში აღარ შესულა. პირველ წუთებში ზბიგნევს მოეჩვენა, ამ უზარმაზარ, ძველი ტანსაცმლითა და ხარახურით გამოტენილ კარადაში დავიხრჩობიო.

„ღმერთმა ნუ ქნას მტვერი ცხვირში შემეყაროს ან ჩავყლაპო, თორემ ან ცხვირის ცემინება ამიტყდება ან ხველა“,—შიშით გაიფიქრა ზბიგნევმა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე სენაკში გაბმულ საუბარს უსმენდა და ყოველგვარი უხერხულობაც გადაავიწყდა.

პატერმა არნოლდმა ლათინურად წაიკითხა ლოცვა, გაუგებრად

წაიდუდუნა მისალმება და მსგავსი შემთხვევისათვის ჩვეული შეკითხვა დასვა:

— დიდი ხანია მას შემდეგ, შვილო ჩემო, რაც ცოდვები აღიარე და მონანიებით განიწმინდე სული?

— წმიდა ტახტზე პაპი ლევ მეათის აღსაყდრების შემდეგ არ მქონია შემთხვევა აღსარების და მონანიებისა, — მიუგო მამა ფლორიანმა. ზბიგნევი გააოცა მომაკვდავის გარკვეულმა, გამოკვეთილად მეღერმა ხმამ. იგი ისე განსაცვიფრებლად განსხვავდებოდა პატერი არნოლდის გაუგებარი დუდუნისაგან, რომ მსმენელს შეიძლებოდა ეფიქრა, ცოდვებს პატერი არნოლდი ინანიებს, მამა ფლორიანი კი უტევებსო.

— უეჭველია, თქვენ თვითონვე იცით, წმიდა მამაო, რატომაც მოხდა ეს, — ზბიგნევისთვის გაუგებარი შეკითხვის პასუხად თქვა მამა ფლორიანმა. — ჰოდა, ახლა, უფლისადმი სულის მიბარების წინ, მწყურია, მოვინანიო ის ჩემგან ჩადენილი ყველაზე საშინელი ცოდვა! „Mea culpa, mea maxima culpa[1]. რაკი დაეჭვებული ვიყავი უფლის სასწაულმოქმედებაში და არ მქონდა იმედი, სანთელი თავისით აინთებოდა, ჩვენი მომავალი წმიდა მამის დავალებით მისი სანთლის ფიტილი ფოსფორში იმგვარადვე ამოვავლე, როგორადაც პაპი იულიუს მეორის წმიდა ტახტზე აღსაყდრებისას ეს კარდინალმა პროსკატოლიმ ჩაიდინა. მეცნიერებაში გარკვეულმა წმიდა მამებმა იციან ფოსფორის თვითაალების საიდუმლოება!

კარადაში მჯდარმა ზბიგნევმა კინადამ წამოიყვირა. ბავშვობიდან მან ასე იცოდა, რომ პაპის ტახტზე ერთ-ერთი კარდინალის აღსაყდრება კაცის ხელით კი არა, უფლის სასწაულით ხდებოდა: კონკლავის ყველა კარდინალის თანდასწრებით, რომელნიც აუნთებელი სანთლებით სხედან, უცებ, ერთ-ერთი მათგანის ხელში სანთელი იალებს ხოლმე, რითაც უფალი ღმერთი ნიშანს იძლევა, მიწაზე ჩემს მოადგილედ მხოლოდ ამ კარდინალს ვირჩევო.

ამას მოჰყვა შემცბარი პატერი არნოლდის ბურტყუნი, ლოცვის წადუდუნება და კვლავ გარკვეული, მეღერი ხმა კაცისა, რომელიც ამ ქვეყანას ტოვებდა:

— ჩემს მეორე ცოდვაზეც, რომელსაც, ღმერთის ნებაც თუ იქნება, ალბათ მომიტევებთ, თქვენ ცოტა რამ მოგეხსენებათ... ვიცოდი, რომ ჩვენი ეკლესიის მაღალნი მსახურნი ტევტონთა ორდენის რაინდებთან ერთად რაღაც ცუდს განიზრახავდნენ ეპისკოპოს ლუკაშ ვაცენროდის წინააღმდეგ, მაგრამ მე, ჩემთვის ჩვეული თავქა-

[1] ჩემი შეცოდება, ჩემი უდიდესი შეცოდება (ლათ.).

რიანობის გამო, ამ ბოროტი განზრახვის აღსაკვეთად არ მივიღე არავითარი ზომები... და, აი ახლა, წმიდა მამაო...

პატერმა არნოლდმა მეგობრული ალერსიანობით გააწყვეტინა სიტყვა:

— ფლორიან, გავანებოთ თავი ამ... მე შენთვის რანაირი წმიდა მამა ვარ? განა მე და შენ ერთ მერხზე არ ვისხედით? განა ერთად არ დავდევდით ლამაზ-ლამაზ გოგოებს, ვისითაც ასე სახელგანთქმულია ბოლონია?

— არ მესმის, წმიდა მამაო, იმისთვის მოხვედით, რომ ჩემგან უკანასკნელი მონანიება მოისმინოთ, თუ ჩვენი ახალგაზრდული სიცელქენი გაიხსენოთ! — მკაცრად შეეპასუხა მამა ფლორიანი.

— ფლორიან, შენ იმდენ ხანს დაჰყავი რომში პაპის კარზე, რომ, ვფიქრობ, წმიდა საიდუმლოებამ დაკარგა შენთვის თავისი სიწმინდე, ჰა? — კიდევ ერთხელ სცადა პატერმა არნოლდმა, მისი გულისაკენ გასაღწევი გზისთვის მიეკვლია, — თუ მე შენთან წმიდა ზიარებით მოვედი, ალბათ, ხვდები, იმიტომ, რომ ჩემ მაგივრად სხვას არ ეკისრა ეს საქმე და შენი ცოდვები ცნობილი არ გამხდარიყო ვიღაც გაუთვითცნობიერებელი...

— აღსარების საიდუმლოებაღა? — ისევ ისე მკაცრად იკითხა მამა ფლორიანმა.

ზბიგნევს მოეჩვენა, რომ იგი ხედავდა პატერი არნოლდის დაუდევარ ჟესტს, რომელსაც მიაყოლა ჭაბუკის ჭკუაზე შესაშლელი სიტყვები:

— ფლორიან, შენცა და მეც საკმაოდ კარგად მოგვეხსენება ყოველივე ეგრეთ წოდებული აღსარების საიდუმლოებაზე... შენ ყოველთვის უმართებულო იყავი ჩემ მიმართ, ფლორიან, მე კი ვცდილობ, რაღაცით შეგიმსუბუქო სული! რაკი აღიარებ, რომ ვარმიის ეპისკოპოსის სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე იცოდი შეთქმულების ამბავი და თავს იძრახავ, ჩემი თავქარიანობის გამო არ მივიღე ზომები მის გასამჟღავნებლადო, შემიძლია დაგამშვიდო: ეგ შეთქმულება რომის წინასწარგანზრახულობა იყო და რომის წინააღმდეგ კი არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია წასვლა!

— ჩვენ ერთსა და იმავეზე ვლაპარაკობთ? — იკითხა მამა ფლორიანმა. — მე ვაცენროდის მოწამვლას ვგულისხმობ!

— ერთსა და იმავეზე ვლაპარაკობთ! ლუკაშ ვაცენროდი ძალიან დიდხანს გვვნებდა ჩვენ, წმიდა ტახტის ერთგულ ხალხს. წინ ეღობებოდა ორდენს, რომელიც, ღმერთმა ხელი მოუმართოს და, სულ მალე გახდება ჩვენი კათოლიკობის დასაყრდენი. ჰოდა, ეპისკოპოსის უკანონო შვილის, კიდევ მაგისტრატიდან ვიღაც-ვიღაცების დახმარებით, აგრეთვე ეპისკოპოსის უკმაყოფილო ვარმიის

კანონიკთა შემწეობით მოწამლეს იგი ქალაქ პეტრკოვში მისსავე საგანგებოდ მოწყობილ საზეიმო ვახშამზე. ისიც მინდა გიამბრა, რომ ეგ უფრო ღვთის განჩინება იყო, ვიდრე ადამიანებისა... მოწამლეს ერთი, ერთადერთი თევზი, ლამაზი, ვარდისფერი, ლურჯად დაწინწკლული კალმახი და სწორედ ეს თევზი გადაიღო ლანგრიდან მისმა უსამღვდელოესობამ...

— ის თევზი სხვა ვინმეს რომ გადაეღო? — იკითხა მამა ფლორიანმა.

— კაცს კლავდნენ, მუწუკი არ მატკინოთო! — მშვიდად მიუგო პატერმა არნოლდმა. — ფლორიან კიდევ არ გაგიარა აღსარების თქმის სურვილმა?

— არა, — მტკიცედ მიუგო მამა ფლორიანმა, — მე ღმერთს ვეუბნები აღსარებას, შენ კი არა! მე ერთი ვარმიელი კანონიკიც მინდა ვახსენო, რომელიც არ იყო დაინტერესებული ეპისკოპოსის სიკვდილით...

— აჰა, გაგიგე, მიკოლაი კოპერნიკზე ამბობ?.. რა გაეწყობა, რაკი მაგდენი გცოდნია, მაშ, მაგ ცოდვით ყველაზე ნაკლებად დაიმძიმებ სულს... ან იქნებ იმ ახალგაზრდა ბაკალავრმა, მომავალმა დომინიკანელმა, მოინანია შენთან რაიმე? მგონი, თავის სულიერ მამად უნდოდა შენი არჩევა?

— არ მესმის შენი, ძმაო არნოლდ, — მიუგო მამა ფლორიანმა. ზბიგნევმა მის ხმას სიბრაზე შეატყო. — ვისზე მეკითხები?

— აქ მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ბაკალავრია, რომელიც შენს ჭკუასა და განსწავლულობას ქედს უხრის, — პატერმა არნოლდმა ისე განაგრძო, თითქოს ვერ შეამჩნია მამა ფლორიანის ტონი, — ძე მეგონა, ეკლესიას იგი დიდ სამსახურს გაუწევდა, დაგვეხმარებოდა კანონიკი მიკოლაის თავისი საყვარელი ბიძის კვალდაკვალ გამგზავრებაში... მაგრამ იმედი არ გამიმართლდა. საქმე ისაა, რომ ახლა მისი ლიძბარკთან დაკავშირება გვიჭირს. წინათ ამ საქმის მოგვარება ვიღაც კასპერ ბერნატის მეშვეობით შეიძლებოდა... თუმცა, რას გაცნობ, ის ხომ შენი სტუმარი იყო რომში, ფლორიან... ჩემთვის როგორი გულსატკენიც არ უნდა იყოს შენი წყენინება, მაინც უნდა გაუწყო: ის შენი ყოფილი სტუმარი, ალბათ, თურქულ ან ალჟირულ გალერაზე მიჯაჭვული, ახლა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის... მისი მეგობარი, ზბიგნევი, მაგრად გვიჭირავს მუჭაში... შესაძლოა, კოპერნიკის წინაალმდეგ ჩვენს ჩანაფიქრზე რაღაცას ეჭვობს კიდევაც, მაგრამ ვვარაუდობ, რომ სულის სიღრმეში გვეთანხმება: თავის დროზე ჭაბუკი მეტად ააღელვა მისმა ტრაქტატმა... მამა დომინიკანელებმა ერთგულ მონად და კათოლიკური ეკლესიის ქოფაკ დარაჯად აღზარდეს იგი!

„შენ თვითონა ხარ ქეციანი ძაღლი, უჯიშოვ! — კინაღამ იყვირა ზბიგნევმა. — წყეულიმც იყავი, ორდენისგან გადაგვარებულო... აი, თურმე რა იყო მიზეზი ეპისკოპოსის უცაბედი სიკვდილისა, რომელიც მთელმა პოლონეთმა დაიტირა! — ფიქრობდა ჭაბუკი და მღელვარებისა და სიბრაზისაგან თვალთ უბნელდებოდა.—ახლა კი, ეტყობათ, კოპერნიკზე მიაყენეს ჯერი!“

განზე გაწეული სავარძლისა და ჩქარი ნაბიჯების ჩქამი გაიღო ქვის იატაკმა.

— მაინც გინდა აღსარების თქმა, ფლორიან? — გაისმა პატერი არნოლდის ხმა.

— მინდა, — მოკლედ მიუგო მამა ფლორიანმა, — მე ვიცოდი თქვენი განზრახვა კოპერნიკის წინააღმდეგაც.

— გაიგე, ლუკაშ ვაცენროდი ყველაზე მეტად ორდენისათვის იყო საშიში, — თითოეული სიტყვა ტკეპნით წარმოთქვა პატერმა არნოლდმა, — წმიდა მამამ მაინც დასცა დასტური მის გზიდან ჩამოშორებას! ლუკაშის დისშვილი ხომ უღმერთობის თესლს აბნევს და თავისი მოძღვრებით უარყოფს საღმრთო წერილს... მერედა, სად მიგვიყვანს ეს?

ზბიგნევმა ხელები მაგრად დამუჭა და ყურადღება დაძაბა. რას უპასუხებს მამა ფლორიანი? პატერიც ხომ იგივეს იმეორებს, რასაც კოპერნიკზე თვით მომაკვდავი ამბობდა!

მაგრამ მამა ფლორიანს ა რ ა ფ ე რ ი უპასუხია.

— განვაგრძოთ აღსარება? — იკითხა პატერმა არნოლდმა.

— ვინც გინდ იყოს ჩემი მსმენელი, სულ ერთია, მან ბოლომდე უნდა გაიგოს სიმართლე! — ხმამაღლა წარმოთქვა ავადმყოფმა.

„გაგიგებ, ძვირფასო მამა ფლორიან!“ — გუნებაში გაეპასუხა ზბიგნევი.

პატერმა არნოლდმა კი სულ სხვაგვარად მიიღო ყოფილი კარდინალის ნათქვამი.

— მაგით იმის თქმა გინდა, ფლორიან, რომ მე არ მიგაჩნივარ შენი აღსარების მიღების ღირსად? მაგრამ... მაინც ინანიებ ცოდვებს, რაკი სხვა უკეთესი შესაძლებლობა არა გაქვს?

— დიახ! — მოკლედ მიუგო ავადმყოფმა. — ახლა მე ისიც უნდა ვაღიარო, რომ პროფესორ ლანგეს მკვლელობაც ცნობილია ჩემთვის. ლანგეს მკვლელობა, რომელიც შენი თანდასწრებითა და შენივე მონაწილეობით მოხდა...

— მაგაში კი სრულებითაც არა ხარ მართალი... თუ არა და, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შენთვის ცნობილია ყოველი დაფარულ-დაკრძალული საქმე... ჩვენი... ჩვენი...

— ვთქვათ: „ჩვენი წმიდა ეკლესიისა“, — ძკვახედ ძოუჭრა მაძა ფლორიანმა.

— გაანებე თავი წმიდა ეკლესიას! — ბრაზიანად შეეპასუხა პატერი. — იმ რეგვენ ფონ მენდელშტამს გაფიცხებისას შემოაკვდა ლანგე. წინასწარგანუზრახველად! მეც იქ ვიდექი, მაგრამ როგორ მივხვდებოდი, რას ჩაიდენდა... მართალია, ბარონს მივეხმარე პროფესორის გვამი ორდენის სამფლობელოდან შორს გაცილებაში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ორდენსა და ვარმიას შორის რაიმე დავა არ ჩამოვარდნილიყო.

— მეტისმეტად მაღლევებს შენი ზრუნვა ვარმიასა... და ორდენზე... ჰო, თუმცა, შენ ოდესღაც ახლანდელი მაგისტრის მოძღვარი იყავი. ძალიან კარგი... მაგრამ, მითხარი, ის საწყალი გოგოები რაღაზე წაიყვანეს მონასტერში?

ზბიგნევმა გაიგონა, უზარმაზარი სავარძელი როგორ გადარაჯრახდა კედლისაკენ. შემდეგ ამას პატერი არნოლდის მძიმე ნაბიჯების ხმა მოჰყვა კვლავ.

— მეტისმეტად ბევრი რამ იცი! — წამოიხრიალა ბოლოს.

ისეთი ღვარძლი ერია პატერი არნოლდის ამ ნათქვამში, რომ ზბიგნევმა კინაღამ დაარღვია მამა ფლორიანისადმი მიცემული სიტყვა და თავისი სამალავიდან გადმოხტა.

მაგრამ, ჩანდა, პატერი არნოლდი ცოტაოდნავ დამშვიდდა.

— მეტისმეტად ბევრი რამ იცი, ფლორიან, — გაიმეორა უკვე შეცვლილი ხმით, — არც მიკვირს შენგან: აქ მე შენი აღსარების მოსასმენად მოვედი, სინამდვილეში მე გიზიარებ ჩემს ცოდვებს... ეტყობა, შენ ეს ჩვეულებადა გაქვს ნაქცევი — აიძულებ ადამიანებს, თავიანთი ნების წინააღმდეგ გადაგიშალონ გული...

— ჩვევა ეკლესიის მოძღვრისა, — განმარტა მამა ფლორიანმა მშვიდად. — მაგრამ საით, არნოლდ? სანაწილე გავიწყდება!

ზბიგნევმა გაიგონა, კართან მისული არნოლდი როგორ გაბრუნდა ავადმყოფის საწოლისაკენ. წუთიც და კარი გაჯახუნდა.

ზბიგნევი იმწამსვე გადმოხტა კარადიდან და მამა ფლორიანთან მივარდა. ავადმყოფი გაუნძრევლად იწვა და მძიმედ სუნთქავდა.

— წმიდა ზიარება არ მიგიღიათ! — წამოიძახა შეშფოთებულმა ზბიგნევმა. ავადმყოფს სახეზე ეტყობოდა, რომ მეტისმეტი სუსტი ძაფიღა აკავშირებდა სიცოცხლესთან. — ვერ ღებულობთ უკანასკნელ ზიარებას?!

— იმის შემდეგ, რაც აქ მოისმინე, შენ კიდევ ფიქრობ უკანასკნელ ზიარებაზე? — მიუგო ავადმყოფმა მისუსტებული ხმით. — უმჯობესია, აი, ეგ წიგნი მომაწოდო აქ...

„ქება სისულელისა“, — წაიკითხა ღორის ტყავში ჩასმული წიგნის ყდაზე ზბიგნევმა. მამა ფლორიანმა ვეღარ მოასწრო ზბიგნევის ხელიდან წიგნის გამორთმევა. „ქება სისულელისა“ იატაკზე დაეარდა. ავადმყოფის გაყვითლებული ხელი უღონოდ გადმოეკიდა საწოლზე. მისკენ შიშით დახრილ ზბიგნევს აღარ ესმოდა სუნთქვის ხმა.

მონასტერში მამა ფლორიანის გარდაცვალება რომ შეიტყვეს, რამდენიმე კაცი ბაკალავრის სენაკისაკენ გაიქცა: უკანასკნელ ჟამს მხოლოდ ის ერთადერთი აქცევდა ყველაზე დიდ ყურადღებას, მაგრამ ზბიგნევი სენაკში არ აღმოჩნდა. მერე ბაღშიც ეძებს იგი, კარის ეკლესიაშიც, ტყეშიც...

შეშინებულმა მამა მნემ წინამძღვარს მოახსენა, მონასტრის საჯინიბოდან ორი ყველაზე კარგი ცხენია წაყვანილიო. ორ საათსაც არ გაევლო, რომ წინამძღვართან ხელების მტვრევითა და ყვირილით მზარეული შეევარდა:

— ქურდები! ქურდები! ჩვენს საწყობში ქურდები ყოფილან!

საწყობიდან გაეტანათ ორი თუ სამი ბარკალი ხორცი, ერთი ტომარა ფქვილი და რამდენიმე აცმა გამოყვანილი თევზი.

მორჩილს, „პშეპრაშემს“ რომ ეძახდნენ, შეეძლო რაღაც-რაღაცები ეუწყებინა წმიდა მამებისათვის, მაგრამ, თავისი ჩვეული სიფრთხილის გამო, ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რაც ტყიდან ფიჩხის კონით მომავალმა ნახა.

ნახეთ კი, მისგან ორ ნაბიჯზე, პირდაპირ ბუჩქებსა და ხრამებზე ჭენებით მიმავალი ორი ცხენოსანი ნახა. ერთს ბერის სამოსი ეცვა. გაძღარი, უფერული ბერი, თვალებამდე გაბარდული წვერით, მისთვის უცნობი იყო. მეორე, გლეხისტანსაცმლიანი მხედარი ისე ყოჩაღად იჯდა უნაგირზე, თითქოს ოდესმე რეიტერად ემსახუროს ანდა, საერთოდ, ომის საქმის კარგი მცოდნე იყო. ამ ახალგაზრდა გლეხის ახოვნობაში რაღაც ეცნაურა პშეპრაშემს, თუმცა, არც ერთსა და არც მეორე მხედარს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მიუხედავად იმისა, რომ მორჩილი ორივეს შეეხმიანა.

ყველაზე უკანასკნელი ამბავი, რომელმაც საბოლოოდ ააფორიაქა წინამძღვარი, ის იყო, რომ მონასტრის სარდაფიდან, სადაც იარაღი ინახებოდა, ორი სიათა, ორი ხმალი, რამდენიმე ხანჯალი და ერთი ტომარა დენთი წაეღოთ.

წინამძღვარმა სასტიკად აუკრძალა მამა მნესაც, მამა მეკუჭნაესაც, არავისთან არაფერი წამოგცდეთო. წმიდა მამებს უფლება არ ჰქონდათ მონასტერში იარაღის დიდი რაოდენობით შენახვისა, მაგრამ მთავარი უბედურება ეგ არ იყო. წინამძღვარი იმას შიშობდა, იარაღის მოპარვის ამბავი ვარმიის ხელისუფალთა ყურამდე

მიაღწევს, შემდეგ ისიც გაირკვევა, მონასტერში რისთვის ვინახავთ ამდენ იარაღს და ისიც, ვინ ან რა შემთხვევისათვის ამარაგებსო ბერებს იარაღით.

მამა დომინიკანელებს სრულებითაც არ აძლევდა ხელს, რომ ტევტონთა ორდენთან მათი კავშირი გამჟღავნებულიყო. შეიძლება მის უდიდებულესობა მეფე ზიგმუნდს ეჭვადაც არ მოსდიოდა, რა ვერაგი მტერი განაბვოდა გვერდით, მაგრამ, მის გარდა ლამის მთელმა სამეფომ იცოდა, რომ ორღენი პოლონეთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა.

ჰოდა, მამა წინამძღვარს ეშინოდა შლიახტების, კრაკოვის სასახლისა, განსაკუთრებით კი ხალხის რისხვისა, რადგანაც გლეხობის მღელვარების უსიამო ცნობები თითქმის ყოველ საათს მოდიოდა მონასტერში.

თავი მესამე

ტყვეობა და თავისუფლება

ბუმ... ბუმ... ბუმ... ზომიერად სცემს დიდი დოლი. მისი ბაგუნი ყრუდ ეფინება მენიჩბეთა გემბანს. დოლის ტაქტზე ათობით დაძარღვული ხელი მაღლა ეწევა და ძირს უშვებს ნიჩაბს, აქ ყველა მონაა: ვინც ნიჩაბს უსვამს, ისიც და ვინც მენიჩბეებს მათრახით ზურგს უჭრელებს, ისიც.

გემბანის ბოლოს, ამაღლებულ ადგილას, ერთი მოსული ტანის, ებონიტის კერპივით შავი ეთიოპელი დგას და თანაბრად სცემს უზარმაზარ დოლს. მეორე, ყურებჩამოთლილი, დაბალი, ჩადგმული ზედამხედველი კი სკამებშუა მიმოდის და ხან ერთ მენიჩბეს ამხნევებს, ხან მეორეს — მოულოდნელად უცხუნებს ხოლმე მათრახს.

ოფლისა და უბანებელი ადამიანების სუნის, სიცხისა და უჰაერობისაგან ჭირს სუნთქვა.

წვერგაუპარსავი, თმამოშვებული, გამოკინთული მენიჩბეები ერთმანეთის გვერდით მიჯრით სხედან. მათ უკანასკნელ შესაძლებლობამდე აქვთ ძალა გამოლეული.

მაგრამ, აი, გაისმის სამი ჰაჭარებული, ზედიზედ მიყოლებული დოლის ცემა: „ბუმ! ბუმ! ბუმ!“ ყველა ნიჩაბი ერთბაშად იწევს მაღლა და ჩერდება. გალერა ინერციით განაგრძობს წინსვლას...

ზემოდან მაშინვე მოისმის ხმაური, გაცემული ბრძანებები, ჩაშ-

ქებული ღუზის ყღრიალი. ბიძგიც... და შემდგარი გალერა ერთ ადგილზე იწყებს რწევას. დოლის ხმა მიწყდა. ზედამხედველი წავიდა. მენიჩბეებმა უკან გადაიწიეს, თავები მკერდზე ჩამოიდეს და ასე გაუნძრეველად... ნახევრად ჩილულულნი გაირინდნენ.

ეს იყო ბათი დასვენება. ზეპოთ მიდი-მოდიოდნენ, ყვიროდნენ, ფაციფუცობდნენ... იქ კი, დაბლა სიბნელე და სიჩუმე სუფევდა. შიგადაშიგ რომელიმე მენიჩბე თუ გაინძრეოდა, ჯაჭვი გაეღარუნებდა მხოლოდ, რომლითაც ისინი ერთიმეორეზე იყვნენ გადაბმულნი.

კასპერმაც ფეხები გაშალა და წელი გამართა. დაღლილობისა და სისუსტისაგან გონებადაბინდული იჯდა. კიბეებზე გახმიანებულმა ნაბიჯებმა გამოიყვანა იგი ამ გარინდებიდან. ვიღაცის უხეშმა ხმამ თურქულად იყვირა:

— ეი, მუქთახორებო, სათქვლეფად მოემზადეთ!

ყველასთვის გასაგები იყო ეს სიტყვები.

მენიჩბეთა გემბანზე ხრიგინით დაეშვა ღვედებზე გამობმული ვეება წვნიანის ქვაბი. კასპერი ორივე ხელით ჩააფრინდა თიხის ჯამს და ლაეაშის ნაგლეჯით ხარბად დაუწყო დევნა წვენში მოტივტივე მატლიან, აყროლებულ ხორცს.

კასპერმა შიმშილი დაიოკა, მერე ეცადა უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო სკამზე და თვალები დახუჭა. როგორც ჩანდა, გალერა ნაპირს მიადგა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მენიჩბეებს მთელ ღამეს დაასვენებდნენ. დასვენების ასეთ იშვიათ საათებში, ნახევრადმოწოლილი, თვალებდახუჭული კასპერი, მეათასედ იგონებდა „ლუჩიაზე“ დატრიალებულ იმ საშინელებათა დღეს, რომელიც მისი მონობის პირველ დღედ იქცა. მისი პატრონი ჯერ მეტად ურჯუკი და ხარბი მონათვაჭარი აბდურაჰმანი იყო. იგი თითქმის მშიერს ამყოფებდა მენიჩბეებს. შიმშილისა და გადამეტებული შრომისაგან დღეში ათობით ბონა უკვდებოდა და ალექსანდრიაში ჩასვლამდე მენიჩბეების თითქმის ნახევარი გაუწყდა. ამავე ხანად ბონათა ფასი დაეცა და აბდურაჰმანი გაკოტრდა. აბდურაჰმანის გალერა თავისი მენიჩბეებით იყიდა მისმავე მტერმა და მეტოქემ სინოპელმა თურქმა ქერიმმა.

საქმეების მოგვარების შემდეგ გალერის ახალმა პატრონმა პატარა, დალმეჭილი მოხუც არაბთან ერთად ნამდვილი ცხენის ვაჭრივით შეამოწმა ყველა ბონა. რომელიც უვარგისად მიიჩნიეს, მარცხნივ ჰკრეს ხელი, რომ შემდეგ ან ვინმესთვის მიესაღებინათ, ანდა უფრო დასვენებულ ბონებში გაეცვალათ. ვინც უფრო ლონიერი ჩანდა — მარჯვნივ მიაყენეს.

კასპერი მარჯვენა მხარეს მოხვდა. ქერიმი აბდურაჰმანზე ნაკ-

ლებ ხარბი და დაუნდობელი როდი იყო, მაგრამ უფრო მოსაზრებული და საქმიანი კაცი გამოდგა. უპირველეს ყოვლისა, მან ბრძანა, ყველა მონისთვის რამდენიმე კვირით აეყარათ ბორკილები. მენიჩბეებს პირუტყვსა თუ ფრინველივით დაუწყეს კვება. როდესაც საკმაოდ მოღონიერდნენ, ქერიმმა ისევ მიაჯაჭვა სკამებზე, დაუყენა მედოლე (დოლის ცემის რიტმზე უფრო ადვილიაო ნიჩბების მოსმა) და მიუჩინა მათრახიანი ზედამხედველი, ის ყურებმოთლილი მონა — ყოფილი ქურდი. ყურებმოთლილი თარჯიმნობასაც სწევდა.

როგორც კი გალერა ზღვაში გავიდა, დღიური ნორმა შეამცირეს: მენიჩბეებს ორჯერღა აჭმევდნენ დღეში, მაგრამ საჭმელს უფრო უკეთესს აძლევდნენ, ვიდრე აბდურაჰმანის დროს.

კვლავ გაიჭიმა სასოწარკვეთის ერთგვაროვანი დღეები, განთიადიდან დაბინდებამდე სცემდა ის დაწყევლილი დოლი. ისმოდა ზედამხედველის გინება, გადაწნული მათრახისგან სკდებოდა კანი.

ასე გადიოდა დღეები, თვეები, წლები, არსაით ჩანდა ნუგეშის სხივი...

კასპერის ტყვეობის მხოლოდ მეხუთე წელს მოხდა მცირედი ამბავი, რომელმაც მის გაწამებულ სულს ახალი ძალა შემატა.

ერთხელ, კაფში რომ ჩავიდნენ, ქერიმმა, ჩვეულებისაებრ, ათიოდე ღონეგამოცლილი მენიჩბე დასვენებულებში გადაცვალა. კასპერს გვერდით ახალი „თანამენიჩბე“ მიუჯდა: მენიჩბეთა გემბანზე ჩაიყვანეს ხუთი ჯანღონიერი კაცი, — ოთხი ახალგაზრდა, ერთი მოხუცი.

გრძელი ჯაჭვით მიაბეს ისინი სკამებზე. მოხუცი კასპერის გვერდით მოხვდა და წყნარი, ჭაღარა ულვაშებში შეფარული დამცინავი ღიმილით ხმამაღლა წარმოთქვა:

— აბა, ბიჭებო, დავსხდეთ, ღმერთის შეწევნით! დარდი არც გაივლოთ გულში, ძაღლის ლეკვებო: უფალმა ღმერთმა დაგვაყენა ეს დრე და უფალი ღმერთივე გვიშველის!

ენა, რომელზედაც მოხუცი ლაპარაკობდა, უცხო იყო კასპერისათვის, მაგრამ, მისდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ესმოდა. მერეღა მოისაზრა, უკრაინულად ლაპარაკობსო. პოლონეთის სოფლებში კი მაშინ ბევრი უკრაინელი გლეხი ესახლა.

აღელვებულმა კასპერმა ტირილისაგან ძლივს შეიკავა თავი და მეზობელს პოლონურად ჰკითხა:

— პან, ქრისტიანი ხართ? საიდანა ხართ, პან, წარმოშობით?

მეზობელი გაკვირვებით დააკვირდა კასპერის გაბურდულ წი-

თურ თმას და ნახევრად უკრაინულ, ნახევრად პოლონურ ენაზე მიუგო:

— ჩვენ ზაპოროჟიედან ვართ, კაზაკები... მართლმადიდებელი ქრისტიანები, მაშ რა! შენა, პან? გატყობ, პოლონეთიდან უნდა იყო!

— მე გდანსკელი ვარ... ტყვედ კი კონსტანტინოპოლში ჩავვარდი...

— ეჰ, საიდან სად გიწევნია! გესმით, ბიჭებო? უფალმა ღმერთმა როგორ უცებ მოგვიყვანა მეზობლად ქრისტიანი. მართალია, კათოლიკეა, მაგრამ ურჯულო ხომ არაა...

გალერაზე ხმამაღლა მოლაპარაკე სასტიკად ისჯებოდა. მხოლოდ ჩურჩული, მაშასადამე, მხოლოდ მეზობელთან გადალაპარაკება იყო ნებადართული. ამ გაწელილი წლების მანძილზე კასპერის მეზობლები ხშირად იცვლებოდნენ. ისეთებიც ხვდებოდნენ, რომელთაც არც იტალიური ესმოდათ, არც პოლონური, არც ესპანური და არც თურქული ენა... ერთმა ღმერთმა იცოდა მხოლოდ: რომელი ქვეყნიდან იყვნენ ისინი გალერეაზე მოხვედრილები, მაგრამ ყველა ერთნაირად იყო გამოფიტული, ძალღონეგამოცლილი. დატანჯული და შივიწყებული, ყველანი ღვიძლი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

ამ ახალ მეზობლებს კი, როგორც ეტყობოდათ, რიგიანად ჯერ არ ეგემნათ მონის უღელი: მხიარულად, მხნედ იყვნენ და კასპერსაც გადასდეს თავისი თავის რწმენა.

ღამის დასვენებები რომ დგებოდა, ხანდახან ჭაბუკი ჩურჩულით, მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრული უყვებოდა მეზობელს თავის თავგადასავალს. ის კი, დაღლილობის მიუხედავად, ყურადღებით უსმენდა, თხრობას არ აწყვეტინებდა. უსმენდა არა ერთსა და ორ ღამეს. მხოლოდ შიგადაშიგ ჩაილაპარაკებდა ხოლმე თავისთვის:

— დიდი საფრთხილო საქმე ყოფილა... შენ არც იდარდო, შკილო! იძინე არხეინად! რახან ეგეთი საფრთხილო საქმე დაგავალეს, მაშ გიშველიან კიდევაც! შენ მოითმინე ოღონდ — ძია ოხრიმი ცუდს არაფერს გირჩევს!

მოხუცის მეგობრები, ჩვეულებრივ, ჩუმად ისხდნენ და ასე უსმენდნენ პოლონელის ნაამბობს. ერთხელაც ძია ოხრიმი მიუბრუნდა მათ და უთხრა:

— გესმით, თურმე რა აღარ ხდება ქვეყანაზე! აბა, ჩვენ მძინარე გოჭებივით რომ დაგვიჩეკეს, ისე კი არ არის საქმე... აქ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარა... — და ძია ოხრიმმა დაძარღვული ხელი, რომელზედაც საჩვენებელი თითი აკლდა, ულვაშებზე გადაისვა.

ეს ხალხი მეტად უბრალოდ ჩაცვივნილიყო ტყვედ: კაზაკები დნეპრზე სათევზაოდ წასულიყვნენ. ეთევზავათ, შეეწვათ კოცონზე თევზი, არაყი დაელიათ და იქვე მიწოლილიყვნენ დასაძინებლად, როგორადაც ნამდვილ მართლმადიდებლებს შეჰფეროდათ. ღამით თათართა ხროვა მოჰპარვოდათ ზღვიდან და მძინარენი შეეპყროთ. შემდეგ ასე შებორკილნი, პერეკოპის გადავლით, ცხვრებივით ჩაერეკათ ბახჩისარაიში, იქიდან — კაფაში და გალერაზე ეკრათ თავი. აი, ასე ყოფილა ეს საქმე.

— გაქცევა არ გიცდიათ, ძია ოხრიმ? — ჩუმად იკითხა მოხუცისაკენ დახრილმა კასპერმა.

— არა, ძმობილო, თათარს ვერსად გაექცევი; ნაგათ ყველა ჩვენი კაზაკური ხრიკი იციან.

— რას ამბობთ? ნუთუ ყველაფერი ღალუპულია?

— არა, — დინჯად მოუქრა ძია ოხრიმმა. — ეგ არ მოხდება, რომ კაზაკი ღმერთმა დაივიწყოს... არც კაზაკი დაივიწყებს კაზაკს. ამ შავ ზღვაში ერავალი ჩვენი მოძმე დაქრის „ჩაიკით“[1]...

ყველაფერი თითქოსდა ძველებურად მიდიოდა — იგივე მათრახის ცემა ზედამხედველისა, იგივე დოლის ბაგუნი, იგივე წამხდარი ხორცის წვნიანი, მაგრამ კასპერს თითქოს ახალმა ქარმა დაჰქროლაო.

ახალი ნაცნობობა თანდათანობით ახლო მეგობრობად იქცა. კაზაკები კასპერს სულ მთლად თავისიანივით „ჩვენს რუდის“[2] ეძახდნენ. ტყვეობით ჯერ ისევ სასოწარუკვეთელი, უიმედობით ხელდაურეველი ბიჭები მეგობრულად ეხუმრებოდნენ „რუდის“, ამხნევებდნენ და შავ ფიქრებს უფანტავდნენ.

რამდენიმე კვირის წინ ქერიმმა კონსტანტინოპოლში გალერაზე ახალი თანაშემწე, მუსულმანყული, აიყვანა. როდესაც ქერიმი ძირს ჩავიდა ამ ჩაფსკვნილი, შავწვერა თურქის თანხლებით, რომელსაც მრისხანედ შეეყარა შავი, გაბარდული წარბები, კასპერს რაღაც ემცნაურა იმ ტანდაბალსა და ჯმუხ კაცში. მაშინ კი, მუსულმანყული კასპერისაკენ-რომ შებრუნდა, შეშინებულმა ჭაბუკმა გუნებაში ლოცვა წაიკითხა. ეს შავი თმა-წვერი, ულვაშები და წარბები რომ არა ჰქონოდა, ახალი თანაშემწე ვუეკის ასლი იქნებოდა. მაგრამ ვუეკს ხომ ჯერ კიდევ გდანსკში ჰქონდა ულვაშებში ჭაღარა შეპარებული, კონსტანტინოპოლის გზაზე კი პან კონოპკა მთლად გაჭაღარავდა. წარბები ჩვენს ბარაქალა ბოცმანს მოწითურო ჰქონდა,

---

[1] „ჩაიკა“ — გრძელი, მრავალნიჩბიანი ნავი, რომელიც მთელი მუხისაგან იყო გამოთლილი.

[2] „ჩვენი წითური ბიჭი“ (უკრ.).

თმა — ჭაღარაშერეული და ქერა. ახალმა თანაშემწემ კი თავზე ჩალმა რომ გაისწორა, კასპერმა უფრო კარგად დაუნახა კუნაპეტი-ვით შავი თმა. კასპერს ძილი არ მიეკარა იმ ღამეს: იმ თურქს თვა-ლები ცისფერი, ცისფერი, ზუსტად ისეთივე ჰქონდა, როგორიც მის საყვარელ ვუეკს...

„არა, არა, მგონი, ჭკუაზე ვიშლები“, — ფიქრობდა ჭაბუკი. მან ისიც მშვენივრად დაინახა, მუსულმანყულმა ფზის ჩასვლისას როგორ შეასრულა ნამაზი, ქერიმიც ძველი ნაცნობივით ექცეოდა... თუ მართლა ვუეკი იყო, რატომ ერთხელაც არ მოხედა კასპერს, რატომ არ ანიშნა, გიცანიო?

„იქნება ისე გამოვიცვალე, ყველაზე მახლობელნიც ვეღარა მცნობენ?“ — სიმწრით ფიქრობდა ტყვე ჭაბუკი.

იმავე ღამეს კასპერმა ეს განსაცვიფრებელი ეპვი ძია ოხრიმს გაანდო. .

ბოხუცმა მოისმინა ჭაბუკის აღელვებული ჩურჩული, დიდხანს, ხმის ამოუღებლივ იწვალებდა ჭაღარა ულვაშს და ბოლოსღა ჩას-ჩურჩულა კასპერს:

— ნუ ნ ღვლობ, შვილო! ერთი ეს მითხარი: მოკეთეა ის შენი თუ მტერი?

— მოკეთეო? ის იყო ჩემი მამაც, ქომაგიც, ყველაზე მახლობე-ლი ადამიანიც!

— თავს კი ისე გაჩვენებს, ვითომც ვერა გცნობო? მაშ, რაღაც ჩაუფიქრებია! გამიგე? მოთმინება იქონიე, შვილო!

მას შემდეგ, რაც კასპერს მოეჩვენა, ვუეკი ენახეო, რამდენიმე კვირამ განვლო. მუსულმანყულს კი ჯერ არაფრით ენიშნებინა, გიც-ნობო.

„ვუეკია თუ არ არის ვუეკი?“ — იტანჯავდა თავს კასპერი. ხანდახან ისედაც ეჩვენებოდა, ვუეკი უფრო მაღალი და უფრო მხრებგანიერი იყოო... არის ხოლმე ზოგჯერ ადამიანთა შორის ასე-თი განსაცვიფრებელი მსგავსება!

დაბოლოს, დადგა ის სამახსოვრო, სამხრეთის სულისშემხუთ-ველი ღამე! კასპერსა და ძია ოხრიმს არ ეძინათ. უცებ ღრჭიალით გაიღო ლუკის სახურავი და ტრაპზე ფარნიანი კაცი დაეშვა. კაცი კასპერთან მივიდა და ფარანი უბოდიშოდ მიაშუქა სახეში. შემდეგ ბორკილის საკეტმა გაიჩხაკუნა და ჯაჭვი ჩხრიალით დავარდა ძირს.

— ადექი ურჯულო ძაღლო, ადი მაღლა!

კასპერი დაიფიცებდა, ვუეკის ხმა მესმისო.

სკამიდან წამომდგარმა ჭაბუკმა ზურგში ოდნავი წაბიძგება იგრ-ძნო. რომ მიიხედა, ძია ოხრიმის ეშმაკურ მზერას წააწყდა.

ზედა გემბანზე კასპერმა კინაღამ გონი დაკარგა, ისე გააბრუა ზღვის სუფთა ჰაერმა.

გემბანზე სამი კაცის სილუეტი ირწეოდა: ქერიმ-ეფენდისა, მუსულმანყულისა და კიდევ ვიღაც · კასპერისთვის უცნობი კაცისა. ქერიმმა მუსულმანყულს რაღაც კითხვა დაუსვა თურქულად, ამან კი იმწამსვე თურქულადვე გაუმეორა კასპერს. ჭაბუკი მიხვდა, რომ ლაპარაკი ვარსკვლავებს, გემის მართვას ეხებოდა, მაგრამ მაინც აიჩეჩა მხრები. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ისწავლა თურქული ლაპარაკის გაგება, მაგრამ არ უნდოდა, მტერს გამოსტყდომოდა.

მაშინ მუსულმანყულმა იტალიურად უთხრა:

— მისმინე, ურჯულო ძაღლო! პატივცემულმა ქერიმ-ეფენდიმ გაიგო, ვარსკვლავების მიხედვით გემის წაყვანა შეუძლიაო, მართალია? — სიტყვები: „ურჯულო ძაღლი“ მუსულმანყულმა თურქულად ჩაურთო.

— ერთხელ მართლაც მომიხდა, ვარსკვლავების მიხედვით ღამით მეტარებინა გემი, — მიუგო კასპერმა მოკლედ.

— მესაჭე მუხტარი ავად გახდა... ხვალ გემის წაყვანას შეიძლებ? — შეეღრინა მუსულმანყულმა.

— თუ ბატონების ნებაც იქნება, შევიძლებ, — მორიდებით მიუგო კასპერმა და ძლივს დაიოკა მღელვარება.

— კარგი, გალერას შეწა და ლოცმანი წაიყვანთ, — მუსულმანყულმა იმ მესამე კაცზე მიუთითა, რომელიც მათ მდუმარედ უგდებდა ყურს. — შენ კი გრიგორო, პასუხს აგებ გალერას სახიფათო ადგილებში გატარებაზე!

— მესმის, ბატონო! — მდაბლად დაუკრა თავი ლოცმანმა.

— მუსულმანყულ, რომ მომახსენე, მარცხეხა გვერდზე აქა-იქ კილოებია დასაგმანიო, დაგმანეთ?

— თუ ალაჰიც ინებებს, ბატონო, ზეგ საღამოსთვის ყველაფერი მზად იქნება.

— ზეგ საღამოსთვისო?! — იყვირა გაბრაზებულმა ქერიმმა. — ზეგ ახალი მონები უნდა დავტვირთო და გზას გავუდგე!

— მაპატიე, ბატონო, მაგრამ რა უპატრონო ძაღლი მნახე, გახვრეტილი გემით ზღვაში გავიდე! ზღვას უადგილო ფაციფუცი არ უყვარს.

— კარგი, მასე იყოს, — წაიღრინა ქერიმმა, — მაგრამ ზეგ საღამოსთვის თუ არ დავძრულვართ, ალაჰს ვფიცავ, ანძაზე ჩამოგკიდებ, დიდო მეზღვაურო! წადი და შეასრულე, რაც გიბრძანეს!

მუსულმანყულმა პასუხად შუბლზე და მკერდზე მიიდო ხელი და

მდაბლად მოიდრიკა. შემდეგ კასპერს სახელოში ხელი ჰკიდა და ტრიბუნისკენ წაათრია.

— ჰა, ჩადი, ურჯულო ძაღლო! — ღრიალებდა იგი იტალიურად. — ცოცხლად გაინძერი! — ტრიუმში კი, ჩავიდნენ თუ არა, მიმოიხედა და პოლონურად წასჩურჩულა ჭაბუკს: — მოითმინე, ჩემო ბიჭო! გამხნევდი! წერილი გადავეცი კანონიკ კოპერნიკს... მერე მოგიყვები ყველაფერს, მანამდე კი — მოითმინე!

დედაო ღვთისავ, პან იესო! — პოლონური ლაპარაკი გაიგონა! რამდენი წელია კასპერს აღარ სმენია იგი!

უცებ ვუეკმა თურქულად იღრიალა:

— წაეთრიე, ძაღლო!

ვუეკმა მაინც მოახერხა, კასპერს ხელის მოჭერით გამოსთხოვებოდა გამოსვლისას, თან უსუნთქველივ იგინებოდა.

ბოცმანმა „კოპერნიკიო“ რომ ახსენა, კასპერი დაბარბაცდა, გული ძალუმად აუძგერდა. მაშ, ტყუილუბრალოდ არ გადაუტანია ეს ტანჯვისა და დაცირების მძიმე წლები. უშედეგოდ არ ურტყამდნენ მათრახს და ძაღლივით არ ექცეოდნენ! მასწავლებელმა მიიღო მაგისტრის წერილი! კასპერი მოუთმენლობის კანკალმა აიტანა. უნდოდა ჩქარა შეეტყო ყველაფერი, ყოველივე!

ასეთი საქმისათვის ღირს წამების გადატანა, მონობის უღლის დადგმა, სიცოცხლის გაწირვაც კი... ვუეკი აქაა, გალერაზე, ნაშ, იმედია! იქნებ ახლოსაა ის აღთქმული თავისუფლებაც, მშობლიური პოლონეთის, ლიძბარკის, გდანსკის, კრაკოვის ნახვა... თითქოს ბურუსში გაკრთა და კვლავ თვალს მიეფარაო ნაზი, ალერსიანი. ძვირფასი მიტას სახე. კასპერს თვალებზე ცრემლი მოადგა.

ჭაღარა უკრაინელი, მოუთმენლად რომ ელოდა მეზობლის დაბრუნებას, დაიხარა და ჭაბუკს ყურში ჩასჩურჩულა:

— აჰა, ძმაო, ხომ გეუბნებოდი! აბა, როგორაა ჩვენი საქმეები?

— იმედიანად იყავიო, ძია ოხრიმ!.. პან კონოპკამ მითხრა, იმედიანად იყავიო. ოი, კაცი კი არა, ღვთიური ანგელოზია!

— ანგელოზია? ეგეთ შავტუხასა და წვეროსან ანგელოზებს ჯერ არ წავწყდომივარ წმინდანთა ხატებზე... კარგი, იყოს ანგელოზი... მერე რაო, იმ შენმა ანგელოზმა?

— მარტო იმის თქმა მოასწრო, იმედიანად იყავითო, მეტი არაფერი ვიცი ჯერ...

— იმედიანად ვიყოთ?.. ამ ზღვაში ვისი იმედი უნდა გვქონდეს თუ არა ჩვენი კაზაკებისა? ღმერთო, მოგვხედე უბედურებაში ჩაცვივენილთ!.. — და მოხუცმა პირჯვრის წერით დახუჭა თვალები.

კასპერმა კი ვერა და ვერ დაიძინა მთელ ღამეს. მხოლოდ მაშინღა წასთვლიმა, როდესაც გალერის სანიჩბე ჭრილებიდან დილის

სიგრილესთან ერთად განთიადის შუქმაც შემოაღწია და შორეული, კონსტანტინოპოლის მინარეთებიდან მოლის გაბმული, გულისგამაწვრილებელი სიმღერა გაისმა.

მუსულმანყული ჩვეული ლანძღვა-გინებით ჩავარდა მენიჩბეთა გემბანზე.

— ეი, შენ, წითურო ძაღლო! გამომყე! — წაუღრინა მუქარით, თან სამენიანი შოლტი აათამაშა.

კასპერი აჰყვა ზედა გემბანზე.

— ბინდისას გავალთ, — ჩაულაპარაკა ვუეკმა სწრაფად და ზედვე ხმამაღალი ბრძანება მიაყოლა: — გამომყე უკან, მუდრეგო! გემზე ტომრებია გადმოსაზიდი!

ვუეკი და კასპერი ნაპირზე დაწყობილ ტომრებთან მივიდნენ. აქ, ტომრებს ამოფარებულებს ვერც ვერავინ დაინახავდა, ვერც ვერავინ მოუსმენდა. ვუეკმა მიმოიხედა და კასპერს ჩუმად უთხრა:

— ყველაფერი მოგვარებულია. ორივე კანონიკი ენახე. თურქულად მამა გიზეს ნებართვით მაცვია. თმა-წვერი, ულვაშები და წარბები ერთმა მავრმა შემიღება. არც წყლით გაირეცხეა და არც საპნით... ჩემი პანი იაკუბოვა პირს დააღებს, როცა დავბრუნდებით, არა? — ეს სიტყვები იმიტომ ჩაურთო, რომ კასპერისათვის იმედი ჩაენერგა. — დიდხანს ვიხეტიალე, სანამ გიპოვიდი. კაიროც მოვიარე, კონსტანტინოპოლიც, კაფიც, ალექსანდრიაც... სანდო კაცის ხელით კაზაკთა ატამან შკურკოს ცნობა მივაწვდინე. ვაცნობე, ჩვენი გალერა პანეის შუქურას ნაპირ-ნაპირ ჩაუვლის, შემდეგ კი სინოპისაკენ გავწევთ-მეთქი... ხვალამ პანეის შუქურასთან უნდა შეგვხვდნენ. ნუ იღელვებ, ჩემო ბიჭო! — უცებ, კასპერისდა გასაოცრად, კონოპკამ შოლტი გადაუქირა და დაუყვირა: — დიდხანს იზოზინებ, ურჯულო ძაღლო?

„თურქს დაინახავდა,“ — გაიფიქრა ჭაბუკმა, ზურგზე ტომარა მოიგდო და გალერას საბიჯელაზე ვუეკს მიჰყვა კვალში. ეს მძიმე ტომარა კასპერს იოლ და სახალისო ტვირთადაც კი მოეჩვენა. მომავალი იმედით გაუნათდა. შეძლებს ნეტავ ატამანი შკურკო მათ გათავისუფლებას? თუმცა რა, თავისუფლების მოსაპოვებლად ხომ მაინც იბრძოლებს! ბრძოლაში კი თუნდაც მოკვდეს! სამშობლოს ხომ ემსახურა კასპერი, როგორც შეეძლო...

დატვირთვა რომ დაამთავრეს, მუსულმანყულმა „ურჯულო ძაღლი“ ანძასთან დატოვა. კასპერი სიამოვნებით გაწვა გემბანზე — მთელი ტყვეობის ოთხი წლის მანძილზე პირველად ნებივრობდა სუფთა ჰაერზე. დაბინდებამდე აღარავის აღარ შეუწუხებია იგი. ვუეკმა კამბუზიდან ჯამით გემრიელი ფლავი მიუტანა: ქერიმმა ნება

დართო, ახალი მესაჭისათვის კარგად ეჭმევინათ, რომ სუფთა ჰაერზე ვახტზე დგომისას ნაშიმშილევს არ ჩასძინებოდა.

ამდენი წლის მანძილზე კასპერმა პირველად ჭამა მაძღრისად და ძალლუმადური ტყვეობიდან თავის დახსნის უტყუარი შეგრძნებით პირველად გამოჭიმა ნამდვილი ძილი.

გამოაღვიძა იგი გრილმა ნიავმა. ტალღები ხმაურით ეხეთქებოდა გალერას გვერდებს. გაიღრჭიალეს ბლოკებმა, გაიჟღარუნა ღუზის ჯაჭვმა. კასპერი წამოჯდა, გემრიელად დაამთქნარა და თვალები მუშტებით ამოისრისა. ქვემოდან, მენიჩბეთა გემბანიდან, ყრუდ ისმოდა დოლის ბაგუნი.

კასპერი წამოდგა თუ არა, მუსულმანყული მივიდა მასთან. ცისფერ თვალებს მხიარულად აციმციმებდა, პირიდან კი გაუგონარზე გაუგონარ გინებას ანთხევდა.

იალქნები ქარმა დაბერა. გალერამ სვლას უმატა. მზის უზარ-მაზარი მეწამულისფერი დისკო ჰორიზონტს დაეკიდა. ზღვა აქოჩრილ ტალღათა მწკრივებმა დასერა.

კარგა ხანს შიშველ კლდეთა რიგს მიუყვებოდნენ, შემდეგ მას სიმწვანეში ჩაძირული უსწორმასწორო სანაპირო შეენაცვლა. ჩრდილოეთით, ალაგ-ალაგ სიმწვანეშერეულ, ნაცრისფერ მთათა გრეხილი წამომართულიყო.

კასპერი სველ ფიცრებზე ფეხის სხლტომით გაემართა რუმპელისაკენ. ბორკილი უშლიდა მერყევ, მოქანავე გემბანზე სიარულს.

რუმპელთან იდგნენ ქერიმ-ეფენდი, ლოცმანი და ოთხი მოსული ტანის წელამდე შიშველი ლევანტიელი მატროსი. ქერიმ-ეფენდის ვერცხლითა და ფირუზით გაწყობილ, ბრტყელ აბრეშუმის სარტყელში გარჭობილ პისტოლეტის სახელურზე ჩამოედო მარჯვენა ხელი. ქერიმი წყნარად და ქედმაღლურად ეგაასებოდა ლოცმანს. ლოცმანი იმ ქალაქებსა და სოფლებს უსახელებდა ხან იტალიურად, ხანაც ბერძნულად, რომლებიც გზად უნდა გაევლოთ.

— აგერ, სოგდეია გამოჩნდა, ამას ლუსტა მოჰყვება, შემდეგ — პერტენიტე, გურზონიუმი, სიციტა... აგერ, იქ, დასავლეთით, იალიტაა, შემდეგ — ორიანდე, მუზუკორტი, ლუპიკა. ლუპიკას იქით დაიწყება, ბატონო, საშიში კლდეები და ლოდები... გეზს პანეის მახლობლად მდგარ სიმეოზის შუქურაზე ავიღებთ. გავცდებით სიმეოზს და გავალთ კიდევაც გაშლილ ზღვაში, თუკი თქვენი მოწყალებაც ინებებს.

ქერიმ-ეფენდი მედიდურად უსმენდა ლოცმანს და სახეზე გიაურისადმი მოწყალებანარევი ზიზღი ეხატა.

— გეყოფა! გაჩუმდი, ძაღლო! მშვიდობიანად გაიყვან გალერას — ოქროს მიიღებ, კლდეს დააჯახებ და — ამ ანძაზე ჩამოგ-

კიდებ, — ამ სიტყვებით შებრუნდა ქერიმ-ეფენდი და თავისი კაიუტისაკენ მათრახის ქნევით გაემართა...

— დადექ საკესთან! — უბრძანა პან კონოპკამ. ლოცმანს. — შენ კი გიაურო, — მიუბრუნდა იგი კასპერს, — წადი და ლოგინი გამიმზადე.

სანამ კასპერი ხალიჩას გაშლიდა და ბალიშებს მიაწყობდა, პან კონოპკა გვერდით ედგა, ზღვის სივრცეს გაჰყურებდა და ოდნავ გასაგონად ლაპარაკობდა:

— კასპერ, ღვთისმშობელმა თუ შეგვიწყალა, დღეს საღამოს თავისუფალი იქნები. ფიცი დავდე და შევასრულებ კიდევაც!

კასპერმა მაგრად მოუჭირა ხელი. როგორ უნდოდა ეკოცნა თავისი საყვარელი, კეთილი, ერთგული ვუეკისათვის!

— მადლობელი ვარ, ვუეჩკო, შენ მე მკვდრეთით აღმადგინე! ერთი ეს მითხარი, რა დაეშართა იმ არამზადა როტას?

— იუდა ზღვის ფსკერზეა კისერზე ქვებმობმული. ჩვენმა მოხუცებულებმა გააკამკრთლეს... უნდა გახსოვდეს ისინი: სახჩო, ფრანჩესკო და ერიკი... მაგრამ იცოდე... — პან კონოპკა მოულოდნელად გაჩუმდა.

კასპერმა ქვეშ-ქვეშ გაიხედა: მათ შორიახლოს ყურებმოთლილი ბორიალობდა.

— მზადაა, ბატონო, — მორჩილად მოახსენა კასპერმა.

— ვხედავ! — იღრიალა მუსულმანყულმა-ვუეკმა. — ახლა გვერდით მომიდექი და ცას ახედე. ლოცმანს გემის წაყვანაში დაეხმარები. მალე ჩამოღამდება. ეჰეი, მაჰმუდ, ანძაზე მწვანე ფარანი ჩამოჰკიდე! — დაუძახა ბოცმანმა ერთ მეზღვაურს.

ის მეზღვაური სწრაფად გაიქცა ფარნისათვის და რამდენიმე წამში ანძაზე მწვანე შუქი აინთო.

დაღლილი ლოცმანის შესაცვლელად კასპერი რუმპელთან დადგა. ლოცმანმა ხელი გაიწვდინა ბურუსში გახვეული შორეული მთისაკენ, რომელიც ნახტომისათვის გამზადებულ მხეცს წააგავდა ფორმით.

— სიმეოზ-შუქურა. სახიფათო ადგილია!

მართლაც, მთის თხემიდან ცისკენ გაწოლილიყო შავი კვამლის ნაკადი, რომლის ძირასაც ნარინჯისფერი ალი ირხეოდა.

— მარცხნივ აიღე გეზი! — იყვირა ლოცმანმა.

კასპერი რუმპელს დააწვა, გალერა მარცხნივ შებრუნდა და უზარმაზარი კლდის შემოვლა იწყო:

გემბანზე ქერიმ-ეფენდიმ გაიარა.

— მუსულმანყულ, — იყვირა, — ყველაფერი წესრიგზეა?

— დიდება ალაჰს, ბატონო, ყველაზე სახიფათო ადგილები უკან მოვიტოვეთ. შეგიძლიათ გულარხეინად მოისვენოთ. ხვალ სინოპში ვიქნებით.

სიმეოზის კლდე კიჩოს მხარის მოიქცია გალერამ და გაშლილ ზღვაში გავიდა. ახლოს მოსულ ვუეკს კასპერმა გადაუჩურჩულა:

— იმ მოხუც კაზაკს რამენაირად დანასა და ცულს ვერ გადასცემ?

— წადი და უყურო ხალიდას დამიძახე! ცოცხლად! — უბრძანა ერთ-ერთ მატროსს ვუეკმა.

უყურო ხალიდა ჩრდილივით უხმაუროდ მივიდა და მუსულმანყულის წინ მორჩილი თავისდაკვრით გაჩერდა.

— მზარეულს უთხარი, მენიჩბეებს საჭმელი დაუჩქაროს: ამაღამ შეუსვენებლივ იმუშავებენ, ხვალ სინოპში უნდა ვიყოთ. უთხარი, რომ მე ვბრძანე მათი ადრე ვახშმობა, წადი!

ვუეკმა უყურო ხალიდა თვალით გააცილა, შემდეგ სწრაფად გაემართა საჭის ჯიხურთან მიყრილი ათასგვარი იარაღისაკენ, რაღაცას დაავლო ხელი და მენიჩბეთა გემბანზე ჩასასვლელ ტრაპში დურთა თავი. მზე უკვე მთაგრეხილის იქით ჩაესვენა, ხავერდოვანი, მუქი ლილისფერი ბინდი ჩამოაწვა ზღვას და თავის კალთებქვეშ მოიქცია ტავრიის სანაპიროები.

ყველა მატროსმა, გარდა მეშტურვალისა და მარსზე მყოფი ყარაულისა, გალერას ცხვირზე მოიყარა თავი საღამოს ნამაზის შესასრულებლად. გემბანი დაცარიელდა. ლუკიდან პან კონოპკა ამოძვრა, მიმოიხედა, მრავლისმთქმელად ჩაუკრა თვალი კასპერს და მლოცველებს შეუერთდა.

ჭაბუკი მარტოდ დარჩა.

— ეი, ეი! — უცებ გაისმა მარსის ყარაულის ყურისწამღები ყვირილი. — ნავი! „ჩაიკები!“ კლდეს ნავებია ამოფარებული!

კასპერმა იქით გაიხედა და გახევდა. გალერის კიჩოსკენ, მარჯვენა მხრიდან უზარმაზარ კლდეს ამოფარებული ვეება ნავები გამოიჭრნენ ერთიმეორის მიყოლებით. ნავები ხალხით იყო სავსე. ისინი გალერის ირგვლივ უცებ განლაგდნენ განიერ ნახევარწრედ, გემბანზე ფეხშიშველი ეკიპაჟის უთავბოლო ტყაპუნი ატყდა.

— იარაღებთან! ადგილებზე! — ქერიმ-ეფენდის ცივი და მბრძანებლური ხმა ჰქონდა.

— ღმერთო, ყოვლადძლიერო! კაზაკები! — შემოესმა კასპერს ლოცვანის გულგახეთქილი ღრიალი.

გალერის წინა მხრიდან ქერიმის ბრძანებები ისმოდა:

— მსროლელებო — ადგილებზე! მეზარბაზნეებო — ზარბაზნებთან! მუსულმანყულ, უკომანდე ზარბაზნებს!

პან კონოპკამ კასპერს ჩაუქროლა, გალერას ცხვირისკენ მირბოდა, სადაც სამი დიდი ზარბაზანი იდგა. მატროსები აჩქარებით ირიგებდნენ ანძასთან მიყრილ იარაღს.

— ორჯერ უფრო სწრაფად მოუსვან ნიჩბები! — ბრძანა ქერიმ-ეფენდიმ.

გალერა ზარბაზნის ზალპმა შეარყია. სქელი კვამლი ჩაიგრიხა მის ცხვირთან. კვლავ იფეთქეს ზარბაზნებმა... კვლავ და კვლავ...

მაგრამ ნავები წყლის ხოჭოებივით სწრაფად მიქროდნენ გალერასაკენ. ერთ-ერთ მათგანზე ცისფერი ალმები ფრიალებდა, მის გვერდებთან მუარკებუზენი ჩამწკრივებულიყვნენ.

კასპერმა დაინახა, როგორ მოსწყდა ნავს თეთრი მკვრივი ღრუბელი, რომელსაც ერთდროული გასროლის გრუხუნი დაერთო. ერთი წუთის შემდეგ, თითქოსდა გალერა ყველგან ერთბაშად დაირღვა, ყოველი მხრიდან, გემბანიდან, ფერდებიდან, ფიცრის ნახეთქებმა იწყო ცვივნა. ერთმანეთში ირეოდა ნაფოტები, რკინის ნამსხვრევები, გაშხლართულ ადამიანთა სხეულები. რამდენიმე წუთში მთელი გალერა ყუმბარებმა დაცხრილა. კაზაკთა მომცრო ზარბაზნები — ზამბულაკები — აუცდენლად ურტყამდა.

ირგვლივ წყევლა-კრულვა და დაჭრილთა კვნესა ისმოდა. გემბანზე პანიკა ატყდა. ნავების წრე უკვე ზედ გალერასთან შეიკრა. „ჩაიკები“ ისე ახლოს მიუვიდნენ, რომ კასპერი მშვენივრად არჩევდა თეთრხალათიან ხალხს, რომელნიც შეუსვენებლივ ისროდნენ თოფებსა და ზარბაზნებს.

გალერადან უწესრიგო სროლით პასუხობდნენ. ნავები კი ისე მიადგნენ ზედ, დამიზნებით სროლა უკვე შეუძლებელი გახდა. მიუხედავად მემიზნეთა და მშვილდოსანთა თავგამოდებისა, გალერა კაზაკთა ნავებმა ისე მოიმწყვდია, როგორც მგელი ნაგაზების ხროვამ.

— მუსულმანყული სად არის?! წყეული ძაღლი! დაენგრეს მამის საფლავი! ზარბაზნები რად გაჩუმდა? — ქერიმ-ეფენდი კიჩოსკენ გაქანდა.

კასპერის ზურგს უკან გამაყრუებელი ქახანი გაისმა და რ[illegible] გრიალით დაენარცხა გემბანს. კასპერმა იქით მიიხედა. რუმპელი ქცეულიყო ნამსხვრევებად. პირქვე დამხობილი ლოცმანი სისხლის გუბეში ცურავდა. ირგვლივ ჯოჯოხეთური გნიასი იდგა: თავგზაბნეული ეკიპაჟი გემბანს აწყდებოდა. ისმოდა უწესრიგო ბათქიბუთქი.

ანძა და იალქნები უკვე ძირს ეყარა. ნიჩბები გაჩერდა. გალერაც შედგა და ერთ ადგილზე რწევა-რწევით ქარის მიმართულებით მიაბრუნა ცხვირი.

კასპერი ლუკში ჩასასვლელს ეცა, ტრაპიდან კი ნახევრადშიშველ, გაბარდულწვერიან ეშმაკთა მთელი ხროვა ამოვარდა, წინ დანამომარჯვებული ვუეკი და ძია ოხრიმი მოუძღოდნენ.

— ჰკა მაგათ, წყეულ მტარვალებს!

მონები, რაც ხელთ ხვდებოდათ, იმით იარაღდებოდნენ. იტაცებდნენ თოფებს, ფიცრებს, ბარჯებს, ცულებს და გალერის ეკიპაჟს ყიჟინით ესხმოდნენ თავს.

ვუეკს ახლა მორკალული ხმალი ეპირა ხელში და პირდაპირ ქერიმ-ეფენდისაკენ გარბოდა. მას კი, გაფითრებულს, ტუჩებმოკუმულს, პისტოლეტი შეემართა და ბოცმანს უმიზნებდა.

კასპერი თურქს მიეპრა და ხელიდან გახურებული პისტოლეტი გააგდებინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ცხვირში დენთის მომწკლარტო სუნი ეცა კასპერს, ვუეკი კი გემბანზე ეგდო და სისხლს ანთხევდა.

თურქმა ღონემიხდილ ბოცმანს ხმალი წაჰგლიჯა. შემდეგ კასპერმა გაიგონა, ბის თავზემოთ როგორ გაიწიელ ფოლადმა. იმავე წამს სახე რაღაც თბილმა სიბლანტემ დაუფარა, ტკივილი კი სრულებითაც არ უგრძვნია.

— ესეც შენ, მტარველო! — იყვირა ჭაბუკმა და მთელი ძალღონით მოუქნია ხელი ქერიმ-ეფენდის, მაგრამ მკვეთრი მოძრაობით თვითონვე შეტორტმანდა და მუხლებში ჩაიკეცა.

იმავე წამს გალერაზე ყოველი მხრიდან გადაცვივდნენ ასობით ხმალმომარჯვებული, ფეხშიშველი, თეთრხალათშარვლიანი ულვაშა ვაჟკაცნი.

— დასცხეთ, ბიჭებო! ამოხოცეთ წყეული ეშმაკები! — ბუბუნა ხმით იძლეოდა ბრძანებებს ერთი მსუქანი, ჭალარაულვაშა მოუცებული და სულ პირველი გამორბოდა.

— დასცხეთ, დასცხეთ, დასცხეთ ძაღლებს! დასცხეთ! — ჯოჯოხეთური ღრიანცელი, სტვენა და ყიჟინა იდგა ირგვლივ.

კასპერ ვიღაცის სხეულზე ჩაიღვენთა და თავისივე სისხლით სუნთქვაშეგუბებულმა უღონოდ დაადო თავი გემბანის ცივ რკინას.

კასპერი დიდი ხნის შემდეგ მოეგო გონს და კიდევ კარგა ხანს ვერ მიხვედრილიყო, სად იმყოფებოდა, იგი განსაკუთრებით აღელვა რაღაც ახალმა, ნაზმა, ძალზე ნაცნობმა, მაგრამ უკვე დიდი ხნის მივიწყებულმა სურნელმა. უნდოდა ღრმად ესუნთქა, რაც შეიძლება ხანგრძლივად დამტკბარიყო ამ არომატით, მაგრამ სუნთქვა უჭირდა — მთელი სახე და თავი ნაჭრებით ჰქონდა შეხვეული. კასპერმა ხელი ასწია და ფრთხილად დაისვა შუბლიდან ნიკაპამდე. შემდეგ ხანგრძლივად ითვალიერა ხელისგული. არა, სისხლი არ

ეცხო... მაშ, რისი სუნი დგას ნეტავ? კასპერის ხელი დუნედ დაეცა მეტისმეტად რბილსა და სასიამოვნოდ გრილ რაღაცას... დედაო ღვთისავ! — ბალახი! კასპერს თურმე მისი არსებობაც გადავიწყებოდა...

შემდეგ თვალები დახუჭა და დიდხანს გულმოდგინედ იხსენებდა, რა დაემართა. კასპერს კარგად ახსოვდა თავზემოთ მოქნეული ხმლის სივილი და თვალებში ჩასული სისხლის ღვარი... მანამდე... პან იესო, ვუეკი სადღაა! რა დაემართა ვუეკს?!

ჭაბუკმა სახეზე ახლა მეორე ხელი მოისვა ფრთხილად... ნაპერი, რომლითაც თავი ჰქონდა შეხვეული, მთლად გამხმარი და გახეშეშებული იყო, მაგრამ ზედ ახალი სისხლი არ ეცხო. „კარგად გადავრჩენილვარ! — გაიფიქრა კასპერმა. — მე კი გადავრჩენილვარ, მაგრამ ვუეკი?!“ სახვევი ხედვას უშლიდა და კასპერმა მისი ფრთხილად გადაწევა დააპირა.

— ხელს ნუ ახლებ! — მოესმა ბებრული ხმა და მისკენ ალერსით დაიხარა მოხუცებული ქალის დანაოჭებული სახე. — ერთი დღეცა და ნამდვილი ვაჟკაცი იქნები, შვილო! — ანუგეშა იგივე ხმამ. — მრავალძარღვამ კი გიშველა! ჩვენმა კაზაკურმა წამალმა...

ჭაბუკი უცებ მიხვდა, რომ დედაბერი ლაპარაკში უკრაინულსა და პოლონურ სიტყვებს ურევდა.

— პანი პოლონელია? — იკითხა აღელვებულმა.

დედაბერი დიდხანს იყო გაყუჩებული.

— ჰო, პოლონელიც ვარ, კაზაკიცა და, შეიძლება, მოსკოვიტელიც, — უპასუხა ბოლოს, — სულ პატარა მომიტაცეს თათრებმა. მეც არ ვიცი, ვინა ვარ... ჩემი პავლო მეუბნება, პოლონელი ხარო, ახალგაზრდობაში, მართლაც, ძალზე ლამაზი ვიყავი... იმან მე ტყვეობიდან დამიხსნა, ჩემმა შკურკომ...

— მითხარი, პანი, ხომ არ იცით, სად არის ერთი პოლონელი კაცი, პან კონოპკა ერქვა. დაჭრილია ისიც...

— ოღონდ „პანის“ ნუ დამიძახებ, შვილო, — უთხრა დედაბერმა, — ჩვენ აქ ყველა თავისუფალი ხალხი ვართ, შვილო, არც გლეხია ჩვენში ვინმე, არც პანი... „დიდედა სოფიო“-თქო, მორჩა და გათავდა! შენს კონოპკაზე კი ნუ ნაღვლობ. გვერდით გიწევს ბალახზე... ორი ჩვილი ბალღივით გამოგხვიეთ ჩვრებში და გვერდიგვერდ დაგაწვინეთ... წყალი დაგალევინო?

კასპერმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, იქნებ გადავბრუნდეო, მაგრამ ვერ შეძლო, მაშინ დედაბერი მიეხმარა და თავისი ჯანიანი მკლავებით სულ იოლად უცვალა მხარი.

— ეგე, შენი კონოპკა, — უთხრა ალერსით, — ოღონდ ნუ შეაწუხებ, ძალიან მძიმედ არის დაჭრილი...

კასპერმა პირველად ვერც კი იცნო ვუეკი. დავიწყნოდა, რომ ახლა მას შავი თმა და ულვაში ჰქონდა... ის თათრული წვერი კი უკვე გაეპარსათ.

— რა გაფითრებულია... — სინანულით თქვა კასპერმა და იგრძნო, თვალები ცრემლით ევსებოდა.

— ჰო, გაფითრებულია... მრავალძარღვაც ვერ შველის. იქნებადა, დედა ღვთისამ შეიწყალოს... — მიუგო დედაბერმა, — როგორი თავგამოდებული ყოფილა! რომ ვუხვევდი, გონზე მოვიდა და მაშინვე მითხრა, წვერი გამპარსეო. პოლონელებსო, — მითხრა, — კაზაკებივით წვერი ეჯავრებათო.

დედაბერი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ვუეკი სადღაც შორს იყო და ვერაფერს გაიგონებდა.

— რა, ასე მაგრად სძინავს? — შემპარავად იკითხა ჭაბუკმა.

— მეოთხე დღეა უგონოდაა. ოდნავ გამოახელს თვალებს, ჩავაყლაპებ წყალს და ისევ დაკარგავს გონს. დღე და ღამ მკვდარივითა წევს...

— მეოთხე ღამეა? — იკითხა გაკვირვებულმა კასპერმა. — მაშ, მეც...

— ხომ გითხარი, ორი ჩვილი ბალღივით გამოგხვიეთ ძონძებში და გვერდიგვერდ დაგაწვინეთ-მეთქი... მკვდრებივით იწექით. შენც გაგპარსეთ წვერი. ჯერ მოხუცებული მეგონე, მაგრამ ახალგაზრდა გამოდექი... გაგპარსე, ეგ შენი საშინელი ჭრილობები ხომ უნდა მომებანა. გაპარსვაცა და ჭრილობების შეხვევაც რანაირი მტკივნეული იქნებოდა, შენ კიდევ არც დაგიკვნესია... მაგრამ, ხედავ, მაინც მოხვედი გონს!

— მაშ, ვუეკიც მოვა გონს, — თავი დაიიმედა კასპერმა.

კასპერმა თვალები დახუჭა და ხარბად ჩაისუნთქა ლორთქო ბალახის გრილი სურნელი. ტკიოდა, ტეხდა ჭრილობები და, ალბათ, ამიტომაც დაკარგა გრძნობა.

თავი მეოთხე

უკრაინასა და პოლონეთში

ვუეკი კვდებოდა.

კასპერი არაერთხელ შესწრებია კაცის სიკვდილს და ძალზე კარგად იცოდა, რას ნიშნავდა, როცა ავადმყოფი რამოდენიმე დღეს

ტანსა და სახეზე ხელებს იცეცებს, თითქოს აბლაბუდის მოშორებას ცდილობსო. სახეც მომაკვდავებს შიგადაშიგ რაღაცნაირად გაუნათდებათ ხოლმე და დიდი ხნის გარდასული ახალგაზრდობის იერი უბრუნდებათ.

დაჰყურებდა კასპერი ვუეკს და აგონდებოდა თავისი შორეული ბავშვობა, გდანსკის პორტში პან კონოპკას ყოფნის დრო, როცა იგი ჯან-ღონით სავსე, შემძლე მატროსი იყო. კონოპკა არასოდეს ივიწყებდა თავის ლამაზ ცოლს, პანი იაკუბოვას, მაგრამ მაინც თავს ვალდებულად თვლიდა, გვერდზეც გაეხედ-გამოეხედა, რის გამოც ძალიან ხშირად მოხვედრია მკაცრი და თავდაპერილი კაპიტან ბერნატისაგან...

კვდებოდა ვუეკი.

არსაიდან იყო ნუგეში. კაზაკები, ეს ვაჟკაცი ხალხი, რომელთაც სიკვდილი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებოდა და კარგადაც იცოდნენ მისი ხრიკები, უბრალოდ ეუბნებოდნენ პოლონელ ჭაბუკს:

— სამ-ოთხ დღეს კიდევ გაატანს... კარგი კაცი ი ყ ო! ამას ბევრ იმ დროიდან ვიცნობთ. ნენ გამოსახსნელად ფულს რომ აგროვებდა.

მაშინ მოუყვნენ კასპერს, ვუეკს ატამანმა შკურკომ ურჩია, ტყუილუბრალოდ ნუ დაეხეტები, გამოსყიდვას მეტისმეტად ბევრი ფული დასჭირდებაო.

„მაინც, როგორ იცნობ შენს თავს, კარგი მეზღვაური ხარ? — ჰკითხა ატამანმა ბოცმანს. — და პასუხს არ დაელოდა, განაგრძო:— გეტყობა, კარგი ხარ... გირჩევ, მაგ მოგროვილი ფულით ერთი ხელი მდიდრული თურქული ტანსაცმელი იყიდო და რომელიმე თურქს ან ალჟირელს მიექირავო გემზე. იმათებურ ენაზე ხომ ამტვრევ ცოტას?“

— მართალია, ერთ და ორ დღეს არ გეძება, — ეუბნებოდნენ კაზაკები, — მაგრამ გამოსყიდვით, სიკვდილამდეც ვერ გამოგისყიდიდა!

„სიკვდილამდეცო“! მართლაცდა, მოასწრო სიკვდილამდე ჩემი დახსნა! — ფიქრობდა ნაღვლიანად ჭაბუკი. — კიდევ რამდენი სიკვდილის ნახვა მომელის ცხოვრებაში? ცუდი ხალხი არაა შესაბრალისი, მაგრამ ცოდო იყო დიდებული კაპიტანი ზიტო, ცოდო იყო ჩემი ზოგიერთი ამხანაგი გალერაზე, ცურვის დროს რაღაც განსაკუთრებით რომ შევეთვისეთ ერთმანეთს და მერე წყნარად, მდუმარედ დაიხოცნენ... სიკვდილის შემდეგაც არ შეუშვიათ ნიჩბებისთვის ხელი!“

ახლა კასპერს ყველაზე დიდი მწუხარება მოელოდა, — სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა ვუეკს.

ეს უბედურება სხვაგან სადმე, პოლონეთში ან თუნდაც იტალიაში რომ დატყდომოდა თავს, პან კონოპკას ქსენძს ან პატერს მოგვრიდნენ, გამოსათხოვარ ლოცვას წაუკითხავდნენ. ბოცმანი ერთგული კათოლიკე იყო და კასპერი შეტისმეტად განიცდიდა, რომ არ შეეძლო ბინი ქრისტიანული წესით გაცილება... თუნდაც რუსი, თუნდა მართლმადიდებელი მღვდელი მოეგვარათ კაზაკებს! მაგრამ შკურკომ ხელი ჩაიქნია მხოლოდ, როცა კასპერმა ანის თაობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

— აბა, თვითონ მაგას ჰკითხე, უნდა კი იმ ქსენძის, პატერისა თუ მღვდლის მოყვანა?.. თუ უნდა, თვით რომის პაპსაც ჩამოეუსრიალეთ ამ ჩვენი „ჩაიკებით"!

კასპერმა გულმოსულად მოისმინა მისი ნათქვამი, რა შეხუმრებაო, ნაგრამ, ბინდა გასაოცრაო, ვუეკმა თვალები გამოხილა და უთხრა:

— ბრავალი ქკეყანა მომივლია, კასიო, გემით კი არა, ფეხით, თოფრანოიდებულსა და არგანდაპჯენილს. ღმერთმა იცის, რამდენი მინახავს ქსენძიც, მღვდელიც, პატერიცა და იმათებური მოლაც—ჯანდაბას ისინი! თუ ცოდვილი ვარ, თავისი მოწყალე გულით უფალი შენინდობს, ალბათ; არ შემინდობს და, — ველარც ქსენძი მიშველის!

ეს იმ დილას ბოლოდა, როცა ვუეკი გონს მოვიდა, კასპერი მიიხედა და შუადღემდე ელაპარაკა.

სულ სხვა სადარდებელი აწვა ვუეკის გულს.

— რას ამბობ, კასიო, ახლავე გინდა წასვლა? — ჰკითხა და აწრიალებით შეხედა ჭაბუკის დაბანდულ სახეს. — ატამან შკურკოს ძალიან უკვირს ხალხი. ივარაუდე, რომ ორმოცდაათ კაზაკამდე დაიკლდა ჩვენს გამოხსნაში... შენი ყოფილი ამხანაგები — შენიბბეები, თითქმის ყველა მაგის რასნელი გახდა... დიდედა სოფიო მომიყვა ყველაფერს...

კასპერმა თავისი თვალით ნახა ეს სცენა და ისე აღელდა, ცრემლებიც კი გადმოსცვივდა.

მაშინ კასპერი ჯერ ისევ დიდედა სოფიო შკურკოვას იყო ანაბარებული. სიარული არ შეეძლო. კეთილმა ქალმა მხრებით წამოსწია და გაჭირვებით მიაყრდნო ხეს. ბანდი უშლიდა კასპერს, ვერაფერს ხედავდა, დიდედა სოფიომ ოდნავ აუწია სახვევი ცალ თვალზე და საშუალება მისცა, ყველაფერი ბოლომდე ენახა.

ტყვეობიდან დახსნის იმ სამახსოვრო დღეს ატამანმა ნაპირზე გადმოაყვანინა დასუსტებული, დაჭრილი მონები, კაზაკთა ხატებზე დანაწილა მოსაკეთებლად და თვითონ კაზაკებთან ერთად სწრაფ-

მავალი „ჩაიკებით“ თურქებისაგან წართმეული ნადავლის — ხალიჩების, ოქროს სამკაულის, ინდური საქონლის, ღვინისა და ზეთის ხილის — გასასაღებლად წავიდა. ღვინოს კაზაკები მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ. თავიანთი თვითნახადს რჩეობდნენ.

ათი-თორმეტი დღის შემდეგ დაბრუნდა შკურკო და სწორედ მაშინ მოხდა ის ამბავი, რომელმაც ისე ააღელვა კასპერი.

ატამანმა ქერიმ-ეფენდის ყოფილი მონები თავისთან მიაყვანინა, ყურ-ღღებით შეათვალიერა ყველანი და იკითხა, საუშელ-სასმელს სამყოფად თუ გაძლევდნენო, ანდა რის გაკეთებას აპირებთ შემღეგშიო? შინ დაბრუნება გინდათ თუ აქ დარჩენაო?

ხალხი ახმაურდა, აყაყანდა, შემდეგ წინ წამოდგა ტანდაბალი, გამხდარი მოხუცებული კაცი. კასპერს ახსოვდა იგი გალერადან, უკვირდა კიდევაც, ამ მიმკვდარუნებულ მოხუცს რატომ არ იშორებსო ქერიმ-ეფენდი. ახლა მოხუცებული მოკეთებულიყო და მხნედაც გაჩოიყურებოდა.

— ძმაო ატამანო,— დაიწყო დაბალი, ხრინწნარევი ხმით მოხუცმა და, როგორც კასპერს მოესმა, უკრაინულში იტალიური სიტყვები გაურია: — ჩვენ მიწამდე გიხრით თავს შენცა, ატამანო, და თქვენც, ძმანო კაზაკებო!

მასთან ერთად ყველამ მიწამდე დაუკრა თავი ატამან შკურკოს.

— სულ სხვადასხვა ჯურის ხალხი ვართ თავშეყრილნი, მაგრამ მონობაში ყოფნამ გვასწავლა ერთმანეთის ენის გაგება, — ამბობდა მოხუცი, — მე, მაგალითად, წარმოშობით დალმატიელი ვარ, მაგრამ ლამის ნახევარი საუკუნეა არ მინახავს ჩემი დალმატია! სხვადასხვა ჯურის ხალხი ვართ-მეთქი, ვამბობ, მაგრამ სათქმელი ერთი გვაქვს. გვისმინე, ატამანო! მდიდრებს ტყვეობიდან ფულით იხსნიან, ჩვენ კი მოწყალე ღმერთმა და კაზაკთა ხმალმა დაგვიხსნა. ჩვენი გამოსასყიდი, აგერ, იმათ გადაიხადეს! — მოხუცებულმა საფლავების ახალი ბორცვებისაკენ გაიწვდინა ხელი. — თავიანთი სიცოცხლით გამოისყიდეს შენმა მეომრებმა ჩვენი თავისუფლება! — წამოიძახა გაბზარული ხმით დალმატიელმა. — თავიანთი სიცოცხლით, სხვა რამით კი არა! გვეკითხები, შინ წასვლა გინდათო? არა, ატამანო, თვით უფალი ღმერთი გვიბრძანებს, შური ვიძიოთ იმ ავაზაკებზე ჩვენდამი მოყენებული ტანჯვისათვის... ანდა კიდევ, სადა გვაქვს სახლები?! სამაგიერო უნდა მივუზღათ იმ ავისმთესველებს ჩვენი გადამწვარი სოფლებისათვის, ჩვენს მიწა-წყალზე დალვრილი სისხლისათვის, დახოცილი შვილებისათვის, ცოლების, დედების, დების ცხარე ცრემლებისათვის! აგვიყვანე, ატამანო, შენს მეომრებად, გამოგადგებით რამეში. მუშკეტებით თუ ვერა—ხმლით ვიომებთ, ხმლით თუ ვერა — ეშმაკობითა და მოხერხებით. ბევრი

ქვეყანა გვინახავს, ბევრი გამოცდილება დაგვიგროვებია! აი, თუნდაც, მე, გამგზავნე რომელ ქვეყანაშიც გინდა და შენთვის საჭირო ყველანაირ კაცს ვიპოვ და მოგგვრი კურენში! აგერ, ეს ახალგაზრდები კი, ხედავ, კაზაკური პურით ჯანი რომ მოიცეს, შიშველი ხელებით შეცვივდებიან ომში...

— ჰო, ატამან შკურკოს ახლა ძალიან უჭირს ხალხი!.. — გაიმეორა პან კონოპკამ.

კასპერი მშვენივრად მიუხვდა სათქმელს, მაგრამ დუმდა და დაბანდულ თავზე ხელებს იკერდი (ოჰ, ნეტავი როდისღა შეხსნის დიდედა სოფიო სახვევს? დღესხვალეობით კი ჰპირდება!).

— ჭრილობები თუ გიშლის რაზეს? — ყრუდ იკითხა ბოცმანმა.

კასპერი დუმდა. ეს სახვევები რომ არ აწუხებდეს, ჭრილობები არაფერს დაუშლიდა! მაგრამ ვუეკ!.. ვუეკ!.. ამდენმა წელმა ნუთუ ისე გაგიქვავა გული, ვერ ხვდები, როგორ ილტვის კასპერი პოლონეთისაკენ, თავისი მიტასაკენ?! ერთი წლითაც უჭირდა კასპერს მიტას მიტოვება, ახლა კი, აგერ, რამდენი წელია გასული! კასპერი, რა თქმა უნდა, დავალებულია ატამან შკურკოსაგან და უეჭველადაც მოიხდის თავის ვალს... მაგრამ ვუეკ... ვუეკ... კასპერი უცაბედად დაეხო ბოცმანის ფეხთით და უნებურად აქვითინდა.

დიდედა სოფიო მივიდა მათთან.

— უთხარი? — ხმადაბლა ჰკითხა ვუეკს.

ჰაბუკი მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ.

— ?ითხრა, დიდედა სოფიო, — თქვა კასპერმა და თავი ასწია. — მართალნი ხართ ყველანი: დიდებული ატამანის ვალს გადახდა უნდა. ტირილით კი იმიტომ ვტირივარ...: — კასპერს უნდოდა ორივესთვის გაეგებინებინა, ამის თქმას ჩემი კარგი, კეთილი ვუეკისაგან არ მოველოდი, მაგრამ, რა ექნა, როგორ გამოეხატა ეს სიტყვებით?

— იტირე, შვილო, იტირე, გულზე მოგეშვება, — ალერსით უთხრა დედაბერმა, — ხომ რა რკინასავით ხალხია ეს ჩვენი კაზაკები, მაგრამ ზოგიერთი გონს რომ მოვა და გაიგებს, ხელი ან ფეხი აკლია, პატარა ბავშვივით ატირდება ხოლმე...

კასპერი ვერაფერს მიხვდა და ორივე ხელის თითები შეატოკა, მერე სათითაო ფეხით მოსინჯა მიწა...

— მაშ, აგხსნი სახვევს. ალბათ როგორ მოგაბეზრა თავი!

შეძრწუნებულმა კასპერმა დაინახა, აქამდე უძრავად მწოლი ვუეკი როგორ წამოიჭრა და როგორ სწვდა მკლავში დიდედა სოფიოს. რადაცის თქმა დააპირა, მაგრამ პირიდან სისხლი წასკდა და ღონემიხდილი ბალახზე გადავარდა.

დიდედა სოფიო ვუეკს დაუტრიალდა. მათ გვერდით მჯდარი

კასპერი კი ასევე გახევებული დარჩა და გაოგნებული ფიქრობდა, რა მოხდაო.

— ჰოღა, ასე გადავწყვიტეთ, შვილო, აქ უნდა დარჩე, ჩვენთან, — უთხრა ბოლოს ატამანის ცოლმა და მისკენ გადაჯდა. — კარგ საცოლესაც აგირჩევთ... ჩვენი გოგოები ყველაფერს მიჩვეულები არიან, კაზაკის შემძლეობას და ვაჟკაცობას მეტისმეტად აფასებენ. რაც მეტი ნაჭრეები აქვთ სხეულსა თუ სახეზე, მით მეტი სიყვარულითა და პატივით მოსავენ! დამადე თავი მუხლებზე, შეგიხსნი მაგ სახვევს.

ასე გაიგო იმ დილას კასპერმა თავისი უბედურება: იმ დაწყეველილ ქერიმ-ეფენდის ხმლით ჯვარედინად გადაეხეხა მისთვის სახე. კასპერი წამდაუწუმ გრძნობდა ნახმლევების ტკივილსა და წვას, მაგრამ თუ ასე იყო დამახინჯებული, ვერც იეჭვიანებდა.

როცა დიდედა სოფიომ დიდი, თურქული სინი მიუტანა და ჭაბუკმა შიგ თავისი ორეული დაინახა, მხოლოდ სიამაყემა და კიდევ მისთვის გაუგებარმა რაღაც გრძნობამ არ მისცა ნება, შიშისგან ეყვირა.

ჭრილობები კარგად შეხორცებოდა, ბრავალძარღვას მშვენივრად მოეშუშებინა იგი, მაგრამ ამ დასახიჩრებულ კაცში ველარავინ იცნობდა კასპერ ბერნატს. ის სწორად წასული წვრილი წარბები და გრძელწამწამდაფენილი ცისფერი თვალებიც კი რაღაც უცხოდ და აღარაფრის მაქნისად მოუჩანდა სახეზე.

ყოფილი სტუდენტი კასპერ ბერნატი ატამანმა შკურკომ არ მიიღო თავის რაზმში.

— მე სხვა რამ მიძევს გუნებაში, — უთხრა შკურკომ. — გავიგე, კარგად გცოდნია ზღვის საქმე. ჩემს ბიჭებს რიგიანად დაყავთ „ჩაიკები“, აი, გემებთან კი არასდროს გვქონია საქმე: ვთქვათ, მოვიხელთეთ გემი, ხომ, — მონებს იქავე გავუშვებთ, მტრებს — თავებს წავაცლით, საქონელს — სოროკის ან სხვა ახლომახლო ბაზარზე გავასაღებთ, გემს კი ფსკერისკენ გავამგზავრებთ, მაგრამ ახლა სულ სხვა ფიქრები მიტრიალებს: სამანძიანი გემის ხელში ჩაგდება მინდა, ბიჭების გაწრთვნა საზღვაო საქმეში — და მერე, ჰაიდა! — გაინავარდებენ ჩვენი ლოთი-შფოთი ბიჭები შავ ზღვაში. ადრიატიკის ზღვაში, ხმელთაშუა ზღვაში... იქნება თვით ჰერკულესის სვეტებსაც[1] უწრიონ! გსმენია რამე, მეზღვაურო, ამ სვეტებზე?

კასპერს კი სმენოდა ჰერკულესის სვეტებზე, მაგრამ თვითონ შკურკომ საიდან იცოდა მისი ამბავი?

---

[1] ჰერკულესის სვეტებს ძველად გიბრალტარს უწოდებდნენ.

მის შეკითხვაზე ატამანმა ჭაღარა წარბებქვეშიდან მხიარულად მოცინარი ცხვრისფერი თვალი ჩაუკრა მხოლოდ და არაფერი უპასუხა.

— ანტილიაზეც მოგვიკრავს ყური, — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ. — მაგრამ რა, გაგონილს ნანახი სჯობია.

მაშინ გადაწყვიტეს, რომ კასპერი ახალგაზრდა კაზაკებს ზღვის საქმეს შეასწავლიდა — ასწავლიდა კომპასის, სექსტანტის, ასტროლაბის ხმარებას. ვარსკვლავების მიხედვით ღამით გზის გაკვლევას. აგრეთვე მათემატიკას, ასტრონომიას, — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც თვითონ იცოდა.

— მაგ ხელსაწყოებს, რაც ეხლა თქვი, ერთი მივდგებ-მოვდგებით და ხელად ვიშოვით... — შეეპირდა ატამანი. — არ გეგონოს, მარტო შენა გეყავდე ნასწავლი. აქაც არის ხალხი, რომელთაც სემინარიებსა და რონასტრის სკოლებში უხეხიათ სკამები. მარტო თქვენი ქალენძები არ არიან მეცნიერებაში ჩახედულები... ოღონდ ამათმა კაზაკურმა გულებმა ვერ გაუძლეს, თავი გაანებეს სკოლებსა და სემინარიებს და ჩემს კურენში მოვიდნენ! ჩემთან, სულ ცოტა, ათი გამოქცეული ბერიც კი მოგროვდება, — წაიტრაბახა ბებერმა შკურკომ.

ჰოდა, კასპერმაც გადაწყვიტა. სამუდამოდ იქ დარჩენილიყო: ანდა, სადღა წაესვლებოდა ასეთ დღეში მყოფს? დიდედა სოფიომ მართალი უთხრა: მისი სიმახინჯე იქნებ მხოლოდ აქაურ გოგოებს არ ჩაეგდოთ არაფრად... თუმცა, შათი გული ახლა არც ჰქონდა კასპერს.

ასე გადაწყვიტა კასპერმა და მთელი სიცოცხლე. შეიძლება, მართლაც დარჩენილიყო მოხუც ატამან შკურკოსთან, უკანასკნელად რომ არ ელაპარაკა ვუეკს მასთან.

მოხუცებულს სხეულის გასწვრივ ელაგა თეთრი, თეთრზე თეთრი ხელები.

ჰო, იმ ბარაქალა ბოცმანზე გაიფიქრა კასპერმა „მოხუცებულიო!“ შავი ულვაში და წარბები ახლა უკვე ხანს მატებდა ვუეკს.

— ბიჭებს ზღვის საქმის სწავლას უპირებ? ეგ კარგია, — სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა ვუეკი. — შრომით აპირებ შენი გადარჩენის გამოსყიდვას? ეგეც კარგია! ოღონდ სამუდამოდ აქ დარჩება ამოიგდე, კასიო, გულიდან! აქ ამათი კაზაკური ქვეყანაა, ამათი სამშობლო. შენი სამშობლო კი იქაა, — ვუეკს ხელის გაშვერა უნდოდა, მაგრამ ულონოდ დაუვარდა ძირს. — ოდესმე გიფიქრია, კასიო, რა არის სამშობლო?

ჭაბუკი გაჩუმებული იჯდა. ვუეკი, აგერ, უკვე რამდენი საათი

იყო, თავის თავთან მსჯელობდა, ხმამაღლა სვამდა კითხვას და თვითონვე პასუხობდა.

— რა არის სამშობლო? — განაგრძო კონოპკამ. — ო-ო-ო, მთლად შემომივლია მე ჩემი სამშობლო, ოღონდ ცხენით კი არა, ფეხით, თოფრამოკიდებულს... კარგად ვიცნობ ახლა მე მას! კრაკოვი, — ვერაფერს იტყვი, ლამაზი ქალაქია, ქვეყნიერებაზე მაგისთანა ქალაქი ცოტაა. მუ ხომ ეგ ქვეყნიერებაც მოვლილი მაქვს! კრაკოვისა თუნდაც მარტო მეფის სასახლე აიღე ანდა თქვენი აკადემია... ჰოდა, ეგეც სამშობლოა... გდანსკიც, მისი ნავსაშენებიცა და ნავსადგურიც ჩვენი თუ ზღვისიქითური გემებით — იგივე სამშობლოა, იგივე პოლონეთი! ის მდიდრული კოსტიოლები, ის ინვიათი ციხესიმაგრეები და ყველაფერი, რაც არის, ჩვენი ღონიერი ზღვისპირეთიც, სამეფო პრუსიაც, მცირე და დიდი პოლონეთიც, მდინარე ოდრას იქითა შლიონზკიც — ყველაფერი ეს, კასიო, პოლონეთია! ბეეც, უბრალო ბოცმანიც, პოლონელი ვარ, შენც, სტუდენტიც, პოლონელი ხარ და ჩვენი მეფეც, ზიგმუნდიც, პოლონელია, ხოლო ჩვენ შორის ვინ უფრო ღირსეულია, მაგის თქმა ახლა ძნელია... ჩვენი განსჯა მერე იქნება...

კასპერმა იფიქრა, ბოცმანი იმ განკითხვის დღეზე, იმ საშინელ სამსჯავროზე ლაპარაკობსო, მაგრამ ვუეკი სულ სხვა რამეს გულისხმობდა.

— ჰოდა, ჰკითხავენ მეფე ზიგმუნდს: „მაინც რა არგე, შენო უდიდებულესობავ, შენს პოლონეთსო? გლეხებს ყვლეფდი? ქორწილებსა და მეჯლისებს მართავდი, ხომ?“ თავს თუ გაიმართლებს ზიგმუნდი, თუ იტყვის: „ქორწილებსაც ვმართავდი, გლეხებსაც ვყვლეფდი, მაგრამ პოლონეთისთვის თავი გადამიდვია, სიცოცხლე არ დამიზოგავსო,“ — მაშინ არა უშავს...

ვუეკს აშკარად ერეოდა აზრები და კასპერმა მუდარით შეხედა დიდედა სოფიოს: მარტო მას შეეძლო ბოცმანის დაშოშმინება, მაგრამ დიდედა სოფიო იჯდა და მდუმარედ აქნევდა თავს, თითქოს უდასტურებდა: „სიმართლეს ამბობ, უცილობელ სიმართლესო!“

— შენა, ბოცმანო კონოპკა, შენ პოლონეთს რითიღა შეეწიეო? — შემეკითხებიან... რას ვიზამ, მეც გადმოვალაგებ ჩემს სათქმელს: — ქოლერობა დროს არ შევშინებულვარ-მეთქი, ეს პატარა ბიჭი კარდაკარ დავდიოდი, კირწყალს ვასხამდი შორიან ადგილებს, მკვდრებს გარეთ ვეზიდებოდი, ცოცხლებს გვერდიდან მიცვალებულებს ვაცლიდი-მეთქი... იმასაც ვიტყვი, თოკით მიცემია-მეთქი ჩემი მატროსები. ამ ჩემი მატროსებიდან კი ოთხი კაპიტნობს და ჩვენებური, პოლონური გემები დაჰყავთ-მეთქი, ჩვენს პოლონეთს

სახელს მატებენ-მეთქი. შენც, კაპერ ბერნატ, შეგეკითხებიან: შენა, დიდებული კაპიტნის შვილო, შენ რაღა არგეო პოლონეთს. ჰოდა, შენც იტყვი: „კატორღა ბოვიხაღე მიჯაჭვულმა, რომ პოლონეთი გადამერჩინა, რომ გაუმაძღარ კშიეკებს ნაწილ-ნაწილ არ დაეგლიჯათო იგი!“

(ძვირფასი ვუეკი, პოლონეთის გულისათვის მანაც ცხრა მთა და ცხრა ზღვა რომ გადალახა, ეტყობა, დაავიწყდა...)

— შემდეგ, კასპერ ბერნატ, შეგეკითხებიან: „კიდევ, კიდევ რა არგეო პოლონეთს?“ შენ კი უტყვადაც... „სახე, ჩემი თეთრფეროვანი სახე, ამიჩეხაო მტერმა. ამ ჩემი პირისახის გაბო დავივიწყეო პოლონეთი... დავივიწყე, რომ ზღვისა და ომის საქმეთა მცოდნე ვარ, რომ კიდევ გამოვადგებოდი მშობელ-ქვეყანას...“ იქნებადა, ერთმა ვინმე პანენკამ ზურგი შეგაქციოს, კასიო, — ვუეკი უკვე პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა კასპერს, — მაგრამ პოლონეთი ზურგს არ შეგაქცევს... ნურც შეშინდები, ჩემო წითურო ბიჭო, ჩაგიწყნარდება ეგ ნაიარევები, ოღონდაც ადროვე... დარჩი ცოტა ხანს აქ — კაზაკების მადლს სიკეთით გადახდა უნდა, — მაგრამ სამუდამოდ დარჩენა არც გაივლო გუნებაში!

დიდედა სოფიო კი იჯდა, თავს აქნევდა და თითქოს ზედვე ატანდა: „მართალს ლაპარაკობ, მართალსო!“ გეგონება, ამ რამდენიმე დღის წინ თვითონვე არ ანუგეშა კასპერი, ერთი ვინმე კაზაკის გოგო უეჭველად შეგიყვარებსო...

— საქმიანად ლაპარაკობ, მოხუცო, — თქვა დიდედა სოფიომ და ცრემლები მოიწმინდა. — ვალს ვინა სთხოვს, ვალის გულისთვის როდი გასწირეს თავი ჩვენმა კაზაკებმა, ეს უბედურები ტყეებიდან დაიხსნეს და ეგ იყო... დარჩეს „რუდი“ ცოტა ხნით ჩვენთან, ასწავლოს კაზაკებს ზღვის საქმე, ღმერთიმც სიკეთით გადაუხდის... არც რამ სანუგეშებელი სჭირს: ვაკაცი კაცი თვითონვე მოერევა ნაღველს. იქნება ერთ-ორ დღეს წაიტიროს კიდევაც, მაგრამ ყველაფერს გადახარშავს... ეხლა უნდა გამხნევება ბიჭს, ახლად ფეხადგმული ბალღივით ხელის წაშველება, მერე კი თვითონვე დალახავს მიწას... თავის პოლონეთსაც უნდა დაუბრუნდეს, მაშ რა, სირცხვილია და თავლაფდასხმა, სამშობლო ქვეყნის დავიწყება!

„ერთ-ორ დღეს“ კი არა, ზედიზედ მრავალ დღეს დასტიროდა კასპერი თავის ბედისწერას. ზედ კიდევ ახალი სიმწარეც დაერთო — კასპერი ლამის ცრემლმა დაახრჩო, პან კონოპკას უკანასკნელ გზაზე რომ მიაცილებდა, და მერე — მის ახლად მიწამიყრილ საფლავს რომ დაჰყურებდა.

გამოქცეულ ჭაბუკ ბურსელებსა და ბერებთან მეცადინეობისას ბოღმამორეულ კასპერს ბევრჯერ აუფარებია თვალებზე ხელები,

მოსწავლეთაც ერთმანეთისთვის მდუმარედ უნიშნებიათ, წამოუკრეფიათ თავიანთი ბარგი-ბარხანა, სარტყელზე ჩამოუკიდიათ სამელნეები და თავიანთი „პან პროფესორი“ მარტოდ დაუტოვებიათ. როგორი უხეში ხალხი ჩანდა გარეგნულად და როგორი გაგებულნი კი იყვნენ!

შემდეგ, დიდედა სოფიოს თქმისა არ იყოს, კასპერმა გადახარშა თავისი დარდი გულში და ქუჩაში, გართობებზე გამოსვლაც დაიწყო, ოღონდ არც ერთ გოგოს ახლოს არ ეკარებოდა, არც ერთს ზედაც არ უყურებდა.

მოსწავლეებმა საიდანღაც (ალბათ რომელიღაც იტალიური გეზმიდან) მანდოლინა მოუტანეს და კასპერიც საღამსაღამოობით ნაღველს იქარვებდა კრაკოვიაკის, ობერეკის და სხვა ძველი, სულისწამღები სიმღერების დაკვრით.

ამ ობერეკთა ხმიანობაში კასპერს თვალწინ ესატებოდა ლიდი და მცირე პოლონეთი, ზღვისპირეთი, შლიოზნკი და გულით ხარობდა თავისი გონიერი მოსწავლეების წარმატებით, რადგანაც ყოველი დღე, ყოველი საათი სამშობლოში დაბრუნების დროს უახლოებდა.

— რას იტყვი, რუდი, გემი რომ გაგვემართა და ჩემი კაზაკებიანად ზღვა-ზღვა ცურვით ჩასულიყავი შენს პოლონეთში, ჰა? — უთხრა ერთხელ ატამანმა კასპერს. — გზაზე ჩემი ბიჭები რაღაცრაღაცებსაც იშოვიდნენ...

ნაგრამ უცებ ჩამოღონებული კასპერის სახეს რომ შეხედა, ატამანმა დაურთო:

— ეჰ, არა, ამას დიდი დრო უნდა და შორიცაა. უკრაინაზე გავლით წასვლა გიჯობს. იურკო აქ არა მყავს (იურკო ყველაზე ჭკვიანი მოსწავლე იყო კასპერისა). აქ არა მყავს-მეთქი იურკო.. მადლობელი ვარ შენი, იმ თურქული გალეასის იალქნებს კარგად აუღო ალღო და ის რაღაც ინსტრუმენტებიც. ღმერთმა იცის, რამდენი მოიგროვა!

გალეასი კაზაკებმა სულ ცოტა ხნის წინ წაართვეს თურქებს ბრძოლაში, მაგრამ სამანძიან კარაველაზე ოცნებას ატამანი შკურკო მაინც ვერ ელეოდა.

გულით უნდოდა მამაც ატამანს, მშვიდობიანად დაესრულებინა კასპერს გონიერი ბიჭების საზღვაოსნო საქმეში გაწვრთნა, დაევიწყებინა თავისი დარდი, ის არმოსაგონარი ტყვეობის წლები. შკურკოს იმის იმედიც ჰქონდა, რომ კასპერის ნახმლევები პირს გადაიჭიმავდა და ღმერთის შეწევნით უნასახოდ გასწევდა სამშობლოში,

მაგრამ ისეთი დრო როდი იდგა, მშვიდობიანობის იმედით ესულ-დგმულა კაცს.

სასიკვდილოდ დაჭრილი ნაღირივით აბღავლებულმა საყვირის ხმამ გააღვიძა კაზაკები ერთ ღამეს. თათრები დაესხნენ თავს!

ჰოდა, დიდხანს აღარ „უპროფესორნია" კასპერს. იგი თავის ახალ ამხანაგებს გვერდში ამოუდგა და მათ მხარეამხარ იბრძოდა მანამდე, სანამ დიდედა სოფიომ ხვეწნით არ იხვეწა, ეს ბიჭი შინ გავუშვათო.

ბოლოს და ბოლოს დადგა ეს (კასპერს თვითონაც ვერ გაეგო, ბედიანი თუ უბედო) დღეც!

გამოეთხოვნენ ატამანი შკურკო და დიდედა სოფიო კასპერს, გამოეთხოვნენ მისი ყოფილი მოსწავლეები (ძალზე ცოტანიღა გადაურჩნენ იმ სისხლისმღვრელ ბრძოლებს), გაატანეს პოლონელს საგზლად პური, ნიორი, ქონი და ასწავლეს, როგორ მიეღწია პოლონეთის საზღვრამდე.

ტყეში ითენებდა ღამეს, მინდვრად თუ ბურლაკთა ტვირთსაზიდებზე კასპერს დიდხნობით რული არ ეკარებოდა, იწვა და ერთთავად სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

...საით წავიღეს პირველად? ადგება და ჯერ დედას მოძებნის გერმანელთა მიწაზე... აი, ვის არ შეაძრწუნებს მისი აჩეხილი სახე! მაგრამ რად გაუხეთქოს დედას გული?

არა, კასპერი ვალდებულია, ყველაზე პირველად ვარმიაში გამოცხადდეს; ლიძბარკის ციხე-კოშკში, მასწავლებელსა და მის უწმინდესობას ანგარიში ჩააბაროს... საინტერესოა, როგორ შეხვდა მეფე ზიგმუნდი თავისი დისშვილის მუხანათურ ღალატს? ორდენსა და პოლონეთს შორის ომზე ჯერ კიდევ არაფერი ისმის... მოუხედავად იმისა, რომ აქ მეტისმეტად სწრაფად აღწევს ხოლმე ხმები მსოფლიოში მომხდარ აბებებზე.

შემდეგ სტაშეკი და ჰენრიხი უნდა მოძებნოს...

კასპერი ცდილობდა, მიტაზე არც ეფიქრა... რამდენი წელია გასული, მიტა, რა თქმა უნდა, გათხოვდებოდა... შვილებიც ეყოლება უკვე...

რა ნაზია მიტა, რა კეთილი, რა ლამაზი და მისი ერთი სახელის ხსენებაც კი დანასავით უსერავს გულს კასპერს!

კასპერს კიდევ ჰყავდა ერთი ძვირფასი, გულითადი მეგობარი, ზბიშეკი, მაგრამ ახლა, ალბათ, ვეღარ გაუტოლდება მას კასპერი. ჯერ კიდევ მაშინ, კრაკოვში ყოფნისას ჩანდა, რომ გაიყრებოდა მათი გზები. ზბიგნევი მეტისმეტად იყო გადამკვდარი თავის მამა დომინიკანელებზე, დომინიკანელებს კიდევ წმიდა ტახტი მფარველობდა! ზბიშეკს მამა რექტორიცა და მამა დეკანიც მფარველობდნენ,

პროფესორ ლანგეს ხომ ქებით ცამდე აჰყავდა... ზბიშეკი სწრაფად წაიწევს. წინ... იქნებ წაიწია კიდევაც? იქნება აღარც ისურვოს თავისი ძველი მეგობრის ცნობა? იქნებ პროფესორ ლანგეს თანაშემწეც არის უკვე?

და კვლავ დანასავით გაუსერა გული მიტამ!

„ეჰ, მიტა, როგორ მეფიცებოდი, სიკვდილამდე მეყვარებიო!"

კასპერი ვერც წარმოიდგენდა, თუ სწორედ იმ წუთებში ზბიგნევ სუხოდოლსკი გლეხის ძველმანებჩაცმული, ოღონდ საუკეთესო შავრა ცხენზე ამხედრებული შორეული კოზუბური სოფლისკენ იქაური ქსენძის სანახავად ტყესა და ღრეს მიარღვევდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მონობის ნწარე, შეიძლება გალერის მენიჩბეობაზე უფრო ნწარე, ხვეღრისაგან გამოეხსნა მიტა ლანგე.

ზბიგნევმა ორ ათეულამდე მიბრეცილ-მობრეცილი, უბადრუკი, სიძველეგამჯდარი ჩალით დახურული ქოხმახი გაიარა და ერთ მომცრო მოედანზე გავიდა. მოედნის შუაგულში ხის კოსტიოლი იდგა.

— ეი, ყური მათხოვე ერთი, სად ცხოვრობს აქ თქვენი ქსენძი, მამა სტანისლავი? — დაუძახა პირველსავე შემხვედრ გლეხს და მის გაოცებულ გამოხედვაზეღა მიხვდა, როგორ არ შეეფერებოდა მისი მბრძანებლური კილო და ჩაცმულობა ერთმანეთს. კიდევ კარგი, ყველა ჩასაცმელი არ გადაულოცა იმ საწყალ ფრანეკს. საჩქარაფოდ უნდა დაიბანოს და ტანთ გამოიცვალოს!

გლეხმა ერთხელ კიდევ მოხედა უცხო კაცს, მაინც მოიგლიჯა თავიდან დაფხრეწილი ქუდი და უფრო მოზრდილ, ყავრით დახურულ ქოხზე მიუთითა.

ახალგაზრდა ბაკალავრი ძლივს იკავებდა სიცილს, ისე მიაკაკუნა შეუღებავ კარზე.

— იდიდოს იესო ქრისტეს სახელი! — ხმამაღლა წარმოთქვა ზბიგნევმა.

შიგნიდან იმავე წამს გამოეხმაურნენ:

— უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ასეთი მგრგვინავი ბასი მხოლოდ სტაშეკ კოგუტს შეიძლება ჰქონოდა, მეტს არავის!

კარი გაიღო.

— იესო დიდებულო! ოი, შე უჯიშოვ! ოჰ, შენი ჭირიმე! ზბიშეკი მოსულა! — გაკვირვებული წამოძახილები ერთმანეთს მოჰყვა და სტუმარი მაშინვე მოექცა დათვის ტორებში... — ეს რა ტანსაცმელი გაცვია, ზბიშეკ? საიდან მოდიხარ? მთვარიდან ჩამოვარდი თუ რა?

— ჭა შორსა გაქვს? — პასუხის ნაცვლად შეეკითხა ზბიგნევი.— ცხენი უნდა დავარწყულო... დასაბანიც ვარ. გაქვს რამე წყლის გასათბობად? თუმცა, აგერ, წყალი უკვე დუღს! ოჰ, ნამდვილი ჯადოქარი ხარ, გაბერილო!

ზბიგნევმა დაარწყულა და აჭამა ცხენს (ქერით სავსე თოფრა უნაგირზე ჰქონდა დაკრული), ფრანცის ძველმანები გაიხადა, დაიბანა. თან წამოღებულ ახალ ანაფორაში გამოეწყო და დიდი სიამოვნებით შეექცა უბრალო, სოფლურ საჭმელს.

— რას იტყვი, მომავალო კარდინალო, ქვეყნიერებას მალე გააბედნიერებ კონკლავში ახალი წევრის მიმატებით? — შეეკითხა სტაშეკი. — თუმცა, სულ გადამავიწყდა! იმის თქმა მინდოდა, მალე მოგვეევლინება ახალი წმიდა მამა დომინიკანელი? — თან თავი ვერ შეიკავა და ერთხელ კიდევ გადაეხვია სტუმარს.

მართალია, მათი გზები გაიყარა, მაგრამ, მაინც მეტისმეტად გასახარი იყო ამ მიყრუებულ ადგილას მეგობართან შეხვედრა.

— ეშმაკმა წაგიღოს! დამაცადე, გაბერილო, ძვლები ნუ დამამტვრიე! თანაც კარდინალებსა და, საერთოდ, წმიდა მამებს ნუღარ მიხსენებ!

— რას ამბობ, რას?! გონთ მოდი! მართლა ზბიგნევ სუხოდოლსკისგან მესმის ეგ სიტყვები თუ ყური მატყუებს!

დიდხანს უსხდნენ ყოფილი სტუდენტები გამოჩორკნილ, შეუღებავ მაგიდას და ნელ-ნელა წრუპავდნენ დიდრონი თიხის ტოლჩებიდან ლუდს.

— უჯიშოები! — ჩაილაპარაკებდა ხოლმე სტაშეკი და გაკვირვებით აქნევდა თავს. ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს მოულოდნელად გაგონილი ახალი ამბისგან. — ის შენი ფრანცი სადღაა? ქალთა მონასტერში რომ არ შეგიშვეს, ეგ არცაა გასაკვირი, მიტასაც, რა თქმა უნდა, არ გაჩვენებდნენ... ევეც კარგია, ცოცხლებს გამოგიღწევიათ! იმ კუდიანი წინამძღვრის, დედა ცელესტინას ამბავი გაგონილი მაქვს... ამბობ, იქ ერთი ცხენიც ვიშოვეთო? სადა გყავს ეხლა ცხენები?

— ტყეში დავმალეთ, — მიუგო ზბიგნევმა. — ცოტაოდენი იარაღიცა გვაქვს... მაგრამ, წარმოგიდგენია, ვერც ვიფიქრებდი, თუ ქალთა მონასტერს იმდენი გუშაგი ეყოლებოდა... ერთი მიყრუებული მონასტერია და ისე კი იცავენ, როგორც კარგ ციხესიმაგრეს!

— მაშ, აქვთ, რაც უნდა დაიცვან, — დაასკვნა სტაშეკმა. — კასპერისგან აღარაფერი ისმის? მეცოდება, ოჰ როგორ მეცოდება ბიჭი!.. ახლა რას აპირებ?

— ცხადია, მარტო მე და ფრანცი ვერაფერს გავხდებით, — ხმამაღლა მსჯელობდა ზბიგნევი, — მაგრამ იმ ფრანცისგანვე გავიგე,

რომ ტყეში ქვეყნის გამოქცეული გლეხი დაეხეტება... რა იქნება, ერთ ათიოდამდე ასეთ კაცს რომ მოვუყარო თავი? მართალია, ახლა ფული არა მაქვს, მაგრამ ჩემი პან სუხოდოლსკი, გახარებული, დომინიკანელებს ჩამოშორებიაო, სხვა თუ არა, მიწის გულიდან ამოიღებს ფულს...

— ფული მაინცდამაინც არაა მთავარი, — ამბობდა ფიქრში წასული სტაშეკი, — იარაღი გვაქვსო. ამბობ, არა? ცხენები... სამი ცხენი ცოტაა... მაგრამ, მართლა ამბობ, დომინიკანელებთან კავშირს ვწყვეტო?

— დომინიკანელებთანაც, ფრანციისკელებთანაც, ბენედიქტინელებთანაც, კარდინალებთანაც და. მომიტევეთ, თქვენო მაღალღირსებავ, მამაო სტანისლავ, პაპთანაც ვწყვეტ კავშირს... ახლა მამა-ჩემთან მივდივარ თავმოდრეკილი, მერე კი ვნახოთ, რა იქნება...

სტაშეკი კართან მივიდა და ფრთხილად გაიხედა გარეთ, მერე მაგრად მიხურა კარი და დაფიქრებული გაჩერდა იქვე.

— აი, როგორაა საქმე, აწოწილო, — დაიწყო ყოყმანით, — იქნებ სულაც მე დაგეხმარო მიტას გამოხსნაში... ოღონდ... მართლა მეუბნები, მონასტერს თავს ვანებებ და შინ ვბრუნდებიო?

— ოდესმე ვინმესთან მიცრუია? — გაცეცხლდა ზბიგნევი.

სიბრაზისაგან ზბიგნევის დაბერილ ნესტოებს რომ შეხედა, სტაშეკმა ყველრებით გადააქნია თავი.

— ქრისტიანულ ნორჩილებას რაღაც ვეღარ ვხედავ შენში, მამაო ზბიგნევ! — თქვა მხიარული თვალების ჭუტვით. — იცი, ეგ საქმე ისეთია, თუ გამეღავნდა, მარტო მე კი არა, ბევრ სხვასაც გადაიყოლებს... გუშინ ჰენრიხი იყო ჩემთან...

— რა? ჰენრიხ ადლერი? ჰენრიხი გერმანიაში არაა? — გაოცდა ზბიგნევი.

— გერმანიიდან ჩამოვიდა... ვეღარც იცნობ ჩვენს მიამიტ ქარიყლაპიას, ზოიარა ქვეყნიერება და ჭკუა მოიცა. მაგრამ, რასაც გეუბნები, მეტისმეტად საიდუმლოდ შესანახია! არც გერმანიაში ეცხოვრება უბრალო კაცს მღვდლებისა და პანების ხელში, მეფეებისა და, რა ჰქვია იმათ, მარკგრაფებისა თუ გრაფების ხელში. მიუნცერზე თუ გაგიგონია .რამე?

მიუნცერზე ზბიგნევს უურმოკვრით გაეგონა რაღაც. მიუნცერიო, ამბობდნენ, ლუთერზე მართალი კაციაო, იმ ლუთერზე, რომელზედაც მამა ფლორიანი ელაპარაკა. მაგრამ მამა ფლორიანიც ვერ განუმარტავდა ისე კარგად, ვინ იყო მიუნცერი, როგორც სტაშეკ კოგუტმა აუხსნა.

— ხომ იცი, ჰენრიხი აქაური გლეხთა რაზმების შესადგენად ჩამოვიდა, — ლაპარაკობდა სტაშეკი და თან ლუდს წრუპავდა. —

პოლონელ და გერმანელ გლეხთა რაზმებს ადგენს... რაზმები ერთიანდებიან გერმანულ „ბაშმაკების“ ანუ „ღარიბი კონრადის“ მსგავს საიდუმლო კავშირში. ღღეისათვის პენრიხს საკმაოდ ბევრი კაცი ჰყავს და ყოველ დღე ემატებიან კიღევ... აქა-იქ მონასტრებსა და ციხეებზე დაცემა დაიწყეს. ორდენის სამფლობელოში პენრიხზე ნაღირობაა გამოცხადებული და ძვირადაცაა დაფასებული მისი თავი... პენრიხი ჯერ ლუთერს მიეშვრო, მერე გული გაუტყდა მასზე. ლუთერი თავიდან იშერდა ღარიბი ხალხის მხარს. ახლა იგი ბდიდარი ვაჭრებისა და აზნაურების ჭკუაზე დადის. მარტო სახელი აქვს, პაპს აუშხედრდაო... მიუნცერი კი — სულ სხვა ვინმეა. იგი უარყოფს კათოლიკურ ეკლესიასაც, ბიბლიასაც. ქადაგებს, ქვეყნად არც მღვდლები უნდა იყვნენ, არც მეფენი, არც პანებიო, — გაიგოთ. პან სუხოდოლსკი? ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ ღმერთის წინაშე და ყველაფერს თანაბრად უნდა ფლობდნენო... პენრიხს, ვიმეორებ, ხალხიც ჰყავს და იარაღიც აქვს... იმ კვირას ჩემთან უნდა მოვიდეს. მოელაპარაკე... იქამდე კი თქვენების ნახვასაც მოასწრებ. ძველი მეგობრობის გულისთვის ქარიყლაპიამ ეგებ თვით შლიახტიჩაც არ უთხრას საფასურზე უარი, — ეშმაკურად დაასრულა სტაშეკმა.

— თანაც, თუ ერთი გულიანადაც გაძარცვავს მონასტერს, — იგივე ტონით მიუგო ზბიგნევმა, — მე და ფრანცმა ყველა იქაური შესასვლელ-გასასვლელი ვიცით!

ოცნებად ჰქონდა ქცეული პანი ანგელინას დედაქალაქში გადასახლება (თვითონ ისიც, მისი მეუღლეცა და ვაჟიშვილი ზბიგნევიც კრაკოვში იყვნენ დაბადებულნი), მაგრამ გდანსკში მოუხდათ დამკვიდრება. მშვენიერი ქალაქი იყო გდანსკიც. ხალხმრავალი, კრაკოვიდანაც ჩამოდიოდნენ დიდებულები, მეზღვაურებიც მრავლად იყვნენ, თუმცა აძას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა: ქალიშვილის, ვანდას გულისათვის ოცნებობდა პანი სუხოდოლსკაია კრაკოვზე. მისი ქალის ბედი კი, შეიძლება ითქვას, თითქმის მოგვარებული იყო...

წლებში შესულ პანის თვალები ცრემლით აევსო, დიდი ჯვარცმის წინ მუხლებზე დაეშვა და უფლისადმი ვედრებით გაიწვდინა ხელები.

მაგრამ ეს რა არის? მოეჩვენა თუ რა? არა, დედის შეცდომა არ იქნება, და გაჭირვებით წამომდგარი ხნიერი ქალბატონი შემოსასვლელისკენ გაექანა...

აღელვებული, ცოტა არ იყოს, შემკრთალი მიადგა ზბიგნევი მშობლიურ კერას.

„აჰა, ეტყობა, საქმე არც ისე ცუდადაა, — გაიფიქრა ბაკალავრმა, — სახლი ახლად შეუღებიათ, მეორე სართულზე იტალიური მანერით გალერა მიუშენებიათ“.

კაკუნზე მოხუცმა იუზეფმა გამოხედა. იგი კარგა ხანს შეჰყურებდა სახეში აწოწილ, უშნოდ ჩაცმულ ქსენძსა თუ ბერს და ბოლოსღა შემოჰკრა ხელი ხელს:

— იესო ქრისტეო, დედაო ღვთისავ! ეს ხომ ჩვენი პატარა ზბიშეკია! — და ძველი ჩვეულებისამებრ პანიჩის ხელზე სამთხვევად გაექანა.

აღელვებულმა ზბიგნევმა იუზეფი გულში ჩაიკრა და მაგრად ჩაკოცნა.

— როგორ არიან დედაჩემი, ჩემი და, მამაჩემი?

— დიდება წმინდა ქალწულს, ყველა ცოცხალი და ჯანმრთელია... ღვთის წყალობით ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი რიგზეა.

კიბეებზე კი უკვე ჩამოდიოდა ზბიგნევივით თაფლისფერთვალება, დაბალი, მსუქანი ქალი.

— შვილო! ზბიშეკ! — და დედა სიცილ-ტირილით ჩამოეკიდა კისერზე.

ხმაურზე სახლის სხვა მობინადრენიც მოგროვდნენ.

— ზბიშეკ! ეს ორი ღამე თურმე ტყუილად არ მესიზმრებოდი ზედიზედ! — წამოიძახა მაღალმა, ტანადმა ქალიშვილმა, მიირბინა და ორივე ლოყაზე ხმიანად აკოცა ჭაბუკს.

ამ დროს კარი გარახუნდა. მძიმე ნაბიჯებმა წინკარის იატაკი ააჭრიალა.

— რა ხმაურია? — გაისმა სახლის პატრონის ბუბუნა ხმა. — რაო? ჩამოვიდა?.. ვინ ჩამოვიდა?.. ზბიშეკი... ზბიგნევი?„

ქალები და მსახურნი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და დაბნეულ, თმააწეწილ ზბიგნევთან მივიდა მაღალი, ზორბა ტანის პან სუხოდოლსკი.

იგი მოეხვია, აკოცა შვილს და ბოლმიანად ჩაიცინა:

— რაო, გაგპარსეს კინკრიხო?... რამდენი ხნით ჩამოხვედი?

„სამუდამოდ“, — უნდოდა ეთქვა ზბიგნევს, ამის სანაცვლოდ კი წაიდუდუნა:

— არა, უშავს, გამეზრდება... ჯანდაბას ეს ტონზურა[1]... ამბობენ ბირკავას ზეთი შველისო ძალიან...

— ეჰე, პან ზბიგნევ, ეს რა მესმის? თუ სმენა მატყუებს?

— არა, არ გატყუებს, მამა!

[1] კათოლიკე ბერებსა და მღვდელებს საჭოჩრეს — ტონზურას — პარსავენ ხოლმე.

— წამოდი! — უთხრა პან ვაცლავმა და თან გამომცდელად, უნდოდ შეხედა შვილს. — დაისვენე და მერე ვილაპარაკოთ.

თავის ძველ, ბავშვობისდროინდელ ოთახში ზბიგნევმა ტანსაცმელი გამოიცვალა, ბერის სამოსი გაიხადა და საერო, შლიახტური ჩაიცვა.

— აბა, პანი სუხოდოლსკაია, როგორ მოგწონს ეს შლიახტიჩი? — უთხრა პან ვაცლავმა ცოლს და თან კმაყოფილმა შეათვალიერა შვილი. — ბერის ანაფორაზე მეტად ხომ უხდება, ჰა? აბა, მოდით ყველანი სუფრასთან!

სადილის შემდეგ მამა-შვილი სახლიდან გავიდა და ნელა გაუყვნენ დლუგის ქუჩას.

ზბიგნევი დაუფარავად მოუყვა მამას, რაც მასა და მის ამხანაგებს იმ საახალწლო ლხინის შემდეგ გადახდათ. მოუყვა მამა დომინიკანელების, პატერი არნოლდის, მონასტერში გამომწყვდეული მიტასა და თავისი გეგმების შესახებ. ჰენრიხ ადლერზე ბოლო დროს გაგებული ამბები, რა თქმა უნდა, არც უხსენებია.

პან ვაცლავი უსმენდა შვილს, არ აწყვეტინებდა, მხოლოდ შიგადაშიგ ჩაიბუბუნებდა ხოლმე „უჯიშონის“ თუ „ძაღლის ლეკვების“ მსგავს რაღაცას. ზბიგნევმა ლაპარაკი რომ დაასრულა, პან ვაცლავმა ამოიხვნეშა, შლაპა მოიხადა და შემელოტებული კეფა ცხვირსახოცით მოიწმინდა.

— რას მეტყვით, პან მამაჩემო?

— რა უნდა გითხრა? იმდენი რაღაც მომიყევი, თავგზა დავკარგე... რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად კასპერ ბერნატი მეცოდება, ძალიან მეცოდება. თავის მამას, კაპიტან ბერნატს თუ დაემსგავსებოდა, კარგი ვაჟკაცი დადგებოდა... რაც იმ მაღალღირსება მამა არნოლდს შეეხება, უკანასკნელი დედაკაცი იქნები, სამაგიეროს თუ არ გადაუხდი... არამზადა, უჯიშო! შენ კი გაკვეთილად გამოგადგება მთელი სიცოცხლე. ბარონ მენდელშტამს ცოტათი ვიცნობ... იმისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ კრაკოვის აკადემიის პროფესორს თუ იმ ქვეყნად გაამგზავრებდა, ამას მაინც არ მოველოდი... ახლა პანი მიტაზე ვთქვათ... — პან ვაცლავს ყოყმანი დაეტყო. — ერთი სიტყვით, შენ უკვე გაზრდილი შლიახტიჩი ხარ და ცერემონიები საჭირო არაა... მითხარი გულახდილად, ზბიგნევ, კასპერ ბერნატისათვის გინდა იმ გოგოს გამოხსნა მონასტრიდან, თუ...

ზბიგნევმა, თითქოს თავს იცავსო, ხელები ასწია მაღლა.

— ნუ დაასრულებთ, — მუდარით წარმოთქვა მან. — აი, ამ წმიდა ჯვრის წინაშე გეუბნებით, პან მამაჩემო, მე თვითონაც არ ვიცი... დამიჯერეთ, მე ხომ ბერად შედგომას ვაპირებდი. პანა მიტაზე უკე-

თესი ქალიშვილი კი არ დადის მთელ დედამიწის ზურგზე. მაგრამ ასე იქნება თუ ისე...

— ასე იქნება თუ ისე, პანოჩკა მონასტრიდან დასახსნელია, — ზბიგნევის სათქმელი დააკრულა მამამ. — მე ცუდად ვერკვევი თქვენს თეორიებსა და დოგმებში. ისიც ვერ გავიგე, როგორ და რით შეგეწევა სტანისლავ კოგუტი, მაგრამ კარგად დაიმახსოვრე, — პან სუხოდოლსკი კოპებშეკრული შეტრიალდა შვილიწკენ, — წმიდა მონასტერზე თავდასხმას გიკრძალავ... იქნებ მამა სტანისლავი სხვანაირად დაგეხმაროს...

ზბიგნევმა მზერა გააპარა მამისაკენ, მაგრამ მის ჭაღარა ულვაშებში შეფარული დამცინავი კი არა, ეშმაკური ღიმილი რომ შენიშნა, იმწამსვე დაუშვა თვალები.

— მაგრამ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, პან მამაჩემი პანა მიტას სტუმართმოყვარეობაზე უარს ეტყვის?

— სუხოდოლსკების სახლი ყველასთვის ღიაა, ვისაც დაცვა ან დახმარება სჭირდება, შენ უნდა იცოდე ეს! — მოჩვენებითი სიბრაზით მიუგო პან ვაცლავმა.

შინ რომ მიბრუნდნენ, სასტუმრო ოთახში მხოლოდ პანი ანგელინა დახვდათ.

— ვანდა სადღაა? — იკითხა პან ვაცლავმა. — პან ადოლფი კიდევ არ ჩამოსულა?

— ორივენი მაღლა არიან. პან ადოლფი ახლავე ჩამოვა აქ.

— შენ, ალბათ, ჯერ არ იცი, ზბიშეკ: ჩვენი ვანდა დანიშნულია, — უთხრა სუხოდოლსკიმ ვაჟიშვილს.

— ჩემი და დანიშნულია?! ესეც ახალი ამბავი! აქამდე რატომ არავინ მითხრა... ვინ არის სასიძო? კმაყოფილია ვანდა?

პან ვაცლავმა ცოლის გამაფრთხილებელი მზერა დაიჭირა და აღარაფერი უპასუხა.

— ვინ დანიშნა ვანდა? — მოუთმენლად გაიმეორა კითხვა ზბიგნევმა.

— მგონი, იცნობ კიდეც... პან კუგლერი, ვაჭარი... გერმანელია, მაგრამ კარგი კაცი ჩანს...

ზბიგნევს გაეღიმა. მამა არასოდეს არ იყო სამართლიანი გერმანელთა მიმართ... ახლა რამ შეაცვლევინა შეხედულებაო?

პან ვაცლავმა შენიშნა შვილის ღიმილი.

— შენ იცინე, მამაშენს მევახშეები რომ წაესივნენ, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ყელში რომ სწვდნენ, არავინ არ დამხმარებია პან კუგლერის მეტი! კუგლერმა, შეიძლება ითქვას, ყველა გადაგვარჩინა... თვითონ იკისრა ჩვენი საქმეების მოგვარება და ისე

მარჯვედ წარმართა, რომ ერთ წელიწადში მამული ვალებისაგან გაწმინდა, მომდევნო წელს კი შემოსავალიც მოგვცა... კარგი კაცია. ჩვენი ვანდაც უყვარს...

— ვანდასღა? — ჰკითხა ზბიგნევმა. — ვანდას უყვარს?

— ჯერ მაგან სიყვარულის რა იცის! ანდა მეტი რაღა უნდა? კუგლერი მაღალი, ტანადი, ფეროვანი კაცია... თანაც მდიდარი... შლიახტი რომ არ არის, ეგ უკვე ჩემი სადარდებელია, ვანდასი კი არა. აგერ, ისიც მოვიდა — პან ადოლფი!

ვაჭარი თბილად მიესალმა თავის მომავალ ცოლისძმას. მოუთხრო თავისი ბოლო მგზავრობის შთაბეჭდილებანი. საკუთარი გემით ადოლფ კუგლერს ლამის ნახევარი მსოფლიო მოევლო.

მიუხედავად რაღაც უსიამოვნო განწყობისა, რომელიც თვითონაც არ იცოდა რატომ გაუჩნდა, ზბიგნევი უნდა გამოტყდომოდა თავს, რომ მისი სასიძო ჭკვიანი, გამოცდილი და თავისებურად ლამაზი კაციც იყო, თუმცა ზბიგნევს ასეთი სილამაზის მამაკაცები არასოდეს არ მოსდიოდა თვალში. უსიამოვნო განწყობაღა? — ზბიგნევი ეცდება, დაძლიოს იგი. ეს სულ მისი „შლიახტობის“ ბრალია. იმდენი რამის გადატანის შემდეგ განაღა შეიძლება, ათასგვარ შლიახტურ ზაბობონებს[1] ხარკი უხადო!

თანაც სწორედ კუგლერმა მისცა ზბიგნევს მეტისმეტად ჭკვიანური რჩევა:

— მახსოვს, თქვენ მამა დომინიკანელებთან ერთად ველურ ქვეყანაში აპირებდით წასვლას, იქაური წარმართი შავკანიანების მოსაქცევად, ხომ მართალია? თქვენ როგორ ფიქრობთ, განა არ შეიძლება, აქაც, თქვენსავე სამშობლოში, თქვენი და თქვენივე მახლობლების სასარგებლოდ გახსნათ სკოლები აზნაურთა და ვაჭართა შვილებისათვის? თორემ, რა გამოდის, სასულიერო და საერო საგნებსაც ამ ბავშვებს წმიდა მამები ასწავლიან.

თავი მეხუთე

გათავისუფლება

ამაოდ ელოდა ზბიგნევი სტაშეკის ცნობას ერთ, ორ, სამ კვირას. მიტაზე ფიქრი და წუხილი არ აძლევდა მოსვენებას.

ვანდა ზვდებოდა, რომ მის ძმას რაღაც დარდი აწვალებდა, მაგ-

[1] ზაბობონები (პოლ.) — ცრურწმენები.

რამ არაფერი უკითხავს მანამდე, სანამ ზბიგნევმა ვეღარ მოითმინა და ერთ მშვენიერ დღეს თვითონვე არ გაანდო დას ყველაფერი.

ვანდამ ურჩია თავის ძვირფას ზბიშეკს, როგორმე მღელვარება დაეცხრო და სკოლის საქმეების მოგვარებას შესდგომოდა. ადოლფ კუგლერმაც საქმიანი მონაწილეობა მიიღო ამ გეგმაზე მსჯელობისას.

მაგრამ აზნაურთა და ვაჭართა ბავშვებისათვის სკოლის მოწყობაზე ფიქრი ცოტა ხნით მაინც უნდა გადაედო ზბიგნევს. არც ერთი მეზობელი ნდობით არ ეკიდებოდა ახალგაზრდა სუხოდოლსკის ამ წამოწყებას.

„უკეთესიცაა, — გადაწყვიტა ბოლოს ზბიგნევმა. — მეც იმათ ვასწავლი, ვისაც ფიქრადაც არ მოუვიდოდა მეცნიერებათა შესწავლა!“

ახალგაზრდა ბაკალავრს მხედველობაში ჰყავდა შკოტელი, ბრაბანცელი და ლოსტადიელი — გდანსკის საპორტო და ნუშათა უბნების — ბავშვები.

პან ვაცლავი შვილის საქმიანობას მხიარული უნდობლობით უყურებოდა.

— მართალია, ეგ საქმე შლიახტური არაა, მაგრამ დადინჯება უნდა ბიჭს! — ყველას გასაგონად გამოაცხადა ვაცლავმა. — ოღონდ, მე ვაცლავი არ ვიქნები, თუ ზბიშეკი ერთი თვის შემდეგ მუსიკოსობას ან სნეულებათა მკურნალობას არ მიჰყოფს ხელს. დამთავრებით კი იმით დაამთავრებს, რითაც მაგისმა პაპამ და პაპის პაპამ დაამთავრეს, — დარწმუნებით დაასრულა მოხუცმა შლიახტიჩმა, — მიანებებს თავს ქალაქს, ყოველივე ქალაქური სისულელეს და გადასახლდება „სუხოი დოლში“, რომელიც ადოლფის წყალობით, იმ დროისათვის საკმაო შემოსავალს მოგვცეს.

პანი ანგელინა თავისი სათაყვანებელი შვილის გეგმებში ნაკლებად ერკვეოდა, მხოლოდ ოხვრას უშატებდა, როდესაც ზბიშეკის ოთახში ვიღაც-ვიღაც ცუდად ჩაცმულსა და მოუხეშავ ხალხს გადააწყდებოდა ხოლმე.

დიასახლისი მხოლოდ მორიდებით იბარებდა მოხუც იუზეფს და სთხოვდა, როგორმე დაეყოლიებინა პანიჩი და სტუმრები ჯერ სუხოდოლსკების მშვენივრად მოწყობილ თბილ აბანოში გაეგზავნა. მოსკოვიდან გადმოღებული ეს სიახლე მათმა მომავალმა სიძემ, ნეგოციანტმა ადოლფ კუგლერმა შემოაღებინათ.

ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როდესაც სასადილოს კარში ძველი მსახური გამოჩნდა და მოახსენათ, პანიჩს ვიღაც გლეხი კითხულობსო. უკანასკნელ ხანში სუხოდოლსკების ოჯახისთვის ასეთი სტუმრობა არ იყო იშვიათი. ზბიგნევი აჩქარებით გავიდა წინკარში.

ზბიგნევმა ძლივს შეიცნო ახალ სერმიაგში გამოწყობილ, სუფ-

თად წვერგაპარსულ ულვაშა კაცში ფრანცი და გაკვირვებისაგან ხელი ხელს შემოჰკრა. ხანამ ის იდგა და უხმოდ ათვალიერებდა გამოქცეულ გლეხს, მან პაკეტი გაუწოდა.

— ბისი მაღალლირსება რუდნიცელი მამა სტანისლავისგანაა, — უთხრა გახარებულმა ფრანცმა, — წაიკითხეთ, პან ზბიგნევ, და მითხარით, მე რა გავაკეთო, — თან შეშინებულმა ანიშნა თვალით ირგვლივ შემოკრებილ მსახურებსა და შინაურებზე.

ზბიგნევმა აკანკალებული ხელით გახსნა პაკეტი.

სტაშეკის წერილში ერთი ხაზი ეწერა ცხოლოდ.

„სასწრაფოდ ჩამოდი, საქმე გვარდება, შენი ს.“

— ცხენები აქვეა, კალონთან, — ჩუმად ამცნო ფრანცმა.

— კარგი, შენ ცხენებთან წადი, მე კი შინაურებს გამოვეშვიდობები.

მამა საღორეებთან ნახა ზბიგნევმა. პან ვაცლავი სიამაყით ათვალიერებდა ახალ ნაყიდ კერატს.

— ხედავ, რა არის? — მოუბრუნდა იგი შვილს. — ცოტას დაშოშმინდება და „სუხოი დოლში“ ვუკრავ თავს... რა იყო, გაწუხებს რამე? გაგენებებინა თავი ბაგ სკოლისათვის, ზბიშეკ, მართლა გეუბნები!

— სასწრაფოდ ვარ წასასვლელი, მამა, — მიუგო აღელვებულმა ზბიგნევმა, — გახსოვს, რომ გითხარი, სტაშეკ კოგუტი დახმარებას შემპირდა-მეთქი?

— მეტი ალარაფერი გითქვამს? — გააწყვეტინა მამამ, — ეგლა მაკლია, ყველაფერი დავიმახსოვრო, რასაც ყმაწვილი კაცი წამოაბოდებს! — და კვლავ ეშმაკური ღიმილი გაუკრთა ცისფერ, თითქოის ახალგაზრდულ თვალებში. — შენი საქმისა შენ იცი, შვილო! მოაგვარებ — ხომ კარგი, ვერ მოაგვარებ და შენსავე თავს დააბრალე! მოიცა, იუზეფს უბრძანე, ჩემი მათარა არყით აგივსოს... სხვა კიდევ რა გინდა?

— არაფერი... გამოვეშვიდობოთ ერთმანეთს...

მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია.

ვაცლავმა თავისი ჩვევის საწინააღმდეგოდ სამჯერ გადასწერა პირჯვარი ზბიგნევს.

— ოღონდ დედაშენთან არაფერი წამოგცდეს! — გააფრთხილა მკაცრად. — ხომ მოგეხსენება დედის გულის ამბავი!

— ისე, ვგონი, თქვენთვისაც არაფერი მითქვამს, პან მამაჩემო, — ეშმაკურად მიუგო ზბიგნევმა.

ჭიშკართან რომ მივიდა, ყმაწვილი კაცი შედგა და შუბლზე შემოირტყა ხელი:

— აი, გამოყეყეჩებული! სულელი ჩემი თავი! ყველაზე მთავარი

მავიწყდებოდა! — და კიბეებზე სირბილით ავარდა ვანდას ოთახში.

ვანდა ფანჯარასთან იჯდა და ქარგავდა.

— ვანდა, ჩემო პატარა მეგობარო, ქალის სამგზავრო ტანსაცმელი მჭირდება ახლავე! — შუდარით უთხრა ზბიგნევმა.

ვანდამ გაკვირვებით შეხედა ძმას.

— ქალის ტანსაცმელი? სამგზავრო? ვისთვის გინდა?

— ვანდა, ძალიან სერიოზული საქმეა, ადამიანის სიცოცხლე ჰკიდია ბეწვზე... არა, ჩემი სიცოცხლე არა! — სასწრაფოდ დაამშვიდა ზბიგნევმა, რომ შეატყო, როგორ აეტკრიცა მის დას ლოყები. — გაშიგონე. ვანდა, ტანსაცმელი მჭირდება უეჭველად.

ვანდას აღარაფერი უთქვამს, ისე მივიდა ზანდუკთან და ამოალაგა ქვეყნის ტანსაცმელი.

— ეს გამოგადგება? მოიცა, ნუ დაჭმუჭნე, მე თვითონ გამოვკრავ ბოხჩაში... კარგი გოგო მაინც არის? — ჰკითხა ვანდამ მოულოდნელად.

— კარგია! — მისდა უნებურად აღმოხდა ზბიგნევს. — ნურაფერს მეკითხები... წარმატება მისურვე მხოლოდ! — ზბიგნევი დას გადაეხვია. — მითხარი, ვანდა, შენ თვითონ ბედნიერი ხარ?

— ნე? თითქოს... თუმცა, არ ვიცი...

ძმამ დაკვირვებით შეხედა დას, თავი გადააქნია და იღლიაში ფუთაამოჩრილი აჩქარებით გავიდა ოთახიდან.

ქალაქიდან რომ გავიდნენ, ფრანცი და ზბიგნევი გზა-გზა საათნახევარს მიაჭენებდნენ ცხენებს, მერე ოდნავშესამჩნევ ბილიკზე გადაუხვიეს, ბუჩქნარს შეერივნენ და ბოლოს ახლადამწვანებულ ტყის კორომს მიადგნენ, რომლის შუაგულში ერთი უცნაური ღვარჭნილებით მოჩუქურთმებული, მაგრამ უკვე საკმაოდ დაძველებული სახლი იდგა.

— მოვედით! — თქვა უნაგირზე ნახევრადშემობრუნებულმა ფრანცმა. — პან სოკოლსკების სამონადირეო სახლია, ოღონდ მონადირეებს, რა ხანია, აქ ვეღარ მოუბედავთ... ეშინიათ! — დაურთო გაბოროტებით. — თქვენ აქ დაისვენეთ, მე კი ახლავე სტანისლავისკენ გავწევ...

— გადაეცი, ნულარ დააყოვნებს, პან ჰენრიხს სასწრაფოდ მისცეს ნიშანი, რომ აქა ვართ...

ფრანცი გააცილა და ყოფილი ბაკალავრი ნებივრად გაიჭიმა განიერ სკამზე. ქვეშ თავისივე მოსასხამი გაიფინა, თავი კი უნაგირის ჩანთაზე მიდო.

გარეთ ტყე ხმიანობდა. სადღაც, იქვე ახლოს ბულბული გაუბედავად ისინჯავდა ხმას, მიჩუმდებოდა, ისევ დაუსტვენდა. მერე კი,

დღის ყოველგვარი ხმაური რომ მიწყდა, ბულბულმა ტყეს ისეთი ტრელები დააყარა, ზბიგნევმა თითებიც კი გაატკაცუნა.

კარგა ხანს ტკბებოდა ზბიგნევი ღამის მომღერლის რულადებით ხანამ, ბოლოს და ბოლოს, დაღლილობამ თვალები არ დაახუჭინა.

უცებ ზბიგნევს ფანჯრის მხრიდან ფრთხილი ნაბიჯის ხმა შემოესმა. მან მაშინვე მოიხინჯა პისტოლეტი და სახლის ზღურბლზე მოდგა.

ბილიკ-ბილიკ ხის ტოტებს ჯობმოშველიებით მოარღვევდა სტაშეკი, თან მოქშინავდა და რაღაცას მობურდღუნებდა.

— იესო დიდებულო! ეს ჩვენი აწოწილი მთლად გამოწკეპილ შლიახტიჩად ქცეულა! ჰაი-ჰაი, პან სუხოდლოსკი! — მიესალმა იგი ამხანაგს, თან ცეცხლის შუქზე ათვალიერებდა. — ოჰ, პირი გამიშრა, აქ ახლომახლო წყარო არაად მოდის ნეტავ? — ღაიბენშა სტაშეკმა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

— მე მგონია, შენ, აი, ეს უფრო მოგეწონება, — და ზბიგნევმა მეგობარს მამისეული სამგზავრო მათარიდან სავსე ჭიქა არაყი დაუსხა.

— შენი სადღეგრძელო იყოს, ზბიშეკ! ახლა ჰენრიხი მოვა აქ თავისი ხალხით, ფრანცი გავგზავნე მასთან... — სტაშეკმა ზბიგნევს გაკვირვება რომ შეატყო, განუმარტა:

— ხვალ, მწუხრის წირვის შემდეგ დედა ცელესტინა ძვირფასეულობასა და მიტას მონასტრიდან ბალგისკენ გაუყენებს გზას.

— ვერ გამიგია, რა კავშირი აქვს ძვირფასეულობასა და მიტას ერთმანეთთან...

— ხომ გითხარი, კოშუბურ გლეხებს „ბაშმაკთა“ სუნი უდისშეთქი. გლეხთა რაზმები, როგორც ნაწვიმარზე სოკო, ისე იზრდება ყველგან. მათ რამდენიმე მონასტერი უკვე დაარბიეს, ამასწინათ ერთი ორდენის რაინდის ციხე-დარბაზი დაწვეს, თვითონ პატრონი კი თავისივე ჭიშკართან ჩამოჰკიდეს... გაზაფხულდა, ხალხმა გაღვიძა... ჰოდა, მონასტრების წინამძღვრებმა გადაწყვიტეს, ამ მშფოთვარე დროს გამოიტანონ ძვირფასეულობა და სადმე სხვაგან გადამალონ. დედა ცელესტინაც ოქროთი და ძვირფასი ქვებით დატვირთავს საზიდარს, ალბათ, ფულიც არ ექნება ცოტა, და ყველაფერს ბალგაში წაიღებს... მით უფრო, რომ პოლონეთსა და ორდენს შორის ომია მოახლოებული!

— ოქრო ოქროა მაგრამ ვერ გამიგია, რატომ უნდა წაიყვანოს მიტა.

— გარკვევით ვერაფერს გეტყვი... მე და ჰენრიხმაც ვილაპარაკეთ მაგაზე... ალბათ ეშინია იმ ბებერ კუდიანს, მონასტერი გლეხებს არ ჩაუვარდეს ხელში... არა მგონია, მიტა მაშინაც გაჩუმდეს!

— მაგრამ ხომ შეუძლია ცელესტინას, მიტა ხზვა გზითაც მოიშოროს თავიდან, — გარეგნულად მშვიდად წარმოთქვა ზბიგნევმა ეს სიტყვები, მაგრამ იგრძნო, ზურგზე როგორ დაასხა ციმა ოფლმა.

— მე და ჰენრიხმა ეგეცა ვთქვით... არა, ცელესტინა მიტას არამც და არამც ცუდს არ შეამთხვევს! მასა და მის ღირსეულ ძმას, ბარონ მენდელშტამს შორის დიდი ხანია დავაა ატეხილი. მონასტერმა ბარონის შინდორიც დაიჭირა, საძოვარიც, ტყის ნაწილიც... მაგრამ სანამ მიტა ცელესტინას ხელთა ჰყავს, ბარონი ენასაც ვერ დაასველებს... მაშინ ბარონისაგან ლანგეს მკვლელობის ამბავიც გამჟღავნდება და მრავალი სხვაც... მიტას ცელესტინა იმ შემთხვევისათვის ინახავს, თუ ბარონი მონასტრის ჩივილს გადაწყვეტს...

— იურისპრუდენციაში ამას „ცოცხალი მოწმე" ჰქვია, — ძლივს იკავებდა ზბიგნევი სიბრაზეს. — კარგი, ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ?

— ეგ უკვე ქარიყლაპიას ჰკითხე... მიტას ამბავი რომ ვუთხარი, დიდხანს იფიქრა, ვერე კი თქვა, დავეხმარებიო. დაგეხმარება ჯერ ერთი იმიტომ, რომ კასპერისა და შენი მეგობარია, მეორეც იმიტომ, რომ სიმართლეს იცავს. თავიდათავი ისაა, რომ მონასტრის ძვირფასეულობა ოვანი ძმობის იარაღის საყიდლად უნდა.

— რა ძმობისა? — გაუკვირდა ზბიგნევს.

— ეგ სჯობია, თვითონ ჰენრიხს ჰკითხო, — უხალისოდ მიუგო სტაშეკმა.

გვარიანად რომ ჩამობნელდა, სახლში ორნი შევიდნენ, წინ საშუალო ტანის გამხდარი, ქერათმიანი კაცი მიდიოდა, ოქროსფერწვერმოშვებული, ცივ, ნაცრისფერთვალება. მისი მიმყოლი ხანშიშესული, ბრგე გარეგნობის კაცი იყო, ისიც წვერმოშვებული, პირქუში, კუშტი გამომეტყველების.

— ქარიყლაპია! — იყვირა ზბიგნევმა და პირველად შესულს გადაეხვია.

— ოჰო, აწოწილო, მთლად კაცს არ დამსგავსებიხარ! როგორ გამაბარე! — ჰენრიხმა მეგობარს თავისი პირქუში თანამგზავრი წარუდგინა: — გაიცანი, ძმა რობერტია. დაჯექი, ძმაო რობერტ, დაისვენე, წინ დიდი დავიღარაბა გველის. ჩქარა მოვა ძმა იაკობიც. დავავალე, რაც რამ საბოტოში ხდება, გამიგე-მეთქი. მაშ ასე, მეგობრებო; ხვალ ფრანცი დაბრუნდება და ორივენი, ზბიგნევ, მეტყევის სახლთან შიხვალთ. ის სახლი წმიდა ეკატერინესა და დომინიკანელთა მონასტრებს შორის ზუსტად შუაგზაზე დგას. მეტყევის სახლის მარჯვნივ ხრამია. ამ ხრამში ჩემი ცხენოსნები დილიდანვე ჩასაფრდებიან.

— მაინც რამ აფიქრებინა დედა ცელესტინას, ასეთი არეულობის

ჟამს ძვირფასეულობა სხვაგან გადაეზიდა? — უკვირდა ზბიგნევს.

— თავიდან არც სამღვდელოებას ეგონა და არც პანებს, თუ გლეხები მართლა აჯანყდებოდნენ. ახლა კი აბატისას სხვა გზა არა აქვს... მაგრამ საქმეს ეშმაკობით აუხარაკებს, — ღვარძლიანად ჩაიცინა ჰენრიხმა. — ნესამე დღეა, რაც მონასტერში ერთი მდიდარი ქვრივი გარდაიცვალა. იმ ქვრივს სიცოცხლის ბოლო წლები მონასტერში გაუტარებია და ანდერძად დაუტოვებია, ბალკაში წამასვენეთ, ჩემს მშობლიურ მიწას მიმაბარეთო. ჰოდა, ღირს დედა ცელესტინასაც ასეთი რამ მოუფიქრებია: მოხუცებული მონასტრის სასაფლაოზე დაუმარხავს ჩუმად, კუბოთი კი, მიცვალებულის ნაცვლად, თავისი ძვირფასეულობა მიაქვს ბალკაში... მდიდარი მიცვალებულისადმი — მონასტრის მეურვისადმი — უურადღების გამოჩენის მიზნით. თვითონ ცელესტინა, და ხაზინდარისა და ახალგაზრდა მონაზვნის, ურშულას თანხლებით, კუბოს მიჰყვება თურმე. თავისი პიროვნების დასაცავად კი დომინიკანელთა მონასტრის წინამძღვრისაგან ორი ათეული ლანდსკნეხტი გამოუთხოვია. ძალიან მარჯვედ დასხლტომიხარ დომინიკანელებს ხელიდან, აწოწილო, — მიუბრუნდა ჰენრიხი ზბიგნევს. — ახლა ორდენი ყველა მონასტერში ჯარს აყენებს!

— მიტა? — იკითხა ზბიგნევმა, — ისიც აბატისას გაჰყვება?

— მაშ, მაშ, ურშულას თვალქვეშ: მგონი, ურშულას ცელესტინა ყველაზე მეტად ენდობა... აჰა, ძმა იაკობიც მოვიდა, — თქვა ჰენრიხმა, ბუს კივილი რომ გაიგონა.

ოთახში მომცრო ტანის მოხუცებული კაცი შევიდა. მოსასხამის კაპიუშონი მოხუცს ზედ თვალებზე ჩამოეფხატა.

— და მოვა სუფევა ქრისტესი!

— და დაიწვიან ანტიქრისტენი, და განიბნევიან მსახურნი მისნი! — შეაგება ჰენრიხმა. — რას გვეტყვის ძმა იაკობი?

— საქმე მოგვარებულია. ძვირფასი ქვები, ოქრო და ვერცხლი მონაზვნის სალაროდან ტყავის ტომრებში ჩააწყვეს და კუბოში ჩაკუჭეს. დროგი, როგორც მიბრძანე, ისე მოვამზადე... — ჩაჩიზითხითა მოხუცებულმა, — უკანა ღერძი გადავხერხე ცოტაზე და მილასით გადავაბი... გამოიღებ მილასს — ღერძიც ჩაიფუშება! დედა ცელესტინა მე გამაყოლებს დროგს, მე კი, ნუ გეშინიათ, ვიცი ჩემი საქმე.

ჰენრიხმა და იაკობმა ტყის სახლი დილაბნელზე მიატოვეს. მთელი ის დღე ზბიგნევმა მოუსვენრად გაატარა ფრანცის მოლოდინში, რამე ხომ არ შეემთხვა, ბარონის ხალხმა ხომ არ დაიჭიროა, მაგრამ ფრანცი-ზუსტად დათქმულ დროს, შებინდებისას, მოვიდა.

— აბა, პან ზბიგნევ, მზადა ხართ? დავიძრათ ღვთის შეწევნით! გზაზე ფრანცმა ყველაფერი უამბო, რაც რამ ახალი გაიგო.

ომი იქნება, ვარმიისაკენ მიმავალ ყველა გზაზე ორდენის ნაქი-

რავები რაზმები მოძრაობენ. ისე ეტყობა, ეს რაზმები დღეს არა, ხვალ გადმოლახავენ ვარმიის საზღვრებს. ბარონმა მენდელშტამმაც შეაკოწიწა რაზმები. თითქოსდა ზღვის სანაპიროს გასწვრივ ორდენის საზღვრების დასაცავად, მეორე რაზმს კი თვითონ ჩაუდგა სათავეში და დღეს სამხრეთ-დასავლეთით დაიძვრებაო.

— ჭირმა წაიღოს სუყველა! — გაბრაზდა ზბიგნევი. — თუ მასეა, გდანსკის გზას გადაგვიჭრიან!

— ნამდვილად გადაგვიჭრიან, — აუღელვებლად დაუმოწმა ფრანცმა.

მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც ორი მგზავრი თავქვე ჩაუყვა მანანათი და კურდღლისცოცხათი მოდებულ ინ ღრანტეს, რომელიც ჰენრიხმა ახსენა. ყველაზე ხშირი ბუჩქნარის ცენტრში ერთი პატარა მწვანედ გადახასხასებული მინდორი დაინახეს, მინდორზე — დაბორკილი ცხენები, ირგვლივ კი მიწოლილ-მოწოლილი ჯეილი ბიჭები — მხარბეჭიანები, წვერმოშვებულნი, გლეხურად ჩაცმულები, მაგრამ ყველა მუზარადიანი, ყველა კარგად შეიარაღებული.

ჰენრიხი ზბიგნევს ერთი ამბით მიეგება:

— კარგია, დროზე მოხვედით!

თურმე ცნობა მიეღო, აბატისა მონასტრიდან უკვე გამოვიდა და, სადაცაა, ჩამოიელისო.

— როგორც კი მზირი სიგნალს მოგვცემს, ცხენები შუხის ნაყართან გაიყვანე, ძმაო რობერტ! — გასცა განკარგულება ჰენრიხმა. — აბა, ძვებო, ეზად იყავით. დაიმახსოვრეთ ჩემი დავალება!

ფრანცი და ჰენრიხი ხრამს აუყვნენ და თვალს მიეფარნენ. ის იყო, ზბიგნევს ძმა რობერტისათვის უნდა ეკითხა, ჩვენ რაღა გვევალებაო, რომ უცებ ბუჩქებიდან კაცი გამოვარდა და გამწარებით დაიწყო ხელების ქნევა.

რობერტი ცხენებისაკენ გაიქცა. ზბიგნევი ფაცხაფუცხით აფოფხდა. ხრამის დაქანებულ ფერდობზე და ერთი ბუჩქის ძირას გაწვა. იქიდან ველის გულივით მოჩანდა ეკატერინეს მონასტრიდან მომავალი გზა. გზა ბორცვიან მინდვრებზე გადმოდიოდა, მერე თანდათან ტყეებს აუყვებოდა აღმართს, შემდეგ კი ხრამის გასწვრივ ხშირ ჯაგნარში იკარგებოდა. იქვე, შორიახლოს, ნეტყევის ქოხი ეჩანდა შავად.

დაბლა, ხრამის ძირას, სიბნელე იყო ჩამდგარი, იქ კი, ხრამის თავში, ძვალსა და რბილში ატანდა გამჭოლი ქარი. ჩამოჯანლული, ჟინჟღლიანი ფარდის შიმშა, როგორც იქნა, გაარჩია ზბიგნევმა რაღაც მოძრავი წერტილები, ცოტა ხნის მერე კი უკვე აშკარად გამოიკვეთა აღმართზე ნელ-ნელა, წალიკად ამავალი საზიდრების მწკრივი. საზიდრებს ბოლოში ლანდსკნეხტების ჯგუფი მოჰყვებოდა. ზბიგნევი ახლა

უკვე გარკვევით ხედავდა მათს წითელ-ყვითელ შარვლებსა და ქურთუკებს. ჯარისკაცთა თავზემოთ ელავდა ჩუგლუგები და პირმახვილი შუბები. მონაბერმა ქარმა ადამიანის ხმებიც მოიყოლია თან. ისმოდა სიცილი, გინება, ფორეიტორთა გადაძახილები და თვლების ღრჭიალი.

ბოლოს, ქარავნის თავში მიმავალი გადახურული მარხილი გაუთანაბრდა ზბიგნევს და ჩაირახრახა, მას მეორე მარხილი მიჰყვა, მარხილებს ორი საზიდარი წაება, საზიდრებს — ვეება დროგი, რომელზედაც ძაძაგადაფარებული კუბო იდგა. ექვსი დაძაძგული ცხენი ძლივს მიათრევდა ლიპ, წვიმაგამჯდარ გზაზე დროგს. პროცესიის ბოლოში ოცამდე ლანდსკნეხტი და შათი მეთაური დაინახა ზბიგნევმა. თბილ, ნაცრისფერ მოსასხაში გახვეული მეთაური თითქოსდა თვლემდა ცხენზე. წალიკადშებმულ იმ ექვსი ცხენიდან პირველ წყვილს ძმა იაკობი მიუძღოდა.

მოულოდნელად იაკობი შეჩერდა, ვითომც დაძძიმებულ დროგს მხარს წავაშველებო, და ბორბლებისკენ დაიხარა ულვებ, ჭახანი გაის, მა და საზიდრის ბოლო ტალახში ჩაჯდა.

ხმამაღლა მოყაყანე ლანდსკნეხტებმა შუა გზაზე მოიყარეს თავი წინა მარხილიდან შავსაბურველიანმა, ლამაზმა, ხნიერმა მონაზონმა გამოიხედა. ზბიგნევმა მაშინვე იცნო დედა ცელესტინა: იგი რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი ჰენდელშტამის ციხე-დარბაზში.

— რატომ შეჩერდით? — დაიძახა მონაზონმა.

— უბედურება, ღირსო დედა ცელესტინა! — ლამის ტირილი მორთო იაკობმა. — ღერძი გატყდა... მე კი, ეგეონება, ჯიბრზეო, არც ცული მაქვს თან წამოღებული, არც შესაცვლელი ღერძი... რა უნდა ვქნა?..

— კოშუბელო ღორო! ასი ჯოხი უნდა მოგხვედროდა და, დარწმუნებული ვარ, ღერძს არაფერი დაუშავდებოდა!

— წმინდა ეკატერინეს გეფიცებით, ღერძი ახალთახალი იყო! ეტყობა. მიცვალებულია ძალიან ფძიმე: ექვს ცხენი ძლივს ეწევა!

— კიდევ ხმას იღებს! — გამწარებით იყვირა დედა ცელესტინამ, თან მარხილიდან გადმოვიდა და უმწეოდ მიმოიხედა.

ლანდსკნეხტების უფროსს დახმარების სურვილიც არ გამოუმჟღავნებია. ამ მოულოდნელი შეფერხებით გახარებული ჯარისკაცები კი ყაყანით შემოეხვივნენ დროგს. წვიმა მატულობდა.

გუბე გატოპა და შემთხვევის ადგილას კიდევ ერთმა მხედარმა მიაგდო ცხენი. მის დანახვაზე ზბიგნევმა ღიმილი ვერ შეიკავა.

— რა მოგხდომიათ, თქვენო მაღალღირსებავ? — იკითხა ფრანცშა და აბატისას ლოცვა-კურთხევის მისაღებად მიეახლა.

ცელესტინა ყურადღებით, მდუმარედ ათვალიერებდა ამ ჯანმა-

გარ გლეხს, თან თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობდა. ზბიგნევს შიშით გული გაეწურა. ამ ბებერმა კუდიანმა ფილიპ ტეშნერის ყოფილი მსახური თუ იცნო, ყველაფერი ჩაიფუშებაო. მაგრამ არა, მადლობა ღმერთს, ხიფათმა განვლო!

— ვერა ხედავ, რაც მოგვხდომია? — გაბრაზებით შეუტია დედა ცელესტინამ. — ღერძი გატყდა, ამ კოშუბელ ყეყეჩს კი ჭკუა არ ეყო, შესაცვლელი გამოეყოლებინა... არც ცული ჰქონია თან წამოღებული.

— ნუ ღელავთ, თქვენო მაღალღირსებავ, უფალი ღმერთი და წმიდა ეკატერინე არ მიგატოვებენ გასაჭირში!.. აგერ, საბედნიეროდ, ძმა დომინიკანელებთან ხურო მიმყავს. ჯებირი უნდა შეაკეთოს. ყველანაირი ფარაღი აქვს თან წამოღებული. ვეტყვი და ხელად გამოცვლის ღერძს.

— მართლა? — გაუხარდა მონაზონს. — ჩქარა დაუძახე იმ შენს ხუროს და ორივე ნიიღებთ შილინგს!

მძიმე-მძიმედ, უგულისყუროდ მივიდა მათთან მხარზე ხელსაწყოებით ყუთმოკიდებული ჰენრიხი. ჰენრიხმა ქუდი მოიხადა, მდაბლად მიესალმა დედა ცელესტინას და მერე ძმა იაკობთან ერთად დროგისკენ წავიდა. დაათვალიერა დროგის ღერძი, თვლები. უკანა მხარე და ასევე აუჩქარებლად გაეშართა აბატისისაკენ.

— ადვილი საქმეა, თქვენო ბრწყინვალებავ. ოღონდ ტყეში წასვლაა საჭირო და ერთი კარგი არყის ხის მოჭრა.

სასოწარკვეთისაგან მონაზონმა ხელი ხელს შემოჰკრა.

— თქვენო მაღალღირსებავ, ახლანდელი გაზაფხული ისეთია, შემოდგომა გეგონებათ, — მზრუნველად მიმართა ცელესტინას ფრანცმა. — ცივა, წვიმს... ადვილი საქმეა, თუ ძნელი, ღერძი უნდა გაითალოს და გაეწყოს. აგერ, აქვე მეტყეევის სახლი დგას. შეგიძლიათ, დაისვენოთ და წაიხემსოთ კიდევაც.

მონაზონი, მართლაც, მთლად დასველებული და აკანკალებული იდგა.

— დაო ბრიგიტა, — გასძახა ცელესტინამ, — გადმოდი მარხილიდან და საჭმელების კალათი გადმოიტანე.

აბატისამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მეტყეევის სახლისაკენ, მერე შეჩერდა და დაიძახა:

— ურშულა! ერთი წუთითაც არ გაანებო თავი, ‘ბესმის! — მერე ლანდსკენხტების უფროსისაკენ მიბრუნდა და აუხსნა: — ავადმყოფი მონაზონი მიგვყავს, არაწმინდა სული ჰყავს დაპატრონებული. დომინიკანელების წინამძღვრის შველის იმედი გვაქვს. — და რაკი ცნობისმოყვარე ლანდსკენხტები მეორე მარხილს შემოეხვივნენ, მონაზონმა, თითქოსდა მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასა-

ცილებლად, გააფრთხილა ისინი: — მე ჩემი მითქვამს და ახლა თქვენ თქვენი იცოდეთ. რამე თუ შეგემთხვათ, მე თავს არ ვიდებ! ამასწინათ ერთ ქსენძს დაეხა კიდევაც და კინაღამ ყელი გამოღადრა.

ჯარისკაცები იმავე წამს მოშორდნენ მარხილს. მათი შეშინებული უფროსი კი ცდილობდა, თავი ყოჩაღად სჭეროდა.

— აბა ის გოგო როგორღაა მასთან? — იკითხა მაინც და ცელესტინას სარკმელში თავგამოყოფილ ურშულაზე ანიშნა.

— შაგასთან მიჩვეულია, ჯერჯერობით უჯერებს... ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, — მიუგო დედა ცელესტინამ ნაღვლიანი თავის კანტურით.

ფრანცმა აბატისა და დედა ხაზინადარი მეტყევის სახლამდე მიაცილა და მერე უნაგირზე მობუზულ ლანდსკნეხტების უფროსთან მივიდა.

— რანაირი ენინღლია, ბატონო როტმისტრო! რა ქარია! პირდაპირ ძვალ-რბილში ატანს, ეხლა თითო შნაპსი რას მოგვნათლავდა! არა, ბატონო როტმისტრო?

— ნუ მაღიზიანებ, უსაქმურო! — ცხვირში ჩაიდუდღუნა მზედარმა. — ახლა ამ ტყეში არაყს სად იშოვი?.. მისმინე, — დაურთო შემდეგ შიშნეულად, — არ შეიძლება, მარხილის კარს გარედან რამე ავაკედოთ, ჰა? ეგ შენი ხელოსანი ვერაფერს მოახერხებს? არა და, ჩემი ჯარისკაცები შფოთავენ... ომში სიკვდილი სხვა რამაა, ეგრე ყელის გამოღადვრა კიდევ სხვაო...

— ღერძის საქმეს მოაგვარებს და მერე მოვიფიქრებთ რამეს, ბატონო როტმისტრო. კარს დავლურსმავთ და ისიც საკმარისი იქნება. სარკმელი პატარაა და იქიდან ვერ გადმოხტებიან! ისე, მაინც რას იტყვით შნაპზე. ბატონო როტმისტრო?

— აქ სად უნდა ვიშოვოთ-მეთქი, არ გეუბნები?

ფრანცმა მაცდურად გადაიგრიხა ულვაში და თვალი ჩაუკრა:

— ფული იყოს თორემ, თუნდაც მთელი კასრის შოვნა შეიძლება, თანაც გდანსკურისა!

— გდანსკურისა?! მიჰქარავ!

— ორთავ თვალით დავბრმავდე, თუ ვტყუოდე! არც შორს წასვლაა საჭირო. აგერ, იმას აქვს, — ფრანცმა ხელოსანზე მიუთითა. — არაყი კი არა, ცეცხლია!

მეთაური იმავე წამს ჩამოხტა ცხენიდან და ჰენრიხს გასძახა:

— ეი, მეგობარო! შენზე ამბობენ. არაყი აქვსო, მართალია?

— მაქვს, თქვენო მოწყალებავ... ვაჭარმა ფასში შომცა. თუ გინდათ, მოგყიდით, მაინც მეზარება იმსიმძიმე კასრის თრევა.

— მიდი, მოიტა! — გაუხარდა ლანდსკნეხტების უფროსს. — ვყიდულობ!

ჰენრიხმა ჯერ იმას შეხედა უნდოდ, მერე ლანდსკნეხტებს.

— ჯერ ფულს ჩამოდით, თქვენო ბოწყალებავ, მერე საქონელი ჩაიბარეთ!

— კარგი, კარგი, მოიტანე... ფულის გადახდას რა უნდა.

ფრანცი ხელოსნისაკენ გადაიხარა და ჩურჩულით, ისე რომ ყველას გაეგონა, ურჩია:

— მოიტანე კასრი, ყეყეჩო, თორე ბ არაყსაც წაგართმევენ და ნეკნებსაც ჩაგამტვრევენ.

ჰენრიხი მორჩილად წავიდა, მეტყევის სახლისკენ და მაშინვე დაბრუნდა მხარზე პატარა კასრშემოდგმული. ლანდსკნეხტები იმ წამსვე წაეხვევნენ. მერე, თანდათან ფორეიტორებიც შეუერთდნენ.

— ბატონო როტმისტრო, აქ დალევა რაღაც უხერხული გამოდის, — უთხრა შეწუხებულმა ფრანცმა. — მიცვალებულია მაინც... თანაც, ღმერთმა დაგვიფაროს და, დედა ცელესტინამ თუ დაგვინახა, ისეთ უსიამოვნებას გადაგვყრის, არაყს სულ დაგვავიწყებს. წამოდით, აგერ, ტყეში შევიდეთ. ხეებს შეეფარებით და აღარც ისე დასველდებით...

ლანდსკნეხტების უფროსს ფრანცის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და ყველანი, ლანდსკნეხტებიცა და ფორეიტორებიც, ტყეს მიეფარნენ.

ფრანცი საზიდრებთან დაბრუნდა. მიდიოდა და თან სახელოთი იწმენდდა პირს.

— უჰ, რა არაყია! ნამდვილი გოლდვასერია! ნახევარ საათში ყველას ყინწი წასწყდება. დავბრმავდე, თუ ვტყუოდე!

ჰენრიხი ქვიდან ადგა:

— რობერტ, აქეთ მოდი! ტომრები მოიტანე, ქვები მოზიდე, ჩქარა!

ზბიგნევს თავის სამალავში ესმოდა, რას ელაპარაკებოდა ფრანცი რეიტერებს, როგორ მარჯვედ აპაბრაკებდა თავის საქმეს და საკვირვლიდან გამოდიოდა.

მართალი რომ ეთქვა, ყმაწვილი კაცი არ იყო დარწმუნებული, ჰენრიხს ასეთი რამ მისთვის, ზბიგნევ სუხოდოლსკისთვის რომ დაევალებინა, ის, შლიახტიჩი, ბაკალავრი, რაინდთა ჩამომავალი, რომელთაც გრიუნვალდენთან გაანადგურეს ტევტონები, თუ შეძლებდა მსგავსი გამჭრიახობისა და საზრიანობის გამოჩენას.

ამ ერთი თვის წინ კი, ტყეში რომ ნახა ჭუჭყიანი, ჩამობრაძული ფრანცი, რაღაც გაქსუებულ ტყიურს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

დროგთან ჰენრიხის რაზმელი რამდენიმე კაცი მივიდა, კუბოს სწრაფად გადახადეს ძაძა, დაჭედებულ სახურავს თვალის დახამხამებაში ამოაძვრეს ლურსმნები, შემდეგ ფაციფუცით ამოალაგეს მძიმე ტყავის ტომრები, მარჯვედ გადასცეს ერთმანეთს ხელიდან ხელ-

ში და ცხენებს აჰკიდეს. ცხენები ერთ მოზრდილ ბიჭს ეჭირა აღვირით, ყველანი ჩუმად, ხელაჩქარებით და უხმაუროდ მუშაობდნენ.

როდესაც უკანასკნელ ცხენს აჰკიდეს საპალნე, ჰენრიხმა ხმადაბლა ბრძანა:

— ღერძი და ქვები მოიტანეთ!

ყველანაირი ქვა საკმაოდ ეყარა ირგვლივ, კუბო უფრო დამძიმდა. ზბიგნევმა ვეღარ გასძლო სამალავში და ამბანაგების მისახმარებლად გაექანა. მან, რობერტმა, იაკობმა და ფრანცმა დროგს ბოლო აუწიეს, გამოუცვალეს ღერძი, ჩამოაცვეს თვლები და ჭილიბები გაუყარეს.

ჰენრიხი ყურადღებით ადევნებდა თვალს, შიგადაშიგ ტყისაკენაც გაიხედავდა ხოლმე, სადაც ლანდსკნეხტები ქეიფობდნენ.

— მორჩა, მზადაა! — თქვა ბოლოს ჰენრიხმა. — დააჭედეთ!

ხელახლა სახურავდაჭედებული კუბო ძლივძლივობით დაუდეს დროგს და ძაძა გადააფარეს.

— ორი ჩვარი მოამზადეთ! თოკები! — ბრძანა ჰენრიხმა.—კართან დადექი, ზბიგნევ! ჯერ პირში ჩვარს ჩაჩრი, მერე შეკრავ! მე კი წავალ და შევატყობინებ, ყველაფერი მზადაა-მეთქი.

ამ დროს წინასწარ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: შექეიფიანებულმა, ტყეში გაფანტულმა ლანდსკნეხტებმა სიმღერა შემოსძახეს.

— ბიჭოს, ბიჭოს! — ჩაიცინა მოხუცმა ძმა რობერტმა. — გოლდვასერი, მართლაც, მაგარი გამომდგარა... იმ ბებერმა კუდიანმა კი არ გაიგონოს და!

ჰენრიხი ჯარისკაცთა ჩასაჩუმებლად გაიქცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: გაცეცხლებული, სიბრაზისაგან ალმურმოკიდებული აბატისა ქოხის კარზე მომდგარიყო და ყვიროდა:

— ოჰ, თქვე უსაქმურებო! ხმა გაიწყვიტეთ, თორემ მაგ მკრეხელობისთვის საკანონოს დაგადებთ!

შეყოვნება აღარ იქნებოდა, ჯარისკაცები მის ხმას გაიგონებდნენ და ყველაფერი დაიღუპებოდა.

— ზბიგნევ, იაკობ, თქვენ ეგ შეკარით, — ჩუმად თქვა ჰენრიხმა, — იმ მეორეს მე შოვუვლი! ჩვარი, ჯერ ჩვარი ჩაჩარეთ!

ერთი წამის შემდეგ დედა წინამძღვარი გათოკილი და პირში ჩვარჩატენილი, მთლად გაჭარხლებული იწვა და თოკებისაგან თავის დახსნას ლამობდა. სულ მალე დედა ხაზინადარიც გვერდით მიუწვინეს.

— ბარონი მენდელშტამი რას დაგვიმადლებს, ბიჭებო! — ყველას გასაგონად გამოაცხადა ჰენრიხმა. ხმადაბლა კი დაურთო: — ფრანც,

ზბიშეკ, ჩქარა მიტასა და ურშულასთან! ცხენებზე შემოისხით და მონადირის სახლისაკენ გააჭენეთ! ესენი კი მეორე მარხილში შესხით და კარი მაგრად დალურსმეთ! შენ, იაკობ, — რიხიანად უბრძანა ჰენრიხმა, — ბატონი ბარონის შესახვედრად გაქუსლე ეხლავე და გააფრთხილე, დედა აბატისას ოქროც მოაქვს და მიტაც მოჰყავთქო! მანამდე კი, სანამ ბარონი ამ ქარავანს შეეოეყრება და ყველაფერი გაირკვევა, შენ ჩვენკენ გამოფრინდი, — ხმადაბლა უჩურჩულა მოხუცს ყურში. — ამასობაში ჩვენ კარგა შორს ვიქნებით წასულები. ცხენი დიდ ნაძვზეა მიბმული.

ზბიგნევი, რობერტი და ფრანცი მეორე მარხილისაკენ გაიქცნენ.

— ურშულა! — შეჰყვირა ფრანცმა და მარხილიდან გადმომხტარ ქალს შეაშველა ხელი.

ზბიგნევმა გულისფანცქალით შეიხედა მარხილში. სიბნელეში უმოძრაოდ მისვენებული ფიგურა გაარჩია. სუსტი, მეტისმეტად მისუსტებული ხმა გამოელაპარაკა:

— თქვენა ხართ, პან ზბიგნევ?

თავდაჭერილობა დაუბრუნდა ჭაბუკს. მან ფრთხილად გამოიყვანა ქალი მარხილიდან და ერთ ადგილზე მცენუკავი ცხენისკენ გაეშურა. შესვა მიტა უნაგირზე და თვითონაც სწრაფად მოევლო ზედ. ფრანცმა ურშულა რობერტს ჩააბარა, თვითონ თავის ლურჯას მოახტა და ცხენდაცხენ ესლა დაიძახა:

— ნახვამდის, ურშულა! დღესვე განახავ! ახლა პან ჰენრიხს უნდა დავეხმარო...

ჰენრიხმა და ფრანცმა ძლივს შეტენეს გაძალიანებული მონაზვნები მარხილში და კარი მაგრად დაჭედეს. ჰენრიხმა პირველ მარხილს ფარდები ჩამოაფარა, დაელოდა, სანამ ზბიგნევი და რობერტი ქალებს საიმედო მანძილზე გაიყვანდნენ და მერეღა წავიდა ლანდსკნეხტების დასაძახებლად.

— ბატონო როტმისტრო! — დაუყვირა. — წასვლის დროა!.. დედა აბატისამ და ხაზინადარმა უკვე წაიხემსეს და მარხილში სხედან, რაღაც მიჩუმდნენ, დაეძინათ, თუ რა? ისე, მეტისმეტად ბრაზობდნენ თქვენზე, რა იქნენო! მეორე მარხილი პატიოსნად დავლურსმეთ, როგორც გვიბრძანეთ...

ნახევარ საათში წვეროსანი ფორეტორები უკვე ცხენებზე ისხდნენ, ლანდსკნეხტებმა კი მწყობრი დააწყეს.

ყურისწამღები ღრიანცელი, საზიდრებისა და დროგის ღრეიალ-ჭრიალი მიჰყვა წინ ჭენებით მიმავალ მთვრალ მეთაურს.

ჰენრიხი ჩაცინებით მოევლო ცხენს და ფრანცთან ერთად ზბიგნევისა და რობერტის დასაწევად გაქუსლა.

ზბიგნევმა გზაზე მიტასთან გამოლაპარაკება სცადა, მაგრამ მიტა გულმოდგინედ იკუჭებოდა წამოსასხამში და ხმას არ იღებდა. მონადირის სახლში ზბიგნევმა მიტა ურშულას გადააბარა.

— კვირის აქეთ გონს არ არის, — ეუბნა შეწუხებულმა ურშულამ. — არაფერს ჭამს. მარტო წყალს თხოულობს და ისეა გახურებული, გეგონება, ცეცხლი უკიდიაო... მგონი, ცხელება უნდა ჰქონდეს...

ზბიგნევს თავი უბურდა, ხელები უკანკალებდა...

„ცხელებაა, ვითომ?“ — გაიფიქრა დანაღვლიანებულმა და გარეთ გავიდა, რომ დასამშვიდებლად ტყის მოტკბო სურნელი ჩაესუნთქა.

უკან რომ მობრუნდა, მიტას უკვე საერო ტანსაცმელი ეცვა და შალში გახვეული მერხზე იწვა. ურშულა თავით ჩამოსჯდომოდა და თვლემდა. ზბიგნევიც ფანჯარასთან მიწვა მერხზე. რობერტი ფიჩხის მოსატანად წავიდა. უკან დაღლილ, მაგრამ მეტისმეტად გამხიარულებულ ჰენრიხსა და ფრანცთან ერთად დაბრუნდა.

ძილისგან გამოფხიზლებული ურშულა ფრანცს კისერზე ჩამოეკიდა ჩურჩულით:

— ჩემო ფრანეკ, ახლა კი აღარასოდეს დავშორდებით ერთმანეთს! მაგრამ უბედურება ისაა, რომ პანი მიტა უფრო უარესადაა. იწვის მთლად, რაღაცას ამბობს, მაგრამ რას, თვითონ პან ქსენძიც ვერაფერს გაუგებს.

— ცუდია, — ცივად, თავდაჭერილად თქვა ჰენრიხმა.— სულ ცოტა, ერთი საათის შემდეგ უნდა ავიყაროთ აქედან. ბარონი თავისი რაზმით დილას გაჩნდება. ჩვენ კი დილამდე ვარმიის საზღვარს უნდა მივაღწიოთ. ზბიშეკ, მერე თქვენ გადასკისაკენ გაუხვევთ... ძმაო რობერტ, — მიმართა შიგნით შესულ რობერტს, — ოქრო საიმედოდ დამალეთ?

— საიმედოდ, ძმაო ჰენრიხ, როგორც ბრძანე!

— ათამდე კარგად შეიარაღებული მარჯვე ცხენოსანი ბიჭი აარჩიე. ერთ საათში აქ გაჩნდნენ. გზებზე ყველგან ლანდსკნეხტები დაძრწიან — იქნებ იარაღის ხმარებაც დაგვჭირდეს.

მისუსტებული ცეცხლის შუქზე ზბიგნევმა ყურადღებით დაათვალიერა მიტა. „იესო დიდებულო, რა დღეში ჩაუგდიათ!“

ცეცხლის შუქმა თითქოს უფრო ჩამოაბნელაო ოთახი. კუთხეში მიყუჟული ბედნიერი ფრანცი და ურშულა რაღაცას ჩურჩულებდნენ. მიტას ფეხთით მჯდარ ზბიგნევს თვალი ვერ მოეწყვიტა მისთვის.

ფანჯარაში ბინდისფერი რიჟრაჟი ჩადგა. ცივი, ბურუსიანი დილა დგებოდა. რობერტმა ცხენები მოიყვანა. ცხენებს ფლოქვებზე ნაჭრები ჰქონდათ ამოკრული.

გზაზე ჯერ ჰენრიხი გავიდა, მას ზბიგნევი მიჰყვა, მარჯვენა ხელი ცოცხალ-მკვდარი მიტასთვის შემოეზვია. მათ უკან ფრანცი და ურშულა მიდიოდნენ. ცოტა მოშორებით კი ძმა რობერტი და მათი ძმობის ათი წევრი მიაჭენებდა ცხენებს.

გზა გაუკაცრიელებული ჩანდა. მზის ამოსვლამდე მათ შესახვედრად სულერი არ გაჭაჭანებულა. ბოლოს დაჰბერა მაცოცხლებელმა, ზბიგნევისათვის ასე ნაცნობმა გრილმა სიო. მარილიანმა ნიავმა სახე აუსუსხა ზბიგნევს.

ტყე ჯერ შეთხელდა, შემდეგ მას მოცდენილი ჯაგნარი შეენაცვლა, შემდეგ კი ქვიშიანი სივრცე გადაიშალა დიუმების დატალღული რიგებით. ცხენები ძლივს მიაბიჯებდნენ ქვიშაში.

სანაპირომდე რაღაც ერთი მილიღა იყო დარჩენილი, როცა ქვიშნარი ბორცვის იქიდან ცხენოსანი გუშაგების შეაბჯრული ჯგუფი გამოჩნდა.

— ორდენის საგუშაგო რაზმია! — თქვა რობერტმა. — გააჭენეთ ცხენები! მალე იქნება ვარმიის საზღვარი. ფრანც, წინ, ჩქარა! მე და ჰენრიხი კი მაგათ შევაკავებთ...

არა ჰყოლოდა ახალგაზრდა შლიახტიჩს მიტა, არ გამოაკლდებოდა ამ ზანაგებს ასეთ დროს... ჰენრიხის თავი მეტისმეტად ძვირად ჰქონდა შეფასებული ორდენს... წინ გავარდნილმა ზბიგნევმა ყოყმანით მიიხედა უკან.

— აწოწილო, ნუ ყოვნდები! დეზი ჰკარი ცხენს! — მთელი ხმით ულრიალა ჰენრიხმა.

მერე უკან გაქანდა და თავის შეიარაღებულ ბიჭებს დასჭყივლა:

— მომყევით, ძმებო! სიკვდილი ანტიქრისტეთ!

— დასცხეთ მაგათ, დასცხეთ! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ზბიგნევმა ერთხელ კიდევ მიიხედა უკან. ნის მკლავებში მისვენებულმა მიტამ დაიგმინა. ზბიგნევმა დეზი ჰკრა ცხენს.

ზბიგნევი წინ გადაწოლილიყო, გულზე უმწეო ქალ მიეკრა და ისე მიფრინავდა, ყურებში ქარილა უწიოდა.

სულ უფრო და უფრო სუსტად აღწევდა ზბიგნევამდე ხმალთა ჩახანი, ყვირილი, ცხენთა ჭიხვინი. კვლავ მიიბრუნა თავი ზბიგნევმა, მაგრამ ვეღარაფერი დაინახა — აღარც ჰენრიხი ჩანდა სადმე, აღარც მისი მოძმენი და აღარც ორდენის გუშაგთა რაზმი.

ზბიგნევის მხარდამხარ ფრანცი მიქროდა ურშულათი. ფრანცს ხელი გასისხლიანებული ჰქონდა. ზბიგნევმა კისერი დაიგრძელა და სმენა დაძაბა. ზომიერი შხუილი გარკვევით მოჰქონდა ქარს.

წინ ზღვა იყო. ნაპირზე მეთევზეთა ნავების თეთრი აფრები მოჩანდა.

— გადავრჩით! — თქვა ფრანცმა.

ზბიგნევმა მზრუნველობით გაფინა თბილი მოსასხამი ძირს და უბვოდ, ფრთხილად დაუშვა მიტა ნესტიან ქვიშაზე.

თავი მეექვსე

მკურნალი ხორციისა და სულისა

პან სუპოდოლსკის სახლიდან შიროკაიას ქუჩამდე არც ისე გრძელი გზა იყო, მაგრამ სანამ ფრანცი და პან ვაცლავის მოხუცი მსახური იუზეფი იქამდე მიაღწევდნენ, მრავალ დუქანში შეუხვიეს და ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ.

— ბგონი, აქ უნდა იყოს, — თქვა იუზეფმა და ერთ პატარა ქვის სახლთან შეჩერდა, რომელსაც დაშენებული ჰქონდა ხის მეზონინი.

შესასვლელ კართან აბრა იყო გამოკიდული. აბრაზე მღებავს მოხუცი კაცი გამოეხატა ვარსკვლავმრიცხველის მაღალი ქუდით, ცალ ხელში გველშემოხვეული თასი დაეჭერინებინა, მეორეში—ვეებერთელა ოყნის ბუნიკი. მოხუცს მუცელზე ლათინურად და გერმანულად ეწერა: „მედიცინის განთქმული ექიმი პადუელი იოან სანატორი“.

მოულოდნელად კარს იქიდან ბავშვის ჭყივილი მოისმა. ამას გაკაპასებული ქალის კივილი მოჰყვა:

—ერთი წუთით მაინც დამიჭირე, ეს უბედური, ესა! მუქთახორავ! ჭამა-ხეთქვისა და ძილის შეტი რომ არაფერი იცი!

მერე რაღაც ბრახუნით დავარდა იატაკზე და სანამ იუზეფი დაკაკუნებდა, კარი თავისით გაიღო. ზღურბლზე პატარა ტანის, გალახული შესახედაობის ქალი მოდგა. ზოდოშად ჩაცმულ ქალს შიშველი ფეხები წაეყო ფებსაცმელში, ხელში ნარეცხი წყლით სავსე ვედრო ეჭირა. სიკაპასისაგან თვალაბმულმა ქალმა კარს მიმდგარი სტუმრები ვერ დაინახა და ზღურბლიდანვე მოქნევით გადაუშვა ჭუჭყიანი წყალი.

— უჯიშო! — ამის წამოძახებაღა მოასწრო იუზეფმა და გვერდზე გახტა.

— დაჩამიჩებული კუდიანი! — კბილებში გამოსცრა ფრანცმა და სახე მოიწმინდა.

— ვინ გინდათ? — დაუკივლა ქალმა მოსულებს. — ეი, ჰანს! შენთან არიან!.. შემოდით, რაღას უდგახართ!

შესვლისთანავე სულის შემხუთველი სიმყრალე ეცათ ცხვირში

იუზეფსა და ფრანცს. ეს ბავშვის გაურეცხავი ძონძების სუნიც იყო, რაღაც აღმოსავლური ნელსურნელებისაც, რაღაც წამლებისა თუ სალბუნებლებისაც, უფრო კი — გაურეცხავი ჭურჭლისა და დიდი ხნის გაუნიავებელი ბინისა.

დიდ ოთახში, რომელსაც განცვიფრებით ათვალიერებდნენ მოსულნი, მაგიდაზე, მართლაც, დახვავებული იყო ჭუჭყიანი ჭურჭელი, კოლბები, რეტორტები. ფანჯარასთან მიდგმულ ტაბურეტზე გადაშლილი ფოლიანტი იდო, ზედ კი თეფში იდგა ფაფის ნარჩენით. მაგიდას ღრუბელივით ეხვია ბუზი.

დიდი ხნის გაუხსნელ, ნაცრისფრად მტვერდადებულ ფანჯარასთან ტანმორჩილი, შუა ხნის კაცი იდგა და ხელში ბავშვი ეჭირა.

იუზეფმა თავი დაუკრა და მოკრძალებით დაიწყო:

— მათი მოწყალება, უუდიდებულესი პან ვაცლავ სუხოდოლსკი სთხოვს უგანსწავლულეს ექიმს, მობრძანდეს მის ოჯახში, რათა თავისი სასწაულმოქმედი ხელობის წყალობით მძიმე ავადმყოფი ქალი განკურნოს.

— პან სუხოდოლსკი? ვიცნობ, მაგ პანსაც, პანისაც და პანენკასაც!.. რომელი შათგანია ავად? თვითონ პანი ანგელინა ხომ არა? თუ პანენკა ვანდა?

— არა, არა, პან ექიმო, ჩემი ბატონები, მადლობა ღმერთს, ყველა კარგადაა. ავად ჩვენი სტუმარი პანენკა გახდა, პანი ვანდას მეგობარი. როდის ველოდოთ პან ექიმის მოსვლას?

— ერთ საათზე ადრე ვერ მოვალ... შენც ჩემთან ხარ? — იკითხა ექიმმა, თან ბავშვი ცოლს გადააწოდა და ფრანცს შეხვეული მხარი შეუთვალიერა.

— არა, ეს არაფერია... — წაიბურტყუნა შემცბარმა ფრანცმა. — ჩვენ, ორივენი პან სუხოდოლსკისთან ვმუშაობთ, იმიტომ მოვედით ერთად, ტყეში შეშას ვჭრიდი და მაშინ დავშავდი...

ექიმმა მაინც დასვა ფრანცი ტაბურეტზე და ფრთხილად შეხსნა სისხლით გახამებული სახვევი. დაუთვალიერა ღრმად ნაჩხვლეტი ჭრილობა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— გასაკვირია! ამ ხნის კაცი ვარ და არ გამიგია, შეშას თუ მაჩვილით ჭრიდნენ! თუმცა, ეს ჩემი საქმე არაა... ისე კი, ჯეილო, ძალიან დროზე მოხვედი ჩემთან: დაიგვიანებდი ერთ დღესაც და ხელს დაკარგავდი — აბა, უყურე, როგორ დაგჩირქებია ჭრილობა!

ექიმმა ამობანა ჭრილობა, დაადო წამალში დასველებული საფენი და სწრაფი, გაწაფული ხელით შეუხვია მკლავი.

— სახვევი არ მოიხსნა! სამი დღის შემდეგ კიდევ მოხვალ... აბა, კარგად იყავი!

ექიმმა დაინახა, ფრანცმა სარტყლიდან საფულის ამოღება დააპირაო, და ხელით ჯანმრთელი ხელი დაუქირა:

— მოიცა, არ გინდა... იმ ქვეყანას გავსწორდებით. ახლა წადით, უნდა გავამზადო, რაც ავადმყოფთან წამოსაღებად დამჭირდება...

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა ექიმი, მაგრამ უცებ ყურებზე ხელები აიფარა. მისი ცოლი ცხვირწინ უტრიალებდა პატარა მუშტს და გაჰკიოდა:

— როგორი გულმოწყალეა! ფული არ უნდა! იმ ქვეყნად რაღა ცეცხლსა და ღეელფს გადაგიხდის?!

ექიმმა სანატორმა მოსულებს ხელი აუქნია, ჩქარა წადითო. ფრანცმა და იუზეფმა იმწამსვე აასრულეს მისი უსიტყვო თხოვნა.

მოდიოდნენ და კიდევ დიდხანს ესმოდათ პატარა გაკაპასებული ქალის წივილ-კივილი:

— ვინც არა მგონია, ყველას მკურნალობს! გეკითხა მაინც, სად დაგჭრესო! იქნებადა ყაჩაღი იყო!

ფრანცმა და იუზეფმა ერთმანეთს გადახედეს და ნაბიჯს აუჩქარეს. ერთი საათის შემდეგ კი პან სუხოდოლსკის მოახსენეს, დავალება შეასრულეთო.

პან ვაცლავმა კრძალვით მიაკაკუნა საძინებელი ოთახის კარზე. კარი პანი ანგელინამ გაუღო, თვალებზე ცრემლები რომ დაუნახა, ვაცლავმა ფრთხილად გაიყვანა ცოლი წინა ოთახში და ჰკითხა:

— როგორ არის მიტა?

— ცუდადაა. იწვის. ექიმი კი არსად ჩანს. თან პან ადოლფიც სადღაც გადაიკარგა...

— დამშვიდდი. სადაცაა, გდანსკის ყველაზე უკეთესი ექიმი გაჩნდება აქ!

მართლაც, ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ მათი სახლისაკენ გაუხვია იოან სანატორმა, რომელსაც გამხდარი ბიჭი მოსდევდა მედიკამენტების ყუთით. ფრანცსა და იუზეფს თვალი რომ მოეკრათ ექიმისათვის, სახტად დარჩებოდნენ: ექიმი საუკეთესო ხავერდის მოსასხამში გამოწყობილიყო და წავის ბეწვშემოვლებული ხავერდისავე ქუდი ეხურა.

პანი ანგელინა ექიმს ცრემლების წმენდით შეეგება საწოლ ოთახთან.

— როგორაა ავადმყოფი? — იკითხა იოან სანატორმა.

ოჯახის დიასახლისმა გულდამძიმებით ამოიხვნეშა მხოლოდ.

ოთახში შესულმა ექიმმა მბრძანებლური ჟესტით ყველა დაითხოვა. მისი ვიზიტი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ექიმმა კარი გააღო და პანი ანგელინა და პან ვაცლავი იხმო:

— ახლა ჩემი თანაშემწე წამალს მოამზადებს. ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა... ზუქით თვალები არ გადაუღალოთ, ფარდები კარგად ჩამოაფარეთ. პირველი წამალი „მამაო ჩვენოს“ რომ წაიკითხავს, ვერე მიეცით. მეორე — „იხარებდე, წმიდაო მარიამის“ შემდეგ. ხანგამოშვებით შუბლზე, აი, ეს დაადეთ, — ექიმმა დაბნეულ პანი ანგელინას სქელი ლოცვანი გაუწოდა, — წმიდა წიგნი ავადმყოფს სიცხეს გამოუნელებს თავიდან და იქნებ ოდნავი გამომჯობინებაც მოჰყვეს...

— „მამაო ჩვენო“ და „იხარებდე, წმიდაო მარიამ?“ — ცხვირში წაიდუდღუნა ვაცლავმა. — რანაირად უნდა წაიკითხოს ამსიგრძე ლოცვები, როცა საწყალს ერთი სიტყვის თქმაც არ შეუძლია! თანაც ასეთი სიმძიმე დაადეთო თავზე!

— ს-ს-ს! — შეაწყვეტინა შეშინებულმა პანი ანგელინამ. — შენ წმიდა ლოცვები და წმინდა წიგნი ტვირთად მიგაჩნია, მიტას კი მარტო მაგით ეშველება!

— რა ბატივით სისინებ! — შეუბღვირა პან ვაცლავმა ცოლს, მაგრამ მაშინვე აკოცა ხელზე და მოუბოდიშა: — მე ხომ ავად არა-სოდეს გავმხდარვარ, მაპატიე, თუკი მაგისთანა საქმეების არაფერი გამეგება!

— სადილი მზადაა, ბატონებო! — გამოაცხადა კარში ჩამდგარმა იუზეფმა.

კეთილ პან ვაცლავს გაუხარდა, სტუმართმოყვარეობის გამოჩენის შესაძლებლობა მეძლევაო.

— უმორჩილესად გთხოვთ! — მიიპატიჟა სანატორი და წელზე ხელმოხვეული წაუძღვა სუფრისაკენ.

თვითონ მანაპინძელი, რაღაცით გუნებაწამხდარი, არაფერს ჭამდა და მხოლოდ სტუმარს უწყობდა ისედაც სავსე თეფშზე კერძებს. სუხოდოლსკების ოჯახიდან საჭმელს თითქმის არავინ გაკარებია. ზბიგნევს მუშტებზე ჩამოედო თავი და იჯდა ერთ წერტილს ჩიშტერებული. სანატორის ვიზიტს იმედი არ მიუცია მისთვის. ვანდა წარამარა იმშრალებდა თვალებს. პანი ანგელინაც წამდაუწუმ იწმენდდა ცხვირს ცრემლით გაჟღენთილი ცხვირსახოცით.

თითქოს და რაღაც შავი ღრუბელი ჩაეფარა ამ ოდესღაც ბედნიერ ოჯახს.

ითმინა პან ვაცლავმა და, ბოლოს, ვეღარ მოითმინა:

— მაინც რამდენი უსიამოვნება შეგვემთხვა ერთბაშად! — თქვა ოხვრით. — ყველგან ომია... დაწყევლილი ტევტონები ჩვენს მამულში პარპაშობენ, ისიც კი არ ვიცი, რამე გადაგვირჩება თუ არა... ორდენის მფარველმა ახლადგამომცხვარმა იმპერატორმაც გდასკისკენ დასძრა ჯარები... დღეს არა, ხვალ შემოეწყობა ქალაქს! ოჯახ-

ში კი ავადმყოფი გვიწევს, ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედოს...

გარედან ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა. პან ვაცლავმა ფანჯარაში ჭაიხედა.

— მეც მაპე ვიფიქრე! ადოლფია! — თქვა შვებით.

ასაიძოს მოლოდინში პან ვაცლავმა სამჯერ თუ ოთხჯერ გაიხედა ფანჯარაში, ის კი სადილის დაპასრულსლა შეეიდა სასადილო ოთახში თავისი მსუბუქი, თითქოსდა, მოცეკვავის ნაბიჯებით.

— შუადღე მშვიდობისა, ბატონებო!

პან ვაცლავს სახე გაებადრა.

— ადოლფ! ჩემო კარგო! მოხვედი, როგორც იყო!

როგორც კი კუგლერი მაპინძლებსა და ექიმს მიესალმა, მაშინვე მიხვდა, რაღაც მოხდარაო. მან კითხვით შეხედა პან ვაცლავს.

— აგერ, დაბრუნდა, — თქვა ვაცლავმა და ჩამოღვრეშილ ზბიგნევზე ანიშნა თვალებით. — თან მძიმე ავადმყოფი პანენკა მიტა მოიყვანა, მიტას ამბავი მოგიყვეი უკვე. ეს კი ასეა, მაგრამ ახლა შენგან მოველით აპალ ამბებს. ტანთ გამოიცვალე, დაიბანე და მოდი სუფრასთან!

სანამ კუგლერი მოწესრიგდებოდა, ექიმმა, ავადმყოფების მომიზეზებით, თავი დაუკრა იქ მყოფთ და მორჩილებით ჩაიდო ჯიბეში პან ვაცლავის შეთავაზებულ ოქროს მონეტა.

ვაჭარი რიგიანად არც კი დამჯდარიყო მაგიდასთან, რომ მასპინძელმა კითხვები დააყარა:

— ახალი ამბები, თქვი, რა იცი! რა ხდება ჩვენში, „სუხოი დოლში“?

კუგლერმა ბატს ბარკალი ააჭრა, აკურატულად მიუდო მოშუშული კომბოსტო და მხოლოდ მერეღა გაშალა ოხვრით ხელები.

— ვერ ვიტყვი, კარგი ამბები ჩამოვიტანე-მეთქი, მაგრამ შეიძლებოდა უარესიც მოეხდარიყო! მამულში, მეტი რომ არ შეიძლება, ისე დროულად ჩავედი. ყველა გლეხი ტყეში გავხიზნე, დავიყოლიე ტევადი ქოხები და საქონლის სადგომები აეშენებინათ... ერთი სიტყვით, ბატონებო, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა — გადავარჩენ!

— დიდება შენ, შემოქმედო! სიკვდილამდე შენი ვალიდან ვერ ამოვალ, ადოლფ!

— ოჰ, პან ადოლფ, თქვენ უკვე მეორედ გადაგვანარჩუნეთ განადგურებას! — კრძალვითა და დიდი მადლიერებით წაიჩურჩულა პანი ანგელინამ.

პან ადოლფს ჭიქა ღვინით შეუვსო პან ვაცლავმა და გულიანად მიუჭახუნა თავისი ჭიქა.

— ასი წლის სიცოცხლეს გისურვებ და ყოველ დღეს — ბედნიერს!

— ვივატ!

ადოლფ კუგლერმა ვანდას გახედა, მაგრამ სანამ ის რამეს ეტყოდა, მზერა ზბიგნევზე გადაიტანა:

— გულით მიხარია თქვენი ნახვა, პან ზბიგნევ! რა ჰქენით, მოაგვარეთ მოსაგვარებელი საქმე?

— კი, — მიუგო ზბიგნევმა. — პანი შიტა გამოვიხსენით... მაგრამ მძიმედაა ავად... ექიმი ეჭვობს თავისი მკურნალობის შედეგზე. — დაურთო ჩუმად.

— განგების იმედი ვიქონიოთ, — თანაგრძნობით წარმოთქვა კუგლერმა. — მეტისმეტად საწყენია, რომ პოლონეთის ყველაზე საუკეთესო ექიმმა, სადაცაა, უნდა დატოვოს ჩვენი ქალაქი!

— ვისზე ამბობთ? — ჰკითხა ზბიგნევმა.

— მე ახლა ძმა მავრიკია ფერბერისაგან, ვარმიის ტაძრის შცველისაგან მოვდივარ, მასთან არის გაჩერებული სწავლული ასტრონომი და არანაკლებ ცნობილი ექიმი, „მეორე ჰიპოკრატე“, როგორც უწოდებენ, კანონიკი მიკოლაი კოპერნიკი.

— კანონიკი? — უნდოდ ჩაჰკითხა პან ვაცლავმა. — ეგ უფრო დიდ წმიდა წიგნს დააფარებს საწყალ გოგოს თავზე! თუ იმ საერო ექიმმა...

ფრაზის დამთავრება ვერ მოასწრო ვაცლავმა: ყველას მოულოდნელად ზბიგნევმა რაბრახით გადააყირავა სკამი და ფეხზე წამოიჭრა:

— მიკოლაი კოპერნიკი გდანსკშია?!

კუგლერმა გაოცებით შეხედა მომავალ ცოლისძმას.

— რატომ გიკვირს? კოპერნიკი სამ დღეს იყო აქ... ახლა კი, მე მგონი, გზაშია...

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ზბიგნევმა და სასადილო ოთახიდან გავარდა.

— შეიშალა! ღმერთმანი, შეიშალა! — ჩაილაპარაკა დაბნეულმა ვაცლავმა, თეფში განზე გასწია და შვილს დაედევნა. მაგრამ ზბიგნევის დაწევა უკვე აღარ შეიძლებოდა.

ერთი წუთის შემდეგ ყველამ თვალი შეასწრო, ზბიგნევმა ცხენით რომ ჩაუქროლა ფანჯარას.

— ოჰ, გადარეული! უქუდოდ მიდის!.. — თავი გადააქნია ოჯახის უფროსმა.

გდანსკის ქუჩებში გამვლელნი გაოცებული თვალებით მიაცილებდნენ კარგად ჩაცმულ, თავშიშველ, თმაგაჩეჩილ ახალგაზრდა კაცს. რომელიც დაუზოგავად მიაჭენებდა ცხენს.

ზბიგნევმა კარგად იცოდა ფერბერის სახლი და ალაყაფთან მდგარი მეკარე რომ დაინახა, შორიდანვე ცხენდაცხენ მიაძახა:

— მითხარი, კანონიკი კოპერნიკი ისევ აქ არის?

— მისი მაღალღირსება სულ ახლახანს წავიდა ებლონგს, — მიუგო გაყინჩულმა მეკარემ. — რა სურდა პანს?

მაგრამ ახალგაზრდა, თმაგაჩეჩილმა ბატონმა არაფერი უპასუხა. ერთბაშად ნოატრიალა ერთ ადგილზე ატორტმანებული ცხენი და ებლონგისაკენ უქნა პირი.

ზბიგნევმა შორიდანვე გაარჩია ადამიანთა ჯგუფი და საზიდრები. მთელ გზაზე, რაც თვალი გაუწვდებოდა, მათ გარდა არავინ მოჩანდა.

„ისინი არიან", — დაასკვნა ზბიგნევმა. მძიმედ დატვირთული საზიდრების დაწევა არც ისეთი ძნელი საქმე იყო მისთვის. ზბიგნევმა ასევე, ცხენდაცხენ დაუარა მიმავალთ, თან გულშოდგინედ ცდილობდა მიხვედრილიყო, იმ ორ სასულიერო პირთაგან რომელი იქნებოდა კანონიკი მიკოლაი კოპერნიკი.

— მამა მიკოლაი ბრძანდებით? — მოკრძალებით მიმართა მან უფრო მდიდრულად ჩაცმულ კაცს.

მაგრამ მან მდუმარედ მიანიშნა თავის თანამგზავრზე.

— პან ექიმო!.. — ძლივს გამოასახელა ზბიგნევმა. — ყმაწვილი ქალი კვდება... თქვენს მეტი ვერავინ უშველის!

— ჩვეულებრივ, არავის ვეუბნები დახმარებაზე უარს, — მიუგო შეწუხებულმა კანონიკმა კოპერნიკმა. — მაგრამ ახლა ვარმიაში მიმეჩქარება, თითქმის ყოველი წუთი გამოთვლილი მაქვს... ექიმ სანატორს მიმართეთ.

— მამა მიკოლაი, მამა მიკოლაი... გადაარჩინეთ მიტა, სანატორი მას ვერაფერს უშველის!..

— მიტა? — ჩაჰკითხა კანონიკმა. — იშვიათი სახელია... მაგ სახელით ერთ ქალიშვილს ვიცნობ მე, მაგრამ ახლა ის ორდენის პრუსიაშია. მიტა ლანგე იყო მისი გვარი და სახელი...

— ღმერთო ჩემო, რას ამბობთ, მიტა აქაა! იგი კასპერ ბერნატის საცოლეა! უკანასკნელ წუთებშია ახლა!

სწავლული წამით ჩაფიქრდა. შემდეგ მსახურს მიუბრუნდა და გადაჭრით უთხრა:

— ვოიცეხ, მედიკამენტების ჩანთა წამოიღე, გდანსკში ვბრუნდებით. თქვენ კი, ძმაო იერონიმე, ღვთის შეწევნით განაგრძეთ გზა. მალე წამოგეწევით.

საზიდრები დაიძრნენ. კოპერნიკმა და ვოიცეხმა უკან შემოაბრუნეს ცხენები წვიმისაგან გადარეცხილ გზაზე.

— ერთი მითხარით, მიტა რანაირად აღმოჩნდა გდანსკში? ხომ

არაფერი იცით კასპერ ბერნატზე? — მიმართა მამა მიკოლაიმ ზბიგნევს. — მომიტევეთ, რომ ასეთ შეუფერებელ დროს შეკითხვებით გაწუხებთ, მაგრამ ავადმყოფთან ამის დრო აღარ მექნება.

ზბიგნევმა იხვ მაგრად ჩაბღუჯა სადავეები, რომ ხელისგული ორი სისხლისფერი ნაჭდევით გადაეხერა.

— თქვენო მაღალღირსებავ, — მიმართა ათრთოლებული ხმით, — მომიტევეთ, მაგრამ ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია. თუ ნებას დამრთავთ, მერე ებლონგამდე გაგაცილებთ და ყველაფერს გეტყვით, რაც ბიტაზე, კასპერსა და მაძინზე ვიცი...

— მაძინზე? თქვენ იცნობთ მაძინს?.. — დაიწყო შემკრთალმა კოპერნიკმა, მაგრამ თავისი თანამგზავრის სახეზე ჩამოგორებულ ცრემლებს რომ შეხედა, დადუმდა.

— შეტი ჰაერი! — თქვა კანონიკმა და მიტას საწოლი ოთახის ფანჯრები დააღო. — შეტი შუქი! ახლავე ჩანოხსენით ეს მტვრის ბუდეები, — დაურთო და მძიმედ ჩამოშვებულ ფარდებზე ნიუთითა.

სინათლის ნაკადმა ერთბაშად აავსო ოთახი და ავადმყოფის საწოლთან ხალიჩაზე აციმციმდა.

კოპერნიკი ბალიშებზე აბორგებული ავადმყოფისკენ დაიხარა, ვაშრალი, ჩატეტკილი ტუჩები აჭარხლებულ სახეზე ნაიარევივით მოუჩანდა მიტას. საბანი, ზეწრები და პერანგი ოფლით ჰქონდა სველი.

კოპერნიკმა ქალიშვილს შუბლზე დაადო ხელი. მშრალი, გახურებული შუბლი ჰქონდა. შამა მიკოლაიმ ჯერ პულსი გაუსინჯა, მერე ტაბურეტზე ჩამოჯდა და დიდხანს, დაკვირვებით მისჩერებოდა სახეში.

ვანდა, ურშულა და პანი ანგელინა ცდილობდნენ, უნებლიე მოძრაობითაც კი არ დაერღვიათ მყუდროება. ოთახში ავადმყოფის მძიმე სუნთქვა ისმოდა მხოლოდ.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც კოპერნიკი ავადმყოფს სინჯავდა, ქალიშვილი მხოლოდ ერთხელ შოვიდა გონს. გამოახილა მიბინდული ცისფერი თვალები, რაღაც გაუგებრად წაიდუდუნა და კვლავ დაკარგა გრძნობა.

— ვოიცეხს დაუძახეთ, მედიკამენტები მოიტანოს! — მოითხოვა ექიმმა. შემდეგ ცოტა შეიცადა და წყლის მოტანა ბრძანა. — რაც შეიძლება მეტი წყალი ასვით. ძალიან ბევრი სითხე აქვს დაკარგული, ეს კი მაგისი ახლანდელი მდგომარეობისათვის საშიშია, — თქვა და ოთახიდან გამოვიდა, თან ხელით ანიშნა პანი ანგელინას, ვანდასა და ურშულას გამომყევითო.

კარს იქით აღელვებული პან ვაცლავი და ზბიგნევი იცდიდნენ.

— ორი-სამი დღე-ღამე გამუდმებით უნდა უყარაულოთ. შტოშისა და მოცვის მომეავო სასმელები მოუმზადეთ... ვფიქრობ, ზვალზეგ კრიზისი დაეწყება. რაც შეიძლება ნაკლებად შეაწუხეთ და ხშირად დააღეთ ფანჯრები. იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით ავადმყოფი ჩქარა გამოკეთდება.

— ო, იესო ქრისტევ! — ასლუკუნდა პანი ანგელინა. — ჩვენი მხსნელი ბრძანდებით, პან ექიმო!

ზბიგნევმა კოპერნიკი მისთვის განკუთვნილ ოთახში რომ შეიყვანა, კანონიკი მოწყვეტით ჩაეშვა საკარძელში.

— გადაქანცული ბრძანდებით, თქვენო მაღალღირსებავ... ღამეს ჩვენთან ხომ არ გაათევთ?

კანონიკმა მდუმარედ დაუქნია თავი.

— რა თქვა უნდა, მშიერიც იქნებით... იქნებ რამე გეჭამათ...

— არა, გმადლობთ, არ მშია... აბა, ახლა შეგიძლიათ მონიყვეთ კასპერზე, მიტასა და მაძინზე რა იცით?

ზბიგნევმა შეშფოთებით შეხედა მამა მიკოლაის დაღლილ, თვალებაბღალებულ სახეში.

— ახლა თქვენ არ შეგიძლიათ ჩემი მოსმენა, — უთხრა შეწუხებულმა.

კოპერნიკმა ძლივს გაიღიმა.

— შეგიძლია, — დაამშვიდა ჭაბუკი მასპინძელი, — ოღონდ ჯერ კასპერის ამბავი მითხარით!..

მდუმარედ უსმენდა კანონიკი კრაკოვის აკადემიის ყოფილ აღსაზრდელს. კასპერზე ზბიგნევმა ახალი ვერაფერი უთხრა, გარდა იმ საწყენი ამბისა, რაც პან კონოპკას ლიძბარკისა და გდანსკის გზაზე გაძარცვისას გადახდა, რის გამოც იგი იძულებული გამხდარა, გდანსკიდან კრაკოვისკენ გადაეხვია.

„სამწუხაროა, სამწუხარო. მაშ, ამ ამბავმა კიდევ უფრო გადასწია კასპერის გამოხსნის ვადა!“ — უფრო შეტად რომ არ აღელვებინა ჭაბუკი სუხოდოლსკი, კოპერნიკს თავისი აზრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს.

პროფესორ ლანგეს მკვლელობისა და მიტას მოტაცების ამბავმა შეაკრთო მამა მიკოლაი.

— პანა მიტა ძალიანა ჰგავს თავის მამას? — შეეკითხა იგი ზბიგნევს.

ზბიგნევი, ცოტა არ იყოს, დაიბნა.

— კი, ჰგა-ვს, — გაწელა პასუხი. — ვინც აბალგაზრდობაში იცნობდა ლანგეს, ამბობს, მიტა პირწავარდნილი მამაო, მაგრამ შე... მომიტევეთ, თქვენო მაღალღირსებავ, მიჭირს შედარება... პროფე-

სორი მსუქანი კაცი იყო... თვალების გამომეტყველებაც სხვანაირი ჰქონდა...

— ახლა მაძინზე მომიყევით, რა იცით, — უთხრა კოპერნიკმა — მოგიტევეთ ოღონდ, თითქოს აღსარებას გათქმევინებდეთ...

კოპერნიკი ძალზე დააშეზარა თავისი თანაშეზრდილისა და მოკვთის, ერთ-ერთი უგანათლებულესი კარდინალის, ანტიკური ხელოვნების მცოდნის, „უარმყოფელი“ პიეტრო პომპონაცის თანამოაზრისა და დიდი ლეონარდო და ვინჩის მეგობრის სიკვდილმა.

— მაძინი მოგიყვათ რაზეს ჩვენი სტუდენტობის წლებზე? — შეეკითხა მამა მიკოლაი.

— ჩვენ ბევრს ვმსჯელობდით თქვენს „მცირე კომენტარზე“. მე ხომ იგი პროფესორ ლანგეს დაჟინებული თხოვნით მქონდა წაკითხული...

— მერე?.. — ჩაჰკითხა კოპერნიკმა.

ზბიგნევი გააწითლა მისმა გამჭოლმა გაბოხედვამ.

— მერე... მაგრამ მე მაშინ შთლად ლანგესა და მამა დომინიკანელების გავლენის ქვეშ ვიყავი მოქცეული. — პასუხის ნაცვლად თავის მართლება დაიწყო ზბიგნევმა. — შემდეგ, მეორედ, უკვე მამა ფლორიანისგან მივიღე ხელნაწერი წასაკითხად, იმ ხანად მე უკვე ჩემი ეშმაკი მყავდა შეშჯდარი. თანაც ამაზე ცოტა ადრე მეტისმეტად გულდასმით ვსწავლობდი მეორე იმდაგვარსავე ხელნაწერს... მე მხედველობაში მაქვს კოცონზე დამწვარი ბარსელონელი დიეგო გარსიას ნაშრომი... თქვენ თუ იცით რაიმე მის ცხოვრებასა და სიკვდილზე?

— არა, — ცივად მიუგო კოპერნიკმა.

— მაგრამ გარსიას ნაშრომს ალბათ იცნობთ? — არ მოეშვა დაუდგრომელი ზბიგნევი.

— კი, — კვლავ ცივად მიუგო კანონიკმა.

— მომიტევეთ, თქვენო მაღალღირსებავ, მაგრამ ყოველივემ, რაც ყოფილი კარდინალი მაძინის აღსარების დროს მოვისმინე, სამუდამოდ ზურგი მაქცევინა ყველა სასულიერო პირისადმი... ამას გაბედვით ინიტომ გეუბნებით, რომ გაგონილი მაქვს, თქვენ კანონიკმა, თავის დროზე უარი თქვით მაღალი სასულიერო თანამდებობის მიღებაზე...

რამდენიმე წუთს გაგრძელდა დუმილი.

— მე სასულიერო პირი ვარ, — უფრო ცივად წარმოთქვა პასუხად კოპერნიკმა. — განაგრძეთ, რის თქმას აპირებდით, შვილო ჩემო?

შემცბარი ზბიგნევ სუხოდოლსკი დამუნჯდა.

— არა მგონია. კიდევ მოვახერხო პანა მიტას ნახვა, — უთხრა

კანონიკმა ზბიგნევს გამოთხოვებისას. — ამიტომ თქვენცა და თქვენს შინაურებსაც ვთხოვ: ზუსტად შეასრულოთ ჩემი დანიშნულება. ავადმყოფს ფიქრის საშუალება არ შისცეთ. მუსიკით, სიმღერით, მხიარული ამბებით გაართეთ... საერთოდ კი, მეტი შუქი და ჰაერია საჭირო!

„საწყალი ბიჭი! მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა მოექცეულიყავი? — ფიქრიანად ნელა მიირწეოდა თავის თვინიერ ცხენზე კოპერნიკი. — ვიმეცა ბოლომდე აზრის გამოთქმის საშუალება? მაშინ თავისი მიამიტობით, ღვთისგანდგომილებთან გამათანაბრებდა მხოლოდ იმის გამო, რომ მნათობებზე დაკვირვებისას გამოტანილი ჩემი დასკვნები ეკლესიის მამათა სწავლებას არ ეთანხმება. ნახევარი საუკუნის წინ კი, როდესაც მეცნიერებმა დედამიწის სფეროსებურობაზე მსჯელობა დაიწყეს, განა იგივე ეკლესიის მამებმა არ აღმართეს მათზე ჯვრები, როგორადაც ეშმაკეულებზე? წმიდა მამებს ახლაც აწუხებთ საეკლესიო და საერო მეცნიერებათა შორის მეტოქეობა... ამიტომაც უნდა ვეცადო, ჩემი ჰელიოცენტრიული სისტემა სწავლულთა შეგნებაში—როგორც საერო, ისე სასულიერო სწავლულთა შეგნებაში—თანდათანობით დამკვიდრდეს, ძმა ტიდემანი არაა მართალი, რომ მარწმუნებს, დასაბეჭდად მივცე ჩემი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შრომა. „Sapienti sat“. გამგები გაიგებს. ჰოდა, ჩემი მზრით დიდი ცოდვა იქნება, თუნდაც ერთი ყმაწვილკაცის გადაბირებას რომ შევეცადო“.

ნელა, თანაბრად ირწეოდა კოპერნიკი ცხენზე. ხან თვლემა წამოეპარებოდა, ხანაც მოულოდნელი ბიძგისაგან კრთებოდა. ეს წუთიერი დასვენება საკმარისი იყო მისი რკინისებური ორგანიზმისათვის.

„შევამოწმებ, იქნებ შევცდი“, — გადაწყვიტა საბოლოოდ გამოფხიზლებულმა.

— ვოიცეხ! — გასძახა კოპერნიკმა თავის მოხუც მსახურს. — შენ იმ ავადმყოფ პანენკა მიტას კარგად დააკვირდი? მითხარი, შისმა სახემ ხომ არ გაგახსენა... რომელიმე ჩვენი პაციენტი?

ვოიცეხი დაიბნა.

— რა ვიცი, როგორ გითხრათ... — უხერხული ღიმილით წაილაპარაკა ვოიცეხმა.

— თქვი, თქვი! — ჩააცივდა კოპერნიკი.

— პან ექიმს მოტევებას ვთხოვ, თუ სისულელეს ვიტყვი... ამ ავადმყოფი პანენკას ხასე ზუსტად იმ მოსულელო კაცს მაგონებს. გლეხებმა ოლშტინიდან.რომ მოგგვარეს!

— მაშ, მართალი ვყოფილვარ! — თავისთვის ჩაილაპარაკა კოპერნიკმა და თვალები დაზუჭა.

მამა მიკოლაი სცდებოდა, როცა ეგონა, ჩემი ავადმყოფის ნახვა. შეორედ აღარ მოვიხდებაო. სამი კვირის შემდეგ დიაცეზის საქმეების გამო კვლავ მოუხდა გდანსკში გამგზავრება. როგორ გაიხარა ყველა სუზოდოლსკიმ, როცა იუზეფმა კანონიკი მიკოლაის ფობრძანება აუწყათ!

საპატიო სტუმრის მისალებად მთელი ოჯახი წინა ოთახში გამოვიდა.

ვანდა კანონიკთან პირველი მიიჭრა და ახარა:

— პან ექიმო, დღეს მიტამ გაიღიმა!

ზბიგნევი და ადოლფ კუგლერი კანონიკს გაზდაში მიეხმარნენ. პანი ანგელინა ხელზე ემთხვია, სანდომიანმა ურშულამ ველარაფერი მოახერხა და ანაფორიდან მოწიწებით ააცალა თმის ბეწვი.

ერთი წუთის შემდეგ ყველანი ავადმყოფთან მოიყრიენენ თავს, მაგრამ კანონიკმა დაუნდობლად მოითხოვა, სასადილოში მოვიცადეთო.

— ძალიანა ხართ დასუსტებული, — უთხრა კოპერნიკმა გასინჯვის შემდეგ ქალიშვილს; მერე ალერსიანად ჰკითხა: — აბა, როგორაა საქმე, დაივიწყე მონასტერი, შვილო ჩემო?

მისდა გასაოცრად, მიტამ ბალიშში ჩარგო თავი და უპასუხა:

— მხოლოდ მონასტერი!.. სხვა გზა არსაითა მაქვს!

— რას ამბობთ? ზბიგნევმა ასეთი გაჭირვებით...

მიტამ აღარ დაასრულებინა და ცრემლმორეულმა წაჩურჩულა:

— ზბიშეკი ძვირფასია ჩემთვის, ზბიშეკი ჩემი მზეა! — მერე თავისი ცისფერი, ახლა უკვე ვეება თვალები კანონიკს მიაპყრო და ჰკითხა: — თქვენ იცით, რომ მე კასპერ ბერნატთან ცოლობის სიტყვა მაქვს მიცემული?

— რამდენი წლისა იყავით, შვილო ჩემო, როდესაც ეგ სიტყვა მიეცით? — ალერსით ჰკითხა კოპერნიკმა. — თორმეტის? ცამეტის?

— ცამეტის, — ძლივს გასაგონად წაჩურჩულა მიტამ, — მაგრამ მე მაინც უნდა შევასრულო მიცემული სიტყვა... ხომ ასეა?

კოპერნიკს გაუხარდა, რომ ქალიშვილმა ეს სიტყვები სულ სხვა კილოზე წარმოთქვა უკვე. იგი თითქოსდა მსჯელობდა, ვალდებულია თუ არა გაზრდილი ქალიშვილი, გოგოობაში მიცემული სიტყვა შეასრულოს.

— მერწმუნე, შვილო ჩემო, — მიმართა კოპერნიკმა, რაც შეიძლება მტკიცედ, — კასპერი ჩემთვის ღვიძლი შვილივითაა... რას არ გავიღებდი, ოღონდ ცოცხალი გადარჩენილიყო! მაგრამ... უკვე რამდენი წელია გასული... მე კარგად ვიცნობ კასპერს და ვიცი, ცოცხალიც რომ იყოს, თავის ყოფილ საცოლეს არ მოსთხოვს ერთგულებას, თუკი შეატყო...

მიტამ შეშინებული თვალებით შეხედა კოპერნიკს.

— კასპერი იმდენად პატიოსანია და კეთილშობილი, არასოდეს მოგთხოვთ ფიცის გაუტეხლობას, თუ კი შეგატყოთ, რომ სხვა გიყვართ.

— რა-ა? — წამოიძახა მიტამ.

— თქვენ ზბიგნევი გიყვართ? — ჰკითხა კოპერნიკმა და მიტას ცრემლით სავსე თვალებში ჩახედა.

— მიყვარს, პან ექიმო, — ისე ჩუმად მიუგო მიტამ, რომ კოპერნიკი უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგონა. — ამიტომ მინდა მონასტერში წასვლა. — დაასრულა ხმამაღლა. — იქ ვილოცებ ჩემს ცოდვებზე...

— ცოდვა ის იქნებოდა, თუკი ზბიგნევი გეყვარებოდათ, ბედს კი კასპერს დაუკავშირებდით, — გააწყვეტინა კოპერნიკმა. — ცოდვა იქნება, გააუბედურეთ კაცი, რომელიც გიყვართ, რომელსაც უყვარხართ და რომელმაც უბედურებისაგან გიხსნათ. კიდევ იმასაც გეტყვით, რომ თქვენი მონასტერში წასვლა იქნება სწორედ ცოდვა... მაშინ ვინლა მიხედავს თქვენს მოხუცებულ, ავადმყოფ მამას?

— მამას? — ჩაეკითხა მიტა. — განა არ უთქვამთ თქვენთვის, როგორ გაუსწორდა მამაჩემს ის ღვთისგან წყეული რაინდი მენდელშტამი? რვა წელია მამაჩემი ცოცხალი აღარაა!

— ჯერჯერობით ეაბეჯითებით მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ მამათქვენი ცოცხალია, თუმცა ძნიშვნელია ავად...

ქალიშვილმა გულზე იტაცა ხელი, მაგრამ კოპერნიკმა იცოდა, რომ სასიხარულო ამბისგან არავინ კვდება. იგი თვალს ადევნებდა, როგორ აუვარდისფრდა ლოყები მიტას.

— შეიძლება ცოტა ხანს ვიფიქრო? — შეეკითხა მიტა საცოდავად. შემდეგ კი კარგა ხანს იწვა თვალებდახუჭული.

კოპერნიკმა ხელი გადაუსვა მის აბრეშუმივით თმას.

— ვუთხრა ზბიგნევს, რომ საწყალი მეტს აღარ დაიტანჯოს? — ჰკითხა მოფერებით.

— ვიფიქრებ კიდევ... თითქმის ვიცი, რაც უნდა გადავწყვიტო... ოღონდ კიდევ მადროვეთ ფიქრი!

კანონიკი საწოლის თავზე ხელჩამოდებული იდგა. მიტა ემთხვია ამ ძლიერსა და კეთილ ხელს, მერე სიცილ-ტირილით წარმოთქვა:

— მაშ, არც ცოდვაა და არც სირცხვილი, ბედნიერი ვიყო?

მიტას ავადმყოფობის მთელი ხნის მანძილზე ზბიგნევი პირველად დარჩა მასთან მარტო.

ორივე დუმდა. ვინმეს რომ შეეხედა ამ დროს ოთახში, იფიქრებდა, ავადმყოფს დასძინებია, ზბიგნევი კი მის სიმშვიდეს გუშაგად უდგასო.

თუმცა, ვანდამ კარი რომ შეაღო და იმწამსვე გამოიხურა, ისეთი

გაღიმებული სახით შეეიდა სასტუმრო ოთახში, დედამაც და მამამაც მაშინვე მიაქციეს ყურადღება.

— შენ და პან ადოლფი გაუტყდით ერთმანეთს? — ჰკითხა პანი ანგელინამ. — ბედნიერი ხარ, შვილო?

— ბედნიერი ვარ ჩვენი ზბიშეკის ბედნიერებით... იგი იმსახურებს ამას... პან ადოლფი კი დღეს სულაც არ გამოჩენილა...

გვიან ღამით, ებლონგში იარაღის გადათვლას რომ მორჩა და საგუშაგო ადგილების განაწილებას, მამა მიკოლაიმ შეიხედა იმ სენაკში, სადაც ოლშტინიდან მოყვანილი ის უბედური ჭკუაზე შეშლილი მოხუცი ჰყავდათ.

„თვალები უხუჭია ახლა, მაგრამ ეშვენივრად მახსოვს, რომ ღია ცისფერი აქვს. — გაიფიქრა კოპერნიკმა, — ცხვირიც მიუგავს მიტას. სწორი, პაწაწინა კეხით... პირიც... ყურებიც კი ისეთივე პატარა და ზედ გაკრული აქვს... ამბობენ, ასეთი ყურები ქვებუდანობის და უხიაკობის ნიშანიაო, მაგრამ მიტას მიხედვით თუ ვიმსჯელეთ, არ უნდა იყოს მართალი...“

მოხუცმა დაიგმინა ძილში. გვერდი იცვალა და ტკბილი ხვრიენა ამოუშვა.

„ნაიარევი ყურიდან ყურამდე გადასდევს... ბარონს ჯოხით თავის ქალა გაუხეთქია... შერყევაც, როგორც ეტყობა, ძლიერი ჰქონია...“

როგორც შეყვარებულთა კეთილმოსურნე, მამა მიკოლაი ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, ამ გონებასუსტი მოხუცის მორჩენა შეიძლებაო. როგორც გამოცდილი ქირურგი, ხვდებოდა, მეტისმეტად რთული და ძნელადმისაღწევი ამოცანა დაესახა.

თავი მეოთხედი

ომის გზებზე

1520 წლის დეკემბრის მოღუშული დილა ნელ-ნელა მოიპარებოდა ღრუბლებშუა.

ებლონგის სამრევლოს სამადლო სახლის მაღალ კედლებთან ჯერ ისევ გვარიანად ბნელოდა, როცა ყარაული გასაღების ვეება აცმის ჩხრიალით მივიდა კართან და ხმამაღლა მოითხოვა:

— აბა, დიდებულო პანებო! გასინჯეთ თქვენი ბარგი-ბარხანა, ხომ არაფერი გაკლიათ? ანდა სხვისი ხომ არაფერი მიგდევთ? სანამ ტომრებს არ გავიხრეკავ, კარს არ გაგიღებთ!

ყარაულმა სამჯერ გაიმეორა ეს სიტყვები და დერეფანთან უცებ

მოდგა დროებით მდგმურთა რიგი — ვინ ჩანთით იყო, ვინ — ბაგით, ვინ—ზანდუკით, ვინ კიდევ — ხელცარიელი, გასაღები ღრჭიალით გადაბრუნდა კლიტეში. გაირაბუნეს ურდულებმა. [illegible] [illegible] სტუმრებმა ერთიმეორის მიყოლებით მიატოვეს უბადრუკი თავშესაფარი.

მხოლოდ ერთადერთი მდგმური არ ჩქარობდა წასვლას.

— შენ, ეი, ხომ გესმის, აჩქარდიო. მამა იანი, ჩვენი ზედამხედველი, უკვე ადგა... ის კი კრაკოველი გვყავს, აკადემიადამთავრებული, არ უყვარს უწესრიგობა... ჩქარა უნდა გაგისტუმრო, რომ იატაკი დავგაო, გავრეცხო...

— მამა იანიო? — გაიმეორა ფიქრიანად მდგმურმა. — კრაკოველიო? სკლემბინსკი ხომ არაა გვარად?

— ვითომ ჩვენ რა პანები ვბრძანდებით, რომ უფროსის გვარი ვიკითხოთ? მამა იანია, მორჩა და ვათავდა. მეოთხე წელია ჩვენთანაა... ეი, ეი, სად მიდიხარ!

მდგმური ლერეფნისკენ გაბრუნდა, ზედამხედველს კარზე მიუკაკუნა და. ნებართვას არ დალოდებია, ისე გადაბიჯა ზღურბლს და ქუდმოხდილი გაჩერდა იქვე.

მამა იანი, მაღალი, გამხდარი, ახალგაზრდა ქსენძი, მაგიდას უჯდა და საუზმობდა.

ზედამხედველმა ახედა დაუპატიჟებელ სტუმარს და თეკზის ნაჭერი ისევე გაუშეშდა ხელში. პირი დაღებული დარჩა.

გაოცებული და შეშფოთებული შეჰყურებდა იგი მოსულს. ორ გრძელ ნაჭრილობევს ჯვარედინად გადაეკვეთა მისთვის სახე. მუქი წითელი ნაჭდევები შუბლს, ლაწირაკებსა და ნიკაპს რაღაცნაირად ოთხ თანაბარ ნაწილად პყოფდა.

— კაჭკაჭო! — სიცილით გაეძრახა სტუმარი მასპინძელს.

— ღვთის გულისთვის, ვინ ბრძანდებით! — წაილუღლუღა შიშისაგან გადათეთრებულმა ქსენძმა.

— მართლა ვეღარ მცნობ, იას? კრაკოვი გაიხსენე, აკადემია...

ქსენძი მაგიდას მოშორდა და დაჟინებით დააცქერდა დასახიჩრებულ სახეს.

— წითურო! კასპერი ხარ? მართლა შენა ხარ?

— მე ვარ, მე, კასპერ ბერნატი.

— წითურო! — ერთხელ კიდევ წამოიძახა იანმა და სტუმარს გადაეხვია. — დაჯექი, ჩემო კარგო, დაჯექი. აი, აქ, სავარძელში. გადააგდე ეს სვიტა! პავლე! — გასძახა მსახურს. — ახლავე ერბოკვერცხი მოამზადე. ბევრი კვერცხი გატეხე, ექვსი... არა, ათი იყოს... ქონი, ციბული არ დაგავიწყდეს. სწრაფად!.. — მოიცა, საწყობიდან დოქით ღვინოც მოაყოლე!

იანი სავარძელში მიწოლილი კასპერის წინ იდგა და ნაღვლიანად აქნევდა თავს.

— იესო ქრისტევ! იესო დიდებულო! სად მოგდგნენ ასე? ალბათ, ომში, არა? კშიჟაკებთან? ოჰ, წითურო, ეს რა უქნიათ შენთვის! რამდენი წელი ვისხედით გვერდიგვერდ და ძლივსღა გიცანი... გეტყობა, ტკბილად არ გიტარებია ცხოვრება — ჭაღარაც როგორ მოგმრავლებია!

— საკვირველი არაფერია, კაჭკაჭო... ომში მომიხდა ყოფნა, მაგრამ კშიჟაკებთან არა, — თურქებთან და თათრებთან. უკრაინის მიწაზე, ყირიმზე, შავ ზღვაზე. ამაზე მერე ვილაპარაკოთ... კიევში ერთ ქსენძს შევხვდი, ჩვენი კრაკოვული აკადემიიდან. იმან მითხრა შენზე, სადღაც, ამ ადგილებში არისო... იმ ქსენძს გამოვკითხე ჩვენი ბიჭების ამბავიც...

— აქ, ახლომახლო კიდევ არიან ჩვენი ბიჭები, მაგრამ ჯერ შენი ამბავი მომიყევი...

— მოიცა, იას! შენ ის მითხარი, ვარმიის კანონიკზე, მიკოლაი კოპერნიკზე თუ გსმენია რამე? ხომ არ იცი, ისევ ფრომბორკშია?

— ეჰე, ვის კითხულობს! კანონიკიო? არა, ძმაო, უფრო მაღლა ადი: იგი ახლა ოლშტინის ნაცვალია! ძალზე დიდი კაცია! მაგრამ ოლშტინი, ვგონებ, კშიჟაკებს ალყაში აქვთ მოქცეული... კშიჟაკებმა თავიანთი რაზმები მდინარე ლინას გასწვრივ დაძრეს და თვით ოლშტინის კედლებს მიადგნენ.

— აი, უბედურება! — წარმოთქვა გაბრაზებულმა კასპერმა. — მაშ. რა ვქნა? მამა მიკოლაისთან ვარ მისასვლელი, რადაც არ უნდა დამიჯდეს!

— არც იფიქრო, მეგობარო, ახლა ეგ ყველაზე ძნელი საქმეა. რომელი გზითაც გინდა წახვიდე, ორდენის საგუშაგოებს გადააწყდები. დაისვენე ჩემთან ცოტაოდენი, მოღონიერდი... იცი, კიდევ რა, ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო, კასპერ, თორემ მაგ კაზაკურ სვიტკაში ჯაშუშად მიგიჩნევენ და ტყუილუბრალოდ პირველსავე ხეზე ჩამოგკიდებენ. დარჩი ჩემთან...

— არა, კაჭკაჭო, დაყოვნება არ შეშიძლია!

— კარგი მაგრამ, ახლავე ხომ არ წახვალ! მოდი, ვიფიქროთ ცოტაოდენი, რაღაც მოვისაზროთ... მანამდე კი შენი ამბავი მითხარი. ამდენი წელი სად იყავი დაკარგული? არ ვიცი, მართალია თუ არა, მაგრამ შენზე ხმა დადიოდა, თურქულ გალერაზე მონობაც იწვნიაო...

— მართალია, — მოკლედ მიუგო კასპერმა. — ხუთი წელი ვიყავი გალერაზე. მერე... თუმცა, რა საჭიროა ძველის გახსენება!.. ახლა უკვე ჩემს საშობლოში ვარ, ამაზე დიდი ბედნიერება კი არ არსებობს ქვეყნიერებაზე! ხომ არ იცი, სად არიან ჩვენი ძველი ბი-

ჭები — გაბერილი, აწოწილი, ქარიყლაპია, ცოცხლები თუ არიან ღმერთის შეწევნით?

— რაღაც-რაღაცების თქმა შემიძლია... გაბერილი უფრო გაიბერა. თუმცა სარჩო ჩემზე უარესი აქვს, იგი ბალგას იქითა ერთ პატარა კოშუბურ სოფელში, ორდენის ნიწაზე ქსენძობს. აწოწილი?.. ახლა ისეთ რამეს გეტყვი, პირს დააღებ! შარშან მონასტერში ვნახე. თავი მოჰქონდა, ხომ იცი, ბაკალავრს, მონასტრის ბიბლიოთეკაში მრომობდა, სამაგისტრო დისერტაციისათვის ემზადებოდა, დომინიკანელთა ძმობაში უნდა შესულიყო... ამ ცოტა ხნის წინ კი ისეთი რამ გავიგე, თმა ყალყზე დამიდგა! ამბობენ, აწოწილი, ქარიყლაპია და ვიღაც-ვიღაცა გლეხები, არ ვიცი, თვით წმიდა ეკატერინეს მონასტერს დასცემიან თუ მონასტრის წინამძღოლს გზაზე — წაუყვანიათ ორი მონაზონი, წაუღიათ ოქრო და ძვირფასი ქვები, რაც წინამძღვარს თან ჰქონია წაღებული, და იმ მონაზვნებითა და ოქროთი გდანსკში გაქცეულან. კარდინალ არნოლდს (იგი ახლა წმიდა ტაბტისგან ლეგატადაა მოვლენილი ჩვენში), ჰო, ამ კარდინალს კინალამ სისხლი ჩაქცევია, ეს ამბავი რომ უთქვამთ! იმასაც ამბობენ (არ ვიცი, მართალია თუ არა), თითქოს მისმა მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობამ წმიდა მამას ზბიგნევის, ჰენრიხისა და სხვების დაპატიმრებისა და წმიდა ინკვიზიციის სასამართლოზე გადაცემის ნება გამოსთხოვაო. კვამლის სუნი დის, კასპერ, კვამლისა! ცუდადაა ჩვენი ამხანაგების საქმე: დაცემა, ძარცვა, მკრეხელობა!

კასპერს ვერ გაეგო, ხუმრობდა იასი თუ მართალს ამბობდა.

— რას რატრატებ, კაჭკაჭო? ვინც გაიგონებს, მართალი ეგონება და ბიჭებს მარტო მაგ ხმებისათვისაც მოხვდებათ გვარიანად!

— არ მეღირსოს ზიარება თუ ერთი სიტყვა მაინც მოვეტყუებინოს! — იჭაჭებოდა იასი, ამართლებდა თავისი სტუდენტობისდროინდელ ზედმეტ სახელს, — მაინც ყოჩაღ, ზბიგნევ, ნამდვილი გდანსკელია!

— ისეთი რა მოზდა, ეს ღვთისმოსავი კათოლიკე უცებ ამისთანა ყაჩაღად რამ აქცია?!

იას-კაჭკაჭმა მხოლოდ ზელები გაშალა.

— დიდი ხანია აღარ ყოფილხარ სამშობლოში, წითურო. და ბევრი რამ შეიცვალა... — თქვა ხმამაღლა. ზერე უცებ იღრიალა: — პავლე! პავლე!.. არა ჩანს! — ამოიქშინა შვებით. — ალბათ სამიკიტნოში გააფარა თავი... თორემ იტყვი რამეს და ისიც არ იცი, ხომ არავინ გაყურადებს, მამა ინკვიზიტორები ხვალ სასამართლოზე ხომ არ წაგათრევენ... ახლა მათ ყველგან ჰყავთ ჯაშუშები!

კასპერს უნებლიეთ გაეღიმა. რა სიმფრთხალეაო! იას-კაჭკაჭი

უნივერსიტეტში ყველაზე თვინიერ ბიჭად ითვლებოდა. მხოლოდ ყბედობა უყვარდა ბევრი, მაგრამ ყბედობის გულისთვის, თუკი პირდაპირ საეკლესიო პირებს არ ეხება, მაინცდამაინც არავის სჯიან... აი, სტაშეკი და ჰენრიხი კი, მართლაცდა, ბევრს ზედმეტს ლაპარაკობდნენ...

— ჰენრიხი სადღაა, არ იცი? — ახლა ადლერი გაიხსენა კასპერმა.

— ჰენრიხი, ქარიყლაპია!

— სტუდენტობიდან მახსოვხარ, წითურო, — უცებ წამოიხროლა იასმა, — რექტორთან შენ დასაცავად რომ მივდიოდით, სტაშეკმა მაშინ თქვა, ჩვენი დანაშაული თვითონ დაიბრალაო... ერთი სიტყვით, შეიძლება შენი ნდობა, შენ არ გაყიდი მეგობარს...

— იმათ არაფერი დაუშავებიათ, — გაბრაზდა კასპერი. — უბრალოდ, შეთვრნენ ბიჭები და ყბედობას უმატეს. ამას არც რექტორი მიაქცევდა ყურადღებას, არც დეკანი, მაგრამ პედელმა ქრისტეფორემ მოიწადინა, რომიდან ჩამოსული ინკვიზიტორისათვის თავი მოეწონებინა. ჰოდა, მამა რექტორიც იძულებული გახდა, სიმკაცრე გამოეჩინა... თუმცა, ყოველივე შენც უკეთესად იცი: მითხრეს, მაშინ ჩემ დასაცავად მამა რექტორთან ბრწყინვალე სიტყვა ეიბრძანებია ლათინურად.

— ჰო, წითურო, სანდო კაცი ხარ... შენისთანა კაცი კი ახლა ძალიან სჭირდება ხალხს!.. — კასპერს ყურს არ უგდებდა, ისე განაგრძობდა დაფიქრებული იას-კაჭკაჭი. — რამდენჯერ უნატრიხარ სტაშეკსაც და ჰენრიხსაც — ოჰ, ერთი წითური აქ იყოსო... ჰო, კასპერ, ჩვენს ხალხში... რანაირად გითხრა... ათასნაირი აზრი გავრცელდა... თითქოს თვალები აეხილათო... ვერც წარმოიდგენ და, თანამდებობის პირთაც კი კათოლიკური სარწმუნოებისადმი რწმენა შეერყათ... მე მაინც, ასე თუ ისე... მაგრამ ჰენრიხი — პიტალო კლდეა! ის კოცონზე დაწვაზეც, წამებაზეც მზადაა ძველი ქრისტიანივით!

— გასაგებად, მითხარი, კაჭკაჭო, რას როშავ: ძველი ქრისტიანია, კოცონია, წამებაა...

— ერთი სიტყვით, ორდენის მაგისტრმა ჰენრიხის თავი ხუთ ათას ტალერად დააფასა, რომის წმიდა ტახტიც ერთ მაგდენს დაუმატებს, ოღონდაც ჩვენი ქარიყლაპია მოიხელთონ!.. ესეც შენი ძველი ქრისტიანიც, კოცონიცა და წამებაც... მეტს ველარაფერს გეტყვი, იმიტომ კი არა, შენი მეშინოდეს, უბრალოდ, აღარაფერი ვიცი! — დაიქაქანა იასმა და იქვე გადმოალაგა „მეტი“: — ვერც მოასწრებს ჰენრიხი ჩვენს მხარეში გამოჩენას და მაშინვე ან მონასტერი იწვის ან ციხედარბაზს ძარცვავენ უცხო პირნი... ჰენრიხზე ჩვენი კანონიკებიც ილესავენ კბილებს, მაგრამ სანამ ორდენთან ომი მიმდინარეობს, ხელს არ ჰკიდებენ — ისა და მისი გლეხური რაზმები ხომ კშიჟაკებს

სიცოცხლეს უმწარებენ! მაგრამ წვიდა ტახტი და კარდინალი არნოლდი ფონ ბრეევ თუ ერთად მოსდგებიან ჰენრიხს, ცუდად წავა მისი საქმე.

— როგორ მინდოდა მისი ნახვა, — თქვა კასპერმა, — ძალიან ძნელია ამის მოხერხება? რას იტყვი, კაჭკაჭო?

— ძალიან ძნელია. — მოუჭრა მამა იანმა. — აბა, ეცადე და გააღწიე ორდენის მიწაზე! ჰენრიხი ახლა ლინას იქითა მხარეს ბატონ-პატრონობს... თუმცა, იცი რა... ჩვენს სახლში ეხლა ერთი კაცია გაჩერებული, ის კაცი ამ დღეებში ჰენრიხთან უნდა წავიდეს, ოლშტინის ტყეში... იქნება, ღვთის შეწევნით, იმან იკისროს შენი წაყვანა...

კასპერმა ჩაახველა, რომ ღიმილი დაეფარა: როგორიც იყო კაჭკაჭი ამ ათი წლის წინ — კეთილი, ხალისიანი, უთავბოლოდ ყბედი — ისეთივე დარჩენილიყო... რომ იცოდნენ მისი დამყოლი ხასიათი, კოლეგები ლამის უკანასკნელ კაპიკებსაც ღასტყუებდნენ ხოლმე.

— ისე, აუცილებლად შემახვედრე ის კაცს! — უთხრა ბუდარით კასპერმა. — პროფესორი ლანგე სადღაა? ხომ არაფერი გსმენია მისი? ან მიტა, მიტა სადაა?. გათხოვდა თუ გერმანიაში გადასახლდნენ, როგორც ერთხელ პროფესორი აპირებდა?

— ეჰ, ლანგეს მეტისმეტად გაუგებარი რამ გადახდა თავს. ისა და მისი ქალიშვილი მენდელშტამის ციხე-დარბაზში წავიდნენ, ორდენის მიწაზე და, გეგონება, მიწამ უყოთო პირი. ვითომცდა იმ შენს პროფესორს სისხლი ჩაექცაო. ბარონმაო, ამბობენ, კრულეეეცში გაგზავნა სამკურნალოდ და ლანგე იქ მოკვდაო. ქალიშვილი უკვალოდ გაქრა. ამის თაობაზე ათასი ჭორი დადის... მაგრამ ჯანდაბას მათი თავი... შენ რა გესაქმება ან იმ პროფესორთან, ან იმ პროფესორის ქალიშვილთან? ჩვენ, ჩვეულებრივ სტუდენტებს, უგვარიშვილოებს, მაინცდამაინც არ გვწყალობდა... თანაც ამდენი წელია გასული, რად გვინდა ძველის გაბსენება!

კასპერმა მღელვარებისგან თითები გაატკაცუნა.

„ოი, კაჭკაჭო, კაჭკაჭო, ნეტავი იცოდე, შენს ამხანაგს რად უღირს ის „პროფესორის ქალიშვილი!“

მაინც სად იქნება მიტა? რა გადახდა თავს? სად მოძებნოს? ანდა, მოძებნოს თუ არა? რაშილა მოეწონება მიტას კასპერი, დამახინჯებული, სახედასახიჩრებული... შეიძლება მიტამ არც აქციოს ზურგი, მაგრამ მასთან ცხოვრება წამებად გადაექცეს...

რომ შეხედა, როგორ უცებ ჩამოუგრძელდა ღა გაუფითრდა მის ამხანაგს სახე, მამა იანმა მზრუნველად უთხრა:

— დაისვენე, მეგობარო! გეტყობა. გზამ დაგღალა და ქანცი გაგაცალა. მე კი ქალაქურ ტანსაცმელს გიშოვი როგორმე. რანაირს მოგიხერხებ, ღმერთმა უწყის, მაგრამ ახალი და სუფთა იქნება...

ოთახში მარტოდ დარჩენილი კასპერი სკამზე მიწვა და თვალები დახუჭა, თუმცა, ძილს არ აპირებდა, უპირველეს ყოვლისა, თავისი მომავალი გეგმები უნდა დაეწყო.

„პირველად მამა მიკოლაის ვნახავ, — გადაწყვიტა ბოლოს, — უნდა ვაუწყო მასწავლებელს ყოველივე, რაც მე და ვუეკს გადაგვხდა! მაშასადამე, აუცილებლად უნდა გავაღწიო ოლშტინისაკენ. შემდეგ, თუ მომიხერხდა, ამხანაგებს ციპოვი და იმათთან გადავწყვეტ, როგორ და სად ვეძებო მიტა, თუკი ავი რამ არ შეემთხვა... მაგრამ ყველაზე პირველად დედაჩემი, ჩემი დედა უნდა მოვძებნო! მერე პან კონოპკას ქვრივი მყავს სანახავი. უსიამოვნო მოვალეობაა სანწუხარო ამბის მიტანა, მაგრამ რას იზამ“.

საღამოს იასმა შეიხედა კასპერთან, დარწმუნდა, ჩემს სტუმარს არ სძინავსო და მოხეტიალე ვაკრულად ჩაცმულ კაცს შეუძღვა ოთახში.

— ძმაო რობერტ, ესაა შენი თანამგზავრი, ამაზე გელაპარაკებოდი, — მიმართა იასმა. — კასპერი გამოცდილი კაცია, ბარგად არ გაგიზდება; პირიქით, გზაში გამოგადგება კიდეც...

კასპერმა ყურადღებით შეხედა თავის მომავალ თანამგზავრს. ბრგე, ხანში შესული კაცი იყო. მთელი მისი მიხრა-მოხრა და თავდაჭერა მის სიმშვიდესა და თვითდარწმუნებაზე მეტყველებდა.

— ძალიან კარგი, — გაეპასუხა რობერტი გერმანულად.

— კასპერ ბერნატი ჩემსავით ძველი მეგობარია ჰენრიხისა, — განუმარტა იასმა, — დიდი ხანია, აქ არ ყოფილა... თურქებს ებრძოლა...

— ვხედავ, — მოკლედ თქვა რობერტმა და თვალი შეავლო კასპერს.

— ოლშტინში შეღწევა მინდა, — უთხრა კასპერმა რობერტს, — იმას აღარაფერი აჯობებდა, თუ გზად ჰენრიხსაც ვნახავდი.

— როდის გინდა გამგზავრება, ძმობილო? — ჰკითხა რობერტმა.

— თუნდაც ხვალვე.

რობერტმა უხმოდ დაუკრა თავი და გავიდა.

ძველმა მეგობრებმა მთელ ღამეს ისაუბრეს. იასი მოუყვა კასპერს ორდენსა და ვარმიას შორის ომის მიმდინარეობაზე, ბევრი ილაპარაკა წვრილი შლიახტების პრივილეგიებისათვის ბრძოლაზე მაგნატებისა და მეფის წინააღმდეგ, კმეტებისა და მეშჩანების მძიმე მდგომარეობაზე, საეკლესიო საქმეებზე. მაგრამ, ჩვეულებისამებრ, დალაგებით არაფერი მოუყოლია. ლაპარაკობდა ბუნდოვნად, სხაპასხუპით და ერთი ამბიდან მეორეზე ხტებოდა.

ერთადერთი, რაც ნათლად გაარკვია კასპერმა, ის იყო, რომ ერე-

სით მოცულ გერმანელთა შიწების მოსაზღვრე ამ მხარეში რომის ავტორიტეტი რამდენადმე შერყეულაო.

გათენებისას ბარაქიანი, ნესტიანი თოვლი შოვიდა, მერე გაყინა.

კასპერი და რობერტი გამოეშშვიდობნენ იასს, გადაიკიდეს მხრებზე ტომრები და გაუდგნენ ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმავალ გზას.

მთავარი გზიდან რობერტმა მალე გადაუხვია სასოფლო გზაზე, შემდეგ სულაც მიყრუებულ საცალფეხო ბილიკზე გავიდა. ფრთხილად მიუძღვებოდა კასპერს, ხშირ-ხშირად იყურებოდა უკან, ნაბიჯს ანელებდა, ჭალას ძლივს შესამჩნევი მოყინული ბილიკებითა და თოვლით დაფარული ჭაობებით უქცევდა მხარს. გზას ჯოხით მიიკვლევდა. ხანდახან კი რობერტი პირდაპირ ჭრიდა ტყეს, გვერდზე იტოვებდა შარაგზებსა და ბილიკებს.

— ამ ადგილებს უნდა შემოვუაროთ, — უმარტავდა რობერტი. — აქ შლიახტურ ბიწებს ორდენის მამულები მოსდევს და ყოველწუთს შეიძლება ლანდსკნეხტებს გადავეყაროთ. ისინი კი ერთსაც არ დაფიქრდებიან, ჩვენია თუ სხვისიო, ისე...

კასპერი მის ხელის მოძრაობაზე მშვენივრად მიხვდა: გადაგაცვამენ თავზე თოკს და — მშვიდობითო!

მძიმე და მომქანცველი მგზავრობის მხოლოდ მესამე დღეს, როდესაც ერთი პატარა მდინარის ფეხქვეშ მოჭრიალე ყინულზეც გადაიარეს, რობერტი მიუბრუნდა კასპერს და უთხრა:

— აგერ, ვარმია, იქ კი, ტყის იქით, ოლშტინია, — რობერტმა ხელით ანიშნა მდინარის იქით ჩაშავებული ტყე, — ეს ლიბენტალია. ლანდსკნეხტებს გაუვლიათ აქეთ...

კასპერმა ოხვრით გახედა დანგრეულ სოფელს. აქა-იქ ამოჩრილიყო დანახშირებული მარგილები — დამწვარი ღობეებიდან ესლა გადარჩენოდა ცეცხლს. ზედ გზაზე მდგარ დიდ მუხის ხეზე კი გადაჭრილ თოკს აქანავებდა ქარი.

ერთნაირი იყო ომი ყველგან — მუსულმანებთანაც, ქრისტიანებთანაც, გერმანელებთანაც, კაზაკებთანაც და პოლონელებთანაც. ყველგან დანგრეული სოფლები, დამწვარი სახლები, ნაგავი. ჩაფერფლილი სახლებიდან ამოშვერილი, თითქოსდა ცას მავედრებელი საკვამურები და ხეზე ჩიმომხრჩვალთა მოქანავე გვამები. ყოველივე ისე ნაცნობი იყო კასპერისათვის, არც არაფერს გაუკვირვებია იგი, არც შეუშინებია.

ნაცარტუტად ქცეული სოფლები სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა, მაგრამ აქამდე არც ერთ იქაურ მაცხოვრებელს არ გადაყრიან.

მგზავრობის მეთორმეტე დღეს რობერტი კასპერს ერთ ღრმა, ბუჩქნარით დაფარულ ხევში შეუძღვა. ძლივს გაარჩია კასპერმა თოვ-

ლში მინამქრული ქოხები. კვამლისა და პურის სუნი მოვიდა საიდანღაც... ამ ადგილებს თურმე სოფლიდან გამოქცეული ხალხი აფარებდა თავს. ხრამის გასწვრივ სოროებივით საკვამლები გამოეთხარათ და აქეე მოერეკათ გადარჩენილი საქონელი.

ბგზავრების შესახვედრად ქალი და კაცი გამოეშურა: ეტყობოდა, რობერტის ნაცნობები იყვნენ. ისინი გულითადად მიესალმნენ რობერტსა და კასპერს. შემდეგ ერთ ვრცელ ქოხში შეუძღვნენ.

— დიდი ხანია აქა ხართ? — ჰკითხა რობერტმა. — ეუზებიუშ, შენ სულ არ მოგელოდი აქ! როსტეველი ხალხი სადღაა?

— გზა განაგრძეს! ცოლ-შვილი არა ჰყავდათ თან წამოყვანილი და საქონელი. ნაცვალთან აპირებენ გაღწევას. ჩვენი სნეფა ხომ ზედ ოლშტინთანაა. როგორი მადლიერები ვართ პან ნაცვლისა — როგორც კი ომის ხმები დაირხა, ყველა დაგვიძახა და გაგვაფრთხილა, თავდაცვაა მოსალოდნელიო. ჰოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ: ახალგაზრდა გლეხები კშიეკებისაგან ქალაქის დასაცავად ციხესიმაგრეში წაიყვანეს, დანარჩენები, საქონლიანად—ტყეში. ღვერთმა ბედნიერება და დიდი დღე მისცეს მის უსამღვდელოესობას, მამა მიკოლაი კოპერნიკს. ბრძანა ციხესიმაგრის ამბრეებიდან ჩვენთვის ფქვილიც მოეცათ, ბურღულიც, ზორბალიც, ოდიცა და ქერიც; კიდევ ქონი და ზეთი, რომ აქ გამოხიზნულებს ძალიან არ გვეშიმშილა...

კასპერს უნდოდა მასპინძლისათვის უფრო მეტი რამ ეკითხა კოპერნიკზე, მაგრამ შეწუხებული რობერტი მივიდა მასთან.

— თუ ოლშტინში წასვლას აპირებ, ერთმანეთს უნდა გამოვემშვიდობოთ, — ძმა ჰენრიხი თავისი ხალხით მელზაკში გადასულა. ანდა, თუ გინდა, შენც ჩემთან ერთად წამოდი მელზაკში.

— არა მე მაინც ოლშტინში გაღწევაზე ვფიქრობ. ჰენრიხს რომ ნახავ, უთხარი, ძალიან უნდოდა-თქო შენთან შეხვედრა.

ის საღამოს რობერტი ყველას გამოეთხოვა და ჩრდილოეთით წავიდა. კასპერმა მასპინძლებს ოლშტინის გზა ჰკითხა.

— ძნელია, ძნელი იქ წასვლა, — ერთდროულად უპასუხა ცოლქმარმა. — აქაურობა დაჭაობებულია და ვაი თუ ჩაიხრჩოთ სადმე.

— მამა მიკოლაი უნდა ვნახო უეჭველად, კეთილო ხალხო, — საოწარკვეთით მიმართა კასპერმა.

ამ სახელის ხსენებამ მაგიური ძალით იმოქმედა.

— მაშ, კარგი, მე წაგიყვან, — მცირე ყოყმანის შემდეგ შეჰბირდა მასპინძელი, თან ცოლს შიშნარევად შეხედა.

კასპერს კი იმ ქალისაკენ გახედვისაც ეშინოდა: სახუმარო საქმე იყო განა! ასეთ დროს, ამისთანა გზაზე რომელი ჭკუათმყოფელი ქალი გაუშვებდა ქმარს.

— უნდა გაჰყვე, ეუზებიუშ, მაშ, უნდა გაჰყვე! — უთხრა ქალმა.

— ოღონდ თვითონ ციხემდე ვერ მოახერხებ მიყვანას, იმ მხარეს კშიქაკებს ფეხს ვერ აუქცევ!

— ფრიდრიხსბაუმამდე რომ მივიყვანო? — ვარაუდობდა მასპინძელი. — ფრიდრიხსბაუმამდე შიგიყვან, ციხემდე კი, შენ როგორც გერჩივნოს, ისე მიდი. — თქვა ბოლოს დამნაშავესავით. — მინდა მამა მიკოლაის ვასიამოვნო, მაგრამ უბედურება ისაა...

კასპერი კი სიხარულისგან მზად იყო, ქმარიც გადაეკოცნა, ცოლიც და მათი მეზობლებიც, იქ რომ შესწრებოდნენ.

მთელ ღამეს იარეს. გათენებისას კასპერამდე რაღაც მიყრეებულმა გრუხუნის ხმამ მოაღწია.

— ზარბაზნებია! — მაშინვე მიხვდა კასპერი.

ეუზებიუშიც ნაკლებად როდი სცნობდა ზარბაზნის ხმას.

— ალბათ კშიქაკები შეტევაზე გადადიან! — პირქუშად ჩაილაპარაკა მან, ბეწვის კაპიუშონი გადაიწია და გულმოდგინედ გადაიწერა პირჯვარი. — ხელი მოუმართე, მოწყალეო უფალო, ჩვენს ნაცვალ! — იმე წარმოთქვა ლოცვა, თითქოს ბრძანებას იძლეოდა.

ერთი პატარა სოფლის ნანგრევებთან რომ მივიდნენ, კასპერის გაცილებული შეჩერდა:

— აბა, მშვიდობით, ძმობილო! აგერ, იმას ხომ ხედავ, შავად რომ მოჩანს, ეგ კშიქაკევის ბანაკია. ლინას ნაპირს ვეღარ გაარჩევ, თოვლმა წაშალა. ციხესიმაგრე იქითა მხარესაა. მშვიდობით იყავი და ღვთის მადლი გფარავდეს!

კასპერი მარტოდ დარჩა დანგრეულ სოფლის განაპირას, გადაბუგული ქოხის მახლობლად. იგი ქოხში შევიდა, ზედ ზღურბლთან მოკლული ლანდსკნეხტი ეგდო, უსიცოცხლო ხელები გვერდზე გადავარდნილი არკებუზისაკენ გადაეწვდინა.

კასპერი აქეთ-იქით ყურებით დასწვდა არკებუზს. შემდეგ ქოხიდან გამოვიდა, იქვე ზღურბლთან ჩამოჯდა და აუჩქარებლივ ისაუზმა ყველითა და პურით, ზედ ოწინარდამწვარი ჭიდან ამოღებული წყალიც დააყოლა. ცოტა ხანს კიდევ იჯდა ზღურბლზე, მერე ადგა და იმ გზას გაუყვა, რომელიც ოდესღაც სასოფლო შარად ითვლებოდა ალბათ.

ყველგან ორდენის ჯარისკაცთა და გლეხთა გვამები ეყარა, გზისპირა ჯვარცმასთან კი მკვდარ ქალს მკვდარი ბავშვი ჩაეხუტებინა გულში. კასპერმა თავი გადიაქნია, შეეცადა ქალისთვის ხელები გაეშლევინებინა, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა.

შემდეგ კასპერი ქოხში დაბრუნდა და მკვდარ ლანდსკნეხტს ტანსაცმლის გახდა დაუწყო. გვამი ისე გაფიჩხებულიყო, მისი ტანთგახდა მეტისმეტად გაძნელდა, ბოლოს და ბოლოს კასპერმა მაინც შე-

მოაძრო მიცვალებულს განიერი საყელო, გახადა წითელი ტყავის ქურთუკი და განიერი შარვალი. ციყვის კუდით მორთული ჯარისკაცული ქუდი იქვე ეგდო, სკამზე. კასპგრმა ტანთ გაიხადა და მიცვალებულის საცმელი ჩაიცვა. ტანსაცმელი თითქმის მისი ზომისა აღმოჩნდა.

„უფრო იმედიანად ვიქნები", — გადაწყვიტა გუნებაში და იქით გაემართა, საიდანაც ზარბაზნის ხმა ისმოდა.

ნახევარ საათს იარა კასპერმა და არც ერთ ორდენის გუშაგს არ გადაჰყრია, მაგრამ შერე მის ყურთასმენას მისწვდა ჯერ შორეული და გაურკვეველი, შემდეგ კი უფრო გამოკვეთილი ხმაური. უკვე გაარჩია კიდევაც ზომიერი ნაბიჯების ხმა, იარაღის ელარუნი, ხმამაღალი გინება. კასპერმა გაარღვია დათოვლილი ჯაგნარი და გზაზე გამოვიდა.

ქარს მოჰქონდა სიმღერის ნაწყვეტები. მოსაუბრენში ლანდსკნეხტთა რაზმი გამოჩნდა.

ჯარისკაცები სიმღერით მოდიოდნენ:

> მკერდსა მკრეს ტყვია, მკერდსა მკრეს ტყვია,
> ჩემი სიკვდილის დამდგარა ჯერი,
> წამასვენებენ შუბთა საკაცით —
> ასეთი არის ადათი ჩვენი. —

მაღალი ყმაწვილური ხმა აძბობდა მოძახილს.

ზეს ამოფარებული კასპერი უცდიდა ავანგარდის გავლას და, როგორც კი პირველი კოლონა გასცდა, მეორე კოლონას შეერია სწრაფად.

ხანშიშესულმა, თეთრულვაშა მეომარმა შენიშნა იგი.

— არ უნდა ჩამორჩენილიყავი, ძმობილო, — ჩაულაპარაკა ჩუმად, — გაფრთხილდი, კაპიტან ლანდგამერს არ მოხვდე თვალში, თორემ გაჯოხვა არ აგცდება.

— რას არ ჩამორჩები ამ უგზოობაში, — უპასუხა კასპერმა გერმანულად, — ისეთი წუმპეები დგას, გეგონება, ეშმაკებს მთელ ღამეს უზელიათო ტლაპო.

მართლაც, მზემ დილიდანვე დაათბო დედამიწა და საღამოსთვის უკვე კარგად იყო შემლღვალი. თოვლი დნებოდა. ხალხს ფეხი უსხლტებოდა, იარაღის ბრახუნით ენარცხებოდნენ ძირს და გამწარებულნი იგინებოდნენ, ღმერთსა ჰგმობდნენ.

გზის პირას ტყე თანდათან შეთხელდა. ერთ მომრგვალებულ მინდორზე მრავალი კოცონი ენთო.

— ეი, ვინ მოდის? — გაისმა გუშაგის ხმა. — შეჩერდი, შენ გეუბნებიან!

— ნუ ღრიალებ, ნეხვის ტომარავ! — გაეძრახა მეორე ხმა. — ვერ ხედავ, ვის ელაპარაკები, ნამძინარევო ღორო?

— შენ კი ნუ იგინები გამობრუჟული ხუცესივით. წესიერად მიპასუხე, ვისი რაზმია?

— კაპიტან ლანდგამერისა, ეშმაკის ნაშიერო!

— ლანდგამერისა? უფალი იესო, მერედა სად ეჩრებით ტილიანთა ფარავ! აქ ბარონ კაულბარსის სახელოვანი რაზმი დგას, თქვენი ადგილი კი მარჯვნივაა, აგერ, იქით, განაპირას, თვალაბმულო ყეყეჩებო!

— ხმა ჩაიწყვიტე, დამპალო! — იქუხა უცებ მგრგვინავმა ბასმა. — მეთაურის ბანაკი სადაა? გამოძეხი, ვირო! შენ კი, ბრაუდე, რაზმი განალაგე, დაბანაკდით. ბიჭებს აუმე და არაყი დაურიგე. აბა, გამოძეხ, რეგვენო!

— მომყევით, ბატონო ფონ ლანდგამერო! — ჩაერთო უკვე სხვა ხმა. — გუშაგმა ვერ გიცნოთ! ყველა რაზმის უფროსმა უკვე მეთაურთან მოიყარა თავი. მხოლოდ თქვენი მოწყალებაღა აკლია. კაპიტანი ანდრაში სულ ახლახანს მოვიდა.

კასპერმა დაინახა, გაჩერებულ რაზმს როგორ გამოეყო ჩირაღდნიანი კაცი. მას ცხენოსანთა სილუეტები მიჰყვა.

„რაზმთა უფროსების... თათბირია, — კასპერს უცებ მოუმწიფდა თავში გეგმა. — ძაღლის ნაშიერნი! ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ იქნება“. კასპერი მტკიცე გადაწყვეტილებით აედევნა ცხენოსნებს — ჩაუარა კოცონებს, კარვებს, ქოხებს, აბოტებდა აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილ მძინარე ჯარისკაცებს.

ცხენოსნები ერთ დიდ, შიგნიდან განათებულ კარავთან ჩამოქვეითდნენ. კარვის კალთაზე მკვეთრად გამოეხატათ ტევტონთა ორდენის ვეება, შავი ჯვარი.

კარვის შესასვლელთან ორი მხრებზე ჩუგლუგგადებული გუშაგი იდგა. ირგვლივ კოცონები ენთო და მათი ალი ახლომახლო მიწოლილ-მოწოლილ ჯარისკაცთა წვერმოშვებულ, ქარდაკრულ სახეებს მოწითალო შუქს აყენებდა.

კასპერი დუნე, დაღლილი ნაბიჯით მივიდა ლანდსკნეხტების ჯგუფთან.

— გვიზიარეთ ცოტაოდენი სითბო, — თქვა საქსონურ კილოზე დამახინჯებული გერმანულით.

— დაჯექი. სითბო ქონი არ არის, შეზიარებით დაილიოს. რაო, ლანდგამერს ახლდი?

— ლანდგამერს, ჭირსამც წაუღია! — წაიჯაჯღანა კასპერმა. თავის დღეში არ სმენოდა კასპერს, რომ დაქირავებულები თავიანთი უფროსების სიყვარულით გადარეულიყვნენ, ანდა უფროსები დაქირავებულებს მეტისმეტად გაფრთხილებოდნენ.

კასპერმა ცეცხლისაკენ გაიწვდინა გათოშილი წელები, თან სმენა დაძაბა, მაგრამ კარვიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. შემდეგ ვიღაცამ დაილაპარაკა გერმანულად. კასპერმა სიტყვები ვერ გაარჩია, რადგან სწორედ ამ დროს მის გვერდით მყოფი ჯარისკაცი ლანძღვა-გინებით იქრობდა ტანსაცმელზე წაკიდებულ ცეცხლს.

საბედნიეროდ, არავინ იყო ლაპარაკის გუნებაზე, ყველანი ერთიმეორის მიყოლებით მოეწყვნენ დასაძინებლად. კოცონი ჩააქრეს, ნაკვერჩხლები ნაცარში შეახვიეს და ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა. კასპერიც მიწვა და სმენად იქცა

— ...მისმინე, მეთაურო, — შემოესმა ლანდგამერის მოგუდული ბასი. — ოცდაათი წელია ვომობ, მაგრამ, ეფიცავ ბელზებელის რქებს, არასოდეს მსმენია, რომ უარტილერიოდ, ანდა, უარეს შემთხვევაში, კედელსანგრევი ქვემეხების უქონლად ვინმეს ციხესიმაგრისთვის ალყა შემოერტყას.

— ციხესიმაგრეო?! გაიგონეთ, ბატონებო, კაპიტანი ლანდგამერი იმ საშოშიეს ციხესიმაგრეს უწოდებს! — გაეპასუხა სასიამოვნო ბარიტონი, — მარტო მე ჩემი შვეიცარიელებითა და ორდენის აბჯროსნებით ავიღებ მაგ ნაგვის ყუთს!

— ჭირსამც წაუღია, სად ვამიგონია ეს ხმა? — გახსენებას ცდილობდა კასპერი.

— ორდენის ღრმადპატივცემულმა მაგისტრმა მიბრძანა ოლშტინის აღება, — განაგრძობდა სასიამოვნო ხმის პატრონი. — და ჩვენ ეს დავალება დაუყოვნებლივ უნდა შევასრულოთ: რაიმეს თქმა გინდოდა, ლანდგამერ?

— ვგონებ, შენი შვეიცარიელები, მართლაცდა, მხოლოდ საშოშიეების საიერიშოდ გამოდგნენ! არ გადაგვიყოლიოს მაგ ოლშტინმა... ვბედავ და მოგახსენებ — უიმედო წამოწყებაა!

— დააჯრულე? კეთილი. მიყვარს აზრის მოკლედ გამოთქმა. მე სადაოდ კი არა, ბრძანების მისაღებად შეგყარეთ. მზის ამოსვლისთანვე ფონ კაულბარსისა და ბატონ პატრიკის რაზმები სანას ნაბიჯზე შევლენ ტყეში. შენ, როზენბერგ, ცხენოსნებს წაიყვან და ქვეითების უკან ხუთას ნაბიჯზე განლაგდები. წინა ხაზზე საბრძოლო მზადყოფნაში დარჩებიან ლანდგამერისა და ანდრაშის ქვეითები. რამდენი კაცი გყავს, ლანდგამერ?

— რვაას სამოცი რიგიანი მეომარი.

— კარგია! შენ, ანდრაში?

— ცხრაას ოცი შუბოსანი, — მიუგო დამტვრეული გერმანულით უნგრელმა ანდრაშიმ.

— შენ, ანდრაში, და შენ, ლანდგამერ, ციხეს ორი მხრიდან შემოადგებით. ჩემი ზარბაზნების სროლის ნიშანზე დაიწყებთ იერიშს.

ჩვენ ზურგს გაგიმაგრებთ. ამასობაში ყველა მეარკებუზე და მეარ-ბალეტეც თავის საქმეს გააკეთებს. — სამი ზარბაზნის კანონირები ეხოლოდ ჭიშკარს დაუშენენ: კედლების სანგრევად მეტისმეტად პატარებია ჩვენი ზარბაზნები. ფონ ლანდერის რაზმი თადარიგში დადგეს ალტგაუზის იქით, ტყეში. ყველაფერი ნათელია, ბატონებო? კაპიტნებო, დაიკავეთ რაზმებში თქვენ-თქვენი ადგილები. ღამე მშვიდობისა, მეგობრებო!

კარვიდან რაზმების მეთაურები გამოვიდნენ. როგორც ეტყობოდა, კარავში მხოლოდ მეთაური და შოტლანდიელი პატრიკი დარჩნენ.

მეთაურმა კაპიტანს რაღაც უთხრა ინგლისურად. ინგლისური ენა კასპერმა არ იცოდა. მხოლოდ იმას მიხვდა, საუბარი ლანდგამერს შეეხებაო. ნაგრამ აღმოჩნდა, რომ თვითონ მეთაურსაც არ ეპერხებოდა თურმე ინგლისური ენა, რაკიგანაც ვაშინეე გერმანულზე გადავიდა.

— რას ამღერდებოდა ის ყოყოჩა ღორი ლანდგამერი, თუ გეიგებდა, რომ ოლშტინში ოცდაორი ზარბაზანი აქვთ... მომარაგდა, წყეული ვარსკვლავთმრიცხველი! გუშინ ჩვენ ვიწვნიეთ! დღეს კი, გაუშვი, ლანდგამერმა და ივ უნგრელმა ველურმა იგვენონ პირველი დარტყმა. მაგრამ იერიშის დაწყებამდე უნდა დავადგინოთ, როგორი ყინული ძევს ლინაზე... ამ იანვრის თვეს ეშმაკი გამოუძღვა ანბრეთის ქარს თუ რა არის! ოღონდაც არ დათბეს!

მძიმე ფიქრებში წასული იჯდა კასპერი მიფერფლილ ცეცხლთან. ოლშტინი ორ ნაბიჯზეა, იქ შეღწევა და მამა მიკოლაის, გაფრთხილება კი — თითქმის შეუძლებელი.

შეუძლებელია, მაგრამ საჭირო! ამ წყეულ თავს კი ვერაფერი მოუსაზრებია! აღელვებული კასპერი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, მერე ისევ ჩაჯდა და მუხლებზე ხელები შემოიჭდო.

— რატომ არ წვები? — ჰკითხა წვერიანმა აბჯროსანმა, რომელიც ზედ მიფერფლილი კოცონის გვერდით მიწოლილიყო, — ვერ იძინებ? ზდება ბოლმე! თუ ცოლი გაგახსენდა? არ გინდა მაგეთი ფიქრები. ომის დროს მოგონებებს არ უნდა მიეცე: ცუდი ნიშანია...

კოცონთან ვიღაც მივიდა. კასპერმა ნაკვერჩხლების მჭრქალ შუქზე გაარჩია ბუმბულიანი შლაპა. „ლეიტენანტია!“ კასპერმა წამოხტომა დააპირა, მაგრამ ძველმა ჯარისკაცმა მხარზე ხელის დადებით შეაჩერა.

— ახლა მაგის დრო არ არის, — გამოსცრა კბილებში.

ეტყობოდა, თვითონ ლეიტენანტიც გრძნობდა, რომ „მაგის დრო არ იყო“ ახლა.

— ვისი მეომრები ხართ, ბიჭებო? — მის ხმაში რაღაც ლაციცა ნოტები გაისმა.

— კაპიტან ლანდგამერისა, — მიუგო წვეროსანმა.

— შენა? — ჰკითხა ლეიტენანტმა კასპერს.

— მეც კაპიტან ლანდგამერისა ვარ.

— აი, რა, მეგობრებო, — შემპარავად დაიწყო ლეიტენანტმა, — ლინას იქითა მხარეს დაზვერვაზე წასვლაა საჭირო, უნდა გავიგოთ, ლინაზე როგორი ყინული ძევს ან ციხესიმაგრის აღმოსავლეთ მხარეს დიდი დაცვა ჰყავთ თუ არა.

„ესეც შენი ბედნიერი შემთხვევა, უსახლკაროთა და ღატაკთა შემწე!“ — გაიფიქრა კასპერმა.

— მეთაური ფონ ელსტერი გულად მზვერავს წარმატების შემთხვევაში სამმაგ ხელფასს ჰპირდება. ჰა, რას იტყვით?

აბჯროსნები დუმდნენ.

„ფონ ელსტერი! აჰა, აი, რატომ მეცნო ის შემპარავი, მოტკბო ხმა! — კასპერმა წამოიკვნესა კიდეც სიშმაგისაგან. — მაგრამ ახლა ელსტერის დრო არ არის. შემთხვევა თვითონ მივარდება ხელთ!“

— მაგ სამმაგი ხელფასით ჩემი ცოლ-შვილი ერთ თვესაც ვერ გაიტანს თავს! — პირქუშად გაეპასუხა წვერიანი აბჯროსანი. — იმათ კი ციხესიმაგრის გარშემო ყველგან ყარაულები ჰყავთ დაყენებული, ჩვენსავით კი არ არიან... თანაც, წახვალ და შეიძლება ყინულქვეშაც ჩაიქცე!

— მე წავალ, ბატონო ლეიტენანტო! — უთხრა კასპერმა, გადაწყვეტით და ფეხზე წამოდგა. — დამტირებელიც არავინ მყავს და, მართალი რომ ვთქვა, არც სახლი შაქვს.

— ყოჩაღ! რა გქვია?

— კარლ ვოლფი, საქსონიიდან.

— მაშინ, წავიდეთ, კარლ, მდინარისაკენ. ჩვენს ავანპოსტებს გაგაცილებ.

— ეჰ, თავი მობეზრებია ბიჭს! — წაიდუდუნა წვეროსანმა და ლაბადაში მოიუჭჭა.

— დავალება გარკვეულია? — ჰკითხა ლინას ნაპირას მდგარმა ლეიტენანტმა კასპერს. — ოღონდ, იჩქარე, სანამ გათენდებოდეს! აპართულმა უნდა გადაიარო მდინარე, ხოხვით არ გამოდგება: მასე ყინულის სიმაგრეს ვერ გაიგებ! — კასპერი დუმდა. გულის მოსაცემად ლეიტენანტმა შეახსენა: — სამმაგი ხელფასი გეძლევა! საზუმარო არაა! ოღონდ, არ მოგკლან. იქითა ნაპირას თუ მიაღწევ, ეცადე, ციხესიმაგრეს აღმოსავლეთის მხრიდან შეუმჩნევლად შემოუარო, იქიდან, პოლონელების მოულოდნელად, დავიწყებთ იერიშს. ცნობები გვაქვს, რომ იმ მხარეს დაცვა არაა დაყენებული. ესეც შეამოწ-

მე. თუ უფალი ღმერთი შეგეწევა და დაბრუნდები, მე მომახსენებ. მე ლეიტენანტი როზენი ვარ.

— მესმის, ბატონო ლეიტენანტო!

— აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! შენ იცი, მზვერავო!

ფრთხილად. მოპარვით გამოიხედა კასპერმა სანაპიროს ბუჩქებიდან. ლეიტენანტი უკვე შორს წასულიყო.

ამართულად ლინას ყინულზე გადასვლა მზვერავს არც უფიქრია. დიდხანს მიხოხავდა კასპერი. სუსტი ყინული ჭრიალებდა მის ქვეშ, იბზარებოდა, რაც სიხარულით უვსებდა გულს: მაგარ ყინულზე კშიქაკები იოლად გადალახავდნენ მდინარე ლინას...

— არა, ეგ არ გეღირსებათ, წყეულებო!— კბილებში გამოსცრა კასპერმა.

კასპერს მოეჩვენა, მთელმა საუკუნემ განვლოო, სანამ იგი, დაღლილობისაგან ღონეგამოცლილი, მიადგებოდა მდინარის მეორე ნაპირს.

წინ, ბინდბუნდში, ჩაპირქუშებულიყო უზარმაზარი ციხესიმაგრე. კასპერს სულ დაავიწყდა სიფრთხილე, ის, რომ ლანდსკნეხტის ტანსაცმელი ეცვა, და წინ გაქანდა.

— შესდექ! ვინ მოდის? — მოისმა პოლონური შეძახილი.

— არ მესროლოთ! არ მესროლოთ! თქვენიანი ვარ! პან კოპერნიკთან მივდივარ! — დაიყვირა კასპერმა.

— შესდექი-მეთქი, გეუბნები. ძაღლის ნაშიერო! ხელები მაღლა!

კასპერი შედგა და ხელები ასწია. სიბნელეს გამოეყო ორი ზორბა ბიჭი და ერთ წამში ზურგზე გაუკრეს ხელები კასპერს.

— ა-ა, არამზადავ, ჩავარდი!

ერთ-ერთმა კასპერის გამყოლმა მოლაშქრემ ციხესიმაგრის კარს გაშმაგებით დაუწყო ბრახუნი.

— ვინ არის? — გაისმა შიგნიდან. — პაროლი თქვი!

— ეშმაკმა წაგიღოს მაგ პაროლებიანად! „წმიდა სებასტიანე“!

— რა მოიტანე?

— სისხლიანი ისრები ჩეშივ სხეულისა! უჯიშო! გამიღე კარი!

— ვიღებ, შემოდით!.. ეს ვინ მოგიყვანიათ?

— არამზადა იმ ნაპირიდან!

— სარდაფში ჩააგდეთ!

— მომისმინეთ, ძმებო, მეტისმეტად მნიშვნელოვანი და საჭირო ცნობები მომაქვს პან ნაცვალთან. მოახსენეთ ჩემზე! — იმუდარებოდა კასპერი!

— მიჰქარავ! — უყვირა ერთმა ყარაულმა კასპერს და ალებარდის ყუა ზურგში უცხუნა.

— იქნება ბურგრავისათვის მაინც მოგვეხსენებინა? — თქვა შეფიქრიანებულმა მეორე ყარაულმა.

კასპერს ნესტიანსა და ცივ სარდაფში ჰკრეს ხელი. კარი ბრახუნით დაიხურა. გაღეჭრიალდა ურდულები.

— ოღონდაც მოახსენონ, ოღონდაც მოახსენონ!.. — ლოცვასავით იმეორებდა კასპერი.

გავიდა ნახევარი საათი. არავინ ჩანდა. გავიდა, ალბათ, ერთი საათიც. სარდაფის კამარისქვეშა პატარა სარკმელში განთიადის მიმქრალი შუქი ჩადგა. თენდებოდა.

სარდაფს კედელ-კედელ გაჰყვა კასპერი და, ბოლოს, კართან აღმოჩნდა.

ფერე მთელი ძალ-ღონე დაძაბა და შეეცადა ზურგს უკან გადაგრეხილი, გახევებული ხელები გაეთავისუფლებინა. რა ბედნიერებაა! საგულდაგულოდ გადაჭერილი თასმა ოდნავ მობოშდა. სიხარულისგან აკანკალებულმა კასპერმა გაითავისუფლა ცალი ხელი, ფერე მეორეც და ტკივილისგან კბილებდაღრჭენილმა ეს დაჯირჯვლებული ხელები გაფეტებით ააბრაგუნა კარზე.

მაინც არავინ მიხედა! სასოწარკვეთილი კასპერი ნესტიან კედელს მიესვენა.

— ჭირსამც წაუღია სუყველა! უ ე ჭ ვ ე ლ ა ღ უნდა მივაწვდინო ხმა ვინმეს!

კასპერს ისე ეჩვენებოდა, ჩემი რახუნისაგან მთელი ციხესიმაგრე ზანზარებსო, გარეთ კი, ეტყობოდა, არავის არაფერი ესმოდა, შემდეგღა, უკანასკნელი ძალ-ღონე რომ მოიკრიბა და გადარეულივით ეცა დახეთქილი, გასისხლიანებული ხელებით კარს, იქვე ახლოს გაიჩხარუნა გასაღებებმა. გარახუნდა ურდული და კარი გაიღო.

კასპერის წინ ანთებული ფარნით იდგა დაბერებული, ახლა უფრო მეტად დაბერებული კოპერნიკის მსახური.

— ვოიცეხ! — დაიყვირა ტყვემ. — ვოიცეხ!

— შენ თვითონ ვინა ხარ, რო? — იკითხა ვოიცეხმა და ზედ საცხესთან მიუტანა ფარანი. — საიდან იცი, გერმანელო, ჩემი სახელი?

— ვოიცეხ, შეშმეხედე რიგიანად, განა მართლა შეუძლებელია ჩემი ცნობა? — საცოდავად მიუგო კასპერმა.

— ნუ ეშმაკობ, გერმანელო, — მკვახედ უთხრა მოხუცმა მსახურმა, — თორემ გასწავლით ჭკუას!

— ვოიცეხ, ეს მე ვარ, კასპერ ბერნატი... აღარ გახსოვს სტუდენტი... — შემოესმა პასუხად მოხუც მსახურს.

ვოიცეხს ხელიდან გაუვარდა ფარანი და აგურის იატაკზე რაბრახით გაგორდა.

— დედაო ღვთისავ, კასპერი ხარ? ჩვენი კარგი წითური ბიჭი! მკვდრეთით აღსდექი, თუ რა არის?!

მუხლები ეღვენთებოდა კასპერს, თვალებწინ ალისფერი ბურუსი ედგა.

— მამა მიკოლაისთან წამიყვანე! ჩქარა! — ძლივს წაილუღლუღა. გრძნობდა, რომ წუთიც და, გონებას დაკარგავდა.

სანამ კოშკს ააღწევდნენ, ვოიცეხს სამჯერ თუ ოთხჯერ მოუხდა შეჩერება, რომ კასპერისთვის სული მოეთქმევინებინა... იმ კართან კი, რომელიც დახვეულ კიბეზე გადიოდა, მოხუცმა მსახურმა იღლია ამოსდო კასპერს და პატარა ბავშვივით გაიყოლია თან.

— შენ მხოლოდ ფეხი შემოდგი საფეხურებზე, — უთხრა დაყვავებით.

ავიდნენ, ბოლოს, კოშკზე. თავს განთიადის მქრქალი ცა ადგათ. შეთხელებული ვარსკვლავები ხან გამოჭიატდებოდნენ გადავლილი ღრუბლებიდან, ხან კვლავ იმალებოდნენ. დაბალ სკამზე თალხტანსაცმლიანი კაცი იჯდა, გვერდით, იატაკზე ფარანი ედგა, მოშორებით კასპერმა დაინახა სკამზე დაწყობილი რვეულები, ცირკულარული მზომელები, დაგრაგნილი ქაღალდი. აგერ, ისიც — კუთხის სიღრმეში მიდგმული ტრიკეტრუმიც.

— პან ექიმო! — შეეხმიანა ვოიცეხი თალხტანსაცმლიან კაცს.

კასპერს გული აუბაგუნდა და შედგა. თვალები დახუჭა ჭაბუკმა.. ყველაფერი გაქრა: მონობის მტანჯველი წლებიც, ის გამანადგურებელი წუთებიც, როდესაც დიდედა სოფიომ სახეზე სახვევი შეხსნა. თითქოსდა მასწავლებელმა გუშინ მისცა დავალება, ვარსკვლავთა კუთხეები გაზომე ანდა გამოანგარიშება შეამოწმეო... თითქოს დავალება შეასრულა და ახლა აქ ამოვიდა კასპერი. ოლშტინის კოშკი ძალიან წააგავდა ლიძბარის კოშკს, საიდანაც ერთხელ კინაღამ ძირს ჩამოვარდა. განსხვავება ისაა, რომ ახლა ასტრონომიული ხელსაწყოები დაუნდობლად მიუწყვიათ განზე.

კასპერმა უცებ გაიაზრა, რა ელვისებურია ადამიანის გონებაო: მან რამდენიმე რამის გაფიქრება მოასწრო, მასწავლებელი კი ახლაღა, შემოუბრუნებლად, გაეძრახა ვოიცეხს:

— შენა ხარ, ვოიცეხ?

— მე ვარ. პან ექიმო!

— ვოიცეხ, ნახევარი საათის წინ ჩემთან ბურგრავი ამოვიდა... საგუშაგოზე ჩვენს მეომრებს ვიღაც იმათი კაცი დაუკავებიათ. მიხედე, საჭმელი მიუტანონ. ოღონდ მერე ისევ შეუკრან ხელები!

— პან ექიმო, პან ექიმო... — დაიწყო ვოიცეხმა, შემდეგ კასპერს ნაცვლისაკენ მიჰკრა ხელი და თვითონ გარეთ გავიდა.

კოპერნიკი კარის რახუნზე შემობრუნდა და წითელ-ყვითლად ჩაცმულ კაცის დანახვაზე უნებურად შეკრთა.

— ვინა ხართ? რა გინდათ?

— მასწავლებელო... პან ექიმო... მამა მიკოლაი, მე ვარ, კასპერ ბერნატი... ვერ მიცანით?

— დედაო ღვთისავ! კასპერ! ცოცხალი ხარ? მოდი, მოდი ჩემთან!

და კოპერნიკმა დაღლილობისა და მღელვარებისაგან ძალაგაწოცლილი კასპერი გულზე მიიხუტა.

თავი მერვე

დამთრგუნველი სიმართლე

კოპერნიკმა კასპერს უბრძანა, დაწექი და მშვიდად იძინე, სანამ გაგაღვიძებენო, მაგრამ იმ ღამეს ნახევარი საათის ძილიც არ ეწერა კასპერს.

როგორც კი თვალს მოხუჭავდა, გარედან გამაყრუებელი ბათქის ხმა გაისმოდა. ციხესიმაგრის კედლები ზანზარს, ფანჯრის მინები ზრიალს იწყებდა.

მერხიდან წამოვარდნილი კასპერი ფანჯარაში გაიყურებოდა, ციხესიმაგრის კედელზე მეომრები დარბოდნენ. განთიადის ბინდბუნდი წარამარა ნათდებოდა აფეთქებათა ცეცხლით.

ოთახიდან გამოსვლა ვერ გაებედა კასპერს — გვერდით, თავის პატარა კაბინეტში ეძინა მამა მიკოლაის, ვოიცეხმა კი ჩურჩულით ამცნო სტუმარს, ეს რამდენიმე დღეა პან ექიმს რიგიანად არც დაუსვენიაო.

კარი გაიღო.

— პან კასპერ, საჭმელი მოგიტანეთ, — გასძახა მოხუცმა მსახურმა.

— ჩუმად, მამა მიკოლაი ჯერ არ ამდგარა!

— არ ამდგარა კი არადა! — ხელი ჩაიქნია ვოიცეხმა. — დაგაწვინა თუ არა, კედელზე გავიდა! — ბუზღუნით ლაპარაკობდა მოხუცი მსახური, მაგრამ მის ხმაში აშკარად იგრძნობოდა სიამაყე. — ყვალანი იქ არიან, კედელზე, — ჯარისკაცებიცა და მეთაურებიც — აბჯრებსა და მუზარადებში... ყუმბარისაგან, რასაკვირველია, ვერც აბჯარი დაგიცავს, ვერც მუზარადი, მაგრამ ნამსხვრევებსა და ქვებს ხომ მაინც აგაცდენს! ეს კი, მამა მიკოლაი, როგორც იყო, ანაფორაში, დგას კედელზე და ბრძანებას იძლევა! განუსჯელობაა!

მაგრამ სიტყვა „განუსჯელობაც“ ვოიცეხისგან „ყოჩაღის“ ტოლ-ფასად გაისმა.

„მასწავლებელი არასოდეს შოქცეულა განუსჯელად, — გაიფიქრა კასპერმა. — ამ სიჯარმაგეში, მით უმეტეს, თავს არ გამოიდებს მამაცობით. მაშ, საჭიროა მისი უაბჯროდ და უმუზარადოდ მეომრებში დგომა...“

— მაშინ, ჩემო კეთილო ვოიცეხ, მეც ახლავე კედელზე გავალ, — თქვა კასპერმა და კარისკენ გასწია, — მეც უმუზარადოდ ვიქნები, მაგრამ კშიჟაკები თავისიანს ალბათ, სროლას არ დამიწყებენ, — დაურთო ჭაბუკმა ღიმილით და რეიტერის ტანსაცმელზე დაიხედა, — ოღონდ კი ჩვენებმა კედლიდან არ გადამაგდონ.

— არ გადაგაგდებენ, — დაამშვიდა ვოიცეხმა, რაკი სტუმრის ნათქვამი სერიოზულად მიიღო. — თქვენი ამბავი აქ უკვე ყველამ იცის... ახალ ამბებს, კარგსაცა და ავსაც, ციხესიმაგრეში უცებ გებულობს ყველა — პან ნაცვლით დაწყებული და უკანასკნელი მეომრით დამთავრებული! მამა მიკოლაიმ თქვა: სირცხვილია, იმათგან გამცემლობას მოელოდე, ვინც ცოლ-შვილი შინ მიატოვა და ჩვენთან გამოცხადდა, რათა ან საძულველი კშიჟაკები განდევნონ, ანდა დაიხოცნენო. ის მეომრებს არაფერს არ უმალავს. „იმ ადამიანებს, ვისთანაც სიკვდილის პირისპირ შესახვედრად მიდიხარ, უნდა ენდო, — გვითხრა მან, — მაშინ უკანასკნელი ჯარისკაცი, თუკი მას გამჭრიახობა ეყოფა, შეძლებს ბრძოლაში დაცემული ოფიცრის შეცვლას...“ ასე დამკვიდრდა ჩვენთან: ჩვენს ხალხს ფულით კი არა, ნდობით ვუხდით საფასურს!

მეტისმეტად გაჭიანურდა საუბარი, ამიტომ კეთილი ვოიცეხის უკანასკნელი სიტყვები კიბეების ბოლოსღა გაიგონა კასპერმა.

— მოიცათ, სად გარბიხართ, პან კასპერ, ხომ უნდა ჭამოთ! — სიტყვა დაადევნა ვოიცეხმა. — მამა ტიდემან გიზეც აქაა, მისი ნახვა მაინც არ გინდათ?

ციხესიმაგრის კედელზე მყოფ მეომრებში იპოვა კასპერმა მამა მიკოლაი, გვერდით შეაბჯრული ბურგრავი ედგა.

„მაშ, ჩემი ცნობები გამოადგათ! — სიხარულით გაიფიქრა კასპერმა.— მასწავლებელს დაცვა იმ მხარეს გაუძლიერებია, საიდანაც კშიჟაკები ციხე-სიმაგრეს მოულოდნელად უპირებდნენ თავდასხმას!“

— პან ტადეუშ, კანონირებს უბრძანე, ზარბაზნის ლულები ერთ ხელის გულზე ასწიონ! — უბრძანა ბურგრავს კოპერნიკმა. — აგერ, იმ ხეებს უნდა დაუშინონ! ბომბარდები გზისკენ მიმართონ!

კოპერნიკი ანაფორით კი არა, ბეწვშემოვლებული მოსასხამით

იდგა თავდაუცველი. ამომავალი მზის შუქზე მასწავლებლის გრუზა თვალში მრავალი ვერცხლისფერი სიმი შენიშნა კასპერმა.

— მოეშზადეთ! ყურადღება! — კოპერნიკი დაეყრდნო კედლის პარაპეტს და გულდასმით დააკვირდა მოწინააღმდეგის მოძრაობას.

კასპერმა კედლის ქონგურებშუა გაიხედა. დაბლა, ციხესიმაგრის ძირას ლინა მიედინებოდა. ლინას იქითა ნაპირზე შავად მოჩანდა მტრის ჯარისკაცთა რაზმები. კასპერმა გაიხსენა, მტერი როგორც იყო ვანლავებული და შეუდგა ფონ ელსტერის გეგმის განმარტებას.

მასწავლებელი ყურადღებით უსმენდა, დროდადრო თავს უქნევდა, თან თვალს არ აშორებდა მდინარის მეორე ნაპირს.

მოულოდნელად დასავლეთის მხრიდან გზაზე ცხენოსანთა მთელი რაზმი გამოიჭრა.

— ეგ მაგათი მთავარი ძალაა! — დაიყვირა კასპერმა. — ამათი, მეალყეების, მაშველი ძალა!

კოპერნიკმა მოწყვეტით დაუშვა ხელი:

— ცეცხლი! ტადეუშ! ესროლეთ!

ციხესიმაგრის ყველა ზარბაზანმა ერთხმად იქუხა. კედლები მურა, სულის შემხუთველ კვამლში გაეზვია.

— ცეცხლი!

კვლავ იქუხეს ზარბაზნებმა.

— არკებუზები ისროლეთ! არბალეტები! — ქვემეხების გრუხუნგრიალში გადაუარა კედლებს ნაცვლის ბრძანებამ.

უცებ, თითქოსდა თუნუქის ფურცელს ქვები დააყარესო, ისე აჭახუნდა თოფები. მათს ხმას ზარბაზნის გრუხუნი ფარავდა.

— კმარა! — ბრძანა მამა ნიკოლაიმ, თან ხელის გაქნევით ფანტავდა მოჰწკლარტო კვამლის ბოლქვებს!

კასპერმა კვლავ გაიხედა კედლის ქონგურებშუა. მთელი სანაპირო მკვდარი თუ მოფართხალე ლანდსკნეხტებით იყო მოფენილი. გზებზე რაღაც ამაზრზენი საშინელება ტრიალებდა: შორიდან გარკვევით შეიძლებოდა დანახვა ერთმანეთში არეული ცხენებისა და ადამიანების მოფუთფუთე დომხალისა, — გაჭენებულ მოიერიშეთათვის ვისთვის საც მოესწრო ჭურვს, ტყვიას თუ ისარს.

— იხევენ, უკან იხევენ! — გაისმა კედელზე ძახილი.

კშიჟაკების პირველი იერიში მოიგერიეს. მტერმა უკან დაიხია.

— დღეს უკვე შეიძლება დასვენება, — თქვა ოლშტინის ნაცვალმა და ოფლიანი სახე წამოსასხამის კალთით მოიწმინდა. — ხვალ კვლავ უნდა ველოდოთ სტუმრებს!

მართლაც, მეორე დილას მტერმა ოლშტინზე იერიში განაახლა

და კვლავ უკუაგდეს. კშიჟაკებმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან. შუადღისას პარლამენტიორი მივიდა თხოვნით, ჩვენი დახოცილების აკრეფვის ნება მოგვეცითო. პარლამენტიორმა დაღუპულთა გვარები ქაღალდზე ჩაიკითხა: აგვაკრეფინეთო „გვამები სახელგანთქმული გმირებისა — კაპიტან ლანდგამერისა, კაპიტან ანდრაშისა, კაპიტან კაულბარსისა“.

მიუხედავად ბურგრავის გამაფრთხილებელი ნიშნებისა, კოპერნიკმა მიცვალებულების გატანის ნებაც დართო და დაჭრილების გაყვანისაც.

„რა ყურადღებიანია ტევტორთა მეთაური დაღუპულთა მიმართ! — ფიქრობდა კასპერი, გადაჯვეგილსა და გავერანებულ მიწაზე მობარგანე მესაზიდრეებს რომ გაჰყურებდა, — ძნელი დასაჯერებელია, რომ სწორედ მან, ფონ ელსტერმა, გამოგზავნა ისინი ნაღდი სიკვდილის პირისპირ“.

მტერი ციხესიმაგრის დაკავების იმედს არ ჰკარგავდა. ერთი-ორი დღით ცოტაოდენი სულის მოთქმის შემდეგ კვლავ განაახლეს იერიში. მზვერავები ყოველთვის დროულად ამჩნევდნენ ლინას იქითა ნაპირზე გამოცოცხლებას. ზარების ხშირი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საგანგაში რეკვა ყველას ფეხზე აყენებდა. მრავალჯერ მოუხდა კასპერს კოშკზე ანდა ციხესიმაგრის კედელზე ასვლა და ყოველთვის გაკვირვებული რჩებოდა ვარმიის კანონიკის წინდახედულებით, იგი, უფლის ნებით, მხედართუფროსიც გამხდარიყო.

კასპერი ბურგრავის მოქმედებასაც შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს და დროხვიჩის თანაშემწის, პან იაზვიცკის რელაციებსაც ეცნობოდა.

პან იაზვიცკი ბურგრავმა მტრის ზურგში — გაუვალ ჭაობებსა და ჭყანტობებში — ჯერ კიდევ მანამდე კარგა ხნით ადრე გაგზავნა, ვიდრე კშიჟაკები ოლშტინის კედლებთან გამოჩნდებოდნენ.

პირველი მძიმე წარუმატებლობის შემდეგ ორდენის ჯარმა შეტევა შეასუსტა. ციხესიმაგრის ზარბაზანთა გრიალში დნებოდა მათი შეუპოვრობა. დაიწყო ალყის მეშვიდე დღე. მზემ უკვე საგრძნობლად გაათბო დედამიწა. ჭუჭყიანი თოვლის საფარველზე მოზშირდა ლილოჭრილები. მკაცრი ყინვები უცებ სითბომ შეცვალა — ბალტიისპირეთის ზამთრის ხშირმა სტუმარმა. სწორედ ამის ეშინოდა ფონ ელსტერს.

კოპერნიკი და კასპერი სათვალთვალო კოშკზე იდგნენ.

— შვილო ჩემო, ჩემო ბიჭო... — წარმოთქვა კოპერნიკმა.

კასპერი შეკრთა. მას კვლავ მოეჩვენა, რომ არასოდეს ყოფილა განშორების ის საშინელი წლები.

— ვიცი, გული არ გითმენს, მრავალი რამის მოყოლა გინდა ჩემ-

თან. აგრეთვე ჩემგანაც გსურს საჭირო ამბების მოსმენა, მაგრამ, არ ვიცი, იმდენად დავბერდი, რომ ორი საქმის ერთად კეთება არ შემიძლია, თუ დავრწმუნდი, ისე ხარ დაკაცებული, დამშვიდებით დაელოდები საჭირო საათს. მაინც... მოდი, გადავდოთ საუბარი!.. კასპერ, კასპერ, ერთი გახედე, იქ რა ხდება? შენ უფრო აბალგაზრდულად გიჭრის თვალი... ნუთუ იაზვიცკი შოუძლვის ჩვენებს?

არა, ლინი იაზვიცკის ხალხი არ იყო. ციხესიმაგრის მარჯვნივ, იქ, სადაც ტყე თავდებოდა და ტყისპირი თანდათან ბორცვიან მინდვრებს უერთდებოდა, ლინის მოსაბრუნთან, მის ყველაზე ვიწრო ადგილას, სადაც მეალყეები სულ ცოტა ხნის წინ ხიდის გადებას ცდილობდნენ, კვლავ თავი მოეყარათ ორდენის ჯარისკაცებს.

— პანე ბურგრავო! პანე ბურგრავო! — დაიძახა კოპერნიკმა, რაკი დაინახა, რომ კშიჟაკებს მდინარის მოსაქცევთან ხეები და ფიჩხი მიჰქონდათ, ხოლო ხრამის თავში მდგომი ჯარისკაცები მაღლიდან ლოდებს აგორებდნენ და მდინარეში ყრიდნენ.

— აჰა, ყველაფერი გასაგებია, — თქვა დროხვიჩმა, — ეგ ძაღლიშვილები ლინის ძველ კალაპოტში გადაგდებას ცდილობენ, რომ წყურვილით აშოგვხოცონ.. რა უნდა ვქნათ? ჩვენი კედლიდან ზარბაზნებს ვერ მივაწვდენთ!

— ჰო, საძაგელი ვითარებაა, — თქვა ფიქრში წასულმა კოპერნიკმა. — ზარბაზნის სასროლზე მეტისმეტად შორს არიან... გამოსავალი ერთია — ციხესიმაგრიდან გაჭრა! მსურველებს უხმე, პანე ბურგრავო! სამწუხაროა, რომ ტყიდან მაშველის გამოხმობა არ შეგვიძლია! — მერე კასპერს შეუტია მკაცრად: — ნუ მიიწევ, ნუ მიიწევ, შენ იქ არავინ გაგიშვებს! შენ აქაურ ადგილებს არ იცნობ, — გზას დაკარგავ, ან ბიცქგადაკრულ ჭაობში ჩავარდები.... ანდა კიდევ მგლის ხაროებს წააწყდები... ეგეც მრავლადაა შომზადებული დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის...

— მაშინ რაზმის უფროსობის ნება დამრთეთ, — სთხოვა კასპერმა, — გაჭრა, მოულოდნელი თავდასხმა კაზაკებთანა მაქვს ნასწავლი. არ შეგარცხვენთ, მასწავლებელო!.. — დაასრულა ჩუმი მუდარით.

კასპერი პასუხს არ დაელოდა და ხვეწნით გაუშეორა:

— მანდობთ რაზმს?

კოპერნიკი უხმოდ ადევნებდა თვალს, რაც ციხესიმაგრის ეზოში ხდებოდა. შემდეგ კასპერი მხრებით შეატრიალა ოლშტინის კარიბჭისაკენ და მოკლედ მოჭრა:

— წადი! ხალხი გელოდება. გზა მშვიდობისა!

ორასამდე ჯარისკაცი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იდგა ქიშკართან. კასპერი ლამის ფრენით ჩავარდა ძირს, მაგრამ ბრძანების გაცემაც ვერ მოასწრო, ხიდი დაუშვით, კარიბჭე გააღეთო. რომ კოპერნიკმა ზევიდან გადმოსძახა:

— მოიცა, კასპერ! აბა, დაკვირვებით გახედე: შგონი, უფალი ღმერთი დამხმარეს გვიგზავნის! ამოდი ზევით — ახლა კი ნამდვილად პან იაზვიცკი გაჩნდა!

შეფერხებით გაგულისებულმა კასპერმა შეასრულა მასწავლებლის ბრძანება. კასპერს დაკვირვება აღარ დასჭირვებია: ტყის სიღრმიდან უკვე გამოვიდა ცხენოსანთა რაზმი. მხედართა ნაწილი შუბით იყო შეიარაღებული, ნაწილი — ჩუგლუგით, ნაწილს — გრძელ ტარზე თასმაგამობმული თუჯის გულა მოქონდა, აქა-იქ, ცხენების თავებს ზემოთ, ცელებიც პრიალებდა.

ასე მარტივად შეიარაღებული, საბრძოლო მწყობრდაუცველი რაზმი ყიჟინითა და კივილ-კივილით პირდაპირ ორდენის აბჯარასხმულ ლანდსკნეხტებზე მოქროდა. ესეც შენი პან იაზვიცკი! სრულებითაც არ მოგაგონებდნენ ისინი რეგულარულ ჯარს!

— დასცხეთ, მაგ უწმინდურ ძაღლებს! დასცხეთ კშიჟაკებს! — გაჰკიოდნენ გლეხები.

— მაშველია, — წამოიძახა კასპერმა, — მაგრამ ჩვენც უნდა მივცეთ მხარი!

კარიბჭე გაიღო და კარგად შეიარაღებულ მეომართა რაზმმა წითელ-ყვითლად ჩაცმული ოფიცრის მეთაურობით, რომელიც ციყვის კუდით გაწყობილ ქუდს მიიქნევდა, ორდენის დაქირავებულ ჯარს სამხრეთიდან შეუტია. ჩრდილოეთიდან კი გლეხთა რაზმი მოკაფავდა მათ. შფოთითა და გაწამაწიით სავსე კვირის განმავლობაში კასპერმა იმდენი დრო ვერ მოიხელთა, რომ გერმანული ტანსაცმელი გამოეცვალა.

მოწინააღმდეგეთა რიგებში პანიკა ჩავარდა. კშიჟაკებმა ბრძოლით დაიხიეს თავიანთი ბანაკისაკენ და საათსაც არ გაევლო, რომ საქმე უკვე მოთავებული იყო. თეთრ, სათვალიო ბედაურზე ამხედრებულმა გლეხების წინამძღოლმა კასპერთან მიაგდო ცხენი. მას ცალ სახელოზე მუქად გადღაბნოდა სისხლის ვეება ლაქა.

— ქარიყლაპიავ! — დაიყვირა ერთხავს მიშტერებულმა კასპერმა.

— წითურო! ძმაო! — შესძახა ჰენრიხმაც და ცხენიდან ჩამოხტა.

მეგობრები ერთმანეთს ჩაეხვევნენ.

— ახლა მეტსახელად „სისვი“ უფრო მომიხდება, — იხუმრა

კასპერმა, — ეს რაღაა, ჰენრიხ, დაიჭერი? ახლავე შეჯექი ცხენზე და ციხესიმაგრეში გამომყევი!

ჰენრიხმა ცერად გახედა ოლშტინის მაღალ კოშკს, მის თუჯის კარიბჭესა და მოიღუშა.

— ჰა, რაღას ფიქრობ, ქარიყლაპიავ? — გაუწყრა კასპერი. — გეტყობა, მარტო „ციხის“ ხსენებაზეც კი ეკალს გაყრის. მაგრამ აბა შეხედე: ეგ ციხე ხომ ამ ჩვენმა მედგარმა გლეხურმა ლაშქარმა დაიცვა! თანაც ჭრილობის რიგიანი შეხვევაც გჭირდება — ეს ერთი, მეორეც — ხომ უნდა წავიმუსაიფოთ ძველმა მეგობრებმა!.. ისე კი, ჰენრიხ, შენ როგორ უმალ მიცანი!—დაურთო კასპერმა სიხარულის დაუფარავდ.

ჰოდა, დაურიდებელმა, გულმართალმა, ციცმა (ტყუილად კი არ შეარქვევს ქარიყლაპია) ჰენრიხ ადლერმა იმტყუნა კასპერთან: ის რომ კასპერ ბერნატი ოლშტინისაკენ მიიკვლევდა გზას, მას ძმა რობერტმა შეატყობინა. თორემ ამ სახეაჩეხილ, წითელ-ყვითლად ჩაცმულ ლანდსკნეხტში მშობელი დედაც ვეღარ იცნობდა მის მეგობარს!

— რატომ ვერ უნდა მეცვნე? — წაიდუდუნა გლეხთა ბელადმა და თვალი აარიდა კასპერს.

მერე რაღაც უბრძანა თავისიანებს და მისი რაზმი ისევ უცებ გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

ოლშტინის ნაცვალი ჭიშკარში გაეგებათ. იგი კასპერს გადაეხვია და გულითადად მიესალმა ჰენრიხს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პანე, ჩვენს ციხესიმაგრეში! ოჰო, დაჭრილი ხართ? მაგ ჭრილობას მე თვითონ მივხედავ... ოლშტინი თქვენი თავშესაფარი იქნება სადამდეც მოგესურვებათ. ვატყობ, თქვენ და კასპერი ძველი ნაცნობები ბრძანდებით, პან...

— ...ჰენრიხი, — უკარნახა კასპერმა, — ჰენრიხ ადლერი...

— პან ჰენრიხი რაც შეიძლება კარგად მოაწყვეთ და მასზე ზრუნვა ვოიცეხს დაავალეთ. მე ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, პან ჰენრიხ, რა ღროულად გვიხსენით თქვენა და თქვენმა ბიჭებმა ღღეს. პან, ალბათ, ხვდებით, რასაც ვგრძნობ...

ჰენრიხმა სიტყვაუთქმელად დაუკრა თავი.

იმ ღამეს გათენებამდე ისაუბრეს ძველმა მეგობრებმა. მიუხედავად ჭრილობისა და ბევრი სისხლის დაკარგვისა, ჰენრიხმა არც თვითონ დაიძინა, არც კასპერი გაუშვა იქიდან.

— მოდი, დაბლა, კანონიკ გიზესთან ჩავიდეთ, იგი ოლშტინის ალყის დღიურსა წერს, — სთხოვა კასპერმა მუდარით, — რამ-

დენი დღეა ციხესიმაგრეში ვარ და აქამდე დრო ვერ მოვიხელოთ მის სანახავად! მას კი მრავალი სიკეთე გაუწევია ჩემთვის!

მაგრამ ჰენრიხის დათათბირება არც ისე იოლი იყო. იგი სიტყვა „კანონიკის“ ხსენებითაც კი ცოფდებოდა.

— სანამ სხვები იბრძვიან, ის შენი კანონიკი არხეინად ზის და ალყის დღიურს ადგენს. ვოიცეხი კიდევ პირდაპირ სარეცელში მიართმევს ხოლმე სანოვაგესა და ღვინოს, ხომ!

დაურიდებელი, გულმართალი, ცივი ჰენრიხი ზოგჯერ უზომოდ უმართებულოც იყო: მამა მიკოლაიმ უამბო კასპერს, რომ ალყის დასაწყისში ტიდემან გიზე დღედაღამ გვერდიდან არ სცილდებოდა და მასთან ერთად ან სათვალთვალო კოშკში იყო ან ციხესიმაგრის კედელზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი უდიდებულესობის ბრძანება შოვიდა, კანონიკს ალყის დღიურის წარმოება ევალებაო, მამა ტიდემანი ნაცვლის თავგადაკლული თხოვნის შემღეგ ჩავიდა ქვევით, სარდაფში, სადაც თავისუფლად შეეძლო მუშაობა, რადგანაც იქ სუსტად აღწევდა სროლის ხმა. აქვე ღებულობდა იგი ზზვერავთა დასმენებს და იმ მცირეოდენ ცნობებს, რომლებიც სიცოცხლის ფასად მოჰქონდათ გდანსკელსა და კრაკოველ შიკრიკებს დიდი პოლონეთიდან.

ძნელი გასაგები იყო, რატომ ახსენა ჰენრიხმა ტიდემან გიზესთვის პირდაპირ სარეცელში მიტანილი სანოვაგე და ღვინო. ოლშტინში ყველა, ნაცვლიდან მოყოლებული უკანასკნელ მოლაშქრემდე, მეტისმეტად ხელმოჭერილად იკვებებოდა და ზოგჯერ წყლის სიმცირესაც იტანდნენ. ტიდემან გიზეზე თუ ვიტყვით, მას კუჭი აწუხებდა და კარგ დროსაც ძალიან ცოტას ჭამდა, არამცთუ ავ დროს. წყალგაურეველ ღვინოს კი, საერთოდ, არასოდეს ეკარებოდა.

მამა ტიდემანმა კოპერნიკისა და ვოიცეხისაგან უკვე იცოდა, რომ კასპერ ბერნატი ცოცხალი და ჯანმრთელი იყო, დაბრუნდა პოლონეთში და ის რამდენიმე დღე ოლშტინში იმყოფებოდა. მოხუცს ცოტაოდნავ სწყინდა კიდევაც, „ბიჭმა“ დრო რატომ ვერ გამოძებნა ჩემთან ჩამოსასვლელადო.

უნდა ვაღიაროთ, რომ გულის სიღრმეში კასპერს ეშინოდა კიდევაც ამ შეხვედრისა. ოდესღაც ხომ სწორედ ტიდემან გიზე გამოთქვამდა დაუფარავ აღტაცებას კასპერის გარეგნობის გამო: „ნამდვილი, წმინდაწყლის ძველპოლონური ტიპია! — ამბობდა იგი, მხოლოდ თმა უნდა ჰქონდეს ოდნავ მოთაფლისფრო ან ქერა“.

კასპერი ფიქრობდა, ტიდემან გიზესა და სახეაჩეჩილი კასპერ ბერნატის შეხვედრა ბევრ უსიამო წუთს გადაჰყრიდა ორივეს, მაგრამ თავს მოერია და გადაწყვიტა, აღარ გადაედო მისი ნახვა.

ჩადიოდა კასპერი სარდაფში და წინასწარ ამზადებდა გიზესთან სათქმელ სიტყვებს, მაგრამ სავარძელში ჩაფლულ ჩია ტანის მოხუცს მიუახლოვდა თუ არა, სულ გამოუფრინდა თავიდან ყველაფერი. როგორსაც იცნობდა კასპერი კანონიკ გიზეს, ისეთადვე დარჩენილიყო: გამხდარი, ფეროვანი, გადმოკარკლული ღია ცისფერი თვალებით...

მამა გიზემ თვალი შეავლო სახეაჩეხილ მშვენივრად აღნაგ ყმაწვილ კაცს, რომელიც ხელზე ჰკოცნიდა და ვერ იცნო კასპერი, მერე კი, როცა მიხვდა, ვინც იქნებოდა, ნირწახდარი აწუწუნდა ჟამთა სვლის სიავეზე, თავის სუსტ, ბებრულ მეხსიერებაზე.

...მაგრამ შეხვედრის პირველი ძნელი წუთები უკან დარჩა. მამა ტიდემანი მხიარულად უსინჯავდა კასპერს მაგარ კუნთებს და განიერ მხარ-ბეჭზე უტყაპუნებდა ხელს.

—აი, ეს ჩვენი მტრების ზურგიდან მოტანილი ცნობებია, — უთხრა უცებ გიზემ და ყმაწვილ კაცს წინ მიუცურა ქაღალდების დასტა, —აბა, ერთი ძველებური გაიხსენე, ჩემო ბიჭო, და მთელი ეს რელაციები გადამიწერე. მეფემ ბრძანა, ოლშტინის სანაქებო დაცვის შესახებ ყველა ცნობა გამომიგზავნეთო. ჩვენ ასეც მოვიქცევით, მაგრამ... — კანონიკმა ეშმაკურად შეხედა კასპერს, — მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენთანაც, ციხესიმაგრეშიც, დარჩეს მათი ასლები...

წერდა რელაციებს კასპერი და თვალნათლივ რწმუნდებოდა, რა ბრაზრებულად, ჭკვიანურად და ეშმაკურადაც კი იყო მომზადებული და განხორციელებული ოლშტინის დაცვა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ალბრეხტი თავიდან ოლშტინის აღებას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მარწუხებში მოქცევით აპირებდა. ამიტომაც ეჟი კონოპაცკიმ, ზღვისპირეთის ვოევოდამ, თავისი ცხენოსნები პირდაპირი გზით ჯაგნარსა და ჭაობებზე ატარა და მორგანიდან ოლშტინისაკენ გაიკვლია გზა. ცხენოსანთა ნაწილი მან ოსტრუგთან ლივსკი მლინს გაუგზავნა, რომ საჭიროების შემთხვევაში კშიჟაკები შეეკავებინათ. თვითონ განახევრებული სადროშოთი ოლშტინს მიადგა და ქალაქის მახლობლად დაბანაკდა.

როგორც უკვე კასპერმა იცოდა, ციხესიმაგრეს ოლშტინის ბურგრავის, დროხვიჩის ხალხი იცავდა.

მიკოლაი კოპერნიკის ბრძანებით, კანონირებს ზარბაზნების სასროლად დღემუდამ მზად ჰქონდათ ხის ნახშირი. ოსტრუგიდან მოსული მზვერავები იტყობინებოდნენ, რომ კშიჟაკებმა ეს პოზიცია მიატოვეს და თავდასხმა მხოლოდ ლინის მხრიდან — აღმოსავლეთიდანაა მოსალოდნელიო.

მაგრამ, ჯერ კიდევ მტრის გამოჩენამდე, დროხვიჩის ქვეითი ჯარის ნაწილები ლინის მარცხენა ნაპირას, ბუჩქნარში განალაგეს. ასე

რომ, მარწუხი ოლშტინისათვის კი არა, თვითონ კშიეაკებისათვის მომზადდა!

ნაბა ტიდემანის დავალებას კასპერი გულდაგულ ასრულებდა, შაგრამ მან თავის თავს წაასწრო, რომ გარედან შემოღწეულ კანონადის ხმას უფრო გულდაგულ აყურადებდა. კანონიკი გიზე მხოლოდ ჩაიცინებდა ხოლმე თავისთვის, როცა შეხედავდა, „ბიეი“ შიგადაშიგ როგორ მიაგდებდა კალამს.

— დღეისათვის კმარა,—მოიღო ბოლოს მოწყალება გიზემ.—ხვალ კი ისევ ჩამობრძანდი სარდაფში მდივნის მოვალეობის შესასრულებლად. ახლა ცოტაოდენი წავიმუსაიფოთ ძველებურად, ჩვენებურად.

მამა ტიდემანი დაინტერესდა ოლშტინელებისადმი გლეხთა რაზმის ახალგაზრდა წინამძღოლის მიერ გაწეული დახმარებით.

— გამოგზავნე ჩემთან, შვილო! — უთხრა კასპერს. — ეგეც „ოლშტინის დაცვის ისტორიის“ ნაწილია. ხვალვე მე და ის შენი მეგობარი გულითადად ვიმუსაიფებთ.

ძალიან გაუჭირდებოდა კასპერს კეთილი მოხუცისათვის აეხსნა, რომ ისა და ჰენრიხი გულითადად ვერასოდეს იმუსაიფებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, მამა მიკოლაის მოთათბირებოდა ან რაიმე მოემიზეზებინა, რითაც ჰენრიხის სარდაფში ჩაუსვლელობას გაამართლებდა, მაგრამ მიზეზის ძებნა საჭირო აღარ შეიქნა: მეორე დღის განთიადზე კშიეაკებმა განაახლეს შეტევა.

მტერი ნახევარწრედ მოიწევდა წინ და მარცხენა ფრთა მდინარის იმ მიმართულებით გაეშალა, სადაც იმ ზაფხულს ფონი იყო.

— ცუდი მზვერავები ჰყავთ რაინდებს! — უთხრა მამა მიკოლიმ კასპერს. — ახლა იქ ფონის სახსნებელიც აღარაა, წყალი ღრმაა, ყინულს კი, პან დროხვიჩის ბრძანებით, ყოველღამე ცულებით ამტვრევენ. წუხელის სიცივემ მოუკრა და მდინარე შეყინა, მაგრამ ისეთი თხელი ყინულია, ვერც ქვეითსა და, შით უფრო ვერც ცხენოსან ჯარს ვერ გაუძლებს!

კშიეაკები მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, ერთად შეგროვდნენ და მეორე ნაპირზე ხიდის გადებას შეეცადნენ, მაგრამ მათ ზურგიდანაც და მოპირდაპირე მხრიდანაც სროლა აუტეხეს: დროხვიჩის ხალხი მოქმედებდა.

იმ ადგილას მდინარე მეტისმეტად ფართო, ყინული კი სუსტი იყო. გაცილებით აჯობებდა ლინას ფორსირება უფრო ქვემოთ, თვით ციხესიმაგრის კედლების მახლობლად მოეხდინათ. კშიეაკების მეთაურმა მიმართულება შეცვალა და სწორედ იქით გადაანაცვლა თავისი ძალები. კოპერნიკსაც ეს უნდოდა. ზარბაზანის ლულები იქით მიმართა, სამიზნე შეამოწმა და ხელში ფალიამომარჯვებული

დაელოდა, სანამ ციხესიმაგრის კედელთან უფრო მეტი მტერი მოიყრიდა თავს.

კასპერი უყურებდა, რა მძიმედ დაიწია უკან ზარბაზანმა და ირგვლივ ყველაფერი ლურჯმა კვამლმა დაფარა. იმავე წამს ტყიდან პან იაზვიცკის ზარბაზნებმა მისცეს ბანი.

კშიჟაკების მეთაურები შემდრკალი რაზმების წინ დაჭენაობდნენ და აიძულებდნენ მათ, კვლავ იერიშზე გადასულიყვნენ. მახვილს განსაკუთრებული გახელებით ერთი თეთრ წამოსასხამზე შავჯვარმიკერებული კაცი აგელებდა. კოპერნიკმაც ერთხელ კიდევ დაუმიზნა და პირდაპირ იმ კაცს ესროლა. კშიჟაკების მეთაური მოწყვეტით ჩამოცურდა ცხენიდან, ცხენი დაფრთხა და მიწაზე თრევორევით წაიღო მხედარი.

საღამოს ბურგრავმა კოპერნიკს მოახსენა, მტერმა ბანაკი მიატოვაო. მიტოვებულ ადგილას ჩაუმქრალი კოცონებიღა ხრჩოლავდა, ეყარა ნაგავი და სულთმობრძავი ცხენები, კოპერნიკმა ბრძანა ცხენები დახოცეთო. მისმა ხალხმა კი გაბოროტებისაგან კინალამ ცხენებს საველე ლაზარეთში ჩარჩენილი დაჭრილი ლანდსკნეხტიც მიაყოლა. ნაცვალმა ბრძანა, დაჭრილი საკაცით ციხესიმაგრეში მოიყვანეთო.

მხოლოდ კაცთმოყვარეობა როდი კარნახობდა მამა მიკოლაის. ჭრილობაშეხვეული, გამოკვებილი ლანდსკნეხტი, ცოტათი მოსულიერდა თუ არა, ხალისით ალაპარაკდა.

— ჩვენი ჯარი უკან გაბრუნდა, ორდენის მიწაზე, — ამბობდა იგი, თან წყევლიდა და კრულავდა იმ ამხანაგებს, რომლებმაც მიატოვეს, უფროსებს, მეთაურ ფონ ელსტერსა და თვით ტევტონთა ორდენის მაგისტრსაც კი.

დიახ, პოლონელებს უტყუარი ცნობები ჰქონდათ: სამივე კაპიტანი იმ რაზმებისა, რომელთაც თავის თავზე მიიღეს პირველი ცეცხლი, მოკვდა. მათი ჯარისკაცებისაგანაც ცოტა ვინმე თუ გადარჩა ცოცხალი. მეთაური ფონ ელსტერი მამაცი კაციაო, ამბობდნენ, მაგრამ ისიც იძულებული გახდა, უკან დაებია, ვინაიდან ოლშტინი კირკიტი კაკალი გამოდგა. ციხესიმაგრისა და ქალაქის შიმშილით აღება, როგორც მაგისტრი ვარაუდობდა, შეუძლებელი შეიქნა: სურსათი თვითონ კშიჟაკებს გაუთავდათ, გარდა ამისა, დაქირავებულებმა უარი თქვეს არტილერიის დაუხმარებლად ციხესიმაგრის იერიშით აღებაზე. მაგისტრმა კი უგზოობის გამო ვერც ზარბაზნები მიაწვდინა დროზე, ვერც სანოვაგე.

— ჩვენი ერთადერთი ქვემეხი ჰერ კოპერნიკმა ნამსხვრევებად აქცია. ოთხი პატარა ზარბაზანი კი ჭაობებზე გადაზიდვისას ტალახში ჩაეფლო.

კშიჟაკებს სურსათი რომ გამოლეოდათ, ოლშტინის დამცველები ლანდსკენხტის უთქმელადაც ხვდებოდნენ: მიტოვებულ ბანაკში წარამარა აწყდებოდნენ გატყავებულ, შიგნეულგამოცლილ ცხენების გვამებს. როგორც ჩანდა, სახელოვანი ჯვაროსანი რაინდები, თათართა მსგავსად, ცხენის ხორცის ჭამასაც არ თაკილობდნენ.

ციხესიმაგრის მისადგომებთან არც ერთი კშიჟაკი ალარ დარჩა!

— სასიხარულო ცნობაა, — კმაყოფილებით თქვა ნაცვალმა, მტრის უკანდახევა რომ გაიგო.

გამარჯვების მაუწყებელი ზარები შემოჰკრეს ციხესიმაგრეში. მას ქალაქ ოლშტინის ყველა კოსტიოლის ზარმა მისცა ბანი. სარდაფებსა და მიწურებში შემალული ხალხი ქუჩებში გამოეფინა. ოლშტინის ბაზარი კვლავ გადააშავა ხალხმა, მაგრამ იმ დღეს არც მყიდველი იყო ვინმე, არც გამყიდველი, ადამიანები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ. „ვივატ! ვივატ!“ — გუგუნებდა ყველგან. ქუჩებში თავშეყრილი მოქალაქენი თავიანთ მხსნელებს ესალმებოდნენ. საიდანღაც მზარეულები გაჩნდნენ. ქუჩებში უზარმაზარი კოცონები დაანთეს და გამარჯვებულთა თუ მოქალაქეთა სამასპინძლოდ მოსახარშს ხარშავდნენ, გამოსაცხობს აცხობდნენ, შესაწვავს წვავდნენ.

შუა ქუჩაში გაშლილ სუფრებთან, იმ სიცივე-ყინამთის მიუხედავად, ერთი ადგილიც არ იყო გაცდენილი.

ციხესიმაგრეშიც უკვე ვახშამს უჯდა მიკოლაი კოპერნიკი, ოლშტინის ნაცვალი, ხელმარჯვნივ ეჯდა კონოპაცკი ეჯდა — ზღვისპირეთის ვოევოდა, ხელმარცხნივ — ტიდემან გიზე, შემდეგ — ოლშტინის ბურგრავი დროხვიჩი, მამასახლისი მოკოლაი ძიალინსკი, და სხვა მრავალი მამაცი დამცველი ოლშტინისა.

ამ ვახშამზე ჰენრიხ ადლერმა კაპერი არ გაუშვა.

— მეტისმეტად ბევრნი იქნებიან იქ მდიდარი და გამოჩენილი სტუმრები, — უთხრა მან, — ჰოდა, გირჩევ, აქ დარჩე სასაფლაოს ყარაულის ბიჭთან!

ტიდემან გიზემ იფიქრა, აქ, ამ საზეიმო ვახშამზე მაინც ვნახავ გლეხთა რაზმის მამაც წინამძღოლსო, მაგრამ რაკი სუფრაზე ვერც კაპერი დაინახა და ვერც მისი მეგობარი, გადაწყვიტა, გამომჯობინებულ ჰენრიხს სახვალიოდ მე თვითონ ვეწვევიო. სახვალიოდ კი მამა გიზე უკვე გზას ადგა: ზიგმუნდ მეფემ იგი კრაკოვში გაიწვია და მთელი მისი ჩანაწერები მოითხოვა.

ავენანი ლაპარაკობდნენ, თითქოსდა, ზიგმუნდ მეფეს სძულდა ან ეშინოდა გარდაცვლილი ვარმიის ეპისკოპოსისა.

ავენანი არ იყვნენ მართალნი: ოლშტინის დაცვასა და აგრეთვე ვარმიისა და ზღვისპირეთში კშიჟაკების წინააღმდეგ ყველა საომარ მოქმედებაზე ცნობების მიღების შემდეგ მისმა უდიდებულესობამ

დედოფალ ბონას ნაზი ხელი ბაგესთან საამბოროდ რომ მიიტანა, მუნათით უთხრა:

— ხედავ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენა და თქვენგან დიდად პატივცემული პან დანტიშეკი გამუდმებით აქილიკებდით. გარდაცვლილ ეპისკოპოსს და მის ნათესავებს. ძალიან რომ არ შეგაწყინოთ, მხოლოდ რამდენიმე კაცს დაგისახელებთ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენი სამეფოს დაცვაში: მიკოლია კოპერნიკმა, კანონიკმა, დიდებულად დაიცვა ოლშტინი. კოპერნიკს დიდი დახმარება გაუწიეს მისმა ბიძაშვილებმა: ლუკაშ ალენმა, ტრეკის მამასახლისმა და მეორე ბიძაშვილმა ეფი კონოპაცკიმ, ზღვისპირეთის ვოევოდამ, ყველა ამ მამაც ადამიანთა ძარღვებში კი ეაცენროდთა დიდებული სისხლი ჩქეფს!

— მიხარია მათი წარმატება, — მიუგო დედოფალმა, — მაგრამ ეგეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ გარდაცვლილმა ეპისკოპოსმა ყველგან თავისიანი დააყენა. ის საწყალი ჰერცოგი ალბრეხტი კი, რომელიც უკანმოუხედავად გააქციეს და ისე დაამცირეს, განა თქვენს უდიდებულესობას დისწულად არ ერგება?

ბოლოს და ბოლოს შეძლო კასპერმა თავის საყვარელ მასწავლებელთან თავისუფლად ესაუბრა!

ეს იმ საღამოს მოხდა, კასპერი გამარჯვების მისალოცად ერთხელ კიდევ რომ ავიდა ნაცვალთან კოშკში.

ახალ ამბებზე წამესაიფების შემდეგ მამა მიკოლაიმ ძალით ჩასვა თავისი ახალგაზრდა მეგობარი საკარძელში.

— ჯერ ის მითხარი, ჩვენი სტუმარი როგორ გრძნობს თავს. სამწუხაროდ, ამ ორ დღეს არ მომეცა ჩემი ავადმყოფობის ნახვის შესაძლებლობა!

— ჰენრიხი თავს ჩინებულად გრძნობს... თვითონ უნდოდა დღეს თქვენთან ამოსვლა, რომ თავშესაფარსა და მკურნალობაზე მადლობა ეთქვა.

— კასპერ, — გულის შემძვრელად მიმართა მამა მიკოლაიმ კასპერს, — მოვა დრო და ჩემმა მტრებმა, შესაძლოა, ყველრება დამიწყონ, რომ მე, კანონიკმა, წმიდა ტახტის ხელდასხმულმა, ოლშტინში თავშესაფარი მივეცი კათოლიკური ეკლესიის მტერს—ეშმაკის თანაზიარი თომას მიუნცერის მომხრეს. მაგრამ, იცოდე, მე არ ვხელმძღვანელობდი არც პოლიტიკური, არც რელიგიური მოსაზრებებით. მე ა-და-მი-ანს, უპირველეს ყოვლისა, დაჭრილ ადამიანს მივეცი თავშესაფარი, რომელმაც, ამასთანავე, პოლონეთისათვის მეტისმეტად ძნელბედობის ჟამს გვიშველა, ადამიანს, რომელსაც ჩემი არ იყოს, არ სურს თავის ქვეყანაში ღარიბ-ღატაკსა და ბეჩავს

ხედავდეს, რომელსაც გაჭირვებული ხალხისთვის ბედნიერება სურს...

— ყოველივესგან, რაც მე ლუთერსა და მიუნცერზე მომისმენია, ვასკვნი, რომ ორივენი, პოლონეთისა და ვარმიის რომელნიც გინდა ციხე-დარბაზის სტუმრობის ღირსია, თუმცა მათ ერეტიკოსებს უწოდებენ, — გაეპასუხა კასპერი.

— ჩვეულებისამებრ, ჩქარობ დასკვნების გამოტანას! — ალერსიანი ღიმილით მიმართა კოპერნიკმა თავის ახალგაზრდა მეგობარს.— არ გეჩვენება, კასპერ, რომ ეს რვა წელი თითქოს არც დავშორებივართ ერთმანეთს? ზუსტად ისევე, როგორც ამ რვა წლის წინ, მოფიქრებზე დროს არ კარგავ და გულის პირველივე კარნახის მიხედვით მოქმედებ. შენ მიუნცერსა და ლუთერს ერთმანეთის გვერდით აყენებ. ამათგან პირველი კი — იმისდა მიუხედავად, მართალია თუ არა ჩვენი სასულიერო პირებისადმი თავის მტრობაში — ღარიბ-ღატაკთა ნამდვილი ქომაგია. ხოლო ლუთერი... რას იზამ, არაა უშკეო, ეგ ავგუსტინელი! ამბობენ, დიდხანს იხეტიალაო თავის ქვეყანაში, მდაბიო ხალხს ესაუბრებოდაო ათას რამეზე, საეკლესიო დიდებულებზეც. რომზეც... ჩვენი სასულიერო პირების ბიწიერებაზე, ანგარებასა თუ უზნეობაზე თავისი ქადაგებით, რომ იტყვიან, პირდაპირ ბიზანში ურტყამდა! პირველ ხანებში ლამის წმინდანადაც შერაცხეს. ახლაღა? ლუთერის ძველი თვითგანდგომილებისაგან კვალიც აღარაა დარჩენილი. ღარიბთა ეს ყოფილი დამცველი ახლა დიდებულებსა და ვაჭრებს ელაციცება, მუხლს იდრეკს წარჩინებულ ხელისუფალთა წინაშე, იმათ წინაშე, ვისაც ადრე ბელზებელის მსახურთ უწოდებდა და ციურ ძალებს მოუხმობდა მათზე მეხსატეხად... თუმცაღა მე არც უნდა ვძრახავდე იმ კაცს, ვინაიდან მღვდელმსახურთაგან პირველად მან გაილაშქრა ჩემი „მცირე კომენტარის“ წინააღმდეგ, რომელიც — არ ვიცი რა გზებით — ჩაუვარდა ხელში იმ უმეცარს... მე არ მინდა ჩვენს სტუმარს ამ თაობაზე ველაპარაკო, თორემ პენრიხ ადლერი დამიდასტურებდა, რომ ლუთერიცა და მისი თანაშებრძოლი მელანგტონიც ბრიყვს ბიწოდებენ, ბრიყვს, „რომელიც ცდილობს, მთელი ასტრონომიული ხელოვნება თავდაყირა დააყენოს“. მე ხომ იმას ვამტკიცებ, დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს-მეთქი, ეს მტკიცება კი უაზრობა და აბდაუბდაა იმიტომ, რომ წმიდა წიგნებიდან ვიცით, იესო ნავინმა მზეს უბრძანა შეჩერება, დედამიწას კი არა!.. თუმცა, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ! — უთხრა მამა მიკოლაიმ, კასპერის ჩამოღვრემილ სახეს რომ შეხედა.

ამის სიტყვებში იმდენი სევდა ერია, მასწავლებლის კარგად მცნობი კასპერი შფოთმა მოიცვა.

— მაშ, აბე. შენი მოგზაურობის წრე შეიკრა: კვლავ ჩვენთან ხარ,

— განაგრძო კოპერნიკმა, — დადგა დრო, ყოველივე მოგითხრო, რაც გაინტერესებს. მოგითხრო მაგისტრის წერილის ბედზე, რომელიც ისეთ თავგანწირვით ჩაიგდე ხელთ... მოგითხრო ზოგიერთი შენი მახლობელი ადამიანის ბედზეც...

მასწავლებლის კილომ შეაშფოთა კასპერი.

— წინასწარ ვგრძნობ, უსიამოვნო ამბების შეტყობა მომიხდება, — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა კასპერმა.

— მხოლოდ უსიამოვნოსი არა, სამწუხაროსიც! — რბილად წარმოთქვა კოპერნიკმა და თანაგრძნობით შეხედა კასპერს. — ერთმა ღმერთმა იცის, როგორ მიჭირს შენთვის მართლის თქმა... ვოიცეხ, სანთელი შემოიტანე!—დაიძახა კოპერნიკმა.

მსახურის მოლოდინში კოპერნიკი ჩუმად იჯდა და თავი ხელზე ჩამოედო. სანთელი რომ შემოიტანა, კოპერნიკმა ვოიცეხი უკან გააბრუნა და დაიწყო:

— მისი უსამღვდელოესობა ლუკაშ ვაცენროდის ავადმყოფობის ამბავი რომ გავიგეთ, იმის წინა დღეს გადმომცა პან კონოპკამ მაგისტრის წერილი. სულ ცოტა ხანში ეპისკოპოსი გარდაიცვალა. ამან გადაწყვიტა წერილის ბედიც!

კოპერნიკმა მოკლედ მოუთხრო, რაც წერილს შეეხებოდა, მოუთხრო ვუეკის კეთილშობილურ წელილზეც, ფაბიან ლუზიანსკის ორპირულ საქციელზეც, ფილიპ ტეშნერის გაბედულობაზეც, რომელმაც წერილი მაგისტრს დაუბრუნა და ყალბი წერილი შეადგენინა.

— წყეულო! — უნებურად წამოსცდა კასპერს. — პოლონეთის მეფის ქვეშევრდომმა ეგ როგორ ჩაიდინა!

— ის უფრო შორსაც წავიდა, — ცხარედ წარმოთქვა კოპერნიკმა, — ერთი კვირის წინ სამარცხვინოდ დასაჯეს იმიტომ, რომ ყველა საშუალება ჰქონდა თავისი ბრანევი მტრებისგან დაეცვა, იმან კი ტევტონებს ქალაქის კარიბჭე გაუღო! რა ბედნიერებაა, რომ ლუკაშ ვაცენროდი ამ სირცხვილის ჭამას არ მოესწრო!

კასპერი ხედავდა, რა მძიმე იყო კოპერნიკისთვის ეს მოგონებები, თავის თავს კი გაოცებულმა შეატყო: იმის შეგნებამ, უკაცური ტეშნერი დამსახურებულად დასჯილაო, შვება აგრძნობინა.

— როგორი წარმოსადგენია, — განაგრძობდა მამა მიკოლაი, — რომ ჭაბუკი, თითქმის ბავშვი, რომელიც შექებასა და მადლობის თქმასაც არ მოელოდა, თავს სწირავს სამშობლოსათვის, ძალმოსილი, მდიდარი, სამეფო კარზე მიღებული კაცი კი...

— დავივიწყოთ წარსული, — დინჯად შეაჩერა იგი კასპერმა,— მე უკვე შინა ვარ, თქვენთან და, გეფიცებით, ყოველი განსაცდელი უამური სიზმარივითღა მახსოვს.

კოპერნიკმა სიყვარულით შეხედა კასპერს და მისი ნაჭრევებიანი სახიდან უმალვე გადაიტანა მზერა.

— მაქვს მე ყოველგვარი ცხოვრებისეული ქარიშხლისგან, ცილისწამებისა თუ უსამართლობისაგან თავშესაფარი ადგილი, — თქვა კოპერნიკმა და თან რვეულების გროვასა და კუთხეში მიყუჟულ ტრიკეტრუმს გახედა. — მაგრამ იგი მეცნიერებისადმი სრულ ერთგულებას მოითხოვს, შენს მომავალზე კი გვარიანი დაფიქრება გვმართებს.

კასპერი ამასობაში ხელნაწერების გროვასა და რვეულებს ათვალიერებდა. — „1506 წლის დასაწყისი," — წაიკითხა მან გაღაშლილ რვეულში, — ღმერთო ჩემო, ეს ხომ მთელი ცხოვრებაა!

— მართალი ხარ, ჩემო ბიჭო, ეგაა მთელი ჩემი ცხოვრება. ხანდახან ისედაც მეჩვენება, მაგ წიგნის დამთავრებასთან ერთად დასრულდება-მეთქი ჩემი ხრწნადი არსებობაც... მაგრამ იხილავს კი ჩემი ქმნილება დღის სინათლეს? ანდა როდის, ვინ იცის... — კოპერნიკმა ხელნაწერი გამოართვა და გვერდზე გადადო...—ახლა სულ სხვა რამ მინდა შეგეკითხო... როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე კარდინალმა მაძინმა?

— ო, შესანიშნავი კაცია! როგორი განათლებული და განსწავლულია, თანაც როგორი თავმდაბალი!.. ნათესავივით მიმიღო... რა თქმა უნდა, თქვენ გამო, მაგრამ მე მაინც შევიცან მაშინვე. მისი მოწყალე და კეთილი ბუნება... ალბათ საკმაოდ წაიწია პაპის კარზე, ხომ?

კოპერნიკმა დანანებით გადააქნია თავი.

—შენ ისიც არა გცოდნია, კარდინალი მაძინი, ბალგის ახლოს მონასტერი რომაა, იქ გადმოასახლეს და ამ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ამბავი შენმა მეგობარმა ზბიგნევ სუხოდოლსკიმ მითხრა.

— თქვენ ზბიშეკსაც იცნობთ? — თავი ვერ შეიკავა კასპერმა გაოცებისაგან. — მაინც რა მოუხდა კარდინალს? ისეთი ბრწყინვალე მდგომარეობის მერე! მართლაცდა, მიუწვდომელია განგება ღვთისა!

კოპერნიკი დუმდა. ფიქრით იმათ დაუტრიალდა, ვისი ბოროტი ნებითაც განისაზღვრა მაძინის ბედი.

— მამა მიკოლაი, — ფრთხილად შეეხმიანა კასპერი. — ზბიგნევს როგორღა შეხვდით? რაღაც უცნაური ხმები მოვიდა ჩემამდე... მის სხვადასხვაგვარ... თავგადასავალზე...

სწავლულმა თითქოს ახლაღა გაიხსენაო თავისი მძიმე, მაგრამ გარდაუვლად შესასრულებელი მოვალეობა და ნაღვლიანი გადაწყვეტილებით სთხოვა კასპერს:

— თუ შეიძლება, ვოიცეხს უხმე!

ოთახში შესულ მოხუც მსახურს კოპერნიკმა კასპერის გამაოგნებელი ბრძანება მისცა:

— მოიყვანე მოხუცებული!

— მესმის, პან ექიმო, — ხმადაბლა, მიხვედრილად მიუგო ვოიცეხმა.

კასპერი გაჩუმებული იჯდა, კითხვას ვერა ბედავდა და გრძნობდა, რომ სულ მალე რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა მომხდარიყო.

ვოიცეხი კაბინეტში მელოტ, დაკუზიანებულ მოხუცებულს შემოუძღვა. კოპერნიკმა მაღლა ასწია. სანთელი.

— კარგად შეხედე, კასპერ! ხომ არ გეცნობა ამისი სახე?

კასპერი დაეჭინებით ჩააცქერდა მოხუცს. მოხუცი ხითხითებდა, ფეხს ფეხზე ინაცვლებდა და გულზე შლაპას იხუტებდა.

— დედაო ღვთისავ! — ჩაიდუდუნა შეშინებულმა ქაბუკმა, — ვერაფერი გამიგია, მაგრამ, ზიარების მადლმა, ეს კაცი დოქტორი ლანგეა! ანდა ჩემს ჭკუაზე აღარ ვარ...

—არა, შენს ჭკუაზე ხარ... და შენს წინ, მართლაც, ის კაცი დგას, ვისაც ადრე ასტროლოგიის დოქტორი გიორგი ლანგე ერქვა... წაიყვანე, ვოიცეხ...

გაოგნებულ კასპერს კოპერნიკმა ყველაფერი მოუყვა, რაც ზბიგნევისაგან იცოდა, რომ შეატყო, როგორ აღელდა მისი ახალგაზრდა მეგობარი, დაურთო:

— ახლა კი უფრო მეტი ძალა მოიკრიბე, ჩემო ბიჭო, თორემ გაგიჭირდება იმის გადატანა, რასაც ახლა მოისმენ...

— ჰო, მაგრამ, მიტა, მიტა სადაა, რა დაემართა? თუ იცით, რა ბედი ეწია, მასწავლებელო?!

კოპერნიკი დაუფარავად მოუყვა საბრალო კასპერს, რაც მიტას გატაცების შესახებ იცოდა.

— ჰენრიხიც მომიყვა მაგ ამბავს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია, თუ მათგან გატაცებული მონაზონი მიტა იყო! — წამოიძახა კასპერმა. — ყოჩაღ, ბიჭებო! — მაშ, მიტა ცოცხალი და ჯანმრთელია? ახლა კი მივხვდი, რას მიკიბავდა ებლონგში იას-კაჭკაჭი. მიტა სუხოდოლსკების ოჯახშია? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, როგორ უნდა გადავუხადო მადლობა იმ კარგ ხალხს! — დუდუნებდა კასპერი. სულ გადავიწყებოდა, რომ აღარც მიტას მოძებნას ეპირებოდა და აღარც მის თვალში მოხვედრას.

მაგიდაზე დაყრდნობილი, შუქისკენ ხელაფარებული კოპერნიკი დუმდა.

— კასპერ, — დაიწყო ბოლოს, — ახლა კი უნდა გაუწყო მეტისმეტად, შეიძლება, შენთვის ყველაზე მეტად სამწუხარო ამბავი... კრა-

კოვიდან რომ წახვედი, შენ აქ დანიშნული დატოვე, ახლა კი შეხვდები... სხვის საცოლეს...

— ვერ გაგიგეთ, მამა მიკოლაი!..

— მხოლოდ მეგობრის ხსოვნის პატივისცემის გამო არ სთხოვს ზბიგნევი მიტას ხელს... პირდაპირ გეტყვი: მიტას და ზბიგნევს ერთმანეთი უყვართ, დიდი ხანია ზბიგნევს მეგობრობაზე უფრო მეტი რაღაც ამოძრავებს მიტასადმი...

— ვსვდებოდი... — ძლივს წარმოთქვა კასპერმა.

— ნუ დასძრახავ მათ. შენ ყველას მკვდარი ეგონე: გელოდნენ წლების მანძილზე და მერე იმედი გადაიწურეს... მთელი ეს ხანი მიტა მონასტერში იტანჯებოდა. იგი მარტოდმარტოა ამ ვრცელ ქვეყანაზე, თუ სათვალაკში არ ჩავაგდებთ იმ უბედურ მოხუცს... ზბიგნევი ასეთი ლამაზი, ჭკვიანი და კეთილშობილი რომ არც იყოს, მარტო მიტას გადასარჩენად თავგანწირვაც უბიძგებდა ქალს მისი სიყვარულისაკენ. მაგრამ ორივეს ახსოვხარ. გიმეორებ, ზბიგნევი შენი მეგობრობის გამო ვერა ბედავდა მიტას ხელის თხოვნას. მისი მაგივრობა მე გავწიე.

—,თქვენ? — ჩაჰკითხა ელდანაკრავმა კასპერმა. — თქვენა?!

— ჰო, მე! მიტას უყვარს ზბიგნევი, მაგრამ შენდამი მოცემული სიტყვის გამო თავსაც არ უტყდება. ამიტომ გადაწყვიტა მონასტერში წასვლა. ჰოდა, ჩემო საყვარელო ბიჭო, მე თვითონ ვუთხარი მას ზბიგნევის სიყვარულის ამბავი... თავის სიყვარულშიც მე გამოვტეხე... ნეტავი გენახა, როგორ გამოკოცხლდა, როგორ გაუბრწყინდა თვალები!.. მაშინ ყველას გვეგონა, რომ შენ აღარ იყავი ამქვეყნად... მაგრამ, თუ გინდა, გდანსკში ახლავე გაგგზავნი შიკრიკს და ვაუწყებ შენს დაბრუნებას.

კასპერი ხმას არ იღებდა. ხშლით დასერილი სახის ყოველი კუნთი უხტოდა. მამა მიკოლაისგან თვალარიდებული ფანჯარას ჩაშტერებოდა, თუმცა, საეჭვო იყო, იქ რამე დაენახა — მინებს იქიდან კუნაპეტი, უვარსკვლავებო ცა მომდგარიყო.

— საჭირო არაა, მამა მიკოლაი, — მიუგო კასპერმა კარგა ხნის გამოშვებით. — ნურავის გაგზავნით, გაფიცებთ, ნურც ნურაფერს იტყვით ჩემზე... ნუ ეცოდინება მიტას ჩემი დაბრუნების ამბავი, სანამ თვითონ არ შევხვდები. მე მაინც მალე ვაპირებ გდანსკში წასვლას!

— გდანსკში გამგზავრება არც ისე იოლია... როგორც კი ახალი ნაცვალი მოვა, მეც ვაპირებ იქით წასვლას... იქნება ერთად წავსულიყავით?

— ძალიან გამიხარდებოდა თქვენთან მგზავრობა, — მიუგო

კასპერმა. — გზაში ხომ საუბრის გუნებაზე დგები!.. თუმცა... — კასპერმა რაღაც უსასოოდ ჩაიქნია ხელი.

კოპერნიკმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერი დაინახა.

— ახლა კი შენა და პან ჰენრიხსა გთხოვთ, სოფლებში გამომყევით და ჩვენი გაუბედურებული გლეხების ხელის გამართვაში მომეხმარეთ. შენმა მეგობარმა მშვენივრად იცის მათი საჭიროებანი და ჩვენცა და იმ ბეჩავებსაც შესანიშნავ სამსახურს გაგვიწევს. წასვლამოსვლას სამ-ოთხ დღეზე მეტი არ დასჭირდება...

— მოხარული ვიქნები თუ რამეში გამოგადგებით, მასწავლებელო, — უთხრა ნაღვლიანად კასპერმა. — მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენს დასახმარებლად კი არ მიგყევართ, პირიქით, ცდილობთ მე დამეხმაროთ ამ მოგზაურობით... — კასპერმა თავი დაუკრა და მოწიწებით ემთხვია კანონიკს ხელზე.

კასპერი კარგა ხნის გასული იყო ოთახიდან, მობუზული მიკოლაი კოპერნიკი კი კვლავ გაუნძრეველად იჯდა სავარძელში.

— მოვკალი! მაგრამ სხვანაირადაც ვერ მოვიქცეოდი... ღმერთო ჩემო, თურმე რა ადვილი ყოფილა ზოგჯერ სიცრუის თქმა და რა ძნელი — სიმართლისა!

სოფელ-სოფელ სიარულს სამი-ოთხი დღე კი. არა, რამდენიმე კვირა დასჭირდა.

კოპერნიკსა და ჰენრიხს, თითქოსდა შეთანხმებულანო, არასოდეს ჩამოუგდიათ საუბარი რელიგიურ თემებზე, უამისოდაც. უამრავი საქმე ჰქონდათ გაჩენილი: უნდა მიხმარებოდნენ განადგურებულ, გასაცოდავებულ გლეხებს. მით უმეტეს, რომ „მოწყალე ნაცვალის“ ჩამოსვლაზე დარხეულ ხმას მთელი პოლონეთიდან მოსდევდა ღატაკთა ნაკადი. შიშველთათვის შესამოსელი უნდა დაერიგებინათ, ავადმყოფთათვის — წამალი მიეწოდებინათ, დაჭრილთათვის — შეეხვიათ და მოებანათ ჭრილობები.

ამ საქმეებს ერთად უძღვებოდნენ ეპისკოპოსის ნაცვალი მიკოლაი კოპერნიკი და ეპისკოპოსისა თუ ეკლესიის ყველა მსახურის მოსახსლე მტერი ჰენრიხ ადლერი.

მათ დიდ დახმარებას უწევდა უთქმელი, თმაშეევერცხლილი, მშვენივრად აღნაგი, სახენაჭრევებიანი ყაცი.

კოპერნიკმაცა და ჰენრიხ ადლერმაც იცოდნენ, რომ აუცილებელი იყო, გარჯას დანატრულებული ხელები რაღაცით ჰქონოდა დაკავებული კასპერს, შრომით ისე მოექანცა სხეული, მერე ბალიშზე მიდებდა თავს, თავისსავე ხელისგულზე თუ სიპ ქვაზე, იმწამსვე დასძინებოდა უფიქრელად, სიზმრის უნახავად.

ამიტომაც არაფერს უშლიდნენ. კასპერი იმხელა ტომარას მოიგ-

დებდა ხოლმე ზურგზე, მისი სიმძიმით კარგი ჯანიანი ცხენიც ჩაჯდებოდა უკანა ფეხებზე. ის კი, მიალაჯებდა გაზაფხულის წვიმისაგან გადარეცხილ გზაზე, მერე უსუნთქებლივ მისდგებოდა და გარუჯულ კოქებს აცლიდა დაბწვარ საბლებს, ნანგრევებიდან გაშოპვონდა დაბოცილები, საქმელს უზიდავდა ავადმყოფებს, დაჭრილებს ჭრილობებს უხვევდა და ისედაც მომხდარა, დაობლებული ბავშვებისათვის უძიძავებია კიდეკაც.

ყოველივე ამას კასპერი რაღაცნაირი თვალგაბინდებით საქმიანობდა, რაღაცნაირ ბურანში მყოფი, თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვა ეწეოდა ამ მძიმესა და საჭირო საქმეს.

„მიტა არა და, მგონი, ეს ღმერთივით ბიჭი გამოიკეტოს ბოლოს და ბოლოს მონასტერში!“—არაერთხელ გაუვლია გუნებაში შეფიქრიანებულ ჰენრიხს.

„ნუთუ ვერ ვაინელებს, ვერ შეიმსუბუქებს დარდს ეს მხურვალე და სპეტაკი გულის ადამიანი?“ — არაერთხელ უკითხავს თავისი თავისთვის მიკოლაი კოპერნიკს.

თავი მეცხრე

მოწყალება

მიკოლაი კოპერნიკი და ჰენრიხ ადლერი თავიანთ საუბრებში არ ურევდნენ რელიგიურ საკითხებს, და მაინც მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს.

ჰენრიხი რომ არ იყო გონებადახშული ერეტიკოსი, რომელიც განურჩევლად ილაშქრებს ეკლესიის მამათა, მეცნიერთა, პოეტთა და მხატვართა წინააღმდეგ, — ცხადი გახდა კოპერნიკისათვის.

ჰენრიხიც უნდა გამოტყდომოდა თავს, რომ კოპერნიკი არ იყო ჩვეულებრივი ნაცვალი, ერთი იმათთაგანი, ვინც თავის საგამგებლოს ბრწყინვალე კარეტით უვლის და გზადაგზა თავის წინ მუხლებზე დაჩხობილ გლეხებს ძლივს ამჩნევს.

ამ ერთი თვის წინ კი, როდესაც ჰენრიხი იძულებული შეიქნა, გაეგრძელებინა თავისი ყოფნა ოლშტინში, ძალიან უჭირდა და კაცს, რომელიც ისეთი გულითადი სტუმართმოყვარეობით შეხვდა, უხიაკად და ცივად ექცეოდა.

სულ ერთი თვის წინ მაშა მიკოლაიზე აღფრთოვანებით მოლაპარაკე კასპერს სიტყვა პირზე შეაცია:

„საზრიანია თუ დიდი ჭკუის კოლოფი ეგ შენი კოპერნიკი, ვერ გეტყვი, მაგრამ მშობლიური მხარის ისტორია კარგად იცის! იცის

თათართა შემოსევების შემდეგ როგორ გადაუარა პოლონეთის მიხ-
დერებს შამბმა და ღვარძლმა, იცის მშიერი მგლებივით როგორ
დაეხვევნენ ამ მიწებს კშიეკები, ჯერ გაუბედავად — დასახლებები
და კოლონიები გაიჩინეს, მერე სულაც დაეპატრონენ ამ მხარეს...
ჰოდა, პან კოპერნიკი ახლა გერმანელებს კი არა, თავისიანებს, პო-
ლონელ გლეხებს იტყუებს დასასახლებლად ამ გაოხრებულ, შამ-
ბნარად ქცეულ მიწებზე... იტყუებს თავისუფლების მოპოვების იმე-
დით, ნადელის მიღების იმედით, მეათედისა და სხვა გადასახადისა-
გან გათავისუფლების იმედით... მშვენივრად იცნობს იგი გლეხის
სულს. ჰოდა, დადის მთელს პოლონეთში სმები ვარმიის კანონიკის
გულმოწყალებაზე... არადა, გლეხებზე არცა ფიქრობს, საქვეყნო
კაცს თამაშობს ეგ შენი მასწავლებელი!"

ახლა, ვარმიაში მამა მიკოლაისთან ერთად მოგზაურობის შემ-
დეგ, ჰენრიხს საფუძვლიანად უნდა შეეცვალა თავისი აზრები.

ბოგანოთა ბელადი არაერთხელ შესწრებია, როგორ აქებ-ადი-
დებდა ადგილობრივი გლეხობა პან ნაცვალს, რომელიც არც
დროს იშურებდა, არც ძალას, არც ჯანმრთელობას, ოღონდ კი რა-
იმეთი შეწევნოდა ღარიბ-ღატაკებს.

მიკოლაი კოპერნიკს ყურში ასმენდნენ, რომ მასთან მოარული
„გერმანელი" გაღაბუგულ სოფლებში რაღაც თავყრილობებს მარ-
თავსო, რაღაცას ელაპარაკებაო გლეხებს, მაგრამ, როგორც პან ნაც-
ვალი გამოთქვამდა, ეს „მის საზრუნავს არ შეადგენდა". ეს პაპის
ტახტისა და პაპის ლეგატების საზრუნავი იყო, რომელთაც კანო-
ნიკი საჭირო პატივს მიაგებდა, მაგრამ მათი გაბოროტება და სიმ-
კაცრე სხვაგვარად მორწმუნეთა მიმართ არც ესმოდა და არც
ყოველთვის უკერდა მხარს.

მამა მიკოლაისა და ჰენრიხ ადლერს უხაროდათ, იქნებ კასპერ
ბერნატმა გადაიფიქრა კიდევაც გდანსკში გამგზავრება, ისე ჩაე-
ყლო მასწავლებლის მიერ დავალებულ ომისაგან განადგურებული
ამ მხარის საზრუნავშიო. მაგრამ ჰენრიხის თხოვნას, მე და შენ
გაზაფხულამდე ოლშტინში დავრჩეთო, კასპერი ისე გულგრილად
დაეთანხმა, რომ მის აოცთუ ისე ლმობიერ მეგობარს მტკივნეულად
შეეკუმშა გული.

კოპერნიკი და მისი თანამგზავრები იმაზე ადრე დაბრუნდნენ
ოლშტინში, ვიდრე თვითონ ვარაუდობდნენ: 1521 წლის 20 აპ-
რილს მათთან გაქაფული ცხენი მიაგდო მეფის შიკრიკმა და მეტად
შნიშვნელოვანი ამბავი აუწყა: ნისმა მოწყალება მეფე ზიგმუნდ
პირველმა ალბრეხტთან, ტევტონთა ორდენის მაგისტრთან, ოთხი
წლით ზავი დადოო.

— ოთხი წლით მოვითქვამთ სულს!—თქვა კოპერნიკმა, — ჩვენი

გლეხებიცა და ჩვენ თვითონაც შვებით ამოვისუნთქავთ ბოლოს და ბოლოს!

პირველ შიკრიკს კიდევ ერთი კურიერი მოჰყვა ოლშტინში და კოპერნიკს სიგელი გადასცა.

მისი მეფური უდიდებულესობა მეფე ზიგმუნდი, მბრძანებელი მცირე და დიდი პოლონეთისა, სამეფო პრუსიისა, ზღვისპირეთისა, შლიონზკისა და ვარმიისა, მადლობას უცხადებდა მიკოლაი კოპერნიკს მამაცობის, საზრიანობისა და შემართების გაბედვისათვის, ოლშტინის დაცვაში დახმარების გაწევისათვის და უბოძებდა ვარმიის კომისრის წოდებას. ოლშტინში კი, მისი მეფური ბრძანებით, ახალი ნაცვალი უნდა მოსულიყო, ვისთვისაც უნდა გადაებარებინათ ციხესიმაგრის მთელი ქონება თავისი აღჭურვილობით.

— ბაშ, ჯერჯერობით საჭირო აღარა ვარ, — ჩაილაპარაკა მამა მიკოლაიმ თავისი ჩვეულ ძლივსშესამჩნევი ღიმილით. — ნეტავი ვიცოდე, მეფის სიგელი და ვარმიის კომისრობა იმის მომასწავებელია, რომ სასახლის კარზე გამომარჩიეს, თუ პირიქით, — მეფე ჩემით, როგორც ოლშტინის მმართველისა, უკმაყოფილოა? სასურველია იმის ცოდნაც, ვინ შემცვლის ამ სარბიელზე? აჯობებდა, ის ვილაც ვარმიის კაპიტულის წევრი არ ყოფილიყო...

იქ მყოფნი სწორად მიუხვდნენ მამა მიკოლაის: ვარმიის მამა კანონიკები გერმანელთაგან თავიანთი სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად რომ გარბოდნენ, კოპერნიკს სწყეულიდნენ, ბატონს აცდუნებს, უბირი, საბრძოლო ხელოვნების უმეცარი გლეხებით ცდილობს სწორ, დაცემულ მინდორზე მდგარი ციხესიმაგრის დაცვას ისეთი გამოცდილი და ძლიერი მოწინააღმდეგისაგან, როგორიც ტევტონთა ორდენია!

ყველას გასახარად მალე მოვიდა ცნობა, რომ მამა მიკოლაის შეცვლიდა მისი ძველი, ერთგული და კეთილი მეგობარი მამა ტიდემან გიზე.

ერთი დღის შემდეგ თვითონ მამა ტიდემანიც ჩამოვიდა.

გიზემ ილაპარაკა მეფესა და დედოფალზე. უკეთური სიტყვებით მოიხსენია მეფის რჩეული იან დანტიშკი, რომელმაც ზიგმუნდი დაიყოლია და ტევტონებთან შერიგების აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე ქვეყნის ფული გადააყრევინა, ილაპარაკა მეფის დაახლოებულ პირებზე, რომელნიც ქება-დიდებით იხსენიებდნენ საეკლესიო სამართლის დოქტორის, ოლშტინისა და ვარმიის დამცველ მამა მიკოლაის უდიდეს დამსახურებას. ბოლოს ტიდემან გიზემ თქვა:

— თუმცა, ზოგიერთს არც უნდოდა შენი დამსახურების აღიარება, მაგრამ ხომ ცხადია, უშენოდ ვერცროგორ ვერ გავიყვანდით ვარ-

მიიდან ორდენის რაინდებს, თუმცაღა ზავის ჩამოგდებამ არ უნდა დაგვამშვიდოს: ალბრეხტი ჭრილობების მოშუშებას ეცდება, თავის ბუნაგში შეიმალება ცოტა ხანს, რომ შემდეგ კვლავ დაეცეს პოლონეთსა და სამეფო პრუსია იგდოს ხელთ!

— ძმაო ტიდემან, არ ვიცი, როგორ შეტრიალდებოდა ვითარება, პან ჰენრიხ ადლერს რომ არ მოესწრო, — შეახსენა კოპერნიკმა.— სამწუხაროდ, თვით ჰენრიხმა არ დამრთო ნება, მისი სახელი მეფესთან გასაგზავნ რელაციაში მომეხსენებინა...

— პან ჰენრიხ ადლერი? — ჩაჰკითხა აწრიალებულმა ჩია ტანის კანონიკმა. — ძმაო მიკოლაი, მე ერთი მნიშვნელოვანი ცნობაც ჩამოვიტანე და მისი მოსმენა თქვენც არ გაწყენდათ, პან ჰენრიხ, არც შენ, კასპერ.

სამივენი გაოცებულნი შეტრიალდნენ მისკენ.

— ამ ცოტა ხნის წინ, — დაიწყო კანონიკმა გიზემ, — პრუსიაში ჩამოვიდა მისი უწმინდესობა პაპის საგანგებო ლეგატი — კარდინალი არნოლდ ფონ ბრეევ. პაპმა დაავალა, გამოაელინოს და გაანადგუროს ამ მხარეში გავრცელებული ლუთერანული ერესი... ჰოდა, ამ კარდინალს დედა ცელესტინამ, წმინდა ეკატერინეს მონასტრის წინამძღოლმა, საჩივარი წარუდგინა. აბატისა აცხადებს, რომ მის მონასტერში ოიმყოფებოდა ერთი ქალწული — მიტაამალია ლანგე, ეკუაზე შეშლილი, უწმინდურისგან ხელყოფილი. აბატისა ჩივის, რომ წმიდა ეკატერინეს და დომინიკანელებს მონასტრებს შორის მდებარე გზაზე მონასტრის ძვირფასეულობით დატვირთულ საზიდარს თავს დაესხა ლუთერანელი სატანების მთელი ბანდა. ქალწულ ლანგეს ჯადოქრობის შემწეობით ბანდიტებმა გაიტაცეს მონასტრის განძეული, წაიყვანეს თვით ჯადოქარი და მისი თანაშზრახველი, აგრეთვე ჯადოქარი, მონაზონი ურწულა. ამ მკრეხელურ საქმიანობაში მონაწილეობდნენ... — ტიდემან გიზე შედგა და თვალი მოავლო იქ მყოფთ. მერე ხმას დაუწია და ლამის ჩურჩულით დაამთავრა: — ვინმე პან ზბიგნევ სუბოდოლსკი, გდანსკიდან, ფრანც ფოგელი — ფილიპ ტეშნერის გაქცეული ყმაგლეხი და კიდევ მესამე პიროვნება, — მეგობარი ზბიგნევ სუბოდოლსკისა... კარდინალი ფონ ბრეევ საიდუმლო გამოძიებას აწარმოებს, დამნაშავეთ კი ეჭვადაც არ მოსდით, რა საფრთხე უმზადდებათ. დიდი ხნის ამბავია, მაგრამ აი ეს მესამე... — მამა ტიდემანს ხველა აუტყდა.

ჰენრიხმა იგრძნო, კასპერმა მაგიდის ქვეშ რა მაგრად მიაჭინა მუხლი. კოპერნიკი წელში გამართული იჯდა და ხელები გულზე დაეკრიბა.

— აი, ეს მესამე, — განაგრძო ტიდემან გიზემ, — მიუნცერის მიმდევარი...

აქ მამა მიკოლაიმ დინჯად გააწყვეტინა ლაპარაკი კანონიკ გიზეს:

— რა საწყენია, ძმაო ტიდემან, რომ იმ ავაზაკური თავდასხმის შესამე მონაწილის გვარი არ დაგიმახსოვრებია...

გიზემ მეგობარს შეხედა და დაუმოწმა:

— მართალი ხარ, მეხსიერება მღალატობს! აბა, როგორ უნდა დაშვიწყებოდა იმ მესამის გვარი!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, იგი კოპერნიკის საქმიანმა, ეულელებელმა ხმამ დაარღვია.

— აბა, მეგობრებო, დროა მე და მამა გიზე ოლშტინის გადაბარებას შევუდგეთ... ძმაო ტიდემან, საკმაოდ დაისვენე ნაგზავერმა? არ გსურს ციხე-სიმაგრის დათვალიერება?

კასპერმა და ჰენრიხმა ადგომა დააპირეს.

— არა, არა, — შეაჩერა ისინი მასპინძელმა. — მე და ძმა გიზე წავალთ, თქვენ კი მოეწყეთ ჩემს საწოლ ოთახში, გთხოვთ, აქ დარჩეთ!

კასპერი და ჰენრიხი მარტონი დარჩნენ.

— ახლა რას აპირებ, ჰენრიხ? — ჰკითხა შეშფოთებულმა კასპერმა. — წმინდა ინკვიზიციის მეძებრებისაგან შენი დამალვა აუცილებელია!

—მონასტრის საზიდარზე თავდასხმა ჩემი ყველაზე მცირე დანაშაულია წმიდა მამების წინაშე, — მშვიდად მიუგო ჰენრიხმა. — წმიდა ინკვიზიციის მეძებრებს კი დიდი ხანია ვემალები... აგერ. უკვე ზავია ჩამოგდებული, საზღვრები გახსნილია და მეც ორდენის პრუსიაში გადავალ... ჯობია, შენ ის მითხრა, კასპერ, თვითონ რას აპირებ?—აქ გლეხთა ბელადმა გაოცებით შენიშნა, რომ მის მეგობარს სახიდან თითქოს ვილაცამ ჩამორეცხაო ის შემაძრწუნებელი გულგრილობა, რომელიც ჰენრიხს მოსვენებას უკარგავდა.

„არა როგორც ვატყობ, ჩვენი წითური ბიჭი არ ჩავარდება ბერების ხელში. არ წავა თაეისი და სხვისი ცოდვების მოსანანიებლად!“—გადაწყვიტა გახარებულმა.

—მე გდანსკში მივდივარ, მიუგო კასპერმა მტკიცედ, — ყველაზე მეტად იქა ვარ საჭირო. ზბიშეკი და მიტა ბრევეს კლანჭებში თუ ჩაცვივდნენ, დამთქნარებასაც ვერ მოვასწრებთ, ორივეს ისე გაგზავნიან კოცონზე! ისინი ხომ, მამა ტიდემანის თქმისა არ იყოს, ვერც გრძნობენ მოახლოებულ საშიშროებას... მაინც რანაირად გაიგეს ყველა თავდამსხმელის სახელი? ნუთუ პან სუხოდოლსკის სახლეულიდან გასცა რომელიმემ?

— კაჭკაჭმა ხომ არ დაიყბედა სადმე რამე? — ეჭვი გამოთქვა

ჰენრიხმა: — იმ ასობით სიტყვიდან, რასაც ერთ წუთში დაროშავს, ათს მაინც ისეთს გაურევს, მარტო მიტასა და ზბიგნევს კი არ გაგზავნის კოცონზე... გდანსკში სად ფიქრობ ღამის გათევას?

— გავიგე რომ ომის დაწყებამდე ორდენის პრუსიიდან ბევრი ოჯახი გამოიქცა გდანსკში: მგონი, ჩემი მამინაცვალიცა და დედაჩემიც დაბრუნებულან. მათთან ცხოვრებას არაფრის გულისთვის არ ვინდომებ: გახსოვს, ალბათ, როგორ მძულდა კაპიტანი კუჩინსკი... ბაგრამ დედაჩემის ნახვა და ნუგეშის ცემა აუცილებელია! ვინ იცის იქნებ ჩემი სიკვდილის ამბავმაც მიაღწია მის ყურამდე! ჩავალ, ბივდვებ-მოვდგები გდანსკში, იქნება დედაჩემმა მოინდომოს კიდევაც რომელიმე თავის ძველ მეგობართან ჩემი მოწყობა!

— ერთი სიტყვით, თუ თავშესაფარი დაგჭირდება, ვინმე ადოლფ აუელერს მიმართე...—უთხრა ჰენრიხმა. — მგონი, შენ იცნობ კიდევაც... ბევრი აქაური გერმანელივით ისიც ფარული ლუთერანია... ეზიზღება მღვდლები... გამოჩენილი და პატივდებული ვაჭარია ქალაქში... არამზადაა, თქმა არ უნდა, ბაგრამ ზბიშეკის ბედ-იღბლის მოგვარებაში დიდი მონაწილეა, შეიძლება შენც გამოგადგეს.

— კუგლერი! კუგლერი! — ჩაიდუდუნა კასპერმა. მას ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ამ გვართან რაღაც უსიამოვნო ამბავი აკავშირებდა. — აჰ! — გაიხსენა ‘ ბოლოს. — ეს ის ვაჭარია, მე და ვუეკს ფრომბორკში ჩაყვანას რომ შეგვპირდა და უსინდისოდ შუა გზაში გადმოგვყარა!

— სინდისიანი ვაჭარი თუ გინახავს სადმე? — დინჯად შეესიტყვა ჰენრიხი. — ვფიქრობ, ამჯერად დახმარებაზე უარს არ გეტყვის... თუმცა, ყველაფერს აჯობებს ოსეკში გემის ხურო ფრანცი და მისი ცოლი ურშულა მოძებნო... ისინი ჯერ სუხოდოლსკებმა შეიფარეს, ახლა კი ნავსაშენთან ახლოს გადასახლდნენ. ჩემი სახელი უხსენე, უთხარი, რომ ჩემი და ზბიგნევის ამხანაგი ხარ და სულში ჩაგიყვამენ...

— აჰა, ესენი ის ფრანცი და ურშულა არიან, ხომ? — გაეღიმა კასპერს. — ცოლი ჯადოქარი, მაშასადამე, ქმარიც ჯადოქარი? მაგრამ იქათაც ხომ ენუქრება წმიდა ინკვიზიციის სანსჯავრო?

— ჰოდა, მათი გაფრთხილებაც საჭიროა!

— სამადლო სახლში შეიძლებოდა გაჩერება, — თქვა ჩაფიქრებულმა კასპერმა, — მაგრამ იას-კაჭკაჭზე შენი ნათქვამის შემდეგ რაღაც სულ გამიქრა სურვილი მღვდლების მოწყობილ ყოველგვარ თავშესაფრებში მოხვედრისა... წავიდეთ, კანონიკებს გამოვემშვიდობოთ!

კოპერნიკს პატარა კაბინეტში მიაგნეს გიზეპთან ერთად. მამა გიზე აშკარად შეწუხებული იყო რაღაცაზე. უზომოდ დიდი ნაბიჯებით ზომავდა კაბინეტს წინ და უკან, მის ყოველთვის რბილ ხმაში ცხადად გაისმოდა სიბრაზის ნოტები.

— არა, ძმაო მიკოლაი, სცდები, სცდები, სცდები! — ამბობდა და ჰაერს კვეთდა თავისი პატარა ხელებით. — რატომ უნდა მოუსპო ადამიანებს ჭეშმარიტების შეცნობის საშუალება? რატომ არ უნდა მისცე ადამიანებს შენი ძიებების გაცნობის შესაძლებლობა? ვალდებული ხარ დაბეჭდო შენი ნაშრომი, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი!

ნამა მიკოლაის შეეშალა და დაღვრემილი სახე ჰქონდა. იგი ნერვულად აკაკუნებდა მაგიდაზე თითებს:

— რამდენჯერ გთხოვე, ძმაო ტიდეშან, ამაზე ნულარაფერს მეტყვი-მეთქი! შენ ხომ იცი, რომ ჯერ კიდევ არა მაქვს გადაწყვეტილი, როდის ღავბეჭდავ ჩემს ნაშრომს, უფრო ზუსტად, მის თეორიულ ნაწილს... ციური სხეულების ადგილმდებარეობის განსაზღვრის ცხრილების დაბეჭდა სხვა რამეა! მალე გამოვა კიდევაც. ნეელ ხელნაწერზე კი... მართალი რომ გითხრა, ვერაფერს ვიტყვი... ჩემი ხელსაწყოების არასრულყოფილება მაღონებს. მხოლოდ უფალმა ღმერთმა იცის, როგორ დავიტანჯე მერკურის გადახრის კუთხის განსაზღვრას რომ ვცდილობდი, და მაინც, ჩემს მონაცემებში დაეჭვებული, იძულებული გავხდი, სხვისი დაკვირვებებით მესარგებლა, თანაც მათი უტყუარობაც ხომ საეჭვოა... გამიგე, ასეთ მნიშვნელოვან საქმეში ჩემი მტკიცებანი უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი უნდა იყოს!

— ასტრონომიის აღიარებული ავტორიტეტი პტოლემეოსია, — შეესიტყვა მამა გიზე, თან ცდილობდა ნელა და მკაფიოდ ელაპარაკა, — (ვფიქრობ, მეცნიერებისათვის მის მნიშვნელობაზე შენ დავას არ დამიწყებ), ჰოდა, ეს დიდებული ალექსანდრიელი არც ერთ თავის დებულებას არ ასაბუთებდა მის მიერვე ჩატარებული ცდებიდან გამოდინარე დასკვნებით და მაინც ნეელ სწავლულ ნოფლიოში მრავალი საუკუნის მანძილზე მისი მოძღვრება სამყაროს აგებულებაზე a priori-ადაა მიჩნეული. ახლა პითაგორელები? სიტყვაზე, მამა მიკოლაი, მე არაერთხელ მსმენია, რომ შენც ვიღაც-ვიღაცები პითაგორას მიმდევრად გთვლიან... მაგრამ პითაგორელები განა იმდენ ძალასა და დროს ანდომებდნენ ცდებსა და დაკვირვებებს, რამდენსაც შენ? მართალი იყო დიდი არისტოტელე, როცა ამბობდა: „ამ სწავლულთათვის მთავარი მოვლენათა გამოკვლევა კი არ იყო, არამედ ამ მოვლენათა შესაბამისობა მათსავე თვალსაზრისსა და თეორიასთან.“ შენ შენი ცხოველების მრავალი წელი შესწირე მნათობებზე დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ს, ა რ ა ფ ე რ ი გადაგისხ-

ვაფერებია, არც ერთი შენი დებულება არ გამოგითქვამს მხოლოდ იმისთვის, რომ გადამეტებული შრომის გარეშე, შეუმოწმებლად აგეხსნა თვით შენთვისაც გაუგებარი საკითხები. და მაინც შენ, შენ, მიკოლაი, არ ვინდა, გაუზიარო ხალხს შენი მიღწევები!..

— ჩვენი სტუმრები მოვიდნენ, ალბათ გამოსამშვიდობებლად, — გააწყვეტინა კოპერნიკმა, — რაო პან ჰენრიხ, შენც კასპერ, უკვე აპირებთ წასვლას? ტიდემან, ხვალ ოლშტინის ჩაბარებას შეძლებ? ნაშიხ მეც ამათთან წავიდოდი!

ტიდემან გიზე აშკარად შეშფოთებული და შეცბუნებული იყო.

— თუკი ამ საუბარმა შენი გამგზავრება დააჩქარა, მაშინ, გეფიცები, შენს ნაშრომს ერთი სიტყვითაც აღარ ვახსენებ აღარასოდეს! — თქვა დამნაშავედ. — მე არ შემიძლია გაჩუმება, დარწმუნებული ვარ, რომ სიმართლე ჩემს მხარესაა, მაგრამ ამ ფასად—მე შენი ნდობის დაკარგვას ვგულისხმობ — არასოდეს ვეცდები ჩემი სიმართლის გატანას!

კოპერნიკი გიზეზე ნაკლებ არ იყო შეშფოთებული და შეცბუნებული. მივიდა თავის ძველ მეგობართან, მოეხვია და მკერდზე მიიკრა.

— შენ მართალი გულით მეუბნები და, რა თქმა უნდა, სიკეთე გინდა ჩემთვის. შენ გაქვს უფლება, ყოყმანის გამო გამიჯავრდე, შემდეგში დარწმუნდები, რომ ეს ყოყმანი შიშის ბრალი არაა. მე მზადა ვარ ყოველგვარი გაკიცხვა და განდევნაც კი ავიტანო, როდესაც დაიბეჭდება ჩემი ნაშრომი. მაგრამ, რა ვქნა, ისეთი გუნების კაცი ვარ, ჩემო მეგობარო, რომ თუ საბოლოოდ არ შევამოწმე ჩემი დასკვნები, ვერ მივცემ ნაშრომს დასაბეჭდად!

— რამდენჯერ ვაიძულე თავი, გავჩუმებულიყავი, არ მეთქვა. რასაც ვფიქრობ. — ჩაილაპარაკა გიზემ. — და მაინც...

— უახლოესმა მეგობარმა, აბა სხვა ვინ უნდა გითხრას სიმართლე, რაც გინდ მწარე და ძნელი ასატანი იყოს იგი! — გააწყვეტინა კოპერნიკმა, თანაც კასპერს გახედა. — რაც ჩემს გამგზავრებას შეეხება, ნუ შეგაშფოთებს: ეს ახალგაზრდები დამიდასტურებენ, რომ, რა ხანია, ვპირდები მათ წაყვანას, როგორც კი ჩამოხვიდოდი, მაშინვე. გდანსკში გადაუდებელი საქმეები მელოდება. შენმა ჩამოტანილმა ამბებმა კიდევ უფრო დააჩქარა ჩემი გაგზავრება. მაშ, მოდი, გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ გადავეხვიოთ ერთმანეთს!

კეთილი მამა ტიდემანიც კვლავ ხალისით ჩაეხვია თავის ძველ მეგობარს.

მეორე დღეს ოლშტინის კარიბჭე ფართოდ გაიღო, რომ გაეტარებინა საზიდრებისა და კარეტების მთელი ამალა, რომელსაც

ყოფილი ნაცვლის მთელი სახლეული და მწერლები მიჰყავდა, მიჰქონდა მთელი მისი ქონება. თვითონ კანონიკი კოპერნიკი ტანმოსულ ქურანზე ამხედრებულიყო, მის გვერდით კი კასპერ ბერნატი მიუენაობდა. ჰენრიხ ადლერს ორივენი ჯერ კიდევ ციხესიმაგრის ეიშკართან გამოემშვიდობნენ.

— მამა მიკოლაი, როგორ გგონია, ლანგე აიტანს ასეთ გრძელსა და ძნელ მგზავრობას? — ჰკითხა კასპერმა და შეწუხებით გახედა გადაკამარებულ მარხილს, წარამარა რომ ჩაეფარებოდა ხოლმე ღრანტეებს.

— მართალია, ძალიან დასუსტებული და დაუძლურებულია, მაგრამ იმედი მაქვს, უფალი ღმერთი შემატებს ძალას, გდანსკამდე ჩაიღწიოს და შეხვდეს თავის ძვირფას შვილს. ვინ იცის, იქნებ ასეთმა ძლიერმა მღელვარებამ დაუბრუნოს კიდევაც გონიერება... — მიუგო კოპერნიკმა დინჯად.

— მონასტრის საზიდარზე თავდასხმაზე რაღას იტყვით! — ფრთხილად ჰკითხა კასპერმა.

მამა მიკოლაიმ ამოიოხრა:

— არ დაგიმალავ, გულზე ლოდივით მაწევს. გდანსკში რომ ჩავალთ, ეკლესიის გავლენიან მამათა შორის ზოგიერთს მოველაპარაკები, შემდეგ კი მე და შენ ერთად მოვიფიქრებთ, რით დავეხმაროთ ზბიგნევს, მიტასა და ყველა იმათ, ვინც ქალიშვილების გატაცებაში მონაწილეობდა... შეიძლება პაპის წინაშე შუამდგომლობა აღვძრათ წმიდა ეკატერინეს მონასტრის აბატისას დასჯის თაობაზე, რადგანაც პროფესორ ლანგეს ჯანმრთელ ქალიშვილს ჭკუაზე შეშლილობის მომიზეზებით უკანონოდ იტოვებდა მონასტერში. მისი მიზანი რაინდ მენდელშტამის დანაშაულის კვალის დაფარვის სურვილი იყო, რომელმაც ხელჰყო ქალიშვილის მამის, პროფესორის სიცოცხლე. დამადასტურებელი მტკიცებანი ხელთა გვაქვს... იმედი უნდა ვიქონიოთ...

— მასწავლებელო! — ისეთი მუდარით სავსე ხმით მიმართა კასპერმა, რომ კოპერნიკმა უნებურად ცხენიც კი შეაჩერა. — მასწავლებელო, თქვენ ბურჯი ხართ პოლონეთისა, დიდება და სიამაყე. გვმუდარებით, ნუ ჩაერევით ამ ძარცვის საქმეში... ერეტიკოსთა თანაგრძნობაში ცილი რომ დაგწამონ, ღმერთმა ნუ ქნას და, ყველა თქვენი ავისმსურველი უმალვე დაგესხმებათ თავს!

გდანსკი, მშობლიური გდანსკი, კასპერის ბავშვობის ქალაქი, მისი ადრინდელი ჭაბუკობის ქალაქი, როგორც კასპერს მოეჩვენა, თავის დიდი ხნის მეგობარს ცივად და უცხოსავით შეხვდა. მამა ბენედიქტინელების ყოფილმა აღსაზრდელმა ორჯერ ჩაუარა თა-

ვისი სკოლის შენობას, ფანჯრებშიც შეიხედა, ეზოშიც, მეკარესაც გამოელაპარაკა, მაგრამ ვერც ერთ ნაცნობ სახეს ვეღარ მოჰკრა თვალი.

ჯერ დედა უნდა ნახოს. ნეტავ თუ გაიგო მისი დამახინჯების ამბავი! ანდა თუ იცის, საერთოდ, რომ ცოცხალი გადაურჩა შვილი?

კასპერმა გულზე მიიჭირა ხელი, თითქოს მისი ძალუმი ძგერის შეკავებას ლამობსო, და ქალაქის ზღვისპირა მხარისაკენ გაეშურა. ბაგირების, ფილისა და საღებავების კარგად ნაცნობმა სუნმა, ზღვის მშვიდმა ფშვინვამ, ხელოსნებთან შეხვედრამ ოდნავ დაამშვიდა ყმაწვილი კაცი.

კასპერი მივიდა ხის პატარა სახლთან (ღმერთო, რა დიდი და ჭერმაღალი ეჩვენებოდა იგი ოდესღაც!) და ცისფერ კარზე დააკაკუნა.

„დედაჩემი ნამდვილად შინ არის, ეს კარი ხომ დიდი ხნის წინ მისი დაჟინებული მოთხოვნით შეღებეს ცისფრად... საღებავი სულ ახლახანს გაუახლებიათ“.

კარს იქით ფეხის ძაგუნი გაისმა, იგი სულ არა ჰგავდა პანი იანინა ბერნატოვას მსუბუქ ნაბიჯებს.

„რამდენი წელია გასული უკვე. დედაჩემი დაბერდებოდა და დაძლიერდებოდა კიდევაც... ანდა იქნებ ბოლოს და ბოლოს მოსამსახურე აიყვანა?..“ — ფიქრობდა კასპერი და გუნებაში სანუგეშო სიტყვებს ეძებდა, რომლითაც უნდა დაემშვიდებინა საწყალი დედა, როცა იგი თავის სახედამახინჯებულ შვილს ნახავდა.

კარი გაიღო. ზღურბლზე მაღალი, ზორბა ტანის ქალი მოდგა. იგი ეჭვიანად ათვალიერებდა უცხო სტუმარს და დუმდა.

კასპერმა უთხრა, ვინც იყო.

ქალმა მსუქანი ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, მის მრგვალ, წითურ პირისახეზე სიბრალული და შიში აისახა ერთდროულად.

— უი-უი-უი! — წაიზუზუნა ქალმა. — მაშ კასპერ ბერნატმა კიდევ არ იცის, რომ დედამისი, აგერ ხუთი წელია სამუდამო სამყოფელში გადაბარგდა? ქალაქ კილის ნახევარმა მიაცილა იგი სასაფლაომდე... რა თქმა უნდა, ეს სტანისლავ კუჩინსკის, კილის გემთმეპატრონეების უხუცესთა საბჭოს წევრის, პატივისცემის გამო იყო... მე და ჩემი ქმარი სულ ნახევარი წლის წინ დავბრუნდით კილიდან გდანსკში. სტანისლავმა ცხრა თვეზე მეტ ხანს იგლოვა დედაშენი, — აეწყა ქალმა სიამაყით, — ჩვენ კი ოთხ წელზე მეტია, რაც ერთმანეთი შევირთეთ. ხომ არ შემოხვიდოდით ლუდით პირის გასასველებლად?

კასპერისათვის აუტანელი იქნებოდა მშობლიურ სახლში ფეხის

შედგმა, სადაც ეს უცხო ქალი გაფოფრილიყო. კასპერმა მადლობა გადაუხადა და გამოსამშვიდობებლად თავი დაუკრა.

— იქნებ პან ბერნატი დედის სიკვდილის გამო მემკვიდრეობის მიღების იმედით მოვიდა? — მიაძახა მიმავალ კასპერს ქალმა. — ნაშინ, ნახევარმა გდასსკმა იცის, რომ პანი იანინას ერთი კაპიკის საფასური მზითევიც არ ეოუტანია სტანისლავთან... სტანისლავმა თვითონ... თავისი გარჯით... რაც კი სახლში გვაქვს...

ეტყობა, ეს ქალი ნახევარქალქობით თუ არა, სხვანაირად ვერ ითვლიდა ხალხს. უნდოდა კასპერს დედის ნივთებიდან რაღაც წაეღო სამახსოვროდ, მაგრამ, ალბათ, ნახევარი გდანსკი დაადასტურებდა, ყველა ნივთი კაპიტან კუჩინსკის მეორე ცოლს ეკუთვნისო. ახალგაზრდა ქალმა ხელი ჩაიქნია და კუთხეში შეუხვია.

კასპერი საავეჯო უბნისაკენ მიაბიჯებდა.

— ვაჭარ ადოლფ კუგლერის სახლი სადაა? — ჰკითხა მან გამვლელს.

გამვლელმა ქუჩა და სახლი უჩვენა.

კასპერმა ჩაქუჩი გრდემლის მხრიდან დაარტყა (ასეთი უცნაური ფორმა მიეცათ შესასვლელ კართან დადებული ჩაქუჩისათვის) და კარგა ხანს იცადა, სანამ გამოხედავდნენ. ბოლოს კარი ოდნავ შეიღო. ბრგე შესახედაობის მსახურმა, მუშტრის თვალით რომ აწონ-დაწონა კასპერი და, როგორც ჩანდა, დაასკვნა, სტუმრის ფასი არც ისე დიდი უნდა იყოსო, უკმეხად ჰკითხა:

—საით? ვისთან მიბლაკუნობ?

კასპერმა საყელოში სტაცა მსახურს ხელი და ერთი რიგიანად შეანჯღრია.

— თვალები ამოიწმინდე, რეგვენო! პან კუგლერი შინაა?

— შინაა, შინ, — წაიდუდუნა შეშინებულმა მსახურმა.

წინკარში თანაბარი, მტკიცე ნაბიჯების ხმა გაისმა და ნახევრად შეღებულ კარში სახლის პატრონის ღაჟღაჟა სახე გამოჩნდა.

— მანდ რა ამბავია, მიხელ? ეი, რას შვრები, ახალგაზრდავ? კასპერმა ხელი უშვა დარეტიანებულ მიხელს და კუგლერისაკენ გაემართა.

— პან ადოლფი ვეღარა მცნობს? თუმცა, გასაგებია. მე კასპერ ბერნატი ვარ.

— მოწყალეო ღმერთო! — ხელი ხელს შემოჰკრა ვაჭარმა, — რა ქარმა გადმოგაგდოთ? ღმერთო ჩემო, სახლში თვით კასპერ ბერნატი მეწვია, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა! რამდენი თეთრი გამოგრეკვიათ მაგ წითურ თმაში!

„კარგი ნიშანია, — გაიფიქრა კასპერმა, — მაშინდელი ჩვენი შეხვედრის შემდეგ თუ არ შეცვლილა ეს კაცი, მაშ, საფიქრებელია,

„რაღაცაში ვეჭირდები, თორემ სხვაგვარად მიხელზე უარესად მომექცეოდა“.

ადოლფ კუგლერსაც გაახსენდა ახალგაზრდობის ის შორეული წლები.

— მობრძანდით, პან კასპერ, — უთხრა და თავაზიანად გაუღო ორივე კარი. — მშვენივრად გიცანით... მახსოვს ახალგაზრდობაში შევხვდით ერთმანეთს. რა სიხარული დაუდგებათ სუხოდოლსკების მთელ ოჯახს!

— თქვენ ისევ განაგებთ პან ვაცლავის საქმეებს?—ჰკითხა კასპერმა.

პასუხად სახეგაბადრული მასპინძლის თვითკმაყოფილი ღიმილი მიიღო.

— ისევ განვაგებ, მაგრამ დაქირავებული რწმუნებულის სახით კი აღარ, განვაგებ როგორც ახლო მეგობარი და მომავალი შინაური! — და რაკი კასპერმა გაკვირვებით შეხედა, განაგრძო: — ეპირებ... მათი ოჯახის ერთგვარი წევრი გავხდე... პანა ვანდა. პან ვაცლავის ასული, სულ ახლო მომავალში ჩემი მეუღლე გახდება... გემახსოვრებათ, ალბათ, ოდესღაც როგორ გთხოვდით, ჩემზე ორიოდ კვთილი სიტყვა გეთქვათ! ახლა ასეთი თხოვნით აღარ შეგაწუხებთ!

კასპერმა კუგლერის სხვა რამაც გაიხსენა, მაგრამ ახლა ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კუგლერი, რაკი ვანდაზე დაქორწინებას აპირებდა, უეჭველად მოინდომებდა ზბიგნევის დახმარებას... ოღონდ ჯერ უნდა გამოერკვია, ვაჭარმა იცოდა თუ არა, რა საშიშროება ემუქრებოდა ზბიშეკს! იმ შთაბეჭდილების მიხედვით, რაც კასპერს პირველი შეხვედრის შემდეგ დარჩა, კუგლერი არ იყო ის კაცი, რომელიც მეგობრის გულისათვის წმიდა ინკვიზიციის დეენას არაფრად ჩააგდებდა.

— როგორ ცხოვრობს მათი ოჯახი, — გულუბრყვილოდ იკითხა ახალგაზრდა კაცმა, თან მასპინძლის გვერდით მიუყვებოდა კიბეებს მდიდრულად მორთული დარბაზისაკენ. — ზბიგნევი როგორაა? ალბათ უკვე ეპისკოპოსობას ან კარდინალობას ეპირება, არა?

— ო, პან ზბიგნევი ყველაზე ნაკლებ ფიქრობს ახლა ხარისხსა და სასულიერო კარიერაზე, — ხელი ჩაიქნია კუგლერმა. — თქვენ გადანსკში ძალზე დროულად ჩამოხვედით, — დასძინა ღიმილით. — ერთი-ორი კვირა თუ დარჩებით, ერთბაშად ორ ქორწილში მოგიწევთ ცეკვა!.. სუფრასთან მობრძანდით — შენაყრდით ცოტათი, — დაურთო კუგლერმა, რაკი დაინახა, რომ მისი სტუმარი სკამის ზურგს წაეტანა და იქვე გახევდა, — ორი ქორწილი ერთ დღეს—ახლანდელი ძნელი დროისათვის არც ისეთი ოოლი საქმეა!

— გასაგებია, — წაილუღლუღა კასპერმა, გრძნობდა რომ სკამის ზურგისათვის არამც და არამც ხელი არ უნდა გაეშვა, — თქვენი ქორწილი და... ზბიგნევისა... ალბათ? მაშ, თქვენ მაინც მოინადირეთ პატარა ვანდას გული? თუმცა, რას ვამბობ? ვანდა ახლა, ალბათ, ნამდვილი ქალიშვილია!

— დიახ, და ჩემი სათხოვარი იქნება, ამის შემდეგ სრული წოდებით მიმართოთ, — უთხრა ვაჭარმა და თან დამნაშავის ღიმილით მოიხადა ბოდიში ამ სათხოვარის გამო, — მოგეხსენებათ, ბავშვური მეგობრობა... თამაში... თანდათან უფრო შორს წავა ხოლმე...

— მე და პანა ვანდას არც არასოდეს გვქონია დიდი მეგობრობა. იგი სულ პატარა გოგონა იყო ჩემი ნაცნობობის დროს... მე უფრო ვაბრაზებდი ხოლმე, — დაამშვიდა კასპერმა კუგლერი. — ახლა უბრალოდ ნახვა მინდა მისი... როგორი დადგა? მაშ, ბოლოს და ბოლოს მაინც დაიპყარით მისი გული?—გაუმეორა კასპერმა.

— ვუკაკუნებ, ვუკაკუნებ, ამ ამაყ გულს და, იმედია, სულ მალე შევაღწევ კიდევაც... — მიუგო კუგლერმა. — პან ვაცლავმა მიიღო ჩემი წინადადება, პანა ვანდამ თანხმობა განმიცხადა, პანი ანგელინა ამბობს, უკეთეს სიძეს ვერც ვინატრებდიო... თუმცა, ჩემს დანიშნულს ჯერ სიტყვა არ დასცდენია სიყვარულზე, — დაასრულა კუგლერმა და უმწეოდ გაშალა ხელები.

— აბა, რას ამბობთ, პან კუგლერ, რომელი პანენკა დაუწყებს თავის საქმროს სიყვარულზე ლაპარაკს! ეგ ხომ ცხადზე უცხადესია!

— პანა ვანდას ნახვას კი თქვენ სულ მალე შეიძლებთ, — თქვა მასპინძელმა და ჭიქა ღვინით შეავსო, — მე იმიტომ შემოგთავაზეთ წახემსება, რომ სულ მალე ვაპირებ საუცხოო სადილით გაგიმასპინძლდეთ; ორ საათში მთელ სუხოდოლსკების ოჯახს ველი ჩემთან... ზბიშეკიც მოვა თავისი საცოლით—გარდაცვლილ პროფესორ ლანგეს ქალიშვილით...

კასპერი ადგილიდან წამოხტა.

— მომიტევეთ, ნამგზავრი ვერ ვეჩვენები იმ ხალხს, — თქვა აღელვებულმა, — მე, რა თქმა უნდა, ვეწვევი ჩემი მეგობრის ოჯახს, მაგრამ ცოტა მოგვიანებით... ჯერჯერობით კი, ძალიან გთხოვთ, ნუ აცნობებთ ჩემ გდანსკში ყოფნას... სულ მოკლე დროში მე და თქვენ უეჭველად შევხვდებით პან სუხოდოლსკების ოჯახში...

— მიგიხვდით, მიგიხვდით, — მიუგო ვაჭარმა, თუმცა მიხვედრით ერთს მიხვდა მხოლოდ: თუნდაც გამოიცვალოსო ამ საცოდავმა სამგზავრო ტანსაცმელი, თუნდაც დიბა-ატლასში გამოეწყოსო,

სულ ერთია, სახიდან მაინც ვერ წაიშლის ამ საშინელ ნაჭდევებსო.

ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— მახსოვს, დიდი ხნის წინათ მქონდა შესაძლებლობა დამერწმუნებინეთ, რომ მეტისმეტად მომიხვედით თვალში, — ის კი, თავისი სამგზავრო მარხილიდან ტორუნში რომ ჩამოსვა კასპერი, ეტყობოდა, გადაავიწყდა ვაჭარს. — გთხოვთ, ხშირ-ხშირად შემოიაროთ ხოლმე... სიამოვნებით მოვიხსენ თქვენს ოდისეას.. შემიძლია, პან კასპერი გდანსკის გამოჩენილსა და გავლენიან პირებს წარვუდგინო... პან კასპერი, თუ არ ვცდები, სახელოვანი კაპიტან ბერნატის შვილია, მე კი ახლა სწორედ გდანსკის გემთმეპატრონეთა კომპანიის საქმეებს ვაწარმოებ. იქ, დარბაზში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ჰკიდია თქვენი ღირსეული მამის ზეთით შესრულებული პორტრეტი...

„აჰა, აი, რა ყოფილა მიზეზი, — გაიფიქრა კასპერმა და აჩქარდა, მასპინძელს გამომშვიდობებოდა, — სადილობამდე ორი საათია კიდევ... ღმერთის იმედით ერთმანეთს ავცდებით“, — დაასკვნა და სწრაფად ჩაირბინა განიერი კიბეები.

მომიჯნავე მესერთან რომ მივიდა, კასპერმა კუგლერის სახლის ჩუქურთმიან წინკარს შეხედა და შვებით ამოისუნთქა. მოულოდნელად კი მოსახვევიდან პირდაპირ მისკენ გამოემართა მთელი პროცესია და გეზი სწორედ იმ სახლისაკენ აიღო, რომელიც კასპერმა, ეს-ეს იყო, დატოვა.

ყველაზე წინ, ორი მოახლისა თუ შევრდომილი ქალის თანხლებით, მობრძანდებოდა დაბალი, მსუქანი, ხანში შესული მანდილოსანი. მარჯვნივ, ოდნავ ნაბიჯშენელებით, რომ ქალის კაბის შლეიფისთვის ფეხი არ დაებიჯებინა, წარმოსადეგი ულვაშიანი კაცი მოჰყვებოდა.

„პანი სუხოდოლსკები... რა მცირედ შეცვლილან!“—გაიფიქრა კასპერმა.

მაგრამ, დედაო ღვთისავ, საიდან, როგორ?! პანი ანგელინას მარცხნივ, ასევე ნაბიჯშეყოვნებით და ცოლ-ქმართან მოკლე-მოკლე ფრაზების გადალაპარაკებით მოდიოდა ექიმი მიკოლაი კოპერნიკი! კანონიკმა ვერ დაინახა კედელს აკრული კასპერი და გვერდით ჩაუარა.

„როგორ არ წამოსცდენია მასწავლებელს, სუხოდოლსკებთან და კუგლერთან სტუმრობას ვაპირებო!“ თუმცა, ახლა კასპერს ამაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა. მისი მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადარბოდა და ბოლო წყვილზე შეჩერდა. თითქოს საგანგებოდ იმისთვის, რომ უკეთესად წარმოეჩინათ, როგორ არ ჰგავდნენ ერთმანეთს, გაჭიმულ პროცესიას ბოლოში ორი ქალიშვილი

მოჰქცეოდა. ერთი მაღალი, გამხდარი, მუქთვალება, ლამაზი და მიმზიდველი იყო, მაგრამ კასპერის მზერა მეორეს — ოქროსფერთმიანს მიეჯაჭვა.

იგი თავდახრით მოდიოდა და თვალდაშვებული უსმენდა, რასაც გვერდზე მყოფი ქალიშვილი ელაპარაკებოდა.

თვალები! მიტას თვალები! როგორ უნდოდა კასპერს, ჩაეხედა ამ თვალებში!

კუგლერის სახლს რომ მიუახლოვდნენ, პანი ანგელინა შემობრუნდა და რაღაცა ჰკითხა ქალიშვილებს. როგორც იქნა, მიტამ ასწია თავისი ცისფერი, მუქრკალშემოვლებული თვალები და ახალგაზრდა კაციც იძულებული შეიქმნა. ღობეს ჩასჭიდებოდა.

ეს ქალიშვილი მიტაც იყო და არც იყო მიტა... რა თქმა უნდა, იგი არ იყო ის მიტა, ოდესღაც, იმ ზამთრის სუსხიან დილას კრაკოვის თოვლით მიმინამქრულ ქუჩაში მის მკერდზე მიხუტებული რომ ქვითინებდა. იგი სულ სხვა ვიღაცა იყო; თითქოსდა ძველი მიტას უფროსი და: იგივე სახის ნაკვთები, იგივე ცისფერი თვალები, მაგრამ ამ თვალთა მეტყველება, — ო, ღმერთო! — მთლად გადასხვაფერებულიყო... მაშინ, იმ სისხამ დილას, გაბმიშვიდობებისას, მტირალი მიტას სახეზე ხანგამოშვებით ისე გამობრწყინდებოდა ხოლმე მიამიტური, ბავშვური ღიმილი, როგორადაც მზის სხივი ღრუბლებში... პროფესორი ლანგე ტყუილად კი არ საყვედურობდა წარამარა, მაღალი წრის გერმანელ ქალიშვილს არ შეშვენისო ასეთი მაცდუნებელი ღიმილი.

მიტას სახის ნაკვთები, რა თქმა უნდა, ისეთივე დარჩენოდა, მაგრამ რაღაცნაირი უფრო მკვეთრი და მკაცრი გახდომოდა... ახლა კასპერის წინ გაზრდილი, ნაღვლიანი, ლამაზი ქალი იდგა, ნატანჯი სახითა და ტუჩის კუთხეებში გაჩენილი დარდის ნაოჭებით. მონასტერში გამოკეტვამ შეუცვალა ალბათ ხასიათი, მაგრამ, ვინ იცის?— იქნებ ძვირფას ადამიანთან განშორებამაც შეცვალა? იქნება სცდება მამა მიკოლაი...

სიმღერებშიდაც ასე თქმულა და ყველა ქვეყნისა თუ დროის ფილოსოფოსებიც იმას იჩემებენ, ნამდვილმა, სიყვარულმა განშორება არ იცის და ვერც დრო გაცრეცავსო...". მიცნობს თუ არა? ამ სუსაშველო ნაიარევების მიუხედავად, თუ მიცნო, მაშ, ვუყვარვარ, მაშ, შემიყვარებს კიდევაც... მაშინ... მაშინ კი...

კასპერმა თვითონაც არ იცოდა, რას აპირებდა მაშინ... ქაღალდივით გადათეთრებული გულის კანკალით იდგა და ელოდა, აი, ეხლა, შემომხედავს მიტა, აი, ეხლაო. ქალიშვილი რომ გაუსწორდა, კასპერის ხელი თავისით გაიწია მისკენ, გული კი, მისი სიტყვის, მისი ხმის მოლოდინში გაირინდა, სასწაულის მოიმედე კას-

პერმა თვალებიც კი დახუჭა. მაგრამ მას პირველად ცხვრისფერთვალება ქალიშვილმა მიაქცია ყურადღება:

— უყურე, მიტა! საწყალი, რა ახალგაზრდაა, რა ვაჟკაცი და როგორაა დაჭრილი! ვაი, ჩვენი ცოდვა და სირცხვილი, რომ სამშობლოსთვის მებრძოლ ხალხს სამათხოვროდ ხელის გაწვდენა უხდება!

მიტამ ნაბიჯი შეანელა და კასპერს ჩააშტერდა. ტუჩები სიმწრით მოეკუმა, სახის ნაკვთები თანაგრძნობით შეუკრთა. შემდეგ სარტყელთან აკანკალებული ხელით საფულე მოისინჯა და ისეთივე ნაზი, ამდენი წლის მანძილზე შეუცვლელი ხმით უთხრა:

— ილოცე, საწყალო მეომარო, კასპერის სულის საცხონებლად!

ახალგაზრდა კაცის ხელისგულზე ცივი მონეტა დაეშვა.

კასპერმა თვალები გაახილა და მცირე ხანს ქვადქცეულივით ვერ დაიძრა ადგილიდან. შემდეგ კი დაპატარავებული, მობუზული თავგადაგლეჯით გაშორდა იქაურობას.

მოულოდნელად, სუხოდოლსკების ოჯახის ყველა წევრმა, დოქტორმა მიკოლაი კოპერნიკმა და სტუმრების შესახვედრად გამოსულმა თვით ადოლფ კუგლერმაც დაინახა, უკვე კიბეებზე ამავალი ზბიგნევ სუხოდოლსკი რა ელვის სისწრაფით შემობრუნდა უკან და „კასპერ, კასპერის!“ ძახილით რანაირად გაენთო იმ სამგზავროდ ჩაცმული უცნაური კაცის კვალდაკვალ.

თავი მეათე

პანი ანელკა სანატორიუმას აღიარება

სუფრაზე გულითადი საუბრის, პან კუგლერის მზარეულისაგან დიდი გემოვნებით მომზადებული ბიგოსის, პაშტეტისა და ვერტუტის გემოს გასასინჯად როდი წავიდა შლიახტიჩი სუხოდოლსკი თავისი სასიძოს ოჯახში.

საქმე ის იყო, რომ, იმ დილას, ადრიანად პან ვაცლავს კარზე მიუკაკუნა მეუღლემ, პანი ანგელინამ. შეშინებულ ქალს პაპილოტები და საღამური ჩაჩიც კი არ მოეშორებინა თავიდან.

— ვაცეკ, — მიმართა საცოდავად, — ვიღაც ქალი მოვიდა ჩემთან... ამბობს, ექიმის ცოლი ვარო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია. რაღაც უცნაური შესახედაობა აქვს... წამოდი, ელაპარაკე და ცოტა ფული მიეცი... ისეთი გაწეწილია, შეგეშინდება. კაცმა არ

იცის, რას როტავს... ინკვიზიციაო, ვილაც დაჭრილი გლეხიო... ნახევარიც ვერაფერი გავიგე...

ამ ლაპარაკში, პანი სუხოდოლსკაიას კვალდაკვალ, ოჯახის უფროსის კაბინეტში შეიჭრა პატარა, გამხდარი და, მართლაც, უსაშველოდ გაწეწილი ქალი.

— ოი, დედაო ღვთისავ, რა უბედურებაა ჩემს თავს, რა უბედურება! — გაჰკიოდა იგი და დილის ძილს უფრთხობდა იმ სახლის ჯერ ისევ ლოგინში მწოლ ახალგაზრდა მობინადრეებს. — მე თვითონ, ჩემი ენით დავღუპე! ახალგაზრდა შლიახტიჩიცა და ის უცნაური ავადმყოფი პანენკაც!

პან ვაცლავს მეტი აღარ მოუსმენია მოსულისათვის, მან ფრთხილად გაიყვანა თავის მეუღლე კაბინეტიდან და მჭიდროდ მიხურა კარი.

— რას ლაპარაკობთ? — მოუბრუნდა და მკაცრად ჰკითხა ამ დილის დაუპატიჟებელ სტუმარს.

ის კი უკვე ჯვარცმის წინ ქვითინებდა აკანკალებული და გამხდარ, არც თუ სუფთა ხელებს იმტვრევდა.

პან ვაცლავმა სტუმარს სიტყვა-სიტყვით ძლივს ათქმევინა შემდეგი: იოან სანატორი, იგივე იოჰან ვალდმანი, ამ ქალის ქმარი, გულღია კაცი, არასოდეს ამბობს უარს თანამელხინეებთან ზედმეტი ლუდის გადაკვრაზე. შემოსავალი არ აქვს ცუდი და გვარიანადაც იცხოვრებდნენ, ეს დამღუპველი ჩვეულება და გულუხვი, მხარჯავი ხასიათი რომ არ დაეტანა.

— ამას წინათ, პან სუხოდოლსკის ნუ ეწყინება და, მისმა ჰანსმა სულ უფასოდ შეუხვია ხელი და მალამოც დაადო პან სუხოდოლსკის გლეხს... ბანდიცა და მალამოც ფული ღირს, ჰანსს კი ავადმყოფისაგან კაპიკიც არ აუღია...

პან ვაცლავმა გაკვირვებით ასწია წარბები, ცდილობდა გაეხსენებინა, რომელმა მისმა გლეხმა მიმართა დახმარებისათვის ექიმ სანატორს. ვერაფერი გაიხსენა და მოწიწებით მისწია ქალისაკენ საკარძელი.

— შემდეგ იგი ამ მშვენიერ სახლში მოიწვიეს და ახალგაზრდა პანენკას მკურნალობდა... მართალია, დიდებულმა პანმა კარგად გადაუხადა, მაგრამ ჰანსმა ოქრო მაშინვე სამიკიტნოში წაიღო და ქალაქ გდანსკის ყველა ლოთს გაუმასპინძლდა. მეტიც: როდესაც მან, მისმა ცოლმა, მისივე სიტყვებით, „ღვთაებრივმა ანელკამ“ გაახსენა, ავადმყოფი პანენკა კიდევ უნდა ნახოო, ჰანსმა უპასუხა, სხვის საქმეში ნუ ერევი. სუხოდოლსკებთან აღარ წავალ, იმიტომ რომ, პანენკას ახლა სახელგანთქმული მედიკი, მამა მიკოლაი კოპერნიკი მკურნალობს, ვისი ხამლის საკვრეველის შეხსნის ღირ-

სიც არა ვარ მე, ექიმი სანატორიო! მაგრამ დიდებულმა პანმა ხომ იცის, — განაგრძობდა ქალი და პან ვაცლავისთვის მიეპყრო ნამტირალევი თვალები, — რომ სამედიცინო პრაქტიკაში მიუღებელია, ერთმა ექიმმა მეორეს პაციენტი წაართვას! მამაჩემიც მედიკი იყო, მართალია, არც ისეთი სახელიანი, როგორიც ექიმი სანატორია, მაგრამ ისიც არ იკადრებდა ასეთ რაშეს, რაც კანონიკმა კოპერნიკმა იკადრა!

სტუმარი გაჩუმდა, სახე ცრემლითა და ჭუჭყით მოთხუპნოდა.

— ყურადღებით გისმენ, პანი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამიგია, რა მოხდა, — მოთმინებით მიმართა პან ვაცლავმა. — ექიმ კოპერნიკზე რომ ამბობთ, მას ჩემგან კაპიკიც არ აუღია და, ვინაიდან მე მაინც ვაპირებდი ექიმი სანატორის ვალის გადახდას, თუნდაც რომ მის ნაცვლად კანონიკი კოპერნიკი არ მოსულიყო... მოხარული ვარ...

— და პან სუხოდოლსკიმ ქისისკენ წაიღო ხელი.

მისდა გასაოცრად, სტუმარმა ქალმა ქვითინით დაუჭირა მაჯა.

— საჭირო არაა, არაა საჭირო! — დაიყვირა... — მეკითხებით, რა მოხდაო? — ანელკა სანატოროვამ მძიმედ ამოიოხრა და ცრემლები მოიწმინდა. — მე სულ ოდნავ, ნელა ჩავუტყაპუნე ჰანსს.— გამოტყდა ქალი. — ვეჩხუბე კიდევაც, შენს ოჯახსა და შვილებს არ უფრთხილდები, ვინ იცის, ვის მკურნალობ-მეთქი! მართალია, არც ექიმი ვარ, არც ექიმბაში, არც დალაქი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, პან სუხოდოლსკის მსახურის ჭრილობა, ჰანსმა რომ შეუხვია, ცულისაგან არ იყო! რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მახვილით ნაჩხვლეტი ჭრილობა იყო! ასეთ ჭრილობებს მამაჩემი ათეულობით კი არა, ასეულობით არჩენდა... როდესაც ოთხთვალათი პოლკს დავყვებოდით...

„აჰა, აი, თურმე სად გადაპყრია საწყალი სანატორი ამ ქალს!— თანაგრძნობით გაიფიქრა პან ვაცლავმა. — პოლკის მკურნალის შვილი ყოფილა. — პან სუხოდოლსკიმ თვალებზე ხელი ჩამოიფარა, ვითომც გისმენო და ჩათვლიმა. — ფულს არ იღებს, მაშ, საუზმეზე უნდა მივიწვიო. მაპატიოს პანი ანგელინამ, მაგრამ ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე!“ — და მოულოდნელად მის ყურთასმენამდე მიღწეულმა პანი სანატორვასაგან წამოსროლილმა ერთმა ფრაზამ უცებ გამოაფხიზლა იგი.

— ეს ქალიშვილიც, პანი სუხოდოლსკების სტუმარიც ისეთი შესახედავია, თითქოს ნახევარი სიცოცხლე ციხეში ან მიწისქვეშეთში გაეტარებინოს. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდებული პანენკაც შეიძლება დაავადდეს ცხელებით, აგრეთვე, ღმერთმა დაიფაროს და, ყვავილით ან ქოლერით, მაგრამ სანატორი საკმაოდ გამოცდილი მედიკა იმისათვს, რომ გაიგოს, რა აწუხებს ამ უცნაურ ქალი-

შვილს. და თუ ეს ამბავი ასეთი დიდი საიდუმლოება იყო, არ უნდა ეთქვა ჩემთან! მაჩუმა, მაჩუმა, პირზე ხელის დაფარებაც სცადა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ავდექი და გადმოვულაგე ყველაფერი, როგორც რიგი და წესია!

პან ვაცლავმა კარი შეამოწმა, კარგად თუა დაკეტილიო და მერე ფანჯარაც მიხურა.

— ეგ ყოველივე პანიმ, რა თქმა უნდა, წყნარად, უთხრა მეუღლეს, როგორადაც მეუღლეთა წაკინკლავების დროსაა მიზანშეწონილი, რომ ენამწარე მეზობლების გასაკილი არ გამხდარიყო! — იკითხა სტუმრისაკენ შებრუნებულმა პან ვაცლავმა.

— ვაი ჩემს თავს, ვაი! — იკივლა ქალმა და ისედაც გაწეწილ თმაში იტაცა ხელი, — საქმეც ისაა, მე რომ პანსს ხელი გავარტყი, მან კარი გაიჯახუნა და ქუჩაში გავარდა. მე კი სირბილით შევდევდი უკან და მივკიოდი, რაც პირზე მომადგა! გახსენებითაც ვეღარ ვიხსენებ, რას მივძახოდი... მომიტევოს დიდებულმა პანმა და, მგონი, პანის მსახურიც ვახსენე, ექიმი კოპერნიკიც...

— მაშ, პანი ჩემთან მოსანანიებლად მოვიდა, რაკი თავის მეუღლესთან ერთად ჩემი მსახურიც გამოლანძღა, ექიმი კოპერნიკიც და, შესაძლოა, ჩვენი ოჯახიც?—ჰკითხა ოდნავ დამშვიდებულმა პან ვაცლავმა.—მაშინ პანი ნუ შეშფოთდება: რამდენი რამის თქმა შეიძლება გაბრაზებულ გულზე... შინ რომ დაბრუნდება პანი, რა თქმა უნდა, შეურიგდება თავის მეუღლეს. ცოლ-შვილის პატრონი უკანასკნელ კაპიკს სამიკიტნოში რომ ხარჯავს, რა თქმა უნდა, საძრახისი საქციელია... მაგრამ პანი ისეთი მიმზიდველია, — აქ თავაზიანმა პან ვაცლავმა მკერდზე მიიდო ხელი, — თავის მეუღლეს ასე მკაცრად რომ არ ექცეოდეს, იგი მეტ დროს გაატარებდა ოჯახში და არ ეცდებოდა, სამიკიტნოში დარდის გაქარვებას! ახლა პანის სუფრასთან ვთხოვ, სადაცაა საუზმეს გაამზადებენ. პანი დანაყრდება, დამშვიდდება და, შინ რომ დაბრუნდება, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე ტკბილად დაელაპარაკება თავის მეუღლეს...

პან ვაცლავის მიპატიჟებას ხელახლა მოჰყვა ქვითინი.

— მერედა, სად არის ჩემი ჰანსიკი? მე დიდებულ პანთან იმისათვის მოვედი, რომ ჩემი ქმრის მოძებნაში დამეხმაროს... ყოველივე ხომ იმიტომ მოხდა, რომ იგი იმ უცნაურ პანენკას მკურნალობდა! ის სამი კაცი რომ მოვიდა, მე ვიფიქრე, ქალაქის პოლიციელები არიან-მეთქი. ველოდი კიდევაც ყოველ დღე. მაგრამ ისინი მეტისმეტად თავაზიანები აღმოჩნდნენ...: ერთმა მათგანმა ჩვენი პატარა შვილიც კი აიყვანა ხელში და, ლამაზი სახე აქვსო, თქვა...

— მოიცათ, მოიცათ! — პან ვაცლავმა საკმაოდ არათავაზიანი ჟესტით შეაჩერა თავისი სტუმარი. — ვერ გავიგე, რა მოსატანია აქ ახალგაზრდა პანენკა ან ვინ იყო ის სამი კაცი, ანდა რატომ ელოდა პანი ქალაქის პოლიციელებს თავისთან?

— ოჰ, ჯვარცმულო იესო ქრისტეე! განა არ მითქვამს, ჰანსი რომ დათვრება, მხეცად იქცევა ხოლმე? ამ რამდენიმე დღის წინ მთვრალმა ლუდის კათხა ისე ჩასთხლიშა თურმე მაგისტრატის მწერალს თავში, რომ იგი სამიკნიტოდან ხელით გამოიტანეს.... გამოფხიზლებულმა ჰანსმა თქვა, საქმე ცუდადაა, ციხეში ჩამსვამენო. პანენკაზე კი... თუმცა, ყოველივეს დალაგებით მოგიყვებით თავიდან, — პანი სანატორიუმის ცრემლები და ცხვირი კაბის კალთით მოიწმინდა და განაგრძო: — ის სამი კაცი მწერლის გამო არ მოსულა... მათ გამოკითხვა დამიწყეს პანი სუხოდოლსკის დაჭრილ ყმასა და ავადმყოფ პანენკაზე...

პან ვაცლავმა ულვაშებში ჩაახველა. სულ დაეკარგა ამ ქალის საუზმეზე მიპატიჟების სურვილი.

— ისინი გუშინწინ იყვნენ... გუშინ კი სულ სხვები მოვიდნენ და ჩემი ჰანსიკი წაიყვანეს! — წამოიყვირა ქალმა ხელების მტვრევით. — მე პოლიციელები მეგონნენ, მაგრამ მეზობლები შეუბნებიან, წმიდა ინკვიზიციის ჯაშუშები იყვნენო. მარწმუნებენ, რომ ჩემს ჰანსს აწამებენ და ყველაფერს ათქმევინებენ იმ დამწყვდეულ პანენკაზეცა და დაჭრილ გლეხზეცო,.. თუ ჰანსიკმა საიდუმლო არ გასცა, მაშინ კოცონზე დაწვავენო!

— მაინც საიდან იციან მეზობლებმა ავადმყოფი პანენკასა და იმ წყეული დაჭრილი გლეხის ამბავი — თუმცა, ვერასგზით ვერ გამიგია, რომელი გლეხი იყო? — იკითხა ვაცლავმა და ძლივს იკავებდა თავს, მაგიდაზე მუშტი არ დაეცხო.

— ოჰ, დედაო ღვთისავ, პან იესო, წმიდაო აპოსტოლ, როგორ უნდა გავჩუმდე, როცა ასეთი უბედურება ოამატყდა თავს! — ტირილით მიუგო ანელკა სანატოროვამ, მაგრამ რომ შეხედა განრისხებული მოხუცი შლიახტიჩის აჭარხლებულ სახეს, იმ წამსვე შიშნარევად დაუმატა: — მომიტევოს პანმა, მაგრამ თავში ისე ამერ-დამერია ყველაფერი, მე თვითონ ველარ გამიგია, სინამდვილეში რა მოხდა და რა ბოელანდა ჩემს უბედურ გონებას... მაგრამ რისთვისაც გინდა დაეჭირათ ჩემი კეთილი ჰანსი, უმორჩილესად ვთხოვ დიდებულ პანს, შომეხმაროს მის მოძებნაში!

პან სუხოდოლსკი დახმარებასა და მხარდაჭერას შეჰპირდა ქალს. გულმოსულმა გააცილა სტუმარი, მაგრამ მაინც ჩაუდო ოქროს ფული. შემდეგ სასადილოში არც შეუხედავს, ისე შევიდა ზბიგნევის ოთახში.

შვილთან საუბარმა ოდნავ დააშშვიდა იგი. მისი და ზბიგნევის გადაწყვეტით, მეზობლები რას არ დაიყბედებენ. ლოთი მკურნალი, უეჭველია, სამიკიტნოში ატეხილი ჩხუბის გამო დააპატიმრეს და, რაკი გახურებულ ჩხუბში პანი სანატოროვამ ყველაფერი წამოსძახა ქმარს, რაც ენაზე მოადგა, გასაგებია, მეზობლებმა თავისებური დასკვნები გამოიტანეს. რაც მთავარია, აქ საშიში არაფერია... სანატორების მეზობლად მცხოვრები ხალხი, უმთავრესად, წვრილი ხელოსნები და ოსტატები არიან,—ასეთები წმინდა ინკვიზიციასთან დასაბეზღებლად სირბილს არ მოჰყვებიან. ილაპარაკებენ ერთმანეთში, ილაპარაკებენ და დაივიწყებენო...

ერთადერთი, რაც პან სუხოდოლსკის აწუხებდა, ისღა იყო, რომ სანატორის ცოლს მიტაზე დაპკითხეს. თუმცა ზბიგნევს ამის თაობაზე აღარაფერი უთხრა. ეს ბოდოშა ტყუილსაც არ ითაკილებს. წმიდა ინკვიზიციის ამბავი იქნება სულაც მოიგონა სიტყვის მასალად ან „დიდებული პანის“ შესაშინებლად, ანდა გულის მოსალბობად. უმთავრესად კი იმიტომ, რომ აიძულეს, ექიმის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოსო.

ზბიგნევი იძულებული გახდა, მიტას მოტაცების ამბავი თავიდან ბოლომდე მოეთხრო. ამანაც ბოლოდ დამამშვიდებლად იმოქმედა პან სუხოდოლსკიზე. არც ზბიშეკს, არც ჰენრიხ ადლერსა და არც დასჯილი ბრანევის ბურგომისტრის გაქცეულ ყმას სახით არავინ სცნობდა თურმე იმ მხარეში, მათს სახელსა და გვარზე ხომ ლაპარაკიც არ იყო! ფრანცი, ეს გაქცეული ყმა გლეხი დაჭრილი რომ იყო და ექიმმა სანატორმა ჭრილობა შეუხვია, არც ამაზე შეიძლებოდა დიდი ეჭვის აღება. ცოტა ვინმეს შეიძლებოდა დაეჭრა იგი, თუნდაც იგივე ქალაქის პოლიციელს!

პან ვაცლავი იმდენად გაახარა ბოლოს და ბოლოს იმის გარკვევამ, ექიმმა სანატორმა მის რომელ გლეხს შეუხვია ჭრილობა, რომ დიდად არც იმაზე გაჯავრებულა, ფრანცმა ასეთ ზერელედ ნაცნობ ექიმს რატომ მიმართა დახმარებისთვისო (იმ დროისათვის ასეთი საქციელი მეტისმეტი გაუფრთხილებლობა იყო!) და არც იმაზე, გაქცეულმა გლეხმა ასეთი წესიერი ოჯახის მსახურად რატომ გამოაცხადაო თავი... საერთოდ კი, კარგი ქნა ფრანცმა, თავისი სანდომიანი ურშულათი მათი სახლიდან. რომ გადაბარგდა!

ამის შემდეგ პან ვაცლავმა გემრიელად და მაძღრისად ისაუზმა, თან ზედ შინაურული ქლიავის არაყიც დაყოლა და სულ მთლად დამშვიდდა. ასეთ აღუშფოთებელ განწყობაზე მანამდე იყო. სანამ მობუცი იუზეფი მაგიდის შემოვლით მივიდოდა მასთან და ყურში ჩასჩურჩულებდა, კანონიკი მიკოლაი კოპერნიკი მობრძანდა და თხოულობს, ოჯახის უფროსის მეტს ნურავის მოახსენებო ჩემს მოს-

ელას. ახლა იგი პან ვაცლავს მისსავე კაბინეტში ელოდებაო.

„ისევ ზბიგნევისა და მიტას თაობაზე იქნება!“ — ამოოიხრა მოხუცმა შლიახტიჩმა და სუფრიდან ადგა.

გულახდილად რომ ეთქვა, როგორადაც გინდა მოსწონებოდა ეს ბედვამწარებული პროფესორის ქალიშვილი, მას, როგორც მამას, ერჩია, ზბიშეკს უფრო ნებადართული საშუალებებით ეშოვა თავისი საცოლე. ოუმცაღა ახლა ვინმეს რომ დასცდენოდა, ახალგაზრდა სუხოდოლსკის არჩევანს ვიწუნებო, პან ვაცლავი საშინელ შეურაცხყოფად მიიღებდა.

მამა მიკოლაის დიდი დრო არ დაუკარგავს სავალდებულო მოკითხვისათვის, ისე აუწყა ოჯახის უფროსს ყველა ის შემაშფოთებელი ცნობა, რაც ტიდემან გიზესგან გაიგო და მათს უტყუარობაზე თავს დებდა.

ცნობა, წმიდა კოლეგიამ დაიწყოო მონასტრის გაძარცვისა და ორი მონაზვნის გატაცების მკრეხელური საქმის გამოძიება, რაშიც ბრალი ედებათ ზბიგნევ სუხოდოლსკის, ჰენრიხ ადლერსა და გაქცეულ ყმა გლეხს ფრანც ფოგელსო, საწყალ მოხუც შლიახტიჩს თავზე მეხივით დაეცა. იგი გაოგნებული ისმენდა კანონიკის სანუგეშო სიტყვებს, უხმოდ იჯდა სავარძელში და მთლად გათეთრებულ ხელებს კუმშავდა და შლიდა.

— სასოწარკვეთის დრო არ არის, — ეუბნებოდა კანონიკი, — უნდა იმოქმედოთ მთელი ძალ-ღონის დაუზოგავად, შეუპოვრად და დაჟინებით, რომ შენიანები წმიდა კოლეგიის მარწუხებში არ ჩაცვივდნენ.

— რისი გაკეთება შემიძლია? — იკითხა პან ვაცლავმა და იმედიანად შეხედა კოპერნიკს. — რა არის საჭირო, რომ ვიხსნა ჩემი ბიჭი... და მისი ამხანაგებიც!

— გიმეორებთ: დაჟინება, შეუპოვრობა და... რა თქმა უნდა,.. ფული, — მიუგო კოპერნიკმა. — ფული წასვლა-მოსვლისათვის, ყველა გადამწერის, მდივნისა და, მომიტევოს უფალმა ღმერთმა თუ ცილს ვწამებ იმ ხალხს, მოსამართლეთა საჩუქრებისათვის... სამწუხაროდ, ასეა ჩვენთან... მაპატიეთ, უბრალო ცნობისმოყვარეობის ვამო არ გეკითხებით, — როგორია ახლა თქვენი ფულადი სახსრების საქმე?

— რა გითხრათ... — მიუგო შეშფოთებულმა პან სუხოდოლსკიმ, — ჩემი გლეხები ომმა გააღატაკა, მათი ტყავის გაძრობა კი, როგორც ამას ზოგიერთი სჩადის, მე არ შემიძლია... ჩემი „სუხოი დოლიდან“, აგერ, უკვე რამდენი თვეა, აღარაფერი შემომსვლია. ეს შეფერხება, რა თქმა უნდა, დროებითია, თანაც აქ, გდანსკში, მე ერთი მახლობელი კაცი მყავს, რომელიც საჭიროების შემთ-

ზვევაში სიამოვნებით დამეხმარება. ეს კაცი ჩემი ქალიშვილის საქმროა, — უხერხულად განშარტა პან ვაცლავმა. — მდიდარი ვაჭარია... სხვათა შორის, მან ურჩია ზბიშეკს, თქვენთვის მოემართა პანა მიტას ავადმყოფობისას... იქნება თქვენ ჩემი მომავალი სიძისთვის, ნეგოციანტ კუგლერისათვის დაგედოთ პატივი და ჩვენთან ერთად წამობრძანებულიყავით მის საოჯახო სადილზე? ადოლფი დიდად ნასიამოვნები დარჩება პატივსაცემი კაცის სტუმრობით...

— საოჯახო სადილზე? — ჰკითხა დაფიქრებულმა კოპერნიკმა.— მაშინ ოჯახის გარეშე წევრები შეიძლება არასასურველნი აღმოჩნდნენ...

— პან კოპერნიკო, — მუდარით მიმართა შლიახტიჩმა, — მე მიჭირს ასეთი თხოვნით მოგმართოთ, მაგრამ იმასაც გეტყვით... ჩემი სასიძო ჭკვიანი კაცია და განათლებული, ამასთან ერთად დიდსულოვანიცაა... მაგრამ თქვენი იქ ყოფნა, მამა მიკოლაი, აიძულებს...

—...აიძულებს, უფრო მეტი დიდსულოვნება გამოიჩინოს, ხომ?— დაასრულა კოპერნიკმა პან ვაცლავის აზრი.

ყოველივე, რაც კოპერნიკმა მოისმინა, ოდნავ თუ შეესაბამებოდა სასიმამროს წარმოდგენას სასიძოზე. შეიძლება ეს იყო ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რამაც ვარმიის კანონიკს მოხუც პან სუხოდოლსკის თხოვნის შესრულების სურვილი გაუჩინა. აუცილებლად უნდა დახმარებოდა არა იმდენად ამ კეთილსა და თავქეიფა კაცს, რამდენადაც ზბიგნევ სუხოდოლსკისა და მიტა ლანგეს. საწყალმა შეყვარებულებმა ისედაც საკმარისად იტანჯეს!

გაოცებულმა კასპერ ბერნატმა, აი, რატომ დაინახა კუგლერის სახლისაკენ მიმავალ სუხოდოლსკების საოჯახო საკრებულოში თავისი საყვარელი მასწავლებელიც.

როგორც კი აქოშინებული ზბიგნევი ცოტა დაგვიანებით შეუერთდა სუფრაზე მსხდომთ, ორმა ქალიშვილმა ერთბაშად შეაბრუნა თავი მისკენ.

— ვერ დავეწიე! — უპასუხა ახალგაზრდა კაცმა მისდამი მიმართულ უსიტყვო კითხვას: — მაგრამ, მე მგონია, არ იყო კასპერი!

ვანდამ შეამჩნია, რა შვებით ამოისუნთქა მისმა მეგობარმა მიტამ.

ადოლფმა ყური მოჰკრა სტუმრების ერთმანეთში გადალაპარაკებულ ფრაზებს.

— იყო თუ არა კასპერი, მოდით, მაინც დავლიოთ იმ კაცის სადღეგრძელო! — რიხით წარმოთქვა კუგლერმა. — რადგანაც მას თავისი ჭრილობები ბრძოლებში აქვს მიღებული და არა სამიკიტნოსთან ჩხუბში! მომიჯახუნე ჭიქა, ზბიშეკ!

ზბიგნევმა ჭიქა დაცალა. კუგლერმა მეორეც შეუვსო, შემდეგ ახალგაზრდა სუხოდოლსკიმ თვითონ შეივსო მესამე ჭიქა.

ადოლფ კუგლერის უხვი სუფრის ფონაწილვთაგან ეპვიც ვერავინ აიღო, რომ ორი სტუმარი უკიდურესად შეშფოთებული იყო ოლშტინიდან ჩამოტანილი ცნობების გამო. მეტისმეტი მონდომებით ფარავდნენ მამა მიკოლაი და პან ვაცლავი თავიანთ განწყობას.

მესამე სტუმარი, ახალგაზრდა სუხოდოლსკი, თავს არ დებდა მხიარულებაზე, მთელი სადილობის მანძილზე თავჩამოგდებით იჯდა და საკმელს პიოს არ აკარებდა. ამისთვისაც არავის მიუქცევია ყურადღება, თავის ძმას ნხოლოდ შეწუხებულმა ვანდამ გახედა რამდენჯერმე.

— დედაო ღვთისავ! სიარულითაც, ახოვნებითაც, წითური, თუმცა ძალზე გაჭაღარავებული თმითაც როგორ ჰგავდა კასპერს!— უცებ თავისთვის ჩაილაპარაკა ახალგაზრდა კაცმა.

პან ვაცლავმა ვერ მოახერხა, თავისი და კანონიკი კოპერნიკის საუბარი ეუწყებინა შვილისთვის. უიმისოდაც ზბიშეკი რაღაცით მეტისმეტად შეფიქრიანებული იყო. მოხუცი შლიახტიჩი ცდილობდა, თავისი მღელვარება არ გაეთქვა. შიგადაშიგ გახედავდა ხოლმე მამა მიკოლაის და კანონიკის ტუჩებზე გამკრთალ ღიმილის მაგვარს რომ შეამჩნევდა, ოჯახის პატრონის უხეშ ხუმრობაზე თვითონაც ყურისწამღებად როხროხებდა. გვერდით მსხდომთ გალანტურად აწვდიდა სამარილეს, საპურეს, საწებელს და თან გამუდმებით ადევნებდა თვალს კანონიკის სახის მოძრაობას.

პან ვაცლავმა მაშინღა ამოისუნთქა შვებით, როდესაც ქალებს ტკბილეული მოართვეს, მამაკაცები კი სახლის პატრონის კაბინეტში გაიკრიბნენ სალაპარაკოდ.

შლიახტიჩს აოცებდა მამა მიკოლაის დინჯი კილო, როდესაც იგი ადოლფ კუგლერს აუწყებდა შისი მომავალი ნათესავების მოსალოდნელ უბედურებას.

— სხვა დრო რომ იყოს, ძალზე იოლი იქნებოდა ზბიგნევისა და ჰენრიხის ბრალდების კი არა, ფრანცის ბრალდების გაბათილებაც, — ამბობდა კანონიკი, — მაგრამ სწორედ ახლაა წმიდა ტახტი აღშფოთებული ვარმიასა და ზღვისპირეთში გავრცელებული ერესით. მამა ინკვიზიტორები კი ყოველთვის მზად არიან, რომს დაუმტკიცონ თავიანთი ერთგულება. თუმცა ეს საქმე სალაპარაკოდაც არ ღირს, მაგრამ მე მაინც ვურჩევ პან სუხოდოლსკის, დაუყოვნებლივ გაემგზავროს კრაკოვს და მის უდიდებულესობა მეფე ზიგმუნდს საჩივარი მიართვას დედა ცელესტინასა და მის ძმაზე, რომელმაც ხელი აღმართა ღირსპატივსაცემ პროფესორ ლანგეს სიცოცხლეზე. ამ ბოროტმოქ-

მედების მიჩქმალვის მიზნით მათ მონასტერში გამოკეტეს აბატისას ძმის დანაშაულის მოწმეები, ქალიშვილები მიტა, იგივე ამალია, და ურშულა. პან სუხოდოსკის განცხადებას მე, როგორც მამა-შვილის მკურნალი, ორ მოწმობას დავურთავ. პირველს იმაზე, რომ რაინდი მენდელშტამის ხელყოფისაგან პროფესორს მეტყველება და მეხსიერება წაერთვა, მეორე მოწმობა დასკვნა იქნება იმის თაობაზე, რომ ქალიშვილი მიტა სრულ გონებაზე იყო და ჭკუაზე შეშლილობის საბაბით უკანონოდ გამოამწყვდიეს მონასტერში. გადავწყვიტე აგრეთვე, პან სუხოდოლსკის ბერნარდ ვაპოვსკისთან, ჩემს ძველისძველ მეგობარსა და თანაშეზრდილთან წერილი გავატანო...

მამა მიკოლაის უკანასკნელი სიტყვები სახლის პატრონმა დიდი მოწიწებითა და ყურადღებით მოისმინა: კანონიკი ბერნარდ ვაპოვსკი გავლენიანი პირი იყო სასახლის კარზე. კუგლერის სახეზე გაქრა შეშფოთების კვალი.

— ბერნარდ ვაპოვსკი თუ ნამდვილად მოისურვებს პან ვაცლავის დახმარებას, ჩვენი საქმე მოგებულად ჩაითვლება, — თქვა და შვებით ამოისუნთქა.

— ბერნარდ ვაპოვსკი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მოისურვებს პან ვაცლავის დახმარებას, — ისე ცივად მიუგო მამა მიკოლაიმ, რომ ადოლფ კუგლერს ღაღაცა სახე უფრო მეტად აუღაღადა. შემდეგ კი, ვითომც არაფერი მომხდარაო, კანონიკმა განაგრძო,—ახლა უმნიშვნელო საქმეა დარჩა მოსაგვარებელი... პან სუხოდოლსკიმ მითხრა, რომ დროებით ფინანსურ დაბრკოლებას განიცდის. კრაკოვში გამგზავრება და სასულიერო თუ საერო კანცელარიებში სირბილი კი ბევრ ფულს მოითხოვს... თუმცა, რამდენადაც ვიცი, პან სუხოდოლსკი ისე უხვად და უყოყმანოდ იხდის დიდ პროცენტს, რომ მევახშეები ხალისით შეეცილებიან ერთმანეთს სამსახურის შეთავაზებაში...

— მოიცათ, მოიცათ, მოიცათ! — წარმოთქვა სახლის პატრონმა და ხუმრობით თითი დაუქნია კოპერნიკს, — იმაზე კარგა ხნით ადრე, სანამ მე ამ პატივცემულ ოჯახში შესვლას დავაპირებდი, პან სუხოდოლსკის საქმის წარმოება ჩემზე ავიღე. ახლა, მით უფრო, პან ვაცლავისათვის არ დავიშურებ არც რჩევაა და არც ფულს. მე იგი მრავალჯერ მიხსნია და ახლაც ვიხსნი!

— ო, ადოლფ, შენ ჩვენი ნამდვილი მეგობარი ხარ! — წამოიძახა გულაჩუყებულმა პან ვაცლავმა და ვაჟარს მოეხვია.

იმ წუთას ოთახში შესული ვანდა და მიტა გახდნენ ამ ამაღელვებელი სურათის მოწმენი.

— ვანდა, მიტა! — ასევე გულაჩუყებულმა მიმართა მათ პან ვაცლავმა. — ზედავთ, კიდევ იტყვიან, ვაჟარი ისეთ საქმეს არასოდეს იკისრებს, რომლისგანაც მოგებას არ გამოელისო... აგერაა, ვანდა.

შენი დანიშნული, ჩვეულებრივი ვაჭარი, რომლის ძარღვებში შლიახტური ერთი წვეთი სისხლიც არ დგას, მაგრამ, აბა, უყურეთ, როგორი დიდსულოვანი და კეთილშობილია!

— სხვაგვარად არც ამირჩევდი საქმროდ, პან მამაჩემო, — წაიჩურჩულა თვალდახრილმა ვანდამ.

— მოტევებას გთხოვთ, პანებო, — საუბარში ჩაერია კოპერნიკი. — თუმცა ვთვლი, რომ თქვენი საქმე სანახევროდ მოგვარებულია, მაინც შემოგთავაზებთ, ზბიგნევი და მიტა, აგრეთვე ურშულა და ფრანცი დროებით ოლშტინში გადაბარგდნენ. იქ მათ ძებნას არ დაუწყებენ. ოლშტინის ნაცვალი, ტიდემან გიზე ჩემი დიდი, მეგობარია და ამათთვის ყველაფერს გააკეთებს, რისი შესაძლებლობაც ექნება... დროებით-მეთქი, — გაიმეორა დასამშვიდებლად და კუგლერს მიუბრუნდა, — სანამ პან სუხოდოლსკი კრაკოვში საქმეებს გაარიგებს. მაგა ინკვიზიტორებს გრძელი და მარწუხივით ხელები აქვთ. აუცილებელია გულდაგულ თავის დაცვა! ახლა კი ბოდიშს მოვიხდი თავაზიან მასპინძელთან: წასასვლელად უნდა გავემზადო, აშიტომაც იძულებული ვარ, დავტოვო ეს სტუმართმოყვარე ოჯახი.

პან ვაცლავის სიყვარულის ფიცილი, ზბიგნევისა და მიტას მადლიერი გამოხედვა, საბლის პატრონის მდაბალი თავის დაკვრა მიაცილებდა კოპერნიკს. კოპერნიკის შაგალითს მალე მიბაძა ახალგაზრდობამაც: ზბიგნევი და მიტაც ხომ უნდა მომზადებულიყვნენ გასამგზავრებლად.

— ახლა კი, ადოლფ, ნება მომეცი, რიგიანად მოგეხვიო, ისე, რასაც იმსახურებ! — ყველას წასვლის შემდეგ წამოიძახა პან ვაცლავმა. — შენ ჩვენი ოჯახის ნამდვილი მეგობარი ხარ და ეჭვიც არ მეპარება, რომ ვანდა ბედნიერი იქნება შენს ხელში!

— ეგ სიტყვები ნეტავი თვითონ პანა ვანდასგან მომესმინა, — მიუგო კუგლერმა და უსიამოდ მოიშორა პან სუხოდოლსკის ხელები.

— ე-ე, ნუ შარიანობ! — უცებ წამოენთო პან ვაცლავი. — მე შენ ვანდას მაგივრად მოგეცი სიტყვა. სუხოდოლსკის სიტყვა და კაკი კი ერთია! ცოლად ირთავ გდანსკის ყველაზე ლამაზ ქალს... რაღა გდანსკის — კრაკოვშიც ცოტა ვინმე თუ შეედრება! შლიახტის ასულს სულიან-ხორციანად! მამაშენს ან პაპაშენსაც დაესიზმრებოდა ასეთი რამ! თქვენ ალბათ ხელოსნების ან გლეხების წრიდანა ხართ გადასულები ვაჭართა წრეში!

გაეგრძელებინა პან სუხოდოლსკის ასეთი საუბარი, ისევე იხილავდა კუგლერის ფულებს, როგორადაც საკუთარ ყურებს, მაგრამ დროზე მოეგო გონს.

— კარგი, გვეყოფა, — დამნაშავესავით ჩაიცინა ბოლოს. — ჩემს

სულელურ ლაპარაკს ნუ მიაქცევ ყურადღებას, ადოლფ! მართალს მეუბნება ხოლმე პანი ანგელინა, მტრისას, თუ ჩემი შლიახტური სისხლი თავში ამივარდა...

კუგლერი კი მაგიდას მიჯდომოდა და უხმოდ წერდა. შიგადაშიგ. თითქოს რაღაცას ანგარიშობსო, თვალებს ჭერს მიაპყრობდა ხოლ-შე.

— აგერ, — თქვა ბოლოს კუგლერმა და წერილად მიყრილი ნაწერი უჩვენა, — ჩემი ფინანსური მდგომარეობა გამოვარკვიე და გადავწყვიტე, რომ შემიძლია ჩემს მომავალ სიმამრს ათი ათასი ტალერი ვასესხო. ეს კი ქაღალდია, რომელზედაც ხელი უნდა მოაწერო...

— თამასუქია? ვალდებულება? — იკითხა პან ვაცლავმა და ხალისით ჩამოართვა კუგლერს ბატის ფრთა. — წინათ კი, ადოლფ, არასოდეს თხოულობდი ჩემგან ამდაგვარ ვალდებულებებს... კარგი, მაჩვენე, სად მოვაწერო ხელი!

ვაჭარი პან ვაცლავის ზურგს იქიდან რაღაცნაირი დაუდევრობით ადევნებდა თვალს, გაუწაფავი ხელით როგორ გამოჰყავდა მას პერგამენტის ქაღალდზე დაბრეცილი ასოები. დიდებული პან სუხოდოლსკი დიდი მცოდნე არ გახლდათ წერა-კითხვისა.

— წაიკითხეთ მაინც ეგ ქაღალდი, ხელი რომ მოაწერეთ? — ჰკითხა გაბრაზებულმა კუგლერმა. — ნამდვილ შლიახტურ დაუდევრობას იჩენთ საქმის მიმართ! მაინც რა ვალდებულებებზე უნდა იყოს ლაპარაკი ასეთ მახლობელ ადამიანებს შორის?! კანონიკი კოპერნიკი თქვენი, ოჯახის წევრების სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად იღებს ზომებს, მე კი თქვენი ქონების დასაცავ ზომებს ვღებულობ... მამა მიკოლაიმ მართალი თქვა: მამა ინკვიზიტორებს გრძელი და მარწუხივით ხელები აქვთო. სანამ თქვენ საპასუხო საჩივარს აღძრავთ მონაზონისა და მისი ძმის წინააღმდეგ, წმიდა მამები თქვენს ქონებას ყადაღას დაადებენ. წმიდა მამების ხელდანადები კი — წანაგებია... მიდი მერე და ეცადე ყადაღის მოხსნა! ჰოდა, მე შენგან ხელწერილი მივიღე იმაზე, რომ თქვენი მამული „სუხოი დოლი“ ჩემს საკუთრებაში გადმოვა მანამდე, სანამ იმ ათი ათას ტალერს არ გადამიხდით, რომელიც თქვენგან მერგება.

პან ვაცლავმა დაბნეულად შეხედა.

— სუხოი დოლი?! — წამოიძახა. — იქ ხომ სამი წისქვილია. მთელ იმ მხარეში საუკეთესო საჯინიბოები, ტყე, ველი, ბევრი ხომ არ არია ათი ათას ტალერად, ადოლფ?

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გესმის. რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა? შემეძლო, გირაოდ ერთი წისქვილი ანდა ოსეკში თქვენი სახლი ამეღო... მაგრამ მე ხომ ვალდებული ვარ, როგორც ჩემს მომავალ

მეუღლეზე, აგრეთვე მის ოჯახზეც ვიზრუნო! თუ ინკვიზიცია დაგატყდათ თავს, — ღმერთმა ნუ ქნას! — და შეეცადა თქვენი მთავარი ქონების, „სუხოი დოლის“ წართმევას, მე მზად ვიქნები, იმ მამულს დავიჩემებ და წმიდა მამებს მშრალზე დავტოვებ!

— აი, როგორ ყოფილა საქმე, — ჩაილაპარაკა პან სუხოდოლსკიმ, — მაგდენი კი ვეღარ მოვისაზრე...

„ჯერ ხელს აწერ, მერე ისაზრებ!“ — გაიფიქრა კუგლერმა.

— იქნებ პან ვაცლავი არც ენდობა თავისი სასიძოს პატიოსნებას? — იკითხა მან წყენით და პან ვაცლავს გაუწოდა თავისი ხელმოწერილი ქაღალდი. — მაშინ გთხოვთ. დახიოთ ეს საბუთი და, თუ რამე გაგიჭირდეთ, ჩემთან ნულარ გამოიქცევით დახმარების სათხოვნელად!

— რას ამბობ, რას ამბობ, ადოლფ! — მიუგო ვაცლავმა და ქაღალდი მაგიდის კუთხისაკენ გააცურა. მე ყოველთვის მჯეროდა შენი, ახლა, მით უმეტეს. მჯერა! თვეც არ გაიელის და შენ ჩემთვის ისეთივე ვაჟიშვილი იქნები, როგორც... — „როგორც ზბიგნევი“, ამის სათქმელად პან ვაცლავს ენა არ მოუტრიალდა და ოდნავი შეყოვნების შემდეგ დაასრულა: — როგორც ყველა სიძე სხვა შლიახტური ოჯახებისა.

შეატყო თუ ვერა ადოლფ კუგლერმა თავის სასიმამროს ეს შეყოვნება, მან მაინც დაახვია მისი ხელწერილი, მაგიდის უჯრაში ჩადო და უჯრა დაკეტა.

ის, რაც სუხოდოლსკების ოჯახში ხდებოდა, კასპერმა ყველაზე პირველად მამა მიკოლაისგან გაიგო. ერთი დღის შემდეგ კი ადოლფ კუგლერმა აცნობა უზრუნველი ოჯახის მოსალოდნელი უბედურების ამბავი. კუგლერმა ახალგაზრდა კაცი ოსეკში მონახა, იქ იგი ფრანცისა და ურშულას მეზობლად დასახლებულიყო.

— დაარწმუნე ისინი, პან კასპერ! — ფიცხობდა ვაჭარი. — მამა მიკოლაი მართალია: რკინა მაშინ უნდა გამოიწრთოს, როცა ცხელია: მის უდიდებულესობა ჩვენი მეფე ზიგმუნდი ახლა რომის წინააღმდეგ არის განწყობილი და მხარს დაუჭერს მოხუც შლიახტიჩს... ერთი თვის შემდეგ კი რა გუნებაზე დადგება მეფე, არავინ იცის!

კუგლერმა კასპერი ვაჭრამზე საგანგებოდ იმისთვის მიიწვია, რომ მას პან ვაცლავი აემოქმედებინა.

— ამან მაიძულა გამეტეხა თქვენდამი მოცემული სიტყვა და თქვენი ჩამოსვლა მეუწყებინა... — გამოტყდა შეწუხებული ვაჭარი.

„რაც ჩქარა მოხდება, მით უკეთესია!“ — გაიფიქრა კრიჭაშეკრულმა კასპერმა.

აქვე, კუგლერის სასტუმრო ოთახში, იმდენი წლის განშორების შემდეგ კასპერი პირველად შეხვდა მიტას. ორივესათვის ბედნიერ იყო ის დღე.

ბოლოდ გადაფითრებული, თითქოს უცებ შეფერთხილი ზბიგნევის თანხლებით კასპერი ოთახში რომ შევიდა, ალმურჰოდგებული მიტა სავარძლიდან წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ.

„ასე თავისზე გაცილებით უფროსს ანდა ცხოვრებისაგან გამობრძმედილ კაცს ხვდებიან, — გაუელვა კასპერს. — თუმცა, ამ უბედო, კარგსა და სრულებით უდანაშაულო ქალთან შედარებით მე, რა თქმა უნდა, უფროსიცა ვარ და ცხოვრებისაგან გამობრძმედილიც“.

კასპერმა სიტყვის უთქმელად მდაბლად დაუკრა თავი.

— ძალიან მიხარია თქვენი ნახვა, პან კასპერ...

— მეც. პანა მიტა...

— მე ვალდებული ვარ გაგარკვიოთ, პან კასპერ, რატომ... ნუ იფიქრებთ ჩემზე აუგს... როდესაც პან ზბიგნევმა...

— არ გინდათ, მიტა, — გაწყვეტინა კასპერმა, — არაა საჭირო რამის გარკვევა. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ და ურთიერთანეთთან თავის მართლება არა გვმართებს. მე ყველაფერი მესმის, მიტა, და უღრმესი პატივისცემითა ვარ გამსჭვალული თქვენდამი...

— მაგრამ მე... მე ხომ ისეთი დიდი ტკივილი და წყენა მოგაყენეთ...

კასპერმა ჩაიცინა.

— მარადიული ტკივილი არ არსებობს, მიტა... აგერ, რამდენიმე დღე გავიდა და მე უკვე... კასპერს უნდოდა ეთქვა: „მე უკვე ვეჩვევიო მას“, მაგრამ ფრაზა სხვანაირად დასრულა: — მე უკვე ველარა ვგრძნობ მას, წყენასაც ტკბილად იდებთ თქვენს თაზე: მე ოდნავადაც არა ვარ თქვენზე ნაწყენი!

ქალიშვილს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— კასპერ, მრავალი წლის წინ მე თქვენ სიტყვა მოგეცით. ან უნდა შევასრულო ის სიტყვა ან მონასტერში წავიდე, — ასე ამბობს მამა იანუარი, ჩემი სულიერი მამა. მამაჩემს კი პან სუხოდოლსკენი შეივრდომებენ.... მე ან უნდა შევასრულო თქვენდამი ნოცემული ფიცი, ანდა მონასტერში წავიდე. ან ერთი ან მეორე... დღეს მე ზბიგნევს ვაუწყე ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ იგი შემეეედრა, თქვენი მოსელისთვის დამეცადა. მე ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მიკარნახებთ.

— მაგრამ, განა მამა მიკოლაი არ გელაპარაკათ უკვე... — დაიწყო კასპერმა.

მიტამ ცრემლები გადმოყარა.

—მამა იანუარი, ჩემი ბავშვობისდროინდელი მოძღვარი მეუბნება.

მამაშენს ღმერთი შენ გამო სჯისო... — ტირილში ძლივს გაჩოჩახელა მიტამ. — მამა იანუარმა მიბრძანა, მოგელაპარაკოთ ღა ისე მოვიქცეთ მეც და ზბიგნევიც, როგორც გვირჩევთ.

კასპერმა მიმოიხედა.

— ზბიგნევ, ჩემო მეგობარო, მოდი აქ! — კასპერმა მხრებზე მოხვია ამხანაგს ხელი, მიტასთან მიიყვანა და ძალით შეაერთა მათი ხელები. — აი, ამას გირჩევთ მე თქვენ! — წარმოთქვა რიხით, თუმცა უშედეგოდ ცდილობდა მღელვარების დაფარვას. — გიყვარდეთ ერთმანეთი და იყავით ბედნიერნი. ოღონდაც ქორწილში ღამპატიჟეთ უეჭველად!

სასტუმრო ოთახში მომხდარ ამ სცენას ღია კარიდან თვალს ადევნებდნენ იმ დროს შემოსწრებული სახლის პატრონი და მისი საცოლე ვანდა სუხოდოლსკაია. კუგლერის საწინააღმდეგოდ, რომელიც თავის სტუმრებს ირონიული ღიმილით მისჩერებოდა, ვანდა მოკადოებულივით იდგა ერთ ადგილას და კასპერისთვის ვერ მოეწყვიტა აღფრთოვანებული ზზერა.

— ოო, პან კასპერ! თქვენ, თქვენ... ოქროს გული გქონიათ! როგორი კეთილშობილი უნდა იყოთ, რომ...

— ... რომ აიძულო, დაივიწყონ შენი მახინჯი სიფათი, — ხითხითით წაიდუდღუნა ადოლფმა ცხვირში.

ვანდამ საქმროს არაფერი უპასუხა, მხოლოდ აღშფოთებული ჰზერა ესროლა და ძმას მიუბრუნდა:

— დედამ და მამამ სამზადისი დაასრულეს. თქვენღა გელოდებიან... იმ ომის მერე დედა ასე დიდი ხნით არასოდეს მიუტოვებია მამას... გამხნევება და ნუგეშია საჭირო. ეს კი შენი მოვალეობაა, ზბიშეკ! თანაც შენც და მიტამაც უნდა იფიქროთ გამგზავრებაზე! მამა მიკოლაიმ ასე დაიბარა წასვლის წინ...

მიტა და ზბიგნევი რამდენსამე წუთს ისევ ხელიხელჩაკიდებულები იდგნენ და დაბნეულნი იღიმებოდნენ. შემდეგ სიტყვის უთქმელად მივიდა მიტა კასპერთან, თითის წვერებზე აიწია და ნაიარევ შუბლზე აკოცა.

საღამო ხანს, ცოტა რომ აგრილდა, პან ვაცლავი შორეულ გზაზე გააცილეს. ცრემლიც მრავალი გააყოლეს.

ლორით, ძეხვით, შაშხით, ქონით, ზეთით, გამოყვანილი თევზის აცმებით, შინნახადი ლუდით სავსე კასრებით, არყით, შინნაქსოვი მაუდითა და ტილოთი დატვირთული სამი საზიდარი აჭრიალდა გზაზე.

ასეთი მიამიტური ძღვენით ფიქრობდა პან სუხოდოლსკი გადამწერებისა და მდივნების გულის მოლბობას, ვისზედაც დამოკიდებული იყო მის მიერ წარდგინებული საჩივრის დაჩქარება ან შეყოვ-

ნება. რაც გინდ საოცრადაც მოგვეჩვენოს, მოხუცმა შლიახტიჩმა, რომელიც ყოველთვის ხალისით სესხულობდა და ასესხებდა ფულს, ამჯერად გადაწყვიტა, თავისი სასიძოს ტალერებისთვის ხელი არ ეხლო, მაგრამ გამოირკვა, რომ ოდესღაც ქალთა საზოგადოების სული და გული, ჩაცმა-დახურვით გამორჩეული პან ვაცლავი, უნებლიეთ ჩამორჩენოდა კრაკოვურ ცხოვრებას. დედაქალაქი ახლა, ნაკლებად აფასებდა შინაურულ საჭმელ-სასმელს, შინნაქსოვ მაუდსა თუ ტილოს. კრაკოვი მოითხოვდა ზღვისიქითურ ღვინოს, ზღვისიქითურ ხილს, ინდურ აბრეშუმსა და ფლანდრიულ ტილოს, საზღვაგარეთიდან იწვევდა მზარეულებს, ლაქიებს, ფორეიტერებს, ყოველივე ამისათვის კი ფული იყო საჭირო, ფული, ფული!

გავიდა ერთი კვირა, ორი... პან ვაცლავისაგან არაფერი ისმოდა. წმიდა ინკვიზიციის ლეგატები, საბედნიეროდ, ჯერჯერობით არ ჩანდნენ გდანსკში. ზბიშეკი და მიტა უკვე რამდენჯერ შეეკვდნენ ფრანცსა და ურშულას, ითათბირეს ოლშტინში მოსალოდნელ გამგზავრებაზე, მაგრამ წასვლას მაინც ვერ ახერხებდნენ: ჯერ ურშულა გახდა ავად და მის გამომჯობინებას ელოდნენ. შემდეგ ძალიან ავად შეიქმნა დოქტორი ლანგე.

ბოლოს პან ვაცლავისაგან მოვიდა ამბავი. მოხუცი შლიახტიჩისაგან საკუთარი ხელით დაჯღაბნილი წერილი მიიღეს. ეტყობოდა, ბევრი რამ გადაეტანა ვაცლავს იქ, კრაკოვში. აკანკალებული ხელით ძლივს გამოეყვანა დაბრეცილი ასოები. წერილის ნახევრის გარჩევა თითქმის შეუძლებელი გახდა. მელნის ლაქები, ცრემლისა თუ წყლის ნაკვალევი, ერთმანეთში ჩამსხდარი ასოები წარმოუდგენლად აძნელებდა ნაწერის ამოცნობას. მამის ნაწერი ძლივ-ძლივობით წაიკითხა ვანდამ, ჯერ თავისთვის, ჩუმად, შემდეგ — ხმამაღლა, დედასთან, პან ვაცლავის წერილმა შემდეგ ზბიგნევის ხელში გადაინაცვლა, მისგან— მიტას ხელში, კასპერის, ფრანცის, ურშულას ხელში, ბოლოს კი ადოლფ კუგლერს მისცეს წასაკითხად.

ამ მეტად გაუგებარი ნაწერიდან პან ვაცლავის შინაურებმა მხოლოდ ის შეიტყვეს, რომ მოხუცი კარგად ყოფილა, გასცნობია ბევრ ვავლენიან პირს, მაგრამ საქმე მაინც ნელა მიიწევდა წინ და ერთ-ორ თვეს კიდევ მოუხდებოდა კრაკოვში დარჩენა.

კუგლერმა კი გამადიდებელი შუშის დახმარებით თავიდან ბოლომდე გაარჩია წერილი.

წაიკითხა და მხოლოდ თავი გადააქნია. შემდეგ მაგიდის ყუთი გამოსწია და კვლავ გადაჰკრა თვალი თავისი სასიმპატიო ხელწერილს.

კუგლერმა კმაყოფილად დაჰკრა წკიპურტი პერგამენტს (ქაღალდს, ამ სიახლეს, რომელიც ძველმანებისაგან მზადდებოდა, ვაჭა-

რი მეტისმეტად საჭირო საბუთების საწერად უვარგისად თვლიდა) და კვლავ ჩაკეტა უჯრაში.

კრაკოვის ახლანდელი ცხოვრების წესს აღწერდა პან ეუხოდოლსკი თავის წერილში და პანი ანგელინასთან თავს იმტყუნებდა:

„ენანობ, ძვირფასო მეუღლევ, რომ არ გაგიგონე და გდანსკის ნაცვლად საცხოვრებლად კრაკოვი არ ავირჩიე! აქ ჩვენი ვანდუსია, თქმა არ უნდა, უფრო შესაფერის საქმროს იშოვიდა, ვიდრე ადოლფ კუგლერია. მართალია, ადოლფიც კარგი კაცია — პატიოსანიცაა, კეთილიც, კეთილშობილიც, მაგრამ მაინც ვაჭარია და ვაჭარი, რაც გინდა თქვი!"

თავი ხუთმეტი

სოფლის უბრალო გიჟები

ბრაბანცა — ყველაზე ხმაურიანი და ყველაზე ხალხმრავალი კეთხე იყო გდანსკისა. აქ ყოველთვის უფრო მეტ ხალხს შეხვდებოდი, ვიდრე ცენტრში იმიტომ, რომ მდიდრები და არისტოკრატები ცენტრში კარეტებით დაბრძანდებოდნენ ან ჰაიდუკების საპასუხურით სარგებლობდნენ და ქალაქში ტახტრევანით მიდი-მოდიოდნენ.

კასპერს პატარაობიდანვე უყვარდა ზღვისპირას ხეტიალი. ყველა ქვეყნისა და ეროვნების ბევრის მნახველ მეზღვაურებთან საუბრის გაბმა. მაგრამ ახლა უსაქმურად ყიალის დრო არ ჰქონდა: მეტისმეტად მოენატრა საქმე. თანაც, უსაქმურობამ ფიქრთა აშლა და წარსულის გამო სინანულში ჩავარდნა იცის ხოლმე, ამისი კი, ცეცხლივით ეშინოდა კასპერს.

კაპიტან როხ ბერნატის ძველმა მეგობარმა გაიგო, განსვენებულის ვაჟიშვილს თურმე გემები დაჰყავდაო ვენეციისა და თურქეთის წყლებში და შესთავაზა, ჯერ კარაველა „ჰელიოსია" რემონტისათვის ედევნებინა თვალი, შემდეგ კი იგივე გემი ჩაებარებინა საკომანდოდ.

ფრანცია და ურშულას მეზობლად დასახლებული კასპერი მთელ თავისუფალ დროს ამ უბრალო და გულითად ადამიანებთან ატარებდა. საღამსაღამოობით ფრანცის პატარა სახლი ნაცნობ-მეგობრის სხვადასხვა ჯურის ხალხით ივსებოდა — მატროსებით, გემის ხუროებით, მტვირთავებით, ნავსაშენის მუშებით, აგრეთვე მარილდამმუშავებელი და ქვასამტვრევიდან მოსული ხალხით. კასპერი სწორედ იქ გაეცნო ქალაქის ღარიბთა ცხოვრებას. ფრანცის მეგობრები მოკლე ხანში მისი მეგობრებიც გახდნენ. კასპერის გულღია და

ბიმნდობი ხასიათი უცებ იზიდავდა ყველას. მისი ნაკრეკებიანი პირისახე მოწმობდა, რომ ბევრი რამ გამოეცადა ცხოვრებაში, უბრალო ჩაცმულობა და შრომისაგან გაუხეშებული ხელები კი იმას ადასტურებდა, ახალგაზრდა კაცს ცოტა რამ თუ მოეგო ცხოვრების ამ გამოცდისაგან.

კასპერი ყველაზე მეტად დაუახლოვდა უზარმაზარ, ჰერკულესის აღნაგობის მქონე, ბეხვიერ ხმის პატრონს, მუედელ პეტერ კიონგს. არც ლითონი იცოდა მუედელმა, არც წერა, მაგრამ მშვენიერად ერკვეოდა, რაც პოლონეთსა და მსოფლიოში ხდებოდა. იგი ჭკვიანი, დაფიქრებული კაცი იყო. ეტყობა, ამიტომაც სცემდნენ პატიოს და გარს ეხვეოდნენ გდანსკის მთელი გარეუბნის მუშები.

ზანდახან სუხოდოლსკებსაც ეწვეოდა ხოლმე ოჯახში კასპერი.

პანი ანგელინა, რომელსაც თავიდან შიშს ბგერიდა კასპერის გადასერილი სახე, თანდათან შეეჩვია და ისიც აღმოაჩინა, რომ კასპერი ნაბდვილი ვაჟკაცი იყო. ისეთი, რომლის მსგავსნი მხოლოდ იმ კეთილად მოსაგონარ ძველ დროს თუ შეხვედრია: კეთილშობილი, თავგანდებული, თუკი ვინმეს დასჭირდებოდა, დახმარებისათვის მუდამ ზსად მყოფი. მართალია, გულკეთილი ქალბატონი არც ისე დიდი ხნის წინ ასევე ახასიათებდა ადოლფ კუგლერსაც, მაგრამ კასპერმა თავისი უნარით, დაემშვიდებინა პანი ანგელინა ყველაზე მძიმესა და კუტანელ წუთებში, მისივე აზრით, მეტისმეტად დაჯაბნა ვანდას საქმროც კი.

— ოჰ, ოჰ. პან კასპერ, მალამოსავითა ხართ! როგორი საკვირველი ქსენძი დადგებოდა თქვენგან! — მრაველჯერ უთქვამს მისთვის მოხუც ქალბატონს.

კასპერის ფართო გულ-მკერდის, ძლიერი, ნაშრომი ხელებისა და ჩამონაკვთული ტანის შემხედვარეთ ყველას ეცინებოდა. იცინოდა თვითონ კასპერიც.

ხანდახან, საღამსაღამოობით, ახალგაზრდობა „არტუსას სახლში" მიდიოდა. ადოლფ კუგლერი უმალ გამონახავდა შესაფერის პარტნიორებს (სხვა სიტყვებით, ბანქოს ვალის კარგ გადამხდელებს) და მაშინვე გაუჩინარდებოდა ხოლმე ბანქოს ოთახში. კასპერი კი ყოველთვის ვანდას იწვევდა საცეკვაოდ. ზოგჯერ თუ წაიცეკეცდა მიტასთან. ზბიგნევი კი — თავის დასთან.

კასპერს განსაკუთრებით მოსწონდა სულ ცოტა ხნის წინ საფრანგეთიდან და ესპანეთიდან შემოტანილი კურანტისა და პაუანის მსგავსი ნელი, ნარ-ნარი ცეკვები ვანდასთან, თუნცა, არც შშობლიური ობერეკის შესრულებისას თავბრუდამხვევ ტრიალზე ამბობდნენ უარს და არც მკვირცხლ მაზურის ცეკვა-ცეკვით კლუბის ყველა ოთახის შემორბენაზე.

ასეთ დღეებში გამხიარულებული, აღელვებული ბრუნდებოდა კასპერი ოსეკში. გამხიარულებული, აღელვებული ბრუნდებოდა ცეკვიდან ვანდაც. მეტისმეტად უყვარდა ძმა ქალიშვილს, მაგრამ ხანდახან გაუგებრად და თანაგრძნობით გადახედავდა ხოლმე მიტას. როგორ შეეცვალაო... ზბიშეკი კარგია, კეთილშობილი, უყვარს მიტა, მისი ბულისთვის ცეცხლში თავდაყირა გადაეშვება, მაგრამ, განა შეიძლებდა ზბიშეკი, კასპერის გადასატანი გადაეტანა და ისეთივე კეთილი, თანამგრძნობი და მხიარულიც კი დარჩენილიყო? ფიცხი და (ვანდა გულდაწყვეტით გაუტყდა თავს) ქარაფშუტა ზბიგნევი ახლოსაც ვერ მივიდოდა თავის დარბაისელსა და დინჯ ამხანაგთან. შლიახტიჩი სუხოდოლსკების თავქარიანობა, უეჭველია, გვარის ამ ერთადერთ მემკვიდრესაც გადმოეცა... მაინც რა საინტერესოდ ჰყვება კასპერი თავის იტალიაში ყოფნას, მრისხანე კაზაკებთან ცხოვრებას, ვენეციელი ცოლ-ქმარის. ბიანკასა და ზორზოო ზიტოს ამბავს, ხმელთაშუა ზღვაში მოგზაურობას... თხრობისას კასპერს თუ გალერაზე გატარებული ცხოვრების გახსენება მოუხდებოდა, ვანდა ნაზად დაადებდა თავის თეთრ, სიფრიფანა ხელს და ეტყოდა:

— ო, მაგას ნუ გაიხსენებთ, პან კასპერ!

ერთხელ ახალგაზრდა კაცმა დახედა ერთმანეთის გვერდით დაწყობილ ზელებს და ღიმილით თქვა:

— „მავრი და ქრისტიანი“, პანა ვანდა, მაროკოში ასე ეძახიან თეთრი და შავი ცერცვის შეჭამადს... უბრალოდ სირცხვილია, თქვენი შროშანა ხელი ამ თათის გვერდით იდოს!

ვანდამ არაფერი უპასუხა, მოულოდნელად კი მოწყვეტით დაიხარა და ტუჩები შეაზო ამ გარუჯულ გაუხეშებულსა და ძლიერ ხელს.

პან სუხოდოლსკი კარგა ხანს აღარაფერს იტყობინებოდა. ოჯახში უკვე შფოთავდნენ, რომ უცებ მოვიდა დიდი ხნის ნანატრი წერილი.

„საქმეები უკვე დავასრულე, — იწერებოდა პან ვაცლავი. — მამა ვაპოვსკი შემპირდა მხარდაჭერას და დახმარებას. მეფემ მიიღო ჩემი საპასუხო საჩივარი, საქმეს მსვლელობა მიეცემა და თვის ბოლოსთვის მელოდეთ“.

— კარგი ამბით უნდა გაგაბარო, ადოლფ, — მხიარულად თქვა ზბიგნევმა იმავე „არტუსაში“ თავის დას, კუგლერსა და კასპერს რომ შემოხვდა, — იმედია, მამა იეზუიტები უკვე ვეღარ დაიჩემებენ ვერც ჩვენს საბლს გდანსკში და ვერც ჩვენს „სუხოი დოლს“, მამაჩემი იწერება, საქმე კარგად მიდისო... მაგრამ მეტისმეტად დიდხანს დარჩა კრაკოვში... ეტყობა, კიდევ დაგვჭირდება ცოტაოდენი ფულის გაგზავნა. მე კი სწორედ ეხლა მივიღე ჩვენი მამულიდან

მოურავ პან კაეტანის წერილი. ისიც სასიამოვნო ამბავს იტყობინება; ჩვენი გლეხები ნელ-ნელა წელში გაიმართნენ და თავიანთი მეურნეობაც გამოამჯობინესო. ოღონდ პან კაეტანი რატომღაც კითხულობს, ვის უნდა გამოუგზავნოს ფული, ჩვენა (მე ვგულისხმობ დედაჩემსა და ვანდას) თუ... ნეგოციანტ პან კუგლერს... მაინც საიდან მოიტანა, რომ ფული შენ უნდა გამოგიგზავნოს! — დაურთო ზბიგნევმა სიცილით. — ყური მოუკრავს, ქარი ქრისო, და საიდან, ვერ გაუგია! პან კაეტანი უბირი კაცია და ვერ მიხვედრილა, მამაჩემმა მამულიცა და სახლიც იმიტომ დაგიგირავა, რომ ჩვენი ქონება წმიდა ინკვიზიტორი მამებისგან გადაერჩინა!

ადოლფ კუგლერმა წარბები აჭიმა.

— არც თუ მიუხვედრელია ის თქვენი კაეტანი, — ცივად მიუგო ვაჭარმა. — მე გავუგზავნე ვაცლავის ვალდებულების ასლი, აგრეთვე განკარგულება, როგორც კი მოურავი შეკრებდა გარკვეულ თანხას. ფული ჩემთვის გამოეგზავნა. თქვენი მამული ჩემი გირაოა და მისი შემოსავალიც მე უნდა მეკუთვნოდეს.

პან ვაცლავივით ზბიგნევმა ახლაღა იტკიცა შუბლში ხელი.

— თქვენ ხუმრობთ, პან კუგლერ! — უთხრა აღელვებულმა. — ვინ დაგიგირავებდათ ასეთ მდიდარ მამულს რაღაც ათი ათას ტალერად? ღვთით, თუ კარგი მოსავალი მოგვივიდა, აღებისთანავე...

— აღებისთანავე"? — გესლიანად გააწყვეტინა კუგლერმა, — შემიძლია შეგახსენო, რომ სანამ თქვენს საქმეებს ჩავიბარებდი, ის თქვენი „უბირი პან კაეტანი" იმდენ თანხასაც ვერ აგრიცებდა, თქვენს პატარა ოჯახს თავი ერჩინა, თანაც მე ომიანობის დროზე კი არ მოგახსენებ, მშვიდობიანზე, როდესაც პან კაეტანის პარპაშობის მთელი თორმეტი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი წელი გამოერია მოუსავლიანი. თქვენ კი ის, „რაღაც" ათი ათასი ტალერიც არ აღმოგაჩნდათ გაჭირვების ჟამს!

ზბიგნევი დუმდა. სიბრაზისაგან მხოლოდ ეკალს აყრიდა სახეზე.

— სამგზავრო ფულს, რა თქმა უნდა, გავუგზავნი პან ვაცლავს, მაგრამ მანამდე პანა ვანდას უნდა მოველაპარაკო...— განაცხადა კუგლერმა.

ამ დროს ნარნარი პავანის ცეკვა-ცეკვით, თავის დაკვრითა და ღრმა რევერანსით ჩაუარა მათ ვიღაც მოსულ შლიახტიჩთან მოცეკვავე მიტამ. ვანდა სადღაა? აჰა, აგერ, ისიც, კედელთან მდგარი ცხვირსახოცს ინიავებს, მის გვერდით კი, რა თქმა უნდა, კასპერ ბერნატია.

ეს წყვილი ისე იყო გართული ლაპარაკში, რომ ზბიგნევს ორჯერ მოუხდა დის მოხმობა.

— ვანდა, — მიმართა ზბიგნევმა, როდესაც ქალიშვილი და მისი

კავალერი მივიდნენ მათთან. — ვაჭარ კუგლერს შენთან ლაპარაკი სურს.

ვერც იმ დღეს და ვერც შემდგომ პანა ვანდას მახლობელთაგან დაწვრილებით ვერავინ შეიტყო, რას ელაპარაკებოდა იგი საქმროს.

იმ ოთახიდან, სადაც კუგლერის თხოვნით განმარტოვდნენ, ქალიშვილი სიბრაზისაგან ალეწილი გამოვიდა.

— დასრულდა. — მიმართა კასპერს და შვებით ამოისუნთქა, — „კუგლერიხა“ აღარასოდეს გავხდები! ღმერთო, რა ბედნიერებაა!

— პანა ვანდა, — დაიწყო შეშფოთებულმა კასპერმა. თან გრძნობდა, რა ძალუმად და მხიარულად ეხმიანებოდა გული. — პანა ვანდა, თუ გაუფრთხილებლად მოიქეცით და კუგლერს აწყენინეთ, ვშიშობ, რომ სამაგიეროს გადაგიხდით. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია... ახლა მაქვს უფლება ამის თქმისა...

— მე მოვიქეცი გაუფრთხილებლად, — მხიარულად მიუგო ვანდამ. — ვუთხარი ვაჭარს, რომ არასოდეს მყვარებია, და, რა თქმა უნდა, არც არასოდეს შევიყვარებ. მის ცოლობაზე რომ დავთანხმდი, მეგონა, პატიოსანი, კეთილშობილი, ჩვენი ოჯახის ერთგული იქნებოდა. რადგანაც ის არც პატიოსანია, არც კეთილშობილი და არც ჩვენი ოჯახის ერთგული, მე დავუბრუნე ბეჭედი, ჩემი სიტყვა კი უკან წამოვიღე... ოღონდაც ნუ მაშინებთ, პან კასპერ, მხარი დამიჭირეთ ამ მძიმე წუთებში, — ხმას დაუწია ქალმა. — მე თქვენგან მინდა ვისწავლო სიმხნევე და თავდაჭერა. კუგლერმა მითხრა: „დღეს თქვენ აგდებთ კუგლერს, ხვალ ის გამოგაგდებთ თქვენი ძმითა და მამილოთი იმ ლამაზი ქალაქური სახლიდანაც და იმ მშვენიერი „სუბოი დოლიდანაც!..“ მაგრამ ამის გამო არ გთხოვთ მხარდაჭერას, პან კასპერ, მე და ზბიგნევი უკვე მზადა ვართ ყველაფრისათვის... მე დედა და მამა მაღონებს მხოლოდ: როგორ გადაიტანენ ამ ამბავს!

იუზეფიც კი, სუხოდოლსკების მოხუცი მსახური, ენით უთქმელად იყო გახარებული. ჩემი პანოჩკა ვაჭარ კუგლერის ცოლი აღარ გახდებაო.

— აბა ერთი თქვით, — ამბობდა იგი შეწუხებული. — მოვა მოხუც პანთან და ნებართვასაც არ ითხოვს, ისე გაითხლაშება სავარძელში... ამას წინათ კი აიღო და თავისი ჯოხით იმ „პატარა დარბაზის“ ზომეა დაიწყო, სადაც პანოჩკასა და პანიჩს ზღვისიქითური ცეკვებს ასწავლიდნენ... აქო, ამბობდა, რაღაც ჩემი პ ა ნ ტ ო რ ა უნდა მოვაწყოო!

ივ საღამოს კასპერმა თავის სიცოცხლეში პირველად მოატყუა

მეგობრები და პირობისამებრ არ მიეიდა ფრანცთან. იქ კი, მის მოლოდინში საკმაო ხალხი შეკრებილიყო.

ორდენის პრუსიიდან ცუდი ამბები მოვიდა. ამ ამბებზე კასპერთან სათათბიროდ ფრანცმა მეზობლები და თანამზრახველები მიიწვია თავის სახლში.

კასპერს კი ეშვიც არაფრისა ჰქონდა. და სუხოდოლსკების იმ „პატარა დარბაზში", რომელიც ვაჭარ კუგლერს თავის „პანტორაღ" ჯერ არ ექცია, ვანდასთან ერთად ცეკვავდა.

ამ ოჯახის თავქარიანმა და უდარდელმა განწყობამ აკობა კასპერის წინდაბედულებანი და კეთილგონიერებას.

— ვილაინოთ ცოტაც, სანამ მოლხენის ძალი შეგვწევს, — თქვა ვანდამ. — თქვენც აგვიბით ხბარი, პან კასპერ! ვფიქრობ, თქვენ უფრო უნდა ბღეროდეთ გამუდმებით; ცეკვაუდეთ და ერთობოდეთ, რათა სულს ბოაშოროთ წარსულის ნაღელიანი მოგონებანი.

იმ საღამოს კასპერი ადრე რომ დაბრუნებულიყო შინ, იქნებ ცოცხლები ენახა თავისი ძველი მეგობრები და თანშეზრდილები — სტაშეკ კოგუტი, მეტსახელად გაბერილი, და იას-კაჭკაჭი.

შებინდებულზე, სწორედ იმ დროს, როდესაც კასპერი და ვანდა რაღაც უცნაური აბალი პას შეურულებას ცდილობდნენ, ფრანცის სახლს აყალ-ჩაყარა ერთმა გამბდარმა, ტალახში ამოთხვრილმა, გაცვეთილანაფორიანმა ბერმა. მან კარშიც შეიყიტა, ფანჯარაშიც და რაკი ქალაქის ამ უბანს ბვრები მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ, სახლის პატრონსა უშალ პკითხა, აქ რა გინდაო, და არც ისე თავაზით დაურთო, ეშმაკსამც მისწევნიხარო.

ბერმა პასუხის სანაცვლოდ კასპერ ბერნატთან გატანებული წერილი გაუწოდა. ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯზე კასპერის ძველი მეგობარი იასი, მეტსახელად კაჭკაჭი, აუწყებდა, რომ იგი, იასი, და აგრეთვე სტანისლავ კოგუტი წმიდა ინკვიზიციამ დააპატიმრა, ბრალად ედებათ ერეტიკოსისა და თომას მიუნცერის მიმდევარის, მეამბოხე ჰენრიხ ადლერის თანდგომა და ხელშეწყობა.

„წამებისაგან სტაშეკს მთლად დაუჩეჩვეს ხელ-ფეხი, — წერდა იასი, — მე კი, დიდება უფალს, მხოლოდ ფეხები დამიზიანეს და ხელში კალმის დაჭერა კიდევ შემიძლია. ლათინურად არა, პოლონურად ინიტომა გწერ, რომ შენ თუ არ იქენი, სხვებმა მაინც შეიძლონ წერილის წაკითხვა. არც მე და არც სტაშეკს ერთი კბილიც აღარ შეგვარჩინეს: წმიდა მამებმა მძიმე ჯვარცმისცემით ჩაგვილეწეს. მოკლე დღის სიცოცხლეღა დაგვრჩენია. მაშ, ჩვენს ტანჯვასაც მალე მოეღება ბოლო. წმიდა აღდგომის ღამეს დაგვწვავენ კოცონზე".

კასპერი შეაკრთო ამ საშინელი ამბის მაუწყებელმა მშვიდმა კილომ.

„ძმა ტადეუშს შინ თუ დახვდი, თვითონვე ჩამოგიყვანს აფრიანი გემით კრულევეცში, რათა ყოველივე ნახო და მერე, ვისთანაც საჭიროა, მოყვე ჩვენი სიკვდილის ამბავს. ძმა ტადეუში ორდენის პრუსიიდან ჩვენ გამოსახსნელად გამოგზავნა ძმობამ, მაგრამ არც მე და არც სტაშეკს საძრაობა აღარა გვაქვს. დიდება უფალს, რომ ენები მაინც არ ამოგვგლიჯეს. სიკვდილის წინ სტაშეკა ხალხთან ლაპარაკი სწადია. მე კი, თუმცა აკადემიაში კაჭკაჭს შეძახდნენ, ენამჭევრობა და დალაგებით ლაპარაკი არ შეგიძლია. უფალი ღვერთი გფარავდეს, კასპერ, ძალიან გაგვახარებს მე და სტაშეკს იმის ცოდნა, რომ შენ დაესწრები ჩვენს აღსასრულს. ოღონდაც წინა რიგებში ნუ დადგები. ხალხს შეერიე!

შენი ძველი მეგობარი იასი. სტანისლავ კოგუტის მაგივრადაც იასი აწერდა ხელს“.

კასპერის მოსვლამდე წერილი ფრანცმა წაიკითხა, მერე მეგობრები შეკრიბა და იმათაც წაუკითხა.

ეს ალალი ხალხი სულ სხვადასხვა გეგმას აწყობდა მამა სტანისლავისა და მამა იასის მამა ინკვიზიტორების ხელიდან დასასხსნელად, მაგრამ ჩამოსულმა ბერმა თქვა, ეგ შეუძლებელიაო.

მსჯავრდადებულებს შკაცრად იცავენ. თანაც, მათი განთავისუფლება რაღაც სასწაულით კიდევაც რომ მოხერხდეს, იმ დაჩქერთილი ფეხებით ნავამდე ვერც მიაწევენო... ბერი ძალიან ნანობდა კასპერ ბერნატის უნახაობას, მაგრამ დაცდითაც ველარ დაიცდიდა, უკან გაბრუნების დრო იყო.

იგი, ბერი ტადეუში, ცოდვას თავის თავზე აიღებს და ეტყვის მსჯავრდადებულებს, თქვენი მეგობარი კასპერი ჩემთან ერთად ჩამოვიდა კრულევეცში, რათა თავის ძველ მეგობრებს გამოეთხოვოსო.

პეტერ კიონიგმა და მისმა ამხანაგებმა თავს იდვეს ძმა ტადეუშის ნავსადგურამდე მიცილება, სადაც სხვებისგან გამოცალკევებით იდგა მისი პატარა გემი.

იმ ღამეს მწარედ და უნუგეშოდ იტირა დიდი ხნის ცრემლგადაჩვეულმა კასპერმა.

— უბრალო სოფლის ბიჭები,— ლუღლუღებდა ცრემლის ფრქვევით. კრაკოვის აკადემიის დეკანმა ოდესღაც ასე მოიხსენია სტანისლავ კოგუტი და იან სკლემბინსკი.

— იას, ჩემო კარგო იას-კაჭკაჭო, მაპატიე, — ისეთი მუდარით მიმართავდა კასპერი შეგობარს, თითქოს იქვე, გვერდით სდგომო-

დეს. — მაპატიე, იას, რომ მე და ჰენრიხმა ვიეჭვიანეთ, თითქოს მონასტრის საზიდრებზე თავდამსხმელთა ვინაობა შენი უთავბოლო ყბედობის გამო გაიგეს.

„კრულევეცში კვირამდე ვერასდიდებით ვერ ჩავაღწევ. თუნდაც ნავი ვიშოვო“, — ფიქრობდა კასპერი.

ფრანცის შეგობრებს ბერმა ტადეუშმა კიდევ ერთი რამ აცნობა, მაგრამ პირველ ხანებში თითქოსდა ვერც დავიდა გამწარებული კასპერის გონებამდე მისი მნიშვნელობა. მხოლოდ მეორე დილითღა მიხვდა, რა ხიფათი ელოდა მის ყველაზე ახლო შეგობრებს.

ეს ცნობა ორდენის პრუსიიდან ჰენრიხ ადლერის დანაბარები იყო.

ჩანდა, გლეხთა ბელადს ყველგან ჰყავდა მეგობრები და მოყურადეები. ძმა ტადეუშმა აცნობათ, ძმა ჰენრიხის ხალხმა გაიგო, თითქოს ხუთშაბათ ღამეს კრულევეციდან ბრიგანტინი გამოვიდაო, გემზე იმყოფება ბარონი მენდელშტამი, თან ახლავს ბერები, რაინდები და ლანდსკნეხტები. ერთ ლანსკნეხტს უთქვამს, მამა ინკვიზიტორების ბრძანებით, გდანსკში მივეშგზავრებით სამართალში მიცემული ერეტიკოსების ზბიგნევ სუხოდოლსკის, ფრანც ფოგელის, აგრეთვე გაქცეული მონაზვნების, ჯადოქრების ურშულასა და ამალიას, იგივე მიტას დასაჭერადო. ისინი უნდა გაასამართლონ და დასაჯონ მანამდე, სანამ ამ საქმეს შეფის სასაშართლო მოჰკიდებდეს ხელს.

— მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის დაიჭერს! — თქვა მუქარით ფრანცმა, როდესაც კასპერმა ურჩია შენ, ზბიგნევი, მიტა და ურშულა ფრომბორკში გაიქეცით, შამა მიკოლაის შეაფარეთ თავი, უფრო უკეთესია თუ ოლშტინში ნაცვალთან, მამა გიზესთან წახვალთო.

ფრანცი შემდეგ რომ დაფიქრდა, დაასკვნა, კასპერი მართალიაო.

— ოღონდ წასვლამდე ზბიგნევი და მიტა ჩვენთან, ოსეკში უნდა გადმოვიდნენ. შლიახტები და ვაჭრები ქალაქში ერთიმეორისაგან მაღალი ღობეებით ისე არიან გამიჯნულები, ვინმე რომ დაეცეთ, დახმარებას ვერც მოახერხებ. ოსეკში კი ყველა ერთიმეორის გვერდიგვერდ ვცხოვრობთ. თუ ვინმე რამეს გაგვიბედავს, უმალ მოგვეშველებიან მეზობლები!

ნავსადგურის ყარაულს კოჭლ მაცეის დაავალეს, თვალფხიზლად ედარაჯა ნავშისადგომისათვის. როგორც კი ნავსადგურში შემოსულ გემს დაინახავდა, მაშინვე ეცნობებინა ფრანცისა და მისი ამხანაგებისათვის.

კასპერი, ზბიგნევი და მიტა საღამოს უკვე ფრანცის სახლში იყვნენ, მაცეიმ აცნობათ, რომ ბრიგანტინი ჯერ არ ჩამომდგარაო. სახლში ფრანცის მეგობრებს მოეყარათ თავი. ისინი შეძრწუნებულ-

ნი იყვნენ სტანისლავ კოგუტსა და იას-კაჭკაჭთან ანგარიშსწორებისათვის ინკვიზაციის სამზადისით და გადაწყვეტილი ჰქონდათ, თავიანთი ახლო მეგობრები მაინც დაეცვათ მათგან. ჰენრიხ ადლერის სახელი, როგორც კასპერი დარწმუნდა, აქაც კარგად იყო ცნობილი.

„ნავს უკვე შეეპირდნენ, მაგრამ დილამდე მაინც არა ღირს გასვლა, — გადაწყვიტა ფრანცმა. — თუ ჰენრიხს კარდინალისა და ბარონის ხალხში ალმოაჩნდა მსტოვარი, ვინ იცის, იქნებ წმიდა მამებს კიდევ აქ, ოსეკში, ჰყავთ თავიანთი ჯაშუში! ცოტა უსაქმური დაყიალობს ნავსადგურში თუ რა! ვერც ვერაფერს დაინახავ, ვერც ვერაფერს გაიგონებ, ისე მოგეპარება მტერი!..“

— მისმინე, პეტერ, — მიუბრუნდა იგი მეზღვაურს, — შენ მარტო აქაური, ოსეკელი ბიჭები კი არა, შკოტელი და ბისკუპის გორელებიც კარგად გიცნობენ და გაფასებენ... ერთი ოციოდე ყოჩაღ ბიჭს მოუყარე თავი, თუ საჭირო შეიქნა...

— გასაგებია, — მიუგო პეტერმა, — მე თუ მკითხავთ, სიბლის დაუღვრელობა ჯობებს, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ხელის გამოღებაზე მიდგება საქმე, გდანსკელი ბიჭები არც მაგას დაგზარდებიან... ერთი ეგ არის, იარაღი არა გვაქვს ნამდვილი...

— ეგ არ დაგვაბრკოლებს. წავალ და მთელ ჩვენს „რაინდის დარბაზს“ გადავიხრეკავ! — შეეპირდა ზბიგნევი. — და რამდენიც არ უშალეს კასპერმა და მიტამ, ვეღარ დააშლევინეს. ახალგაზრდა აუბოდოლსკიმ გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ გაბრუნებულიყო თავის სახლში.

გარეთ გამოვიდა თუ არა, ზბიგნევმა ერთი უბადრუკი შეესახედაობის, მოცუცქნულ კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც მაშინვე შენობის კუთხეს აშოეფარა.

„ასეცაა, — გაიფიქრა ახალგაზრდა შლიახტიჩმა, — ფრანცი მართალია: წმიდა მამებს ჰყავთ აქ თავიანთი ჯაშუშები. კიდევ კარგი, მე, კასპერი და მიტა შეუმჩნევლად მოვედით“. მართლაც, იმ საღამოს ზბიგნევი ოსეკში რომ მიდიოდა, მრავალჯერ მიიხედა უკან, მაგრამ საეჭვო არაფერი დაუნახავს.

„დამაცადოს, რა გზებით ვატარო, ეგ არამზადა!“

„ატარა“ ზბიგნევმა თავისი დაუპატიჟებელი მდევარი მთელ ქალაქში. ერთმანეთში გამავალ ეზო-ეზო უჩინარდებოდა, ორჯერ „ცეცხლისთვის“ საშიკიტნოშიც შეიხედა და ბოლოსლა, როცა დარწმუნდა, ჯაშუში ჩამოვიშორეო, თავისი სახლისაკენ გაუხვია.

რაც კი „რაინდის დარბაზის“ კედლებზე იარაღი ეკიდა, ზბიგნევმა, მოხუცი იუზეფის დახმარებით, შეახვია, გამოეთხოვა ატირებულ ჭედას და ვანდას, იხევ ის ერთგული იუზეფი იახლა და ოსეკისაკენ

გაემართა. ბოზუცი თავის პანიჩს კვალში მისდევდა, თან გაფაციცებით იყურებოდა, ხომ არავინ გვითვალთვალებსო.

... ღამის ყარაულები ურტყამდნენ თავიანთ სარაკუნას, გვიანი მგზავრები მფრთხალად უვლიდნენ ზბიგნევს გვერდს. ახალგაზრდა სუხოდოლსკიმ მშვიდობიანად მიაღწია ფრანცის სახლამდე.

ბნელი, ბურუსიანი ღამე იდგა.

— ეჰ, რა გასაპარი ღამეა! — ამ შეძახილით შეხვდა კასპერი ამხანაგს. — დასანანია, რომ დილამდე უნდა ვიცადოთ! თუმცა. წმიდა მამებსაც ასეთი ღამე, მეტი რომ აღარ იქნება, ისე აძლევთ ხელს ნაპირზე გადმოსასხდომად!

უკვე გვიანი იყო, მაგრამ არავინ წვებოდა დასაძინებლად. მხოლოდ ურშულა გავიდა გარეთ მესრიდან ქოთნებისა და კოპობების ასაღებად და ისიც იმწამსვე შებრუნდა უკან.

— კარი ჩაკეტეთ, — თქვა ერთი შეხედვით მშვიდად, — შეიძლება საშიში არაფერი იყოს, მაგრამ ნავსადგურიდან სანაპიროსკენ ჯარისკაცები მოემართებიან.

— თვალი ადევნე, ჩვენკენ ხომ არ გამოუხვევენ, — მიუგო ფრანცმა ისეთივე სიჩუმით, — თუ ჩვენი მოსახვევისკენ შემობრუნდებიან, უკანა გასასვლელიდან პეტერ კიონიგთან გაიქეცი!

გავიდა რამდენიმე წუთი. ფრანცმა კარში გაიხედა. შორს, მოსახვევის ბოლოდან ადამიანთა ჯგუფს მისი სახლისკენ აეღო გეზი. ივ სიწყნარესა და სიბნელეში სუსტად რაჩხუნობდა და ელავდა მათი იარაღი.

— ურშულა! — დაიძახა ფრანცმა.

მაგრამ მისი ცოლი აღარსად იყო.

— თუ ბარონია თავისი ლანდსკნეხტებით, თავის დაცვა მოგვიხდება, სანამ მჭედელი და მისი ბიჭები შოგვეშველებოდნენ, — თქვა შინ შებრუნებულმა ფრანცმა, — აბა, ფანჯარასა და კარს მიაყარეთ, რაც ხელთ მოგხვდებათ!

არაბრახდა მაგიდები, მძიმე მუხის მერხები, სკამები, ტაბურეტები, საწოლები... მიტა მამაკაცების თანაბრად მუშაობდა, სანამ კასპერი იდაყვს გაჰკრავდა ზბიგნევს და თვალით ანიშნებდა მასზე. მიტა უზომოდ გადაფითრებულიყო, ხელები უცახცახებდა.

ზბიგნევმა მიტა სხვენში აიყვანა. სამერცხული ბალიშით დავშანა და საცოლე იქ დატოვა.

— კარგია, მასე უფრო მშვიდად იქნები, — თქვა ფრანცმა.

სახლი მიუდგომელ სიმაგრეს დაემსგავსა.

შემდეგ ფრანცმა, ზბიგნევმა და კასპერმა იარაღი ვაიყვეს. ჯატენეს მუშკეტები და პისტოლეტები.

კარზე სამჯერ დააბრახუნეს.

— ვინ არის? — იკითხა ფრანცმა, თან არკებუზის პატრუქს უბერავდა.

— გააღეთ, მებრძოლი ეკლესიის სახელით!

— აი, რას გეტყვი, ძმობილო! მებრძოლ ეკლესიას ჩემგან თუ რამე უნდა, მაგისთვის დღე არსებობს! დაიკარგე მანდედან, თორემ შუბლში ბეჭედს შიიღებ!

— ცოცხლად! — უცებ ქუჩიდან გაისმა მბრდღვინავი ბასი. — რა დაგემართათ შანდ, დაგეძინათ თუ რა? შეამტვრიეთ ჯარი!

— ბარონი მენდელშტამია! — ხმა იცნო ზბიგნევმა.

ჩახერგილ ფანჯარას ალყაშემორტყმულებმა ხვრელი დაუტოვეს სათვალთვალოდ. ფრანცმა ვერც მოასწრო ნიშნის მიცემა, ლამპარი ჩააქრეთო, რომ ხვრელს ვიღაც აეკრა და მიშტერებული ცალი თვალით მბეუტავ შუქზე ცდილობდა ოთახის დათვალიერებას. ფრანცმა ანთებული პატრუქი პირდაპირ ხვრელს ატაკა. კაცმა შეჰღრიალა და იმწამსვე უკან გადახტა.

— რა იყო, შლიახტური თავდაცვის საშუალება არაა, ხომ? — ჰკითხა ფრანცმა, ზბიგნევის უკმაყოფილო სახეს რომ შეხედა. — სუყველას კოცონზე რომ შეგვხანხლავენ, პან ზბიგნევ, მაშინ თქვენს შლიახტობასაც დაივიწყებთ. ს-ს-სუ! — დაუმიზნა ფრაცმა და მაშინვე ისროლა თოფი.

ერთ-ერთი ლანდსკნეხტი ყვირილით დაეცა თვით ბარონის ცხენის ფეხებთან.

— დონერვეტერ! — იღრიალა მენდელშტამმა. — ერთი დააბრმავეს, მეორე მოკლეს — ეგრე ყველას გამომაცლიან ხელიდან. მე კი თითოეულ ჯარისკაცში ფულს ვიხდი! შეყავით არკებუზი ფანჯარაში და ესროლეთ! ერთი ასცდება, მეორე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ მოარტყამთ ვინმეს!

ლანდსკნეხტების მეთაური ბარონთან შივიდა და რაღაც უთხრა ყურში.

— ეშმაკსაც მიწევნიხართ! — დაიღრიალა ბარონმა. — მაშინ. მისმა უწმინდესობამ თვითონ დაიქირავოს ჯარისკაცები. აქ დამიძახეთ იმ თვალგაშოთხრილს!

თვალზე ძონძმიფარებული ლანდიკნეხტი მივიდა ბარონთან.

— დაინახე, შიგ რამდენი ერეტიკოსია? — ჰკითხა ბარონმა.

ჯარისკაცი დუმდა.

— რა იყო, ენაში გესროლეს? — მრისხანედ დაჰყვირა მენდელშტამმა.

ლანდსკნეხტს სახე ცრემლითა და სისხლით მოთხუპნოდა.

— იქ ერთი კაცი არ უნდა იყოს, — უპასუხა მან აკანკალებული ხმით, — ნებას მომცემთ, შესახვევად წავიდე?..

— ვინც ერეტიკოსს ცოცხლად დაიჭერს, წმიდა მამა ორმოცდაათ ტალერს ჰპირდება. — დაიყვირა მენდელშტამმა, — მე კი ჩემი მხრით მკვდარშიც ოცდახუთს ვამატებ! — წინ, ბიჭებო, მედგრად!

ბარონის ბრძანების პირველი შემსრულებელი ჯარისკაცი თავგახვრეტილი დაეცა იქვე. ძნელი სათქმელი იყო, ვისი ტყვიის ანაწერა გახდა: კასპერისა და ზბიგნევის თოფები თითქმის ერთდროულად გავარდა.

მიხორხლილი ბრბო წამსვე მოსწყდა ფანჯარას, მაგრამ მეთაურის წაქეზებით კვლავ იქით გაექანნენ. ბარონი რაღაცას უყვიროდა ლანდსკნეხტებს, თან ცდილობდა, სახიფათო ადგილიდან შორს სწეროდა თავი.

— კარს ნუ დაივიწყებთ! — გამაფრთხილებლად წაიჩურჩულა ფრანცმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— ბრა-ახ! — და შემტვრეულ ლირსში არკებუზის ბლაგვი ლულა გამოჩნდა.

— მისცხეთ! მისცხეთ! — ვილაცამ ქუჩიდან გერმანულად გასცა ბრძანება.

— მოგცხებთ მე თქვენ! — ჩაიდუდუნა გაცხარებულმა ზბიგნევმა და მართლაც ისეთი ხშირი ცეცხლი მისცხო, აივანზე მოაჯრის ჭახანი გაისმა და ვილაცამ მძიმედ მოადინა ზღართანი ძირს.

— გაგულისდა ჩვენი პან შლიახტიჩი, — მოწონებით წამოიძახა ფრანცმა. — ალბათ იმ არამზადას შიგ გულში, ნეკნებშუა გაუტარა ტყვია. ფანჯარა! ფანჯარა!

ასე გადარბოდნენ ალყაში შომწყვდეულები კარიდან ფანჯრისაკენ და ფანჯრიდან კარისაკენ.

— ურშულა და მაშველი რაღაც ძალიან აგვიანებენ! — შეშფოთებით თქვა ზბიგნევმა.

— ღამეა! — მოკლედ მოუჭრა ფრანცმა. — ძნელია ხალხის მოგროვება...

— შეიპყარით! — ცოფს ჰყრიდა ქუჩაში ბარონი. — ცოცხლები ან მკვდრები იგდეთ ხელთ!

აივნიდან ხვნეშა და რაღაც ფაციფუცი ისმოდა. მიხერგილი საფარის სულ ზემოდან გრუხუნით ჩამოვარდა მძიმე მუხის ტაბურეტი.

— ეჰ, კარი მოირყა, — გაბრაზდა ფრანცი. — დაუმატეთ რამე, — და აქეთ-იქით მიმოიხედა.

ზბიგნევი და კასპერი კი კარისაკენ უკვე ფქვილით გატენილ ტომარას მიათრევდნენ.

— გაუშვი, შემოამტვრიონ კარი, — მუქარით ბურტყუნებდა

ზბიგნევი, — მე და კასპერი აქეთ-იქით დავდგებით და ვიწრო შემოსასვლელს დავიცავთ, თერმოპილს გავიხსენებთ.

მაგრამ თერმოპილის გასახსენებლად არავის ეცალა. ფრანცს, საერთოდ, არც გაეგონა თერმოპილი, კასპერს კი მაგის დრო არ ჰქონდა — იგი, არკებუზმომარჯვებული ფანჯარას დარაჯობდა.

შეშფოთებული კასპერი უცაბედად ამხანაგებისაკენ შემობრუნდა:

— ბარონმა სახლის დაწვა ბრძანა!

ალყაში მოქცეულები გაისუსნენ.

— ზანტო ღორებო! სადა გაქვთ ჩირაღდნები! აქეთ მოიტანეთ! — აწყდებოდა ვიწრო ქუჩას ბარონის ხმა. — თქვენ, ოთხმა ნაფოტი მოაგროვეთ, ნავსადგურში მრავლადა ყრია! ყველას მელიებივით გამოვდევნით სოროდან!

სიფიცხეში მენდელშტამს სიფრთხილე დააავიწყდა.

— განზე გადექით! — უთხრა ფრანცმა ამხანაგებს.

დიდხანს დამიზნება არც დასჭირვებია. გაქცეულ გლეხს იმდენი თვე ტყუილად არ ჰქონდა გატარებული ბურგომისტრ ტეშნერის ეგერად. ერთი გასროლით აქცევდა ხოლმე ირემს.

პატარა ოთახი შემზარავმა გრუხუნმა გააყრუა.

— ბატონი ბარონი მოკლეს! — ვიღაცის გამკივანმა ხმამ გაკვეთა სიჩუმე.

— შენი გზაც იქითაა! — კბილებში გამოსცრა ფრანცმა.

პირველს მეორე გასროლა მოჰყვა.

— ბატონი მეთაური მოგვიკლეს! — გაისმა სასოწარკვეთილი ძახილი. — რა უნდა ვქნათ, ბატონი მეთაური მოგვიკლეს!

ფრანც ფოგელი მიზანს არასოდეს აცდენდა.

— რადა, ნავსადგურისკენ, ჩვენი ბრიგანტინისკენ მოვუსვათ! — წამოსცდა რომელიღაც ლანდსკნეხტს და შეშინებული მაშინვე შეერია ხალხს: ფრანცის ახლოს კიდევ ერთი ცხენოსანი მიიჭრა.

— რომელი აპირებს ნავსადგურში წაბრძანებას! — იყვირა მან. — ვინც უკან გაბრუნებას ეცდება, აი, ამას მიიღებს! — და გრძელი მახვილი იშიშვლა. — აჰა, ნაფოტი უკვე მოიტანეს? რაღას ვუცდით. დავწვათ სახლი. თქვენ კი ყველანი გასასვლელში ჩადექით! ეს შენ მოგინდა ბრიგანტინაზე დაბრუნება, ხომ? — მიუბრუნდა იგი ერთ ცალსაყურიან ტანმოსულ ჯარისკაცს. — თუ ცოცხალი გადარჩი, წახვალ შინ, მაგრამ იმაზე ადრე ვერა, სანამ არ შეასრულებ, რისთვისაც დაგიქირავეს! ახლა კი ხუთიოდე ამხანაგი წაიყვანე, და სახურავზე ადით, სხვენიდან არ გაგვექცნენ...

— ეჰე-ე! ეს ხავერდივით ხმა მეცნაურება! — ჩაილაპარაკა კას-

ბერმა, თან დიდი გულისყურით უმიზნებდა, მაგრამ არ ესროდა.

არკებუზებიც, ხმლებიც, დანებიცა და სადენთეებიც კი ზბიგნევმა შინიდან მოზიდა, მაგრამ მათში ტყვია-წამალი ცოტა იყო, შერჩევით უნდა ესროლათ.

— რაღას უყურებ? — უჩურჩულა ზბიგნევმა კასპერს. — ფონ ელსტერია, ვერ იცანი, თუ რა?

მაგრამ კასპერი მდუმარედ გაჰყურებდა სიბნელეს. მოსახვევიდან კიდევ რამდენიმე კაცი გამოვიდა. ვიღაც გრძელტანსაცმლიანმა კაცმა ფართოდ გაშალა ხელები და ფანჯარას ჩამოეფარა.

— გიკრძალავთ რომელიმეს მოკვლას, — გამაფრთხილებლად გაისმა მისი დაბალი ხმა. — ყველანი უვნებლად უნდა ჩავაბაროთ მამა ინკვზიტორებს.

— პატერი არნოლდი! — ყვირილი ვერ შეიკავა ზბიგნევმა. — ჩემი ძვირფასი მოძღვარი!

ახლა კი ისროლა კასპერმა.

რამდენჯერ უთქვამს მისთვის ძველ მებრძოლს, ატამან შკურკოს: სიძულვილი და სიყვარული ფიცხელი იცი, შვილო, მაგრამ დამიზნება გულცივი, ანგარიშიანი უნდაო.

გულცივი, ანგარიშიანი დამიზნების თავი სადა ჰქონდა კასპერს და ააცდინა კიდევაც. ოთხ მეგობარს მეტი ტყვია-წამალი აღარც ჰქონდა.

ფონ ელსტერის ბრძანებით ლანდსკნეხტები სახლს შემოეწყვნენ, აივანთან შეგროვდნენ, მაგრამ ფანჯარასთან მისვლას უფრთხოდნენ.

ისმოდა, როგორ მიბრახუნობდა მძიმე ჩექმები სახურავის კრამიტებზე.

— მიტა! მიტა აქ უნდა ჩამოვიყვანოთ! — წამოიძახა ზბიგნევმა.

— ყველგან ერთნაირ ცეცხლში ჩავიბუგებით! — წაიდუდუნა ფრანცმა გაბრაზებით. მერე ფანჯარაში გაიხედა და დაატანა: — აჰა, ჩირაღდნებიც მოაქვთ უკვე! ვიღოცოთ, ბიჭებო, თორემ მღვდლის უკანასკნელი მოტევების გარეშე გავუტევთ იმ ქვეყანას! — ამ სიტყვებით მუხლებზე დაეცა ფრანცი, მაგრამ უმალვე წამოიჭრა ზეზე.

— გამაგრდით, ძმებო, მოვდივართ საშველად! — ზედ ფანჯარასთან იქუხა მშვიდელ პეტერის ხმამ. — ურტყით, წყეულ პაპისტებს!

— უკან მიიხედეთ! — იღრიალა ფონ ელსტერმა. — არკებუზები, ცეცხლი!

გაისმა ერთდროული ბათქი. ერთი აკვამლებული ჩირაღდანი ბალახში გაგორდა. არეულ ხალხში ქალის საწყალობელი კვნესა გაისმა.

— ურშულა! — იღრიალა სიშმაგისაგან გონდაკარგულმა ფრანცმა.

— ურშულა მოკლეს! — ვიღაცამ ბანი მისცა ხალხიდან. — დასცხეთ, წყეულ დაქირავებულებს, დასცხეთ უმოწყალოდ!

მეარკებუზეებმა ვერ შეამაგრეს მეედლისგან მორეკილი ბიჭების გააფთრებული შემოტევა. თხუთმეტამდე ცულმომარჯვებული ჯანღონიერი მატროსი, ბარჯებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ბრგე ტანის მტვირთავები ისეთი სისწრაფით დააცხრნენ ლანდსკნეხტებს, რომ საათსაც არ გაევლო და შეტაკება უკვე მოთავებული იყო.

ბოლოს და ბოლოს კარის გაღება შეიძლებოდა! ზბიგნევი მამა არნოლდისაკენ გაიჭრა. მენდელშტამის ცხენზე აბობღებულ კარდინალს, ის იყო, დეზი უნდა ეკრა ცხენისათვის, რომ მისმა ყოფილმა მოსწავლემ ცალი ხელი აღვირს უტაცა, მეორეთი უნაგირიდამ ძირს გადმოიღო ზერიკაცი, მაგრამ იმავე წამს მახვილგაყრილი ზბიგნევი კარდინალის გვერდით წაიქცა მიწაზე.

რაინდ ფოლ ელსტერს მეორედ დანაცვლება აღარ დასცალდა: ბარჯის ალმასივით კაუჭმა იგი ცხენიდან ძირს გადმოაგდო და, როგორც კი ფეხზე წამოიჭრა, კასპერმა ორლესული უმარჯვა მკერდში.

— ზბიშეკის სანაცვლოდ, ვუეკის სანაცვლოდ! — დასძახა ხრინწიანი ხმით. — ეს კი ნონადგაყიდული კასპერ ბერნატის სანაცვლოდ!

პასტერ არნოლდს რომელიღაც მატროსმა მოუღო ბოლო.

სისხლით დაცლილი ურშულა ფრანცმა ბავშვით გადაიწვინა მკლავებზე და სახლში შეიყვანა.

უმეთაუროდ და უპატრონოდ დარჩენილი ლინდსკნეხტები უთავბოლოდ ბორიალობდნენ მოსახვევში და მახლობელ ქუჩებში .უჩინარდებოდნენ.

ფრანცის სახლთან ახლა მხოლოდ დახოცილები და დაჭრილები ღა ეყარნენ. იქვე მოეყარათ თავი ხელკეტებით, ცულებითა და ბარჯებით შეირაღებულ მეედლის მოყვანილ ბიჭებს.

კასპერი აივანთან გართხმული ზბიგნევისაკენ დაიხარა:

— ზბიშეკ! ხმა გამეცი! ერთი სიტყვა მაინც მითხარი!

ზბიშეკი მძიმედ, ხრინწიანად ქშინავდა. ვიღაცამ ჩირაღდანი მიანათა. დაჭრილმა წამით გააღო თვალები და მაშინვე დახუჭა. მიწაზე მუქი გუბე დამდგარიყო. კასპერს ფეხი უცურავდა სისხლში.

კასპერმა და ერთმა მატროსმა ფრთხილად ასწიეს ზბიგნევი და სახლში შეიტანეს. მათ მსუბუქი ნაბიჯები წამოეწია: ეს მიტა იყო იგი სხვენიდან ჩამოსულიყო და იმ სდბნელესა და აურზაურში ეძებდა თავის შეყვარებულს.

ნავსადგურის ორმა მუშამ განიარაღებული ცალსაყურიანი ლანდ-სკნეხტი მიიყვანა.

— რა ვუყოთ ამ ბრიყვს? — ჰკითხეს მჭედელს. — მეთაურების დახოცვის შემდეგ დავიჭირეთ სახურავზე.

— სადაც სამართალია, ყველა თოკზეა ჩამოსაკიდი... მაგრამ ამაზ რა მოეკითხება! ეი, შენ, დაუძახე შენიანებს და ესენი აკრიფეთ, — პეტერმა დახოცილებსა და დაჭრილებზე მიუთითა, — ბრიგანტინაზე დაუდეთ და, სანამ ცოცხლები ხართ, ზღვას მიაშურეთ!

— ამ ტვირთით კენიგსბერგში რომ ჩავიდეთ, ხომ ძაღლებივით ჩამოგვაბრჩეს! — პირქუშად დაიხიხინა ცალსაყურიანმა ჯარისკაცმა. — იმასაც დაგვაბრალებენ, თქვენ...

— ჰო, იყო მაგისთანა შემთხვევები, — თქვა ფრანცმა. — როტენბერგის ციხესიმაგრეში დაქირავებულებმა მოხუცი რაინდი და მისი ვაჟი მოკლეს, თვითონ კი თომას მიუნცერის მხარეზე გადავიდნენ.

— მერედა, ძია კაცო, ვინ გავალებს, მაინცდამაინც კენიგსბერგში ჩაიტანეთო! — ჩაიცინა ახალგაზრდა მატროსმა. — ზღვა დიდია, სანაპიროზე ქვები — ულეველი! თქვენ კი თქვენს სახლებში წადით. სულ ერთია, ფულს მაინც ვეღარავინ გადაგიხდით!

ლანდსკნეხტი გაჩუმდა და თავისიანების მოსაგროვებლად წავიდა.

თენდებოდა. უნდა გადაეწყვიტათ, შემდეგ როგორ მოქცეულიყვნენ.

ზბიგნევს ჭრილობა რომ შეუხვია და მასზე ზრუნვა მიტამ დაივალა, კასპერი მაგიდასთან მსხდომ ფრანცსა და პეტერს შეუერთდა მოსათათბირებლად.

მჭედლის აზრით, მიტა და დაჭრილი ზბიგნევი, აგრეთვე ფრანცი და ურშულა ფრომბორკში უნდა წასულიყვნენ.

— ვერ გამიგია, რატომღა უნდა წავიდეთ აქედან, როდესაც ყველა ავაზაკს გავუსწორდით? — შეედავა ფრანცი. — თანაც, როგორ უნდა შევაწუხოთ დაჭრილები?

— სწორედ მაგიტომ, რომ „გავუსწორდით“, თავზე ხელს არავინ გადაგვისვამს. ყოველივე შენს სახლთან მოხდა... — საბუთიანად უთხრა მჭედელმა. — მე, ჩემი მატროსები და მტვირთავები გვეძებონ, რამდენიც უნდათ, — ცოტაა ნავსადგურში მატროსი, თუ... წმიდა კოლეგიას კი შეუძლია, სხვა ხალხი დანიშნოს თქვენი საქმის გამოსაძიებლად, — დაურთო დაფიქრებით, — მკრეხელური დანაშაულის ბრალდება ჯერ არავის მოუხსნია თქვენთვის. დაჭრილებს კი...

— დაჭრილებს მამა კოპერნიკზე უკეთესად არავინ დააყენებს ფეხზე. — ჩაერია კასპერი. — ფრომბორკამდე არაა შორი... მერე,

ცოტას რომ მოიკეთებენ, მამა მიკოლაი თვითონ გადაწყვეტს, ოლ-შტინტი მამა გიზესთან გაგზავნოს ისინი. თუ გდანსკში.

— შენც თან გაჰყვები? — ჰკითხა პეტერმა.

— მე აქ დავრჩები. მე საფრთხე არ მელის... პან ვაცლავის ჩამოსვლამდე ან ზბიშეკის დაბრუნებამდე სუხოლსკებთან გადავსახლდები!.. არ შეიძლება ასეთ დროს ქალების მარტოდ მიტოვება! თანაც, მე დიდხანს არ მომიხდება აქ ყოფნა, „ჰელიოსის“ რემონტი მთავრდება და ჩქარა გავემგზავრები შორეულ ქვეყნებში...

დიდი, ექვსნიჩბიანი ნავი მზის პირველ სხივებთანვე გავიდა მოტლავის ნავსადგურიდან. კასპერი ნაპირზე იდგა და მიმავალთ ხელს უქნევდა.

გულდამძიმებული მიდიოდა იგი სუხოდოლსკების სახლისაკენ. უკვე კარგად იყო ნანათი, მაგრამ კასპერმა რაძდენჯერმე უქცია მხარი პარმაღს, რომ ადრე მისვლით არ შეეშფოთებინა დიასახლისები.

ვანდა მარტო დახვდა სასადილოში: ზბიშეკისა და მიტას დარდით გაოგნებული პანი ანგელინა საწოლ ოთახში ლოცულობდა.

— ოლონდ დედას ნუ შეაშინებ, — უთხრა კასპერმა ვანდას, იმ-ღამინდელი ამბის მოყოლას რომ მორჩა. — სათანადოდ შეამზადეთ და მერე ვუთხრათ ყველაფერი. მანამდე, ღმერთის ნებით, ზბიგნევიც გამოკეთდება...

— პან კასპერიც რატომ არ გაჰყვა მათ? ღმერთმანი, დღეის იქით ერთი წუთითაც აღარ დამიწყნარდება გული!

— მე არაფერი მემუქრება, პანა ვანდა... მაინც თქვენს სახლში თავშესაფარსა გთხოვთ, თუნდაც პან ვაცლავის ჩამოსვლამდე...

ვანდამ მადლიერების ნიშნად ჩუმად მოუჭირა კასპერს ხელი.

დილიდან დაღამებამდე კასპერი ნავსადგურში იკარგებოდა. უკვე ნამდვილი გაზაფხული იდგა და „ჰელიოსი“ ჩქარა უნდა გასულიყო ზღვაში. რემონტი მთავრდებოდა და კარაველა ახალი საღებავებისაგან ელავდა. ბუშპრიტზე უკვე ფრიალებდა პოლონეთის ალამი. გემი ამაყად ირწეოდა ნავსაბმელთან.

სუხოდოლსკების სახლში მცხოვრებთ ახლა მხოლოდ ზბიგნევისა და მიტას ამბის უცოდინარობა აწუხებდათ. ბოლოს მოვიდა დიდი ხნის ნანატრი წერილი ფრომბორკიდან.

ზბიგნევს უკვე შეეძლო თურმე დაჯდომა, წერა და მიტასთან ჭადრაკის თამაში. ამას თვითონ ზბიგნევი აუწყებდა კასპერსა და ვანდას. ურშულაც სწრაფად იკეთებდა თურმე. როგორც გაირკვა, მათი ჭრილობები საშიში არ გამოდგა. მამა მიკოლაიმ გაქ-

ცეულები დიდი გულითადობით მიიღო, ახლა კი ყველას ოლშ-ტინში გამგზავრებას უპირებდა. იქ უფრო უშიშრად იქნებიანო. მაგა ტიდემანი ოლშტინშივე დასწერდა ჯვარს ზბიშეკსა და მიტას.

თავი მეთოთხმეტე,

ყველაზე მცირე, მაგრამ მეტისმეტად მნიშვნელოვანი კასპერისა და ვანდასათვის

ზაფხულის დასაწყისში, როგორც იყო, პან ვაცლავ სუხოდოლსკი გდანსკში დაბრუნდა.

მასაც პანი ანგელინასავით, მოახერხეს და დაუმალეს ოსეკში მომხდარი ტრაგიკული ამბავი. შინაურებმა მოხუც შლიახტიჩს მხოლოდ ის აცნობეს, ზბიგნევი და მისი საცოლე ლიძბარკში კანონიკმა კოპერნიკმა სტუმრად მიიწვიაო. ჯვარს კი თვით ოლშტინის ნაცვალი, კანონიკი ტიდემან გზზე დასწერსო.

იმის მიხედვით, როგორ ჩაახველა და როგორ გადაისვა ულვაშებზე ხელი, შეიძლებოდა მიხვედრა, რა სიამაყით აუვსო გული პან ვაცლავს ამ ცნობამ, მაგრამ მერე უმალვე ჩამოღონდა.

— ძაინც როგორი ახალგაზრდობა მოგვესწრო! — აწუწუნდა. — ყველაფერი ეჩქარებათ! ვერაფერს ითმენენ. არც გაიხედ-გამოხიედავენ და, აბა, ქორწილიო! საქორწინო მოსაწვევების დაგზავნაღა? მშობლებისგან ლოცვა-კურთხევის მიღებაღა?

ვანდამ შეახსენა, რომ ზბიშეკი დიდი ხანია ლაპარაკობს ცოლის შერთვაზეო.

— მასე იყოს, მაგრამ ქორწილი, როგორც წესია, ხომ ისე უნდა გადავიხადოთ: სუხოდოლსკების გვარიდან მოპარვით ჯერ არავის დაუწერია ჯვარი! მით უმეტეს, ახლა ჩვენ გვმართებს ასეთი ქორწილის გამართვა.

ჩვენს კოპწია სახლს
მზის სხივები ჰფენია,
აყვავებულ ქლიავებზე
ნამგალები მღერიან.

თავის სიტყვა პან ვაცლავმა ძველი ზღვისპირული სიმღერით დაასრულა.

მოხუც შლიახტიჩს ჰქონდა ყველა საფუძველი დამშვიდებული ყოფილიყო თავისი ოჯახის, ზბიგნევისა და მიტას გამო. განა არ მიიღო მეფემ მეტისმეტად შემწყნარედ მისი საპასუხო საჩივარი? თუ ბარონი მენდელშტამი და აბატისა კიდევ დაპატიმრებულები

არ არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძველი არამზადა ალბათ პოლონეთიდან გაიქცა, მონაზონი კი, როგორც ეტყობა, მთლად გადავიდა ჭკუიდან.

წინასწარ დაკითხვაზე მიყვანილმა აბატისამ ისეთი წყევლა-კრულვა გადმოანთხია თავის ღვიძლ ძმაზე, რომ ბოლოს და ბოლოს რომის მითითება ყურად იღეს და ქალს თავი მიანებეს.

დედა ცელესტინამ, მაგალითად, ყველას გასაგონად განაცხადა, უსინდისოდ მომატყუილა ღვიძლმა ძმამ, მარწუნებდა, ქალიშვილი ლანგე ჭკუაზეა შეშლილიო. მონასტრის განძეულით დატვირთულ საზიდარსაც ჩემი ძმა დაეცა, არც ვინმე ზბიგნევი და არც ვინმე ჰენრიხი, მათ ტყუილად ეძებს წმიდა კოლეგიაო. ამ ნაძარცვი სიმდიდრით ჩემი ძმა მართლმსაჯულებას დაემალა — როგორც ჩანს, იტალიაში გაიქცა. ეტყობა, სწორედ ასეა: მასთან ერთად უკვალოდ გაქრნენ მისი განუყრელი ამფსონები — რაინდი ფონ ელსტერი და პატერი არნოლდიო. ორი მონაზვნის მოტაცებაში ფონ ელსტერი უეჭველად მიიღებდა მონაწილეობას: მას დიდი ხანია თვალი ეჭირა სანდომიან ურშულაზე, ტეშნერის ყოფილ მოახლეზეო!

ბერმა ქალმა არ იცოდა, პატერმა არნოლდმა პოლონეთის საზღვრები რომ დატოვა, მეტისმეტად მაღლა ავიდა იერარქიულ კიბეზე! სამაგიეროდ, ეს სხვებმა იცოდნენ. ჰოდა, როდესაც აბატისამ განუცხადათ, რაინდი და პაპი ჩემს ძმას არ მოასვენებენ, სანამ უკანასკნელ ოქროს არ გამოსცინცლავენო, სასამართლო შეშინდა, ნახევრად შეშლილი ბერი ქალი უფრო მეტს წამოროტავსო და საქმის გამოძიება შეწყვიტა.

ერთი სიტყვით, ვითარება მეტისმეტად ხელსაყრელად აეწყო მოხუცი შლიახტიჩისათვის... უბედურება ის იყო მხოლოდ, რომ ფული — თავისიცა და სასიძოსგან ნასესხებიც — პან ვაცლავმა სულ დახარჯა.

ეს ამბავი ცოტა არ იყოს დამნაშავის კილოთი აუწყა შინაურებს პან სუხოდოლსკიმ და მაშინლა მიაქცია ყურადღება, რომ სუფრას არ უჯდა მათი მუდმივი სტუმარი — ვაჭარი კუგლერი.

— ეს მესამე დღეა, რატომ არა ჩანს ადოლფი? — იკითხა პან ვაცლავმა და ეჭვიანად გახედა ვანდასა და კასპერს. — პანი ანგელინა, სად დაიკარგა ჩვენი კარგი ადოლფი?

პანი ანგელინამ მალულად პირჯვარი გამოისახა და, ის იყო, ქმრისთვის უნდა გაემხილა ვანდასა და კუგლერს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების ამბავი, რომ ვანდამ იგი ხელის ნიშნებით შეაჩერა.

— აი, პან მამაჩემო, შენ აქ არ ყოფნაში ეს ქალალდი მოვიდა სასამართლოდან... — უთხრა მან მშვიდად. — თქვენ მოპასუხედ გიწვევენ კუგლერის მიერ თქვენდამი წარდგინებულ სარჩელის გამო ათი ათასი ტალერის თაობაზე.

— როგორ თუ მოპასუხედ? — წაილუღლუღა პან ვაცლავმა. — აბა ერთი აქ მომეცი ეგ ქალალდი!

ვაი, რომ ვანდა მართალს ამბობდა: პან ვაცლავის წინ ნეგოციანტ ადოლფ კუგლერის სასარჩლო განცხადების ასლი იდო, სადაც იგი თხოულობდა, ვაცლავ სუხოდოლსკისათვის (უჯიშო, ისიც კი არ დაუწერია, „პან ვაცლავ სუხოდოლსკისათვის!“) გადაეხდევინებინათ ათი ათასი ტალერი, — ვალი, რომელიც კუგლერმა ასესხა სამი თვის ვადით.

— არასოდეს სამი თვის ხსენებაც არ ყოფილა! — წამოიძახა შეშფოთებულმა პან ვაცლავმა. — ეგ ყველაფერი მისი ვაჭრული მონაჩმახია! პან ბრონისლავ ვინიავსკი ხელად ასწავლის ჭკუას მაგ დიდვაჭარს — ეგრე ადვილი არაა, ნათელ დღეს ჩრდილი დაეცეს, სუხოდოლსკების პატიოსანი სახელი ფეხქვეშ გაიქელოს! მაშ, კუგლერი ისევე ვეღარ იხილავს ვანდას, როგორც საკუთარ ყურებს!

რამდენიმე დღეში სასამართლოდან მეორე გამოძახება მოვიდა, ერთი დღის შემდეგ კი თვითონ პან ბრონისლავ ვინიავსკი დიდი მოწიწებითა და ბოდიშით ეახლა პან ვაცლავს და სთხოვა, ნუ დააყოვნებდა სამართლის წარმოებას, გამოცხადებულიყო ჩვენების მისაცემად.

— ახლა ძველი დრო აღარაა, როდესაც შლიახტიჩი ბატონობდა სამეფოში! — დამნაშავესავით ეუბნებოდა მოსამართლე. — ახლა ვაჭარს შეუძლია, საქმის სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტა მოითხოვოს! მაგრამ კუგლერი პან ვაცლავს თუ ცილსა სწამებს, ამას კი აღარ გავაყვანინებთო!

პან სუხოდოლსკი უსმენდა თავის ძველ თანამებრძოლს და კმაყოფილებით უქნევდა თავს. საღამოს კი, როგორც იმ ნეტარ, გარდასულ დროს იცოდა ხოლმე, თავისი ბოხი ხმით ქლიავისა და ნამგალების სიმღერა წაიღიღინა. ამის შემდეგ პან ვაცლავს აღარც უმღერია!

სასამართლოს შენობაში პან სუხოდოლსკი არწივივით შემართული შევიდა, სასამართლოდან გამოსვლისას კი, კასპერსა და ვანდაზე დაყრდნობილი, ძლივს მოლასლასებდა და თან რაღაც ზაუგებარს ბურდღუნებდა ცხვირში.

ვერცერთმა მსაჯულმა შლიახტიჩმა, მიუხედავად თავისი თანა-

მოძმისადმი დახმარების დიდი სურვილისა, ვერ შეძლო ვაჭარ კუგ-ლერის სარჩელის გამტყუნება.

— ეს თქვენი ხელმოწერაა? — იმედით ჰკითხა მოსამართლემ, მას შემდეგ, რაც წაიკითხეს პან ვაცლავ სუხოდოლსკის ხელ-წერილი იმის თაობაზე, რომ ვალის დროულად დაბრუნების უზ-რუნველსაყოფად იგი ვაჭარ ადოლფ კუგლერს გირაოდ აძლევდა, „სუხოი დოლის“ მამულსა და ქალაქის სახლს. დოკუმენტზე ხელ-მოწერიდან სამი თვის გაასვლის შემდეგ, ამ ვლის გადაუხდელობის შემთხვევაში, „სუხოი დოლის“ მამული და გდანსკის სახლი გადა-დიოდა ზემოდხსენებული ვაჭარ კუგლერის სრულ მფლობელო-ბაში.

პან ვაცლავმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხელი პერგამენტს.

— ხელოწერა ჩემია, — დაადასტურა ხმაჩამქრალმა.

ვანდას აღშფოთების წამოძახილი აღმოხდა, ფეხზეც წამოიჭრა, მაგრამ იგი კასპერმა შეაჩერა.

— უნდა ყველასთვის მეთქვა, მაშინ რას მელაპარაკებოდა „არტუსაში“!

— თქვენ მოწმე არა გყავთ, — ნაღვლიანად შეეპასუხა კას-პერი. — ვხედები, გაიძულებდათ ცოლად გაჰოლოდით, არადა ოჯახის გაკოტრებით გემუქრებოდათ. მაგრამ საქმე მანამდე წა-უხდენია პან ვაცლავს ვაჭრისთვის ასეთი ხელწერილის მიცემით.

ამგვარად, „სუხოი დოლის“ მამული თავისი პარკებით, სა-ძოვრებით, წისქვილებითა და სახნავ-სათესით, აგრეთვე სუხო-დოლსკების მდიდრული სახლი გდანსკში გადავიდა ვაჭარ კუგლერს მფლობელობაში.

მთელი ქონებიდან პან ვაცლავს პატარა სახლიღა დარჩა ოსეკში, სადაც ადრე ხე-ტყის დაცურების დროს მეტივეები აფა-რებდნენ თავს.

იმაზე კარგა ხნით ადრე, სანამ სასამართლო გადაწყვეტილება ძალა-ში შევიდოდა, პან ვაცლავმა თავის ჯალაბობას უბრძანა, ოსეკში გადასახლებულიყვნენ.

— მაპატიოს ზბიგნევმა, ვერ მოვუწყვე მასა და მის ყმაწვილ მეუღლეს შესაფერისი სახლი! — თქვა გულჩათუქულმა. — მერე უცებ ქალიშვილს წასწვდა: — აჰა, ეპრანჭ-ეგრიხე საქმროებს და იჯექი ეხლა გაუთხოვარი!

პანი ანგელინამ შიშით გახედა ვანდას. დარდისა და ბოღმისა-გან, ვინ იცის, რა არ წამოსცდენოდა ვაცლავს. ვანდუსიამ კი. როგორადაც მორჩილ შვილს შეეფერებოდა, სამი წლის წინ მამის

სურვილის თანახმად კუგლერს ცოლობის სიტყვა მისცა, მის მეტი საქმრო ვანდას არცა ჰყოლია.

მოხუცი მანდილოსანი საპასუხოდ ვანდას აფეთქებას მოელოდა, რადგანაც მისი ქალიშვილი სულაც არ იყო თვინიერი ხასიათისა, მაგრამ ვანდა მამის ნათქვამს მხიარული ღიმილით შეეგება.

— მერე რა, დავრჩები გასათხოვარი და თქვენა და დედას სიბერეში მოგივლით, — მიუგო წყნარად. — მერე თუ ვინმე კარგი კაცი გამომიჩნდა, დამლოცავთ, არა, პან მამაჩემო? მაშინ, ხომ აღარ გამოედევნებით სიმდიდრეს?

გდანსკელი წუღების ოსტატი გრაბე ყოველ წელიწადს გზავნიდა თავის კაცს კრულვეეცში საქონლის ფასების გასაგებად და წინასწარი დაკვეთების ასაღებად.

იმ წელს სამეურნეო საქმეების მოსაგვარებლად კრულვეეცში გაემგზავრა ოსტატის შეგირდი კურტ გრუხოვი. მჭედელ პეტერის გულითადი მეგობარი.

გდანსკის მშრომელმა ხალხმა სწორედ მას დაავალა იქაური თანამოძმეებისათვის გამოეკითხა ხალხის საქმისათვის დიდი წამებულების — მამა სტანისლავ კოგუტისა და მამა იან სკლემბინსკის დასჯის ამბავი.

კარგა დრო გავიდა, სანამ დაღლილობისა და ბოლმისაგან მთლად გადანაცრისფერებული კურტი გდანსკში დაბრუნდებოდა.

მართალია, სხვისი გადმოცემის მიხედვით, მაგრამ სულ მცირე წვრილმანებამდე მოჰყვა იგი, როგორ შიშინებდა და ტკაცუნობდა ფისდასხმული შეშის მორები, რომლითაც წამებულთათვის კოცონი დაენთოთ. როგორ აბრიალებდა ქარი ცეცხლის ალს. მამა სტანისლავი კი, შურისძიების ანგელოზის დარი, მრისხანე და დიდებული, თუმცა თავზე მომნანიეს ჩაჩჩამოცმული, თავისი უკანასკნელი სიტყვით მიმართავდა ხალხს.

კურტ გრუხოვმა სახელოდან ქაღალდი გამოიღო, რომელზედაც მამა სტანისლავის სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვა ეწერა, და კასპერს სთხოვა, წაგვიკითხეო.

„ძმებო და დებო, — მკაფიოდ და ხმამაღლა კითხულობდა კასპერი, — ხომ ხედავთ, რომის ტახტზე მორჭმით მჯდარი ანტიქრისტეს ბრძანებით დამიჭირეს მისმა მსახურებმა და აქ, ჩემი მშობელი ქვეყნიდან შორს წამომიყვანეს. ჩემი მწვალებლები იმედოვნებდნენ, რომ თქვენ, გერმანელ ხალხს გაგიხარდებოდათ ხილვა იმისა, თუ როგორ წვავენ პოლონელს. შეცდნენ ბელზებელის დამქაშნი. უფალმა მშვენიერი მხედველობა მომანიჭა და აქედან

კარგად ვხედავ ქალების აცრემლებულ თვალებს, კაცების დაკუმშულ მუშტებს! ასწიე მაღლა, კეთილო ქალო, შენი პირმშო — მოვა დრო და იგი თავის ძმებსა თუ დებს უამბობს, ანტიქრისტეს მსახურნი როგორ ეცადნენ სიმართლის დაწვას კოცონზე, სინამდვილეში კი ჩემი ხრწნადი სხეული დაწვეს მხოლოდ! ყურადღებით ადევნეთ თვალი: როგორც კი ცეცხლის ალი მკერდამდე მიწევს, სიმართლის თეთრი მტრედი ამომიფრინდება იქიდან და ნათელ ცაში შეინავარდებს!"

შესაძლოა. სტაშეკმა მართლაც თქვა ამ დალაგებული, ლუთერის ქადაგებას მინამგვანი სიტყვა, მაგრამ უცნობმა კეთილისმყოფელებმა, რა თქმა უნდა, იგი ზუსტად ვერ ჩაიწერეს.

თუმც, კარგი ქნეს, რაღაც მაინც რომ ჩაიწერეს.

კურტ გრუხოვი იფიცებოდა, მრავალ კრულევეცელს დაუნახავს, სიმართლის მტრედი მართლა აიჭრაო მამა სტანისლავის გაშავებული ნეშტიდან და უღრუბლო ცის სილურჯეს შეერთოო.

მეორე მსჯავრდადებულმა, მამა იანმა, თვითონ ვერ შეძლო თურმე კოცონზე ასვლა — ორივე ფეხის ტერფი უმოწყალოდ დაეტეტყათ მამა ინკვიზიტორებს ესპანური ჩექმებით. შავ-თეთრი ბერი[1] შეშველებოდა, მაგრამ მამა იანს ზიზღით ეკრა ხელი და გაჭირვებით მოძრავი თავის მეგობრის დასახიჩრებულ ხელს დაყრდნობოდა. მამა იანს სიტყვა არ წარმოუთქვამს, მხოლოდ მაშინ, ცეცხლის ალს სახეზე რომ აეკრა, ჩუმად ეთქვა:

— აწ მიუტევენ ცოდვანი მონასა შენსა, უფალო!

მაგრამ ამ ჩუმ, ჩურჩულით ნათქვამს მეხივით გადაუვლია მთელი ბაზრის მოედნისათვის. უფალს სასწაული მოუხდენია, — წამებულის ხმას ყველაზე შორეულ ქუჩებსა და მოსახვევებამდე მიუღწევია, ყველას ყურსა და გულში გაუტანებია, მოუვლია ნავსადგური, ანძათა ქანდარებზე აფარფატებულა... და, ქარისაგან ატაცებული, დღესაც ხმიანობს მთელს კრულევეცშიო.

შეგირდი იფიცებოდა, დასჯიდან ხუთი დღის შემდეგ კრულევეცში რომ ჩავედი, მამა იანის ხმა მაინც გაიგონებოდა, მართალია, სუსტად, მაგრამ საკმაოდ გამოკვეთილადო. გდანსკის მრავალმა მუშა-კაცმა ირწმუნა შეგირდის ეს სიტყვები.

გულისკანკალით მოისმინა კასპერმა თავისი მეგობრების წამებისა და დასჯის ამბავი.

კურტ გრუხოვი, შესაძლოა, შემცდარიყო, მას, ბოლოს და

[1] დომინიკანელები შავ-თეთრ სამოსს ატარებდნენ.

ბოლოს, შესაძლოა, ტყუილიც ეთქვა, მაგრამ ამ ტყუილშიც იყო თავისებური წილი ჭეშმარიტებისა.

ხუთ დღეს კი არა, წლობით, ათეული წლობითაც იცოცხლებს ხალხის გულში.იმ წამებულთა უკანასკნელი სიტყვები, რომელთაც სიმართლეს შესწირეს თავი.

კასპერმა ვეღარ მოითმინა და იმავე ღამეს მისწერა ვრცელი წერილი მამა მიკოლაი კოპერნიკს. მასწავლებელზე უკეთესად ვინ გაარკვევდა კასპერს, რატომ ზეიმობდნენ ბოროტნი და არარანი — მეკრთამენი, მკვლელები, მძარცველები, — ადამიანებს კი, სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანებს, კოცონზე წვავდნენ. მამა მიკოლაისგან პასუხი არ მოსულა. სამაგიეროდ, ზბიგნევისგან მოვიდა მეორე წერილი და შეიძლებოდა იგი პასუხადაც მიგვეჩნია კასპერის ეჭვებისა.

ახალდაქორწინებულნი ვანდასა და თავიანთ ძვირფას მეგობარ კასპერს ათას მოკითხვას უთვლიდნენ, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებდნენ, კასპერს განსაკუთრებით — წარმატებით ცურვას. იმ ამბავმა, რომ მასა და ვანდას ერთ წერილს სწერდნენ, ახალგაზრდა კაცს გულში იმედიც ჩაუსახა, შფოთიცა და სიხარულიც. წერილის ბოლოს მამა ტიდემანის მცირე მინაწერი იყო:

„შენი წერილი, ძვირფასო კასპუკ... ფრომბორკში ჩემი ყოფნის დროს მოვიდა, — წერდა ოლშტინის ნაცვალი, — წერილმა მამა მიკოლაის ვერ მოუსწრო და მე ოლშტინში წამოვიღე — ფრომბორკში მეტისმეტად მრავლადაა ცნობისმოყვარე ხალხი, — ვინახავ გაუხსნელს... ზბიგნევმა მითხრა წმიდა მამა ინკვიზიტორებისაგან შენი კრაკოველი კოლეგების დაჭერის ამბავი. მე მგონია, შენ ამ წერილში მამა მიკოლაის მათი შეწყალების მიღწევას სთხოვ“.

„დედაო ღვთისავ, ეს მე ყველაზე უპირველესად უნდა გამეკეთებინა! — სინანულით გაიფიქრა კასპერმა. — თუმცა, მე თვითონაც ეს უბედურება მეტისმეტად დაგვიანებით შევიტყვე“.

„შენი წერილის მიღებამდე ექვსი დღით ადრე მამა მიკოლაი თავისით გაემგზავრა კრაკოვს იმ უბედურების საქმეზე სახლაფორთოდ. რაკი წერილს საიმედო კაცს ვატან, უშიშრად შემიძლია გითხრა: როგორც ქრისტიანი, ძალიან ვწუხვარ, რაც მოხდა, მაგრამ, როგორც ნაცვალი და აგრეთვე საეკლესიო საქმეების მცოდნე, იმასაც გეტყვი: წინასწარ ვიცოდი, მამა მიკოლაის ცდა შედეგს არ გამოიღებდა. მისმა უწმინდესობამ ეპისკოპოსმა მავრიკი ფერბერმა მიზნად დაისახა „ლუთერანული ჭირის“ ამოძირკვა, ის კი უფრო გავლენიანი პირია პაპის კარზე, ვიდრე მამა მი-

კოლაი. თანაც, როგორც ნაცვალმა, არ შემიძლია არ დავურთო, რომ უბრალო და პატიოსანი ხალხის საჯაროდ დაწვა, თუნდაც ისინი ერეტიკოსები იყვნენ, ძლიერ გამოძახილს ჰპოვებს იმ ხალხის გულში, ვინც დაწვას დაესწრება. ამას კი იმდენნაირი შედეგი მოჰყვება, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. უნდა გამოგიტყდე...“

„კიდევ ერთი ცადაღვლენილი მტრედი სიმართლისა“, — გაიფიქრა მოღუშულმა კასპერმა. ამის შემდეგ კასპერი თავის საძულველ გვარს, ფაბიან ლუზიანსკის გადააწყდა წერილში და სამჯერ თუ ოთხჯერ გადაიკითხა ის ადგილი:

„ისიც უნდა ვაღიარო შენთან, რომ, მართალია, არც თუ ისეთ პატივს მივაგებ ლუკაშ ვაცენროდის შემცვლელს, ფაბიანე ლუზიანსკის (მაგისტრის წერილის ამბავი, რა თქმა უნდა, გემახსოვრება!), მაინც შენთან პირველად არ გავიმეორებ მის გონიერულ ნათქვამს: „რომმა ლუთერთან ბრძოლა ძალდატანებით კი არა, დარწმუნებით უნდა აწარმოოსო“.

... გდანსკის ნავსადგურში დიდი ზეიმი იყო დანიშნული: კიდევ ერთი ბემი, პოლონეთის საკუთარი ძალებით აგებული, ხოლო შემდეგ ორდენის მოკავშირეების, შვედების მიერ წყალში ჩაძირული, ზღვის ფსკერიდან ამოიღეს, შეაკეთეს და ახლა მზად იყო ზღვაში გასასვლელად!

„ჰელიოსი“ — კარაველა თავის დროზე შვედთა ბომბარდებისგან ნაფოტებად ქცეული, ხელმეორედ უნდა ეკურთხებინათ. კასპერს, როგორც „ჰელიოსის“ კაპიტანს, გემზე უნდა მიეღო ქალაქის მაგისტრატის წევრთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია. გემთმეპატრონეთა საზოგადოების წევრები, ცნობილი ვაჭრები და, უბრალოდ, გამოჩენილი ხალხი.

კასპერი ძლიერ შიშობდა, თავისი ჩვეული სითავხედით გემზე ადოლფ კუგლერიც მოვა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა.

იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ ეხილა ვანდა, კასპერმა პან ვაცლავს და მთელ მის ოჯახს ზეიმზე დასასწრები მოსაწვევი გადასცა, მაგრამ ამაყმა შლიახტიჩმა გადაჭრით თქვა უარი.

„მე ღარიბი და არარა ვარ, — ამბობდა იგი, — არ შემეფერება მდიდარი ვაჭრებისა და მოხელეების გვერდით ჯდომა!“

ოსეკის მეტივეთა ყოფილ სახლში ისე მიეჩვივნენ ახალგაზრდა

კაპიტნის ყოველდღიურ სტუმრობას, ცარიელი ადგილი ყველას თვალში ხვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კასპერ ბერნატი უკვე გამოემშვიდობა სუხოდოლსკების ოჯახს, პანი ანგელინა წარამარა ფანჯარაში იყურებოდა. სუფრასთან მისვლის სურვილიც კი დაჰკარგოდა მთლად.

— ვივახშმებთ დღეს თუ აღარა? — ნაძალადევი სიბრაზით იკითხა ბოლოს პან ვაცლავმა. — ჯერ აქ არის და წყალწაღებულებივითა ხართ... ხვალ უკვე ანგარიშს დაიწყებთ, ალბათ, გდანსკს რა მანძილით გასცდა თქვენი კასპერი.

მოხუცი შლიახტიჩი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ შეხედა თავისი ქალიშვილის დანაღვლიანებულ სახეს და გაჩუმდა.

ვანდა კი შეიყუჟა თავის პატარა, კოხტა ოთახში და ქარგვა დაიწყო, მაგრამ იქვე მიატოვა. ადგა და ახლა ყვავილებს დაუსხა წყალი...

ფვიანი წირვის მაუწყებელი ზარი დარეკეს. ვანდამ ლოცვანი აიღო, წიგნი იქ გადაიშალა, სადაც დანიშნული ჰქონდა — ზღვაში გასულთა და მოგზაურთათვის ლოცვაზე. ვანდამ ცრემლები გადაყლაპა.

იგი თვითონვეა დამნაშავე! კასპერი შეჰპირდა, დროს გამოვნახავ და გამოსამშვიდობებლად შემოვირბენო... მხოლოდ შენთან გამოსამშვიდობებლადო! ამან კი... დედაო დღეთისავ, მაინც რა უხიაკი ხასიათი აქვს!

„სულელური წესია ეგ გამომშვიდობება, — სწორედ ასე უთხრა, — ზოგიერთი ძალისძალით ცრემლებსაც კი გამოიწურავს ხოლმე თვალებიდან!“

დარდიანმა ვანდამ ზბიგნევის წერილს ხელახლა დაუწყო კითხვა. რა სასაცილოა ეს ზბიშეკი — მასა და კასპერს ერთად სწერს წერილებს, თითქოს შეიძლებოდეს ადამიანთა ძალდატანებითი შეერთება!

მამა ტიდემანის მინაწერისთვის ვანდას ყურადღებაც არ მიუქცევია, მაგრამ ძმის მზრუნველობამ კი გული აუჩუყა.

ზბიგნევი იწერებოდა, რომ იგი კუგლერისაგან დიდი ხანია მოელოდა ყველაზე საძრახის საქციელს. „რა უბედურება იქნებოდა, ვანდუსია, შენს ბედს სამუდამოდ თუ დაუკავშირებდი! — უხსნიდა ზბიგნევი. — ნურც იმას იდარდებ, ოსეკში მოგვიხდაო გადასახლება. ჩვენი უზარმაზარი სახლის დალაგება მოხუც იუზუფს მაინც აღარ შეეძლო, ზედმეტი მსახურის აყვანას კი ვეღარც მოვახერხებდით. მე და მიტა ჩქარა დავბრუნდებით. მიტა შენა და დედაჩემს მოგეხმარებათ საოჯახო საქმეებში. აი, მაშინ კი დააფა-

სებთ მის გერმანულ აკურატობას, ჰოდა, ვიცხოვრებთ ჩვენც მეგობრების გასახარად და მტრების გულის გასახეთქად. მიტა ყველას ძალიან მოეწონა ოლშტინშიც და ფრომბორკშიც. მამა ტიდემანმა ისიც კი მითხრა, ახლა ნამდვილად მჯერა, ოსეკში სკოლას გახსნი, მიტა მოგეხმარებაო...“

წერილის ბოლოს ზბიგნევი დას ეხვეწებოდა, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემოო, კასპერს კი სთხოვდა, ვანდა სიტყვითა და საქმით გაამხნევეო.

მაგრამ... კარაველა მზად იყო ზღვაში გასასვლელად. ვანდას კი არც უცდია, წასვლა გადაეთქმევინებინა კასპერისათვის. კასპერი მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო ამ ქვეყანაზე — მამაზეც, დედაზეც, და უძვირფასეს ზბიშეკზეც... კასპერი სულ სხვაა, ძლიერი, ვაჟკაცური, გაბედული, ჭკვიანი, მას თავისი ბედი აქვს. მეტისმეტად ბევრი სიმწარე მოხვდა მის ახალგაზრდა გულს... წავიდეს, იქნება დრომ გაიაროს... ცურვიდან დაბრუნდეს და მაშინ... ვინ იცის? ანდა იქნებ იმ შორეულ ჯადოსნურ ქვეყნებში მოგზაურობამ სულაც გადაავიწყოს ვანდა?

დაბლა კარი გაჯახუნდა. კიბეს სწრაფი ნაბიჯით აუყვა ვიღაც. ვანდა ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ თავს აიძულა, ისევ დამჯდარიყო.

სიზმარივით იხილა ვანდამ თავისზე დახრილი ძვირფასი სახე, სწორი, წვრილი წარბები და ლურჯზე ლურჯი, გდანსკის ყურესავით ლურჯი თვალები.

მათ პირველად აკოცეს ერთმანეთს.

გზის დასალოცი წირვის შემდეგ კასპერი „ჰელიოსის“ გემბანზე ავიდა და თ ა ვ ი ს ი კარაველის კომანდობა ჩაიბარა.

კასპერმა გასცა საჭირო განკარგულებები, მერე ტრაპთან მივიდა და ყურადღებით დაუწყო ცქერა სუსტად განათებულ ნაპირს.

ზედ მოლთან ძლივსშესამჩნევად მოჩანდა მოსასხამიანი ქალის აშოლტილი ტანი.

— ახსენით ბაგირი! — გაისმა ბოცმანის ბრძანება.

კარაველა ნელა მოსცილდა ნავმისაბმელს.

ხელებდამუშტული ქალიშვილი თვალს აყოლებდა რწევით ძიძავალ გემს.

— ბედნიერად იყავი, ჩემო ვანდა! — ქალის ყურთასმენას მოსწვდა ხმა კაპიტნის ბოგურიდან.

— არ დამივიწყო, კასპერ! — ჩურჩულებდა ვანდა, თან მოსასხამის კალთებს იფარებდა ქარისაგან.

ეპილოგი

თავი პირველი

გზა. მოგონებანი. ფიქრები

ბიჭმა ტრიკეტრუმის თამასა გასწია და რაღაც ჩაინიშნა თავისივე შეკერილ რვეულში. შემდეგ სავარძლის ზურგს გადააწვა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა. დღეს ცა ისე უჩვეულოდ იყო მოკამკამებული, როგორც იმ მშვენიერ შორეულ ქვეყნებში, საიდანაც მამას ძალზე საინტერესო ამბები ჩამოაქვს და მის სამგზავრო სკივრს ვანილისა და სანდალის სუნი ჩამოყვება ხოლმე, ოღონდ იქ ცა ლურჯია, აქ — ღია, ღია მტრედისფერი.

გვიანი ღამე იყო. სახლში ყველას ეძინა. პატარა ვანდაც კი, ვაცეკის ერთგული მეგობარი, ორი საათის წინ მთქნარებითა და ზმორებით ჩავიდა დაბლა დასაძინებლად. შიმშილს რომ არ შეეწუხებინა, — ერთადერთი ეს აიძულებდა ხოლმე ბიჭს, ძირს ჩასულიყო, — შეეძლო დილამდე მჯდარიყო თავის გამოანგარიშებებთან.

ვაცეკმა მაგიდას იმედით მოავლო თვალი. „რა თქმა უნდა, ასეა! მაინც რა ოქროს დედა გვყავს!“

დედას საჭმელი რომ არ მოემზადებინა, იგი მთელ ღამეს გაათენებდა და მშიერი დაიძინებდა!

ბიჭმა ცალი ხელი ღვეზელს დასტაცა ხარბად, მეორე პურის ნაჭერს, რომელზედაც სქელად ესვა ბატის ქონი, მაგრამ მერე, უცებ ღვეზელიცა და პურის ნაჭერიც უკანვე დააწყო თეფშზე.

მიზეზი ის იყო, რომ მამა მიკოლაის ერთხელ ეთქვა: „ჩვენ ადამიანები ვართ და, ცხოველთაგან განსხვავებით, უნდა შეგვეძლოს ჩვენივე გრძნობათა მართვაო“.

მიკოლაი კოპერნიკის ამ ნათქვამის გამეორება ძალიან უყვარდა კაპიტან კასპერ ზერნატს თავის მეგობრებთან.

ო-ო, ვის-ვის და ვაცეკის მამას შეეძლო თავის გრძნობათა მართვა! დედა ამბობს, ეს თვისება რომ არ ჰქონოდა, მამაშენი სკამზე მენიჩბედ მიჯაჭვული მოკვდებოდა გალერაზეო! ანდა, შემდეგ,

როდესაც გაიგო, როგორ ჰქონდა სახე დამახინჯებული, საბოლოოდ გაბორორტდებოდა, მიატოვებდა სამშობლოს, მახლობლებს, საყვარელ საქმესო...

ვაცეკი ნება-ნება ჰამდა პურსაცა და ღვეზელსაც, აუჩქარებლად აყოლებდა რძეს. მხოლოდ ვახშმის დამთავრების შემდეგ (იქნებ ეს ვახშამი საუზმედაც ჩაგვეთვალა? — მალე ინათებდა!), ღვეზელის უკანასკნელი ლუკმის გადაყლაპვისასღა შენიშნა ქაღალდის ფურცელი.

„გილოცავ, შვილო, თოთხმეტი წლის შესრულებას! — წაიკითხა ვაცეკმა. — უეჭველია, ჰამა ახლაღა გაგახსენდა, როდესაც საათმა კარგა ხანია ჩამორეკა თორმეტი. მაშასადამე, დადგა 10 მაისი! შენი დაბადების დღეს მამამ საჩუქარი მოგიმზადა. ხვალ ის და ძია ზბიშეკი ფრომბორკში მამა მიკოლაისთან მიემგზავრებიან. რამდენჯერ გითხოვია, მეც წამიყვანეო. მაშ, გაიხარე: სურვილი გისრულდება! ძია ზბიშეკი შენს მასწავლებელს მოელაპარაკა და ათი-თორმეტი დღით გიშვებს. ეცადე, ადრე დაიძინო, როგორც ივაჰმენ, რომ სამგზავროდ გამოძინებული და დასვენებული იყო. მშვიდად იძინე! დედაშენი ვანდა“.

ადვილია განა „მშვიდად იძინო“, როდესაც ასეთ გასახარელ ამბავს გებულობ!

ვაცეკმა კვლავ გახედა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და მოუნდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა თავისი გამოთვლები — ამჯერად ხომ თვითონ უნდა გადასცეს ეს ჩანაწერები მამა მიკოლაის! თუცა, არა, დედას ისეთი დაბეჯითებით დაუწერია „მშვიდად იძინეო“, ახლავე უნდა დაწვეს.

ოსეკში კაპიტან ბერნატის სახლის თავზე მოთავსებული პაწაწინა კოშკის შიგნითა მოწყობილობა ზუსტად ფრომბორკის კოშკისას წააგავდა, მამას არაერთხელ აუწერია იგი შვილისთვის. იქვე, შაგიდასთან იდგა ვაცეკის საწოლი — მგლისტყავგადაფარებული შერხი. ბიჭი თავის კერპს წვრილმანებში ბაძავდა და იმედოვნებდა, ოდესმე დიდ საქმეშიც მისი მსგავსი ვიქნებიო.

ვაცეკმა აჩქარებით წაიკითხა ლოცვა და მგლის ტყავი წაიფარა, მაგრამ იმწამსვე გადაიძრო: გაზაფხულია, ცხელაო! თუმცა მერე უმალვე მიხვდა, რომ, გაზაფხულის მიუხედავად, ჯერ კიდევ საკმაოდ ცივდა, დილაობით კი ჭირხლსაც აგდებდა ხოლმე. მაშ, არც თბილმა საწოლმა, არც ფანჯარაში მომდგარმა დილის მზის სხივმა არ დააცხუნა ვაცეკს.

ვაცეკს ერთი ამბავი გაახსენდა და იმიტომ გაიხვითქა. ეს. ამბავი სწორედ მაისში, ორი წლის წინ მოხდა. ბიჭმა თავისი გულის

ძგერაც კი გაიგონა მაშინდელიეთ, როდესაც შეიტყო, რა ჩაედინა მამას. ვაცეკს დღესაც ვერ გაეგო, როგორ აიღო მამამ უკითხავად მისი მაგიდიდან რვეული და როგორ წაუღო კანონიკ ბიკოლაი კოპერნიკს!

თორმეტი წლის ასტრონომის ხელნაწერს საკმაოდ გაყინჩული სახელწოდება ჰქონდა — „ვარსკვლავთა გეომეტრია". დედამ უთხრა, მამაშენმა ფრომბორკში ჩემი თხოვნით წაიღო რვეული იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს დავრწმუნებულიყავით, შენგან მართლა მეცნიერი დადგება, თუ კაპიტანი, რაზედაც შენი მშობლები ვოცნებობთო.

მამა მიკოლაი ისეთი გულისყურით მოექცა, თავიდან ბოლომდე წაიკითხა მისი „ნაშრომი" და უპასუხა კიდევაც. „ხელნაწერი საინტერესოა, მაგრამ მოწმობს მოზარდი ასტრონომის ცოდნის უკმარისობას" (პან იესო, რა სირცხვილის ჭამაა!). მაშინ კოპერნიკმა ვაცეკს საჩუქრად გამოუგზავნა იოახიმ დე ლაუხენის, უფრო მეტად რეტიკის სახელით ცნობილი ავტორის გდანსკში გამოცემული წიგნი — „პირველი თხრობა". წიგნში მოკლედ იყო მოცემული ასტრონომიული შეხედულებანი კოპერნიკისა.

შარშან, 1542 წელს, მაისშივე ვაცეკმა კოპერნიკისგან მიიღო ახალი ძვირფასი საჩუქარი: ვიტენბერგში დასტამბული მისი ვრცელი ნაშრომის — „ციურ სხეულთა გარემოქცევის" ერთი თავი. ამ თავის სახელწოდებაა: „როგორც სიბრტყული, ისე სფერული სამკუთხედების გვერდებისა და კუთხეების შესახებ". თან დართული ჰქონდა ტრიგონომეტრიული ცხრილების მრავალი განსამარტავი ტექსტი. ესეც მამამ ჩამოუტანა, რომელიც ამ დროს ყოველთვის ცდილობს ხოლმე ეწვიოს თავის ძვირფას მასწავლებელს, თუკი ზღვაში არ არის გასული...

რა თქმა უნდა, ვაცეკი ახლა არამცა და არამც აღარ ეცდება მეცნიერული შრომის დაწერას, თანაც ისეთი მრავალმნიშვნელოვანი, სინამდვილეში არაფრისმთქმელი სათაურის მიცემას! ბიჭი გრძნობდა, სირცხვილისაგან ახლაც როგორ ეწვოდა ლოყები.

ვაცეკმა რეტიკის წიგნი წაიკითხა. მაგრამ ჯერ კიდევ ცუდად გაერკვა, „გვერდებისა და კუთხეების შესახებ" სახელმძღვანელო კი იმდენად აითვისა, რომ აღარც ისე ცუდად აწარმოებდა გამოთვლებს. ასე წარიმართა მათი — თოთხმეტი წლის მოსწავლისა და უდიდესი ასტრონომის — ურთიერთობა, ვაცეკი ყოველი შემთხვევით სარგებლობდა და ფრომბორკში თავის ნახაზებსა და გამოთვლებს გზავნიდა. უკან დაბრუნებულ ფოსტას მეცნიერის პასუხები მოჰქონდა. უნდა ითქვას, რომ ეს პასუხები თანდათან

ვრცელი და დაწვრილებითი ხდებოდა. უაღრესად გულისხმიერი მამა მიკოლაი დაინტერესდა მოზარდი ასტრონომით!

მომავალ წელს ვაცლავ ბერნატს საქვეყნოდ განთქმულ კრაკოვის აკადემიაში მიაბარებენ. ეს დიდი პატივია, მაგრამ... მაგრამ მაშინ ძალიან შორს იქნება თავისი მოძღვრისაგან.

ვაცეკმა თვალები დახუჭა. რა ბედნიერებაა: სამი დღის მერე, სწორედ ამ დროს უკვე ფრომბორკში იქნებიან! ისიც კარგია, რომ სკოლის მასწავლებელმა ასე იოლად გაათავისუფლა თავისი პირველი მოსწავლე!

ბიშმა არ იცოდა, თავისი კოლეგის, პან ზბიგნევ სუხოდოლსკისგან როგორც გაიგო, სად და რისთვის შიდიოდა ყმაწვილი ბერნატი, მოკრძალებულმა მამა ლუკაშმა სასოებით წარმოთქვა: „დიდ მეცნიერთან გატარებული ერთი საათი სწავლების მთელ წელიწადს შეიძლება გაუტოლდესო!“

თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ კაპიტანმა ბერნატმა გადაწყვიტა, ფრომბორკში ზღვით და გემით კი არა, ცხენებით წასულიყვნენ. საქმე ის იყო, რომ მისი გემის, „წმიდა მიკოლაის“ რემონტი ახლახანს დასრულდა, საღებავი ჯერაც არ შეშრობოდა, შუათანა ანძა კი მაინც გამოსაცვლელი იყო და მაინც.

ვაცეკი ჯერ შეაწუხა ამ ცნობამ, მაგრამ მერე დაასკვნა, შეცვლილი გეგმით უფრო ვიგებო: გემზე ხანდახან თუ ნახავდა მამას, მარხილში კი, ერთმანეთის გვერდით, სულ ცოტა, სამ დღეს გაატარებდნენ. მაშ, ლაპარაკით კარგად მოიჯერებდა გულს!

გარდა ამისა, ცხენების შოვნა და მათი ფრომბორკში ჩაყვანა იკისრა ძია ფოგელმა, რომელიც მეტისმეტად უყვარდათ პატარა ბერნატებსაც და პატარა სუხოდოლსკებსაც. ახლა თვითონ ძია ფრანეკსა და დეიდა ურშულას როგორ უყვართ ისინი და ანებივრებენ, თქმაც ძნელია!

პანი ბერნატოვა ხვდებოდა, რაც ემუქრებოდა მის ძვირფას მეუღლეს გზაში, ამიტომაც ზბიგნევი და თავისი უფროსი ვაჟი გვერდზე გაიხმო.

— აქვე, ბიძაშენთან დაიფიცე, ვაციუს, რომ უსასრულო შეკითხვებით გზაში მაინც არ გააბეზრებ მამაშენს. მას ჯერ კიდევ არ მოუხედია ციების შემდეგ და არც დაუსვენია, როგორც საჭიროა... აგერ, ძია ზბიშეკი გპირდება, შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს შენი ცნობისმოყვარეობა... ოღონდ მხედველობაში იქონიე, რომ ესეც ძალიან იღლება სკოლაში და ახლაც ფრომბორკში სტუმრად კი არა, საქმისთვის მიდის! მამა მიკოლაიმ ნება დართო, ალექსან-

დრე სკულტეტის, ისტორიკოსისა და გეოგრაფის მიერ დახაზული ვარმიის რუკა გადახატოს.

ვაცეკი გაჩუმებული იდგა, შემდეგ მისთვის დამახასიათებელი ფარ-ხმალის ამყრელი გულწრფელობით მიუგო:

— ვერ დავიფიცებ, დედა: მე და მამა ხომ მთელი სამი დღე-ღამე ვიქნებით ერთად, როგორ გავუშვა ხელიდან ეს შემთხვევა?!— და სწორი, წვრილად გაწოლილი წარბებქვეშიდან დამნაშავედ მიაპყრო ლურჯი თვალები.

„დედაო ღვთისავ! სწორედ ასეთი იყო კასპერი ახალგაზრდობაში... არა, მაინც, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ქალებმა თავის დროზე როგორ ვერ წამართვეს ჩემი ძვირფასი მეუღლე?“

ვანდა ბერნატოვა სუხოდოლსკების გერბისა[1], ისეთი ბედნიერი იყო თავისი ქორწინებით, რომ დღემდე ვერ მისჩვეოდა მას.

შუადღის მერე, როდესაც მზემ გაზაფხულის სადარად დააცხუნა, ვაცეკი ძია ფრანეკთან გადაჯდა კოფოზე. აქ არავინ დაუწყებდა ყვედრებას, შეკითხვებით გამაბეზრეო. პირიქით, ძია ფრანეკი ხან მარცხნივ გაიშვერდა მათრახის ტარს, ხან მარჯვნივ და იმ ადგილებში მომხდარ ამბებს უყვებოდა, სადაც გაივლიდნენ.

— ი მ ა ს თ ა ნ რომ ვიყავი, — იტყოდა იგი და საითღაც გაიქნევდა თავს. — ბრანევიდან ხშირად დავდიოდით ფრომბორკსა ღა ლიძბარკში, ხანაც მთელ ორდენის პრუსიას შემოვივლიდით ხოლმე. ეს მანამდე, სანამ კშიჟაკები საზღვარს დაკეტავდნენ. ჰოდა, ეტყობა, მაშინ გაიყლინთა ი ს იმ კშიჟაკური სულით და იმიტომაც გაემგზავრა საიქიოს ყელზე ქერელის თოკწაჭერილი!

ვაცეკი ხვდებოდა, რომ პოლონელი ხალხის გამყიდველზე, ბრანევის ბურგომისტრ ფილიპ ტეშნერზე იყო ლაპარაკი, თუმცა თავის ყოფილ ბატონს, სიძულვილის გამო, ერთხელაც არ ახსენებდა ფრანც ფოგელი.

— აგერ, იმ გზაგასაყარს ხომ ხედავ? — ეკითხებოდა ფრანცი და მათრახის ტარს მარჯვნივ იშვერდა. — იქ თხრილში ჩაგდებული ვნახეთ საწყალი პან ტოლკმიცკი. სისხლის გუბეში იწვა. წყეულ კშიჟაკები! — გაძარცვით ხომ გაეძარცვათ, ხელებიც დაეჭრათ იმ ძაღლისშვილებს! იმ წამშივე წავიყვანეთ ლიძბარკში, მამა მიკოლაისთან. ეს ჯერ კიდევ ვაცენორდის სიცოცხლეში მოხდა. კანონიკმა, რომ იტყვიან, სასწაულებრივ გადაარჩინა ვაჭარი... მას შემდეგ პან ტოლკმიცკი სულ იმას გაიძახის, ცოცხალი ღმერთის შეწევნითა და

[1] სუხოდოლსკების გერბისა (სიტყვასიტყვით: გერბით, ე. ი. გვარით სუხოდოლსკებიდან) ამ შემთხვევაში ნიშნავს — წარმოშობით სუხოდოლსკაია.

მამა მიკოლაის ცოდნის წყალობით დავრჩიო... ამბობს: მიკოლაი კოპერნიკს ჩემი სიცოცხლეც რომ დასჭირდეს, წუთითაც არ დავფიქრდები, არამც თუ სიცოცხლეს, სახლ-კარსაც, ოქროსაც — ყველაფერს — ვანაცვალებო.

ებლონგელ უხელო ვაჭარ ტოლმიცკის ყველა იცნობდა გდანსკში. ბერნატებთანაც სამჯერ თუ ოთხჯერ იყო თავის საქმეზე.

ვაცეკს ძალიან უნდოდა, ძია ფრანეკისათვის იმ დროის ამბებიც მოეყოლებინა, როდესაც იგი ტყედ იყო გავარდნილი, მაგრამ ყოფილ ყმა გლეხს იმ ხანაზე ლაპარაკი არ უყვარდა. სამაგიეროდ, მიტა ძალოსა და ურშულა დეიდას მოტაცების ამბავს, სულ ცოტა, მეოცედ მაინც ისმენდა.

...სამწუხაროდ, საღამოს პირზე მზეს ღრუბლები წამოეპარა და ცოტა ხანში წვრილად. არც თუ ისე გაზაფხულის სადარად, წამოწვიმა.

მამამ ფანჯარაზე მიუკაკუნა ვაცეკს და უთხრა, ისევ მათთან გადამჯდარიყო.

მგზავრობაში ფიქრის გუნებაზე დგები. თუმცა გაზაფხულის უკზოობაზე ცხენებს უჭირდათ მძიმე საზიდრის თრევა, მაგრამ აძას, ფრანცის გარდა, ვერავინ გრძნობდა.

ფრომბორკი! ზბიგნევსაც და კასპერსაც რამდენი მოგონება აკავშირებდა ამ ციხე დარბაზთან! მხოლოდ ვაცეკი იყო მოცლილი, ფანჯარაში წარამარა გამოეყო თავი და ხან მამისთვის, ხან ბიძისთვის დაუსრულებლად მიეცა შეკითხვები.

ბიჭის ყოველი ცოდნის სურვილისა თუ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შემდეგ ზბიგნევი კვლავ ფიქრში იძირებოდა.

ფრომბორკი! ისა და მიტა აქ ეძებდნენ მამა მიკოლაის მფარველობას, აქედან გავიდა მათი საქორწინო მაყრიონი ოლშტინისაკენ... ოცი წელი გავიდა მას შემდეგ და ერთი დღეც არა ყოფილა ისეთი, ზბიგნევს მადლობა არ ეთქვა უფლისათვის, რომ მან ცხოვრების თანამგზავრად მიტა შეახვედრა! რამოდენა კეთილშობილებით, მოთმინებითა და დიდსულოვნებით ხვდებოდა მიტა ყოველგვარ გასაჭირს, რაც კი წილად ხვდა ორივეს: ავადმყოფობა და სიკვდილი მიტას საცოდავი მამისა, სუხოდოლსკების ოჯახზე უცებ თავს დატეხილი სიღარიბე, გარდაცვალება ზბიგნევის მშობლებისა, რომელნიც სიყვარულითა და მზრუნველობით ცდილობდნენ მიტას ნუგეშისცემას... ზბიგნევთან დაქორწინების პირველი წლებიც არ იყო მიტასთვის იოლი ასატანი. მიუხედავად თავისი უნაზესი სიყვარულისა და ერთგულებისა, ახალგაზრდა ქმარს თავისი ფიცხი, ჯიუტი

და დაუოკებელი ხასიათით ხშირად სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია მიტა. მათს ოჯახში ამას სახელიც კი შეარქვეს: „შლიახტობამ მოუარაო“.

ზბიგნევმა გულიანად ამოიოხრა და ტყავის ბალიშზე გასწორდა. ვაცეკსაც ეს უნდოდა, იმწამსვე გაეძრახა:

— ძია ზბიშეკ, არ გძინავს? მამა მეუბნება, შეიძლება ათას კაცში შეუცდომლად გამოიცნო მამა მიკოლაი, ისეთი კეთილშობილი, ნათელი სახე და რაღაც უჩვეულოდ სხივჩამდგარი თვალები აქვსო... შენ როგორ გგონია, თუ არ მითხრეს, კანონიკი კოპერნიკი ეგ არისო. ჩემით ვერ მივხვდები?..

ზბიგნევმა უმწეოდ შეხედა დისქმარს. შარშან მამა მიკოლაის რომ ეწვივნენ, იგი მძიმედ იყო ავად, დიდხანს იწვა ლოგინად. რის გამოც ის ძველებური მოქნილობა და სიმკვირცხლე დაკარგოდა. გასუქებული, შეშუპებული ოდნავღა თუ წააგავდა იმ პორტრეტს, რომელიც ბიჭს წარმოდგენაში ეხატებოდა...

კასპერს არც ზბიგნევის უმწეო გამოხედვა შეუნიშნავს, არც ვაცეკის კითხვა გაუგონია. მგზავრობაში ხომ ფიქრის გუნებაზე დგები... კასპერიც იხსენებდა თავის ცხოვრებას, განუყრელად დაკავშირებულს ლიძბარკის ციხე-კოშკთან, ფრომბორკის ციხე-დარბაზთან, კოპერნიკის სახელთან... ფიქრობდა მრავალი წლის მანძილზე სიმარტოვისათვის, მივიწყებისთვის განწირული ამ უდიდესი ადამიანის მძიმე ხვედრზე... ოჰ, რა მართალი იყო ტიდემან გიზე, მამა მიკოლაის დაჟინებით რომ სთხოვდა, შრომა დაბეჭდეო! კარგია ახლა მაინც, სიცოცხლის დასასრულს, მასწავლებელი თავის ქმნილებას დაბეჭდილს იხილავს; თანაც, წარმოიდგინეთ, ათას ეგზემპლარად დაბეჭდილს!

— მითხარი რა, მამა! — ვაცეკი იდაყვზე შეეხო და მუდარით შეხედა კასპერს.

— ვაცეკი კითხულობს, კანონიკ კოპერნიკს ვიცნობ, თუ არ მითხრეს, ეგ არისო? — განუმარტა ზბიგნევმა.

კასპერმა გაკვირვებით აზიდა წვრილი წარბები.

— რა თქმა უნდა! — თქვა დაბეჯითებით.

— მამა მიკოლაის მოძღვრებას თვითონ კი არა, რეტიკი რატომღა გადმოგვცემს? — ახალი კითხვა დასვა ვაცეკმა. — ანდა რატომ ეძახიან ხან რეტიკს, ხან დე ლაუხენს? ანდა კიდევ...

აქ ზბიგნევმა პროტესტის ნიშნად ხელი ასწია.

ჯობდა, დისშვილის ცნობისმოყვარეობა რეტიკის ვინაობის თქმით დაეკმაყოფილებინა. თვითონ ზბიგნევი ისე იყო აღფრთოვანებული ამ გაბედული, ჭკვიანი, ნიჭიერი მეცნიერით, რომ შეეძლო მასზე საათობით ელაპარაკა.

— დაიმახსოვრე, — დაიწყო მან დამრიგებლურად. — რეტიკი მხოლოდ ერთი წლით იყო შენზე დიდი, როდესაც მასზე მთელი ევროპა ალაპარაკდა: თხუთმეტი წლისა უკვე სახელგანთქმულ მათემატიკოსად ითვლებოდა. ოცდაორი წლისა კი ვიტენბერგის უნივერსიტეტში მიიწვიეს პროფესორად! წარმოშობით შვაბიიდანაა, ფორალპენბერგის მხრიდან, რომელსაც ძველად რეტია ეწოდებოდა. ისიც ადგა და სახელი გადაირქვა „რეტიკად“ — წარმოშობით რეტიელია. კეთილშობილური მოკრძალება მეცნიერისა, რომელიც ესწრაფვის თავის სამშობლოს გაუთქვას სახელი და არა თავის თავს... ასეთი მოკრძალებულობის მაგალითი ბევრი ვიცით...

კასპერი კმაყოფილებით ისმენდა მეგობრის საქმიანსა და დაწყობილ მსჯელობას. ჯერ კიდევ კრაკოვის აკადემიაში ცოტა ვინმე თუ შეედრებოდა სტუდენტ ზბიგნევ სუხოდოლსკის ლოგიკასა და ჭეშმარიტებულებაში.

მართალია, ზბიგნევმა კეთილშობილურ მოკრძალებულობაზე რომ ჩამოაგდო ლაპარაკი, კასპერს გაეღიმა. მაგრამ მაშინვე დატუქსა თავისი თავი, მეგობარს ისევ ჭაბუკობისდროინდელი მოგონებით ვსჯიო... ახლა ზბიშეკი ძალიან... ძალიან შეცვლილიაო...

— ავიღოთ თუნდაც სანოკელი გეგეგოჟა,[1] — ისეთივე დამრიგებლური კილოთი განაგრძობდა ზბიგნევი. — ვინ იყო იგი, რა წარმოშობისა, არ ვიცით... სამაგიეროდ, ის ვიცით, რომ სახელი გაუთქვა თავის მშობლიურ სანოკს! ანდა კიდევ იგივე ბრუძეველი ვოიცეხი, ან სტობნიცელი იანი — ყველა, როგორც ერთი, თავის სამშობლოს დიდებაზე ფიქრობდა და არა თავის გამოჩენაზე. მომავალში ცნობილი მეცნიერი რეტიკი „პირველ თხრობაში“ თავის სახელსაც არ ახსენებს, იგი მხოლოდ იმას ისწრაფვის, რაც შეიძლება ნათლად და გასაგებად გადმოგვცეს კოპერნიკის შეხედულებანი...

— მამა მიკოლაიმ თვითონ რატომ არ გააკეთა ეგ?

...მართალი იყო ვანდა, თავისი დაუსრულებელი შეკითხვებით ბიჭმა შეიძლება სასოწარკვეთილებამდე მივიყვანოს! მაგრამ მისი ძვირფასი მიტა განა სულ იმას არ არწმუნებს თავის მეუღლეს, ვინც ჭაბუკების აღმზრდელად თავს გადადებს, ვალდებულია, პირველ რიგში გამოიმუშაოს მოთმინება, მოთმინება და მოთმინებაო...

— შენ წაიკითხე რეტიკის წიგნი, ხომ ასეა? — დისშვილის კითხვას კითხვითვე მიუგო ზბიგნევმა. — ყველაფერი გასაგებია იმ წიგნში შენთვის?

— ცუდად წავიკითხე, — გამოუტყდა შეწუხებული ვაცეკი. —

---

[1] სანოკელი გეგეგოჟა (1406—1477) — არქიეპისკოპოსი, პოეტი, სწავლული, პოლონური აღორძინების ხანის ცნობილი წარმომადგენელი.

მე მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ვიცოდი... — ვაცეკი კასპერ ბერ-ნატის შვილი არ იქნებოდა, იქვე თუ არ გაასწორებდა: ესე იგი, ახლანდელზე ნაკლები ვიცოდი, მერე კი, — ამოიხვნეშა ბიუმა, — თვითონ მამა მიკოლაის წიგნის ერთი თავი საჩუქრად რომ მივიღე, ალარც მომნდომებია „პირველ თხრობის“ წაკითხვა!

— საწყალი რეტიკი! — თავი გადააქნია ზბიგნევმა. — არადა, მან კოპერნიკის მოსაზრებანი იმდენად ნათლად გადმოგვცა, მისი გაგება ყველას შეუძლია... მამა მიკოლაის შრომები ხომ იმ ხალხისთვისაა განკუთვნილი, ვინც კარგად იცის ასტრონომია, მათემატიკა, ლოგიკა... რეტიკი მხოლოდ იმას როდი ეცადა, მამა მიკოლაის მოძღვრების ყველა გაუგებარი ადგილი განემარტა, მან... — დაბნეულმა ზბიგნევმა მეგობარს გახედა. — რეტიკმა რამდენადმე შეარბილა და... როგორ გითხრა... მოდი, რაკი გეომეტრი გვყავხარ, შენთვის უფრო გასაგებად ვიტყვი: რეტიკმა ცოტაოდნავ მოამრგვალა მახვილი კუთხეები... მათი გვერდები განზე გასწია... თუ რა ვიცი...

„გეომეტრს“ სახეზე აშკარად ეხატა, ვერაფერი ვერ გავიგეო.

„რანაირად შეიძლება „კუთხეების მომრგვალება“? — ეკითხება იგი თავის თავს. — ძია ზბიშეკი მშვენიერი რიტორია, ლოგიკოსი, ფილოსოფოსი, მშვენივრად კითხულობს ლექსებს, რუკებსაც მშვენივრად ხაზავს, სულ ახლახანს კი ებლოგის ახალგაზრდა მეცნიერთან, პან ტოლკმიცკის ნათესავთან ერთად, პოლონეთის ისტორიის წერას შეუდგა... მამა ტიდემან გიზე მრავალი წლის მანძილზე ფიქრობდა, ეს ისტორია თვითონ დაეწერა, მაგრამ სხვა საზრუნავებში გართულმა ვერ მოახერხა ასეთი დიდი შრომისთვის მოეკიდა ხელი და ძია ზბიშეკი დალოცა ამ, თვით მამა ტიდემანის თქმით, „საგმირო საქმისათვის“. მაგრამ მაინც კუთხეებზე რაღაც გაუგებრად ლაპარაკობს... ანდა იქნებ აკადემიაში მან იმაზე მეტი რამ გაიგო კუთხეებზე, ვიდრე მე თვითონ სკოლაში მამა ლუკაშთან?“

„ოჰ, ისევ ის წყეული სწავლება მამა დომინიკანელებისა! — ბრაზიანად გაიფიქრა ზბიგნევმა, საგონებელში ჩავარდნილი დისშვილის შემხედვარემ, — თქმა ბევრისა და, საბოლოოდ, არაფრისა! ჩვენ ხომ გაკვეთილიც გვქონდა ასეთი: „ჭეშმარიტყველური დუმილი“, ანუ სხვა სიტყვებით, „მთავარი სათქმელის გარშემო ტრიალი!“

ჰოდა, მასწავლებელმა ახალი ენერგია მოიკრიბა ახლებურად ახსნისათვის:

— რეტიკმა მიზნად დაისახა, მკითხველი შეემზადებინა იმისთვის, რაც კოპერნიკის შეხედულებათა სრული გაცნობის შემდეგ გამეღავნდებოდა. ამ უდიდესი ადამიანის შრომებში ხომ შეიძლე-

ბოდა, ვიღაც-ვიღაცებს დაენახათ წმიდა წიგნების დოგმათა საწინააღმდეგო აზრები... ვიღაც-ვიღაცებში ამ შრომას შეიძლება მეცნიერისადმი სიძულვილი გაეღვივებინა...

— მეცნიერისადმი სიძულვილი?! — ჩაჰკითხა შეშინებულმა ბიუმა. — და განა სწავლულს, კაცს, რომელიც მთელს ცხოვრებას ვარსკვლავების კეთილშობილურ მეცნიერებას უძღვნის, შეუძლია ვინმეს სიძულვილი გაუღვიეოს? შენ თვითონ ხომ გითქვამს, ძია ზბიშეკ, გეოგრაფებსა და ასტრონომებს როგორ ეხმარება კოპერნიკის გამოცემული ცხრილები და გამოანგარიშებები... ვის და რატომ უნდა სძულდეს იგი?!

ზბიგნევი გაჩუმებული იჯდა. ასეთსა და ამის მაგვარ კითხვებს ხშირად იძლეოდნენ უფრო მეტის მაძიებელი მისი მოსწავლეები. ოცი წლის წინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მასწავლებელმა დაიფიცა, შეუბრალებლად განედევნა თავისი სკოლიდან სქოლასტიკა, არ აეძულებინა მოსწავლეები, დაეზეპირებინათ მათთვის გაუგებარი ტექსტები, ესწავლებინა არა ლათინურ, არამედ გასაგებსა და ყველასთვის მისაწვდომ პოლონურ ენაზე. შეკითხვებზე ნათელი და ამომწურავი პასუხები გაეცა. თუ რომელიმე შეკითხვა მასწავლებელს ჩიხში მოაქცევდა, არ შერცხვენოდა, მოსწავლეთათვის ეთქვა, პასუხის გასაცემად ცოდნა არ მყოფნისო... თუმცა, მიუხედავად ამ კარგი განზრახვისა, ზბიგნევს ხანდახან უხდებოდა დუმილით აევლო გვერდი ზოგიერთი საკითხისათვის, რათა ეს „წვრილნი ყრმანი" ეპვის უძირო უფსკრულში, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებათა მორევში არ ჩაეყარა.

მაგრამ ახლა ეს ალალი, ლურჯი თვალები ისეთი ნდობით მისჩერებოდნენ, რომ არ შეეძლო დისშვილის შეკითხვისათვის დუმილით თავი აერიდებინა.

— მამაშენი ფრომბორკში ჩემზე ხშირად დადის და თვით რეტიკისაც კარგად იცნობს, ხშირად ესწრებოდა მამა მიკოლაის საუბრებს ტიდემან გიზესთან, ხელმის ეპისკოპოსთან, რომელიც არწმუნებდა კოპერნიკს, გამოექვეყნებინა თავისი ნაშრომი... რეტიკმაც, ტიდემან გიზემაცა და, რა თქმა უნდა, თვითონ მამა მიკოლაიმაც იციან, მეცნიერებს რა ხშირად ემუქრებათ ხოლმე განდევნა, რადგანაც ხალხს ჭეშმარიტებას ეუბნებიან... — კასპერ! — გაბრაზებით მიმართა მან მეგობარს, — შენ უკეთესად იცი ის მიზეზები, რაც კოპერნიკს ხელს უშლიდა თითქმის მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე თავისი შრომა გამოეცა... აუხსენი ვაცეკს, რით იყო ეს გამოწვეული! გძინავს, კასპერ, თუ რა არის?

იმ საშინელი ტროპიკული ციების გადატანის შემდეგ დასუსტებულ კასპერს საზიდრის მონოტონურმა რყევამ; მართლაც, რული

მოჰგვარა, მაგრამ ზბიგნევის მიერ გაცხარებით თქმულმა ბოლო ფრაზამ აიძულა მაშინვე შეხმიანებოდა.

— კი, კი. შევცოდე, საყვარელო ზბიშეკ, წაეთელიმე ცოტა... მაგრამ, მგონი, მესმოდა, რაზედაც ლაპარაკობდით... მე მაინცდამაინც ვერა ვარ ჩახედული ასტრონომიაში, მაგრამ, ზღვაზე რომ დავცურავ და სხვადასხვა ადგილიდან ვაკვირდები ცას, შემიძლია ზუსტად ვთქვა, მეცნიერება რაღაც-რაღაცებში არ ეთანხმება რელიგიას... მე მგონია, ყველა მატროსი, თუკი სერიოზულად ჩაფიქრებია სამყაროს აგებულებას, შეძლებს წმიდა წიგნების ბევრი დებულების უარყოფას... მახსოვს, ლიმბარკში ჩემი ყოფნის პირველ ხანებში როგორ მაძრწუნებდა მამა მიკოლაის აღმოჩენები, რომელნიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა წმიდა წიგნებს, მაშინ მამა მიკოლაიმ შემახსენა ის მეცნიერნი, რომელთაც წმიდა მამები ურწმუნოებად გამოცხადებას უპირებდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამტკიცებდნენ, დედამიწა სფეროსებურიაო! ავერ, სულ მცირე ხანი გავიდა მას შემდეგ და დედამიწის სფეროსებურობა ჭეშმარიტებად აღიარეს, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს! ასეევა ჰელიოცენტრული სისტემაც: გავა დრო და მასაც აღიარებენ... გაიგე, ვაცეკ?

— გავიგე, მადლობთ მამა, — წარმოთქვა ბიუმა შეებით, — მაგრამ მე მაინც მაგას არ ვკითხულობ... ნუთუ მიკოლაი კოპერნიკი შეუშინდა ეკლესიის ბნელ მსახურთ და ამიტომ აჭიანურებს თავისი შრომის დაბეჭდვას?

— მათი არ შეშინებია მამა მიკოლაის! მისი აღმოჩენა იმდენად დიადია და უდავო, მას არავისი არ ეშინია! — ეს ზბიგნევი ჩაერთო ლაპარაკში თავისი ჩვეული სიცხარით. — მოხუცია მამა მიკოლაი, დღეც მოკლეღა დარჩენია, მაგრამ მაინც სჭირდება, მისი მოძღვრება, რაც შეიძლება, მეტმა ხალხმა აღიაროს... კიდევ ისაა საჭირო, რომ „ეკლესიის ბნელი მსახურნი“, როგორც შენ უწოდე, ხალხს ხელს არ უშლიდნენ ამ მოძღვრების გაგებაში... კოპერნიკს არ ეშინია, მას თავის მოწინააღმდეგეთა დ ა რ წ მ უ ნ ე ბ ა სურს! მამა გიზემ, ხელმის ეპისკოპოსმა მამა მიკოლაი იმაზედაც კი დაიყოლია, რომ თავისი შრომა მიეძღვნა მსოფლიოში ერთ-ერთი უგანათლებულესი კაცისათვის — პაპი პავლე მესამისათვის...

კიდევ ბევრი კითხვა დასვა ეაცლავ ბერნატმა, კრაკოვის სახელგანთქმული აკადემიის მომავალმა სტუდენტმა. კითხვებზე უფრო მეტად ზბიგნევი პასუხობდა, როგორც შეთანხმებულები იყვნენ.

კასპერი ხანდახან თუ მოსწყდებოდა თავის ფიქრებსა და ბიძადისშვილის საუბარს მიუგდებდა ყურს.

მგზავრობაში ფიქრის გუნებაზე დგები.

კასპერს გაახსენდა პან სუხოდოლსკების კარმიდამო და ცხვირ-დაკაწრული პატარა ვანდა... როგორ იფიქრებდა თუ ვანდა ასეთ ადგილს დაიჭერდა მის ცხოვრებაში!

კასპერს გაახსენდა ზბიშეკი — ლამაზი, მოხდენილი იმ სტუდენ-ტურ სამოსშიც კი, ყველას რომ ამახინჯებდა. ფიცხი, წრფელი, წა-დილის ადვილად ამყოლი ზბიშეკი! ჯერ ბერად აღკვეცა და მამა დომინიკანელების შავ-თეთრი სამოსით წარმართ ველურებთან ღვთის სიტყვის საქადაგებლად წასვლა გადაწყვიტა, მარხულობდა, ლოცულობდა, კოსტიოლის იატაკს შუბლს უხათქუნებდა... მერე, მამა ფაბიანე მაძინის გაცნობის შემდეგ, წმინდა მამების სიწრფე-ლეზე იმდენად შეერყა რწმენა, რამდენიმე წელიწადს კოსტიოლში აღარც შეუხედავს. შემდეგ უცებ დაასკვნა, „სულიან-ხორციანად“ მეომრადა ვარ დაბადებულიო და ომის საქმის შესწავლას შეუდგა. ოსეკის პატარა სახლში გაჩნდა მუშკეტები, მახვილები, პოლონური ხმლები. ეს იარაღი ახლაც იკანგება სარდაფში.

ამ ბოლო წლებში კი ზბიშეკმა იპოვა თავისი შესაფერისი საქმე და, როგორც ჩანს, აღარც შეიცვლის. რა ხანია, მთელი სულითა და გულით ეკიდება სკოლას. საღამოობით თავის სახლში თავს უყრის ბიჭებს და ღამღამობით კი მათთვის რაღაც ცხრილებსა და სურა-თებს ჩაჰკირკიტებს... ამ საუკეთესო მასწავლებლის სახელი რა ხა-ნია გასცდა გდანსკის ყველა გარეუბანს და ახლა იმდენი მოსწავლე ჰყავს, მოცლა არა აქვს.

მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ (ეს 1538 წელს მოხდა) ზბიშეკ-მა მოულოდნელად გააფრთხილა მოსწავლეები, იძულებული ვარ, სკოლა მივატოვო და სხვა მასწავლებელი მონახეთო. არ გასჭრა ბავშვების არც ხვეწნა-მუდარამ, არც ცრემლმა. მასწავლებელი იმა-საც არ ამბობდა გარკვევით, დროებით მიდიოდა თუ სამუდამოდ.

ყველა მახლობელმა, მიტამაც კი, ყოველთვის რომ პოულობდა ზბიგნევის გასამართლებელ მიზეზს, ეს საქციელი წარმოუდგენელ თავქარიანობად ჩაუთვალა. კასპერი მაშინ კადისში იყო და ვერ გამოესარჩლა მეგობარს, ვინაიდან სკოლის მიტოვება თავქარიანო-ბის გამო არ მოუნდომებია ზბიშეკს. ერთ-ერთი მისი მოწაფის მა-მამ, ფარულმა მიუნცერელმა, მისი ძვირფასი მეგობრისა და გა-დამრჩენელის, ჰენრიხ ადლერის წერილი მოუტანა. ჰენრიხი თავის სიყრმის მეგობარს ატყობინებდა, სამეფო პრუსიაში ვაპირებ გად-მოსვლასო. იმავე მოსწავლის მამამ გააფრთხილა პან მასწავლე-ბელი, გლეხთა ბელადის ჩამოსვლის ამბავი შეიტყოო მრისხანე იან გოზიუსმა (ეს ის იან გოზიუსია, რომელსაც შემდეგ „ერეტიკოსთა ურო“ შეარქვეს). ძმა ჰენრიხ ადლერს ხაფანგს უმზადებენო.

ჰოდა, ზბიგნევმა გადაწყვიტა, საზღვარზე გადასულიყო, რათა ჰენრიხი გაეფრთხილებინა ანდა, თუ საჭირო შეიქმნებოდა, გაქცევაში დახმარებოდა.

არავინ იცის, როგორ დატრიალდებოდა თვითონ ზბიგნევის ბედი, თუკი მოახერხებდა გლეხთა ბელადთან შეხვედრას, მაგრამ წერილსაც და გაფრთხილებასაც დაეგვიანა: ჰენრიხ ადლერმა თავისი სიცოცხლე მტერთან ბრძოლაში დაასრულა, როგორადაც ნამდვილმა სახალხო გმირმა და სულით-ხორცამდე მეომარმა.

მდინარის გადასაცურზე მომწყვდეულმა ჰენრიხმა, სველმა, გახდილმა, უიარაღომ, რაღაც სასწაულით მოახერხა ერთი ცხენოსანი მოწინააღმდეგისათვის წაეგლიჯა მახვილი და კედელზე აკრული ლამის მთელ საათს იგერიებდა გაცოფებულ მტერს, სანამ სისხლისგან დაცლილი უსულოდ არ დაეცა ძირს.

ამგვარად, გოზიუსმა ვერ აისრულა ჰენრიხის კოცონზე დაწვისა და თომას მიუნცერისგან, ვისი საქმისათვისაც იგი მთელი სიცოცხლე იბრძოდა, ძალდატანებით განდგომის წადილი.

მიუნცერული რაზმების განადგურების შემდეგ, რომელნიც, ჰენრიხის აზრით, მეტს ლოცულობდნენ და ნაკლებს ფიქრობდნენ საბრძოლო მომზადებაზე, გლეხთა აჯანყებამ გერმანული მიწიდან ვარმიაში გადმოინაცვლა. ჰენრიხი ფიქრობდა, აქ ჩადგომოდა სათავეში კოშუბების აჯანყებას, მაგრამ ისე დაიღუპა, თავისიანებთან ვერ მიაღწია.

მიტამ გადაწყვიტა, ჰენრიხის სიკვდილისწინა წერილი, რომელშიც ზბიგნევს თავის ჩამოსვლას ატყობინებდა, დაეწვა იმის შიშით, კათოლიკების თავგამოდებულ დამცველებს ხელში არ ჩაუვარდესო.

ზბიგნევი კი დაჟინებით მოითხოვდა, წერილი საიდუმლო საგვარეულო ყუთში შევინახოთო... ეს იყო, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ზბიგნევი წინ აღუდგა წინდახედულ მიტას და როდესაც მეუღლენი ორ კვირაზე მეტ ხანს არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. საბედნიეროდ, კასპერი სწორედ იმ ხანად დაბრუნდა ლურვიდან და სასწრაფოდ შეარიგა ისინი. ახლა მათს ოჯახში მშვიდობა, სიყვარული და სიწყნარეა...

„ჩემი და ვანდას საქმე როგორღაა?“ — ამაზედაც შეიძლებოდა ფიქრი, მაგრამ კასპერს აღარ უფიქრია, რადგანაც, მისი აზრით, მ ა ს ა და ვ ა ნ დ ა ს შორის საქმე ისე იყო, არასდროს არავისთან რომ არ იქნებოდა! თუმცა მშვიდობისა და სიწყნარის ძებნა ბერნატების ოჯახში ტყუილი გარჯა იქნებოდა — ვანდას ფიცხი და დაუდეგარი ხასიათი მის ოთხივე უმცროს შვილს გამოჰყვა. მამას მხოლოდ ვაცეკი გამოემსგავსა.

სამაგიეროდ, სიყვარული საფუძელიანად დამკვიდრებულიყო ამ ოჯახში...

კასპერს სული შეეხუთა და ფრანცს დაუკაკუნა, ცხენები გააჩერეო.

ძირს გადმოსულმა კასპერმა მარხილს თვლები, ღერძი, ჭანჭილაკები დაუთვალიერა, გაკვირვებულ ცხენებს ჯიდაოზე ხელი მოუტყაპუნა და კვლავ დაჯდა მიყუჩებული ვაცეკის გვერდით.

მარხილის კუთხეში მიყუჟული ზბიგნევი უკვე გულიანად ხვრინავდა.

„ღმერთო ჩემი, ღმერთო, — წაიბუტბუტა კასპერმა თავისთვის, — ოცი წელია ოჯახი მაქვს და ვანდაზე დღესაც პატარა ბიჭივითა ვარ შეყვარებული, მისი ერთი გახსენებაც კი თავბრუს მახვევს... ვიცი, რა თქმა უნდა, მაზე ლამაზი ქალებიც არსებობენ ქვეყანაზე, მაგრამ ვანდასნაირ ქალს ჯერ არ გადავყრივარ არსად. უფალმა ღმერთმა შემოუნახა წლებში შესულ ვანდას მომხიბვლელობა და სინორჩე, მაგრამ თუნდაც ნაოჭებით ჰქონდეს სახე დაღარული, მაინც ასევე მეყვარებოდა, ის ხომ ვანდაა!“

ცოლი და ქმარი ბერნატები, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი დიდი ხნის გაჭაღარავებულია, ცოლს კი ახლად შეპირხვლია საფეთქლები, კვლავ ძველებურად არიან შეყვარებულნი. წაკინკლავება, თუ ოდესმე ხდება ბერნატების ოჯახში, სულ უმნიშვნელო მიზეზით ხდება და, ოჯახის უფროსის მშვიდი ხასიათის გამო, მაშინვე ხუმრობითა და სიცილით მთავრდება.

მეუღლეთა შორის ერთადერთი უთანხმოება არსებობს მხოლოდ და ჯერჯერობით ვერც ერთ მხარეს გადაუძლევია, ვერც მეორეს: ვანდა, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, დარწმუნებულია, ჩემი კასპერი ყველაზე ლამაზი მამაკაციაო ქვეყნიერებაზე. როდესაც ქმარი შეკამათებას შეეცდება, ვანდა ტუჩებს მოკუმავს, თავს აიღერებს და ხმის ამოუღებლად გადის ოთახიდან.

ვაცეკმა რა ხანია მიატოვა მიდამოსა და გზად შეხვედრილი ღარიბი სოფლების თვალიერება, რა ხანია აღარც შეკითხვებს იძლეოდა. განიერ სახელოებში შეეყო შეციებული ხელები და ფანჯარასთან თავმიდებული გალურსულიყო.

„დაწყნარდა ბოლოს და ბოლოს, დაიძინა...“ — ალერსით გაიფიქრა მამამ.

მაგრამ ვაცეკს არ ეძინა, მგზავრობაში ხომ ფიქრის გუნებაზე დგები...

ეკლესიის ბნელმა მსახურებმა თავის დროზე როგორ გაილაშ-

ქრეს მეცნიერების წინააღმდეგ, ბიჭმა ძალიან კარგად იცოდა. ტყუილად არ ითვლებოდა იგი მამა ლუკაშის, გეომეტრის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის საუკეთესო მოსწავლედ.

ახლა ყველა მოსწავლისათვის ცნობილია, რომ ოკეანე არ წარმოადგენს დედამიწის სფეროს ხუთმეშვიდედ ნაწილს, რომ ევროპასა და აზიას შორის გადაჭიმულია უვრცესი, აქამდე უცნობი მატერიკი! ახლა მამა ლუკაშს მშვიდად შეუძლია წარმოთქვას „დედამიწის სფეროო“ და არ შიშობდეს, ინკვიზიციის ჯაშუშები შემიპყრობენო. ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა!

„მაგრამ, ჩანს, ჭეშმარიტებამ რომ გაიმარჯვოს, ადამიანი ამ ჭეშმარიტებას მსხვერპლად უნდა შეეწიროს, — ფიქრობდა ბიჭი.— მანამდე კი დაცინვა უნდა აიტანოს, სიღარიბე, სიმარტოვე... სიცოცხლეში ყველა ვერ იმკის თავისი შრომის ნაყოფს... ნიურნბერგში დაბეჭდავენ მიკოლაი კოპერნიკის შრომას... მამა და ძია კი ამბობენ, ვიღაც-ვიღაცები მასში წმიდა წიგნების უარყოფას დაინახავენო... მაგრამ პაპი პავლე მესამე გაუწევს, ალბათ, მფარველობას... ვთქვათდა არ გაუწიოს, მაშინ?!“

მგზავრების მარხილს საფოსტო კარეტა წამოეწია. მეეტლემ რქის საყვირს ჩაბერა და გზას ყოველი მხრიდან ხალხი მოაწყდა, მოჰქონდათ შეკრულები, ბოხჩები, დაგრაგნილი ქაღალდები... ესეც მამა მიკოლაის შემოღებული იყო. კანონიკმა უბრძანა თავის შიკრიკებს, რომლებიც სამ დღეში ერთხელ ფრომბორკსა და გდანსკს შორის დადიოდნენ, გზადაგზა გაეყოლებინათ იმ ხალხის წერილები და ამანათები, ვისაც თვითონ არ ჰქონდა მათი მიტანის შესაძლებლობა. მამა მიკოლაიმ თქვა, დროთა განმავლობაში წერილების ასეთი გასაგზავნი ქალაქის მაგისტრატში იქნება მოთავსებულიო...

რანაირად შეიძლება ასეთ კაცს ებრძოლოს, ვინც გინდ იყოს ის?!

მარხილმა გაუსწრო ფრომბორკის საფოსტო კარეტას. ფრომბორკული სატვირთე ლამაზი აბრაში ცხენები ჯანიანი და ამტანები იყვნენ, მაგრამ სისწრაფით ვერ სჯობდნენ სხვადასხვა ფერის მოშცრო ტანის ცხენებს, რომლებიც ძია ფრანეკმა საგანგებოდ იშოვა მათთვის.

„რა კარგად თქვა ერთხელ ჩვენმა მასწავლებელმა, კეთილმა მამა ლუკაშმა: „მეცნიერების ტაძრის აღმართვა ადამიანთა მსხვერპლს მოითხოვსო,“ — ფიქრობდა ვაცეკი ძილ-ღვიძილში. მერე უცებ შეკრთა და თვალები წამოაჭყიტა. — რა იქნება, მეცა და სხვებსაც, კოპერნიკის მოძღვრების სიმართლეში დარწმუნებულებს, თავს გვედო მისი გავრცელება მთელი დედამიწის ზურგზე? გვევლო ქალაქიდან ქალაქში, ერთი მხარიდან მეორე მხარეში და მისი იდეე-

ბი გვექადაგა? აი, თუნდაც, პან ტოლკმიცკი... ის მამა მიკოლაის გულისთვის სიხარულით დათანხმდება ყველაფერზე... ანდა პანი კში-ჟანოვსკების გლეხი... მამა მიკოლაის თავისი ფულით გამოუსყიდია იგი მრისხანე ბატონისაგან და გაუთავისუფლებია... თუმცა, ამ საქმისათვის განსწავლული ხალხია საჭირო... მაგრამ, ალბათ, მასეთებიც მოიძებნებიან... პან ტოლკმიცკი მეტისმეტად განათლებული კაცია... უხელებო, დახეიბრებული რომ არის, ეგ კიდევ უკეთესიცაა: უფრო დაუგდებენ ყურს... მეორე ვაცეკსაც წაიყვანს თან (კასპერის ვაჟი ვაცკა სუხოდოლსკის გულისხმობდა, რომელსაც, მასავით, პაპის პატივსაცემად ერქვა ეს სახელი), კარგი იქნებოდა პატარა ვანდუსიას წაყვანაც, მაგრამ... — ვაცეკს გაახსენდა, რომ მაშინ დედა მთლად მარტო დარჩებოდა თავის ანც შვილებთან და ამოიხვნეშა: — არა, ვანდას წაყვანა არ მოხერხდება. ვივლიდით ასე და მოვუყვებოდით ხალხს პლანეტების მოძრაობის თაობაზე, იმაზე რომ დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს. დაე, ეკლესიის ბნელ მსახურთა რისხვა ჩვენ დაგვტყომოდა თავს და არა მამა მიკოლაის... შემდეგ კი ხალხი გაერკვეოდა ჭეშმარიტებაში...“

„მაინც რას გვიზამდნენ ეკლესიის მსახურნი? — უცებ გაკრა ბიჭს ამ ფიქრმა. — ციხეში რომ ჩავეყარეთ? ანდა პან ტოლკმიცკისავით ხელები რომ დაეჭრათ? მთლად უარესი, თუ კოცონზე დაგვწვავდნენ ერეტიკოსებივით!“

ვაცეკი შიშისაგან შეკრთა კიდევაც.

ორი წლის წინ, ჯერ ისევ მთლად ბალღი, რომ იყო, დეიდა ურშულამ მოუყვა, ორდენის პრუსიაში, კრულევეცში, ინკვიზიტორებმა მამაშენის ორი ამხანაგი კოცონზე დაწვესო.

იმ საცოდავებმა უეჭველად დიდი ტანჯვა გადაიტანეს, რადგანაც მათი ხსოვნა დღესაც ცოცხლობს კრულევეცშიც, გდანსკშიცა და ბევრ სხვა ქალაქშიც... შარშან შორეული ვარშავიდან იმ სოფელში, სადაც ერთი-ერთი წამებული ქსენძობდა, ხალხი ჩამოსულა.

ყველა ჩამოსული „წმიდანის“ სამახსოვროდ რაღაცის წაღებას ლამობდა თურმე. ისინი იმ მაგიდასა და სკამს, რომლებსაც განსვენებული ხმარობდა, დანით პატარ-პატარა ნაჭრებს ათლიდნენ... როდესაც სახლის პატრონს წინააღმდეგობა უცდია, ჩამოსულებს მთელი სოფელი გამოქომაგებია: იქ მამა სტანისლავ კოგუტსაც წმიდანად თვლიან!

დეიდა ურშულას მონაყოლისგან ატირებული ვაცეკი უკანა ეზოში გავიდა, ნაფოტები მოაგროვა, პატარა კოცონი დაანთო და ზედ

ხელის დაჭერას შეეცადა, მაგრამ რამდენიმე წამსაც ვერ გაუძლო ტკივილს, დამწკარ ხელზე ტანსაცმლის კალთა გადაიხვია და ცეცხლი ფეხით ჩააქრო.

„არა უშავს, — ინუგეშა თავი ბიჭმა. — მაშინ სულელურად, ბავშვური ეინიანობის გამო დავიწვი ხელი, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა კოცონზე ასვლა, თუ მეცნიერების ტაძრის აღსაგებად ეს აუცილებელი შეიქმნა, უკან არ დავიხევ!“

ამ ფიქრებში გართული ეაცეკი გაეხვია მამისგან მიფარებულ მოსასხამში და დაიძინა.

თავი მეოთხე

დაშვებული ალამი

ექიმი იყო მამა მიკოლაი კოპერნიკი და მშვენივრად ხვდებოდა, რას მოასწავებდა ეს სახიფათო სიმპტომები: გრძნობის ხშირი დაკარგვა, მარცხენა მხარის წართმევა, ცხვირიდან სისხლის დენა და ყველას შემაშფოთებელი მეტყველების გაურკვევლობა ნაწილობრივი დამბლის გამო. ექიმი იყო მამა მიკოლაი და ისიც იცოდა, თუ ეს ხელ-ფეხის უმოქმედობა გაუვლიდა, სისხლის დენა შეუწყდებოდა, კიდევ იცოცხლებდა, თუნდაც დამბლის შემდგომ გამეორებამდე. რაც არ უნდა ყოფილიყო, მის ძარღვებში კოპერნიკებისა და ვაცენროდების ჯანსაღი სისხლი იდგა!

სიცოცხლე კი, თუნდაც რამდენიმე თვით, აუცილებელი იყო. გასული წლის მაისში რეტიკმა ნიურნბერგში, მესტამბე პეტრეისთან მისი შრომა წაიღო დასაბეჭდად. პეტრეი შეჰპირდა, მაისის ბოლოს კოპერნიკის რწმუნებულს ხელთ ექნება „გარემოქცევის“ კორექტურაო, მაგრამ საქმე ნოემბრამდე გაჭიანურდა. ნოემბერში კი, კათედრის დაკარგვის გამო, რეტიკს ლაიპციგის უნივერსიტეტში გადასვლა მოუხდა. უიმისოდ ნაბეჭდი, საერთოდ, აღარ დაიძვროდა ადგილიდან, თუ წიგნის გამოცემით სისხლხორცეულად დაინტერესებული ახალგაზრდა მეცნიერი ბეჭდვაზე თვალყურის დევნებას არ დააკავებდა იქაურ ლუთერან ბერსა და ასტრონომს ოსიანდერს.

ამ ცნობამ მაშინვე შეაძრწუნა კოპერნიკი. როგორც ჩანდა, პატიოსანმა, მგზნებარე იოახიმმა არ იცოდა, ვის ხელში აგდებდა თავისი მოძღვრის პირმშოს!

ბერი ოსიანდერი, უეჭველად, მცოდნე და განათლებული კაცი იყო, კარგი ასტრონომი, მაგრამ საოცრად იოლად გასცვალა

მდიდრული კათოლიკური ღვთისმსახურება დაუდეგარი ლუთერის პირქუშ, ცარიელ ტაძრებზე! კიდევ არა უკირდა, თუ ამას თავისი ღრმა ზნეობრივი რწმენის გამო ჩაიდენდა! არა — ეტყობა, ოსიანდერი ხელმძღვანელობდა ახალი, მაგრამ უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული პრინციპით: „რა ქვეყანაშიცა ხარ, რელიგიაც მისი იწამეო“! თვითონ იგი მეგობრებთან გულახდილ საუბრებში არც უარყოფდა ამას.

მაღალი საზოგადოების თავის მბრძანებელთა და ეკლესიის ახალ ბატონთა სიამოვნების ცდაში, შესაძლოა, მას ხელი შეეშალა კოპერნიკის ხელნაწერის გამოცემისათვის.

მაგრამ ავადმყოფი კოპერნიკის შიში უსაფუძვლო გამოდგა: წლის დასაწყისში ოსიანდერისაგან მიიღო ცნობა „გარემოქცევის“ აწყობა მთავრდებაო. თუმცა ბერი თავის კოლეგას იქვე ურჩევდა: მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, კარგი იქნებოდა, ნაშრომისთვის წინასიტყვაობა დაგვერთო, რომელიც ნათელს ჰყოფდა, თითქოს ავტორი თავის პირშეოს მრავალი წლის დაკვირვებათა შედეგად კი არ მიიჩნევს, არამედ ერთგვარ მეცადინეობად, ჭკუის ვარჯიშად, ჰიპოთეზის მახვილგონივრული აგების კიდევ ერთ ცდადო. იქნებადა, სულაც ოსიანდერის წყალობაა, რომ კოპერნიკს მტერთა შორის „პითაგორელის“ ზედმეტი სახელი აქვს დამკვიდრებული!

ო, მაშინ კი უღალატა მამა მიკოლაის ჩვეულმა თავდაჭერილობამ. მან ცბიერ ბერს საკადრისი მკვახე პასუხი გაუგზავნა! კოპერნიკმა ისიც არად ჩააგდო, ეს ამბავი „გარემოქცევის“ გამოცემაზე მოახდენსო გავლენას, ისიც, მისი მოძღვრების დაუძინებელი მტერი მელანგტონი ბატონ-პარტონივით რომ განაგებდა მთელ ნიურნბერგს და, მისთვის, კოპერნიკისთვის, არ იყო სასურველი, ლუთერანთა ამ ხროვისათვის კიდევ ერთი მტერი მიემატებინა.

და, აჰა, აპრილის თვეში ლაიპციგში მყოფ რეტიკს მეგობრებმა აცნობეს, ამავე წლის მაისის დასაწყისში პეტრეი გამოსცემს კოპერნიკის ნაშრომს, თანახმად შეთანხმებისა, მისივე მიძღვნითი წინასიტყვაობით პაპი პავლე მესამისადმიო. მაშასადამე, წერილების გაცვლა-გამოცვლას ისეთ განსხვავებულ ადამიანებს შორის, როგორნიც ოსიანდერი და კოპერნიკი იყვნენ, „გარემოქცევის“ გამოცემაზე გავლენა არ მოუხდენია! მაგრამ, დედაო ღვთისავ, რა ძნელია მოლოდინი!

ჯანმრთელს, ყოველდღიურ შრომა-ჯაფაში გართულ კაცსაც გაუჭირდებოდა მთელი წლის-მანძილზე ელოდნა თავისი წიგნის გამოცემისათვის, არამც თუ ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფს.

გონთ ყოფნის იშვიათ წუთებში მამა მიკოლაი ხვდებოდა, ჩემმა-გამუდმებულმა შეკითხვამ: „ნიურნბერგიდან შიკრიკი ხომ არ მოსულა?“ — ყველა გააბეზრაო და თავს ძალას ატანდა, მომავალ წიგნზე აღარაფერი ეკითხა, მაგრამ მით მეტი დაეინებითა და მეტი აკვიატებით ფიქრობდა მასზე.

როგორმე გული რომ გადაეყოლებინა, ბრძანა, ძველი რვეული ნოეძებნათ მისთვის. იმ რვეულში, როდესაც მოუცლელი და საქმიანი კაცი იყო, შეჰქონდა გადაუდებელი და შემდეგისათვის გასაკეთებელი საქმეები, წერილების შავი პირები, სხვადასხვაგვარი ჩანაწერები. ჯანმრთელი ხელით გაჭირვებით შლიდა რვეულის გვერდებს და ისეთ საქმეს ეძებდა თავისთვის, რომელსაც ახლაც შეძლებდა. გარდა ამისა, უნდოდა, ერთხელ კიდევ გადაეხედა პაპი პავლე მესამისადმი მიძღვნის შავად ნაწერისათვის.

ეს შავი პირი სულ მთლად გადახაზული იყო მისი საყვარელი და ერთგული მეგობრის ტიდემან გიზეს მიერ. ხელმის ეპისკოპოსმა, თავისი ჩვეული მოკრძალების გამო, ძალიან შეამცირა ის ადგილი, სადაც კოპერნიკი მის დამსახურებაზე ლაპარაკობდა. გიზეს გასწორების შემდეგ მიძღვნაში ძუნწი ცნობაღა დარჩა, რომელიც სრულებითაც ვერ ასახავდა ეპისკოპოსის გავლენას კოპერნიკის შრომის გამოცემის თაობაზე:

„...ჩემი მეგობრები, მიუხედავად გამუდმებული უარისა, მაიძულებდნენ ხელი ამეღო ჭოვმანზე. მათ შორის უპირველესი იყო მეცნიერებაში სახელმოხვეჭილი ნიკოლაი შენბერგი — კაპუის კარდინალი, რომელმაც ცოდნის მრავალ დარგში ისახელა თავი. მასთან ერთად ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი ხელმის ეპისკოპოსი ტიდემან გიზე, რომელმაც ღვთისმეტყველებას ისევე ერთგულად მიუძღვნა მთელი სიცოცხლე, როგორც შენბერგმა — მეცნიერებას. გიზე ხშირად მახსენებდა, ხანდისხან კი მოითხოვდა კიდევაც, რომ გამომეცა ჩემი შრომა, ბოლოს და ბოლოს გამომექვეყნებინა ის, რაც ცხრა წელს კი არა, ოთხჯერ ცხრა წელს ყოვნდებოდა ჩემთან“.

ესეც მან, ტიდემანმა დაიჩემა, რომ მისი სახელი კარდინალის წინ კი არა, შემდეგ მოეხსენიებინა!

როგორც გინდ დანანებოდა მამა მიკოლაის იმ კაცის მოუხსენებლობა, რომელმაც მისი მოძღვრების გავრცელებისათვის იმდენი რამ იღონა, ტიდემანმა წინასიტყვაობიდან ამოშალა აგრეთვე ვიტენბერგის მეცნიერი იოახიმ დე ლაუხენი, მეტსახელად რეტიკი.

„მეცნიერებაში თავისი დიდი დამსახურების მიუხედავად, რეტიკი რომისათვის მაინც ერეტიკოსია, ლუთერანი... — უთხრა ხელმის ეპისკოპოსმა. — ამიტომ არაა საჭირო, მისი ხსენებით შენს

ნაშრომს ეკლესიის მამათა რისხვა და წყრომა დაატეხო წინდაწინ“.

ამგვარად, რეტიკის დამსახურებისა და ღირსების ჩამოთვლის ნაცვლად პაპისადმი მიძღვნაში ჩარჩა მხოლოდ ფრაზის დასაწყისი: „ჩემი შრომის გამოცემას დაჟინებით მოითხოვდა არაერთი გამოჩენილი და სწავლული კაცი.“

შეიძლება მამა ტიდემანი მართალი იყო. თვითონ რეტიკი, ერთგული მეცნიერებისა, დიდებაზე ნაკლებად ფიქრობდა და დაუდევრად ეკიდებოდა ხალხისგან აღიარებას. მათგან დაფასებისათვის იგი არასოდეს იღწვოდა.

მაგრამ მაინც, რამდენჯერაც გინდა გადაეხედა მამა მიკოლაის წინასიტყვაობის ამ ადგილისათვის, რეტიკის სახელის მოუხსენებლობას მძიმედ აყვედრიდა თავის თავს.

ეს ძველი, გაცრეცილი რვეული ცეცხლში უნდა ჩაიგდოს, მან თავისი ვალი მოიხადა... ოღონდ ჯერ უნდა მოძებნოს ჩანაწერი „ძილის ბუნების თაობაზე...“ დიდი ხნის ჩანაწერია, ნეტავ თუ ექნება შემონახული?

1507 წელი... დედაო ღვთისავ, როდინდელია! ჩანაწერები წერილი-ტრაქტატისა, მეგობრებისადმი მიმართული... შემდეგში ამ ტრაქტატმა „მცირე კომენტარის“ სახელწოდება მიიღო...

ეს რაღაა? 1514 წელი — კოპერნიკის წერილის შავი პირი — პასუხი რომის ეპისკოპოსის, პავლე მიდენბურგის მიწვევაზე, რომელიც იულიუსისეული კალენდრის რეფორმისათვის სამზადისში მონაწილეობის მიღებას სთხოვდა.

„უფრო სრულყოფილი წელთაღრიცხვა, — ძლივს არჩევდა ავადმყოფი თავის გადაჩხაპნილ შავად ნაწერს, — მაშინ შეიძლება გვქონდეს, როდესაც ცნობილი გახდება მზისა და მთვარის მოძრაობათა კანონები. ამჟამად ასეთი მონაცემები მე არ გამაჩნია“.

მამა მიკოლაი დაღლილი მიესვენა ბალიშზე. ეს დიდი ხნის მივიწყებული წერილი არის გასაღები, პასუხი მისი ასტრონომიული შრომის გამოცემის გაჭიანურებისა. პაპს, პავლე მესამეს იგი თავის მეცნიერულ გაუბედაობაზე სწერს, მაგრამ ეს მთლად მართალი არ არის. არც სიმხდალე, მტრების ვარაუდით, არც ყოყმანი, მეგობრების ვარაუდით, არ აყოვნებდა მას. აყოვნებდა სურვილი, რაც შეიძლება გულდაგულ შეემოწმებინა და მრავალრიცხოვანი ცდებით დაედასტურებინა თავისი დებულებანი!

ცოტა დაისვენა და ავადმყოფმა კვლავ დაუწყო რვეულს ფურცვლა. აგერ, 1520 წელი — შავი პირი ტრაქტატისა „პურის ჭეშმარიტსა და სამართლიანი ფასების თაობაზე“ — რაზე აღარ მოხდომია მუშაობა და მოწყვეტა თავისი საყვარელი ასტრონომიისაგან, ოღონდ კი ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა დამშეულთა ხვედრი!

1522 წელი. მეორე ეკონომიური ტრაქტატი „მონეტის გაყალბების თაობაზე“. ჰო, რა ცხარე, ცხარე სხდომა გაიმართა მაშინ ქალაქის რადისა... სადაც მამა მიკოლაიმ თავისი ტრაქტატი წაიკითხა! ყველა თანახმა იყო ქალაქებისთვის აეკრძალათ საკუთარი ფულის მოჭრა, ყველას ესმოდა, რომ ვერცხლში სპილენძისა და ტყვიის შერევით ქალაქის მაგისტრატები იმაზე უკეთ როდი იქცეოდნენ, ვიდრე პოლონეთის მტრები, ტევტონები, რომლებმაც ყალბი მონეტის მოჭრით ერთ დროს პოლონური ფული გააუფასურეს და საქონლის ფასები ასწიეს. ესმოდათ, მაგრამ არცერთ მათგანს არ უნდოდა, რომ მაინცდამაინც მის ქალაქს წართმეოდა ფულის მოჭრის უფლება.

ილაპარაკეს, ილაპარაკეს, იკამათეს... და ისე დაიშალნენ, ვერ მიიღეს ვერცროგორი გადაწყვეტილება.

შემდეგ მოდის 1526 წელი, შემდეგ 1527, 1528 წლები... ციფრთა სვეტებით სავსე მთელი გვერდები ერთიმეორის მიყოლებით ჯვარეღინად იყო გადახაზული... იმ წლებში იგი უშედეგოდ ცდილობდა მერკურის გადახრის კუთხის გამოთვლას. ეს იყო ერთ-ერთი მისი ყველაზე გულსატკენი მარცხი!..

აჰა, აგერ ის ჩანაწერიც, რომელსაც ეძებდა: „აზრები და დაკვირვებანი მიკოლაი კოპერნიკისა ძილის ბუნებაზე“.

მიკოლაი კოპერნიკს, როგორც ექიმს, თვით ძილის ბუნება აინტერესებდა, მაგრამ იდრე, ცაზე დაკვირვების, საექიმო პრაქტიკის, მასზე დაკისრებული დიაცეზის საქმეებისგან მოუცლელობის გამო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მას. ახლა, მტანჯველ უმაქნისობაში ჩავარდნილს თავისუფლად შეეძლო ამ საქმეს მოსჭიდებოდა.

დღეს უკვე შეეძლო ჩაეწერა: „იმის მიხედვით თუ განვსჯით, რომ ადამიანი ძილის შემდეგ დასვენებული და ძალღონეშემატებული დგება, უნდა დავასკვნათ, ძილს ადამიანის ნატურისათვის დასვენება მოაქვს. მაგრამ როგორ შევუთავსოთ ეს შთაბეჭდილებათა, განცდათა, გრძნობათა იმ განუწყვეტელ ნაკადს, რომელნიც ელვისებურად გაკრთებიან ხოლმე ჩვენს ტვინში ძილის დროს? აი, ახლაც სიზმარში, სულ რვა წუთს რომ გაგრძელდა, მე გამოვიარე ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი, მოვიარე პოლონეთი, გადავლახე ალპები, ვეწვიე რომს, ბოლონიას, კვლავ პოლონეთში აღმოვჩნდი, სასახლეში დავესწარი მეჯლისს და დედოფალ ბონას ჭადრაკი ვეთამაშე. ხომ არ იმუშავებს ჩვენი ტვინი რაღაცნაირ ჯადოსნურ ელექსირს, რომელიც ტვინისავე დაღლილობას შველის? ხომ არ შეიძლება, რომ იგი რაღაცა საშუალებებით გამოვაცალკევოთ და დაპრილების საშველად ანდა ავადმყოფობით, შიმშილით, ციხეში ჯდომით დასუსტებულთათვის გამოვიყენოთ?..“ მამა მიკო-

ლაიმ მიაწერა „სიბერისთვისო“, მაგრამ მაშინვე წაშალა. სიბერე ბუნებრივი დასასრულია ორგანიზმის მთელი მუშაობისა. ნაკლებ-შესამჩნევია და ამიტომაც უმტკივნეულო გადასვლაა ყოფნიდან არ-ყოფნაშიო...

აჰა, დიდება წმიდა ქალწულს, დღე თითქმის დასრულდა, ნიურ-ნბერგიდან შიკრიკი არ გამოჩენილა, მაგრამ დღეს ერთხელაც არ მოუკითხავს იგი!

მამა მიკოლაის განსასვენებელ ოთახში რომ შეეიდნენ, ზბიგ-ნევმა შიშნეულად გახედა კასპერსა და მის ვაჟს.

არც მგლისტყავგადაფარებული მერხის, არც თვითნაკეთი სკა-მების ხსენებაც არ იყო იქ.

მათი ხსენება კარგა ხანია გაქრა „კოპერნიკის კოშკიდანაც“. ასე შეარქვა ხალხმა ფრომბორკის კოშკს, საიდანაც მამა მიკოლაი ცაზე დაკვირვებას აწარმოებდა.

ანა შილინგმა, მეცნიერის ერთადერთმა ნუგეშმა სიბერეში, მრა-ვალი წლის წინ მოიყვანა წესრიგში მისი მკაცრი სამყოფელი. მის-განვე შემოღებული ჩვევა, სასთუმალთან ცოცხალი ყვავილები სდგომოდა, დღემდე შემოინახა მამა მიკოლაიმ. ახლაც კოპერნი-კის თავით მდგარ იტალიურ მინის ლარნაკში (ესეც ანას ნაჩუქარი იყო) შარშანდელი გამხმარი შროშანები ეწყო.

მამა მიკოლაი თვლემდა. მისი ჭაღარა კულულები ბალიშზე გა-დაფენილიყო. იმ ბინდბუნდში თმაც და მთლად გადაფითრებული სახეც თითქმის არ გამოერჩეოდა თეთრი ტილოს ფონს.

„რა მწარედ უცრუვდება იმედი ვაცეკს! — ფიქრობდა გულმო-სული ზბიგნევი. — ცუდია, მამამისმა კოპერნიკზე ლაპარაკით, რო-მელიც თვითონ სულ სხვანაირი ახსოვს, ვაცეკის წარმოდგენაში ისეთი სახე შექმნა, ახლანდელ კოპერნიკს სულაც რომ აღარ ჰგავს! აბა რა საჭირო იყო ბიჭის ისეთი რამით შეძრწუნება, რისი გადატანაც ახლა მოელის! დიდი ასტრონომის აღსასრული მოახ-ლოებულია. გარდაიცვლებოდა კოპერნიკი და ვაცეკის წარმოსახ-ვაში ისეთივედ დარჩებოდა — შავთმიანი, მოძრავი, თავისი, მარ-თლაც და, რაღაც უჩვეულო ძალის მქონე თვალებით. ახლალა... საწყალი ვაცეკი!“

როგორც ჩანდა, ზბიგნევის შიში უსაფუძვლო იყო: ხელში ქუდჩაბღუჯულმა, მღელვარებისაგან გადაფითრებულმა ბიჭმა გა-დააბიჯა მისთვის აღთქმული კარის ზღურბლს. მხრებიდან ხელმოუ-შორებლად შეჰყვა მამამისიც. რაც გინდ გაფრთხილებულიყვნენ, ავადმყოფმა მაინც გამოახილა თვალები.

— შვილი, ყრმა... — ძლივს წაიჩურჩულა და კვლავ დაუშვა თავისი ჯერ ისევ შავი, ხშირი წამწამები. — იასს ფეხზე ხელი მოჰკიდე, წყალში არ ჩაგივარდეს...

— აგერ, უკვე მეექვსე დღეა, მისი მაღალღირსება ასე ბოდავს, — თქვა სტუმრებთან შესულმა ექი დონერმა.

— მამა ტიდემანს შეატყობინეთ? — იკითხა კასპერმა.

— მისი უსამღვდელოესობა შიკრიკს აღარ დახვდა შინ. კრაკოვშია გაწვეული მეფის ვაჟიშვილის ჯვრისწერაზე. ავადმყოფის ასეთი მძიმე მდგომარეობა ხელმის ეპისკოპოსმა არ იცის.

— ტიდემანმა იცის, — მოულოდნელად ხმამაღლა და გარკვეით წარმოთქვა მამა მიკოლაიმ. — მხოლოდ იმიტომ გამომიშვა ლიუბაევადან, რომ ფრომბორკში მ ო ვ მ კ ვ დ ა რ ი ყ ა ვ ი... ღმერთო ჩემო, კასპერი აქაა! მოდი ახლოს, ჩემო ბიჭო! — და მან თავისკენ მიიზიდა ბედნიერებისა და მღელვარებისაგან ღონეგამოცლილი ვაცეკი..

სანამ კოპერნიკს თავის გახურებულ, ფაფუკ ხელში ეჭირა მისი ხელი, ბიჭი მდუმარედ და, როგორც ზბიგნევს მოეჩვენა, სასოებით იდგა.

კარმა გაიჭრიალა. ზღურბლზე გამოჩნდა ღრმად მოხუცებული, ლამის ორად მოკაკული ვოიცეხ შიბულსკი.

— წამლის მიცემის დროა, — წაიჩურჩულა და მამა დონერს ლანგარი მიუტანა.

მსახურისა და ექიმის დახმარებით კოპერნიკმა მორჩილად დალია წამალი ოთხივე სხვადასხვა ფორმის ჭიქიდან!

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! — წარმოთქვა მამა დონერმა და ჯვარი გამოსახა ავადმყოფს.

— ღირსმა მამამ, ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მედიცმა მამა ემერიხმა მოუმზადა ავადმყოფს ეს ოთხი ახალი საშუალება, — თქვა სტუმრებისკენ შემობრუნებისას.

— ეს ჩემი ვაჟია, მამა მიკოლაი, — წინ წადგა კასპერ ბერნატი. — დასალოცად მოგიყვანეთ...

— ა-ა... „ვარსკვლავთ გეომეტრი“? აბა ერთი შენი თვალები მაჩვენე, გეომეტრო... — კოპერნიკმა ბიჭს ნიკაპი აუწია და დიდხანს დაჟინებით შესცქეროდა. — ალალი თვალები გაქვს... ნათელი... მამაშენივით... გაგიჭირდება ცხოვრება!

კანონიკი გაჩუმდა და კვლავ თავისკენ მიიზიდა ბიჭი.

— გამოტყდი, ხომ არ მოელოდი ასეთი კაცის ნახვას?..

— მხოლოდ ასეთისას, — მიუგო ხმაჩამქრალმა ვაცეკმა. — ოღონდ არ ვიცოდი თუ ავად ბრძანდებოდით.

— და ეს შენ არ გაშინებს? — მამა მიკოლაიმ ჯანსაღი ხელით

ასწია უმოძრაო ხელი, იგი მოწყვეტით დაეცა საბანზე. — არც ეს? — და თითი შეშუპებულ თვალებთან მიიტანა.

ვაცეკმა უარით გააქნია თავი. იგი ავადმყოფს რაღაცნაირი თავდავიწყებული აღტაცებით უყურებდა... ასეთი რამ ზბიგნევს სვენტოჟიციის მონასტერში წმიდა პანტელეიმონის ხატის წინ უნახავს ერთხელ. შვილის მორჩენის მოიმედე გლეხი ქალი ამგვარივე სასოებით შეჰყურებდა ხატს.

— განა ასეთად აგიწერა მამაშენმა ჩემი თავი? ის ხომ თავისი სიყვარულისა და სიწრფელის გამო მრავალ არარსებულ ღირსებას მომაწერს ხოლმე...

— ასეთად, — მოკლედ მიუგი ბიჭმა. — და თქვენ ასეთი ბრძანდებით!

სუსტმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე ავადმყოფს. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ბიჭს ხშირ თმაზელა გადაუსვა ხელი.

ამ სცენის შემყურე ზბიგნევი კი ფიქრობდა: „მართალი უთქვამთ, სიყვარული ბრმა არისო... ანდა იქნებ სიყვარული სწორედაც არ არის ბრმა და მოსიყვარულე ადამიანი ხედავს იმას, რაც ცივი და უსულგულო კაცის მხედველობისთვის შეუმჩნეველია?..“

— ოჰო, ზბიგნევიც აქ არის? — თქვა მამა მიკოლაიმ და გაჭირვებით მიატრიალა მისკენ თვალები. — დაიმახსოვრე, დომინე დონერ, თვალის კაკლის მოძრაობა შესამჩნევად შემისუსტდა. ეს დაკვირვება მამა ემერიხს გამოადგება... ახლოს მოდი ზბიშეკ, მე შენთვის ვარმიის რუკა მოვამზადებინე.

რადგანაც ეჟიმ მტკიცე გადაწყვეტილებით გაშალა ხელები და ავადმყოფსა და სტუმარს შორის ჩადგა, კოპერნიკმა რბილად დაურთო:

— ნუ ღელავ, ეჟი, ჩემო ძველო თანამებრძოლო! მამა ემერიხს შენს თავს არ დავატუქვსინებ! — მერე სტუმრებს მოხედა და თავისი ჩვეული ოდნავ გამკრთალი ღიმილით თქვა: — ვინ იფიქრებს, რომ ორი ასეთი ბერიკაცი, როგორებიც მე და ეჟი ვართ, ოდესღაც ალყაშემორტყმულ ოლშტინის კედელზე იდგა და მეტისმეტად გამეცადინებულ კშიჟაკებს ზარბაზნებს უშენდა! ჩემი სტუმრები, ეჟი, ჩემი ძალიან მახლობელნი არიან და შეგიძლია ენდო! შენ კი ჯერჯერობით წადი, დაისვენე... — მერე მაინც ვერ მოითმინა და დაურთო: — ნიურნბერგიდან შიკრიკი თუ მოვიდა, შუაღამეც რომ იყოს, შემოიყვანეთ ჩემთან!

კოპერნიკი დადუმდა, სანამ მამა დონერი გავიდოდა და ნაღვლიანად დაატანა:

— დაიღალნენ ჩემი მოვლით... სანამ თავს ვერევი, ვცდილობ, ნაკლებად გავაბეზრო... მაგრამ ეს იშვიათადღა შემიძლია... კარგი

ბიჭი გყოლია, კასპერ! შენ და ვანდასგან ყველაფერი კარგი გამოჰ-ყოლია...

ზბიგნევმა თითქმის შიშით შენიშნა, რომ მამა მიკოლაის თვა-ლებში რაღაც უჩვეულო შუქი გაკრთა და უმალვე ჩაქრა.

— მეტკინა, — წაიჩურჩულა კანონიკმა, გაჭირვებით შეაცურა ბალიშქვეშ ხელი და ნაჭერს დაუწყო ძებნა. მაგრამ სანამ ნაჭერს სახესთან მიიტანდა, ცხვირიდან სქელი, მუქი ფერის სისხლი წას-კდა, — განა... განუსია!.. — დაიძახა საწყალობლად.

— აჰა, კიდევ ბევრი ილაპარაკა! — ყველრებით თქვა კარში გამოჩენილმა ეჟი დონერმა. ზბიგნევის უსიტყვო კითხვაზე მან მხო-ლოდ შეშფოთებით გაშალა ხელები. — წუთი წუთზეა მოსალოდ-ნელი... არქიეპისკოპოსი ემირიხი ჩემზე გამოცდილი მედიკია, მაგ-რამ მასაც შეეშალა ანგარიში... მან გამოითვალა, მამა მიკოლაი თა-ვისი სამოცდაათი წლის თავზე გადაბარგდებაო მარადიულ ქვეყა-ნაში, ამან კი ცხრამეტი თებერვლის შემდეგ, დიდება უფალს, სამ თვეს კიდევ გაატანა. წინა კვირას მისი მდგომარეობა გამომჯობინ-და კიდევაც.

თან ამას ლაპარაკობდა ეჟი დონერი, თან ავადმყოფის სახესთან თასი მიჰქონდა და ფრთხილად უწმენდდა ნიკაპს. კოპერნიკი უკვე ვეღარაფერს ხედავდა და აღარაფერი ესმოდა.

— მომიტევეთ, პანებო, მაგრამ დღეს მეტს ვეღარ გამყოფებთ ამასთან! — გადაჭრით თქვა მოხუცმა.

რაც გინდ ცუდად ეგრძნო თავი მამა მიკოლაის, მაინც ახსოვდა, რომ გდანსკიდან უეჭველად ეწვეოდნენ სტუმრები (ამ დროისათ-ვის მას აუცილებლივ ნახულობდა ან კასპერი, ან ზბიგნევი ან ორი-ვე ერთად) და წინასწარ თადარიგი დაიჭირა, რათა ზბიგნევისთვის ასლის გადასაღებად ვარმიის რუკა მიეცათ.

ახალგაზრდა მასწავლებელს რუკა დანაღვლიანებულმა მოხუც-მა ვოიცეხმა გადასცა.

— ესღაა, რაც დაგვრჩა მამა ალექსანდრე სკულტეტის სამახ-სოვროდ, — თქვა მოხუცებულმა. — არადა, როგორი გეოგრაფი იყო, როგორი ისტორიკოსი!.. მეფე ზიგმუნდის ადგილს კბილებით ჩავაფრინდებოდი... რომ ჩვენი პრუსიის ისტორია დაეწერა!.. ეჰ, ცარიელდება, ცარიელდება მამა მიკოლაის ირგვლივ ყოველივე...

— რატომ ამბობთ სკულტეტიზე, იყოო? — ჰკითხა შეშფოთე-ბულმა ზბიგნევმა. — განა მამა ალექსანდრეს თავს მოხდა რამე? მე კი ჩემს საუკეთესო მოსწავლეებს შევპირდი, მასთან წაგიყვანთ-მეთქი!..

— შორს მოგიხდებათ წაყვანა... რომში... დანტიშეკმა... (უფალ-მა მომიტევოს და, ბისკუპად არც მინდა მოვიხსენიო!) იმ დანტიშეკ-

მა გადაწყვიტა, მამა მიკოლაი ამ ნუგეშის გარეშეც დაეტოვებინა... არადა, როგორ ოცნებობდა პან ექიმი პოლონეთის რუკაზე! პოლონეთის ისტორიაზე! დანტიშეკმა, წყეულ გოზიუსთან ერთად, მამა ალექსანდრეს რაღაც, ღმერთმა იცი რა, ცილი დასწამა... კიდევ კარგი, რომში, პაპის კარზე მას ძმა ჰყავს და როგორღაც გაიმართლა თავი... მაგრამ ვარმიაში მამა ალექსანდრეს უკვე აღარ ჩამოესვლება... ჰო, დაცარიელდა, დაცარიელდა ირგვლივ ყოველივე... გახარებული იყო მამა მიკოლაი თავისი მოსწავლის, რეტიკის გამო (მან ხომ თითქმის მთელი წელი იცხოვრა ჩვენთან), მაგრამ ვინ დააცალა ლუთერანები რეტიკს აქ აღარ უშვებენ, იმათ ეგონათ, რეტიკი ყველაფერს ნახავდა აქ, ყველაფერს წაიკითხავდა და მერე მამა მიკოლაის გმობას მოჰყვებოდა, მაგრამ რეტიკმა — დიდი მამაცი კაცი გამოდგა იგი! — თავის ნაწერებში უფრო განადიდა ჩვენი ექიმი... ჰოდა, წაართვეს კიდევაც ვიტენბერგში კათედრა და ლაიპციგში მოუხდა გადასვლა, — დარდიანად ამოიოხრა მოხუცმა და გაჩუმდა. — სწორედ მაშინ, როდესაც მამა მიკოლაიმ გაიგო, მისი გულისთვის როგორ დევნიდნენ რეტიკს, მეორედ წასკდა სისხლი. პირველად ეს ამბავი რომ შეეთხზა, ვერც წარმოვიდგენდით თუ შეიძლებოდა, ჩვენი ძვირფასი მკურნალი თვითვე გამხდარიყო ავად... მაშინ მთელი ოთხი დღე განუწყვეტლივ სდიოდა ცხვირიდან სისხლი, ლოგინადაც მაშინ ჩავარდა... ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ამ წყეულმა დანტიშეკმა ანა შილინგი ფრომბორკიდან განდევნა... ჰოდა...

ვოიცეხს უცებ ვაცკა მოხვდა თვალში და ტუჩებიღა მოიღეკა. მოხუცი დადუმდა.

— მარტო მამა გიზელა შემოგვივლის ხოლმე როდის-როდის, — კვლავ განაგრძო ერთი წუთის შემდეგ. — არა სცალია, საეპისკოპოსო ბევრ დროს ართმევს... კარგია, რომ თქვენ მაინც მოხვედით მამა მიკოლაის სანახავად... წავა-მოვა და იტყვის: „ის ჩემი ბიჭები ამდენ ხანს რატომ აღარ ჩანანო?“ ამ ბიჭებმა კი, ალბათ, უკვე ორმოც-ორმოც წელს მიუკაკუნეს, ხომ?

— ორმოცდაათსაც მივუკაკუნებთ მალე, — მიუგო ზბიგნევმა.

— მაშ, ეს შენი ბიჭი ასე პატარა რატომაა კასპერ? თუ ამაზე უფროსიცა გყავს?

— გოგო გვყავდა და... მოგვიკვდა... — მიუგო კასპერმა, მერე ვაცკას ხელი მოხვია მხრებზე და მოხუცი მსახურის სენაკიდან გამოვიდა.

პირველი შვილი ისე ძალიან ჰგავდა ვანდას, რომ კასპერი აქამდე ვერ შეგუებოდა მის დაკარგვას.

დახვეული რუკა გაპირვებით გაატია დაბალ კარში ზბიგნევმა და გასულებს მიჰყვა.

დერეფანში ვაცეკი შეჩერდა.

— მამა, — მიმართა მან უხერხულად. — ვინაა ის... ანა შილინგი, მამა, იგივე განუსია?

ზბიგნევმა საყვედურით გადააქნია თავი და ტუჩებზე თითი მიიდო.

შესაძლოა, კასპერმა ვერც შენიშნა ეს ჟესტი, შესაძლოა, შენიშნა კიდევაც, მაგრამ მაინც თქვა:

— რატომღაც ჰგონიათ, ბავშვებთან ანდა, აი, ამისთანა მოზარდებთან სიყვარულზე არ უნდა ილაპარაკოო. თავის მახლობელთაგან, მასწავლებელთაგან, მოძღვართაგან კი ხშირად ისმენენ ომების, ციხესიმაგრეთა ალყის, ახალ მიწათა აღმოჩენების, ველური ტომების გაწყვეტის, ძველი დროის დიდი ადამიანების ამბებს... ეჰ, არ შემიძლია ხატოვანი ლაპარაკი. ზბიშეკ, შენ ყოველივე ამას ჩემზე უკეთესად იტყოდი... მაგრამ ძველი დროის ყველა იმ დიდ ადამიანს, იმ მთავარსარდალსა თუ მეზღვაურს ხომ ჰყავდათ დედები, დები, ცოლები, საცოლეები. ისინი ხომ ეხმარებოდნენ მათ ცხოვრების ჭაპანის გაწევაში, რაღაცის შექმნაში, ბრძოლაში...

— ბრძოლისა რა გითხრა, უფრო ხელს უშლიდნენ, ალბათ, — ღიმილით შენიშნა ზბიგნევმა.

მაგრამ კასპერს მისი ნათქვამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე განაგრძო:

— ვთქვათ, პირველად შეუყვარდა, აი, ისეთს, როგორიც ჩვენი ვაცეკია, ანდა ანჯეი, ან გენიუსი, წმიდა, ნამდვილი სიყვარულით. წიგნებიდან და სიმღერებიდან კი უკვე იცის, რომ ამა და ამ რაინდმა თავისი მიჯნურის გულისათვის ტურნირზე ამდენ და ამდენი კაცი მოკლა, ამან და ამან კი მისი სახელის ხსენებით მტერს თავი გაუჩეხა, მესამემ კიდევ, დაიპყრო ველურთა კუნძული, გაჟლიტა იქაური მკვიდრნი და კუნძულს თავისი სატრფოს სახელი უწოდა... ანდა კიდევ, რომელიღაცა თოკის კიბით გადაძვრა თავისი რჩეულის ოთახში, მოიტაცა იგი და ურჯულო თათარივით უნაგირზე ისე გადაჰკიდა, ქალის ოქროსფერი თმაღა მიჰგავდა მიწას... ვაცეკს ან გენიუსს კი სურს, მხოლოდ სასოებით შესტრფოდეს თავის მიჯნურს, მისი კაბის კალთაზე მთხვევის ღირსი გახდეს მხოლოდ... ჰოდა, ასეთი რომანების წაკითხვის შემდეგ იგი ასკვნის, ჩემი სიყვარული ბავშვური და სასაცილოა, ხოლო თვითონ მე უღირსი კაცი ვარო... არადა, მხოლოდ მისი სიყვარულია ღირსეული... საჭიროა, საჭირო ჩვენს მოზარდებს ველაპარაკოთ ღირსეულ სიყვარულზე! ვასწავლოთ მათ, ღირსეულად უყვარდეთ!

ვაცეკი მოჯადოებულივით შეჰყურებდა მამას, ასეთი ლამაზი არასოდეს სჩვენებია იგი...

— შენ მეკითხები, შვილო, ანა შილინგი ეს ივივე განუსიაააო? ჰო, ასე ეძახდა მასწავლებელი. ფრომბორკის ყველა მსახურმა და ირგვლივ მცხოვრებმა გლეხკაცობამ კი მას ღვთიური ანგელოზი უწოდეს.

ავადმყოფზე ზრუნვა ერთმანეთში გაინაწილეს ეჟი დონორმა, მოხუცმა ვოიცეხმა, მამა ფაბიან ემერიხმა და მამა მიკოლაის მაბლობელმა ლევშემ. დიდი ხანია კოპერნიკმა მან დახმარება სთხოვა, რადგანაც ველარ უძღვებოდა საქმეებს. მემკვიდრეობით ლევშესვე უნდა დარჩენოდა კანონიკატი.

ზბიგნევი ტყუილად წუხდა, ასეთ მძიმე ავადმყოფის საწოლთან მეტისმეტად ბევრნი ფუსფუსებენო: გდანსკელ სტუმრებსაც გამოუჩნდა საქმე. მამა ეჟიც, ვოიცეხიცა და მამა ემერიხიც ხნიერნი იყვნენ და უჭირდათ დამძიმებული, შესუქებული მამა მიკოლაის აწევა, როდესაც ლოგინის გასწორება იყო საჭირო. „ახალგაზრდა ლევშეც“ არ იყო მთლად ახალგაზრდა, თუმცა გდანსკელებზე ათი წლით მაინც იყო უმცროსი. მას, კაბინეტის კაცის შესაფერისად, მთელი სიცოცხლე ოთხ კედელშუა გაეტარებინა და, სუსტი ჯანმრთელობის გამო, ცუდი დამხმარე გამოდგა.

ზბიგნევი და კასპერი ადვილად და მოხერხებულად სწევდნენ ავადმყოფს, ხოლო როდესაც მამა მიკოლაი ცოტას მოიხედავდა, გადაჭდობილ ხელებზე ისვამდნენ, ფანჯარასთან მიჰყავდათ და ვარსკვლავების ცქერით ატკბობდნენ.

თუმცა, ერთ საღამოს მამა ემერიხმა სამივეს მოულოდნელად წაასწრო ფანჯარასთან და გვარიანად შეაჩვენა მეზღვაურიცა და მასწავლებელიც; თქვენ არ იცით მედიცინის კანონები, აწუხებთ მამა მიკოლაის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანით და არ აცდით თავის ტვინში გაწყვეტილ უმცირეს სისხლძარღვს მოშუშებას, ამან კი შეიძლება შეაფერხოს მისი საბოლოო გამომჯობინებაო.

გამოცდილმა მედიკმა, დოქტორმა კოპერნიკმა მხოლოდ ნაღვლიანი ღიმილით უპასუხა თავის თანამებრძოლის ნათქვამს.

შიგა და შიგ, გონს რომ მოდიოდა, მამა მიკოლაი კასპერს სთხოვდა ეამბნა იმ მშვენიერ ქვეყნებზე, სადაც მას ყოფნა მოხდენია. ზბიგნევი კი ავადმყოფს თავისი მომავალი შრომის — პოლონეთის ისტორიის — გეგმებს აცნობდა.

ვაცეკი დღე და ღამ გვერდიდან არ სცილდებოდა ავადმყოფს. იგი მამა მიკოლაის ერთი გამოხედვითაც მამასა და ბიძაზე უკეთესად, ექიმებსა და მის მახლობლებზე უკეთესაც ხვდებოდა, რა სურ-

და ავადმყოფს. ხანდახან კი, სასთუმალთან მჯდომი, მიტა ძალოსა და ურშულა დეიდას მოტაცების ამბავს უყვებოდა, რომელიც თითქმის ზეპირად იცოდა.

მოთხრობის ერთსა და იმავე ადგილს კოპერნიკის გამტკნარებულ ტუჩებზე სუსტი ღიმილი გადაირბენდა ხოლმე.

ვაცეკიც, ავადმყოფი არ დავიღალოო, ხშირად ამ ადგილიდან იწყებდა მოყოლას:

— ჰოდა, რეიტერების უფროსი ძია ფრანეკს ეუბნება თურმე: „ყური მიგდე, არ შეიძლება მარხილს რაღაც საკეტი გავუკეთოთ? ჩემი ჯარისკაცები ღელავენ: ომში სიკვდილი სხვა საქმეა, მოულოდნელად თუ ყელი გამოგღადრეს კიდევ...“ მისმენთ, თქვენო მაღალღირსებავ?

კოპერნიკი უხმოდ უშვებდა წამწამებს.

— ძია ფრანეკს უპასუხია: მარხილის კარს დავლურსმავთ და მონაზვნები ვეღარ გადმოხტებიანო...

ამ ადგილას ვაცეკი მამა მიკოლაის ღიმილს ღრუბლებიდან მზის გამოშუქებასავით ელოდა.

კოპერნიკი უკვე დიდი გაჭირვებით ლაპარაკობდა და, რა გინდ საოცარიც იყოს, რამდენიმე დღეში ვაცეკი გაცილებით უკეთ მიეჩვია მის გაუგებარ მეტყველებას, ვიდრე ავადმყოფთან საგანგებოდ მიჩენილი ხალხი.

ამიტომაც, ეზოში ყოველ გახმაურებაზე მიყურადებით, გატანჯული მამა მიკოლაი (მას ჯერ კიდევ კარგად ემსახურებოდა სმენა) დღეში სამჯერ თუ ოთხჯერ იმედიანი შეკითხვით რომ მიაპყრობდა ხოლმე მზერას, ბიჭი ძლივს იკავებდა ცრემლებს და უარის ნიშნად აქნევდა თავს.

ეს იმას ნიშნავდა, რომ მამა მიკოლაიმ კვლავ ნიურნბერგიდან ჩამოსული შიკრიკი მოიკითხა.

ნიურნერგიდან შიკრიკი 24 მაისის ღამეს ჩამოვიდა.

ფანჯრიდან ცხენის ფლოქვის ხმა, ლაპარაკი, შემდეგ დერეფნიდან ნაბიჯის ხმაც რომ გაიგონა, ვაცეკმა შიშით გახედა მამა მიკოლაის: მას, სისხლღებინებისგან გატანჯულს, ნახევრად გრძნობამიხდილს, ის-ის იყო, წაეთვლიმა.

ფერმკრთალ სახეს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა, წამწამებიც ჯერ აღარ უკრთოდა.

ბიჭი ფეხაკრეფით გამოსხლტა კარში და დერეფანში მამა დონერს შეეჩეხა. სიხარულით გაბრწყინებულ მოხუცს ძლივს მოჰქონდა ვეება პაკეტი.

— აგერ — ამოთქვა ქშენით, — ნიურნბერგიდან გამოგზავნეს

მამა მიკოლაის წიგნი! — და მეტის თქმა რომ ვეღარ შეძლო, კედელს მიეყრდნო.

მძინარე ავადმყოფის ღამით შეწუხება ვერავინ გაბედა.

დილის წირვა უკვე გამოსული იყო, როდესაც მამა მიკოლაი გონს მოვიდა.

ეს საზეიმო მოვლენა რომ ედღესასწაულათ, კასპერმა, ზბიგნევმა და ლევშემ გადაწყვიტეს, ავადმყოფთან მოეყარათ თავი, მაგრამ მამა დონერმა გადაჭრით განაცხადა უარი.

— მივუტან თავის ნაშრომს, ხელის შეხებით მაინც იცნოს. თვალები უკვე მიშრეტილი აქვს! ზედმეტი ხალხი ასეთ დროს არაა საჭირო! მომეხმარე, ვაციუს!

და მძიმეფოლიანტჩახუტებული ვაცეკი ორ-ორ, სამ-სამ კიბეზე ხტომით ავარდა მაღლა.

— აი, ძმაო მიკოლაი, შეხი „გარემოქცევა", — ავადმყოფთან შესული მამა ეჟი ლამის ტიროდა სიხარულისგან. — მოვიდა ბოლოს და ბოლოს ნიურნბერგიდან შიკრიკი! — და კოპერნიკს მუხლებზე დაადო უზარმაზარი, ჯერ კიდევ სტამბის საღებავების სუნით გაჟღენთილი ტომი.

ვაცეკი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ძვირფას, ერთბაშად ნათლითმოსილ სახეს.

მამა მიკოლაიმ გაჭირვებით გამოიღო საბნიდან ხელი და შეეცადა გადაეშალა მძიმე ყდა. ვაცეკი მიეხმარა.

შემდეგ ავადმყოფმა დაღლილად დახუჭა თვალები. ხელი წიგნზე დაუვარდა და აღარც განძრეულა.

— ძმაო მიკოლაი, მისმენ? — დაელაპარაკა მამა დონერი.

შეშფოთებული ექიმი ავადმყოფის მაჯას წასწვდა. შემდეგ კოპერნიკის საწოლთან მუხლებზე დაეშვა და შეშინებული ბიჭიც აიძულა, დაჩოქილიყო.

— არ მჯერა, არ მჯერა! — ქვითქვითებდა მოხუცებული. — არ მჯერა, რაღა ამ დღეს! ღმერთო მოწყალევ, თავის შრომას ელოდა თითქოს, და უცებ...

ვაცეკმა კარის ჭრიალზე მიიხედა უკან.

ოთახში კასპერი, ზბიგნევი და ლევშე შემოსულიყვნენ. აწრიალებულები ვაცეკს აღარ დალოდებოდნენ დაბლა.

დაუყოვნებლივ გაგზავნეს კაცი ფაბიან ემერიხთან. მას ვოიცეხიც ამოჰყვა თან.

მოხუცი მსახური არა ტიროდა. მისმა ბატონმა და მეგობარმა მიაჩვია, მშვიდად შეხვედროდა ა მ დ ღ ე ს.

— უფალო ჩემო, ახლა მეც ნუღარ მამყოფებ დიდხანს დედამიწაზე! — წარმოთქვა და პირჯვარი გამოისახა.

მამა ემერიხი მივიდა ავადმყოფთან. მაჯა გაუსინჯა, გულზე ყური დაადო, შემდეგ აჩქარებით მივიდა ფანჯარასთან და ფარდა გასწია. შემდეგ მამა მიკოლაის ტუჩებთან სარკე მიუტანა. მინის ზედაპირი კრიალა, დაუბურავი დარჩა.

— Nicolaus Copernicus mortus est![1] — ემერიხმა ხმამაღლა აუწყათ ის, რაც მის მოსვლამდე მამა მიკოლაის საწოლთან თავშეყრილებმა უკვე იცოდნენ. — ვილოცოთ, შვილნო ჩემნო!

ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ციხე-დარბაზის კრამიტის სახურავზე ვიღაცის მძიმე ნაბიჯები აბრახუნდა: მამა ემერიხმა ბრძანა, ფრომბორკის ციხე-დარბაზის თავზე ალამი დაეშვათ.

კიდევ რამდენიმე წუთიც და გაზაფხულის ჰაერი გაჰკვეთა მწუხარების მაუწყებელმა, სამგლოვიარო ზარის მკვეთრმა ხმამ.

ძვირფასი მეგობრისა და თანამოძმის, მიკოლაი კოპერნიკის აღსრულების ცნობა ხელმის ეპისკოპოსს კრაკოვში ეუწყა.

„თქვენო უსამღვდელოესობავ, აღარაა ამ ქვეყნად მიკოლაი კოპერნიკი!“ — ატყობინებდა მას კასპერ ბერნატი.

თავისი მეგობრის ვერც მარადიულ ქვეყანაში გამგზავრებას დაესწრო მამა გიზე, ვერც უკანასკნელად აზიარა და ვერც საბოლოო გზაზე გააცილა იგი.

მისმა სწრაფმა შიკრიკმა რამდენიმე დღე-ღამე იარა ჭენებით, ოთხი ცხენი მოღალა და გდანსკელ სტუმრებს აცნობა ბისკუპის თხოვნა, ფრომბორკში მის ჩასვლას დალოდებოდნენ. მამა ტიდემანმა იცოდა, როგორ უყვარდათ ერთმანეთი კაპიტან ბერნატსა და კანონიკ კოპერნიკს, ამიტომ უნდოდა მიკოლაის აღსრულების ამბავი მისი ახლობელი კაცისგან მოესმინა.

პან დოქტორ კოპერნიკის დაკრძალვა დიდხანს ახსოვდა იქაურ გლეხობას. ასეთ გრძელ დასაკრძალავ პროცესიას არასოდეს შესწრებიან ისინი. უზარმაზარი საკათედრო მონასტერი ვერ იტევდა მასთან გამოთხოვების ყველა მსურველს.

მაგრამ ვარმიის კაპიტულის წევრთაგან მამა მიკოლაის ანდერძის ასაგებად მხოლოდ ოთხი კაცი მოვიდა. დანარჩენები დიაცეზში იყვნენ წასულ-წამოსულები. კრაკოვიდან კი, მეფის სასახლიდან, დაკრძალვაზე დასწრებით თავისი პატივი არავის გამოუხატავს.

სამგლოვიარო პროცესია ქალაქის კარიბჭიდან ფრომბორკის ციხე-დარბაზსა და თვით კატედრამდე[2] იყო გაჭიმული. გზის ორივე მხარეც ხალხით იყო გაჭედილი. ახლომახლო სოფლებში მცხოვ-

---

[1] ნიკოლაი კოპერნიკი გარდაიცვალა (ლათ.).

[2] კატედრა (პოლ.) — საკათედრო ტაძარი.

რებთ, რომელთაც სურდათ თავისი ძვირფასი მოძღვარი, ექიმი და ქომაგი გაეცილებინათ, წარამარა უერთდებოდნენ ბრანეევის, მალბორკის, ლიძბარკისა და ოლშტინის გლეხობა... ძლივს მოლასლასდნენ გამტვერიანებული, გასავათებული გლეხები ორდენის კვიძინიიდან. მათ დასაფლავებიდან ერთი კვირის შემდეგღა ჩამოაღწიეს ფრომბორკს და ტაძარში შეჯარდნენ, რათა ელოცათ იმ სამარესთან, სადაც მათი საყვარელი მამა მიკოლაი განისვენებდა ბისკუპ ლუკაშ ვაცენროდის გვერდით.

ყველას, ვინც კი მიაცილებდა მამა მიკოლაის, მადლიანი სიტყვით მოსახსენიებელი რაღაც სიკეთე ახსოვდა მისგან... ამას შვილი გადაურჩინა სიკვდილისაგან, იმას ცოლი მოურჩინა, ამ ქალს ძროხა უყიდა, ის სამი ახალგაზრდა ციხიდან გაათავისუფლა.

ხალხის ცრემლები, კანონიკის გულმოწყალებაზე, მის საექიმო ხელოვნებაზე საუბარი მიაცილებდა განსვენებულს სამარის კარამდე.

ვაცეკი ბალახში პირქვეჩამხობილი იწვა, როდესაც ზარის ხმამ მრევლს ამცნო, რომ ფრომბორკში ჩამობრძანდაო მისი უსამღვდელოესობა ხელმის ეპისკოპოსი ტიდემან გიზე.

უკვე ნამდვილი გაზაფხული თუ იდგა, ხეებს თუ უკვე გამოეხასხასებინა მზეზე მხიარულად მბრწყინავი ფოთლები, ბიჭმა აქამდე არც იცოდა. მამა მიკოლაის ნახევრად ჩაბნელებულ განსასვენებელში მან ათ დღეზე მეტი გაატარა და ამ ხნის მანძილზე იშვიათად თუ გამოიხედავდა ფანჯრიდან. ვაცეკმა უცებ სინანულით შეიგრძნო, რომ აღარ უნდოდა შინ წასვლა, ახლა უკვე ვერც ვანდუსია, ვერც პატარა ძმები, ვერც დედამისი ვანდა ვერ შესცვლიდნენ იმ კაცს, რომელთან შეხვედრასაც ორ წელს ელოდებოდა და ვისი ცხედარიც ფრომბორკის მონასტრამდე მიაცილა.

ახლა, ამ ჭალაში ხალხისაგან განმარტოებული ბიჭი ციხე-დარბაზში ყოფნის ყოველ დღეს თანმიმდევრობით იგონებდა. ერთხელ, უკეთესად ყოფნის წუთებში, მამა მიკოლაიმ უბრძანა, კედლის კარადიდან ქაღალდების შეკვრა გადმოეღო.

— აქ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი წერილებია, გეგმები, ნახაზები და არ მინდა, ვიღაც გულცივი ადამიანის ხელში ჩავარდეს!

ბუხარი გახურებული იყო. გაზაფხულობით ციხე-დარბაზში ყოველთვის სინესტე იგრძნობოდა და მამა მიკოლაის დალიანდაგებულ თბილ საბანშიც კი სციოდა.

— მთელი ეგ შეკვრა ცეცხლში შეაგდე, ჩემო ბიჭო! — უბრძანა კანონიკმა,

ვაცეკმა გულისკანკალით გაარჩია შეკვრაში თავისი უშნო ნახა-

ზები და უხეირო ქაღალდზე მსხვილი ასოებით გამოყვანილი წერილები.

„მაშ, მამა მიკოლაიმ ამათზეც თქვა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასიაო!“

ლამაზი ოქროვარაყიანი ქაღალდების დასტა, წვრილი, გარკვეული ხელით ნაწერი, ჯვარედინად იყო შეკრული აბრეშუმის ბრტყელი ლენტით, მაგრამ ლენტიდან მაინც მოჩანდა, რომ თითქმის ყველა ქაღალდის ფურცელზე იდო გამხმარი შროშანის ღერო.

— ესეც შევაგდო ცეცხლში? — სინანულით იკითხა ვაცეკმა.

— ეგ პირველ რიგში! — მიუგო კოპერნიკმა, მაგრამ ხმა შეუკრთა.

— ეს რვეულიც?

— მოიცა... ეგ ხომ კასპერ ბერნატის დღიურია! ნუ დავწვავთ! მამას მიეცი!

ბუხარშივე შეუძახეს მამა გიზეს მოხსენების ასლი ოლშტინის ალყის თაობაზე.

— ახლა მარტო დამტოვე, — უთხრა მამა მიკოლაიმ, როდესაც ვაცეკმა, მისივე ბრძანებით, საჩხრეკი კარგად აურია ცეცხლს. — წარსულს უნდა გამოვეთხოვო, როგორც საჭიროა.

ბალახის, ნორჩი წიწვისა და შარშანდელ, ჩამჩქვლარ ფოთლებზე ამოყრილი სოკოს სუსტი, ნაზი სუნი იდგა ტყეში. მონაბერმა ქარმა საიდანღაც მოტკბო, ამო სურნელი მოჰფინა მიდამოს.

„შროშანა! — წამოხტა ვაცეკი. — უკვე აყვავებულა შროშანა! ბლომად უნდა დავკრიფო და მამა მიკოლაის საფლავზე მივუტანო, შროშანა მისი საყვარელი ყვავილია.“

ლამაზი, ხანში შესული ქალბატონი ხშირ, სულ რამდენიმე დღეში ამობიბინებულ ბალახში იდგა და შროშანის დიდი თაიგული ეჭირა ხელში.

რომ დაინახა, ბიჭმა ძლივს შეაგროვა თეთრი, პაწაწა მთრთოლვარე მძიევების მომცრო კონა და მერე ამაოდღა ფათურობდა ბუჩქებში, ამაოდღა დაბორიალობდა ხის ძირებთან, ქალმა ალერსით უთხრა:

— საბრალო... მე მოვიარე მთელი ჭალა... შენ თითქმის აღარაფერი დაგიტოვე! ჩემი თაიგულიდან ნახევარს მოგცემდი, მაგრამ იგი ერთ კაცს აღვუთქვი უკვე... ერთ გარდაცვლილს, მაგრამ უკვდავ კაცს! ოღონდ, პან იესო, როგორ გამიჭირდება ყველას დასანახად კატედრაში ყვავილების მიტანა!

— კანონიკ მიკოლაის? — წამოიძახა რაღაც ალღოთი მიხვედ-

რილმა ვაცეკმა. — თქვენ თუ გაგიჟირდებათ, მე მივიტან თქვენ მაგივრად... შროშანებს მეც მამა მიკოლაისთვის ვკრეფდი...

ქალბატონმა ორივე კონა შეაერთა და ლენტით შეკრა.

— ასე, — თქვა მან. — ლოცვით კი აქვე, ამ ჭალაში ვილოცებ მისთვის.

ქალაქისაკენ მიმავალმა ვაცეკმა ტყის განაპირას მდგარი პატარა ლამაზი კარეტა დაინახა. კოფოზე მჯდარი მეეტლე მათრახით იგერიებდა ბუზანკალებს და შეშფოთებული მიშტერებოდა ჭალის სიღრმეს.

ვაცეკმა არც იცოდა, ვეება თაიგული რომ დაადო მდიდრული საფლავის მარმარილოს, ეპისკოპოს იან დანტიშეკს როგორ გამოაცალა ხელიდან შესაძლებლობა, ანა შილინგი ჩადენილ დანაშაულში ემხილებინა. ანა შილინგის ფრომბორკში ჩასვლაზე დარხეული ხმები ხმებადვე დარჩა.

მაინც, ოთხი თვის შემდეგ, 1543 წლის 13 სექტემბერს კაპიტულში გაგზავნილ თავის სამოძღვრო ეპისტოლეში იან დანტიშეკმა შესაძლებლად სცნო, ანა შილინგის ჩასვლა ეხსენებინა, თუმცა დამოწმებით ვერავის იმოწმებდა:

„ვერ მოგიწონებთ იმას, რომ ქალი, რომელიც ჩვენი დიაცეზის საზღვრებიდან გავდევნეთ, ხალხის ლაპარაკით, კვლავ ჩამოსულა თქვენთან. სულ ერთია, ჩამოსვლის მიზეზი რაც გინდ იყოს. იქმნება საშიშროება, რომ ეგ ქალი, განსვენებულის მსგავსად, რომელიც მაგან მოხიბლა, კვლავ შეძლებს, ძვირფასნო ძმანო, რომელიმე თქვენგანის ტყვედ ქმნას. რა თქმა უნდა, ნება თქვენია, მისცემთ თუ არა მაგ ქალს თქვენს ქალაქში ყოფნის უფლებას. ჩვენ მაინც უმჯობესად ჩავთვლით, თუ მაგ შავი ჭირისაგან თავს შორს დაიჭერთ და მოუსპობთ საშუალებას...“

თავი მეხამეი

ნაშრომი მთელი სიცოცხლისა

ტიდემან გიზეს უკვე გადაეტანა სიმწრის პირველი შემოტევა. მთელი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ძმა მიკოლაის გარდაცვალების ცნობა მიიღო. გულისტკივილით ისიც გაიგო, ამ ცნობას როგორ შეხვდნენ სამეფო კარზე, რომელიც იმ ხანად ველკაია ვეს-ში დღესასწაულზე იყო წასული.

მთელი პოლონეთის ძაძით შემოსვის ნაცვლად, მომხდარ ამბავს

ის მნიშვნელობა მისცეს, რომ კოპერნიკის სიკვდილით გათავისუფლდა კანონიკატის ახალი პრეტენდენტის ადგილი. თუმცა დიდი ხნის წინ არსებობდა შეთანხმება, რომ მამა მიკოლაის შესცვლიდა მისი მახლობელი ლევეშე, რომელიც ისედაც ასრულებდა კანონიკის ავადმყოფობაში მის მოვალეობას, დედოფალმა ბონამ დანტიშეკს აცნობა, ეს გათავისუფლებული შემოსავლიანი ადგილი, მაინცდამაინც დიდ საზრუნავს რომ არ მოითხოვს, უნდა გადაეცესო იან ვოლსკის. იგი, აგერ, უკვე მთელი წელიწადია, მოუთმენლად იცდისო.

ფრომბორკის გზაზე თავის ბრწყინვალე კარეტით მოირწეოდა ტიდემან გიზე, ყოველივე ამას ფიქრობდა და უღონო სიბრაზით მუშტავდა თავის პატარა, გამხდარ ხელებს.

განსვენებულის ხსოვნის ასეთი უგულვებელყოფა, ბოლოს და ბოლოს, მეფისა და მის თანაზიართა სინდისზე დარჩება... მათთან ანგარიშს ისტორია გაასწორებს!

ძმა მიკოლაი არასოდეს აძლევდა დიდ მნიშვნელობას სასახლის აზრს, არ ეძიებდა დიდებულთა მფარველობას, არ ესწრაფვოდა სწრაფწარმავალსა და ფუჭ დიდებას... და განსჯის მასა და დიდებულთა ამა სოფლისას იგივე ი ს ტ ო რ ი ა!

მაგრამ ერთმა გარემოებამ უშუალოდ შეურაცხყო განსვენებულის ხსოვნა. მეტიც — მან თითქმის არარაობამდე დაიყვანა უდიდესი ასტრონომის იმდენი წლის ნადვაწი! ბისკუპმა კასპერ ბერნატს აცნობა, უკან დაბრუნებისას იძულებული ვიქნები ხელმშჩინაში შევყოვნდეო, მაგრამ ლიუბავაში ჩასვლისთანავე ხელახლა ისე გაუდგა გზას, არც დაუსვენია იმ მოქანცველი სასახლის ზეიმის შემდეგ, არც თავის სამოძღვრო მოვალეობას შესდგომია. საქმე ის იყო, რომ ლიუბავაში მას უკვე ელოდა იოახიმ დე ლაუხენის მიერ გამოგზავნილი ძმა მიკოლაის „გარემოქცევის“ ახლადდაბეჭდილი ეგზემპლარი.

გახდაში მისახმარებლად, აგრეთვე მეორე დღისათვის განკარგულების მისაღებად შესულმა მსახურმა გაოცებით დაინახა, რომ მისი ბატონი საღამურ ტანსაცმელში უჯდა საწერ მაგიდას, იატაკზე კი სტამბის საღებავებისაგან ჯერ ისევ ერთმანეთზე გვერდებმიწებებული წიგნიდან ამოგლეჯილი ფურცლები ეყარა.

— მოხვედი? — ძალიან კარგი! — უთხრა ბისკუპმა. მერე სანთელი მოითხოვა და მაშინვე დალუქა ორი პაკეტი. — წაიღე, ,,ს ნიურნბერგში უნდა გაიგზავნოს ტიპოგრაფ პეტრეისთან, ეს კი — ლაიპციგში, იოახიმ დე ლაუხენთან! აჩქარდი... საჯინიბოში უთხარი, დაუყოვნებლივ შეაბან კარეტა, ხოლო ფრომბორკში წინასწარ ცხენოსანი შიკრიკი გაგზავნონ...

უკიდურესად შეშინებული მსახური დერეფანში გაუჩინარდა. თავისი ღვთისნიერი ბატონის ასეთი განრისხებული სახე არასოდეს ენახა მას.

ამ ჯეილმა იმ წამსვე გუნებაში გადაწყვიტა, ბისკუპის გამგზავრებისთანავე ავკრეფო დაჭმუჭნილ ფურცლებს, გავასწორებ და გავიგებ ჩემი ბატონის განრისხებისა თუ მოულოდნელად წასვლის მიზეზსო. საქმე ის იყო, რომ ტიდემან გიზემდე ხელმის ეპარქიას იან დანტიშეკი განაგებდა, ის იან დანშიტეკი, ახლა ასე რომ წაწეულიყო წინ... თვითონ არასოდეს თაკილობდა მსტოვრობას და თავისი მსახურებიც მიაჩვია ამ საქმეს. შესაძლებელი იყო, ამოგლეჯილი ქაღალდები რაიმე საიდუმლოებას ფარავდა, მაშინ მისი უსამღვდელოესობა ვარმიის ბისკუპი იან დანტიშეკი მსახურისთვის გულუხვ საჩუქარს არ დაიშურებდა!

მაგრამ მსახური ეპისკოპოსთან მოსახსენებლად რომ შევიდა, კარტა შებმულიაო, იატაკზე ამოგლეჯილი ქაღალდის ფურცლები ვეღარ ნახა.

წინ წასულმა შიკრიკმა ფრომბორკში მყოფთ აცნობა, ჩემ შემდეგ ხელმის ეპისკოპოსის ჩამოსვლას მოელოდეთო.

ტაძრის კარიბჭის კედელთან აკრულმა ვაცეკმა წინ გაატარა მამა მიკოლაი კოპერნიკის საუკუნო განსასვენებლისაკენ მიმავალი ხელმის ეპისკოპოსის თანმხლები საერო და სასულიერო პირები.

რა კარგია, რომ ვაცეკმა მოასწრო და მათ მოსვლამდე მიიტანა ყვავილები.

მამა მიკოლაი ბიჭმა უმალვე იცნო, მაგრამ იმიტომ სულაც არა, რომ წინასწარ უთხრეს, მასთან მიგვყავხარო. მან მეცნიერი იცნო მისი თვალების, მისი უჩვეულო ღიმილის და იმ გამოუცნობი თრთოლვის გამო, სადღაც, გულის კუნჭულში რომ იგრძნო... მამა გიზე კი, თუმცა ძალზე ბევრს და პატივისცემით ლაპარაკობდნენ ბერნატებისა და სუხოდოლსკების ოჯახებში, ბიჭმა თავიდან ვერც გამოარჩია თანმხლებ ხალხში. სოსან სამოსსა და მიტრაზე რომ შეხედა (ეპისკოპოსი მეგობრის სამარესთან სულისმოსახსენიებელი წირვის გადასახდელად მობრძანდა), ვაცეკი მაშინღა მიხვდა, ეს პატარა, გალეული მოხუცებული ტიდემან გიზე იქნებაო! რა უბადრუკი შესახედაობის იყო იგი, როგორ არ შეშვენოდა ძვირფასი მანტია!

მამა და ბიძა ეპისკოპოსს მოუთმენლად ელოდნენ. ფრომბორკის კაპიტული მისი უსამღვდელოესობის საკადრისი დახვედრისათვის ემზადებოდა. ახლა ტიდემან გიზე ციხე-დარბაზში დაბრუნდება და ალბათ მთელი ეს მორთულ-მოკაზმული ბატონებიც თან გაჰყვე-

ბიან... არა, ვაცეკი ციხე-დარბაზში არ წავა, კვლავ ტყეს მიაშურებს. იქნებ ის ქალბატონი... თუმცა, რაა დასამალი... იქნებ ანა შილინგი ჯერ არ წასულა? რა საწყენია, რომ საპირო აზრები გვიან მოგდის თავში! ხომ შეეძლო ესაუბრა... ანდა სულაც მდუმარედ მდგარიყო მასთან... ხომ იცნობდა, ხომ უყვარდა მას მამა მიკოლაი!

თვლების ორი ღრმა ნაკვალევი ტყის პირიდან ფრომბორკის გზისაკენ უხვევდა, ვაცეკი ანა შილინგის კვალს გაჰყვა. აქედან გზა გდანსკის შლიახისაკენ გაბრუნდა.

ბიჭი მზის ჩასვლამდე ჩიტავაშლას ბუჩქებში იწვა და საღამოობა დაბრუნდა ციხე-დარბაზში. იქვე, ტყეში, ვაცეკმა დაასკვნა, რომ ყველა გეგმა, რასაც გდანსკიდან ფრომბორკში მიმავალი აწყობდა, ჩაეფუშა.

ახლა მიკოლაი კოპერნიკის ნაშრომი უკვე ათას ცალადაა დაბეჭდილი. ათასი კაცი, დღეს არა, ხვალ გაეცნობა მას. ეკლესიის ბნელი მსახურნი კი ვეღარას ავნებენ მას, ვინც ფრომბორკის მდიდრულ ტაძარში განისვენებს! როგორა თქვა ანა შილინგმა? — „გარდაცვლილი, მაგრამ უკვდავი კაციო“...

იარო ქალაქად და სოფლად, იქადაგო კოპერნიკის მოძღვრება! — როდესაც ვაცეკს ამის თაობაზე მამა მიკოლაისთან სიტყვა წამოსცდა, მან თავისკენ მიიზიდა ბიჭი და თავზე ლიმილით გადაუსვა ხელი.

„იმისათვის, რომ იარო და, როგორც შენ ამბობ, იქადაგო ჩემი მოძღვრება, ცოდნით უნდა იყო აღჭურვილი“, — უთხრა მან.

მამა მიკოლაიმ ვაცეკს პირობა ჩამოართვა, რომ მომავალ წელს განთქმულ კრაკოვის აკადემიაში იგი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა სამაგალითო და მოწინავე სტუდენტი გამხდარიყო.

„ასეთ შემთხვევაში გიწინასწარმეტყველებ, რომ შენგან ასტრონომი, თანაც წარმატებული ასტრონომი დადგება“, — უთხრა მან დარწმუნებით.

სანამ ზევით ავიდოდა, სადაც ნახევრად ბნელ ოთახში თვითონ, მამამისი და ძია ზბიგნევი ცხოვრობდნენ, ვაცეკმა ვოიცეხის პატარა სენაკში შეიხედა.

— სტუმრები წავიდნენ? — იკითხა ბიჭმა.

— მისაღებში ეპისკოპოსიღაა, მამაშენი, ბიძაშენი და კიდეე ლეშე... დანარჩენები მისმა უსამღვდელოესობამ გაისტუმრა... მამა გიზემ ორჯერ გიკითხა. არ მოიქეცი კარგად! მამაშენსა და ბიძაშენს შენი წარდგენა უნდოდათ.

ვაცეკმა მამა მიკოლაის ყოფილ მისაღებში რომ შეიხედა, მიხ-

ვდა, ახლა არც ეპისკოპოს გიზეს, არც მამასა და არც ბიძას არ ეცალათ მისთვის.

მღელვარებისგან ლოყებაჭრელებული ტიდემან გიზე ისეთი გამალებული ნაბიჯებით სერავდა ოთახს, მისი აბრეშუმის სამოსი-ლა სიოდა მხოლოდ. ძია ზბიშეკი გაყვითლებულ-გამწვანებული იჯდა და თავი ხელზე ჩამოედო. მამას კი... შეშინებულმა ვაცეკმა უკანაც ღაიხია. დიდი ხნის შეხორცებული და გადასწორებული ნაიარევები კაპიტან ბერნატს ახლა ლურჯ-წითლად ამობურცოდა შუბლსა და ღაწვისთავებზე.

— ჩვენ შევესწარით იმას, რომ ასტრონომ მიკოლაი კოპერნიკს ჩვენსავე თვალწინ მეორედ უშვებენ სამარეში! — ლაპარაკობდა გაცხარებული მამა გიზე. — არა, ისე ვერა ვთქვი. ჩისი ნეშტი კა-ტედრაში განისვენებს, მისი სული — იმ ქვეყანას, აი ეს კი — ეპის-კოპოსმა ხელში სქელი წიგნი შეაქანა, — ეს, მისი გულია! ჰოდა, უბადრუკსა და უსირცხვილო ხალხს უნდა, კოპერნიკის გული დაა-სამაროს, მისი ,ნათელი მოძღვრება კაცობრიობას გამოსწიროს! შე-ნა და ზბიგნევმა როგორ ვერ მოიცალეთ აქამდე, რომ „გარემოქ-ცევა“ გადაგეშალათ მაინც!

— ბევრი საქმე და საზრუნავი გაგვიჩნდა, თქვენო უსამღვდე-ლოესობავ, — დამნაშავედ უთხრა ზბიგნევმა.

კასპერ ბერნატი დუმდა. რაც გინდ დაკავებულნი ყოფილიყვნენ, უნდა გამოენახათ დრო და მასწავლებლის შრომისთვის თვალი მა-ინც გადაევლოთ!

ვაცეკი ფეხაკრებით შევიდა და შეუმჩნევლად დაჯდა ამოჩემე-ბულ ადგილას — ფანჯარასთან მისთვის მიდგმულ სკამზე.

— ოჰ, რეტიკ, რეტიკ, ტყუილად კი არ ეშინოდა მიკოლაის იმ ლუთერანი ბერისა! — ოხრავდა ტიდემან გიზე. — იქნებ მოგვე-ხერხებინა ამ უმსგავსო საქმის გამოსწორება: მე ნიურნბერგის მა-გისტრატში წერილი გავგზავნე თხოვნით, რომ პეტრეის სტამბიდან ამოიღონ ანაწყობის პირველი გვერდები... რეტიკს კი თხოვნა გა-ვუგზავნე, მეგობრების საშუალებით თვალი ადევნოს მის შესრუ-ლებას. ეს დანაშაულებრივი ფალსიფიკაცია ხომ მისი მიზეზით მოხდა!

— თქვენო უსამღვდელოესობავ, ნიურნბერგიდან მოსულმა შიკ-რიკმა, რომელმაც წიგნი ჩამოიტანა, გვამცნო, ათასივე ეგზემპლარი ხუთ დღეში ჩამოიბეჭდებაო... — მკუმუნვარედ შეეპასუხა ზბიგნე-ვი, — მას მერე კი ორჯერ ხუთი დღე გავიდა... მაგრამ, თქვენო უწ-მინდესობავ, ხომ შეიძლება ისედაც მოხდეს, წიგნის წამკითხველმა ყურადღება არ მიაქციოს წინასიტყვაობას და „გარემოქცევის“

ტექსტს ჩაუღრმავდეს. ამგვარად, იმ თავხედი ბერის მიზანი მიულწეველი დარჩება...

ბიჭმა ცოტა რამ გაიგო იმისგან, რაც მოისმინა. მიკოლაი კოპერნიკის წიგნს რაღაც დამართოდა, ვიღაცას მოენდომებინა ხელის შეეშალა ცოდნისა და გონიერების ზეიმისათვის... ვის — ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა... ანდა იქნებ ძია ზბიშეკი მართალი იყო და მისი უსამღვდელოესობა მომხდარ უბედურებას აზვიადებდა?

ვაცეკს ხმა არ გაუღია, მაგრამ ოთახში წამით ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ ბიჭის ფრთხილმა ამოოხვრამაც კი მიიქცია ეპისკოპოსის ყურადღება.

კედელზე გაკრული ვაცეკი რომ დაინახა, მისმა უსამღვდელოესობამ ბიჭი თითით მიიხმო.

— ჭაბუკი ბერნატია? ჰო, ჩემი ბებრული თვალითაც ვხედავ, რომ ჭაბუკი ბერნატია! მე შენი ნახაზებიც მინახავს, უმაწვილო, და შენს წერილებსაც მიკითხავდა მამა მიკოლაი... როგორც დავასკვენი,ასტრონომის ხვედრი გიზიდავს ყველაზე მეტად... ჰოდა... ჰოდა... აი, ახლა, როდესაც უკვე შეგიძლია, თავიდან ბოლომდე შეისწავლო მამა მიკოლაის მოძღვრება... — დაიწყო ტიდემან გიზემ, მერე უცებ თავში იტაცა ორივე ხელი, — ღმერთო, ყოვლის მხილველო, ყოვლად მართალო და მოწყალევ, დაუსჯელად ნუ დატოვებ იმ ხალხს, ვინც შებღალა იმ დიდი ადამიანის ნათელი ხსოვნა!

ეპისკოპოსის სავარძელთან მისული ვაცეკი შეშინებული ადევნებდა თვალს. ტიდემან გიზემ განიერი სახელოდან დაჭმუჭნული ქაღალდის ფურცლები გამოიღო და ბიჭს გაუწოდა.

— წაიკითხე, შვილო ჩემო!

კეთილ მამა ლუკაშ ჯოსიდოვსკის თავისი პირველი მოსწავლის კითხვისთვის ყური რომ მიეგდო, ალბათ, სირცხვილით დაიწვებოდა, ისე უკრთოდა ხმა ვაცეკს და ისე ბორძიკობდა ყოველ სიტყვაზე:

— „ამ ნაშრომის ჰიპოთეზათა მკითხველს...“ — წაიკითხა ვაცეკმა ტრაქტატს წამძღვარებული წინასიტყვაობის სათაური.

— შემდეგ, — მოუთმენლად უთხრა ეპისკოპოსმა. — მანდ რამდენიმე ხაზი გამოტოვე. აი, აქედან დაიწყე: „ასტრონომის ამოცანა ხომ...“

ვაცეკმა მორჩილად განაგრძო:

— ასტრონომის ამოცანა ხომ იმაში მდგომარეობს, ცის გულმოდგინე და ზუსტ დაკვირვებათა შედეგად ჩამოაყალიბოს ციურ სხეულთა მოძრაობაზე თავისი სწორი წარმოდგენა. შემდეგ მან უნდა განმარტოს ამ მოძრაობათა ვიზეზები, თუ იგი ვერ შეძლებს მათი ნამდვილი მიზეზების პოვნას, მაშინ მისი მოვალეობაა, შე-

თხზას ჰიპოთეზები, რომელთა დახმარებითაც, გეომეტრიულ აგებულებათა საფუძველზე, შეძლებს ამ მოძრაობათა სწორ გამოთვლას, თანაც როგორც წარსული, ისე მომავალი დროისათვის. ამ ტრაქტატის ავტორმა ორივე ეს მოთხოვნა შესანიშნავად შეასრულა. მით უმეტეს, რომ საჭიროება არ მოითხოვს ამ ჰიპოთეზათა ჭეშმარიტებას! შეიძლება ისინი სინამდვილესთან მიმსგავსებულნიც არ იყოს! ისიც საკმარისია, თუკი ჰიპოთეზები იმ გამოთვლათა შესაძლებლობას მოგვცემს, რომელთა შედეგებიც ციურ მოვლენათა შესატყვისი იქნება“.

— გაიგე, რა წაიკითხე? — ჰკითხა ეპისკოპოსმა.

ბიუმა თავი გააქნია. მღელვარებისაგან ის მხოლოდ სიტყვებს კითხულობდა, აზრს არ უკვირდებოდა. ტიდემან გიზე ამასობაში ნელ-ნელა დამშვიდდა, ყურადღება მიაქცია ბიუის მღელვარებისგან გაფითრებულ ტუჩებს, აკანკალებულ ხელებს და ალერსით მიიკრა გულზე.

— დამშვიდდი, შვილო ჩემო, ახლა ჩვენ, ყველა აქ დამსწრე ვალდებულნი ვართ, რაც შეიძლება დამშვიდებულნი ვიყოთ... წაიკითხე შემდეგ... აი, ამ ადგილიდან, სულ ბოლოში.

ვაცეკმა წაიკითხა კოპერნიკის შრომას დართული წინასიტყვაობის დასკვნითი აბზაცი:

„ნურავინ მოელოდება ასტრონომიულ ჰიპოთეზათა უეჭველ უტყუარობას. ასტრონომია სულაც არ ვარაუდობს ასეთი ჰიპოთეზების შექმნას! თუკი ვინმე სიმართლედ მიიღებს იმას, რაც ავტორმა შეთხზა სხვა მიზნებისათვის, მაშინ ამ მოძღვრების გაცნობის წყალობით იმაზე უფრო გაისულელებს თავს, ვიდრე აქამდე იყო! ყოველივე კარგს გისურვებთ, მკითხველო!“

წინასიტყვაობის ამ დასკვნითი ნაწილის ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ ახლა ჩუმად გადაჰკრა თვალი ვაცეკმა. მაინც თავს არ დაუჯერა, კვლავ ჩათვლით წაიკითხა ეს ადგილი და ამის მერეღა მიაპყრო მზერა ეპისკოპოსს.

— რამ დააწერინა მიკოლაი კოპერნიკს ეს სიტყვები? — ჰკითხა ტიდემან გიზემ. — ნუ ღელავ, შვილო ჩემო, ყოველივეზე, რაც შენ ხმამაღლა წაგვიკითხე და მერე კვლავ შენთვის გადაიკითხე ჩუმად, დაფიქრდი კარგად და თქვი, რამ დააწერინა მიკოლაის ეს წინასიტყვაობა?!

შეშფოთებული კასპერ ბერნატი სავარძელში გასწორდა.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, — მიმართა მან მუდარით. — მე ჩემს ვაჟს ვზრდიდი მასწავლებლის ნათელი მაგალითისადმი პატივისცემისა და სასოების გრძნობით... გახსოვთ, ალბათ, მამა მიკოლაის მე მასწავლებელს ვეძახდი ახალგაზრდობაში. ვაცეკი ბეჯითად

მეცადინეობს ასტრონომიაში, შეისწავლა კოპერნიკის შრომიდან ამოღებული თავი „კუთხეების შესახებ“. დრო და დრო იმასაც ბედავდა, მამა მიკოლაისთვის გამოეგზავნა თავისი ნახაზები და გამოთვლები...

— ვიცი, — უთხრა ტიდემან გიზემ.

— ჰოდა, ახლა კოპერნიკის წიგნი ხელთა გვაქვს. წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა. წინასიტყვაობა, ვაცეკის წარმოდგენით, სრულად უნდა გამოხატავდეს მასწავლებლის შეხედულებას თავის შრომაზე, მაგრამ მე არ მინდა, რომ...

— რატომ დაწერა კოპერნიკმა ასეთი წინასიტყვაობა? — ჰკითხა ხელმის ეპისკოპოსმა ვაცეკს და მხრებზე დააწყო ხელები. — ხომ ხედავ ამ დაპმუპნილ ფურცლებს? მე ესენი წიგნიდან ამოვხიე იმიტომ, რომ არ მომეწონა აზრები, რაც ასტრონომიულ მეცნიერებაზე ამ წინასიტყვაობაში წერია... იქნებადა, მიკოლაი ასე იმიტომ მოიქცა, თავდასხმებისაგან დაეცვა თავისი პირმშო... იქნებადა, ბოლო წლებში ავადმყოფობისაგან გატანჯულს ისე შეერყა სიმტკიცე, გადაწყვიტა, აღარ შეწინააღმდეგებოდა თავის მტრებს?

ვაცეკმა ეპისკოპოსს ანთებული თვალები მიაპყრო და მხოლოდ მის სახეზე ამოკითხულმა მწუხარებამ შეაჩერა, რომ მიგებულ პასუხში არ გამოეხატა მთელი გულისწყრომა:

— მე მამა მიკოლაისთან ვიყავი მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში. ავადმყოფობისაგან დასუსტებული ხშირად კარგავდა გრძნობას, მაგრამ ირასოდეს არც ერთი წამით არ დაუთმია თავისი მოძღვრების მტრებისთვის არაფერი... ოღონდ, ვერ მოგატყუებთ: მომიტევეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, მე მისაღებში ისე ჩუმად შემოვედი, თქვენ არ გაგიგიათ ჩემი ფეხის ხმა. მაშინ თქვენ ამბობდით, ვიღაცამ შებღალაო ასტრონომის წმიდა ხსოვნა... მე მივხვდი, ვიღაც სხვამ, და არა მამა მიკოლაიმ დაწერა ეს უგვანი წინასიტყვაობა. ჰოდა, თქვენც ფურცლები მაგიტომ ამოხიეთ წიგნიდან! მაგრამ ეს ყოველივე თუნდაც არ მომესმინა, არ მენახეთ განრისხებული და გამწარებული, სულ ერთია, მაინც არასოდეს, არასდიდებით არ დავიჯერებდი, რომ ასეთ წინასიტყვაობას დაწერდა მიკოლაი კოპერნიკი!

ვაცეკი ვერ წარმოიდგენდა, თუ მის სიტყვებს ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვებოდა. ეპისკოპოსი წამოდგა სავარძლიდან, მერე კვლავ დაჯდა, მაგიდაზე დადო თავი და ხმამაღლა აქვითინდა. რამდენიპე წუთის შემდეგ, თვალები რომ მოიწმინდა, შეშინებულსა და დაბნეულ კასპერსა და ზბიგნევს მიუბრუნდა, ყველამ შეხედა, რა პატარა, სუსტი და უმწეო იყო იგი.

— ამ ყმაწვილის ბაგენი ჭეშმარიტებას ღაღადებენ, — თქვა და ხელახლა მიიკრა ვაცეკი გულზე, თან განუმარტა: — ლუთერანმა ოსიანდერმა დაწერა ეს წინასიტყვაობა, რომელსაც არარაობამდე დაჰყავს კოპერნიკის მთელი მოძღვრება. მან დიდი ხნის წინ შესთავაზა მამა მიკოლაის შეერბილებინა ის ადგილები, რომლებიც შეიძლება არ მოსწონებოდა მის, ოსიანდერის, მფარველებს. თუმცა, არ გეგონოს, ჩემო ბიჭუნი, რომ ლუთერანული ერესისადმი ერთგულებამ გაუღვიძა ოსიანდერს ამის ჩადენის სურვილი! ჩვენ ვიცნობთ ისეთ ლუთერანს, როგორიც რეტიკია...

— ანდა, როგორიც ჰენრიხ ადლერი იყო, — თქვა ვაცეკმა.

მამა ტიდემანმა თავი დაუქნია.

— საქმე რწმენა არ არის. ადამიანებს სწამთ ისე, როგორც სინდისი უკარნახებთ... ოსიანდერი კი ისე მოიქცა, როგორც უსინდისობამ უკარნახა... მაგრამ ჩვენ ახლა არც ტირილი გვმართებს, არც მწუხარება, არამედ მთელი ძალები უნდა მოვანდომოთ იმას, რომ კოპერნიკის მოძღვრება შენიშვნებისაგან განწმენდილი, სრულიად ხელშეუხებელი მივიდეს მკითხველამდე. ამ მიზნით ზოგიერთი რამ უკვე ვიღონე. მომავალშიც მოუღალავად გადავდგამ ყველა შესაძლო ნაბიჯს მის მისაღწევად.

ნაღვლიანი იყო გამოსათხოვარი ვახშამი ფრომბორკის ციხედარბაზში.

— გადის წლები, — ამბობდა მამა გიზე. — მიკოლაი ცოტათი იყო ჩემზე უფროსი... კიდევ რამდენ ხანს მამყოფებს უფალი ღმერთი მიწაზე. არ ვიცი. ერთადერთი სიხარული ჩემთვის იმის შეგნებაა, რომ მიმავალ სიბერეს მომავლის ნაბარტყი სცვლის!

მხოლოდ კასპერ ბერნატმა კი არა, ზბიგნევმაც, ლევშემაც და მოხუცმა ვოიცეხმაც შეატყო, რომ ხელმის ეპისკოპოსი ცოტა უკეთესი განწყობით მიდიოდა, ვიდრე ჩამოვიდა. მორიდებული კასპერი რამდენჯერმე ეცადა მოეშორებინა აკვიატებული ფიქრი, მაგრამ იგი კვლავ და კვლავ უტრიალებდა თავში: ვაცეკის სიტყვებმა ცოტათი დაამშვიდაო მამა ტიდემანი!

ძველი ჩვეულების მიხედვით, მისმა უსამღვდელოესობამ ის ოთახი დაიკავა, რომელსაც მამა მიკოლაის სიცოცხლეში უთმობდნენ.

ეპისკოპოსი გამოეთხოვა გდანსკელებს, ყოველივე სიკეთე უსურვა და თავისი ოთახისაკენ გასწია: გდანსკელი სტუმრები დილით ადრე უნდა გასულიყვნენ, ტიდემან გიზე კი მოხუცებულებაში გვიან ადგომას მიეჩვია...

თუმცა, სანამ კასპერი და ზბიგევი დაწოლას მოასწრებდნენ,

შუაღამისას ეპისკოპოსი მოულოდნელად დაადგათ თავს. ხელში წვრილად ნაწერი ქაღალდის ფურცლები ეჭირა.

— ჩემთან წამოდით, მეგობრებო, აქ ბნელა და სინესტეა. მე კი ვოიცეხს ეუბრძანე, ბუხარი აენთო და ღვინო მოეტანა. ოღონდ, სამწუხაროდ, მე წყლით შეზავებულსა ვსვამ... ზბიგნევ, შენმა მოსაზრებებმა პოლონეთის ისტორიაზე ბევრი რამ შთამაგონა და, აი, აქ ჩამოვწერე ზოგიერთი ჩემი ვარაუდი... შენ მართალი ხარ, ისტორიკოსი მხოლოდ ჭაღარა წარსულს არ უნდა ჩაუღრმავდეს — ის რაც ახლა ხდება, ჩვენ თვალწინ, ესეც ისტორიაა... ნუ გეშინიათ, ახლა ამის კითხვას არ მოვყვები, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია თქვენთან საუბარი იმაზე, რაც მაღელვებს, რამაც არ შეიძლება არ ააღელვოს ყოველი პოლონეთის მოყვარე პატრიოტი.

ძალიანაც უნდოდა ვაცეკს, მამა გიზესთვის მოესმინა, მაგრამ, რაკი იფიქრა, მისი უსამღვდელოესობის მიწვევა არამც და არამც მე არ მგულისხმობსო, კედლისკენ გადაბრუნდა. გიზე კი მივიდა და ალერსით დაუწყო ნჯღრევა:

— ვარსკვლავთმრიცხველო, შენც ჩემი სტუმარი უნდა იყო!

ფრომბორკის კოშკზე შუაღამის სამი საათი ჩამოირეკა, როდესაც ყველამ ეპისკოპოსის ოთახში მოიყარა თავი. ტიდემან გიზე მჭმუნვარედ აქნევდა თავს.

— ხვალ, დილაადრიანად გზას უნდა გაუდგეთ, მე კი ძილისთვის განკუთვნილ ძვირფას დროს გართმევთ! მაგრამ მე ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ვარ ასე მოვიქცე! — თქვა ეპისკოპოსმა და თავისი ვეება, სქელმინიანი სათვალე მოიღგო, — ზბიგნევ! შენც, კასპერ, და შენც, ჭაბუკო ასტრონომო, ყველამ უნდა იცოდეთ, რომ დიდი ხანია გულით დავატარებდი ერთ განზრახვას — მომავალი თაობისათვის მომეთხრო პოლონეთის ისტორიის ის მონაკვეთი, რომლის მოწმედაც უფალმა ღირსმყო... ამ განზრახვისაკენ ისიც მიბიძგებდა, რომ მისი უდიდებულესობა ზიგმუნდ მეფე დროდადრო მავალებდა მისი მმართველობის ხანაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე ჩანაწერები შემედგინა... ჰოდა, ვგონებ, კაცი, რომელიც მიზნად დაისახავს ჩვენი დიადი ეპოქის ამბების აღწერას, ამით აღწერს პოლონეთის ისტორიის ერთ დიდ მონაკვეთსაც!

ტიდემან გიზემ ახლოს მიიცურა ქაღალდების დასტა და დაუხედავად დააწყო ზედ თავისი პატარა ხელები.

— ყურადღებით მისმინეთ... მე იმ იმედით ვსულდგმულობ, ჩემი მსჯელობიდან რაღაც-რაღაცები გულზე მოხვდეზათ-მეთქი... თუკი ოდესმე ვინმე იმის ღონეს აღმოაჩენს თავის თავში, რომ ხელს მოჰკიდებს ჩვენი უდიდესი თანამედროვის, პოლონელი ასტრონომის მიკოლაი კოპერნიკის ცხოვრების აღწერას, მან სამი

სახელი დიდი ასოებით უნდა ჩაწეროს ამ აღწერილობაში. პირველი სახელი ვარმიის ეპისკოპოსის ლუკაშ ვაცენროდისა უნდა იყოს!

მისი უსამღვდელოესობა შთაგონებითა და ოდნავ მწიგნობრულადაც ლაპარაკობდა, თუმცა ქაღალდებში თითქმის არ იყურებოდა.

„ალბათ სულ ზეპირად დაისწავლა", — გაიფიქრა ვაცეკმა.

— ვაცენროდს ბევრი იცნობს როგორც პოლონეთის სამეფოს გაერთიანებისათვის თავდადებულ მებრძოლს... — განაგრძობდა ეპისკოპოსი. — ეს ასეცაა... მცირე შრომა, ძალა და ენერგია როდი შეალია ეპისკოპოსმა, რომ პოლონეთი ერთიანი, ძლიერი და აღზევებული ეხილა... ჰოდა, სწორედაც პოლონეთის მტრებმა მოწამლეს იგი... აბა რამ, თუ არა პოლონეთის დიდებაზე ზრუნვამ აფიქრებინა ვაცენროდს, დიდი სიფრთხილითა და გულდადებით გაეზარდა კოპერნიკი, მისი ტალანტისათვის მიეცა გასაქანი? ეპისკოპოსმა სულ პატარაობიდანვე, სიყრმიდანვე შეატყო მიკოლაის, რომ იგი გამორჩეული კაცი დადგებოდა, რომ ყველაზე მეტად იგი გააბრწყინებდა პოლონეთის გვირგვინს... ბევრი მეჭორე გაიძახოდა, ვარმიის კანონიკი ბედნიერად ცხოვრობს ვაცენროდის ღონიერ ზურგს ამოფარებულიო... უმეცართ და ცილისმწამებელთ იმის გაგება არ ჰქონდათ, რომ ვაცენროდის ღონიერი ზურგი მრავალი წლის მანძილზე თვითონ მათგანვე იცავდა პოლონეთის დიდებასა და სიამაყეს!

კასპერს გაახსენდა თავის გრძელი საუბრები მამა გიზესთან ლიძბარკში. მაშინ მამა ტიდემანი, დაახლოებით, ამასვე ლაპარაკობდა. მაგრამ საოცარ სიცხადეს ახლა იღებდა მისი ეს სიმართლე!

— მეორე სახელი, — ხელმის ეპისკოპოსმა მცირე წყალნარევი ღვინო მოსვა და განაგრძო, — რომელიც დიდი ასოებით უნდა ჩაიწეროს მიკოლაი კოპერნიკის ცხოვრების აღწერილობაში, ანა შილინგისაა.

ზბიგნევმა ვაცეკს თვალი აარიდა და გაკვირვებით შეხედა კასპერს, მაგრამ ბიჭის მამა მდუმარედ და ყურადღებით მისჩერებოდა მამა ტიდემანს სახეში. კასპერისთვის მღელვარებას გაევლო. ნაჭრილობევები გაუფერულებოდა, სახეს კვლავ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიეღო.

— ვაცენროდების შორეული ნათესავი, აუწერელი სილამაზის ქალწული, ასული ცნობილი ფულის მომჭრელის, მაცეი შილინგისა, ფულის საქმის ოსტატისა, სრულყოფილად ფლობდა ლათინურ ენას. აგრეთვე იტალიურსა და ესპანურ ენებს, გერმანულ ენაზე აღარაფერს ვამბობ. ანა დედანშივე კითხულობდა ძველი სამყაროს უდიდესი მწერლების ქმნილებებს, ზეპირად

იცოდა იტალიელი პოეტები, ხატავდა ფანჭრითა და საღებავებით. ჰოდა, აი, ეს ქალი, თოთხმეტი წლის ასაკიდან უარით ისტუმრებდა პოლონეთის ყველაზე ცნობილი ოჯახებიდან გამოსულ საქმროებს იმიტომ, რომ მხურვალედ და სამუდამოდ შეუყვარდა მიკოლაი კოპერნიკი! ანა შილინგი ვერ ხვდებოდა, რომ სწავლულსაც იგი ერთის ნახვით შეუყვარებოდა... თექვსმეტი წელი დუმდნენ ისინი თავიანთ სიყვარულზე. ბოლოს კი ანამდე მიაღწია ხმებმა, მამა მიკოლაი ავადმყოფობსო, დაბერდაო, მეგობრებისა და მტრებისგან მიტოვებული სიმარტოვეში ცხოვრობსო, ფრომბორკიდან გამოუსვლელად ატარებსო წლებს, ცის მნათობებზე დაკვირვებას მხოლოდ იმიტომ მოსწყდება ხოლმე, რომ განკურნოს ავადმყოფი გლეხი, დაეხმაროს დამშეულს ანდა ანუგეშოს უბედურებაში ჩავარდნილიო... მაშინ ანა არ დაერიდა ხალხის კილავს, კოპერნიკთან ჩამოვიდა და, როგორც იტყვიან, თავის თავზე აიღო მის სამეურნეო საქმეებზე ზრუნვა... არა, ანას მხოლოდ სამეურნეო საქმეებზე ზრუნვა არ აუღია თავის თავზე! მზის სხივივით შეიჭრა იგი კოპერნიკის ცხოვრებაში, გაზაფხულივით გაკრთა იგი ფრომბორკის პირქუშ სამფლობელოში. ციხე-დარბაზში დასახლდა ყვავილები, მუსიკა, სიმღერა... მამა მიკოლაის, თავადაც მშვენიერ მუსიკოსს, ძალიან უყვარდა ანას ბარბითზე დაკვრა... ბუხართან მჯდარი ანა უმღეროდა მას პოლონურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ სიმღერებს... ეს წლები იყო ყველაზე მდიდარი წარმატებებით, ყველაზე ნაყოფიერი წლები კოპერნიკის ცხოვრებაში! ანამ ხომ მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი ასტრონომიის შესწავლას, მამა მიკოლაისთან ერთად აკვირდებოდა ვარსკვლავებს... მას შეეძლო, ზუსტად ეთქვა, მიკოლაი თავისი შრომის რომელ გვერდზე გაჩერდა... თქვენ ახლაც შეგიძლიათ მის შავად ნაწერებში გამოარჩიოთ ანას ხელით დაწერილი გვერდები. — ამ ადგილებს იგი კოპერნიკის კარნახით წერდა...

თვითონ ანა, მდიდარი გვარის ასული, მზარეულის დაუხმარებლად უმზადებდა მიკოლაის მის საყვარელ კერძებს... როდესაც მიკოლაის ფეხები დაუსივდა, ანას მის ოთახში ფიჭით შეჰყავდა ფუტკრები და ფეხებზე ასხამდა. კოპერნიკმა ზუსტად ამნაირადვე განკურნა იან დანტიშეკი — თავისდა საუბედუროდ... ხშირად მომხდარა, რომ განუსია სუფრასთან თვალებამდე სახეახვეული დამჯდარა: გაცხარებული ფუტკრები არ ინდობდნენ საკბენად, სამაგიეროდ, ავადმყოფი გრძნობდა შვებას...

— დედაო ღვთისავ, და ყოველივე ამის შემდეგ იმ დანტიშენკმა ანა ფრომბორკიდან გააძევა? — გაკვირვებული წამოძახილისგან

თავი ვერ შეიკვა ვაცეკმა და მაშინვე შეშინებულმა მიმოიხედა. მოხუცი ვოიცეხის მსგავსად არც მას უნდოდა იან დანტიშეკი ტიტულით, „მისი უსამღვდელოესობით“ მოეხსენიებინა! თუმცა ამის გამო შენიშვნა არავის მიუცია.

— არ შემიძლია გარკვევით ვთქვა, რით ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსი, — გაეპასუხა მამა გიზე. — შეიძლება მის პატივმოყვარე გულს გამუდმებით ღრღნიდა შური დიდი ვაცენროდისა, რომელსაც ვერასოდეს შეედრებოდა, და ეს შური მამა მიკოლაიზე გადაიტანა... მისი უსამღვდელოესობა იან დანტიშეკი ჭკვიანი და განსწავლული კაცია, მაგრამ მოფუსფუსე და ცბიერი ევროპული სასახლეების კარზე ხშირმა ყოფნამ თავისი გაიტანა... თავად თავქარიანსა და სიყვარულში გუნებაცვალებადს არ ესმოდა, რა მაღალი გრძნობები აკავშირებდა მიკოლაის და ანას... მეშინია, არ შევცდე, მაგრამ მაინც მგონია, რაკი ერთხელ დაკარგა დანტიშეკმა მიკოლაის სიყვარული და პატივისცემა (ახალგაზრდობაში ისინი დაახლოებულები იყვნენ, მაგრამ მერე გაიყარა მათი გზები), შემდეგ იგი მთელი სიცოცხლე ცდილობდა ან დაებრუნებინა ყოფილი მეგობრის კეთილგანწყობა ანდა დაესაჯა თავისი ქედმაღლობისთვის. დანტიშეკი ქედმაღლობად უთვლიდა კოპერნიკს ყოველდღიური წვრილმანი საქმისაგან განზე განდგომას...

ხელმის ეპისკოპოსი უკვე გაჭირვებით, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა და წამდაუწუმ ულაპავდა წყალნარევ ღვინოს.

— დაისვენეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, — მზრუნველად სთხოვა კასპერ ბერნატმა.

— უნდა დავასრულო სათქმელი... ეს ჩემი წმიდა მოვალეობაა განსვენებულის მიმართ... ჰოდა, როგორადაც დაბადებითვე ბრმას ამაოდ დაუწყეს ფერებზე მსჯელობას, იან დანტიშეკთანაც ასევე ამაო იყო ნამდვილ, ერთგულ სიყვარულზე ლაპარაკი! იმ ამბავს ხელიაჭიდებულმა, რომ ანა შილინგი ვაცენროდებსა და კოპერნიკებს ძალიან შორეულ ნათესავად ერგებოდა, აგრეთვე იმას, რომ წლოვანებით ანა გაცილებით ახალგაზრდა იყო სასულიერო პირების იმ მნე ქალებზე, რომელთაც მათი მეურნეობა აბარია, ვარმიის ეპისკოპოსმა თავისი კანონიკისაგან მოითხოვა, ანა ფრომბორკისათვის მოეშორებინა... ამის შემდეგ მიკოლაიმ გალიიდან გაუშვა ყველა ჩიტბატონა და ყანარი, რომლებიც დილდილობით აღვიძებდნენ ანას, ანგარიში გაუსწორა მოხუცებულ დედაკაცს, ანას საოჯახო საქმეებში რომ ეხმარებოდა, და თავის კოშკში ჩაიკეტა. ოთხი დღის შემდეგ იქიდან ხელით გამოიტანეს. მაშინ წასკდა ბირველად სისხლი. სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის გამო დასუსტებული

მიკოლაი რამდენიმე კვირას იწვა ლოგინში. ამ ამბის შემდეგ ჯანმრთელობა აღარც დაბრუნებია აღარასოდეს...

მამა ტიდემანმა თავი რომ აიღო, თავის მსმენელთა თვალებში ცრემლი შენიშნა.

— ჩემამდეც მოაღწია ანა შილინგზე ხმებმა, — თქვა აღელვებულმა ზბიგნევმა, — მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, თუ საქმე ამდაგვარად იყო...

— თქვენ დაღლილნი ხართ, შვილნო ჩემნო, — თქვა ეპისკოპოსმა, — მეც დავიღალე, მაგრამ, ვინ იცის, შემთხვევა კიდევ შეგვყრის ერთად? ჩემი სათქმელი კი უეჭველად უნდა დავასრულო... ყურადღებით მისმინე, — მიუბრუნდა იგი ზბიგნევს. — ესეც ხომ ისტორიაა პოლონეთისა! მაშ, მე კვლავ განვაგრძობ კოპერნიკის ცხოვრების აღწერილობას: მესამე სახელი, რომელიც უნდა მოიხსენიოს თავის შრომაში კოპერნიკის ბიოგრაფმა, ეს გიორგი იოახიმ დე ლაუხენია, მეტსახელად რეტიკი...

მამა გიზე გაჩუმდა, თითებს ერთმანეთში აჭდობდა და შლიდა, აჭდობდა და შლიდა. შემდეგ დამნაშავედ მოავლო მსმენელებს თავისი მიმქრალი თვალები.

— მე განსაკუთრებით უნდა ვიზრუნო, რათა ეს სახელი ლუკაშ ვაცენროდსა და ანა შილინგს გვერდით ამოუდგეს, იმიტომ რომ მხოლოდ ჩემ გამო არ მოიხსენია იგი მიკოლაიმ თავის მიძღვნაში პაპი პავლე მესამისადმი. რეტიკმა ასტრონომიული მეცნიერებისათვის, დაახლოებით, იგივე გააკეთა, რასაც გამოცდილ ბებია ქალი აკეთებს, როდესაც ბავშვს ამქვეყნად მოვლენაში ეხმარება... რეტიკი დაეხმარა პოლონეთის ასტრონომიული მეცნიერების დაბადებას! რეტიკის აქ მომვლინებელნი ანგარიშს მოითხოვდნენ იმაზე, რაც მან მთელი წლის მანძილზე „პაპისტის მედიდურობით მოწამლულ“ კაცს გვერდით ყოფნისას შეიძინა. და რეტიკმაც ჩააბარა ანგარიში მეცნიერის გულმოდგინებით, მებრძოლის სიმამაცითა და ერთი პირველთაგანი ქრისტიანის თავგანწირულობით. იგი ჩასწვდა კოპერნიკის იდეებს და ბეჯითად შეუდგა მის გავრცელებას ჯერ თავისი „პირველი თხრობის“ წყალობით, შემდეგ ვიტენბერგის მალალი კათედრიდან ლექციების კითხვით, ხოლო როდესაც იგი ლუთერანების ამ ბუდიდან გამოაძევეს — ლაიპციგის უნივერსიტეტიდან, და საერთოდ, სადაც კი შეძლებდა თავის გარშემო მსმენელის შეკრებას... მეცნიერების ყველა მოყვარული მადლიერებით ეპყრობა ამ სახელგანთქმულ მათემატიკოსს, კაცს, პატივცემულს ლუთერანულ ქვეყნებში, რომელმაც არად ჩააგდო მოსალოდნელი საშინ-

რება, ჩამოაღწია ვარმიამდე, რათა სიყვარულითა და მოწიწებით შეესმინა კოპერნიკის მოძღვრება. გული გეყინება, როდესაც წარმოიდგენ, რომ შეიძლებოდა რეტიკი გოზიუსის, ანდა, მომიტევოს უფალმა ღმერთმა! — იგივე დანტიშეკის ბრჭყალებში ჩავარდნილიყო, დანტიშეკისა, ვისაც მარტო მამა მიკოლაის გასამწარებლად შეეძლო გადაეცა რეტიკი წმიდა ინკვიზიციისათვის! დაე, მტრებმა და მოშურნეებმა ჩრდილი მიაყენონ კოპერნიკის ქმნილების . დასტამბვის საზეიმო განწყობას, მაგრამ შუქი, ანთებული მამა მიკოლაის მიერ, ისეთი ადამიანების წყალობით როგორიც რეტიკია, მთელს დედამიწას მოეფინება! ვერც ლუთერი და მელანგტონი, ერთის მხრივ, ვერც გოზიუსი და დანტიშეკი, მეორეს მხრივ, უკვე ვეღარ ჩააქრობენ ამ შუქს! მოკრძალებული ბაკალავრები და ლიცენციატები შთაგონებით იქადაგებენ მას სოფლებსა და ქალაქებში! დასანანია, ოღონდ, ის გარემოება, რომ იან დანტიშეკმა, კაცმა ჭკვიანმა და განათლებულმა, მიკოლაის შეხედულებათა სისწორეში კარგად გარკვეულმა, არაფერი იღონა ასეთი ნათელი მოძღვრების გასავრცელებლად!

აი, ახლაღა მიხვდა კასპერ ბერნატის ვაჟი, ბოლოს და ბოლოს, რა ევალებოდა, და როგორ უნდა მოქცეულიყო. იგი კრაკოვის აკადემიაში შეიძენს საკმაო ცოდნას, რომ ლუთერანელების წინაშე არ შეარცხვინოს პოლონეთი, და შემდეგ რეტიკს მიაშურებს. ის კი ასწავლის, ყველაზე უკთესად როგორ იქადაგოს კოპერნიკის მოძღვრება. ბიჭმა ერთმანეთს გადაჭდო გადათეთრებული ხელის თითები და თავის თავს ფიცი მისცა, რომ ამ საქმეს შესწირავდა მთელ სიცოცხლეს. და რადგანაც იგი შვილი იყო და შვილიშვილი ბერნატებისა, მემკვიდრეობით მრსდგამდა ფიცის გაუტეხლობის უნარი!

დაღლილი, მთლად გადანაცრისფერებული იჯდა ტიდემან გიზე და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა, როდესაც კასპერ ბერნატმა გაბედა იმის თქმა, რაც, კარგა ხანია, ენაზე უტრიალებდა.

— კიდევ ერთი სახელი დაგავიწყდათ, თქვენო უსამღვდელოესობავ, — თქვა ბოლოს წყნარად.

გულში კი გაიფიქრა: „მრავალი წლის მანძილზე განა თვითონ ეს კაცი არ იყო დასაყრდენი მამა მიკოლაისა ყველა თავსდატეხილ უბედურებაში, განა ამ კაცმა ოლშტინის დაცვის ჩანაწერებში არ გააშუქა, როგორც საჭიროება მოითხოვდა, მხნეობა და წინდახედულება კოპერნიკისა, და ბოლოს, განა ეს კაცი არ მოითხოვდა დაჟინებით, ლამის ჩხუბითაც კი, კოპერნიკს გამოეცა თავისი შრომა? რა თქმა უნდა, ტიდემან გიზეს სხვაზე ნაკლებად არა აქვს უფლებ კოპერნიკის ბიოგრაფის ყურადღებისას!“

— არა, არ დამვიწყებია, — გაეპასუხა ტიდემან გიზე, — მხოლოდ აზრებს ვალაგებ, რომ საკადრისად გამოვხატო, რა მადლით აისახა მამა კოპერნიკის თვალსაზრისზე მათი განუყოფელი კავშირი.

ხელშის ეპისკოპოსმა ვერ შენიშნა იქ ფყოფთა გაკვირვებული გამოხედვა, ისე ფანაგრძო:

— ამ სახელს იგი სიყრმიდანვე ატარებდა გულში, როდესაც „ხელიკთა კავშირზე"[1] ისმენდა ამბებს, რომლის რიგებშიც პოლონეთის მტრების წინააღმდეგ იბრძოდა მისი მამაც; ეს სახელი ათბობდა, როდესაც მან, თავის ძმასთან, ანჯეისთან ერთად ყინულოვანი ალპები გადალახა; ამ სახელს ჩურჩულებდა იგი, სინაზითა და ნაღველით, როდესაც ვაცენროდის მტრები ეპისკოპოსს აყვედრიდნენ, შენი დისწული იტალიურ ფუფუნებასა და განცხრომით ყოფნაში ივიწყებსო მშობლიურ ქვეყანას... მიკოლაისთვის ამ სახელთან იყო დაკავშირებული წარმოდგენა ჰუმანიზმის მაღალ გამოხატულებაზე, მეცნიერების დამოუკიდებლობაზე, ხელოვნების გაფურჩქვნაზე... სხვაგან სად შეიძლებოდა თავშესაფარი ეპოვა ისეთ დევნილებს, როგორებიც კონრად ცელტესი და მისთანანი იყვნენ?! მისგან დაისესხა იქნებ მიკოლაიმ თავისი საუკეთესო გულისთქმანი? იგი მოძღვრავდა, უჩვენებდა გზას, იგი უხსნიდა გონებას, იგი უსვამდა ნაზად ხელს, როდესაც მიკოლაი ღამით გამოთვლებს აწარმოებდა მისსავე სადიდებლად... იგი ლოცავდა სასოებით შრომისა და გმირობისათვის...

ვაცეკი უსმენდა და ფიქრობდა: „ნეტავი ვისზე ლაპარაკობს მამა ტიდემანი? ალბათ მამა მიკოლაის დედაზე, პანი ბარბარა კოპერნიკოვაზე? მაგრამ ბიუმა მშვენივრად იცოდა, რომ კოპერნიკმა ადრეულ დატოვა მშობლიური სახლი.

ბიუის მამა და ბიძა კი მდუმარედ ისხდნენ და მოწიწებით იზიარებდნენ მამა გიზეს სიტყვებს. ისინი ერთმანეთს აღარ შეჰყურებდნენ გაკვირვებულნი, მათი აზრი და განსჯა თანხვდებოდა მოსაუბრის აზრსა და განსჯას.

მამა გიზე განაგრძობდა:

— მერე რა, თუ უგუნურმა ხალხმა — უმეცარმა და შურიანმა — წადილი არ დაიშურა, რათა მოეწამლათ ეს ნათელი გრძნობები, დაერღვიათ ეს წმინდა კავშირი; მერე რა, თუ კოპერნიკი ეულ ვარსკვლავმრიცხველად წარმოიდგინეს, რომელიც გარდა თავისი პლანეტებისა, არაფერზე ფიქრობდა; მერე რა, თუ შლია-

---

[1]. „ხელიკთა კავშირი" — აერთიანებდა პოლონელ პატრიოტებს, რომელნიც იბრძოდნენ ტევტონთა მფლობელობისაგან პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთი მიწების განთავისუფლებისათვის. ეს მიწები ბოლოს და ბოლოს მაინც გადავიდა პოლონეთის ხელში.

ხტებმა და სამეფო კარმა ვერ მოიცალეს, უკანასკნელი ვალი მოეხადათ მისი სამარის კართან. სამაგიეროდ, იგი, ხიფთანიანი და ქალამნიანი, ქვითრნითა და მწუხარებით, ცხარე ცრემლის ღვრით მიჰყვებოდა მის კუბოს უკან!

გონების თვალით მე ვეკვრეტ იმ დროს, როდესაც იგი აუგებს უფრო მაღალ ძეგლს, ვიდრე პართენონის და პროპილეის ტაძარია, უფრო მაღალს, ვიდრე დიანა ეფესელის ტაძარია! რადგანაც არც მარმარილოსგან, არც ოქროსგან ზეაღზიდავს მას მზრუნველი და მაშვრალი ხელი! გონიერების ტაძრად იქნება იგი წოდებული ხალხისგან!

.რადგანაც ი გ ი, ვისაც მთელი სიცოცხლე გულით ატარებდა მიკოლაი, არასოდეს დაივიწყებს თავის უდიდეს შვილს! ჰოდა, პროფესორებმ, ვინც შეეხებოდავს კოპერნიკის ცხოვრების აღწერას, ყველაზე დიდი ასოებით უნდა ჩაწეროს მეცნიერის ბიოგრაფიაში მ ი ს ი სახელი.

ახლა უკვე ვიცეკიც მიხვდა, რაზედაც ლაპარაკობდა მამა გიზე.

— ოქროს ასოებით, იმდაგვარადვე, როგორი სიყვარულითა და მონდომებითაც გამოჰყავდათ ოდესღაც ძველ ხელნაწერებში გულმოდგინე გადამწერებს, უნდა ჩაიწეროს კოპერნიკის ცხოვრების აღწერილობაში ყველა ნამდვილი პატრიოტისათვის შენი ძვირფასი და საყვარელი, შენი ხათუთი სახელი — პ ო ლ ო ნ ე თ ი!

სარჩევი

ნაწილი პირველი

თავი პირველი. მოსაკითხი გდანსკიდან	3
თავი მეორე. რეფერენდუმი	17
თავი მესამე. მშვიდობით, კრაკოვო!	29
თავი მეოთხე. ლიმბარკის ციხე-კოშკი	41
თავი მეხუთე. ბედნიერი დღე	56
თავი მეექვსე. სიტყვა არავისთან დაგცდეთ!	72
თავი მეშვიდე. ორი ფრანცის საუბარი და შემდგომი ამბები	85
თავი მერვე. რომი	100
თავი მეცხრე. პაოლო როტა	113
თავი მეათე. ზღვა	127
თავი მეთერთმეტე. შეხვდნენ — ღმერთის შეწევნით	140
თავი მეთორმეტე. მძიმე დრო	155
თავი მეცამეტე. ღრუბლები ლიმბარკის თავზე	174

ნაწილი მეორე

თავი პირველი. ჭაბუკი ბაკალავრი	192
თავი მეორე. მეორედ დაბადება	210
თავი მესამე. ტყვეობა და თავისუფლება	226
თავი მეოთხე. უკრაინასა და პოლონეთში	241
თავი მეხუთე. გათავისუფლება	259
თავი მეექვსე. მკურნალი ხორცისა და სულისა	275
თავი მეშვიდე. ომის გზებზე	288
თავი მერვე. დამთრგუნველი სიმართლე	306
თავი მეცხრე. მოწყალება	325
თავი მეათე. პანი ანელკა სანატოროვას აღიარება	340
თავი მეთერთმეტე. სოფლის უბრალო ბიჭები	356
თავი მეთორმეტე, ყველაზე მცირე, მაგრამ მეტისმეტად მნიშვნელოვანი კასპერისა და ვანდასათვის	373

ეპილოგი

თავი პირველი. გზა. მოგონებანი. ფიქრები	383
თავი მეორე. დაშვებული ალამი	399
თავი მესამე. ნაშრომი მთელი სიცოცხლისა	416

ს. ბ. № 907

რედაქტორი ლია ერისთავი
მხატვარი ი. კუსკოვი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ვ. პირველი
კონტრ. კორექტორი თ. შინდაგორიძე
კორექტორი გ. ტოგონიძე

გადაეცა ასაწყობად 10.02.83. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.08.83. ანაწყ. ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 27,25, საბ. ქაღალდი №3; საღებავგატარება 27,63; სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 24,4. ტირ. 20 000 შეკვ. № 2005,

ფასი 2 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის 5
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Шишова Зинаида Константиновна
Царевич Сергей Александрович

ПРИКЛЮЧЕНИЯ КАСПЕРА БЕРНАТА
В ПОЛЬШЕ И ДРУГИХ СТРАНАХ

(На грузинском языке)

Детгиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1983